ISSN 1512 4959



- HISTORICAL VERTICALS
- ВЕРТИКАЛИ ИСТОРИИ
- GESCHICHTS VERTIKALEN
- LES VERTICAL ESHISTORIQUES
- VERTICALES DE LA HISTORIA
- TARIHIN DIKEY HATLAR

2022

საისტორიო ვერტიკალები

- HISTORICAL VERTICALS
- ВЕРТИКАЛИ ИСТОРИИ
- GESCHICHTS VERTIKALES
- LES VERTICALES HISTORIQUES
- VERTICALES DE LA HISTORIA
- TARIHIN DIKEY HATLARI

თბილისი TBILISI ТБИЛИСИ

51

2022

ყველა ადამიანმა ფიქრობისა მეცნიერების მეგობარია, ანუ თავისთავად ვიცოდე

ყველაადამიანი

მთავარი რედაქტორი: **იგორ კვესელავა**

რედაქტორის მოადგილე: **ვალერი მოდებაძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი:
ედიშერ გვენეტაძე

რედაქტორის მოადგილე საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო საკითხებში: **ნონა ცაბაძე**

საზღვარგარეთის ბიურო:

რუდიმერ ადრესენი (გერმანია)

ჰიროტაკი მაედა (იაპონია)

ჯუნჯი იტო (იაპონია)

ფრანსუაზა ტომი (საფრანგეთი)

ბადრი გოგია (საფრანგეთი)

სტივენ ჯონსი (აშშ)

დილავერ ჰალიტე (თურქეთი)

ჰ. პ. ანგელოვა (ბულგარეთი)

ა. მკრტიჩიანი (ესპანეთი)

ტ. კოროტკი (უკრაინა)

მ. პოლოვი (უკრაინა)

აჭარის ბიურო:

ავთანდილ დიასამიძე

EDITOR IN CHIEF: **IGOR KVESELAVA**

DEPUTY EDITOR: **VALERI MODEBADZE**

EXECUTIVE EDITOR:
EDISHER GVENETADZE

DEPUTY EDITOR FOR PUBLIC RELATIONS AND ORGANIZATIONAL AFFAIRS:
NONA TSABADZE

INTERNATIONAL AGENCY:

RUDIMER ADRESEN (GERMANY)

HIROTAKI MAEDA (JAPAN)

JUNJI ITTO (JAPAN)

FRANSUAZA TOM (FRANCE)

BADRI GOGIA (FRANCE)

STEPHAN JONES (USA)

DILAVER HALIT (TURKEY)

H.P. ANGELOVA (BULGARIA)

A. MKRTICHYAN (SPAIN)

T. KOROTKYI (UKRAINE),

M. POLOVYI (UKRAINE)

ADJARA AGENCY:

AVTANDIL DIASAMIDZE

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
Faculty of Law and International Relations
The international refered and reviewed scientific journal of the Department of Policy and International Relations

სარედაქციო კოლეგია:
გ. აბესაძე, ნ. ბახსოლიანი, ე. ბუხრაშვილი, ი. გაბისონია, ჯ. გაბელია, ჯ. გახოკიძე, ო. გოგიაშვილი, ზ. გოცირიძე, ზ. კვეტენაძე, თ. კიკნაძე, კ. კოპალიანი, ჰ. კუპრაშვილი, კ. კუტუბიძე, ს. მიდელაშვილი, ვ. მოდებაძე, ა. სონღულაშვილი, ა. ფუტკარაძე, რ. ქუთათელაძე, ვ. შუბითიძე, ი. შურღაია, მ. ყიფიანი, ო. ჭუმბურიძე, ა. ხევცურიანი, ივ. ჯაგოდნიშვილი, ე. ჯაფარიძე, ქ. ჯიჯეიშვილი.

EDITORIAL STAFF:
G. Abesadze, B. Bakhsoliani, E. Bukhrashvili, I. Gabisonia, J. Gabelia, J. Gakhokidze, O. Gogiashvili, Z. Gotsiridze, Z. Kvetenadze, T. Kiknadze, A. Khevtsuriani, K. Kopaliani, H. Kuprashvili, I. Kutubidze, S. Midelashvili, V. Modebadze, A. Songulashvili, A. Putkaradze, R. Kutateladze, V. Shubitidze, I. Shurghaia, M. Kipiani, O. Chumbruridze, Iv. Jagodnishvili, E. Japaridze, K. Jijeishvili.

ტექნიკური რედაქტორი - ქეთი კვესელავა, სტეფანე აბრამიანი.

ჟურნალის გარეკანი შეასრულა - ემირ ბურჯანაძემ.

ემბლემა ეკუთვნის სახალხო მხატვარს - კობა გურულს.

ჟურნალი ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ.
გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

ჟურნალი დაარსდა ზვიად გამსახურდიას ინიციატივით
1991 წელს, აღდგა 2002 წელს

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, კორპუსი VI, ოთახი 605ᵃ

Editorial office address: GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
Tbilisi, Kostava 77, block VI, room 605ᵃ

599 24 64 74; 599 24 56 41; 595 29 89 07; 62 09; 66 86;
ოფიციალური ვებ-გვერდი: www.saistoriovertikalebi.ge
E-mail: svertikali@yahoo.com

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ – CONTENTS – СОДЕРЖАНИЕ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ – POLITICS – ПОЛИТИКА

ᲘᲒᲝᲠ ᲙᲕᲔᲡᲔᲚᲐᲕᲐ

„ხისტი“, „რბილი“ და „ჭკვიანი“ ძალის განზომილებები და
აშშ, რუსეთი, თურქეთი და საქართველო 8

ᲔᲓᲘᲨᲔᲠ ᲒᲕᲔᲜᲔᲢᲐᲫᲔ

ბრძოლა ენერგომატარებლებისათვის „ცივი ომის“ დროინდელი
საერთაშორისო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. 17

АЛЛА БИБИЛАШВИЛИ

НОВЫЙ КАРАБАХ-БОРЬБА ЗА МИР ПОСЛЕ ЗАКЛЮЧЕНИЯ ДОГОВОРА О МИРЕ 23

ᲚᲐᲨᲐ ᲮᲝᲖᲠᲔᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი: წარსული, აწმყო და მომავალი 38

ᲙᲝᲕᲘᲓ ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲐ – COVID PANDAMIC – КОВИД ПАНДЕМИЯ

ᲔᲓᲘᲨᲔᲠ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

კოვიდ პანდემია და აგრარული პოლიტიკის განვითარების
ახალი ტენდენციები აჭარის მაგალითზე. 42

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲙᲚᲘ - THE CYCLE OF LETTERS – ЦИКЛ ПИСЕМ

ᲒᲣᲠᲘ ᲝᲢᲝᲑᲐᲘᲐ

უმცირესობის დიქტატი.
საქართველო დღითი დღე სახელმწიფოს ემსგავსება (წერილი პირველი) 47

ᲒᲣᲠᲘ ᲝᲢᲝᲑᲐᲘᲐ

ჭეშმარიტი და ფსევდო ოლიგარქია (წერილი მეორე). 51

ᲒᲣᲠᲘ ᲝᲢᲝᲑᲐᲘᲐ

ცვლილებები საჭიროა, მაგრამ... (წერილი მესამე) 55

დოქტორანტები – PhD STUDENTS – ДОКТОРАНТЫ

ანა მოდებაძე

ქართულ-თურქული ურთიერთობები და რუსეთის ფაქტორი 59

გიორგი გახარია

ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების მნიშვნელობა 65

ქეთევან მესხიძე

ტექნოლოგიური კონკურენცია „რუხი ზონების“ სამხედრო კონფლიქტებში და მომავლის ომების ხასიათი 73

ია რუსეიშვილი

ერთიანი ევროპა მრავალპოლარულ სამყაროში: ახალი გამოწვევები თუ ახალი შესაძლებლობები? 87

გიგა გუბელაძე

საქართველო, როგორც რეგიონში მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოთამაშე, რაც მისი უსაფრთხოების გარანტს ზრდის 94

ლევან კოპალიანი

დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებების პროცესში არსებული ირლანდიის სასაზღვრო პრობლემის არსის ინსტიტუციური ჭრილი 101

მარიამ ჩაჩუა

ევროინტეგრაციის პროცესები საქართველოში: ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით საკანონმდებლო დაახლოების მიმდინარეობა სანიტარული და ფიტოსანიტარული მიმართულებით და DCFTA-ს ფარგლებში აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ანალიზი. .109

გაიანე მკრტუმიანი

შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია და ამერიკის შეერთებული შტატები. 116

მიხეილ ჩოხელი

გაერთიანებული გერმანიის სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში ყოფნის საკითხისათვის. 124

ლევან კვირკვაია

სამხედრო ალიანსის როლი, სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად 131

მარიკა კენჭოშვილი

რუსეთისა და ჩინეთის რბილი ძალის პოლიტიკა ცენტრალურ აზიაში. 137

ალექსანდრე მამისაშვილი

ერთიანი უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკა გლობალური უსაფრთხოების ახალ არქიტექტურაში. 143

გიორგი გაბიტაშვილი

რუსეთის პოლიტიკა „ახლო საზღვარგარეთის“ ქვეყნების მიმართ. 149

სოფიკო ედიშერაშვილი

გაეროს და ეუთოს როლი საქართველოში მიმდინარე კონფლიქტების მშვიდობიანი ტრანსფორმაციისთვის. 154

ნათია გოგალაძე

სეპარატიზმის ცნება და მნიშვნელობა 163

მარიამ ჩივაძე

ევროკავშირის და ნატოს როლი ჰიბრიდულ ომთან გამკლავების პროცესში 170

მარიამ ბალხამიშვილი

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა რუსეთ-ევროკავშირის ენერგეტიკულ თანამშრომლობაზე 176

ნათელა ხაჩიძე

სირიის კრიზისი - რუსეთ-ამერიკის თანამშრომლობის დილემები და გამოწვევები. 182

ლია შენგელია

ჩინეთის გლობალური პროექტი „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ და სამხრეთ კავკასია 188

რიმა გელენავა

სახალხო დიპლომატია: ისტორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები 196

ანა ნუცუბიძე

ეროვნული უშიშროების ტრანსფორმაცია გლობალიზაციის პირობებში. 205

ნათია მამალაძე

კულტურა და ქართული ეროვნული იდენტობა 211

ნატო ჯიაძე

პატარა ქვეყნების კიბერუსაფრთხოების გამოწვევები 219

სოსო კიკნაძე

საქართველოს დამოუკიდებლობა და საერთაშორისო ორგანიზაციები 226

ხატია ვასაძე

საერთაშორისო აქტორების როლი კვიპროსის კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციაში. . .238

სალომე გიორგაძე

გლობალიზაციის როლი ქართულ ეროვნულ იდენტობაში. 249

მაკა ბენაშვილი
პოლიტიკური პარტიების ფორმირება პოსტ-სოციალისტურ ესტონეთში (1992-2019) 256

ანა ბეჭაშვილი

მასკომუნიკაციის როლი საზოგადოების კულტურულ განვითარებაში 265

მერაბ კილაძე

ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების საკითხი - საქართველო და რუსეთი. 269

ვერიკო ბალუხაშვილი

ევრაზიული კავშირის წინაშე მდგარი გამოწვევები და მისი პერსპექტივები. 275

თეონა ჩარკვიანი

მიგრაციის არსი (თეორიული მიმოხილვა) 285

შალვა ენუქიძე

სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვის გარანტირება და ბალანსი ადამიანის უფლებათა დაცვასთან - შედარებითი ანალიზი საერთაშორისო დაცვის კონტექსტში 292

ანა გეთია

ციფრული სამყარო, ევროკავშირის ციფრული პოლიტიკა, ქართული რეალობა და გამოწვევები. .296

ანა ანდრიაძე

გენდერის საკითხი საერთაშორისო ურთიერთობებში. 304

ნინო კოგახიძე

ტრანსნაციონალური საფრთხები და თანამედროვე სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევები 310

ინა ნაცვალაძე

ევროკავშირის მიგრაციული პოლიტიკის თავისებურებები 320

ნატო თოდუა

სახალხო დიპლომატიისა და სამშვიდობო პოლიტიკის როლი კონფლიქტის მოგვარებაში. 326

იგორ კვესელავა

„ხისტი“, „რბილი“ და „ჭკვიანი“ ძალის განზომილებები და აშშ, რუსეთი, თურქეთი და საქართველო

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში ფართოდ არის გავრცელებული ძალაუფლებისა და გავლენის ზრდის არაძალადობრივი მეთოდები, როდესაც სამიზნე ობიექტის სურვილებისა და განწყობების განსაზღვრა ხდება მისი კეთილგანწყობის მოპოვების და არა იძულების გზით. ამ მეთოდებს მიეკუთვნება „ხისტი ძალა“, „რბილი ძალა“ და „ჭკვიანი ძალა“.

ნაშრომში განხილულია „ხისტი“, „რბილი“ და „ჭკვიანი“ ძალის პირობებში აშშ-ის, რუსეთის, თურქეთისა და საქართველოს პოლიტიკური მიმართულებები.

საკვანძო სიტყვები: *მსოფლიო პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, „ხისტი ძალა“, „რბილი ძალა“, „ჭკვიანი ძალა“.*

საბჭოთა კავშირის „ცივ ომში“ დამარცხების და მისი დაშლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები ლიდერ ქვეყნად იქცა, შესაბამისად, გამარჯვებულად გამოცხადდა ლიბერალური იდეოლოგიაც, რაც აისახა კიდევაც ამერიკელი მოღვაწის ფ. ფუკუიამას სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ შემოქმედებაში.

ცხადია, ერთპოლუსიანი პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური სისტემის არსებობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო მუდმივი ღირებულება და ამერიკის ე.წ. დემოკრატიულ იმპერიულობის საპირწონედ ჩამოყალიბდა მკვდრეთით აღმდგარი რუსეთი, ეკონომიკურად მოძლიერებული ევროპა და ძლიერ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ძალად ჩამოყალიბებული ჩინეთი.

ამავე პერიოდში ამერიკის ხელმძღვანელობის სათავეში მყოფი ჯორჯ ბუშის (უმცროსი) მიერ დაშვებულმა სერიოზულმა შეცდომებმა საერთაშორისო ტერორიზმის აღზევებაც გამოიწვია. ამ და სხვა გარემოებების შეჩერებას ისახავდა მიზნად ამერიკის პოლიტიკურ არენაზე შეერთებული შტატების პირველი, არათეთრკანიანი პრეზიდენტის ბარაკ ობამას საშინაო და საგარეო პოლიტიკური სტრატეგია.

უნდა ითქვას, რომ ჯორჯ ბუშის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო პოლიტიკა მრავალი ამერიკელი და არაამერიკელი პოლიტიკოსის, მეცნიერისა თუ პუბლიცისტის განსჯის საგანია და მის მიმართ მეტწილად კრიტიკული შეხედულებებია გამოთქმული, თუმცა ამავე პერიოდში განვითარება ჰპოვა „რბილი ძალის“ თეორიამ, რომელიც ამერიკელი დიპლომატისა და მეცნიერის ჯ. ნაის სახელს დაუკავშირდა და ფართოდ შემოვიდა როგორც სახალხო ისე ამერიკელი, ბრიტანელი და სხვა პოლიტიკური თუ სახელმწიფო მოღვაწეების მსჯელობაში. ჯ. ნაი ამ და სხვა ნაშრომებში წინ სწევს ამერიკის, როგორც უძლიერესი ერის, არამხოლოდ სამხედრო და ეკონომიკურ ასპექტებს, არამედ საუბრობს მესამე განზომილებაზე „რბილ ძალაზე“, რომელმაც თავისი ადგილი დაიმკვიდრა ამერიკის ცხოვრებაში და ეს, ავტორის აზრით, ჯორჯ ბუშის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და კულტურულ სახელმწიფო სტრატეგიასთან იყო დაკავშირებული [1].

თუმცა ბევრი მკვლევარი მიიჩნევდა, რომ ამერიკა საჭიროებდა რეალური, რაციონალური პოლიტიკის გატარებას და ჯორჯ ბუშის მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას, რომელიც ამერიკას ააცილებდა არასასურველ შედეგებს, განმუხტავდა დაძაბულობას საერთაშორისო ველზე, გააძლიერებდა ქვეყნის ეკონომიკურ მდგმაორეობას და აღადგენდა ამერიკის ავტორიტეტს მსოფლიოს თვალში. სწორედ ამ იმედებით მოვიდა ამერიკის ხელისუფლების სათავეში ახალი პრეზიდენტი ბარაკ ობამა, რომლის საქმიანობის 8-წლიანი მონაკვეთი იყო და არის ამერიკის, ევროპელი, აზიელი თუ სხვა ქვეყნების პოლიტიკოსების, მეცნიერების, მწერლების პუბლიცისტების და სხვების განსჯის საგანი. მათ შორის ქართველი მკვლევარებიც სჩანან და მსჯელობენ ობამას რამდენიმეწლიანი მმართველობის პერიოდში გატარებული პოლიტიკის ცალკეულ ასპექტებზე. ამ თვალსაზ-

რისით გამოსაყოფია მკვლევარი ლევან ნასრაშვილი, რომელიც ქართულ პოლიტიკურ ლიტერატურაში პირველად მეცნიერულ ჭრილში შეეხო ობამას საგარეო პოლიტიკას და დასვა კითხვა: „ჭკვიანი ძალა“ იყო ის თუ იდეალისტური?

ცნობილია, რომ ორპოლუსიანი პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური სისტემის დაპირისპირებაში ამერიკა გამოვიდა გამარჯვებული და, შეიძლება ითქვას, ის ჩამოყალიბდა განსაკუთრებულ ძლიერ ძალად, რომელსაც შეეძლო მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში გაეტარებინა თავისი ინტერესები. თუმცა 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარმა ტერორისტულმა თავდასხმამ, ამერიკის უდიდეს ქალაქზე შეარყია გამარჯვებული ქვეყნისადმი მსოფლიო საზოგადოების რწმენა და წარმოშვა ამერიკის საგარეო პოლიტიკის შეცვლის საჭიროება. 21-ე საუკუნის ამერიკას, მთავარ საფრთხედ, ტერორიზმში დაემუქრა, რამაც განაპირობა კიდევაც ყოვლისმომცველი ბრძოლის დაწყება ტერორიზმის მთავარი კერის ავღანელი თალიბანების წინააღმდეგ, რომელსაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან რეიგანის ადმინისტრაცია მფარველობდა და სამხედრო იარაღითაც ამარაგებდა. ამავდროულად ამერიკის სამიზნედ იქცა სადამ ჰუსეინის რეჟიმი ერაყში, თუმცა მკვლევარების თვალსაზრისით ეს საომარი კამპანია, ყველაზე სისხლიან ომად შეფასდა ვიეტნამის შემდეგ.

ამერიკის მიერ დაწყებული ომები მისი საგარეო პოლიტიკის ასახვა იყო, რომელსაც პარალელურად მოჰყვა ამერიკელების მიერ ორგანიზებული ე.წ. „ფერადი რევოლუციები“, რომელთანაც დაკავშირებული აღმოჩნდა ქართული, ყირგიზული, უკრაინული და ა.შ. „დემოკრატიის მოდელები“.

ჯ. ბუშის პოლიტიკის შეცდომა იყო ბალკანეთში კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის ნეგატიური შედეგები, რომლებმაც კვლავ „გააცოცხლა“ რუსეთის იმპერიული, პოლიტიკური და სამხედრო ამბიციები.

ბარაკ ობამას „ცვლილებები“ აისახა ამერიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. თუ ამერიკა „ცივი ომის“ პერიოდში და მას შემდეგ იყენებდა ორ პოლიტიკურ სტრატეგიას – „უხეშ ძალას“ და „რბილ ძალას“, ანუ ომისა და დიპლომატიის ენით მოქმედებდა, ობამას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მისი საგარეო პოლიტიკური კურსი ცნობილი პოლიტიკოსებისა და მეცნიერების მიერ „ჭკვიან ძალად“ იქნა აღქმული. თუმცა ობამას საპრეზიდენტო ციკლი, ბევრ შემთხვევაში ვილსონისეული იდეალიზმის ნიშან თვისებებით ხასიათდებოდა.

როგორც ცნობილია, პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოიშვა ლიბერალური იდეალიზმის ტრადიცია, რომელიც დაფუძნებული იყო ამერიკის პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის იდეალიზმის მანიფესტად წოდებულ 14 პუნქტზე. იგი მოიცავს პუნქტებს საიდუმლო დიპლომატიის აღკვეთისა და შეთანხმებების ღიად დადების აუცილებლობის შესახებ. ასევე მოიცავდა ყველას თვითგამორკვევის, შეიარაღების შემცირების, ერთა ლიგის – უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნას, რომელიც წინ აღუდგებოდა ძალის გამოყენებას და დაიცავდა მშვიდობას და სხვა პუნქტებს.

ლიბერალური იდეალიზმის მაღალ საფეხურად მოაიზრებოდა, 1928 წელს მიღებული ბრაინკილოგის პაქტი, რომლის მიხედვით სახელმწიფოები უარს აცხადებდნენ საერთაშორისო ასპარეზზე ძალის გამოყენებაზე. სიმართლე, რომ ითქვას აღნიშნული პუნქტები თითქმის შეუსრულებელი დარჩა, ბოლშევიზმის და, შემდეგ, ფაშიზმის აღმოცენებამ და მეორე მსოფლიო ომმა გააქარწყლა ლიბერალური ილუზიები.

ლიბერალიზმის განვითარების თემა კვლავ წამოიწია წინ „ცივი ომის“ დასრულების დროისთვის, როდესაც სოციალიზმის იდეოლოგია დამარცხდა დემოკრატიულ იდეოლოგიასთან ჭიდილში და შეიქმნა ილუზია, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ჩამოყალიბდა სრული იდეალური პროცესები და გამოირიცხებოდა ძალის გამოყენება ამ პერიოდში გამოჩნდა კიდევაც ამერიკელი მეცნიერი ფრენსის ფუკუიამა, რომელიც თავის ცნობილ ნაშრომში „ისტორიის დასასრული“, ცდილობდა ემტკიცებინა, რომ „საბოლოოდ“ და „დამაჯერებლად“ გაიმარჯვა დემოკრატიამ, მმართველობის ფორმამ, რომელსაც საყოველთაო კეთილდღეობა უდა გამოეწვია. „ვამტკიცებ, რომ ლიბერალური დემოკრატია“ კაცობრიობის იდეოლოგიური ევოლუციის უკანასკნელი საფეხური გახდება და ჩამოაყალიბებსჰუმანური ფორმის საბოლოო მთავრობას“ – წერდა ამერიკელი მეცნიერი [2].

ლ. ნასრაშვილის აზრით არსებობს რაღაც მსგავსება „ისტორიის დასასრულის“ და ვილ-

სონის „იდეალიზმის მანიფესტს“ შორის. ვილსონის მტკიცებით ერთა ლიგას შეეძლო მსოფლიოს მშვიდობის დაცვა, ხოლო ფუკუიამა ირწმუნებოდა, რომ ცივი ომის დასრულებით გაიმარჯვა ლიბერალურმა ღირებულებებმა, როგორც ერთადერთმა, შეუცვლელმა იდეოლოგიამ და სწორედ იგი გახდებოდა მშვიდობისა და უსაფთრხოების გარანტი [3].

როგორც ჩანს, გასული საუკუნის 20-იან წლებშიც ცდებოდნენ და საუკუნის დასასრულშიც შეცდა ამერიკელი მეცნიერი, როდესაც, ფაქტობრივად, საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის როლის დაკანონებას წინასწარმეტყველებდა. ამ კონტექსტში საინტერესო ის არის, რომ ბილ კლინტონისა და ჯორჯ ბუშის (უმცროსი) პოლიტიკაზე საბჭოთა კავშირის დანგრევით გამოწვეულმა იდეალიზმა გარკვეული გავლენა მოახდინა. ისინი ამერიკას ერთერთ ლიდერ ქვეყნად წარმოიდგენდნენ, რომელსაც შეეძლო თავისი ინტერესების გატარება მთელ მსოფლიოში.

იდეალიზმის მიმართულებით შესამჩნევი ნაბიჯები გადიოდა ობამას მმართველობის პერიოდში, როდესაც „გადატვირთვის პროცესი“ შემუშავდა რუსეთთან, თუმცა მიიჩნევენ, რომ მუდმივი დათმობები კრემლთან გარკვეულწილად აზიანებდა ამერიკის ინტერესებს, მით უმეტეს, არავითარი შანსი არ არსებობდა იმისა, რომ რუსეთი დათმობების გზით გამხდარიყო საერთაშორისო ურთიერთობების დემოკრატიული აქტორი.

ბ. ობამას იდეალისტური პრინციპების პარალელურად, როგორც სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი აცხადებდა, ვითარდებოდა ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ჯოზეფ ნაის „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგია, რომელმაც ჯერ „რბილი ძალის“ თეორიული კონცეფცია ჩამოაყალიბა, ხოლო შემდეგ „ჭკვიანი ძალის“ ცნება შემოიტანა საერთაშორისო ურთიერთობებში. როგორც ირკვეოდა, იგი იყო „შესაძლებლობა მომხდარიყო „უხეში“ და „რბილი ძალის“ კომბინირებად, გამარჯვების სტრატეგიის მისაღებად [1].

„ჭკვიანი ძალა“ თავის თავში გულისხმობდა დიპლომატიური მექანიზმების აქტიურად გამოყენებას დარწმუნების უნარის, ნდობის აღდგენას და ამ საშუალებებით გავლენის მოპოვებას. „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგია შემუშავდა 2003 წელს, ამერიკის ერაყში შეჭრის შემდეგ.

ნ. ნასრაშვილი მტკიცებით, ეს იყო რეაქცია ჯორჯ ბუშის ნეოკონსერვატიულ საგარეო პოლიტიკაზე და მის ლიბერალურ ალტერნატივას წარმოადგენდა! „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიის შემუშავებას საფუძვლად დაედო თითქმის მთელ მსოფლიოში ჩატარებული კვლევები, რომლის მიხედვითაც ნათელი ხდებოდა, რომ აშშიის იმიჯი შეილახა და ნდობა დაეცა. მაგალითად, 2007 წელს ჩატარებული მსოფლიო საზოგადოების სოციოლოგიური კვლევის შედეგად თხუთმეტი ქვეყნიდან ათი არ ენდობოდა შეერთებულ შტატებს, როგორც საერთაშორისო მშვიდობაზე პასუხისმგებლიან მოთამაშეს. ამავე პერიოდში 25 ქვეყანაში გამოკითხული 26 ათასი ადამიანიდან ნახევარს მიაჩნდა, რომ ამერიკა ნეგატიურ როლს ასრულებდა მსოფლიოში.

კანადის, დიდი ბრიტანეთისა და მექსიკის გაზეთების კვლევების მიხედვით გამოკითხულთა უმრავლესობა ჯორჯ ბუშს საფრთხედ მიიჩნევდა მსოფლიოს მშვიდობისათვის.

მკვლევარების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ასეთ ვითარებაში დღის წესრიგში დადგა ახალი საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობდა შტატების იმიჯის აღდგენას გლობალური მასშტაბით. „ჭკვიანი ძალის“ სტრატაგიის მთავარი შემოქმედი ჯ. ნაი, დარწმუნებული იყო, რომ აშშ-მ დაკარგა ნაციონალური ნდობა და ოპტიმიზმი, საკონსტიტუციო ღირებულებები ეკონომიკური სისტემა და სანდო ლიდერის როლი გლობალური მასშტაბით, მაგრამ ახალი სტრატეგია შეძლებდა ყველა ამ განზომილების დაბრუნებას.

ამ კონტექსტში მკვლევარები გამოყოფდნენ ძალაუფლების ტერმინს, რომელიც ისტორიულად განისაზღვრებოდა კრიტერიუმებით: მოსახლეობა, ტერიტორია, ბუნებრივი რესურსები, ეკონომიკური ძლიერება, სამხედრო ძალა და სოციალური სტაბილურობა.

საყოველთაო „უხეში ძალის“ მასაზრდოებელი, პენტაგონის 650 მილიარდი დოლარით ვერ იქნა მიღწეული სასურველი გავლენა მსოფლიოს ქვეყნებზე. ჯ. ნაი არ იზიარებდა მაკიაველის შეგონებას იმის შესახებ, რომ „სჯობს ეშინოდეთ შენი ვიდრე უყვარდეთ“ და შენიშნავდა, რომ გლობალური ინფორმაციის ერაში ორივე, მათგანი უნდა დაგემსახურებინა.

„რბილი ძალის“ თეორიის ავტორისათვის მისაღები იყო ბრძოლა მშვიდობის მიღწევისათვის, მაგრამ მიუღებელი იყო ადამიანები აეძულებინათ დემოკრატიულები გამხდარიყვნენ, არამედ მთავარ საკითხად იდგა ამ იდეო-

ლოგიით მოხიბვლის ამოცანა. ჯ. ნაი ირწმუნებოდა, რომ ამერიკას გააჩნდა „რბილი ძალის“ კულტურული რესურსი და შეეძლო ადამიანების მოხიბვლა ამერიკული ოცნებებით, ღონისძიებებით, სასამართლო და პოლიტიკური სისტემით და ა.შ. [1].

ცხადია, ჯ. ნაი არ უარყოფდა „რბილი ძალის“ გარშემო შექმნილ პრობლემებსაც და ამერიკისთვის უნივერსალურ სტრატეგიად მიიჩნევდა „ჭკვიანი ძალის“ პოლიტიკას, რომლებიც არც უხეში იყო, არც რბილი და წარმოადგენდა უხეში და რბილი ძალის კომბინაციას, რომლისათვის აუცილებელი იყო ძლიერი სამხედრო ძალა, მაგრამ ასევე ძლიერი ალიანსები, პარტნიორობა და მაღალი დონის ინსტიტუციები, რომელთაც შეეძლებოდათ ლეგიტიმურობის მინიჭება ამერიკის ქმედებებისათვის.

შეერთებული შტატები „ცივი ომის“ პერიოდში იყენებდა „უხეშ ძალას“, ხოლო ევროპისა და იაპონიის აღდგენისას, „მარშალის“ გეგმით დასაბამი მიეცა „რბილ ძალას“, მაგრამ თანამედროვე ვითარებაში და, განსაკუთრებით, ახლო აღმოსავლეთის პრობლემების გადაწყვეტისას შემუშავდა ახალი სტრატეგია, რომელიც დაეფუძნა ჯ. ბუშის ადმინისტრაციის კრიტიკას და რომელმაც, მრავალი მეცნიერის მტკიცებით, შელახა მსოფლიო ლიდერის იმიჯი. ამიტომ ახალი ადმინისტრაციის მოსვლის წინ ჯ. ნაის და სხვა მეცნიერების მიერ ამერიკისათვის შემუშავდა სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავდა ამერიკის გავლენის გაძლიერებას არა სიძულვილის, არამედ იმედისა და ოპტიმიზმის ექსპორტის მეშვეობით.

ვერ ვიტყვით, რომ ამერიკის ადმინისტრაციის მიერ წლების განმავლობაში არ გამოიყენებოდა როგორც „უხეში“, ისე „რბილი ძალა“ და ამ გზამ ამერიკას გარკვეული წარმატებები მოუტანა, მაგრამ საბჭოთა კავშირის სრულმა დანგრევამ, ორპოლუსიანი პოლიტიკური და იდეოლოგიური სისტემის გაქრობამ და მსოფლიოს საფრთხეების ამერიკის ცაზე გამოჩენამ წინ წამოსწია ამერიკის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ორი ხედვის – იდეალიზმისა და „ჭკვიანი ძალის“ თეორიული თუ პრაქტიკული განხორციელების თემა.

ამ კონტექსტში გასააზრებელია თემა „ცივი ომის“ ანუ უფრო ზუსტად მისი დასასრულის შესახებ. მსოფლიოს პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ სივრცეში ბევრი პოლიტიკოსი თუ მეცნიერი ირწმუნებოდა „ცივი ომის“ პროცესის დასრულების შესახებ,მითუმეტეს მათი აზრით კომუნისტური სამყაროს დასასრული მოასწავებდა და „ცივი ომის“ დამთავრებას ანუ საბჭოთა კავშირის და ამერიკის პოლიტიკური და სამხედრო „დუელის“ დასრულებას. პოლიტიკოსთა და მეცნიერთა მცირე ნაწილი იმასაც უსვამდა ხაზს, რომ პოლიტიკურად და ეკონომიკურად დმარცხებული რუსეთი დასავლური ფასეულობებისათვის იღებდა გეზს, რომლისთვისაც ამერიკას უნდა გაეწია მფარველობა.

ცხადია, გასაზიარებელია მოსაზრება იმის შესახებაც, რომ ეს იყო ილუზია, რუსეთში გაძლიერებას იწყებდა ნოსტალგიურობა საბჭოთა, თუ საერთო იმპერიულობაზე, ლღვებოდა რევანშიზმის შეპყრობილი დამარცხებული ერის კომპლექსი, რომლის მაგალითი იყო პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გერმანია.

შეიძლება ითქვას, რომ შემდგომმა განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ „ცივი ომი“ კი არ დასრულდა, არამედ დროებით მინელდა, რომ შემდეგ მთელი ძალით ეჩინა თავი მსოფლიო სივრცეში. ამის დამადასტურებელი იყო ჩეჩნეთის ეროვნული გამანთავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელის, საბჭოთა კავშირის ყოფილი გენერლის ჯოჰარ დუდაევის მიმართ რუსეთის სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტი, საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული ომი, აღმოსაავლეთ უკრაინის რუსულ სივრცეში შეყვანის სამხედრო ოპერაციები, ყირიმის დაბრუნება და ა.შ.

ყოველივე ამას წინ უსწრებდა ამერიკასა და რუსეთს შორის ურთიერთობების დალაგების მცდელობა, რაც ამერიკა-რუსეთის ე.წ. „გადატვირთვის“ პოლიტიკის დაფიქსირებით არის ცნობილი პოლიტიკურ სივრცეში. ამერიკის პრეზიდენტის ობამას მიერ რუსეთის მიმართ პოლიტიკის შერბილებას, საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის სამართლიან მოთამაშედ აღიარების მცდელობას ამტკიცებდა რუსეთ-ამერიკის 2010 წლის აპრილის პრაღის ხელშეკრულება, რუსეთის უშუალო პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევით განხორციელებული უკრაინის „ნარინჯისფერი“ და ყირგიზეთის „ტიტების“ რევოლუციები.

როგორც ჩანს, რუსეთმა შესძლო ამერიკული „ფერადოვანი რევოლუციების“ მონაპოვრების ჩიხში მოქცევა, ანუ არასასურველი მთავრობების ხელისუფლებიდან მოცილება, იგივე ამერიკის მიერ დამკვიდრებული – მშვიდობიანი გზით. ამერიკის მიერ აპრობირებული მე-

თოდით, ანუ ე.წ. დემოკრატიის ექსპორტი ვერ ერგებოდა ყველა ქვეყნის ინტერესებს და თავისებურებებს და, შესაბამისად, ნეგატიური შედეგებს იწვევდა. ამის დამადასტურებელი მსჯელობის მაგალითად მკვლევარ ლ. ნასრაშვილს მოაქვს ოტავას უნივერსიტეტის მეცნიერის პოლ რობინსონის სტატიიდან „ფერადი რევოლუციებით“ დაბრმავებულები“, ამონარიდი: „ჩვენ ენთუზიაზმით ვიპოვეთ სხვები ვინც თითქოს ჩვენს მიზნებს იზიარებენ, საკუთარ თავს ვარწმუნებთ, რომ ნებისმიერი ვინც ჩვენ არ მოგვწონს არალეგიტიმურია, რომ ჩვენი მტერი ჩვენი მეგობარია და ნებისმიერი ვინც დემოკრატიაზე სუბრობს – დემოკრატია. შედეგად ჩვენი და ჩვენი სავარაუდო მოკავშირეების ინტერესები ზარალდება... უკრაინული არჩევნების შედეგი ჩვენ იმის შანსს გვაძლევს,რომ ყალბი წარმოდგენები გვერდზე გადავდოთ, ვაღიაროთ, რომ მსოფლიო გაცილებით ნიუანსურია, ვიდრე ამას ჩვენ ვაღიარებთ და უარი ვთქვათ იმ ქედმაღლურ წარმოდგენაზე, რომ ჩვენ განვსაზღვრავთ ისტორიის მიმდინარეობას. საკუთარი ქვეყნის რევოლუციურის წარმომავლობის გათვალისწინებით, ამერიკელები ფერად რევოლუციებზე არსებული მითისგან უნდა განთავისუფლდნენ“ [3].

ცნობილია, რომ ამერიკა მეორე მსოფლიო ომის და, განსაკუთრებით, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ აქტიურად შეეცადა მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მხარი დაეჭირა ე.წ. დემოკრატიული ძალებისათვის, მაგრამ სინამდვილეში ისინი დემოკრატიულობისაგან ძალიან შორს იდგნენ.

ობამას პრაგმატიზმი იმაში მდგომარეობდა, რომ არ გაიზიარა ყოფილი ადმინისტრაციის სტრატეგია დაუსრულებელი დემოკრატიული ექსპერიმენტებით გაევრცელებინა დემოკრატია. გასაზიარებელია ლ. ნასრაშვილის მოსაზრება, რომ ცალკეული ქვეყნები არ არიან სანდო პარტნიორები და ამის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს ხელისუფლების ქმედებები, როდესაც 2008 წელს რუსეთთან ომის პროვოცირება მოახდინა, რამაც საფრთხე შეუქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებს, რადგან სწორედ მისგან მხარდაჭერილმა რეჟიმმა, რომელსაც აიარაღებდა დაიწყო ომი [3].

ასეთ შემთხვევაში ობამა შეეცადა გავლენა მოეპოვებინა არა ხელოვნურად შექმნილ დემოკრატიულ რეჟიმზე, არამედ ერთგულ მთავრობებზე, რომელიც მოსახლეობამ აირჩია.

მკვლევარებს ამის დამადასტურებლად მიაჩნიათ 2009 წლის ივლისში, კაიროს უნივერსიტეტში გამოსვლისას ნათქვამი შემდეგი სიტყვები: „ამერიკა პატივს სცემს უფლებას, რომ მსოფლიოში ისმოდეს მშვიდობიანი და კანონიერი ხმა, თუნდაც მათ არ ვეთანხმებოდეთ, ჩვენ მივესალმებით ყველა არჩეულ მშვიდობიან მთავრობას, რომელიც თავისი ხალხის პატივისცემით მართავს.

ამ კონტექსტში მკვლევარები ერთმანეთს ადარებენ კლინტონისა და ბუშის და ობამას სტრატეგიას და ფიქრობენ, რომ ობამა მოქმედებდა „ჭკვიანი ძალის“ განზომილებით, არ ადგა დემოკრატიის თავზე მოხვევის პოლიტიკას, განსხვავებით დასახელებული პრეზიდენტებისაგან, რომელთა იდეალიზმი მდგომარეობდა დემოკრატიის გავრცელებას ყოველგვარი „ბუნებრივი საზღვრების“ გარეშე.

„რბილი“ და „უხეში ძალის“ თვალსაწიერში, მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატების და მუსულმანური სამყაროს დამოკიდებულების საკითხი. მართებულად უნდა მივიჩნიოთ სამუელ ჰანთინგთონის წიგნში „ცივილიზაციათა შეჯახება“ გამოთქმული მოსაზრება, რომ დასავლურ ქრისტიანულ და აღმოსავლურ მუსულმანურ სამყაროს შორის უთანხმოებას ხანგრძლივი ისტორიული ფესვები აქვს და იგი არ არის დამოკიდებული კონკრეტულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე თუ ქმედებებზე, მაგრამ უდავოთ ამ უთანხმოებების შენელება თუ დაჩქარება დაკავშირებული იყო არის და იქნება ცალკეული სახელმწიფოების პოლიტიკურ ლიდერებთან.

სწორედ, ამერიკული პოლიტიკის შედეგად უნდა მივიჩნიოთ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი, რომლითაც დაიწყო მწვავე დაპირისპირების პერიოდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, კერძოდ, მუსულმანური სამყაროს დიდ ნაწილს და ამერიკასა და მას მიმხრობილ ქვეყნებს შორის. შეიძლება ითქვას, რომ ე.წ. „ცივი ომს“ ჩაენაცვლა „ცხელი ტერორიზმი“, რომელსაც სათავე დაუდო ავღანეთში,ერაყში დასხვა მუსულმნური ქვეყნების წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განხორციელებულმა ომებმა, რომელიც ჯ. ბუშის ადმინისტრაციამ წამოიწყო და მეტ-ნაკლები სიმწვავით გააგრძელა ობამას ადმინისტრაციამ.

ობამას პრეზიდენტობის პერიოდში გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები მუსულმანური სამყაროს ერთ-ერთი ძლიერ ქვეყანასთან ირან-

თან უთანხმოების მოსაწესრიგებლად, მაგრამ საბოლოოდ, ბირთვული პროგრამის შეჩერების და, განსაკუთრებით, ირანის ხელისუფლების მიერ, ქვეყნის შიგნით არჩევნებთან დაკავშირებული საპროტესტო აქციის დარბევის გამო, რომელსაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა, ამერიკის პრეზიდენტმა დაგმო ირანის ხელისუფლების „უსამართლობა და სისასტიკე“, რასაც კვლავ მოჰყვა გართულებები ორ ქვეყანას შორის. ირანი მიიჩნევდა, რომ ბირთვული იარაღის ქონის უფლება ყველა სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა, ხოლო ირანს იგი სჭირდებობა მშვიდობიანი მიზნებისათვის.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, გაეროს მეშვეობით შესძლო სხვადასხვა სანქციები დაეწესებინა ირანისათვის, სწორედ ირანული საფრთხის წინააღმდეგ საერთაშორისო საზოგადოების გაერთიანება მიჩნეულია ობამას ადმინისტრაციის მხრიდან „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიის გამოვლინებად – ანუ პარტნიორობა და ალიანსები ამერიკის მიზნების სამსახურში.

ამერიკის ადმინისტრაციას თანდათანობით უარესდებოდა ურთიერთობები, მუსულმანური სამყაროს ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოსთან – თურქეთთან. უკანასკნელ წლებში მათი ინტერესები ბევრ რამეში არ დაემთხვა ერთმანეთს, უდავოა, რომ ვერ დალაგდა ევროპულ-თურქული ურთიერთობებიც, მით უმეტეს ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა მხარი არ დაუჭირეს თურქეთის დიდი ხნის ძალისხმევას – ევროკავაშირში გაერთიანებას. ასეთ ვითარებაში წინ ვერ წავიდა დასავლეთთან თურქეთის სრულფასოვანი, ინტეგრაციის პროცესი. მით უმეტეს, მუსულმანურ სამყაროში, დასავლეთის მოკავშირის სტატუსი საკმარისი არ აღმოჩნდა, აფრიკისა და ევრაზიის რეგიონში, წამყვანი როლის პრეტენზიის მქონე თურქეთისათვის, რომლის საგარეო პოლიტიკა მკვლევარების დაკვირვებით სამი მიმართულებას მოიცავდა:

1. „ნულოვანი პრობლემები“და მჭიდრო ურთიერთობები მეზობლებთან;
2. აქტიური და მრავალმხრივი პოლიტიკის წარმოება რეგიონში;
3. ოტომანების იმპერიის მემკვიდრეობის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად დასახვა.

ცხადია, ის თურქეთის მძლავრ რეგიონულ და გლობალურ სახელმწიფოდ გადაქცევას ისახავდა მიზნად, რაც არ შედიოდა ამერიკის პოლიტიკურ ინტერესებში, რის შესახებაც ხშირად კეთდებოდა განცხადებები ამერიკის უმაღლესი სახელმწიფო მოხელეების მიერ. მაგალითად, ამერიკის თავდაცვის მდივანი ლაპარაკობდა თურქეთის აღმოსავლეთისაკენ გადახრაზე და ანკარის საგარეო პოლიტიკაში ისლამურ ფესვებზე აკეთებდა აქცენტს – ცხადია, ადვილი გადასაწყვეტი არ ჩანდა ამერიკისა და თურქეთის ურთიერთობებში წარმოშობილი „განხეთქილების ვაშლების“ – ისრაელის, ირანის ბირთვული პროგრამის და სომხების გენოციდის საკითხების უკომპრომისო გადაწყვეტა. მით უმეტეს, 2010 წლის მაისში თურქეთის დროშის ქვეშ მცურავ გემზე ისრაელის მსხვერპლიანმა იერიშმა, ამერიკაში ვიზიტად მყოფ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ასეთი სიტყვები ათქმევინა: „ფსიქოლოგიურად, ისრაელის თავდასხმა თურქეთისთვის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის მსგავსია. ჩვენ არ გავჩუმდებით. თურქეთი არ არის კმაყოფილი ამერიკის ქმედებებით“.

სხვა მხრივ თურქეთის დამოკიდებულება ირანულ გაზზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თურქეთის აღმოსავლერ პოზიციაზე, რაც დასტურდება თურქეთის უპირობო ლიდერის ერდოღანის განცხადებით „დიპლომატიას, დიპლომატიას და მხოლოდ დიპლომატიას შეუძლია ირანული პრობლემის მოგვარება“. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში გამოუსადეგარია „უხეში ძალის“ სტრატეგია და გზა იძლევა „რბილი და ჭკვიანი ძალას“.

როდესაც ანალიზდება ამერიკის აღმოსავლური პოლიტიკა, მასთან თანხვედრაშია გასაცნობიერებელი შტატების ინტერესებიდან კავკასიაში, რომელიც გასული საუკუნის პირველ ოცწლეულში დაიწყო და დაღმავლობისა და აღმავლობის პერიოდები გაიარა. საბჭოურ ეპოქაში ცნობილი მიზეზების გამო, მინელებული ინტერესების გააქტიურება პოსტსაბჭოურ ხანაში დაიწყო და ამერიკა რეგიონის ქვეყნებზე გავლენის მოხდენას შეეცადა. სიმართლე რომ ითქვას ამერიკა-აზერბაიჯანის ურთიერთობები, ამ მხრივ, არ გაუმჯობესებულა, რომლის ერთ-ერთი მიზეზი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის პრობლემის გადაწყვეტის. ამერიკული მიდგომის მიუღებლობა იყო. ამერიკაში არსებული ძლიერი სომხური ლობი ძლიერი გავლენით სარგებლობდა ამერიკის ოფიციალურ წრეებში, რაც აზერბაიჯანის სერიოზულ გაღიზიანებას იწვევდა, რასაც არც მალავდნენ აზერბაიჯანის ოფიციალური პირები და პირადად

პრეზიდენტი ილჰამ ალიევი. ჩვენი აზრით, ამერიკა-აზერბაიჯანის ურთიერთობის მოუგვარებლობის მთავარი ფაქტორი აზერბაიჯანის დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება იყო, მითუმეტეს აზერბაიჯანისათვის მიუღებელი ხდებოდა ამერიკის მიერ აზერბაიჯანის 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დაკვირვებისა და წინასაარჩევნო მზადებისათვის 3 მილიონი დოლარის გამოყოფა ჯორჯ ბუშის მიერ, თავისუფლების დაცვის მიმართულებით გამოთქმული კრიტიკა გაეროს უშიშროების საბჭოში, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტებთან დაკავშირებით, აზერბაიჯანის პროექტისათვის მხარდაუჭერლობა, 2009 წელს კონგრესის მიერ მთიანი ყარაბაღის მთავრობისათვის ჰუმანიტარული დახმარების სახით 8 მილიონი დოლარის გამოყოფა, ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტის მიერ სომხეთის გენოციდის აღიარების რეზოლუციის მიღება. სომეხთა გენოციდის აღიარება ამერიკის 42 შტატის მიერ ოფიციალური ფაქტი იყო. თავის მხრივ, ობამაც საარჩევნო კამპანიის დროს გენოციდის ცნობის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი იყო. საერთოდ, სომხების გენოციდი მსოფლიოში 22 ქვეყანას აქვს აღიარებული, მაგრამ ამერიკის მიერ ამ მიმართულებით დაფიქსირებულმა მიდგომამ, ამერიკას თურქეთის, როგორც პარტნიორის, დაკარგვის საფრთხე შეუქმნა. ცხადია, ყოველივე ეს საფრთხეს უქმნიდა თურქეთში მცხოვრებ 170 ათას სომეხს, რომელთაგან მხოლოდ 70 ათასი იყო თურქეთის მოქალაქე და რომელთა უმრავლესობას, 1988 წელს სომხეთში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ გადასახლებულები შეადგენდნენ.

სომეხთა გენოციდის საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდია ამერიკა-თურქეთის, ამერიკა-აზერბაიჯანისა და თვით ამერიკა-სომხეთის პოლიტიკურ ურთიერთობებში. 1915-1923 წლებში თურქების მიერ თითქმის 1,5 მილიონი სომეხის მკვლელობას სხვადასხვა შეფასებები ეძლევა, და თუ სომხები მას მიიჩნევენ „მე-20 საუკუნის პირველი გენოციდად“, თურქები თვლიან, რომ სომხები პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გამეფებული პოლიტიკური ქაოსის მსხვერპლი გახდნენ, და არა თურქეთის აგრესიისა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ამერიკის ადმინისტრაციის და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს დაეჯახა. თუმცა მოგვიანებით, ვაშინგტონისა და მოსკოვის „გადატვირთვის“ ჩარჩოში მოქცეულმა საქართველომ 1991-1993 წლების ომის შედეგად, რომელიც დიდ ხელისშემშლელ ფაქტორად არ ქცეულა ორ უდიდეს სახელმწიფოს შორის. ისევე, როგორც 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა არ მოახდინა არსებითი გავლენა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებზე.

ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მიერ როყიოდ წარმოთქმული სიტყვები „დემოკრატიის შუქურად“ წოდებული საქართველოს შესახებ მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ ცას გამოეკერა, ხოლო ჯ. ბუშმა, 2008 წლის აგვისტოში, თავს უფლება მისცა დაეშვა რუსების სამხედრო ნაწილების შემოსვლა თბილისშიც. ერთი მხრივ, რუსეთი „უხეში ძალით“ წყვეტდა საქართველოს ტერიტორიული დაშლის პრობლემას, ხოლო, მეორე მხრივ, ამერიკა კვლავ რუსეთის „უხეში ძალის“ ინსპირირებით ცდილობდა საპრეზიდენტო არჩევნებში მოსახლეობის ნდობის მოპოვებას.

მოგვიანებით, უკვე ობამას პრეზიდენტობის პერიოდში საქართველოსთან მიმართებაში უფრო „რბილი ძალას“ მიენიჭა უპირატესობა, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოში განვითარებადი სტატუსის შესაფერისი დემოკრატიის განვითარებას და შესაბამის დამოკიდებულებას ქვეყნის განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სხვა სფეროების მიმართ.

ამასთან ერთად არ იყო მოსალოდნელი ამერიკის მიერ საქართველოს „მიტოვება“: მით უმეტეს, გარკვეულ წრეებში მიიჩნევდნენ, რომ მნიშვნელოვანი იყო საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, რომლის ჩარჩოში ექცეოდა ევროპისათვის სასიცოცხლო ენერგორესურსების გამტარობის თემა, თუმცა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები საკმარისი აღმოჩნდა საქართველოს არასტაბილურობის დასამტკიცებლად და მრავალმილიარდიანი, ცნობილი „ნაბუქოს“ პროექტის შესაჩერებლად.

საერთოდ, უნდა ითქვა, რომ საქართველოს მიერ სხვა ქვეყნებთან პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა ურთიერთობების საკითხი და ამ მიმართულებებით ქვეყნის ხელისუფლების „მოძრაობები“ ირანთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან და სხვა ქვეყნებთან, საქართველოს „მფარველი“ ქვეყნის ამერიკის გარეშე არ წესრიგდებოდა მით უმეტეს, საქართველო, თეორიულად ბევრი ქვეყნის, დიდი თუ მცირე დაინტერესების საგანი

იყო. მაგრამ ქვეყნის ხელისუფლების მიერ დიდი ხნის წინ იყო დეკლარირებული პრინციპი, რომ საქართველოს უპირველესი სტრატეგიული პარტნიორი ამერიკაა და მას ყოველთვის ექნება კითხვები საქართველოს მიერ გასატარებელი პოლიტიკის შესახებ.

საინტერესო უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი შეეცადა იმის დემონსტრირება მოეხდინა, რომ ამერიკის სტრატეგიული მხარდაუჭერლობის შემთხვევაში საქართველო იძულებული გახდებოდა სხვა გზები ეძებნა. ასეთი პოლიტიკური თამაში დამახასიათებელი იყო ე. შევარდნაძისათვისაც, რომელიც რუსეთს ამერიკით აშინებდა და ამერიკას – რუსეთით და ამით ცდილობდა ძალაუფლება შეენარჩუნებინა.

ე. შევარდნაძის მსგავსად მოქმედი მ. სააკაშვილის პოლიტიკური მანევრები, ამჟამად უკვე თურქეთის, ირანისა თუ აზერბაიჯანის ჩარჩოში ეფექტური არ გამოდგა, როგორც იმ პერიოდში მიუთითიებდნენ.

მ. სააკაშვილი მისი მთავრობის იმიჯის აღსადგენად სწირავდა საქართველოს ეროვნულ, სასიცოცხლო ინტერესს. ამერიკასთან ურთიერთობა საქართველოსთვის სწორედ სასიცოცხლო ინტერესი იყო და ვაშინგტონის ინტერესების სფეროში თანხვედრა ხელისუფლებას არა შანტაჟით, არამედ რაციონალური პოლიტიკის გატარებით უნდა ეცადა.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ამერიკის ხელისუფლებამ შეიმუშავა ტერორისტების და ამერიკის მტრების დასჯის კონცეფცია, რომელიც პრეზიდენტ ბუშის და რესპუბლიკური პარტიის სახელს დაუკავშირდა.

ამერიკამ დაასახელა „ბოროტების ღერძის“ წარმოქმნის ინიციატორი, სამი ავტორიტარული ქვეყანა – ირანი, ერაყი და ჩრდილოეთ კორეა. ამერიკის მიერ ერაყის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აქციის შემდეგ როგორც ამერიკულ, ისე სხვა ქვეყნებში გამოქვეყნდა დოკუმენტები, რომლებიც ცხადყოფდნენ, რომ ერაყის პრეზიდენტის, სადამ ჰუსეინის რეჟიმს მონაწილეობა არ მიუღია ტერორისტულ ოპერაციებში. ამავდროულად ამერიკის სამხედრო ნაწილებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ ერაყისა და ავღანეთის ტერიტორიებზე. ბუშის ადმინისტრაციას გაურთულდა ურთიერთობები ირანთან, რუსეთთან, ჩინეთთან და ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოსთან.

ბუშის მმართველობის მიერ შემუშავებული სტრატეგია ე.წ. „მტერი სახელმწიფოების“ მიმართ მეტ-ნაკლებად გაგრძელდა ბ. ობამას პრეზიდენტობის ხანაშიც. შესაბამისად, ფუნქციონირება გააგრძელა „უხეში ძალის“ და „რბილი ძალის“ შეთანწყობილმა ტაქტიკამ ამერიკული გავლენისა და დემოკრატიის გასავრცელებლად მსოფლიოს ქვეყნებში. უდავოა, შეუძლებელია ბ. ობამას განეხორციელებინა მოსახლეობისათვის მიცემული ყველა დაპირება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა მიმართულებებით, მაგრამ ამერიკის ახალი პრეზიდენტის კურსი განსხვავებული იყო მსოფლიო წესრიგის თეორიულად თუ პრაქტიკულად განსაზღვრაში და მისი რეალისტური პოლიტიკა არ იყო მიმართული ერთპოლუსიანი მსოფლიოს იდეაზე და ითვალისწინებდა მსოფლიოში რამდენიმე პოლიტიკური ცენტრის არსებობას. ამავე პერიოდში წინ იქნა წამოწეული „ჭკვიანი ძალის“ სტგატეგია, რომელიც გულისხმობდა ურთიერთობების დალაგებას რუსეთთან, ჩინეთთან და ევროპასთან.

აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში მიმდინარეობდა დათმობებისა თუ არდათმობების სერიული პროცესები. თუმცა, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, ბ. ობამას პრეზიდენტობის 8-წლიან ციკლში ამერიკისგან განდგომის მაგალითები უფრო ბევრი იყო, ვიდრე ერთიანობისა და თანხმობის (რუსეთი, თურქეთი, ბრაზილია, ევროპა).

საინტერესოა ის დაკვირვება, რომ ამერიკის ურთიერთობები ვერ განმტკიცდა საქართველოსთანაც, ქვეყნის ხელისუფლების გაუაზრებელი ქმედებების გამო ამერიკის „მფარველობითმა პოლიტიკამ“ საქართველოს მიმართ მეტ-ნაკლებად „ფორმალური“ ხასიათი მიიღო. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ „საქართველოს საკითხს“ მსოფლიო სივრცეში ევროპული სახელმწიფოები უფრო ააქტიურებდნენ, ვიდრე ამერიკელები. თავის მხრივ, საქართველოს საზოგადოებაში ნელ-ნელა დაიწყო მინელება ამერიკულმა იდეებმა და აქტიურად დაიწყო ევროპულ-ქართული ურთიერთობების განმტკიცების პროცესი, რაც ნათლად აისახა ქვეყნის მთავრობების მეთაურების – ჯერ ბ. ივანიშვილის, ხოლო შემდეგ ი. ღარიბაშვილის მიზნებში, ამოცანებსა და პრაქტიკულ შედეგებში.

IGOR KVESELAVA

„HARD“, „SOFT“ AND „SMART“ POWER DIMENSIONS AND USA, RUSSIA, TURKEY AND GEORGIA

Summary

In modern international politics, non-violent methods of increasing power and influence are widespread, when the desires and moods of the target object are determined by gaining its favor, not coercion. These methods include 'hard power', 'soft power' and 'smart power'.

The paper discusses the political directions of the USA, Russia, Turkey and Georgia under the conditions of „hard“, „soft“ and „smart“ power.

Keywords: *world politics, international relations, "hard power", "soft power", "smart power".*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Joseph Nye, Soft Power: The Means to Success in World Politics (New York: Public Affairs, 2004).
2. ფუკუიამა ფ., „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“, 1992.
3. ნასრაშვილი ლ., „ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკა („ჭკვიანი ძალა“, თუ იდეალიზმი“, 18 th June 2010. 21.01.2016.

ედიშერ გვენეტაძე

ბრძოლა ენერგომატარებლებისათვის „ცივი ომის“ დროინდელი საერთაშორისო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი

სტატიაში გაშუქებული ის როლი, რომელიც რეიგანმა და შეერთებულმა შტატებმა ითამაშეს საბჭოთა კავშირის დაშლაში. აშშ ეწეოდა მიზანმიმართულ ქმედებებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამის დასტურია ის, რომ 1982 წლის იანვარში პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა დაამტკიცა ცსს-ს გეგმა „საბჭოთა კავშირის ეკონომიკის საბოტაჟის შესახებ ტექნოლოგიის ფარული გადაცემის გზით”, რომელიც შეიცავდა იმ ტექნოლოგიების ფარულ გაუმართაობას, მათ შორის პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელმაც მოგვიანებით გამოიწვია ციმბირის ბუნებრივი გაზსადენზე დიდი აფეთქება. საბჭოთა გაზის მიწოდების, მისი მყარი ვალუტით დასავლეთიდან შემოსავალის და შიდა საბჭოთა ეკონომიკის შეფერხების მიზნით უნდა მომხდარიყო მილსადენის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ტუმბოების, ტურბინების და სარქველების გაშვებას უნდა მოეწყო. იგი დაპროგრამებული იყო ისე, რომ გარკვეული ინტერვალის შემდეგ გაფუჭებულიყო. გადატვირთულიყო ტუმბოს სიჩქარე. სარქველების პარამეტრები. აფეთქება 1982 წლის ზაფხულში მოხდა. მისი შედეგი იყო ყველაზე მონუმენტური არაბირთვული აფეთქება და ცეცხლი, რაც კი ოდესმე კოსმოსიდან ჩანდა.

საკვანძო სიტყვები: *გაზსადენი, საბჭოთა კავშირი, აშშ, ციმბირი, კოსმოსი, აფეთქება, მ. გორბაჩოვი, რ. რეიგანი.*

როლი, რომელიც რონალდ რეიგანმა და შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირის დაშლაში ითამაშეს ჯერ კიდევ მწვავე დებატების საგანია. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ აშშ-ის პოლიტიკა იყო მთავარი ფაქტორი - რეიგანის სამხედრო გაძლიერება; სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა, რეიგანის მიერ შემოთავაზებული სარაკეტო თავდაცვის სისტემა; საბჭოთა კავშირთან დაპირისპირება რეგიონულ კონფლიქტებში; და სწრაფი მიღწევები აშშ-ის მაღალ ტექნოლოგიებში. სხვები ამბობენ, რომ შიდა საბჭოთა ფაქტორები უფრო მნიშვნელოვანი იყო, მათ შორის, ეკონომიკური ვარდნა და პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის „საჯაროობისა“ და „გარდაქმნის“ გაუაზრებელი, ნაჩქარევი რევოლუციური პოლიტიკა.

აშშ ეწეოდა მიზანმიმართულ ქმედებებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამის დასტურია ის, რომ 1982 წლის იანვარში პრეზიდენტმა რ. რეიგანმა დაამტკიცა ცსს-ს გეგმა „საბჭოთა კავშირის ეკონომიკის საბოტაჟის შესახებ ტექნოლოგიის ფარული გადაცემის გზით“, რომელიც შეიცავდა იმ ტექნოლოგიების ფარულ გაუმართაობას, მათ შორის პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელმაც მოგვიანებით გამოიწვია ციმბირის ბუნებრივი გაზსადენზე დიდი აფეთქება - ამას წერს თომას რიდი, რომელიც 1982 წლის იანვრიდან 1983 წლის მაისამდე მუშაობდა აშშ ეროვნული უიშროების საბჭოში და შემდეგ იყო საჰაერო ძალების მდივანი.

თ. რიდის აზრით, მილსადენის აფეთქება მხოლოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ცივი თვალით დანახული ეკონომიკური ომის“ მაგალითი იყო, რომელიც ცსს-მ აწარმოა „ცივი ომის“ ბოლო წლებში უილიამ ჯ. კეისის ხელმძღვანელობით [1].

ყველაზე დიდი საბჭოთა ეკონომიკური საწარმო პროექტი იყო „Уренгой-6“. ის უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის ყველაზე სერიოზული ობიექტი. აშშ-ის მაღალჩინოსნების კეისსა და უაინბერგერს ამ პროექტში ჰქონდათ თავიანთი ნიშნულები. ეს უნდა ყოფილიყო 5500-კილომეტრიანი მიწისქვეშა გაზსადენის მშენებლობა ჩრდილოეთ ციმბირის მხარეში, ურეგოიდან საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკის საზღვრამდე. იქ ის უნდა დაკავშირებოდა დასავლეთ ევროპული გაზის სისტემას, რომელიც მიდიოდა საფრანგეთში, იტალიასა და დასავლეთ გერმანიაში. თავდაპირველი პროექტის მიხედვით, მილსადენს ორი თემა ჰქონდა:

1. პროექტს ამ ქვეყნებისთვის უნდა მოეტანა 32 მლრდ დოლარის შემოსავალი და, ამდენად, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა;

2. გაზსადენი მთავარი ეკონომიკური საკითხი იყო მოსკოვისთვის.

ძნელია გადაჭარბებით შეგვგვეფასებინა მისი ღირებულება - ამბობდა მოგვიანებით კრემლის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი. ამერიკელთა შეფასებით საბჭოელებისათვის ეს გაზსადენი იყო მეწველი ძროხა.

კრემლს, არ ჰქონდა საშუალება და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა, რომ აეშენებინა მაგისტრალი, ამიტომაც 1979 წელს დასავლეთს სთხოვა დახმარება. დასავლეთ ევროპამ, რომელიც დაინტერესებული იყო არა მხოლოდ ცენტრალური აზიიდან გაზის მიწოდებით, დაიწყო მოსკოვთან მოლაპარაკებები. ამ უკანასკნელმა მას 25 წლით გარანტირებული გაზის საფასური შესთავაზა. კრემლის ოცნებები ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რეალობას მიუახლოვდა. როგორც ადრე, დასავლეთის ბანკები შეთანხმდნენ გაზსადენის მშენებლობისთვის მიეყიდათ აუცილებელი მაღალხარისხიანი მოწყობილობები, იმავდროულად მშენებლობას აწარმოებდნენ თავიანთი მთავრობების მიერ გარანტირებული დაბალი საპროცენტო განაკვეთით. ამრიგად, კრემლის გათვლებით, ერთი და იგივე პროექტისათვის ის იღებდა ორმაგ დაფინანსებას.

ყოველივე ეს დროზე შენიშნა ბანკ „Chase Manchattan"-ის ვიცე-პრეზიდენტმა როჯერ რობისონმა, რომელიც პასუხისმგებელი იყო საბჭოთა კავშირის, აღმოსავლეთ ევროპისა და იუგოსლავიის საკრედიტო პაკეტებზე. ერთ-ერთი საუზმისას იგი შეეკითხა საბჭოთა მინისტრს: უჭერდა თუ არა იგი მხარს, რათა აიღოს სესხები ევროპის დოლარულ ბაზარზე ამ პროექტის დასაფინანსებლად. საბჭოელმა გაიცინა და უთხრა, რომ ის არასდროს იღებს სესხებს და ყველაფერ ამას დაფარავს ევროპისათვის გაზის მიწოდება. საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ბანკმა, ეტყობა ვერ მოასწრო მისი ინფორმირება იმის შესახებ, რომ ეს იყო ფაქტობრივად ორმაგი დაფინანსება.

იმავდროულად მოსკოვის გავლენის ქვეშ მყოფმა „International Investment Bank"-მა დასავლეთის ოთხი დიდი სინდიკანტის საკრედიტო ბაზრებზე შეაგროვა 2,2 მლრდ დოლარი. კრედიტებთან დაკავშირებული დოკუმენტები მეტყველებდნენ, რომ ისინი დაკავშირებულნი იყვნენ გაზის მილებთან, კომპრესორებთან და ა. შ. ერთი სიტყვით ტექნიკასთან. ეს იყო განსაცვიფრებელი თვითშემოქმედება. უფრო მეტიც ეს იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირს ნებისმიერ დროს შეეძლო გადაეკეტა ევროპისათვის გაზი [2. 144].

რობისონმა მის მიერ აღმოჩენილი ინფორმაცია მიაწოდა ცსს-ოს. თავის მხრივ ცსს-ს მთავარმა ანალიტიკოსმა ბენსონმა ანგარიში მიაწოდა ცსს დირექტორ კეისს. გაირკვა ისიც, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა დამოკიდებული იქნებოდა საბჭოთა გაზის 60%-ზე. ეს პროექტი კი, თავის მხრივ, დიდ სიკეთეს მოუტანდა საბჭოთა ეკონომიკას.

1980 წელს ერთ-ერთ ანგარიშში ბენსონმა დაწერა: „ენერგეტიკული ინდუსტრია დაეხმარა საბჭოთა კავშირის სამხედრო მანქანების განვითარებასა და სერიოზული ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში". ანალოგიურ ანგარიშებს წერდა ბენსონი კარტერის პრეზიდენტობის დროს... მაგრამ იმ პერიოდისაგან განსხვავებით, ახლა მას უსმენდნენ: პრეზიდენტი რეიგანი, კეისი და უაინბერგერი.

იმ დროს შეერთებული შტატები ცდილობდა დაებლოკა დასავლეთ ევროპისათვის საბჭოთა ბუნებრივი გაზის იმპორტი. ასევე იყო ნიშნები იმისა, რომ საბჭოთა კავშირს მოეპარა დასავლური ტექნოლოგიების ფართო სპექტრი. საბჭოთა სუკი-დან გადმობირებულმა აგენტმა გამოავლინა კონკრეტული სავაჭრო სია. ცსს-მ საბჭოთა კავშირს გადასცა გაუმართავი პროგრამული უზრუნველყოფა ისე, რომ მათ ის არ აღმოეჩინათ.

როჯერ რობინსონის მოხსენების მიღებიდან მოკლე ხანში პენტაგონში გაიმართა შეხვედრა, სადაც წამოიჭრა გაზსადენის თემაც. უაინბერგერი მოგვიანებით იტყვის: „ჩვენ ვთვლიდით, რომ უნდა გაჩერებულიყო პროექტის არსებობა ან კიდევ უკიდურეს შემთხვევაში შეეჩერებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მისცემდა კრემლს სტრატეგიულ უპირატესობას და დიდ თანხებს". თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებაში ამ საკითხის გარშემო არ იყო ერთიანი პოზიცია. სახელმწიფო მდივანი ა. ჰეიგი ამბობდა, რომ ძალიან დაგვიანებული იყო ევროპაზე ზეწოლით ამ პროექტის ჩაგდება. მიუხედავად ამისა, უაინბერგერის თხოვნით, ევროპაში მაინც გაიგზავნა ეკონომიკის დარგში მისი მოადგილე მ. რეშნიშა. მას უნდა დაეინტერესებინა ბებერი კონტინენტის დასავლური ნაწილი ამერიკული ნახშირით, სათბობის სინთეტიკური სახეობებით და ნორვეგიული მიწისქვეშა გაზით. მაგრამ დასავლეთ ევროპას არ სურდა მისი მოსმენა. მიუხედავად ამისა კეისი და უაინბერგერი არ

ნებდებოდნენ და ჯიუტად ეძებდნენ სხვადასხვა გზებს ევროპელების „გადმოსაბირებლად“ [2. 167].

მალე უნდა მომხდარიყო აშშ-ს მოკავშირე და ეკონომიკურ პარტნიორ ქვეყნების ლიდერთა შეკრება კანადის დედაქალაქ ოტავაში. აქ უნდა გამოსულიყო რეიგანი განსაკუთრებულად და დამაჯერებლად. უანიბერგერმა პირდაპირ მიმართა პრეზიდენტს, რომ ეს გაზსადენის პროექტი უნდა გაჩერებულიყო. განსხვავებული აზრი ჰქონდა ა. ჰეიგს. ის მიმართავდა რეიგანს - „ბატონო პრეზიდენტო დასავლეთ ევროპა უარს არ იტყვის ამ პროექტზე. უკვე ძალიან გვიანია, ვინაიდან საქმე წასულია ღრმად. ოტავაში ჩვენ თუ ამ საკითხს წამოვწევთ, წინა ამით მხოლოდ დავიპირისპირებთ დასავლელ ხელმძღვანელებს. ამიტომაც, სანამ დაიწყებოდეს ოტავის შეხვედრა, მანამდე ნება მომეცით გავმართო წინასწარი შეხვედრები ამ ქვეყანათა საგარეო საქმეთა მინისტრებთან, რომ მათ ვესაუბრო გაზის ალტერნატიულ საშუალებებზე“. როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს რეიგანს არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება. ორი დღის შემდეგ, მან ვიწრო წრეში განაცხადა, რომ სამიტზე იგი ღიად არ ისაუბრებდა გაზსადენზე და ზეწოლას არ მოახდენდა ამ ქვეყნების ლიდერებზე, რათა სანქციები დაეწესებინათ მოსკოვზე.

იმავდროულად, კეისი და უაინბერგერი ამ საკითხზე ერთად მუშაობდნენ. მოსკოვი ისწრაფვოდა დასავლური ტექნოლოგიებისაკენ, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მისცემდა გამკვლავებოდა წარმოებაში არსებულ პრობლემების მოგვარებას და განევითარებინა სამხედრო პოტენციალი. კრემლმა ნაცადი ხერხით შეძლო დიდი მოცულობითი წარმატებებისათვის მიღწევა. ამ მიზნით შეიძინა ტექნიკა ან კიდევ მოიპარა ტექნოლოგიები. ამ ამბებში ჩართული იყო ათასობით ადამიანი. საბჭოთა კავშირისთვის დასავლური ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა იყო პირველხარისხოვანი მნიშვნელობის. ამიტომაც ამერიკელებმა გადაწყვიტეს, რომ ამ პროცესიდან ჩამოეშორებინათ საბჭოთა კავშირი.

ტექნოლოგიების იმპორტს საბჭოთა კავშირისათვის მოჰქონდა უზარმაზარი ეკონომიკურ სარგებელი. ტექნოლოგიების გადაცემის მთავარ სამთავრობათშორისო კომიტეტის დირექტორის სტეფ გულპერის განაცხადებით: „საბჭოთა კავშირმა სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების ხარჯების თავიდან ასაცილებლად მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომლის კომპენსაციაც უნდა მომხდარიყო დასავლეთის ტექნოლოგიების შეძენა ქურდობისა და არალეგალური შესყიდვების გზით“. მოსკოვი არ იპარავდა იმას, რაც ხელთ მოხვდებოდა. სპეციალისტები ჯერ აფასებდნენ თუ, რომელი ტექნოლოგია შეიძლება ყოფილიყო ყველაზე სასარგებლო, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო სექტორებში. კეისი და უაინბერგერი მიიჩნევდნენ, რომ მათ არ უნდა დაემალათ ყველა ტექნოლოგია, არამედ მხოლოდ ისინი, რომლითაც საბჭოთა კავშირი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული. კრემლი ეძებდა იმ ტექნოლოგიას, რომლებიც აქტიურად უწყობდნენ ხელს მის განვითარებას. ასეთი ბრძოლის ორგანიზებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ 1981 წლის გაზაფხულიდან კეისთან შემოსვლა იწყო საბჭოთა სამრეწველო წარმოების შესახებ უნიკალურმა სადაზვერვო მონაცემებმა. 1981 წლის ივლისში ოტავაში გამართულ ეკონომიკურ სამიტზე, საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა უთხრა რეიგანს, რომ ფრანგულმა დაზვერვამ მოიპოვა აგენტის მომსახურება, რომელსაც ისინი უწოდებდნენ „Farewell“. ეს იყო 53 წლის სუკის პოლკოვნიკი ვლადიმერ ვეტროვი.

ვ. ვეტროვი მუშაობდა პირველი მთავარი სამმართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტში. ეს ინფორმატორი გადმოსცემდა მასალებს, რომლის მიხედვითაც ცხადი იყო, რომ საბჭოელები იმ ტექნოლოგიებს იპარავდნენ და არალეგალურად ყიდულობდნენ, რომლებიც მათ აკლდათ სამხედრო სფეროში. „Farewell“-მა სპეცსამსახურებს გადასცა 4000-მდე დოკუმენტი, რომელიც ეხებოდა კონკრეტულად იმ მასალებსა და ტექნოლოგიებს, რომელთაც ეძიებდა სუკ-ი. მოწოდებული იყო ინფორმაცია საბჭოთა „ფირმების“ შექმნის მეთოდის შესახებ თუ როგორ ახდენდა საბჭოთა კომისია სამხედრო მრეწველობის საქმეებზე მობილიზებას. და როგორ ხდებოდა საბჭოთა აგენტების მიერ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისათვის ემბარგო დადებული ტექნოლოგიების მოპარვა და არალეგალური შესყიდვა. ამერიკაში ყოველთვის ხედავდნენ საბჭოთა კავშირის ასეთ მოქმედებებს, მაგრამ ვერასდროს ვერ წარმოედგინათ, რომ ისინი ასეთი ფართო მასშტაბების იყო. „Farewell“-ს არასდროს არ უმუშავია ფულზე. მაგრამ 1982 წლის ნოემბერში მასთან კონტაქტი მოულოდნელად შეწყდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ის ცოლთან

მანქანაში ჩხუბობდა. ამ დროს მას მიუახლოვდა მილიციელი. ინფორმატორი შეშინდა და ესროლა მას. „Farewell“-ი დააპატიმრეს, ჩასვეს ციხეში და 1983 წელს დახვრიტეს.

რუსი ინფორმატორის ცნობებს ოქროს ფასი ჰქონდა. „რეიგანმა დიდი ინტერესი გამოხატა მიტერანის მგრძნობიარე განცხადებების მიმართ და მადლიერი იყო მისი შეთავაზებისთვის, რომ ეს მასალა ხელმისაწვდომი ყოფილიყო აშშ-ის ადმინისტრაციისთვის. ამან მაშინვე გამოიწვია ქარიშხალი - ამბობს რიდი - ფაილები წარმოუდგენლად მკაფიო იყო. ისინი ასახავდნენ საბჭოთა კავშირის შეღწევას აშშ-სა და სხვა დასავლურ ლაბორატორიებში, ქარხნებსა და სამთავრობო უწყებებში. მასალის წაკითხვამ გამოიწვია ჩემი ყველაზე საშინელი კოშმარების ახდენა. დოკუმენტებმა აჩვენა, რომ საბჭოთა კავშირმა მოიპარა ძვირფასი მონაცემები რადარებზე, კომპიუტერებზე, ჩარხებსა და ნახევარგამტარებზე.

„Farewell“-ის მიერ გადაცემული მასალები, ისევე, როგორც სხვა სადაზვერვო წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია, ადასტურებდა, რომ ტექნოლოგიების გადაცემა ძალიან მნიშვნელოვანს წარმოადგენდა საბჭოთა ტექნოლოგიის, სამხედრო მრეწველობისა და ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის [2. 175]. „თეთრი სახლის ლიდერი, როდესაც გაეცნო მათ, მან თქვა: „ჩვენ უნდა დავამთავროთ ეს“ [1].

დოკუმენტებიდან უდავო გახდა, რომ 1976 წლიდან მოყოლებული 1980 წლამდე, დასავლეთის არალეგალური ტექნოლოგიების შეძენის წყალობით, მხოლოდ საბჭოთა კავშირის საავიაციო ინდუსტრიის სამინისტრომ კვლევასა და განვითარებაში გააკეთა 800 მილიონი დოლარის ეკონომია. საბჭოთა კავშირში ამ საქმიანობას ხელმძღვანელობდა სამხედრო მრეწველობის კომისია და მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი. მათ ასევე ეხმარებოდა საგარეო ვაჭრობის სამინისტრო. ისინი ერთად ადგენდნენ იმ ტექნოლოგიების სიას, რომლებიც აინტერესებდა კრემლს. კომისია განკარგავდა ბიუჯეტიდან ფულის გამოყოფას 1,4 მლრდ დოლარის ფარგლებში. დიდი ნაწილი ამ საშუალებებისა შემოდიოდა ვალიუტის სახით დასავლეთიდან ექსპორტის მეშვეობით. ამ ფინანსების საშუალებით ხდებოდა დასავლური ტექნოლოგიების შესყიდვა და სადაზვერვო საქმიანობის წარმოება.

1981 წლის ივნისის დასაწყისში უაინბერგერმა და კეისმა „Farewell“-ის ინფორმაცია მიიტანეს ოვალურ ოფისში. კეისმა აჩვენა პრეზიდენტს საბჭოთა კავშირში მიერ მოპოვებული სია და მისი მნიშვნელობა. „ბატონო პრეზიდენტი - მიმართა მან, - საბჭოთა სამხედრო კომიტეტის ინდუსტრია ამ მასალების თითქმის ნახევარს იღებს ჩვენგან. ამიტომაც უნდა დასრულდეს ეს“. „მათთვის ყველაფერი ძალიან ადვილად მიღწევადია- დასძინა რეიგანმა - ეს კი საფრთხეს უქმნის ჩვენს უსაფრთხოებას.”

საბჭოები არა მარტო სარგებელს ნახულობდნენ მოპარული დასავლური ტექნოლოგიური მასალებისაგან, არამედ ისინი ყიდდნენ ბიზნესმენებზე იმ ხელსაწყოებს და მოწყობილობებს, რომელთაც ჯერ იძენდნენ დასავლეთში, ხოლო შემდეგ მოსკოვს გაჰქონდა ბაზარზე დასავლეთში. ამრიგად, კრემლი ყოველწლიურად იღებდა ას მილიონ კომპიუტერულ პროგრამას. ისინი ყიდულობდნენ მთელ საწარმოო ხაზებს. 1970-იანი წლების დასასრულისათვის მოსკოვი ფლობდა მრავალმილიონიან მაღალი ტექნიკური დონის ფეთქებად მასალებსა და აღჭურვილობას. სადივერსიო მუშაობა ძირითადად მიმდინარეობდა ევროპაში. კრემლისაკენ მოწინავე ტექნოლოგიების გადინება მიმდინარეობდა ნეიტრალური ქვეყნებიდან - შვეიცარიიდან, შვეციიდან, ავსტრიიდან.

ამ ცნობის შემდეგ პრეზიდენტი რეიგანი შეეკითხა მომხსენებლებს თუ რას სთავაზობდნენ ისინი. უაინბერგერმა და კეისმა შენიშნეს, რომ საჭირო იყო სოციალისტურ ქვეყნებთან სტრატეგიული საქონლის ექსპორტის საკოორდინაციო კომიტეტის მიერ კონტროლის განმტკიცება. ეს ორგანიზაცია ასევე აკონტროლებდა კომუნისტური ბლოკის ქვეყნებთან სტრატეგიული მასალების აღჭურვილობით ვაჭრობას.

„ცივი ომის“ დროს ყველაზე მთავარი მიზანი იყო ბრძოლა ენერგომატარებლებისათვის, რომელშიც წარმატებისათვის ჯერ არცერთ მხარეს არ ჰქონდა წარმატება მიღწეული. მასში მთავარი როლი შეეძლო ეთამაშა საუდის არაბეთს. აქედან გამომდინარე ეს ქვეყანა გახდა ამერიკული პოლიტიკის მთავარი შემადგენელი ადგილი.

საბჭოთა ხელისუფლებამ 1970 წელს შექმნა სუკ-ის ახალი განყოფილება, რომელსაც უნდა მოეწყო დასავლური კვლევები და განვითარება ძალიან საჭირო ტექნოლოგიებისთვის. განსაკუთრებით კი ოპერაციული იარაღი ტექნოლოგიის მოპარვის მიზნით. ამ განყოფილების ჯაშუშები ხშირად იყვნენ შეერთებულ შტატებში საბჭოთა დელეგაციებში. ბოინგის ქარხანაში

ერთ-ერთი ვიზიტისას „საბჭოთა სტუმარმა ფეხსაცმელზე წებოვანი წაისვა ლითონის ნიმუშების მისაღებად“ [1].

ახლა უკვე საქმე აშშ-ს უნდა აეწყო საუდის არაბეთთან. სახელმწიფო დეპარტამენტმა საუდის არაბეთს მისცა დახასიათება, როგორც არასტაბილური ქვეყნის, რომელსაც სამეფო ოჯახი მართავს და რომელიც მრავალი თვალსაზრისით იყო დაუცველი.

ცსს-ს დირექტორი შეხვდა საუდის არაბეთის მმართველს ბანდარს და პრინც ფაჰდ საუდის ვაჟს. კეისი ასევე დაინტერესდა ვაშინგტონსა და სამეფო ოჯახს შორის ურთიერთობების გაფართოებით. მან სტუმრებს გაუზიარა ინფორმაცია, რომელიც მათთვის სასარგებლო იყო. ლიბიამ და სამხრეთ იემენმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობის ხელშეკრულებას. ეს ინფორმაცია საუდისთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან ლიბიამ და იემენმა, რადიკალური პოლიტიკის გატარებით, მხარი დაუჭირეს საუდის არაბეთში სამეფო ოჯახის ჩამოგდებას. კეისმა შესთავაზა სტუმრებს მიეწოდებინა მათთვის მოსმენის სისტემაში მოპოვებული მონაცემები, და ამასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციები. იგი დაჰპირდა საუდის არაბეთის მმართველებს, რომ უფრო ხშირად გადასცემდა საუდის არაბეთისთვის საინტერესო სადაზვერვო მასალებს. ასევე საჭიროებისამებრ ექნებოდათ ცსს-ს ანალიტიკოსების დახმარება.

კეისი გადავიდა ნავთობის საქმეებზე. საბჭოთა კავშირი ცდილობდა გაეზარდა ნავთობის ექსპორტი დასავლეთში და არცთუ წარუმატებლად. ცსს-ს დირექტორმა ითხოვა ინფორმაცია იმ კონტრაქტებთან დაკავშირებით, რომელსაც მოსკოვი აფორმებდა. ხელშეკრულებების გაფორმებამდე მოლაპარაკებების, სხვა ნავთობ მწარმოებლების დამოკიდებულების, საბჭოთა მცდელობების მიმართ ექსპორტების გაზრდის შესახებ. შეიხმა უპასუხა, რომ მისთვის რთული არ იქნებოდა კეისისთვის ასეთი ინფორმაციის მიწოდება. ბოლოს შეიხმა შესთავაზა სადღეგრძელო: „შემდგომი მეგობრობისთვის!“

საბჭოთა გაზის მიწოდების, მისი მყარი ვალუტით დასავლეთიდან შემოსავალის და შიდა საბჭოთა ეკონომიკის შეფერხების მიზნით უნდა მომხდარიყო მილსადენის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ტუმბოების, ტურბინების და სარქველების გაშვებას უნდა მოეწყო. იგი დაპროგრამებული იყო ისე, რომ გარკვეული ინტერვალის შემდეგ გაფუჭებულიყო. გადატვირთულიყო ტუმბოს სიჩქარე და სარქველების პარამეტრები. აფეთქება 1982 წლის ზაფხულში მოხდა შედეგი იყო ყველაზე მონუმენტური არაბირთვული აფეთქება და ცეცხლი, რაც კი ოდესმე კოსმოსიდან ჩანს“ და იხსენებს რიდი. მილსადენის აფეთქებას ფიზიკური მსხვერპლი არ მოჰყოლია, საბჭოთა ეკონომიკას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა.

გაზსადენის დივერსია არ გამჟღავნებულა და იმ დროისთვის მკაცრად დაცული საიდუმლო იყო. როდესაც მილსადენი აფეთქდა - წერს რიდი - პირველმა ცნობებმა შეშფოთება გამოიწვია აშშ-ს სამხედროებსა და თეთრ სახლში. NORAD-ს ეშინოდა რაკეტების ადგილიდან აფრენის, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ აფეთქების რეგიონში რაკეტები არ იყო განთავსებული“, თანამგზავრებს არ დაუფიქსირებიათ ბირთვული აფეთქების რაიმე დამაჯერებელი ნიშანი“ [1].

შეერთებულმა შტატებმა და მისმა ნატოს მოკავშირეებმა მოგვიანებით „შეადგინეს მთელი ხაზი X შეგროვების ქსელი, როგორც აშშ-ში, ასევე საზღვარგარეთ“, რის შედეგადაც საბჭოთა ტექნოლოგიების კოლექციის გული დაიმსხვრა და აღარ გამოჯანმრთელებულა.

EDISHER GVENETADZE

THE FIGHT FOR ENERGY CARRIERS IS A PART OF THE INTERNATIONAL POLICY OF THE "COLD WAR"

Summary

The role that Reagan and the United States played in the collapse of the Soviet Union is still hotly debated. The USA engaged in targeted actions against the Soviet Union. Evidence of this is that in January 1982, President Ronald Reagan approved a CIA plan to "sabotage the economy of the Soviet Union through the covert transfer of technology," which contained hidden glitches in the technology, including software, that later caused a major explosion at a Siberian natural gas pipeline. The pipeline explosion was just one example of the "cold-eyed economic war" against the Soviet Union that the

USSR waged under the leadership of William J. Casey in the last years of the Cold War. The pipeline software that was supposed to run the pumps, turbines, and valves was programmed to fail after a certain interval. The pump speed and valve settings were reset. The explosion occurred in the summer of 1982, resulting in the most monumental non-nuclear explosion and fire ever seen from space. .

The United States and its NATO allies later "established an entire Line X collection network, both in the U.S. and abroad." As a result, the heart of the collection of Soviet technologie was broken and it was impossible to restore it.

Key words: *Gas pipeline, Soviet Union, USA, Siberia, Space, Sxplosion, M. Gorba-Chow, R. Reagan.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.washingtonpost.com/archive/politics/2004/02/27/reagan-approved-plan-to-sabotage-soviets/a9184eff-47fd-402e-beb2-63970851e130/?fbclid=IwAR1QjeJatnnoYdBDJb69UY8oioGD5QjFL0RxS_emdG18GLCDQY1DK_tl0aE
2. Швейцер П. Победа. Роль тайной стратегии администрации США в распаде Советского Союза и социалистического лагеря. – Минск, 1995.

АЛЛА БИБИЛАШВИЛИ

НОВЫЙ КАРАБАХ-БОРЬБА ЗА МИР ПОСЛЕ ЗАКЛЮЧЕНИЯ ДОГОВОРА О МИРЕ

Целью исследования является анализ политической обстановки в Армении и Азербайджане после заключения мирных договоренностей между президентом Азербайджана Ильхамом Алиевым, премьер-министром Армении Николом Пашиняном и президентом России Владимиром Путиным о полном прекращении огня и всех военных действий в зоне нагорно-карабахского конфликта. Достигнутые руководителями трех государств договоренности были призваны создать необходимые условия для долгосрочного и полноформатного урегулирования кризиса.

После окончания Второй Карабахской войны регион Южного Кавказа в контексте новых исторических координат вновь привлек внимание влиятельных геополитических сил, при этом важную роль сыграла Россия, взяв на себя основную миротворческую нагрузку и организующую роль. Одновременно следует отметить, что Москва отвела западным посредникам в лице Минской группы пассивную роль, максимально ограничив количество принимавших участие в переговорах международных акторов.

Анализ сложных и противоречивых объективных реалий и региональных факторов, сложившихся в Армении и Азербайджане после урегулирования Нагорно-Карабахского конфликта, настоятельные поиски взаимоприемлемых компромиссов в мирном развитии армяно-азербайджанских отношений имеют важное значение не только для стабилизации обстановки и дальнейшего поступательного развития всего Кавказского региона, но могут рассматриваться как неотъемлемая часть современного мирового геополитического процесса.

Ключевые слова: *Урегулирования конфликтов, Нагорно-Карабахского конфликт, Армения, Азербайджан.*

Целью данной статьи является анализ политической обстановки в Армении и Азербайджане после заключения договоренностей между президентом Азербайджана Ильхамом Алиевым, президентом Армении Николом Пашиняном и президентом России Владимиром Путиным о полном прекращении огня и всех военных действий в зоне нагорно-карабахского конфликта. Достигнутые договоренности были призваны создать необходимые условия для долгосрочного и полноформатного урегулирования кризиса.

После окончания Второй карабахской войны регион Южного Кавказа в контексте новых исторических координат вновь привлек внимание влиятельных геополитических сил и мировых лидеров. Решающую роль в формировании новой геополитической реальности сыграла Россия, взяв на себя основную миротворческую нагрузку и успешно осуществив мирное урегулирование самого продолжительного и кровопролитного конфликта на постсоветском пространстве. При этом Москва фактически отвела западным посредникам и Минской группе пассивную роль, максимально ограничив количество участвовавших в переговорах геополитических игроков.

Вместе с тем заинтересованные стороны указывают, что инициативы Соединенных Штатов Америки в данной области могут внести свой вклад в процесс мирного строительства между Азербайджаном и Арменией, ибо у США имеется богатый опыт в решении аналогичных проблем, и они могут играть активную роль в процессе постконфликтной реконструкции в Карабахе как в одностороннем порядке, так и в качестве сопредседателей Минской группы ОБСЕ. Следует учитывать, что в предыдущие годы, даже еще не будучи президентом, Джо Байден периодически принимал непосредственное участие в усилиях, направленных на признание Геноцида армян в американском Конгрессе, а также в целях нормализации отношений между Турцией и Арменией, открытия гра-

ниц и возобновления торговли между двумя странами. Став президентом Америки, он способствовал признанию геноцида армян со стороны Турции, что вызвало отрицательную реакцию Турции и некоторых политических сил. Признание массовой резни армян в 1915-1918 годах геноцидом, следует рассматривать как логическое продолжение тех действий, которые на протяжении многих лет предпринимались в этом направлении. Признание геноцида следует рассматривать как сточки зрения эволюции и внутренней политики самой Армении, так и в аспекте напряженных отношений между США и Турцией, ибо оно может оказать значительное влияние на внутреннюю политику Армении. Бархатную революцию в Армении осуществили силы, в геополитическом аспекте позитивно настроенные по отношению к западу, при этом одной из главных движущих сил революции, помимо осуждения коррумпированности тогдашнего армянского правительства, был тот фактор, что страна попала под большое влияние России. Сегодня Н. Пашинян и поддерживающие его политические партии воспринимаются в Армении как прозападные, и остаются самой влиятельной политической силой.

Азербайджанские издания сообщали, что группа американских конгрессменов обратилась к госсекретарю и министру обороны США с просьбой принять более деятельное участие в урегулировании нагорно-карабахского конфликта, в том числе обговорить статус Нагорного Карабаха и проведение референдума о его самоопределении. Также появились сообщения о том, что Госдепартамент США намерен нанять специалиста, которому будет поручено контролировать не только реализацию американской программы содействия правоохранительным органам Армении, но и «сформулировать и продвигать политический курс и цели правительства Соединенных Штатов.»

В Баку восприняли эту информацию настороженно, ибо известно, что еще в конце 2020 года, вскоре после подписания мирного соглашения между Азербайджаном, Арменией и Россией, Национальной разведке США было поручено подготовить для Конгресса доклад с изложением стратегических интересов американцев и их партнеров в регионе, позиции Вашингтона по статусу Нагорного Карабаха, а так же перспектив взаимоотношений между Арменией и Азербайджаном. Армянская служба «Голоса Америки» сообщала, что в Конгрессе разработали законопроект по новому пакету мер помощи экономике Армении в условиях пандемии объемом почти 900 миллионов долларов. Указывалось, что «не позднее чем через 90 дней после вступления законопроекта в силу директор Национальной разведки США должен представить письменную оценку в специальный комитет по разведке палаты представителей Конгресса США», которая должна содержать прогноз «вероятности дальнейшего применения силы или возможной дестабилизации в регионе в ближайшей и среднесрочной перспективе».

Американские эксперты проанализировали причины «пассивной», по их словам, политики президента Д. Трампа в период карабахской войны. Эксперт Майкл Рубин полагает, что в тот момент стратегия США была запутана, и Вашингтону надо было не полагаться на Минскую Группу ОБСЕ, а признать независимость Нагорного Карабаха, или хотя бы пригрозить его признанием по примеру Косово. На это рассчитывали и определенные политические круги в Армении. Для этого нужно было четко квалифицировать карабахскую войну как «противостояниие автократического Азербайджана и демократической Армении, и запретить оказывать помощь Азербайджану» [1].

В то же время Дональд Трамп выступал с громкими заявлениями о том, что «помирить Армению и Азербайджан просто», однако его администрация не предпринимала никаких конкретных шагов на карабахском направлении. Американские эксперты расценивали действия Трампа как попытку заручиться голосами избирателей армянского происхождения, но большинство из них поддержали Байдена. Президенту Джо Байдену часть американского истеблишмента предлагала изменить политику в отношении Турции и Азербайджана, сотрудничать с Россией в формате Минской Группы ОБСЕ, выдвигая вместе с Францией на первые позиции проблемы статуса Нагорного Карабаха. При этом подчеркивалось, что в мирном соглашении о статусе Карабаха ничего не говорится, поэтому США могут воспользоваться «зазором дипломатических возможностей». В связи с этим и прозвучало твердое заявление Ильхама Алиева о том, что «конфликт исчерпан». Американские эксперты не исключают,

что есть и элемент политической игры со стороны Анкары, которая предлагает проект формирования так называемой «Кавказской» платформы, приглашая туда Россию, Азербайджан, Армению и Грузию, но без участия Запада [2].

Азербайджан выиграл Вторую карабахскую войну, однако зксперт по вопросам национальной безопасности Марк Эпископос утверждает, что в долгосрочной перспективе победа может обойтись Баку дороже, чем Еревану поражение, потому что Азербайджан поступился частью своего национального суверенитета. По его мнению, Турция скоординировала, и, по большей части, планировала военные действия Азербайджана, и в данном контексте, президент Ильхам Алиев согласился на присутствие российских миротворцев в Карабахе исключительно с целью создания геополитического противовеса усиливающемуся влиянию Турции.

Вполне закономерно, что проблема Карабаха продолжает находиться в центре внимания Турции. Визит президента Турции в город Шушу 15 июня 2021 года можно расценивать в качестве демонстрации статуса Анкары как гаранта территориальной целостности Азербайджана, а также необратимости итогов второй карабахской войны, которые, благодаря стараниям армянского лобби, могут стать предметом обсуждения в международных организациях. На встрече в городе Шуша Президент Азербайджана Ильхам Алиев и президент Турции Реджеп Эрдоган подписали декларацию о союзнических отношениях стран. Среди других проблем были затронуты вопросы обороны и взаимопомощи в этой сфере. Президент Эрдоган объявил о планах открыть в Шуше турецкое консульство. Ереван резко отрицательно оценил поездку Эрдогана в Нагорный Карабах, назвав провокацией посещение двумя президентами «армянского культурного и исторического центра Арцаха города Шуши», ибо подобные действия наносят существенный урон международным усилиям по установлению мира и стабильности в регионе, и поэтому полностью неприемлемы, считает армянская сторона.

Следует отметить, что президент Р. Эрдоган допустил создание турецкой военной базы на территории Азербайджана для защиты его границ. Предполагать это позволяет заключенное в Шуше соглашение, ибо в нем прописано, что стороны обязуются помогать друг другу в случае угрозы или агрессии со стороны третьего государства. Азербайджан и Турция обязались «продолжать совместные усилия по модернизации вооруженных сил двух братских стран в соответствии с современными требованиями». По словам Эрдогана, Анкара приложит все свои возможности, чтобы быть рядом с Баку, и подобные стратегические планы будут актуальны и для будущего.

По мнению политического обозревателя Станислава Тарасова, после Шушинской декларации ситуация стала обрастать новыми характеристиками. Анкара создает в регионе новую политическую и геополитическую реальность. Москве, которая считает допустимым альянс с Анкарой на Южном Кавказе, пора остановиться и начать просчитывать возможные риски для собственной национальной безопасности в регионе, куда Турция «тащит за собой» конфликтный потенциал. [3].

Россия настороженно относится к вопросу возможности создания военной базы Турции на территории Азербайджана, понимая, что это может повлечь за собой определенные проблемы, связанные с усилением влияния Анкары. Министр внутренних дел Лавров в ответ на вопрос по этому поводу ответил, что данный вопрос не рассматривался в трехстороннем мирном договоре, поэтому он не стоит в повестке дня.

Определенные политические силы в Армении утверждают, что Армения намерена продолжать последовательную борьбу за реализацию прав народа Арцаха на самоопределение, а также за деоккупацию подвергнутых этническим чисткам территорий Республики Арцах и возвращение туда армянского населения. В связи с этим следует отметить, что население Нагорного Карабаха до начала первой карабахской войны уже пользовалась своим правом на самоопределение, имея автономный статус, а «Республика Арцах» не существовала как официальная административная единица.

Примером того, что, несмотря на модифицированные политические реалии, реваншистская настроенность продолжает существовать в Армении, является публикация А. Гегамяна «Россия – гарант сохранения Республики Арцах», содержащая подробное изложение исторических событий в регионе на

протяжении двадцати веков. Это свидетельствует о компетентности и солидной эрудиции автора, но не может иметь решающего значения для решения вопроса, четко регулируемого современными юридическими правилами и нормами международного права. Никакими фактическими и юридическими постулатами не аргументируется и вывод автора о том, что безопасное будущее Республики Арцах видится лишь под протекторатом Российской Федерации. В данном случае необходимо добавить, что на протяжении более чем тридцатилетнего конфликта во всех международных документах спорный регион упоминался как Нагорный Карабах, а Республика Арцах» является сугубо местным топонимом, используемым в армянских источниках. По мнению А. Гегамяна, путь к решению данного вопроса - это проведение референдума по независимости Нагорного Карабаха в границах 1991 года [4.

Данный постулат у любого неангажированного, беспристрастного исследователя закономерно вызывает естественный вопрос об обоснованности датировки – 1991 год, при этом не приводится никакого логического или правового обоснования данного предложения, да и не может быть приведено, ибо некорректно апеллировать к наиболее жестокому периоду военного противостояния, используя в качестве правового ориентира время наиболее успешной оккупации армянскими войсками азербайджанских территорий. Вполне оправдано было бы апеллировать к границам 1989 года - к началу боевых действий, что и произошло после окончания Второй Карабахской войны, когда Азербайджану удалось восстановить свою территориальную целостность, при зтом вопрос о статусе оказался закрытым.

Определенные конфронтационные настроения прослеживаются в заявлении секретаря Совета Безопасности Армении Армена Григоряна. В преддверии визита в Москву главы Армении Никола Пашиняна, А. Григорян, констатируя, что Армения вступила в этап поствыборной стабильности, одновременно отмечает, что армяно-российские отношения включают широкий спектр вопросов, одним из наиболее важных из них является безопасность, подразумевающая и урегулирование карабахского конфликта. Опять политик, занимающий ответственный пост в оправляющейся от многолетних испытаний стране, хочет вернуться к уже решенному вопросу.

В свою очередь, Азербайджан, успешно урегулировавший конфликт, стремится добиться от Армении заключения мирного договора, включающего признание территориальной целостности страны на основе норм международного права. В данном аспекте важным является заявление президента ЕС Шарля Мишеля 18 июля 2021года на пресс-конференции о том, что ЕС не ограничивается только помощью Минской группе ОБСЕ в урегулировании карабахского конфликта, сам Евросоюз готов играть конструктивную роль посредника между Азербайджаном и Арменией, помимо Минской группы: «мы уважаем роль Минской группы, но это не означает, что ЕС не может предоставить некоторый опыт, поддержку, идеи, и поощрить определенные возможные улучшения, чтобы обеспечить установление прочного мира в регионе, большей стабильности в целях обеспечения безопасности [5].

Это заявление можно интерпретировать как дипломатический ответ на высказываемые политиками и общественными деятелями в Ереване, Париже и Вашингтоне мнения о возможности возвращения к проблеме уже решенного Азербайджаном статуса Карабаха. Становится очевидным, что Шарль Мишель, как опытный политик и дипломат, принял к сведению твердое мнении е И. Алиева, и не вернулся к уже решенной проблеме. На пресс-конференции в Ереване, после личн, Шарль Мишель заявил, ой встречи с главой Армении Н. Пашиняномчто ЕС призывает продолжать работу по достижению стабильности и процветания в регионе. Необходимо решить вопросы, связанные с военнопленными, передачей карт заминированных территорий и делимитацией-демаркацией границы. Посредством переговоров станут возможными дискуссии о сотрудничестве и транспортных коммуникациях, что будет способствовать экономическому развитию обеих стран. ЕС готов стоять рядом и быть конструктивным партнером в решении проблем и популяризации демократических ценностей [6].

Евросоюз, стремящийся к установлению стабильности в регионе Южного Кавказа, хочет зафиксировать статус-кво, сложившийся после деоккупации Азербайджаном Карабаха. В связи с этим, выступая на пресс-кон-

ференции в Ереване после встречи с Н. Пашиняном 17 июля 2021 года, председатель Европейского совета Шарль Мишель заявил о готовности ЕС выделить Армении 2,6 миллиардов долларов для реализации первоочередных задач, стоящих перед страной. В среднем в страну в течении пяти лет будет поступать 500 миллионов долларов, что является значительной суммой для обеспечения экономической активности. Признавая важность помощи, оказываемой Евросоюзом, руководитель Центра политических, экономических и стратегических исследований Б. Погосян не удержался от реплики о том, что финансовая помощь Евросоюза должна отвлечь внимание армянского общества от желания пересмотреть трехстороннее мирное соглашение.

Следует отметить, что Азербайджану Европейский Союз выделил всего 100 миллионов долларов. Официальный Баку по этому поводу не выразил никакого недовольства, констатируя, что для него самое главное-это сохранение статус-кво и территориальной целостности страны. Российская сторона позитивно оценила желание Европейского Союза помочь Армении и Азербайджану в налаживании диалога, ибо посреднические усилия призваны нести мир, стабильность, предсказуемость и помогают в имплементации существующих договоренностей.

Несмотря на проявляемый Америкой интерес к нормализации отношений между Турцией и Арменией, и возобновления торговых взаимосвязей между обоими государствами, пока деятельность США в мирном процессе ограничилась выделением 5 млн долларов Международному Комитету Красного Креста и другим международным и неправительственным организациям, которые оказывают помощь пострадавшим от боевых действий в Нагорном Карабахе. Возможно, Демократическая партия США в будущем станет более активно поддерживать Армению, пытаясь превратить ее в новую Грузию. Но многое будет зависеть от политической ситуации в Ереване. Не исключено, что при Байдене будет больше использоваться и идеологический аспект.

Кстати, нынешний вброс информации о том, что группа конгрессменов обратилась к госсекретарю и министру обороны США с просьбой принять более деятельное участие в урегулировании нагорно-карабахского конфликта, не случайно совпадает с моментом жесткого политического кризиса в Армении. В Ереване некоторые политики воспринимают это как определенный сигнал. Но как конкретно будет действовать Байден на этом направлении, сказать пока сложно [7].

Азербайджан стремится максимально использовать имеющиеся в его распоряжении средства, среди которых немаловажную роль играет экономический фактор, в упрочении и дальнейшем развитии плодотворных взаимосвязей с Америкой. В письме, направленном президентом Азербайджана Ильхамом Алиевым президенту США Джо Байдену в связи с Днем Независимости, лидер Азербайджана заявил, что надеется на усилия Вашингтона по восстановлению полномасштабных мирных отношений между Арменией и Азербайджаном. Окончание конфликта создало новую реальность, заложило основу для прочного мира, экономического восстановления и реального сотрудничества. В соответствии с нынешней реальностью США может внести свой вклад в установление мира между Арменией и Азербайджаном на основе взаимного уважения территориальной целостности, суверенитета и нерушимости государственных границ. Одновременно должно развиваться экономическое сотрудничество, начало которому уже положено, ибо некоторые американские компании получили разрешение на их деятельность на карабахских территориях, вернувшихся под контроль Азербайджана.

По итогам визита в Нахчиван посол США в Азербайджане Эрл Литценбергер отмечал, что азербайджано-армянские отношения опираются на три столпа: это сфера безопасности, экономики и энергетики, а также поддержка прав человека и правопорядка. В США также заинтересованы в определении возможностей для экономического сотрудничества, деятельности американских компаний, которые могут быть полезны обеим странам.

В контексте дальнейшей работы по реализации трехсторонних соглашений Азербайджан заявил о своем желании подписать мирный договор с Арменией и тем самым исчерпать спорные проблемы, связанные с Карабахом, ибо мирный договор между Азербайджаном и Арменией способен обеспечить процветание всех стран Южного Кавказа. Главной причиной, препятствующей подпи-

санию этого договора, является позиция Армении, базовым принципом внешней политики которой остаются территориальные притязания на Карабахский район Азербайджана.

Об этом свидетельствует заявление вице-премьера Армении Тиграна Авиняна о том, что мирный договор не будет подписан до тех пор, пока не будет решен вопрос статуса Карабаха. Это доказывает, что, хотя точка в войне поставлена, предпринимаются произвольные попытки интерпретации трехсторонних соглашений, и ситуацию вновь переносят в прошлое тридцатилетней давности, полное военными действиями, разрушениями и многочисленными человеческими жертвами. Подобные реваншистские устремления ни в коей мере не выражают интересов армянского народа, заинтересованного в мирном поступательном развитии, экономическом процветании и благополучии.

Глава МИД Армении А. Мирзоян заявил, что достижение стабильности в регионе является армянской стратегией. Напряженная ситуация на Южном Кавказе сохраняется из-за проводимой Азербайджаном политики, ибо Баку не соблюдает пункты трехстороннего соглашения, которые направлены на прекращение военных действий, проводя деструктивную политику. Со стороны Азербайджана предпринимаются провокационные шаги, посягающие на суверенную целостность Армении [8].

В Армении заявили, что Ереван готов возобновить переговоры по Карабаху, согласен на возобновление мирного процесса по нагорно-карабахскому конфликту на основе следующих принципов: неприменение силы или угрозы силой, равноправие и самоопределение народов и территориальная целостность.

В этом заявлении, на первый взгляд, сделан шаг вперед — не упомянут пресловутый «статус» и появился термин «территориальная целостность», но одновременно подспудно сохраняются реваншистские тенденции, ибо затем вновь констатируется, что армянская сторона «будет последовательно продвигать реализацию права народа Арцаха на самоопределение», права жить свободно и достойно на своей родине.

В связи с этим важно заявление главы МИД Российской Федерации С. Лаврова по поводу окончательного и полноценного урегулирования в Карабахе, в котором он подчеркнул, что исходит из того, что речь идет не о возобновлении процесса, а о выполнении тех договоренностей, которые были подписаны в Москве 9 ноября 2020 года. Этот постулат доказывает: на тех условиях, которые выдвигаются армянской стороной, никаких договоренностей на данном этапе между Баку и Ереваном не может быть подписано.

Управление пресс-службы МИД Азербайджана заявило, что попытки предъявить какие-либо территориальные претензии к Азербайджану и разжечь агрессивные сепаратистские тенденции на его территориях будут решительно пресечены, и на них будет дан адекватный ответ. Карабах является исторической территорией Азербайджана, и, что самое важное—неотъемлемой частью его международно признанной территории.

В данном контексте следует констатировать, что некоторые представители западных стран высказывают мнения, сходные с точкой зрения Т. Авиняна. Это касается в первую очередь Франции, открыто поддерживающей Армению в вопросе Карабаха. Вслед за Сенатом парламент Франции 7 июля 2021 года принял резолюцию с призывом признать Карабах.

Резолюция предписывает правительству Франции оказать поддержку мирному населению Карабаха, а также инициировать создание международной комиссии по расследованию военных преступлений в Карабахе против мирного населения. Резолюция призывает равительство Франции приложить усилия по возобновления переговорного процесса с обеспечением границ, обозначенных в 1994 году.

Следует отметить, что последнее требование настолько нелогично, тенденциозно и не вписывается ни в какие юридические рамки, что не может вызвать ничего, кроме недоумения, а подобная, мягко говоря, неувязка не привлекла внимания французских парламентариев. Показательно, что глава МИД Франции Жан Ив Ле Дриан заявил , что не считает признание полезным для переговорного процесса. С ним солидарен руководитель международного комитета Совета Федерации РФ К. Косачев, полагающий, что резолюция носит рекомендательный характер и этим дело ограничится. К. Косачев высказывает соображение о том, что решение французского Сената во многом обусловлено

непростыми в последнее время отношениями с Турцией, поддерживающей Азербайджан. Традиционные проармянские симпатии, существующие во французском обществе усилилисьблагодаря накопившемуся раздражению французских политиков действиями Турции на международной арене, и поэтому решение французского Сената не отразится на процессе урегулирования.

Турецкие эксперты и МИД Турции отмечают, что решение французского сената лишено здравого смысла и ограничивает возможности Франции внести реальный вклад в урегулирование проблемы. При рассмотрении решения сената Франции становится понятным, почему работа Минской Группы ОБСЕ, проводимая сопредседателями, которые должны быть нейтральными, на самом деле была односторонней, и поэтому так и не смогла решить проблему урегулирования конфликта. Азербайджан «дал необходимый ответ», освободив свою территорию, оккупированную в течении почти тридцати лет, поэтому «…призыв сената Франции к Азербайджану является проявлением нелепого, пристрастного и оторванного от реального факта понимания, которое нельзя воспринимать всерьез» [9].

Американский посол в США Линн Трейси заявила, что армяно-азербайджанский конфликт не может быть урегулирован без решения вопроса о статусе Нагорного Карабаха. Она полагает, что последствия недавней войны в Нагорном Карабахе не преодолены и не урегулированы, ибо статус Нагорного Карабаха еще не решен. В связи с данным высказыванием Л. Трейси российский политолог Д. Родионов отметил, что американский посол выходит за рамки своих полномочий, так как в прямые обязанности чрезвычайного и полномочного посла входят переговоры от имени своего государства и подписание соответствующих договоров, но не консультации, а тем более вмешательство в спор страны пребывания со своими соседями. Заявления посла США фактически подталкивают Армению к силовому разрешению нагорно-карабахского конфликта, несмотря на договоренности о прекращении огня. Такие тенденции опасны, так как они ставят под сомнение достигнутые ранее договоренности с участием Российской Федерации, чреваты новым кровопролитием и являются угрозой стабильности всего макрорегиона. При этом, по выражению политолога В. Колташова, в случае возможной дестабилизации народ Армении будет всего лишь расходным материалом.

Высказывания Л. Трейси являются показателем того, что, несмотря на фактическое решение карабахской проблемы, не прекращаются заведомо провальные попытки пересмотра мирных договоренностей, остановивших кровопролитие. На встрече премьера Армении с президентом Франции Э. Макроном при обсуждении ситуации в регионе Южного Кавказа, собеседники отметили важность мирного процесса под эгидой сопредседателей ОБСЕ для политического урегулирования нагорно-карабахского конфликта.

В конце ноября 2021 года депутаты Милли Меджлиса Азербайджана заявили о необходимости пересмотра отношений с Францией из-за ее действий, идущих во вред сотрудничеству в Южнокавказском регионе. Это в значительной степени было вызвано тем, что делегация сепаратистского режима, установившегося на территории временного размещения российских миротворцев, совершила поездку во Францию, где провела встречи с членами Сената и официальными лицами ряда регионов Франции. Депутаты законодательного органа Азербайджана констатировали, что официальный Париж демонстрирует предвзятость и необъективность, показывая тем самым, неспособность выполнять обязательства сопредседателя Минской группы ОБСЕ, ибо фактически препятствуют установлению мира между Азербайджаном и Арменией.

Посольство Азербайджана в РФ заявило, что Азербайджану в связи с этим следует стремиться отстранить Париж от работы в Минской группе ОБСЕ и пересмотреть отношения с Францией во всех сферах. Депутат Милли Меджлиса Х. Бабаоглу указал, что недопустимо, когда лиц, выдающих себя за официальных представителей самопровозглашенного режима в Карабахе, принимают официальные лица во Франции, ибо это позволяет говорить о поддержке Францией сепаратизма. Депутат Т. Гянджалиев подчеркнул, что для Азербайджана в постконфликтный период неприемлемы подобные действия Франции как страны, не имеющей непосредственного отношения к Южнокавказскому региону.

Армянская сторона, поддерживаемая Францией и, в определенной степени, США, стремится доказать необходимость возвращения переговоров с Азербайджаном в формат Минской Группы ОБСЕ. В условиях, когда Азербайджан отказывается говорить о статусе Карабаха, который упомянут в положениях в рамках МГ ОБСЕ, но не упомянут в трехстороннем заявлении, армянская сторона считает, что международные стороны сами должны проявлять инициативу. Они должны сами решать, будут ли Азербайджан уговаривать, чтобы он сел за стол переговоров, или его должны заставить путем применения санкций. По мнению армянских политологов, трехстороннее соглашение от 9 ноября 2020 года, находится в противоречии с теми предложениями, фактически выводящим статус Нагорного Карабаха за рамки соглашения, которые были оформлены сопредседателями в рамках Минской Группы, и в которых заинтересованы США и Франция. Возвращение вопроса в формат МГ ОБСЕ не может предполагать каких-либо уступок со стороны Армении, ибо статус Нагорного Карабаха должен быть определен референдумом, причем до этого Азербайджан должен признать законность властей Карабаха, вывести свои войска из Шуши и Гадрута, и вернуть эти территории под армянский контроль. Таким образом, фактически проигравшая войну сторона требует от победителя отказа от своей территориальной целостности и полного обнуления результатов последней войны.

В связи с этим важно отметить позицию Ирана, являющегося стратегическим союзником Армении и поэтому представляющую значительный интерес. Президент Исламской Республики Сейед Эбрахим Раиси на встрече с президентом Азербайджана Ильхамом Алиевым заявил, что в отношении карабахского вопроса позиция его страны была прозрачной и однозначной. В Иране позиция каждого – от Верховного руководителя Исламской революции и до всех чиновников в государственных органах власти – заключалась в том, что территориальная целостность Азербайджанской Республики не должна нарушаться, и ее необходимо обеспечить. После исторической победы, одержанной Азербайджаном во Второй Карабахской войне, геополитическая ситуация в регионе изменилась, и на первый план выдвинулась важность участия всех стран региона в решении актуальных вопросов общественного развития. Президент Ильхам Алиев подчеркнул, что встреча двух президентов очень важна для дальнейшего развития ирано-азербайджанских отношений, и отныне двусторонние связи будут развиваться по восходящей во всех областях. При этом И. Алиев уделил внимание тому фактору, что политическая ситуация в мире в определенных случаях не работает, ибо во время войны в Карабахе резолюции ООН не выполнялись, оставаясь на бумаге, а сила оставалась главным фактором, поэтому военное решение конфликта в Карабахе стало неизбежным. Хотя посредники по Карабаху неоднократно заявляли, что данная проблема не имеет военного решения, дипломатический выход так и не был найден. И. Алиев подчеркнул, что если бы сопредседатели Минской Группы использовали бы хоть 5% своего потенциала, чтобы во время военных действий убедить или заставить Армению вывести свои оккупационные силы с территории суверенного государства, то новой войны бы не произошло [10].

Азербайджанские политологи подчеркивают, что озвучиваемые этими людьми пустые обещания и иллюзии не сулят ничего хорошего армянскому народу, поэтому Армения должна понять это и сделать соответствующие выводы из уроков истории». Политолог Э. Манафор констатирует, что даже после победы на парламентских выборах правительство Азербайджана находится в тяжелом положении, ибо в Армении продолжается политический кризис. В создавшемся положении реализация мирных договоренностей между государствами приведет к открытию коммуникаций, приносящих крупную экономическую выгоду.

В свою очередь, президент Азербайджана Ильхам Алиев предостерег от разговоров о какой-либо неразрешенности карабахского конфликта, так как это «неправильный и опасный путь. Этот конфликт уже разрешен, и стороной, которая разрешила этот конфликт, является азербайджанское государство». По сути, глава Азербайджана поставил точку над какими-либо возможными поползновениями реанимировать вопрос статуса части азербайджанской территории, заявив на встрече с главой Европейского совета Шарлем Мишелем, что был положен конец многолетней оккупации Арменией террито-

рий Азербайджана. Баку сам выполнил четыре резолюции Совета Безопасности ООН, требовавшие полного и безоговорочного вывода армянских войск с оккупированных территорий Азербайджана, и таким образом положил конец войне [11].

Президент И. Алиев в контексте послевоенного восстановления подписал важный указ «О новом разделении зкономических районов в Азербайджанской Республике». Новое деление предусматривает наличие четырнадцати экономических районов вместо десяти существующих и обусловлено победой Азербайджана во второй карабахской войне и восстановлением территориальной целостности страны. Анализируя значение принятого документа, политолог подчеркивает политическую важность вопроса, ибо с этим документом сразу же «похоронен» вопрос о статусе Карабаха, и Азербайджан укрепляет восстановление исторической справедливости.

Президент Российской Федерации В. Путин в ходе прямой линии 30 июня 2021 года, касаясь противостояния в Карабахе, констатировал, что Россия сыграла определенную роль в урегулировании серьезного кризиса, и особо подчеркнул, что никто не заинтересован в том, чтобы конфликт развивался – ни Азербайджан, ни Армения, ни, тем более, сами жители Карабаха.. Эти слова руководителя крупнейшей евроазиатской державы должны быть правильно поняты всеми любителями нагнетания напряженности – и отечественными, и зарубежными.

Заместитель министра иностранных дел РФ А. Руденко заявил, что Россия окажет помощь в урегулировании напряженности на границе Азербайджана и Армении в том случае, если обе стороны сами попросят об этом. Аналитики в Ереване объективно расценили это заявление как фактический отказ в предоставлении помощи Армении, учитывая и позицию министра иностранных дел РФ С. Лаврова по поводу того, что Россия готова выступить в роли консультанта или посредника, а для разрешения пограничных споров Армения и Азербайджан должны создать комиссию по разграничению границы.

Министерство иностранных дел Азербайджана подчеркнуло, что на протяжении июля 2021 года армянские силы периодически обстреливали позиции вооруженных сил Азербайджана. МИД констатировало, что провокации армянской стороны, попытки обострить ситуацию в регионе недопустимы, и Армения несет всю ответственность за возможное развитие ситуации. Азербайджан оставляет за собой право предпринять все необходимые шаги для защиты своей территориальной целостности в пределах международно - признанных границ, а также для обеспечения мира и стабильности в регионе.

Периодические, способные перерасти в регулярные, перестрелки на армяно-азербайджанской границе, в которых стороны взаимно обвиняют друг друга, происходят вопреки режиму прекращения огня, и представляют опасность для возможной эскалации конфликта, которая чревата серьезными последствиями. Вместе с тем анализ позиций армянского политического спектра позволяет высказать мнение о том, что Ереван в определенной степени начинает переосмысливать некоторые свои постулаты, констатирует необходимость переговорного процесса и морально готов к компромиссам с Азербайджаном по вопросам делимитации границы и транспортного коридора. Баку, со своей стороны, готов пойти навстречу Армении в различных вопросах, включая транспортные и экономические проблемы. При этом Азербайджан оставляет за собой право защищать свою территориальную целостность в пределах своих международно признанных границ, поэтому на любые шаги предпринятые против территориальной целостности государства, будет дан решительный ответ.

Президент Ильхам Алиев подчеркивает свою заинтересованность в сотрудничестве с США по вопросам мира и стабильности в регионе Южного Кавказа. И. Алиев заявил, что надеется на усилия Вашингтона в восстановлении мира между Азербайджаном и Арменией. Окончание конфликта создало новую геополитическую реальность в регионе, заложило благоприятную основу для прочного мира, экономического восстановления и регионального сотрудничества. В соответствии с нынешней реальностью США может внести вклад в установление прочного мира и доверия между Азербайджаном и Арменией.

В контексте укрепления обороноспособности страны, президент Азербайджана Ильхам Алиев объявил о планах увеличения численности армии страны и модернизации военной техники за счет импорта вооружений

И. Алиев подчеркнул, что Армении следует понять, что Азербайджан и дальше будет укрепляться, ибо после конфликта Карабахе были подписаны новые военные контракты, утверждены структурные реформы вооруженных сил, численность которых будет увеличиваться, а в ходе усиления армии будет учитываться опыт Второй карабахской войны. Армения не сможет восстановить собственную разрушенную армию, если не откажется от своей враждебной политики по отношению к Азербайджану. Проходившие в конце лета 2021 года совместные азербайджано-турецкие военные учения -- тактические маневры под названием «Мустафа Кемаль Ататюрк – 2021» проводились на основании двустороннего сотрудничества в военной сфере. Президент Турции Р. Эрдоган заявил, что достигнутое мирное урегулированиие в Карабахе создает объективные условия для сотрудничества и развития экономики, в том числе для Армении. В регионе Южного Кавказа сформировались условия для формирования долгосрочного мира, и эти условия возникли после «завершения оккупации Нагорного Карабаха». Сложный геополитический баланс на Южном Кавказе обеспечивает Турции возможность действовать в качестве самостоятельного игрока, участвовать в процессах в данном регионе, способствовать его мирному развитию и быть частью евразийского процесса в региональном аспекте на Южном Кавказе. Парламент Турции 10 ноября принял закон о продлении мандата о пребывании турецкого военного континента в Азербайджане на один год.

Президент Азербайджана И. Алиев на встрече с посетившими Баку министрами иностранных дел стран Евросоюза – Румынии, Австрии и Литвы заявил, что карабахский конфликт уже решен, поэтому необходимости в переговорах по данному вопросу нет, ибо «в настоящее время мы находимся в состоянии постконфликтного развития». Мирный договор будет означать переход от напряженной ситуации к мирному развитию и сотрудничеству на Южном Кавказе. Отсутствие мирного договора между Азербайджаном и Арменией фактически означает отсутствие стабильности на Кавказе, ибо региону нужен мир и устойчивое развитие, прогнозирование, а также нулевой риск войны [12].

По сути, Баку предложил Еревану начать процесс нормализации отношений на основе нерушимости границ и уважения территориальной целостности, опираясь на нормы и принципы международного права. Глава азербайджанской дипломатии Джейхун Байрамов назвал ситуацию после окончания войны в Карабахе «беспрецедентным шагом» для установления мира в южнокавказском регионе, с учетом того, что карабахский конфликт нашел свое решение.

Однако председатель парламентской комиссии Армении по внешним отношениям Рубен Рубинян заявил, что Ереван подпишет договор с Азербайджаном, если Баку признает статус Нагорного Карабаха, основанный на волеизъявлении непризнанной республики, т.е. Армения упорно не желает признавать территориальную целостность Азербайджана.

Армения использует любой предлог для нагнетания потенциальной напряженности в армяно-азербайджанских отношениях, в том числе путем использования отдельных пограничных неточностей, апеллируя при этом в Москву и ОДКБ. Касаясь этих проблем, генеральный секретарь ОДКБ Станислав Зась заявил, что потенциал ОДКБ подлежит задействованию только в случае вооруженной агрессии против одного из членов военного блока, а ситуация на армяно-азербайджанской границе не подпадает под это определение, являясь скорее пограничным инцидентом.

Премьер-министр Армении Никол Пашинян, касаясь попыток Франции, США и других геополитических игроков принизить значение трехстороннего соглашения, назвал стратегический союз с Россией одной из главных опор архитектуры безопасности. В процессе реформ и модернизации армянской армии реван придает важность сотрудничеству с Россией, и по этому вопросу существуют конкретные договоренности с Россией. Военно-политические связи с Россией высоко оценили также в Министерстве обороны Армении.

Глава внешнеполитического ведомства Азербайджана Д. Байрамов на встрече с сопредседателем Минской Группы ОБСЕ от Российской Федерации И. Ховаемым подчеркнул возможность нормализации отношений с Арменией на основе принципов международного права с устранением фактора окку-

пации, при этом реваншистская позиция, выдвинутая армянской стороной, не имеет никаких перспектив.

Следует отметить, что президент России В. Путин, касаясь урегулирования карабахской проблемы, подчеркнул, что никто из сторон—ни Азербайджан, ни Армения - не заинтересован в развитии дальнейшей напряженности и кризиса в Карабахе. Потому что жить все время в тревоге, что может возобновиться вооруженный конфликт, невозможно, и Россия это прекрасно понимает. Значит, это понимают руководители как Армении, так и Азербайджана. Существуют вопросы, связанные с восстановлением нормальной инфраструктуры, с размежеванием границы, чтобы провести соответствующую работу на государственной границе между Арменией и Азербайджаном, особенно там, где государственной границы не было, была только административная граница между союзными республиками.

Конструктивная настроенность президента России имеет важное значение в связи с высказываниями некоторых российских «ястребов», свидетельствующих о намерении способствовать возможной дестабилизации обстановки. Лидер ЛДПР В. Жириновский, касаясь обострения обстановки на границе Армении и Азербайджана, заявил, что Россия должна вернуться на все территории, входившие в состав Российской Империи и СССР, а Южный Кавказ продолжает оставаться Российской зоной влияния. Комментируя ноту протеста МИД Азербайджана, предъявленного в связи с высказыванием Жириновского об Азербайджане, лидер ЛДПР напомнил о свободе слова, заявив, что, оказывается, он не должен трогать ни Баку, ни Ереван, и говорить, какие они хорошие, хотя они «живут за счет русского народа».

Подобные конфронтационные высказывания не добавляют позитивных тенденций в решение проблемы, способствуют расширению поляризации и напряженности. Напротив, стремление к компромиссным решениям в проблеме азербайджано-армянских отношений выявляет свою положительную направленность. На состоявшейся осенью 2021 года на 76-ой сессии Генеральной ассамблеи ООН в Нью-Йорке, сопредседатели МГ ОБСЕ от России, Франции и США провели отдельные встречи с министрами иностранных дел Армении и Азербайджана, а также организовали их совместную встречу.

Сопредседатели подтвердили приверженность к продолжению работы со сторонами для поиска всеобъемлющих решений всех оставшихся вопросов, связанных с карабахским конфликтом или вытекающих из него. Посредники предложили конкретные меры по деэскалации ситуации и возможным последующим шагам. Глава Внешнеполитического ведомства Российской Федерации призвал воздержаться от политизации мирного процесса по Карабаху, ибо «попытки вынести политические вопросы на первый план ставят процесс с ног на голову». Мирный процесс, начатый в ноябре 2020 года, практически уже осуществляется, сейчас в повестке дня урегулирование многих практических вопросов, которые следует решать в настоящий момент, а не заниматься политическими дискуссиями.

Следует отметить, что парламент Армении предпринимает определенные шаги для того, чтобы минимизировать эскалацию напряженности, способствовать положительному настрою в будущих переговорах. В конце октября 2021 года парламент Армении отклонил резолюцию оппозиции по Карабаху, ибо правящая партия указала, что документ составлен без участия парламентского большинства. Границы не изменились, однако возникли проблемы с демаркацией.

Армянская оппозиция считает демаркацию границ принудительной. Глава фракции «Армения» С. Оганян, касаясь ситуации на линии соприкосновения с Азербайджаном, отмечает, что армянские войска не должны были отступать от тех позиций, на которых закончилась война; не было принято решение о том, чтобы занять важные высоты, стратегические пункты, дороги на линии соприкосновения, которые в прошлом, во времена СССР, были между Арменией и Азербайджаном, В этих условиях, по словам Оганяна, риторика Азербайджана и Тукции в форме принуждения ведет к тому, что Армения должна подписать мирный договор, признать территориальную целостность Азербайджана и пойти на демаркацию и делимитацию [13].

В связи с этим важно опираться на заявление президента Азербайджана Ильхама Алиева, который, как бы подытоживая весь предыдущий этап переговоров, подчеркнул,

что конфликт в Карабахе «остался в истории», а его республика восстановила целостность. «Мы урегулировали конфликт военно-политическим путем, война осталась позади, нагорно-карабахский конфликт также остался в истории. Алиев отверг существование в Азербайджане территории под названием «Нагорный Карабах», и довольно саркастично добавил, что если кому-то хочется оживить покойника по имени Нагорный Карабах, пусть это сделает на своей территории, и создаст на своей территории это образование, республику, общество под подобным названием, и мы признаем его.

Данное заявление азербайджанского президента свидетельствует о том, что время бесплодных дискуссий по вопросу территориальной целостности страны миновало, и настала необходимость практического претворения в жизнь реальных перспектив сотрудничества Армении и Азербайджана, начало которому должно положить заключение мирного договора между государствами. Секретарь Совета безопасности Азербайджана, генерал Р. Усубов отметил, что близки к завершению демаркация и делимитация границ с Арменией, однако об идеальном течении всего процесса говорить преждевременно, несмотря на то, что успешно работают соответствующие государственные структуры, ответственные за реализацию стратегии действий по обеспечению безопасности на освобожденных территориях, разработанной президентом И. Алиевым. Существующий между президентами Азербайджана, России и Турции формат оперативного и эффективного сотрудничества продолжается и в деятельности Центра по мониторингу в Агдаме. По мнению Усупова, Азербайждан является инициатором и гарантом мира на Кавказе, готов обеспечить безопасное проживание на своей территории всем гражданам армянской национальности и внести вклад в благосостояние армянского населения ради интересов развития региона.

На глобальном Бакинском форуме на тему «Мир после Covid-19" президент И. Алиев отметил, что Еревану было предложено приступить к делимитации и демаркации границ, и в связи с этим Азербайджаном уже сделано несколько предложений, которые смогут обеспечить территориальную целостность обоих государств. Готовность к мирным переговорам подтвердил и премьер-министр Армении Никол Пашинян, заявивший о своем желании провести встречу с Ильхамом Алиевым. Н. Пашинян выдвинул предложение о строительстве железной дороги между Азербайджаном и Арменией, которая сыграет важную роль в дальнейшем развитии двусторонних связей. Члены трехсторонней рабочей группы по разблокировке коммуникаций в регионе изучили возможные коридоры для транспортных маршрутов. Детали их прокладки необходимо обсудить на переговорах, учитывая, что сложнее всего будет выработать формулы работы транспортного сообщения.

Одновременно с этим Армения и Россия готовятся подписать программу регионального сотрудничества, разработанную Министерством экономического развития России и Министерством территориального управления и инфраструктур Армении. Целью принятия данного документа является поддержка совместных межрегиональных проектов в торгово-экономической сфере, промышленности, здравоохранении, культуре, образовании, охране окружающей среды и туризме.

В заявлении Министерства иностранных дел Азербайджана, опубликованном 8 ноября 2021 года на сайте ведомства, констатируется, что Баку считает нормализацию отношений с Ереваном основой своей стратегии будущего страны. Возникли новые реальности, и каждый должен осмыслить и принять эти реальности. Армения должна выбирать между региональным сотрудничеством и незаконными и необоснованными территориальными претензиями к своим соседям. В Азербайджане ведется также расследование о действиях армянской стороны, следователи выявляют виновных в военных преступлениях, включая разрушение городов, культурные и экологические преступления.

Армянская сторона, наряду с заявлениями о мирном завершении переговорного процесса, продолжает делать противоречащие данной тенденции высказывания. Премьер-министр Н. Пашинян констатировал, что в основе переговоров по карабахскому урегулированию должен лежать принцип «сецессия ради спасения». В то же время, по мнению замминистра иностранных дел Армении Ваге Геворкяна, Баку придерживается политики искоренения армян на подконтрольных ему территориях, поэтому Ереван должен продвигать тезис «признание ра-

ди спасения» в переговорах по Нагорному Карабаху. То, что произошло во время двух войн, свидетельствует о том, что армяне Нагорного Карабаха не могут жить в составе Азербайджана, поэтому данную идею следует продвигать во время переговоров и дискурса.

Еще более радикально высказалась член Конгресса Грейс Наполитано, призвавшая Соединенные Штаты официально признать независимость Нагорного Карабаха, заявив, что Свобода нужна Карабаху даже не столько ради исторической справедливости, столько ради права на жизнь его граждан, ибо свобода - это единственный выход для населения Карабаха. Граждане этой республики воплощают слова Декларации о независимости: законная власть правительства исходит из согласия граждан. Можно заявить о многотысячной истории Арцаха как неотъемлемой части Армении, но в условиях обстрелов мирных жителей со стороны Азербайджана, Турции и их сторонников по ИГИЛ, свобода – это единственный способ выжить для Арцаха [13].

Просто удивительно, как в несколько фраз автор высказывания умудрилась втиснуть совершенно не сопоставивые и логически не связанные понятия: Декларацию о независимости, которую она трактует только в интересах армян, пресловутую «тысячелетнюю историю», к которой с равным успехом апеллируют и азербайджанцы, а также Турцию и даже ИГИЛ. Подобные тенденциозные высказывания ни в коей мере не могут способствовать стабилизации обстановки и установлению мира в Южнокавказском регионе.

В связи с этим следует констатировать, что между Азербайджаном и Арменией продолжает существовать обширный круг проблем и не до конца урегулированных противоречий, и сложно прогнозировать, какой характер они приобретут со временем. В позициях сторон существуют серьезные расхождения, которые затрудняют возможности выхода на конструктивный диалог с взаимным учетом чувствительных моментов в национальных интересах.

Подтверждением этого явилось новое обострение в зоне армяно-азербайджанского конфликта и дальнейшее возрастание напряженности в отношениях Баку и Еревана. 16 ноября произошли военные столкновения, и вооруженные отряды обеих сторон вступили в бой. Сведения о начале вооруженного конфликта, как бывало и ранее, были противоречивы. По информации армянского издания, бой начался после того, как азербайджанские военные потребовали от армянской стороны покинуть позиции в районе горы Цицернакар. В Министерстве обороны Азербайджана, со своей стороны, утверждают, что боевые действия были спровоцированы вооруженными силами Армении.

Следует признать, что все подписанты трехстороннего соглашения выполнили возложенную на них роль: Никол Пашинян сразу же после обострения ситуации провел телефонный разговор президентом В. Путиным, а после переговоров с Азербайджаном вся военная активность была прекращена. По мнению директора Центра геополитических исследований Института инновационного развития, армянская прозападная оппозиция использует существующую ситуацию с свих целях, пытаясь вызвать негатив в адрес России, ухудшить взаимоотношения с ней и втянуть в войну. Для скорейшего урегулирования ситуации между двумя конфликтующими республиками необходимо сконцентрироваться на ускорении процессов демаркации и делимитации границ, и при этом не принимать во внимание абсурдные заявления со стороны «провокаторов».

Представитель Госдепартамента США заявил, что в Вашингтоне призывают азербайджанскую и армянскую стороны прекратить боевые действия и возобновить субстантивные переговоры, в том числе под эгидой сопредседателей Минской группы ОБСЕ, для поиска всеобъемлющих решений всех неурегулированных вопросов, связанных с нагорно-карабахским конфликтом. Очень важно, что вместо набившего оскомину и ставшего привычным клише «решение статуса Нагорного Карабаха» употреблено более нейтральное «решение «неурегулированных вопросов», ибо очевидно, что после окончания тридцатилетней войны подобные вопросы не могут не существовать.

9 ноября 2021 года премьер-министр Армении Никол Пашинян и президент Азербайджана Ильхам Алиев выразили согласие установить прямой контакт на уровне глав Министерств обороны для предотвращения инцидентов на границе. Этому факту уделил внимание глава Евросоюза Шарль Мишель в

своем заявлении по итогам переговоров с лидерами обоих кавказских государств.

Возобновление боевых действий в районе армяно-азербайджанской границы стало поводом для серьезного беспокойства в Кремле, и ответственные государственные лица, в частности, пресс-секретарь президента России Д. Песков, заявил, что российская сторона продолжит посредничество в урегулирование отношений между Арменией и Азербайджаном. Параллельно с этим Россия и Азербайджан создают новый формат двустороннего сотрудничества. В Баку состоялось первое заседание российско- азербайджанского экспертного совета на тему «Российско-азербайджанское стратегическое партнерство как важный фактор развития и перспектив регионального сотрудничества на Южном Кавказе в постконфликтный период». Были подчеркнуты заинтересованность всех стран в урегулировании ситуации в Южнокавказском регионе и необходимость налаживания добрососедских отношений на постсоветском пространстве. Для обеспечения безопасности востребованы усилия российского миротворческого континента как гаранта соблюдения режима прекращения огня и безопасности мирного развития.

Перспективы дальнейшего развития армяно-азербайджанского мирного сотрудничества были рассмотрены на переговорах в Сочи, состоявшихся 26 ноября 2021 года в Сочи. На встрече, приуроченной к годовщине подписания президентом В. Путиным, президентом Азербайджана И. Алиевым и премьер-министром Армении Н. Пашиняном трехстороннего заявления по Карабаху, Баку и Ереван согласились создать механизмы демаркации и делимитации границ, при этом И. Алиев заявил о желании «перевернуть страницу противостояния с Арменией». По итогам встречи было принято три основных пункта: 1) создание механизмов демаркации и делимитации границы между двумя странами; 2) решение гуманитарных вопросов между Баку и Ереваном; 3) разработка экономических мер, в качестве первого шага – разблокировка транспортных коридоров. Российские миротворцы названы фактором стабильности в регионе. В настоящий момент это утверждение соответствует реальности, что позволило президенту Армении А. Саркисяну высказать мнение о том, что присутствие миротворцев РФ имеет огромное значение и для региональной политики, и для возможных переговоров о статусе Карабаха. Это высказывание можно расценить как еще одну попытку вернуться к вопросу, который фактически может стать катализатором начала нового потенциального противостояния двух южнокавказских государств.

Азербайджанский портал Radius акцентирует внимание на том, что Россия наращивает свое влияние в Нагорном Карабахе, намереваясь повторить там «донбасский сценарий». Убедительными признаками подготовки к его реализации является постоянное подчеркивание роли российских миротворцев и важности их пребывания в постконфликтном регионе. В связи с этим у азербайджанской стороны вызывает беспокойство назначение главой русской общины в Карабахе А. Бордого, выпускника российской академии ФСБ, который может восприниматься как второй И. Стрелков. В данный контекст вписывается и возрастающая активность по созданию «русского мира» в Карабахе, позволяющая сделать вывод о том, что Москва пытается применить в Азербайджане свои излюбленные рецепты. При этом российские политики уделяют недостаточно внимания тому важнейшему фактору, что Баку на основе международного права рассматривает Карабах как неотъемлемую территорию Азербайджана, и подчеркивает, что российские миротворцы, введенные в Карабах в 2020 году, находятся там временно [14].

Анализ сложных и противоречивых объективных реалий, сложившихся в Армении и Азербайджане после урегулирования Нагорно-Карабахского конфликта, настоятельные поиски компромиссов в мирном развитии армяно-азербайджанских отношениях имеют важное значение не только для стабилизации обстановки и дальнейшего поступательного развития всего Кавказского региона, но могут рассматриваться как неотъемлемая часть современного мирового геополитического процесса.

ალა ბიბილაშვილი

ახალი ყარაბაღი - ბრძოლა მშვიდობისათვის სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სომხეთისა და აზერბაიჯანში პოლიტიკური კონსტანტების ანალიზი სამმხრივი სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი აცხადებდა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში ცეცხლის და ყველა საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ და მიმართული იყო არსებული მრავალწლიანი კრიზისის სრულმასშტაბიანი და გრძელვადიანი დარეგულირებისაკენ. რუსეთმა დასავლეთის ორგანიზაციებსა და შუამავლებს მინსკის ჯგუფის სახით ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში ფაქტობრივად პასიური როლი მიანიჭა, რადგანაც მოლაპარაკებებში გეოპოლიტიკური აქტორების რაოდენობა მაქსიმალურად შესღუდა. ევროკავშირისთვის და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, მოდიფიცირებული გეოპოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით, ძირითადად მისაღებია სამხრეთ კავკასიის რეგიონში ჩამოყალიბებული სტატუს-კვო.

სომხეთისა და აზერბაიჯანის ურთიერთობების მშვიდობიანი განვითარების სფეროში კომპრომისების ძიება და შედეგის მიღწევა მნიშვნელოვანი ფაქტორია სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობისა და დემოკრატიის განვითარებაში და, შეიძლება, განიხილოს, როგორც თანამედროვე მსოფლიოს გეოპოლიტიკური პროცესის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი.

საკვანძო სიტყვები: *კონფლიქტების დარეგულირება, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, სომხეთი, აზერბაიჯანი.*

Литература:

1. https:// regnum.ru/ news/polit/3202738 html.
2. https://regnum. ru/news/polit/340542 html.
3. /regnum. ru/news/polit/ 3301526 htlm.
4. /regnum. ru/news/polit/33344265. html.
5. /regnum.ru/ news/3327371. htlm.
6. apsny.ge/2021/pol/16265463931.php.
7. //regnum.ru/news/polit.//3202738.html.
8. Kavkazru.press//»Кавказский рубеж», 2021, 30.08.
9. /ru.armenia. sputnik.fm/Karabakh/2020112625506721/
10. / report.az./ru/Karabakh.
11. //az.sputnik news.ru/politics/20210719427489697. html.
12. /radiosputnik.ria.ru/20210927/ aliev-1751963473.html.
13. /ru. armeniasputnik.am./2021/1021/
14. «Русский еврей», 2021, 12.05. /rusjev.net./2021/12.05/

ლაშა ხოზრევანიძე

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი: წარსული, აწმყო და მომავალი

1993 წელი – დრო, როცა ისრაელი და პალესტინა ძალიან ახლოს იყვნენ მშვიდობიანი გადაწყვეტილების შემუშავებასთან. საინტერესოა, რა მოხდა ამის შემდეგ ისეთი, რამაც მდგომარეობა იმდენად გაუარესა, რომ მათ შორის ომი დღემდე მიმდინარეობს? აღნიშნული სტატია ეხება მცირე კვლევას და მოგაწვდით ინფორმაციას ისრაელისა და არაბული სამყაროს დაპირისპირების განვითარების შესახებ. სტატიაში ასახულია ყველაზე მნიშვნელოვანი და გარდამტეხი მოვლენები კონფლიქტის, რომელსაც დასასრული სამწუხაროდ ჯერ ისევ არ უჩანს.

***საკვანძო სიტყვები**: ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი, რელიგია, თვითგამორკვევა.*

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის შესახებ ყველაზე გავრცელებული მითი არის ის, რომ ის საუკუნეების განმავლობაში გრძელდება და რომ ეს ყველაფერი ძალიან ძველ რელიგიურ სიძულვილს ეხება.

სინამდვილეში, სანამ კონფლიქტში რელიგური ფაქტორები იჩენდა თავს, იგი ეხებოდა ორ თვითგამორკვევის მოძრაობას – ებრაულ-სიონისტურ პროექტსა და პალესტინის ნაციონალისტურ პროექტს, რომლებიც აცხადებენ პრეტენზიას ერთსა და იმავე მიწაზე. კონფლიქტის დაწყების თარიღად შეგვიძლია მივიჩნიოთ 1900-იანი წლების დასაწყისში.

რაც შეეხება რელიგიურ ფაქტორებს: ორივე მხარე თავიანთ სიმართლეს სწორედ რელიგიური სარჩულით ხსნის. მაგალითად, ებრაელებს სჯეროდათ, რომ „თავიანთი მიწა“ - ისრაელი ღმერთმა მოსეს, აბრაამს და მის შთამომავლობას გადასცა. აღნიშნულმა მიწამ, ბიბლიის თანახმად, საკმაოდ დიდი ისტორია გამოიარა. იგი მოექცა მიდიის, სპარსეთის და რომის იმპერიის კლანჭების ქვეშ.

მას შემდეგ, რაც ისრაელი რომმა დაიპყრო, ებრაელები იძულებულები დარჩნენ დაეტოვებინათ საკუთარი ტერიტორია და სხვაგან დასახლებულიყვნენ. საკუთრივ ისრაელის ტერიტორიაზე დასახლებას იწყებენ ეთნიკურად არაბები, რომელთა რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. საგულისხმოა, რომ ებრაელებს ყოველთვის წამდათ, რომ თავიანთ მიწას აუცილებლად დაიბრუნებდნენ, სწორედ აქედან წარმოიშვა „სიონიზმი“, რომლის მთავარი მიზანი ებრაელთა მიერ ერთიანი ტერიტორიის ჩამოყალიბება იყო.

ეთნიკურად არაბებს დიდი ბრიტანეთის მიერ ისრაელის ამჟამინდელი ტერიტორიის ექსპანსიის გამო უწევდათ დიდ ბრიტანეთში გადაცხოვრება. მათ ადგილს იკავებდნენ ებრაელები. ცხადია, მათ მომრავლებას უმოქმედოთ არ შეხვდებოდნენ არაბები. სწორედ, მცირე კონფლიქტებით დაიწყო ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი.

კონფლიქტის განვითრების სტადიები

➢ **1948-1949: არაბეთ-ისრაელის ომი**

1947 წლის ნოემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ხმა მისცა პალესტინის ბრიტანული მანდატის ებრაულ და არაბულ სახელმწიფოდ დაყოფას. პალესტინაში ებრაელებსა და არაბებს შორის შეტაკებები თითქმის მაშინვე დაიწყო, როდესაც ბრიტანული ჯარები ემზადებოდნენ პალესტინიდან გასასვლელად, კონფლიქტი განაგრძობდა გამწვავებას, განსაკუთრებულ პიკს კი 1948 წლის 14 მაისს მიაღწია, როცა ისრაელი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

მეორე დღეს არაბულმა ძალებმა ეგვიპტიდან, ტრანსიორდანიიდან (იორდანია), ერაყიდან, სირიიდან და ლიბანიდან დაიკავეს ტერიტორიები სამხრეთ და აღმოსავლეთ პალესტინაში. ეს ტერიტორიები არ იყო განაწილებული ებრაელებისთვის გაერო-ს მიერ პალესტი-

ნის დაყოფით. კოალიციამ აიღო აღმოსავლეთ იერუსალიმიც, მათ შორის პატარა ებრაული კვარტალი.

იმავდროულად, ისრაელელებმა მოიპოვეს კონტროლი იერუსალიმისკენ მიმავალ მთავარ გზაზე, იეჰუდას მთებით და წარმატებით მოიგერიეს არაბული თავდასხმები. 1949 წლის დასაწყისისთვის ისრაელელებმა მოახერხეს მთელი ნეგევის ოკუპაცია ეგვიპტე-პალესტინის ყოფილ საზღვრამდე, გარდა ღაზას სექტორისა. 1949 წლის თებერვლიდან ივლისამდე, ისრაელსა და თითოეულ არაბულ სახელმწიფოს შორის ცალკეული ზავის შეთანხმების შედეგად, მათ შორის დროებითი საზღვარი დაფიქსირდა.

ისრაელში ომის ამ პირველ სტადიას მოიხსენიებენ, როგორც ისრაელის დამოუკიდებლობის ომის, რაც შეეხება არაბულ სამყაროს, აქ მას ეწოდა ნაკბა ანუ კატასტროფა, რაც გამოწვეული იყო ომის შედეგად ლტოლვილთა და დევნილთა დიდი რაოდენობის გამო.

➢ **1948-1966 წლები:**

აღნიშნული პერიოდი ცნობილია უამრავი სასტიკი დაპირისპირებითა და კონფლიქტის კიდევ უფრო გამწვავებით. თუმცა განსაკუთრებული ყურადღება მინდა გავამახვილო **სუეცის კრიზისზე.** დაძაბულობა კვლავ გაიზარდა ეგვიპტის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის, მტკიცე პანარაბული ნაციონალისტის ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად. ნასერმა მტრული პოზიცია დაიკავა ისრაელის მიმართ. 1956 წელს ნასერმა მოახდინა სუეცის არხის ნაციონალიზაცია, რომელიც ძირითადად ფრანგულ და ბრიტანულ კონცერნებს ეკუთვნოდა. 1956 წლის ოქტომბერში ისრაელი ეგვიპტის სინაის ნახევარკუნძულზე შეიჭრა. ხუთ დღეში ისრაელის არმიამ დაიპყრო ღაზა, რაფახი და ალარიში – აიყვანეს ათასობით ტყვე – და დაიკავა ნახევარკუნძულის უმეტესი ნაწილი სუეცის არხის აღმოსავლეთით. ისრაელებს მაშინ შეეძლოთ გაეხსნათ საზღვაო კომუნიკაციები აკაბას ყურეში. დეკემბერში, ინგლის-საფრანგეთის ერთობლივი ინტერვენციის შემდეგ, ამ მხარეში გაეროს საგანგებო ძალები განლაგდა. ისრაელის ძალებმა უკან დაიხიეს 1957 წლის მარტში.

მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტური ძალები დამარცხდნენ ყველა ფრონტზე, სუეცის კრიზისი, არაბების მიერ ეგვიპტის გამარჯვებად აღიქმება. ეგვიპტემ მოხსნა ელატის ბლოკადა. სინაის ნახევარკუნძულზე გაეროს ბუფერული ძალები განთავსდა.

➢ **1967-1973 წლები:**

1967 წლის 5-10 ივნისს, არაბებისა და ებრაელების ძალები მესამედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამ დაპირისპირებას ეწოდა **ექვსდღიანი ომი.** 1967 წლის დასაწყისში სირიამ გაამლიერა ისრაელის სოფლების დაბომბვა გოლანის სიმაღლეებზე მდებარე პოზიციებიდან. როცა, ისრაელის საჰაერო ძალებმა შურისძიების მიზნით ჩამოაგდეს ექვსი სირიული გამანადგურებელი, ნასერმა მოახდინა ძალების მობილიზება სინას საზღვართან, ის კვლავ ცდილობდა ელატის ბლოკირებას. 1967 წლის მაისში ეგვიპტემ ხელი მოაწერა ორმხრივ თავდაცვის პაქტს იორდანესთან.

ისრაელმა უპასუხა ამ აშკარა არაბთა სწრაფვას ომისკენ მოულოდნელი საჰაერო თავდასხმის მოწყობით, რომელმაც გაანადგურა ეგვიპტის საჰაერო ძალები ადგილზე. ისრაელის ქვედანაყოფებმა სირიის ძალები გოლანის სიმაღლეებიდან განდევნეს, ეგვიპტიდან აიღეს კონტროლი ღაზას სექტორსა და სინას ნახევარკუნძულზე და განდევნეს იორდანიის ძალები დასავლეთ სანაპიროდან. რაც მთავარია, ისრაელებს დარჩათ იერუსალიმი ერთპიროვნული კონტროლის ქვეშ.

ამ პერიოდში აუცილებლად უნდა გამოვყოთ **იომ-ქიფურის ომი.** იომ-ქიფურის ომი დაიწყო 6 ოქტომბერს 1973 წელს. ომში დაპირისპირებული მხარეები გახლდათ ისრაელისა და ეგვიპტე-სირიის კოალიციები. ომი დაიწყო გამოუცხადებელი შეტაკებით ეგვიპტისა და სირიის მიერ სინაისა და გოლანის მაღლობებზე, რომელიც ისრაელის მიერ იქნა ექვსდღიანი ომის დროს დაპყრობილი, რომელიც, თავის მხრივ, ეგვიპტის მიერ იქნა წამოწყებული ტირანის სრუტის ბლოკადითა და სინის მთაზე სამხედრო დანადგარების დამონტაჟებით.

არაბული სამყარო, რომელიც შეურაცხყოფილი იყო ექვსდღიან ომში დამარცხებით, ფსიქოლოგიურად დაუძლურებული ჩანდა. ამ გარემოებამ სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესის დაწყება შესაძლებელი გახადა. კემპ-დევიდის შეთანხმებამ შესაძლებლობა მისცა ეგვიპტესა და ისრაელს ურთიერთობების ნორმალიზება მოეხდინათ, რაც პირველი შემთხვევა იყო, როდესაც არაბულმა ქვეყანამ ისრაელი სცნო.

➢ **1982 წელი: ლიბანის ომი**

1982 წლის 5 ივნისს, სინაიდან ისრაელის სრული გასვლიდან ექვს კვირაზე ნაკლებ დროში, ისრაელებსა და პალესტინელებს შორის და-

ძაბულობის ზრდამ გამოიწვია ისრაელის დაბომბვა ბეირუთისა და სამხრეთ ლიბანის მიმართულებით, სადაც პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას (PLO) ჰქონდა მრავალი დასაყრდენი. მეორე დღეს ისრაელი შეიჭრა ლიბანში და 14 ივნისს მისმა სახმელეთო ძალებმა მიაღწიეს ბეირუთის გარეუბანამდე, რომელიც ალყაში მოქცეული იყო, მაგრამ ისრაელის მთავრობა დათანხმდა შეაჩერა მისი წინსვლა და დაიწყო მოლაპარაკებები PLO-სთან. დიდი შეფერხების და დასავლეთ ბეირუთის მასიური დაბომბვის შემდეგ, PLO-მ ქალაქის ევაკუაცია მოახდინა.

საბოლოოდ, ისრაელის ჯარები გაიყვანეს დასავლეთ ბეირუთიდან და ისრაელის არმია მთლიანად გავიდა ლიბანიდან 1985 წლის ივნისისთვის.

- **2006 წელი: მეორე ლიბანის ომი**

2006 წლის ივლისში ჰეზბოლამ დაიწყო ოპერაცია ისრაელის წინააღმდეგ, რათა ზეწოლა მოეხდინა ქვეყანაზე ლიბანელი ტყვეების გასათავისუფლებლად. ისრაელმა დაიწყო შეტევა სამხრეთ ლიბანში დატყვევებული ჯარისკაცების დასაბრუნებლად. ომი 34 დღე გაგრძელდა, მაგრამ ათასზე მეტი ლიბანელი დაიღუპა და მილიონზე მეტი დევნილი დარჩა. რამდენიმე არაბულმა ლიდერმა გააკრიტიკა ჰეზბოლა კონფლიქტის წაქეზებისთვის. მიუხედავად ამისა, ჰეზბოლას უნარმა, შებრძოლებოდა ისრაელის თავდაცვის ძალებს ჩიხში, მოწონება დაიმსახურა მთელ არაბულ სამყაროში.

რა ხდება დღეს?

დღეს დაძაბულობა მაღალია აღმოსავლეთ იერუსალიმში, ღაზასა და დასავლეთ სანაპიროზე. ღაზას მართავს პალესტინის შეიარაღებული დაჯგუფება ჰამასი, რომელიც არაერთხელ ებრძოდა ისრაელს. ისრაელი და ეგვიპტე მჭიდროდ აკონტროლებენ ღაზას საზღვრებს, რათა შეაჩერონ იარაღის მიწოდება ჰამასისთვის.

პალესტინელები ღაზაში და დასავლეთ სანაპიროზე ამბობენ, რომ ისინი განიცდიან ისრაელის ქმედებებსა და შეზღუდვებს. ისრაელი აცხადებს, რომ ის მხოლოდ პალესტინის ძალადობისგან თავის დასაცავად მოქმედებს.

ბოლოს ღაზას სექტორში მნიშვნელოვანი დაპირისპირებები 2021 წლის მაისში მოხდა. არეულობა 7 მაისს დაიწყო ისრაელის პოლიციისა და პალესტინელი აქტივისტების დაპირისპირებით. ამას დაემატა ისიც, რომ ებრაელები ითხოვდნენ პალესტინელების განდევნას შეიხ ჯარას უბნიდან. საპასუხოდ თავისთავდ პალესტინელებს ჰქონდათ თავიანთი პრეტენზიები და არ სურდათ თავიანთი სახლების დატოვება. დაიწყო მათი მხარდაჭერა. ჰამასმა იერუსალიმს მოთხოვა მეჩეთის და აღმოსავლეთ იერუსალიმის მიმდებარე ტერიტორიების დღის ბოლომდე დატოვება, რაც არ შესრულდა და საპასუხოდ მოჰყვა იერუსალიმში გაშვებული რაკეტები. ეს ყველაფერი მოხდა 10 მაისს.

დასკვნის სახით:

სტატიიდან ირკვევა, რომ ისრაელისა და არაბული სამყაროს კონფლიქტი წინა საუკუნის პირმშოა. იგი ისევე არ დაწყებულა „გუშინ“, როგორც შესაძლოა დასრულდეს „ხვალ“. როგორც ვხედავთ, დასრულების მიზეზი ვერ აღმოჩნდა მხოლოდ სისხლიანი დაპირისპირებები. ვფიქრობ, საჭიროა რაღაც გარდამტეხი, ისეთი რაც დღევანდელ საერთაშორისო სისტემას მოერგება და კონფლიქტს ჩაახშობს.

ამრიგად, ისრაელისა და პალესტინის კონფლიქტის არსი ატარებს ეთნოტერიტორიულ ხასიათს. პალესტინასა და ისრაელს შორის კონფლიქტი ბოლო პერიოდში საკმაოდ გაღრმავდა. გარდა ამისა ის გასცდა რეგიონის ფარგლებს, ამის უმთავრესი მიზეზი, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის გადაწყვეტილება მგონია, რომლის მიხედვითაც იერუსალიმი აღიარია ისრაელის დედაქალაქად, გამოთქვა იქ საელჩს გადატანის აუცილებლობა და ამისკენ მოუწოდა დანარჩენ ქვეყნებსაც. აღნიშნულმა სიტუაციის უფრო მეტად დაძაბვა გამოიწვია. რა მოხდება ხვალ? ეს არავინ იცის. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და იმედი ვიქონიოთ, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობას ისევე შეუძლია ფეხის მოკიდება, როგორც ომს.

LASHA KHOZREVANIDZE

ISRAEL-PALESTINE CONFLICT: PAST, PRESENT AND FUTURE

Summary

1993 - A time when Israel and Palestine came very close to reaching a peaceful solution. I wonder what happened after that that made the situation so bad that the war between them is still going on? This article is a small study and will provide you with information about the development of the confrontation between Israel and the Arab world. The article highlights the most important and turning points in the conflict, the end of which unfortunately has not yet been seen.

The most common myth about the Israeli-Palestinian conflict is that it has been going on for centuries and that it all has to do with very old religious hatred.

In fact, before the religious factors emerged in the conflict, it referred to two self-determination movements - the Jewish Zionist project and the Palestinian nationalist project, which claim the same land. The date of the beginning of the conflict can be considered as the beginning of the 1900s.

As for the religious factors: both sides explain their truth through a religious pretext. The Jews, for example, believed that "their land" - Israel - was given by God to Moses, Abraham, and his descendants. According to the Bible, this land has a long history. He fell under the clutches of the Medes, Persians, and Roman Empires.

After the conquest of Israel by the Romans, the Jews were forced to leave their territory and settle elsewhere. Ethnic Arabs began to settle in the territory of Israel itself, the number of which was growing more and more. It is noteworthy that the Jews always hoped that they would regain their land, hence the origin of "Zionism", whose main goal was the establishment of a united territory by the Jews.

Ethnic Arabs had to relocate to the UK due to the expansion of the current territory of Israel by the UK. They were replaced by Jews. Clearly their proliferation would not have been met by the Arabs. It was with small conflicts that the Israeli-Palestinian conflict began.

Key words: *Israel-Palestine conflict, religion, self-determination.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე რ., „ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა“, შესწორებული გამოცემა, თბ., 2003.
2. Палестино-израильский конфликт - краткая история; https://news.un.org/ru/story/2021/05/1403232.
3. ბალბა გ., „სიტუაცია ისრაელსა და პალესტინას შორის, ახალი ხედვები“, მადრიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, 2022. https://relacionateypunto.com/ru/.
4. ბრაუნი ბ., „ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი“, 2019.
5. კინგსლი პ., „ისრაელ-პალესტინის ომის ახალი რეალობა“, 2019.

ედიშერ ჯაფარიძე

კოვიდ პანდემია და აგრარული პოლიტიკის განვითარების ახალი ტენდენციები აჭარის მაგალითზე

სოფლის მეურნეობა და აგრარული პოლიტიკის განვითარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტული სფეროა და წარმოადგენს სოფლად დასახლებული მოსახლეობის შემოსავლების ერთ-ერთ ძირითად წყაროს, ამასთან მისი ძირითადი ფუნქციაა რეგიონში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც დამოკიდებულია ადგილობრივი პროდუქციის წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვაზე, ნიადაგის პროდუქტიულობის ამაღლებასა და აგრარულ სექტორში დასაქმებულების ცოდნის გაფართოებაზე. ნაშრომში განხილულია აგრარული პოლიტიკის განვითარების ახალი ტენდენციები და სამეურნეო მიმართულების ახალი დარგების მოცვის ნარგავების გაშენების ტენდენციები აჭარის რეგიონში, რომელმაც მნიშვნელოვნად ჩაანაცვლა ჩაისა და ციტრუსის პლანტაციები, რაც დიდი გავლენა იქონია ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: *აგრარული პოლიტიკა, კოვიდ პანდემია, ევროკავშირის პროგრამა, საქართველო და ევროკავშირი.*

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებელ საქართველოში სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადდა, როგორც ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისა და თვითმდგრადობისთვის მნიშვნელოვანი სექტორი, რაზეც სახელმწიფოს მიერ გაზრდილი დაფინანსება და სწრაფი სტრუქტურული და საკანონმდებლო რეფორმები მეტყველებს. ამასთან, ევროკავშირი საქართველოს აგრარული მიმართულებისა და ზოგადად სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ევროპის სამეზობლო პროგრამით (ENPARD) 2013 წლიდან ეხმარება, ხოლო 2014 წელს კი ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე“ (DCFTA) ამოქმედდა, რომელმაც საქართველოში წარმოებული პროდუქცია ევროპულ ბაზარზე ხელმისაწვდომი გახადა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტია ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისა და განვითარებისათვის.

ევროკავშირის პროგრამის ENPARD-ის ძირითადი მიზანი იყო საქართველოში საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული სექტორული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებისათვის მხარი დაეჭირა. საქართველოს მთავრობამ 2015 წელს ევროკავშირის დაფინანსებით ENPARD-ის ფარგლებში სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგია პირველად შეიმუშავა, სექტორის განვითარებისთვის ძირითადი პრიორიტეტები დასახა, რომელიც ENPARD-ის პირველი, მეორე ფაზით განხორციელდა. მესამე ფაზა ითვალისწინებს სოფლად ეკონომიკური საქმიანობის გამრავალფეროვნებას, ტურიზმის ზრდას, ბუნებრივი რესურსების მდგრადი განვითარებას და სოფლად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. მესამე ფაზის ფარგლებში მთავრობამ ასევე დაამტკიცა სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია, რომელიც მიღებულ გამოცდილებას ეფუძნება და გამოკვეთილ ხარვეზებს აღმოფხვრის. ხოლო მეოთხე ფაზა კვლავ გაგრძელდება 2020-2024 წლამდე, რომელიც ხელს შეუწყობს მოწყვლადი რეგიონებისა და ოჯახების ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციას [2].

ევროკავშირის სპეციალური პროგრამის ფარგლებში განხორციელდა აჭარაში ისეთი განსაკუთრებული დარგის განვითარება, როგორიცაა ლურჯი მოცვის გაშენება, რომელიც ჩაის პლანტაციები ჩაანაცვლა და დღეს ლურჯი მოცვი მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს

წამოადგენს აჭარის რეგიონისთვის. ჩვენ გამოვიკვლიეთ და შევისწავლეთ თუ რა ნაბიჯები იქნა ამ მიმართულებით გადადგმული აჭარის რეგიონში და რატომ გახდა მოწინავე სოფლის მეურნეობის ეს მიმართულება საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2012 წლიდან მიზნად დაისახა სწრაფი განვითარების კომპლექსური მიდგომა, რომელიც ითვალისწინებდა დარგში პროგრამული მიმართულების გაძლიერებას, ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების დანერგვას და მომგებიანი წარმოების განვითარებას. შედეგად შეიქმნა დარგისა და მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული პროგრამები, რომლის ძირითადი მისია იყო ფერმერთა ინტერესის გამოღვიძება და მათი საქმიანობის წახალისება, რაც პირველ ეტაპზე შესანიშნავად იქნა შესრულებული. ზუსტად ამ სტრატეგიის ნაწილში შეიქმნა შემდეგი პროგრამები:

1. რეგიონში მოქმედი საოჯახო მეურნეობების ე.წ წვრილი და საშუალო ფერმერული მეურნეობების განვითარება;
2. ბაზარზე ორიენტირებული მაღალშემოსავლიანი მრავალწლიანი კულტურებით ბაღების გაშენება:
3. რეგიონში ბოსტნეულის არასეზონური წარმოების მიზნით სასათბურე სექტორის განვითარება;
4. ფერმერების წარმოების ტექნოლოგიების გადაიარაღება ახალი ტექნოლოგიებით;
5. ხარისხიანი და სერტიფიცირებული ნერგების წარმოების ხელშეწყობა;
6. ფერმერებზე და აგრო მეწარმეებზე ხარისხიანი საკონსულტაციო მომსახურეობის მიწოდების მიზნით ექსტენციის კიდევ უფრო განვითარება.

აღნიშნულმა პროგრამებმა გაზარდა ინტერესი სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მხრიდან სამინისტროს საქმიანობის მიმართ. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2013-2015 წწ. პერიოდში განხორციელებული პროგრამების გამოცდილების გათვალისწინებით დაიწყო 2015 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამებიც მაგალითად, „დანერგე მომავალი“, რომელიც მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობის პროგრამის ანალოგია, ასევე „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამა შექმნილია აჭარაში განხორციელებული „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების“ პროგრამაზე დაყრდნობით და სხვ. სამინისტროს მიერ განხორციელებული პოლიტიკა წარმატებით პასუხობდა ყველა იმ გამოწვევებს, რომელიც აგროსექტორის წინაშე იდგა და შეიძლება ითქვას მაგალითის მიმცემად ჩამოყალიბდა ქვეყნის მასშტაბით. თითოეული პროგრამის თუ ქვე-პროგრამის განხორციელება მიმართული იყო კონკრეტული მიზნისაკენ, რომელიც მიღებულ შედეგში აისახებოდა. მიზანს კი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს, ხოლო სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება - ერთ-ერთ საშუალებას. აღნიშნულის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ლურჯი მოცვის ბაღების ინტენსიური გაშენება აჭარის რეგიონში, რომელიც 70%-იანი თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში 2013 წლიდან დაიწყო და სადღეისოდ აღნიშნული კულტურის ფართობი და წარმოების მასშტაბი სტაბილურად იზრდება. ლურჯი მოცვის უნიკალური თვისებების გამო იზრდება მსოფლიო ბაზარზე მისი მოთხოვნაც. საქართველოში მოყვანილი 668 ტონა მოცვი, რომელიც უმეტესი ნაწილი აჭარის რეგიონიდანაა ევროპის და დიდი ბრიტანეთის ბაზარზე წელს პირველად შევიდა, მისი ექსპორტი ხორციელდება რუსეთშიც, რომლის ღირებულება რუსეთში 1კგ. ლურჯი მოცვი 3,5 ევრო ღირს, ევროკავშირის ბაზარზე კი მისი ფასი 4 -დან 10 ევრომდე მერყეობს. მაისში, როცა ევროპაში მოცვი ჯერ კიდევ არ არის შემოსული, ჩვენთან კი მოსავლის პირველი ეტაპი იკრიფება და მისი 1 კგ. ფასი 10 ევროა, როცა მოსავალი კარგად შემოდის, მისი ფასი 4-6 ევროზე ჩამოდის. თუმცა ევროკავშირს რუსეთთან შედარებით უფრო მკაცრი მოთხოვნები აქვს. ევროპის ბაზარი ლურჯი მოცვის რომელიმე კონკრეტული ჯიშის (მაგ მისტის) ერთი ზომისა და კალიბრის მოწოდებას ითხოვს. რუსეთში კი პროდუქციის „მიქსი“ გაგზავნილ საექსპორტო პარტიაში სხვადასხვა ჯიშის და სხვადასხვა ზომის მოცვი იყო შერეული. ასეთ შერეულ პარტიას ევროპის ბაზარი არ მიიღებს. მოცვის ბაღების გაშენება იაფი საქმე არ არის. ლურჯი მოცვის 1ჰ-ზე გაშენებას დაახლოებით 17 ათასი ლარი სჭირდება, მორწყვისთვის აუცილებელია წვეთოვანი სისტემის გაკეთება, რაც დამატებით ფინანსებს მოითხოვს. თუმცა საქმიანობის სწო-

რად დაგეგმვასა და კარგი მენეჯმენტის პირობებში მოცვის პლანტაცია მომგებიანია და მას მცირემიწიანი ფერმერებისთვის სერიოზული ეკონომიკური სარგებლის მოტანაც შეუძლია. ლურჯი მოცვის კულტურა ფერმერებს შესაძლებლობას აძლევს 1 კვ.მ მიწის ფართობიდან მიიღონ 5-6 ჯერ მეტი შემოსავალი სხვა ტრადიციულ კულტურებთან შედარებით.

საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოდან სულ ექსპორტირებულია 668 ტონა მოცვი, ხოლო ქვეყანაში იმპორტირებული მოცვის რაოდენობამ კი იმავე წელს 19,5 ტონა შეადგინა. ქართული მოცვის წამყვანი საექსპორტო ბაზრები 2020 წელს შეადგინა: რუსეთი (632 ტონა), პოლონეთი (12 ტონა), სომხეთი (10 ტონა), არაბთა გაერთიანებული საამიროები (6,5 ტონა), უკრაინა (5,5 ტონა), ყატარი (1,5 ტონა). ოფიციალური სტატისტიკა საქართველოში წარმოებული მოცვის რაოდენობის შესახებ ამ დროისთვის არ მოიპოვება. თუმცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, 2020 წლის მდგომარეობით ავტონომიურ რესპუბლიკაში მოცვი სულ 106 ჰექტარზეა გაშენებული და 2020 წელს რეგიონში 147 ტონა ლურჯი მოცვი იქნა წარმოებული. სამინისტრო წლების განმავლობაში ხელს უწყობს ლურჯი მოცვის კულტურის განვითარებას, კერძოდ, 2018-2021 წწ-ში სამინისტროს მიერ ფერმერებზე გაცემულია სულ 47000-მდე ძირი მოცვის ნერგი, სამინისტროს საგრანტო პროექტების ფარგლებში დაფინანსებულია მოცვის მწარმოებელი 3 საწარმო, რომელიც აიოლებს პროდუქციის ადგილზე წარმოებას.

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ კარგად განხორციელდა ლურჯი მოცვის კულტურის ადაპტაცია-აკლიმატიზაცია აჭარის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში და სამინისტროს მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ მათი შეგუება, განვითარება და მსხმოიარობა ადგილობრივ პირობებში იმ მორფოლოგიურ ნიშან-თვისებებს უახლოვდება, რომლებსაც ლურჯი მოცვის ჯიშები ავლენენ სხვა განვითარებულ ქვეყნებში.

შედეგად რეგიონში გაჩნდა სრულიად ახალი საექსპორტო პოტენციალის კულტურა (მათ შორის ევროკავშირში), რომელმაც უკვე გასული წლის მონაცემებით 2.5 მილიონი ლარი შემოიტანა ფერმერულ მეურნეობებში ექსპორტიდან.

ბუნებრივია, აღნიშნული მაჩვენებლების მზარდი დინამიკა შენარჩუნებული იქნება მომავალი წლების მიხედვით პლანტაციების ფართობების და ასაკის მაჩვენებლების ზრდის პარალელურად, სამინისტრო კი კვლავაც ინტენსიურად აგრძელებს ლურჯი მოცვის პროდუქციის წარმოების, რეალიზაციისა და ექსპორტის მხარდაჭერას.

ლურჯი მოცვის პარალელურად სამინისტროს პროგრამებით წარმატებით ხორციელდება აჭარაში სხვა მაღალრენტაბელური კულტურების წარმოებაც, როგორებიცაა: ჟოლო, მაყვალი, ვაზი, ჩანდლერის კაკალი და სხვა ხეხილოვანი კულტურები. ასევე მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა მეციტრუსეობის დარგში არსებული ძველი ამორტიზირებული ნარგავების განახლების მიმართულებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციის მიზნით, დაიწყო რეგიონის დაბლობი ზონისათვის ახალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ფუნქციის მინიჭება, ამ მხრივ ზუსტად იქნა შეფასებული სამინისტროს მხრიდან არსებული პოტენციალი და დღეის მდგომარეობით სასათბურე მეურნეობების განვითარების მიზნით სამინისტროს მხრიდან დაფინანსებულია 100 მეტ ფერმერთან 80 000 კვ.მ ფართობის მცირე, საშუალო და მსხვილი სასათბურე მეურნეობის მშენებლობა, რომელიც უახლოეს მომავალში წარმოადგენს იმპორტის ჩანაცვლებისა და სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვან საკითხს.

სათბურში წარმოების ადგილობრივი სიმძლავრეების ზრდის შედეგად შესაძლებელი იქნება იმპორტირებული ბოსტნეულის ჩანაცვლება და ღია გრუნტის მებოსტნეობასთან შედარებით, მოსავლიანობის თავდაპირველად 3-5-ჯერ, ხოლო შემდგომში 10-12-ჯერ გაზრდა.

თუმცა, Covid პანდემიურმა გამოწვევებმა და საქართველოს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა, შეიძლება ითქვას, დიდი ზიანი მიაყენა აგრარულ სფეროსაც.

კოვიდ პანდემიამ შეაფერხა ბანკების მიერ სესხების გაცემა, ადგილობრივი ბოსტნეულის და პროდუქციის რეალიზაცია, სასოფლო-სამეურნეო სერვისებზე წვდომა, გაუფასურდა ადგილობრივი ვალუტა, არსებული შეზღუდვების გამო გართულდა პროდუქციის იმპორტ - ექსპორტი, გაიზარდა ფასები და ა.შ. [3].

ფერმერთა ასოციაცია, რომელმაც ფერმერებისა და სოფლის მეურნეობაზე კოვიდ-19-ის გავლენის შესახებ პირველი გამოკვლევა მოამზადა, მთავრობას რეკომენდაციებითაც მართავს, კერძოდ: ფერმებზე გაიცეს იაფი ანუ უპროცენტო სესხები, უზრუნველყოფილ იქნეს სასოფლო-სამეურნეო სერვისებზე წვდომა, მათ შორის, სათესლე მასალასა და მცენარეთა დაცვის საშუალებებზე, დაინერგოს საგრანტო პროექტები მეცხოველეობის დარგის განვითარებისათვის, დაწესდეს სხვადასხვა საგადასახადო შეღავათები და სხვა (ალადაშვილი 2020) [1].

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გამოცხადებული ანტიკრიზისული გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი, სოფლის მეურნეობაზე ზრუნვას დაეთმო და შესაბამისად უკვე არსებულ სახელმწიფო პროგრამებს და შეღავათებს დაფინანსება დაემატა, რამაც სოფლის მეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაც გაზარდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დასახმარებლად პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად იწყებენ 9 მილიონი ლარის ღირებულების საგრანტო პროგრამას, სადაც განხორციელდება რვა მუნიციპალიტეტში: ახალქალაქში, ბორჯომში, დედოფლისწყაროში, თეთრწყაროში, ლაგოდეხში, ქედაში, ხულოსა და ყაზბეგში, რომელიც ხელს შეუწყობს არაფერმერული ბიზნესის განვითარებას, ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას, კლიმატის ცვლილების შერბილებას და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკურ შესაძლებლობების გაზრდას.

აჭარის ხელისუფლების საქმიანობა მიმართულია სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მიღწევისაკენ, რომელიც ითვალისწინებს სოფლად ფერმერებისთვის ხარისხიანი აგრარული ექსტანციის მიწოდებას, სერტიფიცირებული ნერგების წარმოებას ფერმერთათვის, აგრარული სექტორის მდგრად განვითარებას და სხვადასხვა აგრარული სერვისების მიწოდებას ფერმერებისათვის. ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობენ და შედეგიც აქვთ. 2024 წლიდან (საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 სექტემბრის №478 დადგენილების თანახმად), სანერგე მეურნეობებისთვის სარგავი მასალების სერტიფიცირება სავალდებულო ხდება, ხოლო წარმოებული ნერგი უნდა აკმაყოფილებდეს ევროპული CAC (Conformitas Agraria Communitatis)-ს სტანდარტს. ამ მიმართულებით აღსანიშნავია შუახევის მუნიციპალიტეტში, ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრს ხეხილოვანი კულტურების სანერგე მეურნეობას მიენიჭა სწორედ ასეთი CAC სტანდარტის ნერგების წარმოების სერტიფიკატი, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულმა მეურნეობამ 2024 წლამდე 3 წლით ადრე შეძლო სერტიფიცირების პროცესის გავლა და მიენიჭა სერტიფიკატი, რომელიც სანერგე მეურნეობას უფლებამოსილებას ანიჭებს აწარმოოს სერტიფიცირებული, მაღალი სტანდარტის ხეხილოვანი ნერგები. აჭარა ამ მიმართულებით ჯერჯერობით ერთადერთი რეგიონია საქართველოში.

ამრიგად, მიგვაჩნია, რომ სამომავლოდ სამინისტროს აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი დარგობრივი ასოციაციების მხარდაჭერაა, რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება რეგიონში ბიო მეურნეობების განვითარებას და საზოგადოების ბიო მეურნეობების და ბიო წარმოების მიმართულებით განათლების დონის ამაღლებას, ვინაიდან ბიო წარმოება აჭარის მცირემიწიანი აგრარული სექტორისათვის შესაძლებელია დიდი მომავალის მქონე შესაძლებლობა გახდეს.

ვფიქრობთ, რომ სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის ხელმისაწვდომობის ხელისშემშლელი ბარიერების ეტაპობრივ გაუქმებას.

თუმცა, ევროკავშირის ბაზარზე შესვლის პერსპექტივები, თავის მხრივ, მოითხოვს ევროკავშირის ბაზრისათვის დადგენილი სტანდარტების შესაბამის პროდუქციის ბიო წარმოებას, რაც დღეის მდგომარეობით ეს შესაძლებელია მხოლოდ ნატურალური, ორგანული და ეკოლოგიურად სუფთა მაღალი სტანდარტის პროდუქციის წარმოებით.

EDISHER JAPARIDZE

COVID PANDEMIC AND NEW TRENDS IN THE DEVELOPMENT OF AGRARIAN POLICY ON THE EXAMPLE OF ADJARA

Summary

Agriculture and agrarian policy development is a priority area of the Autonomous Republic of Adjara and is one of the main source of income for the rural population. Moreover, the main function is to promote food security in the region and to improve the socio-economic situation of the rural population, which are depend on the increase of competitiveness of local production, introduction of modern agro-technologies, improving of soil productivity and expansion of knowledge of employees in agricultural sector.

Key words: *Agrarian policy, Covid pandemic, EU programme, EU and Georgia.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალადაშვილი გ., „რა გავლენას ახდენს COVID-19 სოფლის მეურნეობაზე“. 2020. www.radiotavisupleba.ge: https://www.radiotavisupleba.ge/a/30551321.html
2. Japharidze E., „Impact of the covid pandemic on the agrarian policy in the autonomous republic of adjara. European Political and Law Discourse“. Volume 8. Issue 6. S. 32/36. 2021.
3. ჯაფარიძე ე, „ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და კოვიდ პანდემია საქართველოში“. საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი ელექტრონული ჟურნალი: ისტორია არქეოლოგია, ეთნოლოგია #5. თბ., 2021.
4. ამირიძე მ., „აგრარული პოლიტიკა საქართველოში და COVID-19-ის გავლენა აღნიშნულ სექტორზე“, საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2021.
5. ქებაძე ნ., „სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის მექანიზმი აგრარულ სექტორში საქართველოში“. თბ., 2019.
6. კორახაშვილი ა., „საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადობა და პერსპექტივები“, ჟურნალი „მეცნიერება და კულტურა", #2, თბ., 2013.
7. კორახაშვილი ა., „რისკები და გარანტიები საქართველოს სოფლის მეურნეობაში“, „სამკალი“, თბ., 2005.
8. კორახაშვილი ა., „ფერმერთა მცირე ასოციაციების შექმნის პრინციპები“, „სამკალი“, თბ., 2005.
9. ბერიძე ზ., „ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები საქართველოს აგრარულ სექტორში“, თბ., 2011.
10. რუხაია-მოსემღვდლიშვილი ნ., „ექსპორტის მასტიმულირებელი აგრარული პოლიტიკა საქართველოში“ (დისერტაცია), თბ., 2015.
11. კორონავირუსი და სოფლის მეურნეობა – გზამკვლევი აგროსფეროში მთავრობისგან დახმარების მისაღებად. 2020. kvira.ge: http://kvira.ge/562274
12. ჩიტაია მ., „საქართველოს წინსვლა სოფლისა და სოფლის მეურნეობის წინსვლაში“. 2020. file:///D:/User/Desktop/enpard_ge-2020.pdf

გური ოტობაია

უმცირესობის დიქტატი

საქართველო დღითი დღე სახელმწიფოს ემსგავსება

წერილი პირველი

აქვთ რომაელებს ამისთანა სენტენცია: ქვეყნიერებაც რომ დაიქცეს, მართლმსაჯულება უნდა აღსრულდესო. „ქართულმა ოცნებამ“, ცხადია, ჩინებულად უწყოდა ამ ფრთიანი გამონათქვამის შესახებ, მაგრამ იგი ჰგავდა ერთი ანეკდოტის პერსონაჟს, დათვს რომ დაიჭერს და ომახიანად აუწყებს ამხანაგს ამის თაობაზე. ის მეგობარი, მოიყვანეო, ეუბნება და ეს აქედან, არ მიშვებსო, ეხმიანება დათვის დამჭერი თუ ტყვე.

„ქართული ოცნება“ „ევროპის სახალხო პარტიის“, ამერიკელი კონგრესმენების, დიპლომატიური სამსახურების, სავალუტო თუ სხვა ფონდების, ძირგამომთხრელი არასამთავრობო სექტორის ზეწოლით ვერაფრით ახერხებდა თავზე სამარცხვინოდ მოხვეული კოჰაბიტაციის მაგნიტური არედან გამოსვლას. წარმოგიდგენიათ, მას უნდა შეეწყნარებინა, მეტიც ადგილებზე უნდა შეენარჩუნებინა პარტიული ოპონენტის კადრები, ამ დროს ერთგული ამომრჩევლები, რომელთაც უკანასკნელი ლუკმა გაიღეს მის გასამარჯვებლად, პირში ჩალაგამოვლებული უნდა დაეტოვებინა. აი, ამ არსებითი მომენტის გამოა რომ ვერაფრით ღებულობს „ქართული ოცნება“ სათანადო პროცენტებს არჩევნებისას ზუგდიდში, ქუთაისში, თბილიში. ჩვენ ხშირად როყიოდ შევძახებთ ხილმე ელექტორატს, რატომ თანაუგძნობთ პირსისხლიან „ნაციონალებს“ და რისთვის არ გვემხრობიან ჩვენ, ქვეყნისთვის მოფიქრალ „ოცნებელებსო?“ მაგრამ ხალხი ხალხია, მერკანტილური, ზვიადისთვის თავგადაკლული სამურზაყანოელები სოხუმის დაცემისას, პრეზიდენტ გამსახურდიას გალში ჩატარებული მიტინგის შემდეგ გულდამშვიდებულები ადგილებზე დარჩნენ და რამდენიმე დღეში მშობლიური ეზო-კარი ნაუცბადევად დასატოვებელო რომ გაუხდათ, ეგრევე შევარდნაძის მიმდევრებად იქცნენ.

„მგელია, მგელის“ ძახილს დიდი ხანია მიეჩვია საზოგადოება. არის ქრიტეს ერთი რენესანსული ფერწერული ტილო, სადაც უამრავი სამსჭვალიათაა ვნებული მისი სხეული, სახე კი სრულიად მშვიდი აქვს, უემოციო. გიდმა განმარტა: იმდენად მიეჩვია ტკივილს, რომ უკვე სიმწარეს ვეღარ აღიქვამსო. იგივეა კრამერის ფილმში „დალოცეთ ბავშვები და ცხოველები“. ფილმი რეზერვაციაზეა, სადაც შეძლებული მამები ადგილზე ხოცავენ ბიზონებს. მათი შვილები კი შეეცდებიან ამ ცხოველების რეზერვაციიდან განდევნას, მანქანით - ხმაურითა და შაშხანის სროლით გამოენთებიან. ცხოველები გაანგრევენ მავთულხლართს, გადაივლიან რამდენიმე გორაკს, მაგრამ მალე გაჩერდებიან, რადგანაც წართმევიათ სიცოცხლის ჟინი, მიეჩვივნენ საკუთარ სისხლში ჭყუმპალაობას. დაახლოებით მსგავსი განცდა დაეუფლა მოსახლეობას წლების განმავლობაში „ნაციონალების“ დანაშაულებრივი ბრალდებების ფრიალით, როცა ამ ფარატინა დეკლარაციებს მართლმსაჯულების აღსრულების ადეკვატური ღონისძიება არ მოსდევდა: მერემდენე წელიწადია 1000 მწერალს საკუთარი შენობა არ უბრუნდება; არ მიეცემა დროებით სარგებლობაში დევნილ მოსახლეობას მიწები, როცა ვინ იცის, რა ჯურის ხალხზეა გასხვისებული ჩვენი საავარგულები; ასე შემდეგ და ასე შემდეგ. და, აი, მოვიდა ხელისუფლებაში მტკიცე ხელის პიროვნება პრემიერ-მინისტრის, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის სახით და საქართველოც დღითი დღე სახელმწიფოს ემსგავსება.

„ნაცმოძრაობის“ ლობისტების მიერ „ქართული ოცნებისათვის“ თავს მოხვეული კოჰაბიტაცია, მართლაც, დამანგრეველი ბაცილა აღმოჩნდა, მაგრამ საბედნიეროდ ეს ვირუსი ბოლომდე ვერ მოიერია მის სხეულს. კი, ბევრს აურია დავთრები, ბევრს ფერიც შეუცვალა და ზნეც, მაგრამ ძირითადი ბირთვი სიცოცხლისუნარი გამიდგა და ახდა ბატონი ბიძინა ივანიშვილის ნაწინასწარმეტყველები: მე წავალ აქტიური პოლიტიკიდან, მაგრამ ნაცადი „ოცნებელები“ ადგილზე დარჩებიან და ისინი საქმეს ბოლომდე მიიყვანენო.

დიახ, საქართველო დღითი დღე სახელმწიფოს ემსგავსება.

მან დროთა ვითარებაში თავიდან გადაიგდო კოჰაბიტაციის დამანგრეველი უღელი. თამამი გადაწყვეტილებით გამოვიდა მიშელის ანტიკონსტიტუციური კაბალიდან. ქვეყნის საზღვრებმა სახელმწიფოებრივი დატვირთვა შეიძინა. მართლმსაჯულება სახელმწიფო სამსახურში დგება. ეს დიდზე დიდი მონაპოვარია დროის უმცირეს მონაკვეთში. და მაინც ადგილობრივ არჩევნებში ბევრ ქალაქში II ტურის ჩატარება საჭირო გახდა.

დავიწყოთ ზუგდიდიდან. აქ „ნაციონალებს“ ერთგვარი წარმატება ჰქონდათ ტრადიციულად, ვინაიდან ყოფილმა რეჟიმმა დიდძალი ფულადი რესურსები დააბანდა სამეგრელოში (გავიხსენით „ვარდების რევოლუციის“ დროს სამეგრელოს აქტიური მონაწილეობა თბილისისკენ დაძრული „იკარუსების“ კოლონით. ამას მაშინ შევარდნაძის აღვირახსნილი კორუმპირებული ხანის მიმართ სიძულვილი, ენგურჰესზე 17-18 თვის ხელფასის გაუცემლობა და კიდევ ენერგიული, ახალგაზრდა ლიდერის დედით მეგრელობა განაპირობებდა. ჩვენ ეს აქილევსის სინდრომად გავაცნობიერეთ მოგვიანებით. აქილევსი დედით კოლხია, ნიმფა თეტისას და ბერძენი პელევსის ძე. აქილევსის და მისი ყაიდის - მეტისური წარმომავლობის ფენის განწყობილებაზე ბევრადაა დამოკიდებული ტროას ბედ-იღბალი. აქილევსი და მისი მირმიდონელი მეომრები აქტიურად არ მონაწილეობენ ტროას დაქცევაში, რადგანაც დედით ნათესავები არიან. მაგრამ, როცა აქილევსის აბჯრით აღჭურვილ პატროკლეს ტროას ბურჯი ჰექტორი განგმირავს, აქილევსის აქამდე ლოიალური დამოკიდებულება დედისიანების მიმართ უმალ შეიცვლება და აი, სწორედ ამ ნეიტრაულური ძალის აქტიური ჩართვით ილიონის კედლებიც საბოლოოდ დაეცემა.

ჩვენთარ როგორია საქმე?! ზუსტად დედისიანებს დაერევა ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ ბედის ნებიერი მესვეური. დიახ, დედისიანებს და არა მამისიანებს. აი, რას ვერ აცნობიერებენ „ნაციონალების“ ბრმად მომდევარი ათასები. აი, სად მოიკოჭლებს „ქართული ოცნების“ აგიტაცია და პროპაგანდა!

ზუგდიდში ადგილობრივი არჩევნების I ტურში „ნაციონალებმა“ ერთგვარ უპირატესობას მიაღწიეს ზემოთ თქმულის წყალობით და კიდევ იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ საარჩევნო სივრცეს მიზანმიმართულად ჩამოშორებული იყო სამეგრელოში ჩავლილი სამი არჩევნების ნამდვილი გმირი, ლაშა გვასალია.

ერთ ნიშანდობლივ მაგალითს მოვიშველიებ, როცა ყოფილი პირველი ლედი მაჟორიტარობაზე კენჭს იყრიდა, იგი კარდაკარ დაიარებიდა ზუგდიდ-ქალაქში, სოფლად: „მუ რე ჩქიმ მარგალეფ, დარჩაგრესო ყვინგ მიკატახილ „ოცნებელეფქ?“ მუთუნშა ვაგაშკურნან, მალას ქუმურთ დო გოძირანთ უკულ თინეფიშ თოლსერს! (რა არის ჩემო მეგრელებო, დაგჩაგრეს კისერმოსამტვრევმა „ოცნებელებმა?“ ნურაფრის გეშინიათ, მალე მოვალთ და გაჩვენებთ მერე იმათ სეირს!) ასე ეპაჭკვალებოდა მეგრულად ნიდერლანდელი პრიმადონა მოსახლეობას და ზუგდიდელ სადიაცოს მოხიბლვასაც მეტი რაღა უნდოდა?! სხვადასხვა გამოკვლევებით სანდრას რეიტინგით რეგიონშო 70 პროცენტს აღწევდა. და, აი, მაშინ დაუტრიალდა ლაშა ყოფილი პირველი ლედის წიგნს „იდეალისტის ნაამბობი“ (2005), სადაც ასეთი გამაოგნებელი ფრაზა აღმოუჩინა ავტორს: ჩვენს ეროვნულ გმირს ზვიად გამსახურდიას და ჯაბა იოსელიანს ერთ რეგისტრში განიხილავდა, ორივეს ბანდიტს ეძახდა. დაუბეჭდა პლაკატი ლაშამ ჩვენს მომეგრულე ჰოლანდიელს და მისი მაჩვენებელიც უმალ

20 პროცენდამდე ჩამობეხრეკდა. ეს დაემართა რულოვსს. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ რა დღეში ჩავარდებოდა ზუგდიდლებისთვის იშვიათი სტუმარი, მედიკოსი ანზორ მელია?! აი, ამისთანა პროფესიონალი განგებ თუ შემთხვევით ჩამოშორებული იყო საარჩევნო სივრცეს და შედეგმაც არ დააყოვნა. მიუხედავად ყველაფრისა ლაშამ მაინც მოახერხა ინდივიდუალურად ერთ სოფელში, კოკიში, სრული გამარჯვება მოეპოვებინა „ქართული ოცნების“ კანდიდატს. ვაუწყე ამის შესახებ ხელდასხმულ ხალხს საარჩევნი ცენტრში და ვნახოით როგორ წარიმართება საქმე II ტურში ზუგდიდ-ქალაქში.

ახლა შევხედოდ თბილისს. ნიკანორ მელია ჰოლივუდის მსახიობივით გამოჭიმული მეტრო-პოლიტენის 23-ივე სადგურის ორივე მხარეს ელექტორატის დამშოკავი ბილბორდით: თბილისელ პენსიონრებს 100 ლარის დანამატს აძლევს; 100 სტუდენტს ჰპირდება უცხოეთის უნივერსიტეტებში გაგზავნას (როცა მოქმედ მერს, ბატონ კახა კალაძეს 400 სტუდენტი უკვე გაგზავნილი ჰყავს ამ სივრცეში სწავლა-განათლების მისაღებად). დაბოლოს, უფასო კვებას ჰპირდება თბილისის 287 საჯარო სკოლის 194 110 მოსწავლეს. ამაზე ითქმის, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. ერთი, მოხდეს სასწაული და ნიკანორი მართლაც მოგვევლინოს თბილისის მერად, და აქაური პენსიონრები 100-100 ლარის დანამატით დააკმაყოფილოს, ხომ თვალსა და ხელში დაგვენგრა ძლივს სახელმწი-ფოებრივი ფუნქციით აღჭურვილი ქვეყანა?! მოაწყდებიან პენსიონრები დედაქალაქს საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთიდან თუ ჩრდილოეთ-სამხრეთიდან და მშვიდობით უზრუნველო ცხოვ-რებავ! იგივე სურათია მოსწავლეების უფასო კვებასთან დაკავშირებით 170 დღის განმავლობაში. საკითხავია, საიდან მოახერხებს საამისოდ ნიკანორი 329 987 000 ლარს?! მსგავსი რამ ხომ თვით კაშპიროსკისთვისაც მიუწვდომელი ტრიუკია?! მაგრამ აქ მოსწავლე-ახალგაზრდობის ამღზრდელ-მშობლებისა და გონებადაუნჯებული პენსიონრების წინაშე საარჩევნო ფახიხუხადაა ყველაფერი აგორებული! არ ჭამენ თბილისელები ამისთანა ფეხმოკლე ბლეფს.

ჩვენ პირველებმა დავაფიქსირეთ „რუსთავი-2-ის“ ლოგოსა და ტროას ცხენის იდენტურობა. აკი, დალასის დიქტრინიდან გაგვიცნობიერებია მათი მთავარი ბასტიონების შესახებ: ეუფლე ოქროს და პრესას.

„ნაციონალები“ სულაც არ არიან ყეყეჩები, როგორც ეს ზოგიერთს წარმოესახება, ისინი პრო-ფესიონალები გახლავან ნებისმიერ საქმეში, დაახლოებით ისეთივენი, როგორებიც იყვნენ ხაკისმუნდირიანი ესესელები, ადამიანებს რომ დახვრეტდნენ და შემდგომ შოპენის თუ მოცარტის დაკვრით იტკბობდნენ სულს.

ჩვენ პირველებმა შევნიშნეთ ქუთაისში გადასროლილი პარლამენტის შენობის იდენტურობა ეგზიუპერის „პატარა უფლისწულის“ ნახატთან, რომელიც გარეგნულად ცილინდრს კი ჩამოჰგავს, მაგრამ სინამდვილეში სპილოს გადამყლაპველი მახრჩობელაა, ამ შემთხვევაში - ქართველობის, სა-ქართველოსი „ნაციონალური“ - გაურკვეველი ეროვნულობის ანტიადამიანური ძალის მიერ. წარ-მოგიდგენიათ, აი, ამ მახრჩობელა შენობაში მიბრუნებისთვის ირჯებიან პრეზიდენტყოფილი და მისი ანტისახელმწიფოებრივი საძმო დღესაც.

სიონის ეკლესიასთან „ნაციონალების“ მიერ მტკვარზე დრაკონის აღნაგობის ხიდი მართლმა-დიდებლობის შესამუსვრელადაა გადებული.

არქიტექტურულად თითქოსდა მიმზიდველი იუსტიციის სახლის სახურავი ლოტოსის ფოთ-ლებითაა გადახურული, რაც ეროვნული ფასეულობების იავარქნის საწინდრადაა ჩაფიქრებული მანქურთი „ნაციონალების“ მიერ. საბედნიეროდ ეს ყველაფერი გაცნობიერებული აქვს „ქართულ ოცნებას“ და მიზანმიმართულად ღებულობს სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებსაც:

პარლამენტი დაბრუნდა დედაქალაქში ისტორიულად განკუთვნილ ადგილას; გადაშენებულია ადრე კანონად ქცეული ბიზნესის რეკეტი; მომსპარია წინათ ცხოვრების წესად დამკვიდრებული ოპონენტის სიცოცხლის ხელყოფა. დიახ, საქართველო დღითი დღე ემსგავსება სახელმწიფოს, არ

მერიდება ამისი ხმამაღლა თქმა, ქარაზული ლიდერების (პოზიტიური გაგებით) - ირაკლი ღარიბაშვილის, თეა წულუკიანის, ირაკლი კობახიძის, კახი კალაძის თუ სხვათა სახით. რაც შეეხება ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ჩვენ იგი ყველა დროის 10 ზეღირსეული ქართველის შემადგენლობაში შეგვიყვანია და „საქართველოს ლობის“ ნდობის მანდატიც მიგვინიჭებია სიმბოლურად. ამართლებს თუ არა ამ ნდობას, თავად განსაჯეთ.

თვეების წინათ პლაკატი გავამზადე ბატონ ბიძინას სახელზე და სანდო ხელით მივუგზავნე. გთავაზობთ ამონარიდს:

„ბატონო ბიძინა, ჩვენს პრეისტორიულ სამშობლოში, ოდითგანვე ხარობდნენ თურმე გვიმრის გიგანტური ხეები. ზღვისპირა ჭაობნარ ადგილას სამეგრელოში, დღესაც არის კუნძული დიდგვიმარონის (დიდგვიმროვანი) სახელწოდებით. დროთა მსვლელობაში ეს გიგანტური სალოცავი ხე-გვიმრები გადაგვარდნენ, გადაჯიშდნენ, გაგვიმრუჭდნენ და აწ ცელითაც ითიბება!

ბატონო ბიძინა, ცნობისთვის, ახალ ზელანდიაში დღესაც არის გვიმრის ხეები. საქართველოში მათი რამდენიმე ეგზემპლარის ჩამოტანა შეკვეთილის დენდროლოგიური პარკისთვის არ გაუჭირდება თქვენისთანა უნივერსალურ პიროვნებას. ყველაზე მთავარი ამ პროექტში სალოცავი ხე-გვმრების საქართველოში დაბრუნებაა, რაც ფასდაუდებელი მეოხება იქნება მომავლ თაობებში ურყევი რწმენის აღძვრის, სახელმწიფოს შემდგომი შეუქცევადი აღმშენებლობის თვალსაწიერით!“

გავიდა რაღაც ნახევარი წელიწადი და მეუბნებიან, შეკვეთილში ახალი ზელანდიიდან უკვე ჩამოტანილია ხე-გვიმრის ეგზემპლარებიო. ეს ხომ დიდებით მოისილი ჩვენი სამშობლოს განუხრელი აღზევების უტყუარი საწინდარია?!

დიახ, წლების განმავლობაში თვითდინებაზე მიშვებული საქართველო დღითი დღე თავაწეული სახელმწიფო ხდება!

ჭეშმარიტი და ფსევდო ოლიგარქია

წერილი მეორე

ბავშვმა თქვა: გამდის და ვტირივარო. ასეა ჩვენი საქმე. როდესაც პროლეტარიატის დიქტატურაზე იწერებოდა მანიფესტი, აშკარად მიანიშნებდნენ, რომ მსოფლიოში პირველად საფუძველი ეყრებოდა ახალ კაცობრიულ წესრიგს, მანამადე არნახულსა და არგაგონილის; ანუ ძალაუფლებას ხელში იღებდა პლანეტარული ცივილიზაციის ნამდვილი შემოქმედი ძალა _ მუშათა და გლეხთა კლასი, იგივე უმრავლესობა, ერთი მუჭა უმცირესობის _ კაპიტალისტებისა და თავმცხუნვარე ბურჟუის განზე გაჩოჩების გზით.

ახლა შევხედოთ, თუ რას ნიშნავს უმცირესობა სოციალ-პოლიტიკური ასპექტით. დღევანდელ მსოფლიოში ფაქტობრივად ეს არის საწარმოო ძალების მესაკუთრეთა ძალზე უმნიშვნელო რაოდენობა, იგივე ოლიგარქიული მსოფლიო; ეს არის რამდენიმე ასეული მილიარდერისა და რამდენიმე ათასეული მულტიმილიონერის კასტა, რომელიც დაუფლებულია პლანეტარული ცივილიზაციის უმთავრეს საარსებო წყაროებს: მიწას, წყალს, (პოტენციაში ჰაერსაც), წიაღისეულ საბადოებს, სოფლებსა და ქალაქებს, გაზეთებს და ტელევიზიებს, სამუზეიმო არტეფაქტებსა და ტილო-შედევრებს. მათი ხვედრითი წილი საზოგადოებაში ძლივს 1 პროცენტია, რომელიც ფლობს ზოგადკაცობრიული ღირებულების 70 პროცენტს, ხოლო საზოგადოების 99 პროცენტი, დანარჩენ 30 პროცენტს.

აი, ვინ არიან ოლიგარქები. აი, ვის სჭირდება „კოვიდებით“ მანიპულაციები თუ რუსეთ-უკრაინის ომის ინსპირირება. აი, ვის სჭირდებოდა ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური სასაკლაოები; აი, ვის სჭირდება ნებისმიერი პლანეტარული აშლილობა: შიდსები, პანდემიები, რადიაციული დარდუბალა საკუთარი ეგოისტური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ისინიც თავიანთი ბუნების გათვალისწინებით ორად განიყოფიან, პროგრესულ და რეგრესულ ოლიგარქებად. საილუსტრაციოდ აქ გთვაზობთ ამერიკელი ოლიგარქის, ილონ რივი მასკისადმი გაგზავნილი ჩემი წერილის ამონარიდს:

„ბატონო მასკ, თქვენ ბრძანდებით კაცობრიობის აუხდენელი ოცნების რეალურად განმახორციელებელი. თქვენი „ტესლა“ ეკოლოგიურად წარყვნილი ჩვენი დედამიწის ერთ-ერთი უალტერნატივო ხსნაა, ჯერ-ერთი ასე მუხანათურად და ბარბაროსულად მიწის წიაღიდან ამოტანილი ნავთობის შესანარჩუნებლად, რომელიც ფაქტობრივად ჩვენი პლანეტის არსებობისათვის აუცილებელი ენერგიაა, სისხლი; მეორე - ჩაესვენება ატმოსფეროში მომწამვლელი გაზების მანქანებიდან გამოფრქვევა, რაც აგრერიგად აჩანაგებს ჩვენს ფაუნასა და ფლორას, სპობს ადამიანებს სხვადასხვა პრობლემით. ამ დროს ბაიდენი „მთვლემარე პრეზიდენტი“ კი არა, უკვე დრომოჭმულის და ანტიკაცობრიულის ტოტალური მავნებლობის მარაზმული ლობი-ხელისუფალია, სიკვდილის ლობი, რადგანაც ჩვენი პლანეტის საზიანო კორპორაციებს და მიმართულებებს მიკერძოებით უხანგრძლივებს სიცოცხლეს.

ბატონო მასკ, ჩვენც, ქართველებასაც გვაქვს გამოგონებული ფანტასტიკური პრეპარატი „ბიორაგი“ (ავტორი - ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ გახოკიძე). იგი ჩვენი პლანეტის გადარჩენის ეჭვმიუტანელი გზაა. მისით დამუშავებული მცენარის თესლიდან აღმოცენებული ბოსტნეული, მარცვლეული, ხეხილი, 10-ჯერ, 100-ჯერაც პროდუქტიულია; მის მიერ მოცემული ნაყოფი აბოლუტურად უვნებელია ადამიანის ორგანიზმისათვის, პირიქით, სპობს ონკოლოგიურ თუ სხვა პრობლემებს, ახანგრძლი- ვებს ადამიანის სიცოცხლეს. ბიორაგით ნასაზრდოები მცენარის ვარჯი წარმოუდგენლად ხშირი და ვრცელია, გამოყოფს დიდი ოდენობით ჟანგბადს და ასევე შთანთქავს ბაიდენის მიერ ლობირებული ავტომობილების გამონაბოლქვს. ეს არის სრული გარანტი დედამიწის 10 დათბობით შეშინებული გლობალისტების საყურადღებოდ, რადგანაც მსგავსი რამ იხსნება დღის წესრიგიდან - „ბიორაგით“ აღმოცენებული ფლორა სპობს უდაბნოებს, ქვიშას გარდაქმნის სიცოცხლის მომნიჭებელ ნიადაგად.

დარწმუნებული ვართ, ბატონო, მასკ, რომ „ტესლა“ და „ბიორაგი“ დიოსკურებივით, ტყუპისცალი ძმებივით იხსნიან ჩვენს პლანეტას მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფისაგან და მიანიჭონ მას აურაცხელი სიკეთე- ცხოველმყოფელობა გონიერი ცივილიზაციის საუკვდავოდ“.

მივწერე, მაგრამ, მერე რა?! რამდენი განუხორციელებელი „მაგრამ“ წკავწკავებს ჩვენს გარშემოწერილობაში დასაბამიდან მოყოლებული დღემდე?!

ახლა დავაკვირდეთ, შეიძლება თუ არა ოლიგარქად მივიჩნიოთ მასკი? კი, ბატონო, იგი უამრავი ასპექტით ამ კლანის ტიპიური წარმომადგენელია, თუმცა ამავდროულად, პროგრესული გონების ადამიანი, რომელსაც კაცობრიული ცივილიზაცია უკეთესი მომავლისაკენ მიჰყავს. აქედან გამომდინარე, საცოდაობაა მას ირონიით შოლტავდეს ჯო ბაიდენი, თავად რომ გახლავთ დრომოჭმულობის, მავნებლობის სიმბოლო. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, იგი ამუხრუჭებს დედამიწის იდეალების მსახურ ოლიგარქს. იგივე სურათია ბატონ ბიძინა ივანიშვილთანაც. შეიძლება თუ არა მას ეწოდოს ოლიგარქი?! მხოლოდ ნაწილობრივ, ისიც აგრესიული ოლიგარქიის თვალსაწიერიდან, რომელშიც მოიაზრებიან სოროსის ყაიდის „ადამიანები“ (აქ ადამიანი წინწკლებშია ჩასმული, ვინაიდან ასეთებს ადამიენებს ვერც კი უწოდებ, ისინი წმინდა გიორგის სამკურნალო ურჩხულები გახლავან - ვითომ საინტერესო პროექტების განხორციელებით დაკავებულები, სინამდვილეში გააცნობიერეს მათთვის შემოთავაზებული იდეები, მიისაკუთრეს უკლებლივ და სახეცვლილებით განახორციელეს საკუთარი ფინანსური წყაროების გასაძლიერებლად. სოროსი და მისთანები აფინანსებენ ანტიკაცობრიულ პროგრამებს, როგორიცაა: ეთნოკონფლიქტები; ვითომ თავისუფლების სახელით მოჯღავანე სექსუალური უმცირესობის ხალხი, მაგრამ გვითქვამს, პარალელურად არსებობს ჰუმანური ოლიგარქიაც, ბატონი ბიძინა ივანიშვილის თავკაცობით, ვისთვისაც ყველაზე მთავარი ფასეულობა სამშობლოა, მამულის სასიცოცხლო ინტერესების სამსახური, სიკეთის ქმნადობა, კაცობრიობის ყველაზე მართალი რელიგიური აღმსარებლობის - მართლმადიდებლობის სადარაჯოზე ყოფნა, სამების ტაძრის აღმშენებლობა (სხვა მრავალ ათეულთან ერთად), კაცობრიობის ისტორიაში პირველად დენდროლოგიური პარკის შექმნა რამსაარის პროექტის ფარგლებში; დიახაც, მისმა ძალისხმევამ ეკოლოგიურ (და მასთან ერთად, სოციალურ-პოლიტიკურ) გაჩანაგებას გადაარჩინა კოლხეთი, 600 000 ლაზიკა ქალაქის მშენებლობის შეჩერებით ანაკლიის ტერიტორიაზე. ამ დენდროლოგიურ პარკში თავი მოიყარეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გადმონერგილმა, მშვენიერების განსახიერება ხეებმა. ხოლო მათ მესაკუთრეებს მიღებული სახსრებით საშუალება მიეცათ ღირსეულად დასახლებულიყვნენ, წელში გამართულიყვნენ ერთხელ და სამუდამოდ. განსაკუთრებით ყურადსაღებია ჩვენთვის საქართველოს სინამვილეში არსებული და დროთა ვითარებაში გადაშენებული ხე-გვიმრების აღგენა-რეამინაცია შეკვეთილში, მათი ათეულობით ეგზემპლარის მოშენება ამ უნიკალურ სივრცეში, რომელიც საქართველოს სულიერი ამაღლების ეზოთერული სიმბოლოა! შეიძლება თუ არა ამისთანა პიროვნებას ოლიგარქი ეწოდოს დამაკნინებელი ნიუანსებით?! ცხადია, არა! ოლიგარქიული ფინანსური წყაროები, რომელიც მიმართულია სიკეთის, სინათლის, მშვენიერისა და ამაღლებულის დასამკვიდრებლად, ვერ იქნება ოლიგარქიული, იგი უკვე თავისი ჰუმანური ხასიათით დემოკრატიული ფულადი რესურსია და გლობალისტურ, რეაქციულ ძალებს ისღა დარჩენიათ, სასუნთქი წყაროები გადაუკეტონ მსგავს ძალისხმევებს. აღიარა თუ არა უმთავრეს ფასეულობად სამშობლო აკადემიკოსმა ფრიდონ თოდუამ ონკოლოგიის მკურნალი თავად დაასნეულეს ონკოლოგიის ბაცილით, და გზიდან მოხერხებულად ჩამოიშორეს. მოკლედ, ჩვენ დავადგინეთ, რომ დეოლიგარქია ნიშნავს ოლიგარქიული ფულადი რესურსები გაუყინო მაგნატს, რომელიც ამ თანხებს პროგრესულ პროექტებში აბანდებს _ მასკს ეკოლოგიურად უსაფრთხო „ტესლას“ ელექტრომანქანების წარმოებისთვის; რამაზ გახოკიძეს გასაქანი არ მიეცეს დედამიწის გადამრჩენელი „ბიორაგის“ მასობრივად დანერგვის გზაზე; ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მეურვეობისათვის შლაგბაუმი აღემართოს, რომელიც ზნეობრიობის მარგალიტია მთელს პლანეტაზე. გლობალისტები ჭეშმარიტ ოლიგარქებად ვარაუდობენ იმ მილიარდერებს და მულტიმილიონრებს, რომლებიც მსოფლიოს სთავაზობენ ანტიკაცობრიულ პროექტებს: შიდს, კოვიდს, გენმოდიფიცირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, გამოცდიან ატომურ ენერგიას ნევადაში, სემიპალატინსკში, იწვევენ საზოგადოებრივ აშლილობებს რუსეთ-უკრაინის ძმათამკვლელი კონფლიქტის სახით, სირიასა და ირანის, კოსოვოსა და სერბეთის, ავღანეთისა და ერაყის გაუგონარ კაცთაჟლეტვებს, ასე შემდეგ და ასე შემდეგ; აფინანსებენ პორნოგრაფიას და

პროსტიტუციას, ამკვიდრებენ უგემოვნებას და გამოყეყეჩებას „საბას“ პრემირებულ „მწერლებით“, ამუხრუჭებენ ჭეშმარიტ ცოდნას და სანაცვლოდ აწინაურებენ უნიჭოება-უვიცობას.

ეს ყველაფერი კარგად აქვს დანახული სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პოლიტოლოგიის დოქტორს, ბატონ ზურაბ ხონელიძეს წიგნში „ქართული მშვიდობის პარადიგმა“. მისი მიზანია განათლების პროფანიზაციის მკაცრი მხილება ჭეშმარიტი, გონიერი შემეცნებითი ატმოსფეროს შესაქმნელად მოზარდ და სტუდენტ-ახალგაზრდობაში, რომელიც დროთა ვითარებაში უნდა მოგვევლინოს პოლიტიკური ბრძოლის ავანგარდად.

აი, როგორი აღმოჩნდა დეოლიგარქიის ნამდვილი არსი. ყველაფერი ეს ნათლად დაგვანახებს ევროკავშირის 12-პუნქტიანი ზოდიაქოს კაპრიზებს, რომელიც ევროპის „სახალხო პარტიის“ მიერ „ქართული ოცნებისათვის“ თავსმოხვეული მორიგი კოჰაბიტაციაა. კოჰაბიტაცია-1-მა ვერ უშველა დანაშაულებრივი „ნაციონალური“ კლანის რესტავრაციას. და, აი, შეუიარაღებელი თვალით ვხედავთ, საჭირო ხდება კოჰაბიტაცია-2-ის - იგივე ევროკავშირის 12-პუნქტიანი დემაგოგიის ამოქმედება უფრო ხელშესახები პოლიტიკური შედეგების მისაღწევად. ზოგი ჭირი მარგებელიაო, თქმულა: რომ არა კოჰაბიტაცია-1, „ქართული ოცნება“ ვერაფრით შეძლებდა მის ორგანიზმში ჩასახული მომაკვდინებელი ბაცილის გამკლავებას ანტიადამიანური „ნაციონალური მოძრაობის“ სახით. დიახ, კოჰაბიტაცია-1-მა გამოავლინა იგი და „ქართულ ოცნებას“ (ბატონ ირაკლი ღარიბაშვილი) შეაძლებინა ხმამაღლა განეცხადებინა: სახელმწიფოს წარმმართველი ძალაა ქალისა და კაცის ერთობლიობით შექმნილი ოჯახიო. ეს იყო და არის მომაკვდინებელი დარტყმა ეგრეთწოდებული გლობალისტების მიმართ. (მათი არსი რომ გაირკვეს, მკითხველებს ვურჩევთ ინტერნეტსივრცეში მოიძიონ ფაილი სათაურით: რეფერატივო. ღუ/კა…09.04. 2022. „რას წერდა დოსტოევსკი ებრაელებზე“). სიონისტური იდეებით შეპყრობილი ეს გლობალისტები კაცობრიობის განვითარების ავადმყოფურ იდეას არიან ჩაბღაუჭებულები - ერთპოლუსიან მსოფლიოს, ერთბოლოიან ჯოხს, რომლის მსგავსი რამ ბუნებაში არც კი არსებობს. მსოფლიოში ყველაფერი ორპოლუსიანი: დედამიწა, ადამიანი - ქალისა და კაცის ერთობლიობით. ორივე მათგანს გააჩნია ფარული ფორმით თავიანთი სქესის საპირისპირო ბუნება ფარულ ფორმაში. მასკულინუმ, მამრი გამოხატულია გარეგნულად მამაკაცის ნიშნებით, მაგრამ ამავდროულად ქალური ბუნება მასში ჩანასახურადაა მოცემული. ასევეა ფენიმინუმთან, მდედრთან, მისი ფიზიონომია-ფიზიოლოგია გარეგნულად გამოკვეთილია დედაკაცის ატრიბუტიკით, მაგრამ მამაკაცური საწყისებიც მოეპოვება ემბრიონულ ვითარებაში.

ანტიკაცობრიულ ოლიგარქებს სწადიათ ამ კანონზომიერების დარღვევა, როგორც გასული საუკუნის ორმოციან წლებში მოხდა ატომგულის გახლეჩა და კაცობრიობის მომაკვდინებელი ენერგიის გამონთავისუფლება მისდა საზიანოდ. ამ ავადმყოფურ კასტას ხელს აძლევს პიროვნება ერთდროულად იყოს: კაციც და ქალიც, ბისექსუალი, ანუ მოხდეს ინდივიდუუმის გაორება და საბოლოოდ - სრული ნიველირება! დიახ და დიახ! სწორედ აქ მარხია, ანტიკაცობრიული ოლიგარქიის გაცხარებისა და მძვინვარების საიდუმლო. მისი მიზანია, რაც შეიძლება მეტი სოციალ-პოლიტიკური აშლილობები; რაც შეიძლება მეტი სექსუალური აღრეულობები ინცესტებითა და დეზორიენტირებული ჰიჯრებით; რაც შეიძლება მეტი ნარკომანიითა და ალკოჰოლიზმით გაბანგული ახალგაზრდა თაობა, მათი გამოთაყვანებები აბსურდული ტატუთი და დაფლეთილი სამოსლით, როგორც უარყოფითი რეაქცია კლასიკური ნორმებისადმი; „საბას“ ნომინირებულ დეგრადირებულ „მწერალთა“ უნიტაზური მოღვაწეობა და მისთანათა მეშვეობით კაცობრიობის ნამდვილი შემოქმედის, მშრომელი მასების და საზოგადოების გაბანგვა, რათა არასდროს დაებადოთ გონებაში რატომ, რის გამო არიან ამისთანა სავალალო მდგომარეობაში; არასდროს გაუჩნდეთ პროტესტი, რისთვის გააჩნია ოლიგარქიულ მსოფლიოს პლანეტა დედამიწის საარსებო რესურსების ორი მესამედი და რისთვის ვერ გამოღწეულან მათხოვრული მდგომარეობიდან ამ ყველაფრის შემქმნელი 99 პროცენტი მშრომელი მასები. გავა დრო და ამ ყველაფრისთვის უფრო ჩახედულად მოიცლიან კაცობრიობის მოაზროვნე თავები. ხოლო მაოხრებელი ზელინსკებია ისინი, სოროსები თუ ბაიდენები დავიწყებას მიეცემიან. პარადოქსია, ევროკავშირის კანდიდატად სახელდება კუდის რიკამდე გაპარტახებული უკრაინა და აქ ერთადერი არგუმენტი მისი საომარი მდგომარეობაა სექსუალურ უმცირესობათა უფლებების მოდარაჯეობის ფონზე.

ალან დალესის და მისთანათა დოქტრინით მსოფლიო ბატონობის მიღწევა შესაძლებელია ოქროს ფლობითა და მასმედიის - პრესისა და ტელევიზიის კონტროლით. იგივე დალესი იტყვის: „ჩვენს ჩანაფიქრებს მიუხვდებიან გონებაგახსნილები, ისინი შეეცდებიან ამ ყველაფრის მხილებას,

მაგრამ ჩვენ მათ ისეთ დღეში ჩავაგდებთ, ანუ იმისთანა ხმებს დავუყრით, რომ თავ-ბედს იწყევ-ლიდნენო“. ისეთი რა უნდა დაგვწამონ, რაც დღემდე არ დაუწამებიათ?! ისეთი რა სამსალა უნდა შეგვასვან, რაც დღემდე არ შეგვისვამს?! ჩვენ უნდა ვიყოთ პრინციპით: მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა. ჩვენ უნდა ვიყოთ დოქტრინით; მართალი კაცი ქვაზე მაგარია! მოვიდნენ, ბატონო და ვნახოთ, რა ფეხებსაც მოგვჭამენ!

ჩვენ მზად ვართ პოლიტიკური კონსენსუსისათვის, საღად მოაზროვნე ელექტორატთან და არა დანაშაულებრივ რამდენიმე ათეულ ლიდერთან. კი, ბატონო სრულ მიტევებაზეც იყოს საუბარი, ოღონდ დანაშაულებათა აღიარებისა და წრფელი მონანიების შემდეგ! ჩვენ სამშობლოს კეთილ-დღეობისათვის ვითმენდით და მოვითმენთ ნებისმიერ დამამცირებელ კურტანს, ერთი მაგალითის სიცხადით:

რომელიღაცა გემის კოკს, იგივე მზარეულს, ამხანაგები ბათინკებში უშარდავდნენ. აბუჩად აგდების ნიშნად. ეს უკანასკნელი ხმას არ იღებდა, თვინიარედ განაგრძობდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ჰკითხეს ერთხელ:

- ნუთუ თავმოყვარეობის ნატამალი არ გაგაჩნია, როგორ ითმენ ამდენ შეურაცხყოფასო?!

- ჩვეულებრივად, - უპასუხა მან, - ის შარდი თქვენთვის მომზადებულ ყუათიან ბორშჩია უდანაკარდოდ დართულიო.

დაბოლოს, ცხოვრების გართულების კვალობაზე, კედელთან მიმწყვდევის მცდელობას ადრე თუ გვიან უსათუოდ მოჰყვება ხალხის სასოწარკვეთილი ნაბიჯის გადადგმა. ტრანსატლანტიკურ სივრცის უპერსპექტივიბით გაწბილებმულმა ქართველობამ, გამორიცხული არ არის ხელი „გეორ-გევსკის“ ტრაქტატის რესტავრაციისკენ გაიწოდოს დევიზით: სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს!

გური ოტობაია

ცვლილებები საჭიროა, მაგრამ...
წერილი მესამე

„კარი გაუღე ცვლილებებს, მაგრამ მათ ნაცვლად ფასეულობებს ნუ დათმობთ“.
დალაი ლამა

ალან დალესის ლენცოფა
(იბეჭდება შემოკლებით)

„დამთავრდება ომი, ყველაფერი როგორღაც დალაგდება, მოეწყობა და ჩვენ ყველაფერს, რაც გვაბადია... მთელ ოქროს, მთელ მატერიალურ ძლიერებას, გადავისვრით ხალხის გამოსათაყვანებლად.

ადამიანის ტვინი, ხალხის შეგნება შეიძლება შეიცვალოს. იქ ქაოსს შევქმნით, ჩვენ შეუმჩნევლად შევცვლით ნამდვილ ფასეულობებს ყალბით და ვაიძულებთ მათ, იწამონ ეს ყალბი ფასეულობანი. ჩვენ ყოველნაირად მხარს დავუჭერთ, შევაქებთ ეგრეთ წოდებულ მხატვრებს (ხელოვანთ), რომლებიც დანერგავენ ადამიანის შეგნებაში სექსის, ძალადობის, სადიზმის, გამცემლობის კულტს - ერთი სიტყვით, ყველაფერ ამორალურს... ჩვენ შეუმჩნევლად, მაგრამ აქტიურად და მუდვიდა შევუწყიბთ ხელს ჩინოვნიკების, მექრთამეების თავნებობას, უპრინციპობას; ბიუროკრატიზმი აყვანილი იქნება სათნოების სიმაღლეზე... პატიოსნება და წესიერება გამასხარავებული და არავისთვის საჭირო აღარ იქნება, იგი წარსულის გადმონაშთად გადაიქვცევა...უზრდელობა და თავხედობა, ცილისდწამება და მაწანწალობა, ლოთობა და ნარკომანია, ცხოველური შიში ერთმანეთისადმი... უსირცხვილობა, ნაციონალიზმი და ხალხთა შორის მტრობა - ყველაფერი ეს ოსტატურად და შეუმჩნევლად იქნება კულტივირებული და აყვავდება მძაფრი ფერებით. მხოლოდ ზოგიერთნი მიხვდებიან და გაიგებენ კიდეც თუ რა ხდება, მაგრამ ასეთ ადამიანებს ჩვენ ჩავაყენებთ არამოდურ მდგომარეობაში და ქვეყნის სასაცილოდ გავხდით, მოვძებნით ხერხებს, რომ მათ ცილი დასწამონ და ისინი საზოგადოების ნაძირლებად გამოაცხადონ... ჩვენ ვიბრძოლებთ ადამიანების გასარყვნელად ბავშვობისა და სიჭაბუკის ასაკიდან. ყოველთვის გავაკეთებთ არჩევანს ახალგაზრდებზე, რომ მოვთაფლოთ და გავხრწნათ ისინი. ახალგაზრდებისგან ჩვენ შევქმნით ჯაშუშებს, კოსმოპოლიტებს. აი, ასე გავაკეთებთ ამას.

ჯონ რედტკლიფის სამსალა:

პირველი დარტყმა აქამდე წმიდათაწმიდა ოჯახურ საწყისს უნდა მივაყენოთ; ის როგორმე დაშლა-გახლეჩამდე მივიყვანოთ. მაშინ შესაძლებლოვბა გვექნება, ძირფესვიანად ამოვატრიალოთ ის, რისაც დღემდე სწამდათ ქრისტიანებს. სანაცვლოდ ამისა, აღვზარდოთ სხვადასხვა ვნებით გატაცებული არმია, თავისუფლად გამოვუცხადოთ ღია ომი ყველაფერ იმას, რისაც სწამთ და ეთაყვანებიან ჩვენი მტრები. ჩვენ საკუთარ საქმეებში ვიყოთ კონსერვატორები, ხოლო „გოებში“ რეფორმატორული სული ავაღორძინოთ. შემდეგ კი, ამ რეფორმებს ჩვენი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი მიმართულება მივცეთ. ქრისტიანებს შორის რამდენადაც მეტი სხვადასხვა პარტია შეიქმნება, იმდენად მეტი იქმება უკმაყოფილება. ხალხი გაერთიანდება კაპიტალისტების ძალაუფკლების ქვეშ. ეროვნული ტრადიციების უსუსურობა ჩვენი გავლენის გაერთიანებას და ამაღლებას უწყობს ხელს, ამიტომაც ჩვენ უნდა ჩავერთოთ უკმაყოფილების ყოველგვარ გამოხატულებაში და ალიდან კოცონი ავაგიზგიზოთ. ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილი ყველა შეტაკება ხელს უწყობს ჩვენს გამდიდრებას და გვაახლოებს ჩვენს სანუკვარ მიზანს - მსოფლიო ბატონობის მიღწევას. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი მიწის ხელში ჩაგდება, ადვოკატურის დაპყრობა,

ასევე მედიცინის და ა. შ. ხოლო თუკი ოქრო უძლიერესი მამოძრავებელი ძალაა კაცობრიობისა, მაშინ მეორე - უეჭველად პრესაა.

აი, რატომ აცხადებენ მოღალატეებედ დავით აღმაშენებელს, ერეკლე მეფეს, თავის დროზე საქართველოს შემქმნელ ხალხს, გლობალისტების მოსყიდული მომწერლო პოლიტიკანები; საქართველოს მავნედ, აი, რისთვის აცხადებდნენ ილია ჭავჭავაძეს ისინი; აი, რატომ მოუწყვეს პუტჩი გამსახურდიას და ბუში, აი, რის გამო უწოდებდა დინების აღმა მიმავალს. ბიძინა ივანიშვილს აი, რის გამო ემუქრებიან ანგარიშების გაყინვით თითქოსდა მიუკერძოებელი ბანკები, აი, რატომ შემოაგდეს დეოლიგარქიის, დებიძინაზაციის, დეივანიშვილიზაციისის თემა ევროპარლამენტის მოსყიდულმა წევრებმა.

მაგრამ ამ ყველაფერს წინ უსწრებდა ბატონი ბიძინას ღია წერილით მიმართვა ევროპის ამ „ყველაზე დიდ, გავლენიან და წარმატებულ პოლიტიკური ძალასთან, ევროპის სახალხო პარტიასთან“. ღია წერილი მოჰყვა 23 ევროპარლამენტარის, მათ შორის სახალხო პარტიის 19 წევრის წერილი, რომელშიც ივანიშვილს იმაში ადანაშაულებენ, რომ მან საქართველო ევროპის გზას ჩამოაშორა.

„დღეს მწვავედ აკრიტიკებენ საქართველოს ახალ ხელისუფლებას, რომელიც არა ფასადის შელამაზების, არამედ რეალურად დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზას ადგას“, – ნათქვამი იყო ივანიშვილის წერილში, „მაგრამ კითხვები, რომელზეც ზევით იყო საუბარი, პასუხს მოითხოვს“, „პრეზიდენტმა კონსტიტუციური დიქტატორის როლი მოირგო, რაც ყველაზე კარგად იმ დებულებებში ჩანს, რომელიც მას აძლევს უფლებას ერთპიროვნულად და უვადოდ, პარლამენტის თანხმობის გარეშე, დანიშნოს მთავრობა“. „იქნებ თქვენგან, დიდი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსებისაგან მაინც მივიღოთ პასუხი, ნორმალურად და დემოკრატიასთან თავსებადად მიგაჩნიათ თუ არა პრეზიდენტი მთავრობას ნიშნავდეს ისე, რომ პარლამენტს არაფერი ეკითხებოდეს? იცით კიდევ ერთი დემოკრატიული ქვეყანა, სადაც მსგავსი სისტემა მოქმედებს? და თუ ამ ორ კითხვაზე უარყოფითი პასუხი გაქვთ, ნორმალურად მიგაჩნიათ თუ არა, რომ ამ იდეის ავტორი და დამცველი პოლიტიკური გაერთიანება, თქვენი პოლიტიკური ოჯახის წევრია?“ _ ამგვარი მამხილებლური განაცხადი, ცხადია, ემცხეთა ევროპის სახალხო პარტიას, რომელიცი ტონის მომცემი გახლავთ მთელს ევროპარლამენტში.

ქვეყნის შიგნით საზოგადოება წლების განმავლობაში ჩადენილი დანაშაულის სწრაფ და უკომპრომისო გამოძიებას ითხოვდა, ქვეყნის გარეთ კი, პირიქით, „სუფთა ფურცლიდან“ მიუთითებდნენ ასპარეზის დაწყებას, რაც, ბატონი ბიძინას აზრით, მხოლოდ დაუსჯელობას წაახალისებდა.

ევროკავშირის დროშას 12 ხუთქიმიანი ვარსკვლავი ამშვენებს. თავიდან ევროკავშირის ჩამოყალიბება (1967) ქვანახშირ-ლითონ-ატომის პრობლემებით გახლდათ შენიღბული, სინამდვილეში იგი ვარშავის ხელშეკრულების (1955) საპირწონედ შეიქმნა. ევროპარლამენტის დეპუტატების საერთო რაოდენობა 773-ია (ეს ციფრი შეიძლება ნაკლებიც აღმოჩნდეს ინგლისის სადღეისო პოზიციის გამო), აქედან ევროპის სახალხო პარტიას 268 მანდატი გააჩნია. და საქართველოსთვის კანდიდატობის პერსპექტივის 12-პუნქტიანი რეკომენდაციის 308 ხელმოწერა, ბუნებრივია, არ გაჭირდებოდა, ანუ არ გაძნელდებოდა დამატებით ორმოციოდე თანამზრახველის აყოლიება.

ევროპამ და აზიამ ერთობლივად, როგორც ორბოლოიანმა ჯოხმა, შექმნეს დადამიწის ფასეულობანი და არა აფრიკამ, ამერიკამ თუ ავსტრალიამ, რომლბიც წარმოადგენდნენ ცალპოლუსა სივრცეებს, ჩაკეტილ კუნძულებს.

12-პუნქტიანი რეკომენდაციის „ამობრწყინება“ საქართველოს დღენათელ ცაზე, ომის გაჩაღებისკენ კარგად შენიღბული მოწოდებაა. აქვს კი ამისთანა ორგანიზაციას ატარებდეს ნობელის პრემიას მშვიდობის დარგში?! რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს დაქოქვის უკან გაცილებით მეტი მზაკვრობაა ჩადებული. სად უნდა განვახორციელოთ ჩვენ ეს ომი?! ცხადია, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიმართულებით. აი, აქ ჩვენ კვლავაც ვეჯახებით ჩვენს ისტორიულ ძმებს უკვე მეორედ. პირველად ხომ შევარდნაძემ გვახოცინა ჭაბუკები ორივე მხრიდან. ახლა უფრო ფართომასშტაბიანი კავკასიური ომია მოსალოდნელი, სადაც ამ ხალხების სამუდამო დასამარებაა ნავარაუდევი. აი, ევროპარლამენტის დუჟინი (თორმეტეული) რეკომენდაცია-სამსალა. ჩამოართვით-მეთქი ნობელის პრემია მშვიდობის დარგში ომის ქვეშეცნეულად წამსისინებელს ევროპარლამენტს! და გადაეცით ბრეივიკის სახელობის პრემია, რიმელმაც კუნძულ უტოიას შრომის პარტიის ახალგაზრდულ ბანაკში 69 ადამიანი გამოასალმა წუთისოფელს. (8 ოსლოში ტერაქტრისას, სულ 77 პიროვნება!) აი,

ვის უსჯიან თავისუფლების აღკვეთას 21 წლით თავისუფლებისა და დემოკრატიის მექა ევროპაში და არა სამუდამო პატიმრობას, ან ფრანგულ გილიოტინას თუ ამერიკულ ელექტრონის სკამს!

ევროკავშირი საქართველოსგან ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას არ ითხოვსო, - ასე პასუხობს ევროკავშირის ელჩი საქართველოში, კარლ ჰარცელი მოქალაქეების შეკითხვაზე. მისი თქმით, ევროკავშირის ფარგლებში, საოჯახო სამართალი ევროკავშირის ქვეყნების კომპეტენციის ქვეშ რჩება და, შესაბამისად, ქორწინებასთან დაკავშირებული წესები ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ ინდივიდუალურად განისაზღვრება.

„მოქალაქეების დაცვა ძალადობისაგან და თითოეული ადამიანის სიტყვისა და შეკრების თავისუფლების უფლების უზრუნველყოფა ევროკავშირის და, უდავოდ, ნებისმიერი დემოკრატიის ძირითად ღირებულებებს წარმოადგენს. სამართალდამცავი ორგანოების პასუხისმგებლობა და მოვალეობაა ამ უფლებების დაცვა, გამონაკლისების გარეშე. საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის კონტექსტში შეფასებული იქნება ხელისუფლების მზაობა და შესაძლებლობა, თანაბრად დაიცვას ეს უფლებები ყველა მოქალაქისთვის, მათ შორის უმცირესობებისთვის“.

აქ ბატონი ელჩი გაორებულია, იგი პირდაპირ ლახვარს ასობს გულში კაცობრიობის ზნეობრივ მონაპოვარს - ბიბლიურ ფასეულობებს. შეგახსენებთ აბრაამის ძმისშვილი ლოტის მაგალითს. მისი ოჯახი სოდომურ სივრცეში ცხოვრობდა სანამ იქაურობას უფლის ანგელოზები გამოეცხადებიდნენ და მათზე ძალადობას მოიწადინებდა უზნეო მრევლი. ლოტმა ქალიშვილები მიუგდო, ამათზე იმძლავრეთო, მაგრამ ნურას უკაცრავად, ახალმოსულებზე ატყდომოდათ იშტა და მაშინ ეწვიმა სოდომს და გომორს ცეცხლის წვიმები სრულ განადგურებამდე. ეს ჩინებულად იციან ჩვენმა კეთილისმყოფელმა ევროპარლამენტარებმაც და მაინც ამ ცოდვიანობისკენ მიათრევენ საქართველოს, როცა ჩვენი პრემიერ-მინისტრი ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი აშკარაზე აშკარად განმოიხატავს თავისი ქვეყნის აბსოლუტური უმრავლესობის დედააზრს: ოჯახი ეს არის ქალისა და კაცის ერთობით შექმნილი სოციალური უჯრედი, წარმატებული სახელმწიფოს ბურჯიო.

ამ დროს აი, რა გვიწერია ჩვენ საქართველოს კონსტიტუციის კონსოლიდირებულ ვერსიაში:

ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო.

დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება. (მუხლი 9).

ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია. ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცულია. (მუხლი 10).

ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით. (მუხლი 11). რა ვქნათ ახლა, კონსტიტუცია ვცვალოთ ყოფილი პრეზიდენტივით, დავაკონკრეტოთ სქესი _ ქალად, კაცად და სნებოვან უმცირესობად?

ქართველი კაცი იმითაც არის უნიკალური, რომ იგი მკაცრად აკონტროლებდა და აკონტროლებს ქორწინების ინსტიტუტს. ევროპელებისგან განსხვავებით მკაცრად იცავს შორ ქორწინებებს (აუტბრინდინგ), გაურბის შეუღლებებს სისხლით ნათესავებში (ინბრედული) და ამისთანა ქვეყანა, რაღაც 12-პუნქტიანი დემაგოგიით სოდომ-გომორში შეათრიო, არაფრით გამოვა!

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ V ყრილობაზე ბიძინა ივანიშვილის წარმოთქმული ძელგი სიტყვა ყველაფერს ნათელს მოჰფენს: „მე მწამს საქართველოსი, მჯერა ჩვენი განსაკუთრებულობის, მჯერა ჩვენი ევროპული პერსპექტივის და ზუსტად ვიცი, რომ აუცილებლად დავიბრუნებთ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს და რომ უდიდესი წარსულის ხალხს, გვექნება ღირსეული მომავალი! ეს არის ჩემი მთავარი და აბსოლუტური მიზანი! ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ და გავიმარჯვებთ!“

ჩვენ ამ სულისკვეთებისა გვწამდა ცხრა-ათი წლის წინათაც, მოგვიანებითაც, როცა ბატონი ბიძინას აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებას ვითხოვდით; ჩვენ ვენდეთ სიტყვის ძალას, როცა ყველას უმეოხოდ, უქომაგოდ მიაჩნდა დედა-საქართველო, სულ რაღაც ხუთიოდე კაცი, ხელმოწერებს ვაგროვებდით ქუჩა-ბანებში, მეტროების შესასვლელებთან, ორღობესა თუ ხევ-ხუვებში, ბატონ ბიძინა ივანიშვილის უმაღლეს ამპლუაში სახილველად. ჯერ ათასი ხელმოწერა გასრულდა, მერე _ ათი ათასი, გაორმაგდა, გახუთმაგდა, გაათმაგდა და 120 000 მიაღწია. ეს ხელმომწერნი უწინარესად იყვნენ ზრდასული, გონებადაუნჯებული ადამიანები. Pროცესს საერთო ხელმძღვანელობას უწევდა ნა-

ცადი ვაჟა კაპანაძე, დევნილი საზოგადოებაში ვასილი კადენეცი ტრიალებდა, სვანეთში - ბადრი ჭელიძე, კახეთში - აკაკი ბეგაშვილი, სამეგრელოში - ნეტარხსენებული ნუგზარ ჩუხუა, რაჭაში - მამუკა ჩაგელიშვული, შემოქმედებითი ინტელეგენციაში - თქვენი მონამორჩილი და ასე შემდეგ. შეგროვდა 120 000 ხელმოწერა და აქ შევჩერდით, დროებით შევწყვიტეთ პროექტზე მუშაობა, ჩავაბარეთ პარლამენტარ მამუკა მდინარაძეს, ვინაიდან დროთა მსვლელობაში „ქართულმა ოცნებამ“ იმძლავრა, მან პირველი კოჰაბიტაციიდან ბევრი რამ ისწავლა, მეორე, 12-პუნქტიან კოჰაბიტაციამდე, უწინარესად სახემწიფოებრივი აზროვნება, მართლმადიდებლური ქვეყნის სადარაჯოზე დგომა!

საქართველოში განვითარებულმა ბოლო მოვლენებმა ნათლად დაგვანახა თუ ვინ არის ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი გულშემატკივარი, ვის შეუძლია მის კედელში ზურაბივით ჩაშენება და რადგანაც აქა-იქ ოლიგარქის რეგალიებით განქიქებულ ბატონ ბიძინა ივანიშვილს მავანთაგან ვითომ მორალური შლაგბაუმები აღემართება ქვეყნის რეალური აღმშენებლობის გზაზე; და რადგანაც იგივე შლაგბაუმს წამოუჭიმავენ ეს მავნენი საზოგადოებრივ სექტორში გადანაცვლებულ ადამიანს, დროა გონს მოვეგოთ ჩემო მრავალტანჯულო ერო და ბერო! დროა ჩვენი თამამი არჩევანი დავაფიქსიროთ უცხო ინტერესების ალაგმვის საწინდრად, მათი არასამთავრობო სექტორის ძირგამომთხრელი პოლიტიკის გასანეიტრალებლად! დროა გამოვხატოთ ჩვენი კანონიერი ნება - გვყავდეს ქართველ ხალხს საყოველთაო ნდობით აღჭურვილი მეოხი, ქომაგი, გულშემატკივარი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში - „საქართველოს ლობი“, მისი აღმატებულების, მართალი კაცის, დიახ, დიახ, მართალი კაცის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის სახით.

ლობს არ ჭირდება კენჭისყრა; ლობს არ სჭირდება ხმების უმრავლესობა გადაწყვეტილების მიღებისას; ლობი იგივე ჩვენი ყოველდღიურობის ჭირისუფალია. ლობის მიზანი ერთია - ქვეყნის რაც შეიძლება სწრაფი ტემპით გამოყვანა კოლაფსური მდგომარეობიდან; ლობის ძირითადი მიზანი ინვესტიციების მოზიდვაა, სადაც მთავარი პრიორიტეტად ქვეყნის აგრარული მოწყობა გვესახება სათანადო ინფრასტრუქტურით, ეროვნული და სამოქალაქო ინტეგრაცია, პოლიტიკური კონსენსუსი განსხვავებულად მოაზროვნე ელექტორატთან და არავითარ შემთხვევაში მის მუჭა დანაშაულებრივ ლიდერებთან.

ცხადია, პიროვნებას, რომელმაც თავისი ფულადი რესურსების მეტი წილი საქართელოს აღორძინების ფონდში ჩადო, დეოლიგარქიზაციას ვერ წამოაძახებენ, ვერც ანგარიშს გაუყინავენ სადმე, როგორც სხვა ქვეყნების წარმატებულ ლობებს.

აი, გური ოტობაიას დოქტრინა ალან დალასის, ჯინ რედკლაფის, ევროპარლამენტარების მოზრდილი ჯგუფის, უკეთ - „ევროპის სახალხო პარტიის“ თუ ოკეანეს გაღმა მიკერძოებით აღრენილი ვაიპოლიტიკოსების - პრაის-კრამერ-ჰერბსტ-კელის თუ სხვათა საპირწონედ ჩემო, ნამდვილ-ქართველებო!

ანა მოდებაძე
წარმოადგინა პროფ. ვაჟა შუბითიძემ

ქართულ-თურქული ურთიერთობები და რუსეთის ფაქტორი

საქართველო-თურქეთის ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. საუკუნეების მანძილზე თურქეთი გარდაიქმნა თანამედროვე განვითარებულ ქვეყნად. ათეული წლების მანძილზე ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა გარდაისახა სტაბილურ მეზობლურ-პარტნიორულ ურთიერთობად. არსებული მდგომარეობა კი ხელს უწობს რეგიონულ თანამშრომლობას და მშვიდობას.

საქართველო-თურქეთს შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობების სათავეა 1992 წლის 21 მაისი, როდესაც თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰიქმეთ ჩეთინის თბილისში ვიზიტის დროს გაფორმდა რამდენიმე შეთანხმება. ორ ქვეყანას შორის საქმიანი ურთიერთობის ახალი ეტაპი 1992 წლის 30 ივლისს დაიწყო, როდესაც დაიდო „მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება“.

საქართველო-თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ, უფრო და უფრო ვითარდება ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობა. 1992 წლიდან დღემდე სახელმწიფოებს შორის მიმდინარეობს აქტიური განვითარება, როგორც სავაჭრო-ეკონომიკურ, ისე კულტურულ სფეროებში.

თურქულ-ქართული ურთიერთობების გაგრძელებას და სამომავლო გეგმებს დიდი მნიშვნელობა და პერსპექტივა აქვს, როგორც მოცემული ორი ქვეყანისთვის ისე რეგიონისთვის. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტი შეიძლება იყოს, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა.

ასევე, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში აქტიური მონაწილეობა ურთიერთობების მეტად გაღრმავებისთვის.

საკვანძო სიტყვები: *საერთაშორისო ურთიერთობები, დიპლომატია, რეგიონული ინტერესები, საქართველო-თურქეთის ურთიერთობები, სტამბოლის სამიტი.*

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით საუკუნეების განმავლობაში ახერხებდა იმპერიების ყურადღების მიპყრობას და ინტერესის სფეროდ ქცევას, რაც თანამედროვე ეტაპზეც გრძელდება.

საქართველო-თურქეთის ურთიერთობა იწყება და ვითარდება ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, თუმცა ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის, დადებითი კუთხით არ წარმართულა.

იქიდან გამომდინარე, რომ თურქეთი ერთ-ერთი ამბიციური ქვეყანაა კავკასიაში, მუდამ ინტერესდებოდა საქართველოს ტერიტორიით, რაც იწვევდა ამ უკანასკნელის დანაწილებას და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას.

XX საუკუნის დასაწყისიდან არა მხოლოდ თურქეთი, არამედ რუსეთის ინტერესებიც ძლიერდება საქართველოს მიმართ. შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდში ხშირად მიმდინარეობა ძალთა გადანაწილება ორ დიდ სახელმწიფოს, რუსეთ-თურქეთს, შორის.

საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ხელყოფა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე დაიწყო, 1917-1918 წლებში. აფხაზეთში სეპარატისტულ მოძრაობას აქეზებდა და მხარს უჭერდა საბჭოთა რუსეთი და თურქეთი. შიდა ქართლში მცხოვრები ოსი სეპარატისტების უკან რუსეთი იდგა, ხოლო სამცხე-საათაბაგოსა და აჭარაში სეპარატიზმს აღვივებდა თურქეთი.

აღნიშნული ორი ქვეყანა ცდილობდა სეპარატისტული მოძრაობისათვის ხან ეთნიკური, ხან რელიგიური და ხან აგრარული ხასიათი მიეცათ. სინამდვილეში მათი მიზანი საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დანაწილება - გადანაწილებას მოიცავდა, რაც შეაფერხებდა

ქართველი ერის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენის შემთხვევაში – ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ჩამოყალიბებას [1].

საქართველოს პირველი რესპუბლიკა მოექცა ორ მეზობელ სახელმწიფოთა ცენტრში, როგორც ჩრდილოეთის, ასევე სამხრეთის მხრიდან (რუსეთ-თურქეთი).

ისტორიულ ანალიზზე დაყრდნობით, აღნიშნული ვითარება სიახლეს არ წარმოადგენდა, თუმცა მათ შორის საერთო ენის გამონახვა საქართველოსთვის უსაფრთხოების ნიშანი არ უნდა ყოფილიყო.

ურთიერთობები საქართველო-თურქეთს შორის რეალურად რუსეთის კონტროლის ქვეშ იმართებოდა, და შეიძლება ითქვას ქართულ-თურქული ურთიერთობების ნაცვლად საბჭოურ-თურქულ მოლაპარაკებებში მიმდინარეობდა. შესაბამისად, თურქულ-ქართული ურთიერთობების მიმოხილვა ცხადყოფს მათ საკმაოდ რთულ და ზოგჯერ წინააღმდეგობრივ ბუნებაზე [2].

XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს დასავლეთ ნაწილისთვის მუდამ მიმდინარეობდა ბრძოლა. თურქეთი ხელიდან არ უშვებდა შანსს, გავლენა მოეხდინა ბათუმზე და საქართველოსგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა მისი ტერიტორიების დანაწილება. ამ პერიოდში ქართულ-თურქული ურთიერთობები ვერ განვითარდა კეთილმეზობლურ ჩარჩოებში.

რუსეთის ხელისუფლება, საქართველოსგან დამოუკიდებლად აწარმოებდა მოლაპარაკებებს გერმანიასა და თურქეთთან. 1918 წლის 3 მარტს, ბრესტ-ლიტოვსკში, რუსეთის მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, მას მოუწია ტერიტორიების დათმობა და საზავო ხელშეკრულების დადება, რომლის საფუძველზეც თურქეთს გადაეცა აჭარა ბათუმითურთ, ასევე ყარსისა და არდაგანის ოლქები, ანუ ის ტერიტორია, რომლებიც 40 წლის წინ „საქართველოს დაუბრუნა“ [3. 68].

თუმცა, ქვეყნის შიგნით განვითარებულმა მოვლენებმა მთლიანად შეცვალა ვითარება. 1920 წლის 7 ივლისს თურქეთის რესპუბლიკამ გააუქმა ყველა სახის აქტი თუ ხელშეკრულება, რაც უცხო სახელმწიფოებთან ჰქონდა დადებული.

რეგიონში განვითარებული მოვლენებით საქართველოს ხელისუფლებას გაუჩნდა საფუძვლიანი ეჭვი რუსეთის მოახლოების და ქვეყნის ოკუპაციის, შესაბამისად ყველანაირად ცდილობდა დაემყარებინა მეგობრული ურთიერთობა თურქეთის რესპუბლიკასთან მისი მიწების დაცვის თვალსაზრისით [4].

ოფიციალურად კი, 1921 წლის 8 თებერვალს თურქეთის ახალმა მთავრობამ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა, რითაც ფაქტიურად ცნო მისი საზღვრები.

1921 წლის დასაწყისში როგორც ევროპის, ასევე თურქეთისთვის ნათელი გახდა, რომ საბჭოთა რუსეთიც აპირებდა ამიერკავკასიის დაპყრობას, ამიტომ ინგლისმა, გერმანიამ, საფრანგეთმა, აშშ-მა, იტალიამ, ესპანეთმა, თურქეთმა და სხვებმა დე იურე ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ამან ვერ შეუშალა ხელი რუსეთს, იარაღის ძალით დაეპყრო საქართველო [5].

ამავე დროს საქართველოს მთავრობა ცდილობდა თურქეთთან გარიგებაზე და ბათუმში წითელი არმიის შესვლის წინააღმდეგ წასვლას და 1921 წლის 11 მარტს თურქეთის ჯარებმა ბათუმი დაიკავეს [6].

16 მარტს კი, იმ დღეს, როცა ბათუმში ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იმყოფებოდა, მოსკოვში, თურქეთსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის მეგობრული ხელშეკრულება გაფორმდა. მხარეები ვალდებულებას იღებდნენ, რომ არ სცნობდნენ ძალადობაზე დამყარებულ ხელშეკრულებებს და საერთაშორისო აქტებს. ორივე ქვეყნის მთავრობა აუქმებდა მანამდე დადებულ ყველა იმ ხელშეკრულებას, რომელიც არ შეესაბამებოდა ორივე ქვეყნის ინტერესებს [7. 404].

თურქეთმა და რუსეთმა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების გვერდის ავლით გაინაწილეს საქართველოს ტერიტორია - ბათუმი რუსეთის დაქვემდებარებაში გადავიდა.

მიუხედავად აღნიშნული შეთანხმებისა, ათათურქსა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის „ტკბილი ურთიერთობა“ დიდხანს არ გაგრძელებულა. თურქეთში ანტისაბჭოთა განწყობილებები იზრდება, რაც საბჭოთა რუსეთის მხრიდან თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ტერიტორიების შესაძლო ოკუპაციის საფრთხეს უკავშირდებოდა [8].

ქართველ მეცნიერთა შორის არსებობს დისკუსია, რომ არა რუსეთის ქმედებები საქართველო ვერასდროს შეძლებდა თურქეთისგან ტერიტორიების დაბრუნებას და განთავისუფლებას და, რომ ეს ყველაფერი რუსეთს საქართველოსთვის უანგაროდ არ გაუკეთებია.

რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელს (არც მაშინ და არც ახლა) საქართველო და მისი ტერიტორია ნაკლებად აღელვებდა, თუმცა მოვლენები ობიექტურად რომ შევაფასოთ მოვლენები, დაკარგული ტერიტორიების უმეტესი ნაწილი რუსეთის მიერ დაგვიბრუნდა.

საბჭოთა კავშირის პერიოდში თურქეთი მაქსიმალურად ერიდებოდა მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას რეგიონში, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლამ, ვფიქრობთ, თურქეთს დიდი პერსპექტივები გაუჩინა. სწორედ აღნიშნულმა პერიოდმა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ უზრუნველყო თურქეთის დაინტერესება ჩვენი ქვეყნის მიმართ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საქართველოს დაუმოუკიდებლობის აღდგენას, ერთ-ერთმა პირველმა, თურქეთის სახელმწოფომ დაუჭირა მხარი და განაახლა ურთიერთობები.

მნიშვნელოვანი საკითხი, რამაც ყველაზე მეტად ხელი შეუწყო საქართველო-თურქეთის თანამედროვე ურთიერთობების ჩამოყალიბებას და დაახლოებას არის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის განხორციელება. ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის გამო, თურქეთისთვის ინტერესის სფეროს წარმოვადგენთ. ამასთან, საქართველოსთვის თურქეთი სტრატეგიულ პარტნიორს წარმოადგენს, როგორც ევროპაში გასასვლელ გზას, ნატოს წევრ ქვეყანას და სტაბილურ მეზობელს.

ქართულ-თურქული ურთიერთობის განახლების თარიღად უნდა მივიჩნიოთ, ჩვენი ქვეყნის მიერ, 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებლობის აღდგენა.

1992 წლის 30 ივლისს, საქართველოში, ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულმა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერის პირველმა სიტყვამ „გამარჯობა“-მ და მნიშვნელოვანი შეთანხმებების დადებამ, სათავე დაუდო ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას.

ორ ქვეყანას შორის, 1996 წლის 4 აპრილს დადებულმა შეთანხმებამ სამხედრო წვრთნების, ტექნიკისა და მეცნიერების სფეროში ურთიერთთანამშრომლობამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა. სამხედრო სფეროში თურქეთ-საქართველოს შორის ურთიერთობები მრავალიმხრივ ვითარდება, როგორციაა მატერიალური და ტექნიკური დახმარება, ასევე კადრების მომზადება, სამხედრო პროგრამების განხორციელება და სხვა.

თურქეთსა და საქართველოს შორის საგანმანათლებლო-სამეცნიერო მიმართულებით, მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აღმოსავლური ურთიერთობების შემდგომი გაფართოების მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1994 წელს, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის განკარგულება „საქართველოში აღმოსავლური ენების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამის შემდგომ ვითარდება ურთიერთობები განათლების მიმართულებით, რაც გულსიხმობს კონფერენციებს, სტუდენთა გაცვლას, სასწავლო დაწესებულების გახსნას [9].

მნიშვნელოვანია ასევე სამხედრო სფეროს განვითარებისთვის თურქეთის დახმარება, რომელიც გაუწია 1998 წელს 5.5 მილიონი დოლარით, ხოლო 1999 წელს 3.8 მილიონი დოლარით [10. 45].

პირველად, 2000 წლის 16 იანვარს თურქეთის პრეზიდენტმა, სულეიმან დემირელმა, წამოაყენა „კავკასიის სტაბილურობის პაქტი“. მსგავსი იდეა წამოაყენა საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა ე.შევარდნაძემაც სტამბოლის სამიტზე. პაქტის იდეა მოიწონეს აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერებმაც. რ. ქოჩარიანმა პაკტის ფორმულაც კი შესთავაზა საერთაშორისო საზოგადოებას, ეს იყო: 3+3+2 ანუ, პაქტის მონაწილენი უნდა ყოფილიყვნენ სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი), სამხრეთ კავკასიის მოსაზღვრე სამი ქვეყანა (რუსეთი, თურქეთი, ირანი) და ასევე, ევროკავშირი და აშშ. თანამშრომლობის საკმაოდ პერსპექტიული იდეის არსებობის მიუხედავად, კონკრეტული გეგმა პაქტის შესახებ არცერთი ქვეყნის ლიდერს არ წარმოუდგენია. საბოლოოდ, 2000 წელს, ევროპული პოლიტიკის შესწავლის ცენტრმა ბრიუსელში წამოაყენა „კავკასიის სტაბილურობის პაქტის ვარიანტი“, რომელიც აქტიური განხილვის საგანი გახდა, მაგრამ მრავალწლიანი მოლაპარაკებების მიუხედავად, პაქტის რეალიზება და რეგიონული მშვიდობის ერთობლივი ძალებით მიღწევა ვერ მოხერხდა რუსეთის ნეგატიური დამოკიდებულების გამო [11].

არც მაშინ და არც ახლა უნდა ითქვას, რომ რუსეთის ინტერესების სფეროში არ შედიოდა მსოფლიო თანამეგობრობისა და მათ შორის თურქეთის აქტიური ჩარევა სამხრეთ კავკასიაში განვითარებულ მოვლენებში.

2004 წლის 20 მაისს, საქართველოს პრეზიდენტის მ. სააკაშვილის სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში განისაზღვრა ორმხრივი თანამშრომლობა, რომელიც მოიცავდა სამხედრო-პოლიტკურ სფეროებს, რამაც გავლენა იქონია სა-

მომავლო ურთიერთობებზე. 2005-2006 წლებში თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მიზნით ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ანკარამ 3,4 მილიონი აშშ დოლარი გამოყო საქართველოს შეიარაღებული ჯარების განახლებისთვის. გარდა ამისა, თურქულ-ქართული თანამშრომლობის ფონზე განხორციელდა ქართველი სამხედროების გადამზადება და სწავლება [12].

მნიშვნელოვანია აღინიშნოს სავაჭრო ურთიერთობები თურქეთ-საქართველოს შორის. თურქეთია ის პირველი ქვეყანა, რომელთანაც საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ დაამყარა სავაჭრო ურთიერთობები, რომელიც დღემდე გრძელდება.

თურქეთის რესპუბლიკა უკანასკნელი წლების განმავლობაში წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას. 2007 წლიდან მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი, ასევე გამარტივებულია ორივე ქვეყნის მოქალაქეებისთვის გადაადგილების პრინციპი. საქართველოს თურქეთთან სავაჭრო ბრუნვის წილი საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 16%-ს შეადგენს, რითიც დასტურდება ამ ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის ზრდის ტენდენცია [13].

საქართველო-თურქეთის სავაჭრო ბრუნვა 2010 2014 წ (მლნ. აშშ დოლარი)

	2010	2011	2012	2013	2014 იანვარ-ივნისი
ექსპორტი სულ:	1677	2189	2375	2908	1419
მ.შ თურქეთი	217	228	143	183	112
წილი %	13	10.0	6.0	6.3	8
იმპორტი სულ:	5257	7058	7902	7885	4028
მ.შ თურქეთი	887	1272	1393	1346	827
წილი %	17.0	18.0	17.6	17,1	20.0

მოცემული ცხრილის მიხედვით ნათლად სჩანს საქართველო-თურქეთის სავაჭრო ბრუნვა 2010-2014 წლების მიხედვით, სადაც გამოკვეთილია მისი როლი ქართულ ეკონომიკაში. 2014 წლის იანვარ-ივნისის მიხედვით, 10 ძირითად იმპორტიორ სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას შორის პირველ ადგილზეა თურქეთი 827 მლნ აშშ დოლარით (20%).

იმავე წლის ექსპორტის მიხედვით, 10 სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას შორის პირველ ადგილს აზერბაიჯანი 290 მლნ აშშ დოლარით იკავებს (20.4%), შემდეგ სომხეთი - 156 მლდ აშშ დოლარით (11.0%), მესამე ადგილზეა რუსეთი 134 მლნ აშშ დოლარით (9.4%), ხოლო თურქეთი მეოთხე ადგილს იკავებს 112 მლნ აშშ დოლარით (8%) [9].

2018 წლის მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოცულობით, თურქეთი, 858.1 მლნ აშშ დოლარით უდიდესი სავაჭრო პარტნიორია [14], ხოლო 1 მილიარდ 597 მილიონ 545 ათასი დოლარით, თურქეთი, 2020 წელს, საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი გახდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, რუსეთი 1 მილიარდ 328 მილიონ 243 ათასი დოლარით მეორე, ხოლო ჩინეთი 1 მილიარდ 185 მილიონ 17 ათასი დოლარით მესამე ადგილს იკავებს საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის [15].

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარება და განმტკიცება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ურთიერთინტერესებზე დამყარებული პოლიტიკური თანამშრომლობის გაუმჯობესებას, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დამყარებას, ასევე სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებას.

საქართველო ესწრაფვის პოლიტიკური დიალოგის მეშვეობით, სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და კულტურის სფეროებში ურთიერთობის შემდგომ განვითარებას თურქეთის რესპუბლიკასთან, რომელიც საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორს წარმოადგენს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი იქნება ურთიერთქმედება მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს ფარგლებში.

თანამედროვე ეტაპის თურქეთ-საქართველოს ურთიერთობა შეიძლება დავყოთ ორ ნაწი-

ლად, 1992-2002 წლები და 2002 წლიდან დღემდე. პირველ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ურთიერთობებს, რომელიც შემდეგ განვითარდა. ვგულისხმობთ, ეკონომიკურ, სამხედრო, კულტურულ, საგანმანათლებლო სფეროებს.

აღნიშნული პერიოდისთვის თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად ცდილობდნენ, ქვეყნების ყურადღების მიქცევას სტრატეგიული თვალსაზრისით. 2000 წელს, თბილისში ს. დემირელის ოფიციალური ვიზიტის დროს განიხილეს ე.წ. „კავკასიის სტაბილურობის პაქტად“ მოხსენიებული ახალი რეგიონული ინიციატივა. ამ გეგმის ფარგლებში თურქეთის ხელისუფლებამ ჩამოაყალიბა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარება-გაფართოებისაკენ მიმართული სისტემა, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ დღემდე სამ პრინციპს ემყარება:

- პოლიტიკური დიალოგის გაფართოება;
- ეკონომიკური თანამშრომლობა;
- დიალოგი უსაფრთხოების საკითხებში.

თურქეთისა და საქართველოს თანამშრომლობის მეორე ეტაპის დინამიკას რომელიც დღემდე გრძელდება, მოვიაზრებთ ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებას. ეს იყო რეგიონის, კონკრეტულად კი საქართველოსთვის ახალი მნიშვნელობის, შესაძლებლობების, პერსპექტიული მომავლის საწინდარი [16. 38].

თურქეთი ახორციელებს „ნულოვანი პრობლემების“ პოლიტიკას მეზობელ ქვეყნებთან. ამ პოლიტიკის მთავარი მიზანია მშვიდობიანი ურთიერთობების შენარჩუნება ყველა მეზობელთან, რომელიც ემყარება ათათურქის ლოზუნგს „მშვიდობა სახლში, მშვიდობა მსოფლიოში“.

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები, შეიძლება ითქვას, რომ სამაგალითოა უვიზო მიმოსვლის პოლიტიკით. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები დაფუძნებულია მოგება-მოგების პრინციპზე, რაც ნიშნავს, რომ ორივე ქვეყანა სარგებლობს თანამშრომლობისგან [17].

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ყველა სახელმწიფო ესწრაფვის იპოვოს ფუნქცია და დაიმკვიდროს საკუთარი თავი. საქართველო-თურქეთს შორის არსებული დინამიკური და ნაყოფიერი თანამშრომლობა ხელს უწობს რეგიონულ მშვიდობასა და სტაბილურობას. ვფიქობთ, საქართველომ დიდი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს თურქეთთან ურთიერთობების გაღრმავებას, როგორც სავაჭრო და სამხედრო კუთხით, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებით. თურქეთი, როგორც ერთ-ერთი ეკონომიკურად მზარდი ქვეყანა, დიდ ამბიციებს გამოავლენს რეგიონში თავისი გავლენის მოსაპოვებლად და მაქსიმალურად ეცდება ყველა გზა გამონახოს თავისი ქვეყნის სარგებლიანობაზე და მის მნიშვნელობაზე ხაზგასასმელად, შესაბამისად აღნიშნული ვითარება საქართველომ უნდა გამოიყენოს ქვეყნის მნიშვნელოვანი როლის, ფიგურის დამკვიდრებისთვის.

საგარეო პოლიტიკური კურსი საქართველომ, ვფიქრობთ, სწორად უნდა განსაზღვოს მისი გეოპოლიტიკური სივრცის მდებარეობიდან გამომდინარე. იმის გამო, რომ საქართველო ერთ-ერთ მთავარ სატრანზიტო ქვეყანას წარმოადგენს და, რომ მასზე გადის ენერგომატარებლები, ქვეყანამ უნდა მოახდინოს იმ სახელმწიფოთა ინტერესების დაბალანსება, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მასთან ურთიერთობით.

ANA MODEBADZE

GEORGIAN-TURKISH RELATIONS AND THE RUSSIAN FACTOR

Summary

Georgian-Turkish relations have a long history. Over the centuries, Turkey has evolved into a modern developed country. Over the decades, the relationship between the two countries has evolved into a stable-neighborly-partnership relationship. The current situation promotes regional cooperation and peace.

The beginning of diplomatic relations between Georgia and Turkey dates back to May 21, 1992, when several agreements were signed during the visit of Turkish Foreign Minister Hikmet Cetin to Tbilisi. A new phase of business relations between the two countries began on July 30, 1992, when the Treaty of Friendship, Good Neighborliness and Cooperation was signed.

After the establishment of diplomatic relations between Georgia and Turkey, the existing cooperation between the two countries is developing more and more. Since 1992, the states have been actively developing in both trade-economic and cultural spheres.

The continuation of Turkish-Georgian relations and future plans are of great importance and perspective, both for the two countries and the region. Promoting Georgia's economic security policy may be to promote the growth of the country's export potential.

We also think that active participation in international economic projects is important for further deepening of relations.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯავახიშვილი ი., საქართველოს ისტორია. მეოცე საუკუნე. http://www.bu.org.ge/x2254?page=1&tab=2 (გადამოწმებულია 09.09.2021)
2. საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან., https://worldhistory188.wordpress.com/2018/09/21//(გადამოწმებულია 09.09.2021)
3. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, # 35-36., თბ. 2016. 328 გვ.
4. Milli Mücadele Dönemi Türk - Gürcü ilişkileri., ResearcherSocialScienceStudies.pdf (გადამოწმებულია 09.09.2021)
5. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში (აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის მასალები), en_file_170_1.pdf (გადამოწმებულია 09.09.2021)
6. კომახია მ., თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა და სამხრეთი კავკასია., http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/civil2/document/HASH013f51b60faf13ad29b73f2e (გადამოწმებულია 19.09.2021)
7. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია (1299-2000)., თბ. 2007. 583 გვ.
8. შანიძე დ., საქართველო და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების პოლიტიკური ასპექტები., https://openscience.ge/bitstream/1/1668/1/Dimitri%20Shainidze%20samagistro.pdf (გადამოწმებულია 19.09.2021)
9. ქართულ-თურქული სამეცნიერო კონფერენცია (12-13 დეკემბერი, 2014, გორი, საქართველო)., Kartul-Turkuli Konferencia 2014- მაკარაძის თემა 34 დან იწყება.pdf (გადამოწმებულია 19.09.2021)
10. ბატიაშვილი ზ., თურქეთის შეიარაღებული ძალები., თბ. 2000. 104 გვ.
11. მანჩხაშვილი მ., თურქეთი XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დამდეგს., file:///C:/Users/Ana/Downloads/XX____XXI.pdf (გადამოწმებულია 19.09.2021)
12. ХАРАКТЕР И ОСОБЕННОСТИ ГРУЗИНО-ТУРЕЦКИХ ОТНОШЕНИЙ НА СОВРЕМЕННОМ ЭТАПЕ., Электронный научный журнал «Архонт» Выпуск № 2. 2017 г. harakter-i-osobennosti-gruzino-turetskih-otnosheniy-na-sovremennom-etape.pdf (გადამოწმებულია 22.09.2021)
13. საქართველო-თურქეთს შორის ეკონომიკური და ვაჭრობის კომისიის დაფუძნების შესახებ დეკლარაცია გაფორმდა., Commersant.ge | საქართველო-თურქეთს შორის ეკონომიკური და ვაჭრობის კომისიის დაფუძნების შესახებ დეკლარაცია გაფორმდა (გადამოწმებულია 22.09.2021)
14. Gürcistan'ın Dış Ticareti Artıyor., https://ticaret.gov.tr/blog/ulkelerden-ticari-haberler/gurcistan/ gurcistan-in-dis-ticareti-artiyor (გადამოწმებულია 22.09.2021)
15. თურქეთი 2020 წელს საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი გახდა., https://www.trt.net.tr/georgian/ekonomika/2021/01/20/t-urk-et-i-2020-cels-sak-art-velos-umsxvilesi-savachro-partniori-gaxda-1567675(გადამოწმებულია 22.09.2021)
16. ფაჟავა ე., საერთაშორისო ფაქტორი თურქეთის სამხრეთკავკასიურ პოლიტიკაში (1991-2012წწ)., თბ. 2017. 164 გვ.
17. Modebadze V., Georgian – Turkish Relations since the Breakdown of Soviet Union., file:///F:/%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%202%20%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98/Georgian_Turkish_Relations_since_the_Bre.pdf (გადამოწმებულია 22.09.2021)

გიორგი გახარია
*წარმოადგინა პროფ. **სალომე ხიზანიშვილმა***

ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების მნიშვნელობა

საქართველოს საკმაოდ დიდი დრო, დასჭირდა იმისათვის, რომ ევროკავშირს ჩვენს, ქვეყანაში ინდივიდუალური პოლიტიკის გატარება დაეწყო. ამას წინ უძღოდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურება. საქართველო სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შორის ყოველთვის უპირატესია ევროპული მისწრაფებებით, მაგრამ ევროკავშირი საქართველოსთან ურთიერთობებს დიდი ხნის განმავლობაში სამხრეთ კავკასიის კონტექსტში განიხილავდა, იმისა მიუხედავად, რომ სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოდან ერთ-ერთი - სომხეთი ოფიციალურად რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია, ხოლო აზერბაიჯანი დაბალანსებულ პოლიტიკას აწარმოებს რუსეთანაც და დასავლეთთანაც. შეთანხმებებმა და პარტნიორობამ ქვეყანა მიიყვანა ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამდე. ქვეყანამ წარმატებით დაძლია ევროინტეგრაციის გზაზე არსებული გამოწვევები და მიაღწია ევროკავშირის მხრიდან ე.წ. დიფერენციაციის პრინციპის განხორციელებას, გააფორმა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რითაც საქართველოსთვის თვისობრივად ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური პერსპექტივები გახდა ხელმისაწვდომი. საქართველოს როლი საერთაშორისო ურთიერთობებში აღიარებულია. ის სტრატეგიულად საკვანძო ადგილას მდებარეობს და ცალსახაა, რომ ევროკავშირის გლობალურ გაფართოების გეგმაში საქართველო მოიაზრება, როგორც წევრობის ღირსეული პრეტენტენდი ქვეყანა, მაგრამ მის წინაშე გამოკვეთილია მოთხოვნები, რაც უთუოდ უნდა შეასრულოს როგორც წევრობამდე ქვეყანამ. კერძოდ, ის უნდა მოერგოს ევროკავშირის სივრცეში არსებულ კანონმდებლობას, წესებს და ეკონომიკურად უნდა მოძლიერდეს.

საკვანძო სიტყვები: *ევროკავშირი, გაწევრიანება, პერსპექტივები, პარტნიორობა.*

აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, საქართველოშიც და ევროკავშირშიც პოლიტიკურად არასტაბილური მდგომარეობაა. კვლავაც, მიმდინარეობს საუბრები სავიზო რეჟიმის შეზღუდვების დაწესებასთან დაკავშირებით, ოფიციალური გერმანია ჯერ კიდევ 2017-2018 წლებში გამოთქვამდა შეშფოთებას საქართველოს მოქალაქეების მხრიდან თავშესაფრის მაძიებელთა მზარდი ტენდენციის გამო [1].

ყოველივე ამის ფონზე, კი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკანიანი ამბობს, რომ: „მზად ვართ 2024 წელს განაცხადი გავაკეთოთ ევროკავშირის წევრობაზე“ [2].

მისივე, თქმით განაცხადის გაკეთების შესახებ გადაწყვეტილება ევროპელ პარტნიორებთან კოორდინაციის და შეთანხმების შედეგად მიიღეს. საქართველოს ევროპეიზაციის პროცესი, რომ შეუქცევადია ცალსაახაა, თუმცა რამდენად საკმარისია ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაცია, ვიზალიბერალიზაციის წარმატებით შესრულება, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის წევრობისთვის მეორე საკითხი, რადგან საქართველოს აქვს პოლიტიკურად არასტაბილური მდგომარეობა, ქვეყნის 20% კვლავ ოკუპირებულია და პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთთან არ არის დალაგებული. ასევე, რეგიონში არსებული მდგომარეობაც კრიზისშია და უკრაინა და რუსეთი ომის კვლავ დაწყების ზღვარზე არიან. დღეის მდგომარეობით კი საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობაც არ უწყობს ხელს, რაც ევროკავშირისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. მისი მიზანია ეკონომიკურად ძლიერი და პოლიტიკურად მდგრადი პარტნიორი ყავდეს მის სივრცეში, რასაც საქართველო ამ მომენტისთვის ვერ აკმაყოფილებს და ვერც 2024 წლისთვის შეძლებს.

პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის სფეროებში და მედიასივრცეში, განსაკუთრე-

ბით აღნიშვნის ღირსია Russia Today-ის გერმანულენოვანი მაუწყებლობა, რომელიც რამდენიმე მილიონი ე.წ. რუსი-გერმანელისთვის (გერმანიის მოქალაქეები და, შესაბამისად, ამომრჩევლები, საბჭოთა კავშირის დაშლის და გერმანიის გაერთიანების შემდეგ გერმანიაში ყოფილი საბჭოეთიდან დაბრუნებული გერმანელები) ხშირად ინფორმაციის მიღების ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. პოლიტიკაში რუსეთის სასარგებლოდ აქტიურობენ ცალკეული დიდი პარტიების წარმომადგენლები, რომელთაგან განსაკუთრებით მემარცხენე და სოციალისტური პარტიების წარმომადგენლების გამოყოფა შეიძლება (გერჰარდ შროდერი, მათიას პლატცეკი, ზაჰრა ვაგენკნეხტი და ა.შ.) [3].

მაგრამ, აქვე გვინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმ ფაქტებისა, რომლის მიხედვითაც გერმანიამ დომინანტური როლი შესარულა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის გარკვეული პრობლემების შექმნაში, მხედველობაში გვაქვს 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე საქართველოსათვის ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის დაბლოკვა საფრანგეთთან ერთად, ხოლო 2016 წელს კი ვიზალიბერალიზაციის პროცესის შეფერხების მიზნით ის სათავეში ჩაუდგა იმ ქვეყნების სიას (უპირველეს ყოვლისა საფრანგეთი და იტალია), რომლებიც ე.წ. შეჩერების მექანიზმის მომხრენი იყვნენ. ამ გარემოებების მიუხედავად გერმანია აშშ-ს შემდეგ რჩება საქართველოს უმნიშვნელოვანეს პარტნიორად.

ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის აღქმა, განსაკუთრებით საზოგადოების იმ ნაწილში, რომელსაც არ ჰქონია ევროკავშირში ცხოვრების, მოგზაურობის, სწავლის ან უბრალოდ ევროკავშირის შესახებ ინტენსიურად ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა დაკავშირებულია 3 ასპექტთან: ა) ბუნდოვან იმედთან, რომ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება ბ) პოლიტიკურ აპათიასთან, რომ „ევროკავშირში მაინც არავინ მიგვიღებს“ გ) ევროკავშირი (დასავლეთი) „ქართველობას გვართმევს“.

მსგავსი დამოკიდებულება, ერთი მხრივ, მიანიშნებს იმ მოლოდინზე, რომელიც საზოგადოებას აქვს ევროკავშირთან მიმართებაში სოციალური და ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით. მეორე მხრივ, კი ნათლად გამოხატავს, ერთგვარ ზედაპირულ დამოკიდებულებას. ზედაპირული დამოკიდებულება ევროინტეგრაციის თემაზე ღრმა საზოგადოებრივი დისკუსიის არარსებობაზე და სახელმწიფოს მიერ საინფორმაციო პოლიტიკის დეფიციტზე მიუთითებს. ეს გარემოება კი პრორუსულად განწყობილი ჯგუფების ხელში შესაძლოა მანიპულაციის იარაღად იქცეს; დააზიანოს ქვეყნის იმიჯი და შეამციროს საქართველოს ევროპული მომავლის მხარდამჭერთა რიცხვი, რაც ნეგატიურ ასახვას ჰპოვებს ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების გაღრმავების პროცესზე.

ამ ყველაფერს თან ერთვის ინტეგრაციის პროცესის დინამიკის შენელების შემთხვევაში პოლიტიკური ელიტების და მედიასაშუალებების მიერ შეფერხების რეალური მიზეზების არასაკმარისად ახსნა.

ევროკავშირში თუ ნატოში აზრთა სხვადასხვაობა ამა თუ იმ საკითხზე დამოკიდებულია წევრი სახელმწიფოების განსხვავებულ პოზიციებზე. სახელმწიფოების პოზიციებს და ინტერესებს, როგორც ეს ხშირად ხდება საგარეო პოლიტიკის შემთხვევაში, საშინაო პოლიტიკა განსაზღვრავს [4].

შესაბამისად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესები დიდ მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ამ სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის აქცენტებს. ევროკავშირის ლიდერი სახელმწიფოების შიდა პოლიტიკური პროცესები, როგორიცაა მაგალითად რადიკალური ძალების გაძლიერება ან მიგრანტთა კრიზისი, რა თქმა უნდა აისახება მათ შორის საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზეც. თუმცა, ეს პროცესი ბევრად წინ უსწრებს ინფორმირებულობას საქართველოში ევროკავშირში მიმდინარე პროცესებზე და ევროკავშირში საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე. შედეგი – გარკვეული ინფორმაციული ვაკუუმი ქმნის მცდარ წარმოდგენებს, ზედაპირულ დამოკიდებულებას და უნდობლობას ინტეგრაციის პროცესისადმი.

თანამედროვეობის გლობალურ გეოპოლიტიკურ პროცესებში კავკასიას თავისი უნიკალური სტრატეგიული მდებარეობის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ის არის არის შავი და კასპიის ზღვების აუზის, ევროპის, აზიისა და აფრიკის სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გადაკვეთის სფერო. პოლიტოლოგების გათვლებით მისი როლი განსაკუთრებით გაიზრდება 40-50 წლის შემდეგ, როცა შავი და კასპიის ზღვის რეგიონები მსოფლიო ენერგეტიკის უმ-

თავრესი წყაროები გახდებიან. კავკასიის რეგიონის განსაკუთრებულ როლზე ევრაზიული სივრცის სტაბილური განვითარებისათვის და გლობალურ ინტეგრაციულ პროცესებში ამ რეგიონის სრული ძალით ჩართვის მნიშვნელობაზე საუბრობენ დასავლეთის ცნობილი პოლიტოლოგები: ს. ჰანთინქთონი თავის ცნობილ ნაშრომში „ცივილიზაციათა შეჯახება და საერთაშორისო უსაფრთხოება“, ჰ. კისინჯერი – „დიპლომატია“, ზ. ბზეჟინსკი – „დიდი საჭადრაკო დაფა“ და სხვ. ამ უკანასკნელს მოჰყავს შავი და კასპიის ზღვის რეგიონის ათი ქვეყნის სქემა-ნახაზი სიმბოლური დასათაურებით – „ევრაზიული ბალკანეთი“, რომელთა შორისაც არსებულმა ეთნიკური, რელიგიურ-კულტურული, ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური წინააღმდეგობების დროზე გადაუჭრელობამ შესაძლებელია ახალი, დიდი სისხლისმღვრელი კონფლიქტის წარმოშობა გამოიწვიოს. რეგიონის შიდა პოლიტიკური განვითარების უარყოფითი დინამიკა, (უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს მოუგვარებელი ტერიტორიული კონფლიქტები) და შიდა დაპირისპირებები წყალს ასხამს რეგიონის გარე პოლიტიკურ ძალთა ინტერესებზე, რომელიც დაინტერესებულია რეგიონის დესტაბილიზაციით [5].

რუსეთის მრავალფეროვან სცენარებში დომინირებული ადგილი უჭირავს „საერთო კავკასიური სახლის შექმნის იდეას, ოღონდ იგი უნდა განხორციელდეს რუსეთის ეგიდით, ეთნოკონფლიქტების გაჩაღებითა და კავკასიის კავკასიელებით კონტროლის იდეის რეალური გატარებით. ამგვარად, რუსული პოლიტიკის კავკასიური ვექტორი აყალიბებს სამხრეთ კავკასიის ახალი გადანაწილების სქემებს. იგი ძირითადად აქცენტს საქართველოს დაშლაზე აკეთებს. რუსეთი სოხუმისა და ცხინვალის შემდეგ აქტიურად უტრიალებს ჯავახეთსა და ბორჩალოს, მაგრამ მათ, საბოლოო ჯამში საქართველოზე კონტროლი ჭირდებათ და არა მის ნაწილებზე, ამიტომ იმ შემთხვევაში, თუ კი საქართველოს დაშლის იდეა არ იმუშავებს, მოსკოვი შეეცდება იგი ჩაანაცვლოს მისი შემწეობით საქართველოს გაერთიანების იდეით იმ შემთხვევისათვის, თუკი საქართველო უარს იტყვის დასავლურ ორიენტაციაზე“.

სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის აღდგენისა და განვითარების ერთ-ერთი გზა ევროკავშირზე გადის, თუმცაღა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ევროკავშირი სამხრეთ კავკასიის რეგიონში დაბალი პოლიტიკური აქტივობით გამოირჩეოდა, რაც, ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა განპირობებული იყო რუსეთის არ გაღიზიანების პოლიტიკით მის საზღვრებთან აქტიურობის გამო.

საქართველოს საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ მის მიმართ ევროკავშირს მკაფიო პოზიცია განესაზღვრა. სამწუხაროდ, დასავლეთ ევროპისათვის ჩვენს ქვეყანას მხოლოდ მარგინალური მნიშვნელობა ჰქონდა და ეს გარემოება აისახა მის პოლიტიკაზეც. ამაზე მეტყველებს ის პროგრამაც, რომელიც ევროკავშირმა შეადგინა საქართველოსთვის. ურთიერთთანამშრომლობის პოლიტიკა ემყარება რეგიონის ერთიანობის კონცეფციას.

ევროპის კომისიის დოკუმენტებში მთელი რეგიონი განსაზღვრულია როგორც ხიდი ევროპასა და აზიას შორის. როდესაც, ხდება პრიორიტეტთა განსაზღვრა ამიერკავკასიაში, მხედველობაში არ იღებენ საქართველოს თვითიდენტიფიკაციას, რომლის თანახმადაც იგი კულტურულად და ისტორიულად ევროპას აკუთვნებს თავს. მაშინ როდესაც, სამხრეთ კავკასიის რეგიონის დანარჩენი ორი სახელმწიფო – სომხეთი და აზერბაიჯანი, თვითიდენტიფიკაციის განსაზღვრის დროს საკმაოდ არათანმიმდევრულები არიან. სომხეთის სახელმწიფო, სოციალიზმის სისტემის დაშლის შემდეგ, რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე გახდა, შემდეგ 2004 წელს, მართალია, ევროპული სამეზობლო პოლიტიკასა და სხვა ფორმატებში ჩაერთო, მაგრამ ამავე დროს, 2014 წელს სომხეთის ექსპრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა ხელი მოაწერა ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანების ხელშეკრულებას, მოგვიანებით კი მიიღო გადაწყვეტილება პოლიტიკური კურსის ცვლილების შესახებ; რაც შეეხება აზერბაიჯანს, ამ სახელმწიფოში პოლიტიკური ინსტიტუციების მუშაობა და ფუნდამენტური დემოკრატიული უფლებების პრაქტიკული განხორციელება ჯერ კიდევ განისაზღვრება საპრეზიდენტო ვერტიკალის მეშვეობით. ამ გარემოებების მიუხედავად, თავდაპირველად, ევროკავშირის პოლიტიკა ერთნაირი იყო სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს მიმართ. მეტიც ის პრინციპულად არ განსხვავდებოდა იმ პოლიტიკისაგანაც, რომელსაც იგი ცენტრალურ აზიაში ატარებდა. ბრუნო კოპიტერსი კარგად ახასიათებს ევროპის პოლიტიკას საქართველოს

მიმართ და მას უწოდებს „კეთილგანწყობილ გულგრილობას“ [5].

ყოველივეს მიუხედავად, ჩვენმა ქვეყანამ წარმატებით დაძლია ევროინტეგრაციის გზაზე არსებული გამოწვევები, მიაღწია მის მიმართ ევროკავშირის მხრიდან ე.წ. დიფერენციაციის პრინციპის განხორციელებას, გააფორმა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რითაც საქართველოსთვის თვისობრივად ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური პერსპექტივები გადაიშალა. ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის ლტლოლვილთა კრიზისი, გაეროს 2016 მონაცემებით, მსოფლიოში აღრიცხულია 232 მილიონი საერთაშორისო მიგრანტი, რომელიც თავის სამშობლოს მიღმა ცხოვრობს, აქედან ევროპაში მიგრანტების რიცხვი 72 მილიონია [6].

ლიბანის, თურქეთისა თუ იორდანიის ტერიტორიაზე განთავსებულ ლტოლვილთა ბანაკებში აუტანელი პირობების გამო ლტოლვილებმა თავი შეაფარეს, პირველ რიგში, თავის სამეზობლოში, და მეორე რიგში, ევროპას, – შედარებით უსაფრთხო და იაფი მარშრუტით – საბერძნეთის გავლით, ევროპას (იმის შემდგომ რაც გაიხსნა მაკედონიის სატრანზიტო გზა, არალეგალი მიგრანტებისთვის მაკედონიის მთავრობამ არალეგალი მიგრანტების მიმართ მიიღო კანონი, რითაც მათ სამი დღის განმავლობაში მიეცათ თავშესაფრით სარგებლობის უფლება, ხოლო მაკედონიის გავლით ბალკანეთის მარშრუტის გახსნამ საშუალება მისცა ახლო აღმოსავლეთის მიგრანტებს გადასულიყვნენ მეზობელი თურქეთიდან მოხვედრილიყვნენ ბერძნულ კუნძულებზე რითაც ადვილად ხვდებოდნენ ევროკავშირის საზღვრებთან). განსაკუთრებით დაზარალდა საბერძნეთი როცა მის საზღვრებს ლტოლვილთა ნაკადები მიაწყდა. განსაკუთრებით კი 2015-2016 წლებში, როცა სირიიდან, ავღანეთიდან და ერაყიდან მილიონზე მეტი ადამიანი ჩავიდა, ხოლო საბერძნეთი არ აღმოჩნდა მზად ამ რაოდენობის ლტოლვილების გასამკლავებლად. ლტოლვილებიდანაც მხოლოდ შედარებით მცირე ნაწილი – 13,197 ადამიანი, რაც 2015 წელს ჩამოსულთა მთლიანი რაოდენობის 1.54% შეადგენდა (საბერძნეთის თავშესაფრის სამსახურის მონაცემებით) დარეგისტრირდა საბერძნეთში, უმრავლესობამ და მიაშურა უფრო განვითარებულ ქვეყნებს, ძირითადად გერმანიას, შვედეთსა და ავსტრიას.

გერმანიამ, პირველმა გამოთქვა თანხმობა შეეფარებინა ლტოლვილები და მართლაც, ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე მეტი ლტოლვილები შეიფარა – 115,600 სირიელი ლტოლვილი, გერმანიის შემდეგ, შვედეთმა მისცა თავშესაფარი მის საზღვრებამდე მისულ – 52,70 სირიელ ლტოლვილს, მეზობელი ქვეყნებიდან სირიელი ლტოლვილების ყველაზე მეტი რაოდენობა 2015 წლისთვის შეიფარა თურქეთმა – 2.5 მილიონი ლტოლვილი; ლიბანმა - 1.1 მილიონი; იორდანიამ - 628,200 მილიონი; ერაყმა - 244,600 მილიონი; ხოლო ეგვიპტემ - 117,600 მილიონი. ზოგადად კი ზოგადად კი, ევროკავშირის სტატისტიკური ოფისის (EUROSTAT) მონაცემებით, 2014 წელს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში 562 680 თავშესაფრის მაძიებელი დარეგისტრირდა, ხოლო 2015 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 1 256 600 გასცდა. მის ნახევარს წარმოადგენენ ლტოლვილები სირიიდან.

2014 წლიდან 2021 წლამდე ევროკავშირში თავშესაფრის მაძიებელთა სტატისტიკა [7].



ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების მიერ თავშესაფრის მოთხოვნის სტატისტიკა		
2017 წელი		
პერიოდი	ქვეყანა	რაოდენობა
2017 წელი	ავსტრია	436
2017 წელი	იტალია	412
2017 წელი	გერმანია	3462
2017 წელი	ესპანეთი	237
2017 წელი	საფრანგეთი	1859
2017 წელი	დანია	75
2017 წელი	ფინეთი	330
2017 წელი	შვედეთი	1106

2018 წელი		
პერიოდი	ქვეყანა	რაოდენობა
იანვარი-მაისი	ავსტრია	269
იანვარი-მაისი	იტალია	452
იანვარი-ივნისი	გერმანია	2710
იანვარი-აპრილი	შვედეთი	701
იანვარი-თებერვალი	საფრანგეთი	663

აღნიშნული მიზეზების გამო ევროკავშირის მთავარ მონაპოვარს - შენგენის ზონასა და დუბლინის სისტემას შეექმნათ საფრთხე: გერმანიასა და ავსტრიაში დროებით შეაჩერეს შენგენის ხელშეკრულება, ხოლო საბერძნეთსა და გერმანიაში - დუბლინის რეგულაცია; სლოვენიამ, ავსტრიამ და უნგრეთმა აღმართეს სასაზღვრო ბარიერები, ხოლო დანიამ, შვედეთმა და საფრანგეთმა აღადგინეს სასაზღვრო კონტროლი. ლტოლვილებთან გამკლავება არის ევროპის მთავარი გამოწვევა, რამეთუ თავად ევროკავშირს ექმნება საფრთხე, მის პოლიტიკურ და კულტურულ იდენტობას [8].

ევროკავშირის ბოლო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ბოლო წლებში ბრექსიტი იყო. რეფერენდუმმა გადაწყვიტა ამ ქვეყნის ევროკავშირში დარჩენა-არდარჩენის ბედი, რომელიც 1975 წლის კენჭისყრამ განსაზღვრა. მაშინ ბრიტანელების 67 პროცენტი მიემხრო მათი ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას, ბლოკიდან გასვლის მომხრე კი, 2016 წლის რეფერენდუმის შედეგებით, 51.89 პროცენტი იყო. აღნიშნული რეფერენდუმი გამოიწვია ევროკავშირის მიერ წარმოებულმა ბიუროკრატიულმა პოლიტიკამ, ბრიტანეთი ყოველთვის ცდილობდა საკუთარი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ევროპული იდეის ფარგლებში, ამასთან წარმართავდა ევროინტეგრაციის ძირითად პროცესებსაც.

დიდმა ბრიტანეთმა შეძლო შეენარჩუნებინა განსაკუთრებული სტატუსი ევროკავშირში: 1992 წ. „საერთო ბაზრის“ ევროპულ კავშირად გარდაქმნის დროს ბრიტანეთი არ გადავიდა საერთოევროპულ ვალუტაზე; 1996 წ. უარი განაცხადა შენგენის ზონასთან მიერთებაზე; 2014 წელს შინაგან საქმეთა მინისტრის თარიზა მეის დამსახურებით ბრიტანეთზე არ გავრცელდა ევროკავშირის სამართლებრივი და შინაგან საქმეთა პოლიტიკის საკმაო ნაწილი; ხოლო 2016. ექს პრემიერ მინისტრ დევიდ კემერონს ევროკავშირის ხელმძღვანელობა ოფიციალურად დაჰპირდა, რომ ბრიტანელებს არ შეეხებოდა „ევროპის ხალხების სულ უფრო მჭიდრო კავშირის შექმნის“ პროექტში მონაწილეობა. ურთიერთობები გაერთიანებულ სამეფოსა და ევროკავშირს შორის განსაკუთრებით გაუარესდა 2003 წელს, როდესაც დიდმა ბრიტანეთმა მხარი დაუჭირა აშშ-ს სამხედრო ინტერვენციას ერაყში და საბოლოოდ, 2016 წლის 23 ივნისს დიდ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად ხმათა უმრავლესობით გადაწყდა დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა, რასაც ემბლემატური სახელი „Brexit“ (ბრიტანეთის გასვლა) დაერქვა [9].

რეფერენდუმში მცირე უპირატესობით ბრიტანელებმა ბრექსითს მისცეს ხმა: ამომრჩეველთა 51.9%-მა (17 მილიონი ადამიანი) მხარი დაუჭირეს დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოსვლას, 48.1% - მა (16 მილიონზე მეტი) კი - ევროკავშირში დარჩენას. ევროკავშირში დარჩენას მხარი დაუჭირა შოტლანდიამ (მონაწილეთა 62%), ჩრდილოეთ ირლანდიამ, ქალაქებმა - ლონდონმა, ოქსფორდმა, კემბრიჯმა, ბრისტოლმა, ასევე ახალგაზრდა, განათლებული და შემლებული ადამიანების უმრავლესობამ. ბრიტანეთის გასვლის მომხრეების არგუმენტი წარმოადგენდა შემდეგს: ევროკავშირში დიდი ბრიტანეთი მესამე ყველაზე დიდი ნეტოგადამხდელი ქვეყანაა, ამიტომ ხუთი 5 მილიარდით ზარალდებოდა ბრიტანეთი შექმნილ სიტუაციაში; მეორე არგუმენტი ეხებოდა ლტოლვილთა თემას. მათთვის თურქეთის ვიზალიბერალიზაციის პერსპექტივა სრულიად მიუღებელია, რადგან მიიჩნევენ, რომ ევროკავშირიდან ემიგრირებული მოსახლეობა (3,3 მლნ ადამიანს) ართულებენ სოციალურ სისტემას დიდ ბრიტანეთში; მესამე არგუმენი შეეხებოდა ნაციონალური სუვერენიტეტის თემას, რომე-

ლიც ევროკავშირის ბიუროკრატიული სისტემის მიერ საგრძნობლად ზიანდებოდა. ხოლო ევროკავშირში დარჩენის მომხრეების არგუმენტი ძირითადად ეკონომიკური ხასიათისა იყო, რომლის მიხედვითაც ზარალდებოდა თითოეული ოჯახი დიდ ბრიტანეთში ფინანსურად (დაახლოებით 100 მილიარდი ფუნტის ოდენობით წელიწადში), სამუშაო ადგილის მხრივ, შემცირდებოდა ინვესტიციები, ზარალდებოდა ექსპორტთან დაკავშირებული სფეროები და ფირმები და ა.შ. [10].

საბოლოოდ, 2017 წლის 29 მარტს და დაიწყო მოლაპარაკებები გასვლის პირობებზე, რომელიც პროცედურულად დასრულდა 2019 წლის 30 მარტს. დიდი ბრიტანეთის რეფერენდუმის შედეგებს ევროკავშირის შესაძლო დატოვებასთან დაკავშირებით, დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ბევრი ითქვა იმ უარყოფით გავლენაზეც, რაც შეიძლება მოჰყვეს ბრექსიტს როგორც დიდი ბრიტანეთისათვის, ასევე ევროკავშირისათვის. ბრექსიტის მომხრეების მხრიდან გავრცელებული არაერთი არასწორი ინფორმაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ საეჭვოა ბრიტანეთის ყველა მოქალაქეს გააზრებული ჰქონდეს რეფერენდუმის პოტენციური შედეგები [11].

ამ პერიოდმა კარგად გამოაჩინა ბევრი პრობლემა და გამოწვევა, რომლის წინაშეც დგას ევროკავშირი. შესაძლებელია, რომ ევროკავშირმა ეს მოვლენა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და წინსვლის შესაძლებლობა დაინახოს. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ რომ დიდი ბრიტანეთი ყოველთვის იყო ევროკავშირის „ურჩი შვილი“, რასი დასტურიც ისტორიულ წარსულშიც მოიძებნება. ბრექსიტი შესანიშნავი შესაძლებლობაა, რომ მოლაპარაკებები დაიწყოს ევროკავშირის ხელშეკრულებებზე და გატარდეს ფუნდამენტური რეფორმები. აგრეთვე უნდა ითქვას, რომ იმ დადებით შედეგებს რაც შეიძლება ბრექსიტმა ევროკავშირს მოუტანოს, შესაძლოა თან ახლდეს უარყოფითი გავლენა საქართველოზე.ბრიტანეთის გასვლა ევროკავშირის ბიუჯეტს ყოველწლიურად 9-10 მლრდ ევროს შემოსავალს დააკარგვინებს. ეს პროცესები, ალბათ, გარკვეული პერიოდი განსაზღვრავს როგორც ბრიტანეთის, ისე ევროკავშირის მომავალ ბედს და გარკვეულ წილად აისახება ახალ მსოფლიო წესრიგზე [11].

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები პერსპექტივის კუთხით შეიძლება რამდენიმე გამოწვევის წინაშე დადგეს.

პირველი, „დანაწევრებული“ ევროპა უახლოეს მომავალში დაკავებული იქნება მხოლოდ საკუთარი შიდა პრობლემებით, უკეთესი ინტეგრაციისათვის ზომების მიღებით, ეს კი პუტინს აძლევს საშუალებას, ძალები გაიმაგროს. ასევე ალბათობა იმისა რომ ევროკავშირის რუსეთისადმი მკაცრი დამოკიდებულება შეიცვალოს დიდია. „მოსკოვი“ უკვე დიდი ხანია ეძებს შესაძლებლობას რომ იხილოს დასუსტებული ევროკავშირი, ბრექსიტით კი მისი ეს მიზანი ადვილად მიღწევადია, ისე რომ თავად არანაირი მოქმედება არ მოუწევს. მოსკოვის მერმა სერგეი სობინინმა აღნიშნა – „დიდი ბრინატეთის გასვლის შემდეგ, ევროკავშირში არავინ დარჩება ვინც რუსეთისადმი სანქციების გამკაცრების იდეას დაიცავს.“ რუსეთის მიმართ გერმანიისა და საფრანგეთის დამთობი პოლიტიკის ფონზე, ბრექსიტს შესაძლოა მოჰყვეს საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯები, მით უფრო რომ რუსეთი კვლავ რჩება ევროკავშირის ცალკეული სახელმწიფოსთვის ძირითად გაზის მომწოდებელ ქვეყნად და მნიშვნელოვან ბაზრად.

ბრიტანეთი საქართველოსთვის ერთ-ერთი მტკიცე მოკავშირე და მხარდამჭერი ევროკავშირის წევრი სახელმწიფო იყო [9].

მისი საგარეო პოლიტიკიდან აღსანიშნავია ის ფაქტი რომ, ევროკავშირის მიერ საქართველოში განხორციელებულ სადამკვირვებლო მისიაში (EUMM Georgia) გაერთიანებულმა სამეფომ ევროკავშირის მისიებში მონაწილეობის საკუთარ ისტორიაში ერთ-ერთი დიდი შენატანი გაიღო (კოსოვო – 40 კაცი, საქართველო – 19 , ავღანეთი- 9).

2015 წელს დიდი ბრიტანეთი იყო საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების ერთ-ერთი აქტიური მხარდჭერი, საგარეო მდივანმა ფილიპ ჰამონდმა საქართველოს უწოდა „რეგიონული დემოკრატიის მისაბაძი მაგალითი“, შოტლანდიაში ევროკავშირის მომხრეები აცხადებენ, გარდაუვალია გაერთიანებული სამეფოდან გამოყოფის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მდგომარეობას თუ მივიღებთ მხედველობაში, შოტლანდიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ შესაძლოა ბიძგი მისცეს მსგავს ტენდენციას სხვა ქვეყნებში და მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი შემთხვევა ერთმანეთისგან ფუნდამენტურად განსხვავდება, შოტლანდიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ შეიძლება დააზიანოს საქართველოს ეროვნუ-

ლი ინტერესები. განსაკუთრებით სახიფათოა ეს ტენდენცია იმ ფონზე როდესაც ევროკავშირი უფრო შიდა პრობლემების მოგვარებით იქნება დაკავებული და სავარაუდოდ ჩვენთვის არ ეცლება. ასეა თუ ისეა ფაქტია რომ ევროკავშირი თავისიი ისტოორის მანძილზე ერთ-ერთ სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას და მხოლოდ დრო გვანახებს რამდენად მოახერხებენ ევროპელი ლიდერები არსებული კრიზისის დაძლევას.

თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირში მიმდინარე ურთულესმა პოლიტიკურმა პროცესებმა - მიგრაციისა და მულტიკულტურულიზმის პრობლემების მოუგვარებლობამ, ბრექსიტმა და ევროპული იდენტობის პოლიტიკურმა და კულტურულმა კრიზისმა, ევროპული პოლიტიკის დღის წესრიგში დიდი წყვეტის შემდეგ კვლავ დააყენა რადიკალიზმის ახალი ტალღისა და კარდინალური ცვლილებების აუცილებლობა, რამაც გამოიწვია ულტრა მემარჯვენე რადიკალების პოპულარობის ზრდა. ევროკავშირში სახეზეა ახლო წარსულში მარგინალიზებული რადიკალური ჯგუფებიდან ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალებად და არსებული ევროპული პოლიტიკის ალტერნატივებად ჩამოყალიბების ზრდის დინამიკა, მათი ანტილიბერალური ხასიათი და სახიფათო კავშირები რუსეთთან.რადიკალური მემარჯვენე პარტიები (რმპ) ევროკავშირის ქვეყნებში განსაკუთრებული მრავალფეროვნებითა და მრავალგვარობით ხასიათდებიან - ერთ ოჯახში არიან გაერთიანებული სხვადასხვა წარმომავლობის პარტიები - როგორც სახელისუფლებო უმრავლესობის მქონე, კონსერვატიული ელიტიდან წარმოშობილი ჯგუფები, ასევე ევროპის ნაცისტური წარსულის სამართალმემკვიდრე პოლიტიკური ძალები, რომლებსაც იტალიელი მეცნიერი პიერო იგნაცი ტრადიციულ მემარჯვენე ექსტრემისტულ ძალებს უწოდებს [12].

რადიკალური პარტიების ნაწილს მჭიდრო იდეოლოგიური და პერსონალური კავშირები გააჩნიათ რუს ბიზნესმენებთან, პოლიტიკოსებთან და დიპლომატებთან; გარკვეული ძალები კი ირიბად უჭერენ მხარს რუსეთს, რადგანაც ამ ძალების ევროსკეპტიციზმი და იდეოლოგიური დაპირისპირება ლიბერალიზმთან, შედის რუსეთის ინტერესებში [13].

მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის 26 ნოემბერში ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის მხრიდან მომავალი დეზინფორმაციისა და მტრული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლას, რუსეთის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროპაგანდა, ევროკავშირის დესტაბილიზაციისა და შიდა პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის მიზნით, კვლავაც გრძელდება და გავლენას ახდენს ევროკავშირის ქვეყნების შიდა პოლიტიკაზე [12].

დღევანდელი მდგომარეობით აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი უკრაინა ომის ზღვარზეა, უკრაინა რუსეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პოსტ საბჭოთა მნიშვნელობის სახელმწიფოა, რადგან იმ შემთხვევაში თუ კიევი განვითარების სწორ გზაას დაადგება და მჭიდრო კავშირს დაიწყებს ნატოსთან და ევროპასთან თანამედროვე რუსეთზე ბევრად ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება შეუძლია. უკრაინის ეკონომიკური მდგომარეობა, რომ გაუმჯობესდეს, შავ ზღვაში რუსეთი ჩიხში აღმოჩნდება, ხოლო კრემლი კი შავი ზღვის აუზში მთავარ ქვეყნად ყოფნაზე აცხადებს პრეტენზიას, რასაც იმ შემთხევაში თუ საერთაშორისო მხარდაჭერა ექნება უკრაინას თურქეთთან ერთად დიდ ზიანს მიაყენებს რუსეთს, მონტროს კონენციის გაუქმების გარეშეც. რუსეთი მთელი ძალისხმევით ეცდება თავიდან აიცილოს შავ ზღვაში მისი ბერკეტების დაკარგვა, თუმცა ამისთის საერთაშორისო წესრიგისა და საერთაშორისო სამართლის დარღვევა მოუწევს. თუ დასავლეთში ყოველივე ზემოაღნიშნული ესმით და რუსეთს მისცემენ ანექსიის საშუალებას ომი იქნება იმ მასშტაბის როგორიც ევროპას ათწლეულებია არ უნახავს. საინტერესოა ომის შემთხვევაში რა მდგომარეობაში აღმოჩნდება საქართველო და რა მასშტაბებზე არის წამსვლელი რუსეთი საქართველოსთან მიმართებაშიც, რადგან საქართველოს სვლა ევროპისკენ, ეროკავშირის წევრობისკენ და ნატოსკენ მნიშვნელოვნად აღიზიანებს რუსეთს, რომელსაც სურს, რომ თავის მეზობელ ქვეყნებში სრული კონტროლი ქონდეს დამყარებული.

მნიშვნელოვანია ამავდროულად, გავაანალიზოთ ყაზახეთში მიმდინარე მოვლენები, რომელიც მძიმე დარტყმას გვაყენებს ქართველებს. ევროპელებს უნდა ვუთხრათ, რომ ითანამშრომლონ და მილიონობით დოლარის ინვესტიცია განახორციელონ იმ რეგიონის, სადაც კონტიტუციური წესრიგი და სტაბილურობა ნებისმიერ დროს შეიძლება მოიშალოს და მის აღსადგენად სხვა ქვეყნის ჩართულობა გახდეს საჭირო. რუსული გავლენების ზრდა, რომ გვერდზე გადავდოთ, ცენტრალურ აზიაში

ნებისმიერი სახის არეულობა და სამოქალაქო დაპირისპირება ძალიან დიდ ზიანს გვაყენებს. რუსეთი არის დიდი ქვეყანა, რომელიც განიცდის ფსიქოლოგიურ ტრამვას ახალი რეალობის გააზრების პროცესში. მან უნდა იგრძნოს, რომ იგი რჩება დიდ მოთამაშედ.

GIORGI GAKHARIA

THE IMPORTANCE OF GEORGIA'S ACCESSION TO THE EUROPEAN UNION

It took Georgia a long time for the European Union to start pursuing an individual policy in our country. This was preceded by the Partnership and Cooperation Agreements and the intensification of the Eastern Neighborhood Policy. Georgia has always been ahead of the South Caucasus in terms of European aspirations, but the EU has long viewed relations with Georgia in the context of the South Caucasus, despite the fact that Armenia is officially a strategic partner of Russia and Azerbaijan pursues a balanced policy with Russia and the West.

Agreements and partnerships led the country to conclude an association agreement. The country has successfully overcome the challenges on the road to European integration and has achieved the so-called Implementing the principle of differentiation, it signed the Association Agreement with the European Union, thus making qualitatively new economic and political perspectives available to Georgia. Georgia 's role in international relations is recognized. It is strategically located and it is clear that in the EU Global Enlargement Plan, Georgia is considered as a worthy candidate for membership, but it has clear requirements, which must be met by the country before membership. In particular, it must adapt to the existing legislation, rules and regulations in the EU area and be economically strengthened.

Key words: *European Union, accession, perspectives, partnership.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bundesministerium des Inneren (გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტრო), Polizeiliche Kriminalstatistik 2015 (2016), https://www.bmi.bund.de/SharedDocs/downloads/DE/publikationen/2016/pks2015.pdf?__blob=publicationFile
2. https://mfa.gov.ge/News/mzad-vart-2024-cels-gavaketot-ganackhadi-evrokavsh.aspx
3. სარჯველაძე მ., „საქართველოს ვიზალიბერალიზაცია და გერმანია - გაჭიანურების პოლიტიკა და მისი მიზეზები“. თბ., 2016.
4. https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage_ka/49071/
5. კოპიტერსი ბ., „საქართველო და ევროპა: პერიფერიის ცნება საერთაშორისო ურთიერთობებში“, ჟურნ. „საზოგადოება და პოლიტიკა“, II, თბ., 2000.
6. Пресс-релиз ООН / Режим доступа: http:// www.un.org/ru/ga/68/meetings/migration/pdf/ internationalmigrantsworldwide_totals2013. pdf [UN Press-Review. Mode of access: http:// www.un.org/ru/ga/68/meetings/migration/pdf/
7. https://qartiisskola.wordpress.com/2018/07/12/
8. გოგოლაშვილი კ., „გვემუქრება თუ არა ახლო მომავალში ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის გაუქმება“, თბ., 2018.
9. კუპატაძე ა., „რას ნიშნავს „ბრექსითი“ ევროკავშირისთვის, რუსეთისა და საქართველოსთვის?“ თბ.,2017.
10. სმიტი ბ. რ., „ევროკავშირის დატოვებისა და დარჩენის მომხრეთა არგუმენტები“, ლონდონი,2016.
11. გრიგოლია ი., „ბრექსიტი და მისი ეკონომიკური შედეგები“, თბ., 2016.
12. ლორთქიფანიძე ლ., „რადიკალური მემარჯვენე პარტიების განვითარების ძირითადი ტენდენციები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (2010-იანი წლების მაგალითზე)“, თბ., 2018. file:///C:/Users/User/Downloads/93-438-1-PB.pdf)
13. ტაბატაძე მ., „რატომ უნდა ადარდებდეს საქართველოს მარი ლე პენი“. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2017, http//gip.ge/ge.

ქეთევან მესხიძე
*წარმოადგინა პროფ. **იგორ კვესელავამ***

ტექნოლოგიური კონკურენცია „რუხი ზონების“ სამხედრო კონფლიქტებში და მომავლის ომების ხასიათი

გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები, კომპლექსურად ცვლის რა უსაფრთხოების გარემოს, გარდაქმნის არა მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსოფლიო პოლიტიკის ფორმასა და სტრუქტურას, არამედ მკვეთრ გავლენას ახდენს ამ გარემოში მოქმედ აქტორებზე.

გლობალიზაციის პირობებში ბიპოლარული სამყაროს ნგრევამ და მსოფლიო წესრიგის ახალი მოდელის ჩამოყალიბების მცდელობამ წარმოშვა საერთაშორისო ურთიერთობების ქაოტიზაცია და დიდი გაურკვევლობა მათი განვითარების თვალსაზრისით, რაც განსაკუთრებით ვლინდება საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში. სწორედ ამ სენსიტიურ სეგმენტში იჩინა თვი ყველაზე მწვავედ გლობალიზაციის შედეგებმა, რომელიც დაკავშირებულია პოსტინდუსტრიული საზოგადოების ინფორმაციულ საზოგადოებად თანდათანობით ტრანსფორმაციასთან, სოციალურ-პოლიტიკური პარადიგმის ცვლილებასა და „ცივი ომის“ სტრუქტურაზე დაფუძნებული ორპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის დასრულებასთან [1].

სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების რაოდენობის ზრდა, ძლაუფლების დიფუზია, ახალი კონფლიქტების ეპოქის გაჩენა - იწვევს არასტაბილურობასა და მზარდ დეზორგანიზაციას.

„გლობალიზაციის“ ცნებაში გაერთიანებული პლანეტარული ხასიათის მოვლენები და პროცესები, განსხვავაებული შინაარსის მატერებელია და ყოვლისმომცველი საშიში ფორმებითა და გამოვლინებებით იჩენს თავს „რუხ ზონებში“, იქნება ეს რიგი „დიდი სახელმწიფოების“ სწრაფვა თანამედროვე მსოფლიო წესრიგში სამხედრო დომინირებისთვის, დიპლომატიური გათიშულობა, ფუნდამენტურად ახალი ინოვაციური და რობოტიზებული შეიარაღების ზრდა, შეიარაღებული კონფლიქტების სპონტანური გაფართოება, საერთაშორისო ტერორიზმის ტოტალური შეტევა, ნეონაციზმისა და პოლიტიკური ექსტრემიზმის გააქტიურება, კიბერაგრესია, „ჰიბრიდული“ ომები, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გაყალბება თუ სხვა - სრულად მოიცავს მსოფლიო საზოგადოების ყველა მთავარი პოლიტიკური სუბიექტისა და უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე სახელმწიფოთა უსაფრთხო განვითარების დესტრუქციულ ფაქტორებს.

ციფრული რევოლუციით გამოწვეული მსოფლიო ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების ღრმა ტრანსფორმაციამ, მასმედიისა და ინტერნეტის „მტვრიანი ქსელების“ საშუალებით გლობალური საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებამ, განსაკუთრებით ციფრული და ნანოტექნოლოგიების დანერგვამ, გავლენა მოახდინა ბუნებრივ, საკომუნიკაციო, სამხედრო სფეროსა და სხვა საქმიანობაზე, თანამედროვე სახელმწიფოთა მოსახლეობის მთელი ცხოვრების წესზე, მათ საშინაო, საგარეო და სამხედრო უსაფრთხოების პოლიტიკაზე, გლობალიზაციის კრიზისულ გამოვლინებებსა და საერთაშორისო ურთიერთობებში კონფლიქტებზე რეაგირების მსოფლიო პოლიტიკაზე.

საუბარია გლობალურ ელექტრონულ (ციფრულ) რევოლუციაზე („ელექტრონული რევოლუცია“), ელექტრონული ინჟინერიის, კომუნიკაციებისა და ტექნოლოგიური მიღწევების სახელმწიფოებისა და მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში, სამეცნიერო, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ, ეკონომიკურ, ფინანსური ბრუნვის, ჯანდაცვის, განათლების, ინფორმაციისა და ეროვნული უსაფრთხოების სამხედრო სფეროში შეღწევის მასშტაბებსა და სიჩქარეზე.

გლობალიზაციის არსებულმა მოდელმა ამოწურა საკუთარი თავი, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების მასშტაბური ზრდა კი აყალიბებს საფუძველს შემდგომი ტექნოლოგიური წყობისთვის, რაც საჭიროს გახდის ცვლილებებს გლობალური მართვისა და ახალი მსოფლიო კავშირების ორგანიზებისთვის. სახელმწიფო, რომელიც შეძლებს განვითარების ისეთი მოდელის ფორმირებას, რომელიც უდიდესი ხარისხით პასუხობს მომავლის გამოწვევებს, შესაძლებლობა მიეცემა უფრო მოქნილად მოახდინოს ადაპტირება სამომავლო ცვლილებებთან.

აღნიშნული მტკიცება სრულად ეხება პოლიტიკურ, სამხედრო-ტექნოლოგიური სფეროსა და „რუხი ზონების“ გამოწვევებთან ადაპტაციას.

საკვანძო სიტყვები: „რუხი ზონები“, ციფრული რევოლუცია, გლობალიზაცია; საერთაშორისო უსაფრთხოება; სამხედრო-ტექნოლოგიური მიღწევები.

გლობალიზაციისა და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური[1] რევოლუციის პირობებში, XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მთელი ძალით იჩინა თავი ფაქტორებმა, რომლებიც განაპირობებენ „რუხ ზონებში“ მიმდინარე კონფლიქტებისა და თავად ომის ფენომენის რადიკალურ ცვლილებას: თანამედროვე სტრატეგიებში,[2] მოწინააღმდეგის ფიზიკური განადგურების იარაღს ემატება მისი სიმბოლური განადგურების ტექნოლოგიები, რომელიც მიმართულია ადამიანის საქმიანობის სულიერი, ღირებულებითმოტივაციური სფეროებისკენ. ომის არსის გააზრებისთვის წამყვანი როლი ენიჭება ფაქტორებს, რომელიც განაპირობებს მოწინააღმდეგის ტერიტორიის ოკუპაციისა და რესურსების ხელში ჩაგდების მეორეხარისხოვან როლს, სამიზნე ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერებაზე ყოვლისმომცველი, სტრატეგიული კონტროლის დამყარებისა და დაპყრობილი სახელმწიფოს მომავალზე სრული ძალაუფლების მოპოვების საპირწონედ [2. 5-9];

ტექნოლოგიური კონკურენცია „რუხ ზონებში“ ხორციელდება სამხედრო-ტექნოლოგიურ სფეროში და მოიცავს ბრძოლის რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებას, რომელთაგან უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს კიბერსივრცე, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები, უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება, მონაცემთა ბაზების მართვისა და მიწისზედა საფარის მონიტორინგის კოსმოსური სისტემები, რადიო და რადიოელექტრონული დაზვერვა, აგრეთვე, ინფორმაციული ომი, რომლის სტრატეგია აგებულია ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაპირისპირებულ მხარეთა გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად. სამოქალაქო ტექნოლოგიები, უპირველეს ყოვლისა, საინფორმაციო-კომუნიკაციების სფეროში, წარმოების ტექნოლოგიებისა და შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის გამოყენებასთან ერთად (შეხამებით), ახდენენ სამხედრო-ტექნოლოგიური სფეროს ბაზისის ფორმირებას, რომელიც ვითარდება სამოქალაქო და სამხედრო ტექნოლოგიების ინტეგრაციის საფუძველზე.

სამხედრო სფეროს ევოლუციის სტრუქტურას ქმნის სამხედრო-ტექნოლოგიური ფაქტორები, რომლებიც გადამწყვეტ გავლენას ახდენენ მის ხასიათსა და თავისებურებებზე ან ცალკეულ თვისებებზე. კერძოდ:

ა) ახალი ტექნოლოგიები, შეიარაღებული ბრძოლის საშუალებები, შეიარაღების სისტემები;

ბ) ნოვაციები სამხედრო ძალთა ორგანიზებაში;

გ) ცვლილებები სამხედრო ხელოვნებასა და მის სამივე დონეზე (სტრატეგია, ოპერატიული ხელოვნება, ტაქტიკა) და სამხედრო ძალის გამოყენების ფორმებსა და საშუალებებში;

დ) ძალისხმევა პირადი შემადგენლობის წვრთნისა და აღჭურვის ახალი ხარისხის უზრუნველყოფაში;

ე) შეიარაღებული ძლებისა და საშუალებების მართვის ეფექტურობის ამაღლება.

თითოეული დასახელებული ფაქტორი პირდაპირ კავშირშია ჰიბრიდული ომის, „რუხი ზონებისა“ და თანამედროვე ოპერაციული[3]

[1] „ტექნოლოგია“ - წარმოსდგება ბერძნულიდან და შედგება ორი სიტყვისგან: „ტექნე“ - ოსტატობა და „ლოგოს“ - მეცნიერება. „ტექნოლოგიაში“ იგულისხმება თეორიაც და პრაქტიკაც - ყოველგვარი პროცესი წარმოებაში, რომელიც თვისებას, ფორმასა და გარეგნობას უცვლის ნაწარმს. აღნიშნულ პროცესს ტექნოლოგიური პროცესები ეწოდება. (სამსონია. ნ, გ. ამყოლაძე, მ. ლომსაძე, 2004, 6).

[2] სტრატეგია (ბერძნული stratus - ჯარები და ago - წარმართვა), სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილი, მისი უმაღლესი დარგი. მოიცავს ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ომის თავიდან აცილების, აგრესიის მოსაგვარებლად ქვეყნის და შეიარაღებული ძალების მომზადების თეორიასა და პრაქტიკას; სტრატეგიული ოპერაციების და მთლიანად ომის დაგეგმვასა და წარმოებას. სწავლობს და განსაზღვრავს ომების შესაძლო ხასიათს და სამხედრო საშუალებებით მათი თავიდან აცილების გზებს. (ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი; თბილისი, გვ. 503, 2017) (სტრატეგია არის გეგმა, რომელიც პასუხობს მომავლის გამოწვევებს).

[3] ოპერაცია (ლათინური „operation“ - მოქმედება), მიზნების, ამოცანების, ადგილისა და დროის მიხედვით შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული ნაირგვაროვანი ჯარების (ძალების) ერთდროული ბატალიების, საბრძოლო დარტყმებისა და მანევრის ერთობლიობა. ხორციელდება ერთიანი ჩანაფიქრითა და გეგმით სტრატეგიული, ოპერატიულ-სტრატეგიული ან ოპერატიულ-ტაქტიკური ამოცანების გადასაწყვეტად სამხედრო მოქმედებების თეატრზე, სტრატეგიული (საოპერაციო) მიმართულებაზე, ან რაიონში (ზონაში) დროის დადგენილ პერიოდში; სამხედრო მოქმედებების ფორმა (ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი; თბილისი, 2017).

გარემოს ფენომენის წარმოშობასა და განვითარებასთან.

მიუხედავად იმისა, რომ მათი ზემოქმედების ხარისხი სამხედრო სფეროში ცვლილებებსა და სტრუქტურაზე ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე განსაზღვრული, ამ ეტაპზე უკვე შესაძლოა დანამდვილებით ითქვას, რომ ჰიბრიდული ომისა და „რუხი ზონების“ სიმბიოზი უნდა განვიხილოთ, როგორც სამხედრო სფეროს განვითარების ერთ-ერთი ტრიგერი, რომელიც დაწყებულ იქნა XXI საუკუნეში. მისი წინა ეტაპი დაკავშირებული იყო გასული საუკუნის 40-იანი წლების შუა ხანებში ბირთვული იარაღის გაჩენასთან, რამაც მიგვიყვანა ომის წარმოების სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის რადიკალური გადახედვის აუცილებლობამდე [3. 3-9].

სამხედრო სფეროში პროგრესის თანამედროვე ეტაპზე არსებულ თავისებურებას წარმოადგენს მისი განვითარება ორი მიმართულებით, რომელიც დაკავშირებულია მაღალი სიზუსტის იარაღის შემუშავებასა და შეიარაღებულ ძალებში ჩვეულებრივი და ბირთვული შეკავების აღჭურვილობის სახით დანერგვასთან და ჰიბრიდული ომის, როგორც სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირების ახალი ფორმის გაჩენასთან. სამხედრო სფეროს ევოლუციის არსებულ ეტაპზე მნიშვნელოვან კომპონენტად იქცა მრავალგვარი არალეტალური იარაღის სწრაფი განვითარება, რომელიც გამოიყენება არმიის მიერ სხვადასხვა არასამხედრო მოქმედებებში [4. 272].

და ბოლოს, მინი „რევოლუცია სამხედრო საქმეში“ მოახდინა სამხედრო უპილოტო საფრენი აპარატების (დრონების) გამოჩენამ, რომლის წარმოების ტექნოლოგიებს უკვე ფლობს 100-მდე სახელმწიფო. უპილოტო საფრენი აპარატები ამჟამად მნიშვნელოვნად ცვლიან ომის წარმოების სტრატეგიასა და ტაქტიკას [5].

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული საფრთხის შემცველს წარმოადგენს საბრძოლო დრონების ტექნოლოგიების განვითარება, რომლებიც მოქმედებენ პილოტირებულ გამანადგურებლებთან და ე. წ. საბრძოლო დამრტყმელ მინი-დრონებთან ერთად.

სამხედრო ტექნოლოგიური სფეროს გავლენა სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობაზე, სამხედრო სტრატეგიასა და საბრძოლო მოქმედებების წარმოების მეთოდებზე ხდება სულ უფრო მრავალგანზომილებიანი და შესაბამისად, იზრდება სარწმუნო და საიმედო სამხედრო-პოლიტიკურ და სამხედრო-ტექნოლოგიური პროგნოზირების საჭიროებაც [3. 11-18].

თუმცა, აქვე აღნიშნულ უნდა იქნას, რომ მეცნიერთა და სამხედრო სფეროს ექსპერტთა მიერ ჩამოყალიბებული საერთო თვალსაზრისის თანახმად, გრძელვადიანი პროგნოზების შემუშავება არაპერსპექტიულია საერთაშორისო მდგომარეობის გაურკვევლობისა და მზარდი ქაოტიზაციის პირობებში.

მთელ რიგ ანალიტიკურ ცენტრთა მოხსენებებსა თუ ცალკეულ სტატიებში აქცენტირება ხდება კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სადაც ნავარაუდევია კრიტიკული ინფრასტრუქტურისა და მთელი რიგი მიმართულებებით კიბერსაფრთხეების ზრდა ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენების ბაზრის ზრდიდან გამომდინარე [6. 416].

სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივების ანალიზისას, განსაკთრებული ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას ამჟამად მიმდინარე ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესებზე, რომლის დროსაც განმსაზღვრელი იქნება სწორედ სამხედრო ფაქტორი, რაც გულისხმობს აშშ-სა და ჩინეთის სამხედრო პოტენციალის გაძლიერებას მთელ რიგ სხვა სახელმწიფოთა მიერ (უპირველეს ყოვლისა, ჩრდილოეთ კორეისა და ირანის) არაკონვენციური (ასიმეტრიული[4]) შესაძლებლობების იმავდროულ განვითარებასთან ერთად, ისეთი, როგორიცაა კიბეროპერაციები, მასობრივი განადგურების იარაღი და მისი მიწოდების საშუალებები, სხვადასხვა ტიპის უპილოტო საფრენი აპარატები, რომელიც მოწოდებულია „დიდ სახელმწიფოთა“ ტრადიციული უპირატესობისთვის წინააღმდეგობის გასაწევად.

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან აშშ-ს გასვლა, ბირთვულ შეიარაღებაზე კონტროლის რეჟიმის შესუსტება (საერთოდ არ არსებობა) ზრდის ურთიერთუნდობლობასა და ქმნის ტაქტიკური ბირთვული შე-

[4] ასიმეტრიული ეწოდება ომს, როდესაც მეომარი მხარეების სამხედრო ძალა ან მათ მიერ გამოყენებული სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. ტერმინი „ასიმეტრიული ომი“ ხშირად გამოიყენება ისეთი სიტუაციების ასაღწერად, როგორიცაა პარტიზანული ბრძოლა, ტერორიზმი, ამბოხება და ზოგადად, ისეთი შეიარაღებული კონფლიქტების დროს, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ოფიციალური რეგულარული სამხედრო ძალა და არარეგულარული, ცუდად აღჭურვილი მეტოქე.

იარაღების გამოყენების შესაძლებლობებს მომავლის სამხედრო კონფლიქტებში, რასაც ადასტურებს და უკვე დღეს ცხადად იჩინა თავი რუსეთ-უკრაინის 2022 წლის თებერვლის ომში ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარის სახით.

ამჟამად, მეცნიერთა და სამხედრო სფეროს ექსპერტთა უმრავლესობა იზიარებს თვალსაზრისს იმასთან დაკავშირებით, რომ „რუხ ზონებში“ დაპირისპირებისას ტერმინის პოპულარიზაცია მოხდა 1975 წელს, როდესაც ენდრიუ მაკის (Andrew J.R. Mack „Why Big Nations Lose Small Wars: The Politics of Asymmetric Conflict“) მიერ აკადემიურ ჟურნალში „world Politics“ გამოქვეყნებულ იქნა სტატია „რატომ აგებენ დიდი სახელმწიფოები მცირე ომებს“, სადაც მან „ასიმეტრიული ომი“ გამოიყენა კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის მნიშნელოვანი სამხედრო ძალის განსხვავების აღსანიშნავად. (https://bit.ly/3wyKhhT)

მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ერთის მხრივ, დაპირისპირება აშშ-ს ხელმძღვანელობით დასავლური ქვეყნების კოალიციასა და მეორე მხრივ, რუსეთს, ჩინეთსა და სხვა სახელმწიფოებს შორის, ეკონომიკურ, ინფორმაციულ და სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროებში, რომელიც განხორციელდება ცვალებადი წარმატებით. ეს დაპირისპირება, რომელიც მთელი რიგი მიმართულებებით შეიძენს საკმაოდ მწვავე ხასიათს, დიდ ზემოქმედებას/გავლენას მოახდენს სამხედრო-ტექნოლოგიურ სფეროში კონკურენციაში მყოფ სახელმწიფოთა შესაძლებლობებსა და მათი სტრატეგიული შეკავების უნარზე ერთმანეთთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სიზუსტეს ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით საფრთხეების შეფასებაში, რაც გულისხმობს მთელი სტრატეგიისა და ტექნოლოგიების სპექტრის გათვალისწინებას, რომელსაც იყენებენ გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგეები „რუხ ზონებში“. აგრეთვე ყურადღებით თვალყურის მიდევნებას თანამედროვე ტექნოლოგიური სფეროს განვითარებისთვის, რომელზეც ზემოქმედებას ახდენს მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციები და საჭიროებს ადეკვატურ მიდგომას სამხედრო სფეროში მიღწეული პროგრესის ახალი ეტაპის შესაბამისად. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტორების შესწავლას/გამოყოფას, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ „რუხ ზონებში“ სამხედრო ტექნოლოგიური სფეროს განვითარებაზე და ახალ განზომილებას ანიჭებენ მას:

ჯერ ერთი, მოწინააღმდეგეზე ზემოქმედებისთვის არაძალისმიერი მეთოდების მხარეს ბალანსის გადანაცვლების ფონზე, „რუხ ზონებში“ გამოსაყენებლად წარმატებით იქნა აპრობირებული არალეტალური მოქმედების ტექნიკური საშუალებები და ტექნოლოგიები: რადიოელექტრონული ბრძოლის, რადიო და რადიოტექნიკური დაზვერვის სისტემები, კოსმოსიდან უპილოტო საფრენი აპარატებით „რუხი ზონების“ სივრცის მონიტორინგის საშუალებები, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები საინფორმაციო ბრძოლის სფეროში მართვის ამოცანების გადასაჭრელად, ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან ობიექტებზე ზემოქმედების კიბერნეტიკული ხერხები.

მეორე - სულ უფრო ფართოდ ვრცელდება „რუხ ზონებში“ რესურსების ხელში ჩაგდების ფინანსურ-ეკონომიკური მეთოდები, მათი ეროვნული კუთვნილებისა თუ გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, რაც წარსულში ტოვებს სამხედრო სტრატეგიას, რომელიც აგებული იყო ცოცხალი ძალისა და სამრეწველო პოტენციალის განადგურების გზით მოწინააღმდეგის ტერიტორიის ოკუპაციასა და მისთვის საკუთარი ნების თავს მოხვევის მისწრაფებაზე, რაც წარმოადგენს „გამოფიტვისა და შეხლა-შემოხლის“ ომის ცნობილი კანონის თავისებურ გამოვლინებას. გარდა ამისა, მოწინააღმდეგე მხარეთა ეკონომიკური პოტენციალის ტოტალურმა განადგურებამ პრაქტიკულად სრულად დაკარგა თავისი საწყისი მნიშვნელობა, რამდენადაც მზარდი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში, ხშირად, ნებისმიერი ნაციონალური ეკონომიკის სისტემის მნიშვნელოვანი საკვანძო ნაწილები სხვა სახელმწიფოთა ან საერთაშორისო კორპორაციათა საკუთრებაშია.

მესამე - სახელმწიფოთა უმრავლესობაში ადგილი ჰქონდა მოღვაწეობის ყველა სფეროს ღრმა ინტეგრაციას კიბერსივრცეში, რაც მნიშვნელოვნად ზრდის კიბერშეტევების განხორციელების ეფექტურობას სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ობიექტების მართვის სისტემების, მათ შორის სამხედრო და სამრეწველო ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოყვანის მიზნით.

აქედან გამომდინარე, სამართლიანია მტკიცება, იმასთან დაკავშირებით, რომ „რუხ ზონებში“, ე.წ. „ტექნოლოგიური სფეროს ომში“,

სამხედრო ტექნოლოგიური სფეროს განვითარებაზე ზემოქმედების პირველი რიგის ობიექტებს წარმოადგენს ის სისტემები (სისტემის ელემენტები), რომლებიც იყენებენ კიბერსივრცის რესურსებს [7. 19].

ამ თვალსაზრისით კიბერსფეროსთან ერთად შესაძლოა გამოყოფილ იქნას რამდენიმე ძირითადი მიმართულება. კერძოდ, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები, ხელოვნური ინტელექტი და უპილოტო საფრენი აპარატები.

კიბერსივრცე[5] განხილულ უნდა იქნას, როგორც სამხედრო ტექნოლოგიური სფეროს ხელოვნური, გლობალური და არაერთგვაროვანი ნაწილი. თანამედროვე ოპერაციულ გარემოში კიბერსივრცით მართვა ხორციელდება „რუხი ზონების“ სხვადასხვა ნაწილში არსებული დაპირისპირების ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული მართვის ორგანოთა ზემოქმედების სინქრონიზაციის გზით. „რუხ ზონებში“ კიბერსივრცის ტრანსფორმაციის ქაოტიზაციასა და არაპროგნოზირებადობას ხელს უწყობს მასში სხვადასხვა სუბიექტების მიერ წარმოებული ოპერაციებით მართვის დაპირისპირებული/ანტაგონისტური სისტემების ფუნქციონირება.

ჰიბრიდულ ომში თანამედროვე ოპერაციული გარემოს მართვის სტრატეგია გულისხმობს მიზნების, ადგილის, დროისა და ობიექტებთან დაკავშირებით შეთანხმებული, ერთობლივი ოპერაციების განხორციელებას კიბერიარაღის საშუალებების გამოყენებით, სახელმწიფო ხელისუფლებისა და სამხედრო მმართველობის, ეკონომიკური, ტექნოლოგიური მართვის საკვანძო სისტემების წინააღმდეგ, რომლებიც იყენებენ კიბერსივრცის რესურსებს. იმავდროულად ხდება კიბერდაცვის საშუალებების გამოყენებაც.

ამრიგად, „რუხ ზონებში“ კიბერსივრცე გახდა გლობალური სრულფასოვანი გარემო კიბეროპერაციების განსახორციელებლად, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოწინააღმდეგის სისტემების განადგურება, რაც კლასიკური იარაღის საშუალებით შეუძლებელია, მნიშვნელოვან სიძნელეებთან არის დაკავშირებული ან არ არის მიზანშეწონილი [8. 244].

„რუხ ზონებში“ კიბერსივრცე ფართოდ გამოიყენება სადაზვერვო და დამრტყმელი უპილოტო საფრენი აპარატების მართვასთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად [9. 89. 279].

მოწინააღმდეგის უპილოტო საფრენი აპარატებისთვის წინააღმდეგობის გაწევა შესაძლებელი ხდება რადიო-ელექტრონული დაბრკოლებების დაყენების, „მიწა-ჰაერი“ კლასის რაკეტებითა და საზენიტო-საარტილერიო ცეცხლით მისი განადგურების ან ცრუ მიზნების განთავსების საშუალებით.

თანამედროვე სამხედრო კონფლიქტების გამოცდილება აჩვენებს, რომ „რუხ ზონებში“ სამხედრო-ტექნოლოგიურ სფეროსთან დაკავშირებული ჰიბრიდული ომის მიზნები განიცდიან არსებით ცვლილებებს და შესაბამისად, ადგილი აქვს ჰიბრიდული საფრთხეების ტრანსფორმაციასაც.

პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს კიბერსივრცეში უპირატესობის მოპოვებასა და შენარჩუნებასთან დაკავშირებული ამოცანები. ხორციელდება კიბერსივრცის ბლოკირებისა და მისი ელემენტების საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენების ოპერაციები, იქმნება ხელსაყრელი პირობები უპილოტო საფრენი აპარატების ეფექტურად გამოსაყენებლად, არარეგულარული სამხედრო ფორმირებებისა და სპეციალური დანიშნულების ძალების სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფების მიერ ხდება წერტილოვანი ოპერაციების განხორციელება ქვეყნის სუსტი და მოწყვლადი ადგილების წინააღმდეგ, სახელმწიფო და სამხედრო მმართველობის სისტემების დეზინტეგრაციის, მსხვილი ქალაქების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომარაგებისა და სამრეწველო ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური და ენერგეტიკული უზრუნველყოფის არხების დაზიანების/დარღვევის, უკმაყოფილებისა და ანტისახელმწიფოებრივი მანიფესტაციების პროვოცირების მიზნით [10. 26-31].

ადგილი აქვს კიბერშეტევებს ნავთობისა და გაზის სამრეწველო ობიექტების ავტომატიზებულ მართვის სისტემებზე, ქვეყნის ძალისხმევის გაფანტვისა და დაქსაქსვის, ეკოლოგიისთვის მაქსიმალური ზიანის მიყენებისა და მოსახლეობასა და ცხოველებს შორის ეპიდემიის გავრცელებისთვის პირობების შესაქმნელად.

„რუხ ზონებში“ კიბერსივრცის თავისებურებები არ არის მუდმივი და შესაძლოა პრინციპულად შეიცვალოს სუბიექტების მიერ სტრატეგიულ, ტაქტიკურ ან ოპერატიულ დონეზე მართვიდან გამომდინარე ზემოქმედების

[5] კიბერსივრცე - წარმოადგენს ერთმანეთთან ინტერნეტის საშუალებით დაკავშირებულ ციფრულ ტექნოლოგიებს. (წყარო: საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ; https://bit.ly/3Nmhe6S)

შესაბამისად. „რუხ ზონებში“ დაპირისპირებულ სუბიექტთა სტრატეგია ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით გამოირჩევა, რაც განსაკუთრებულ სიმწვავეს ანიჭებს მოქმედებებს კიბერსივრცეში [9. 90];

„რუხ ზონებში“ კიბერსივრცის სამხედრო დანიშნულებით გამოყენებისთვის დიდი პოტენციალი გააჩნია ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს [11. 55];

„ხელოვნური ინტელექტი“-ს ცნება მომდინარეობს ამერიკელი ინფორმატიკოსისა და კოგნიტური ფუნქციონალური პროგრამირების ფუძემდებლის ჯონ მაკარტიდან, რომლის მიერ 1955 წელს პირველად იქნა გამოყენებული აღნიშნული ტერმინი და ნიშნავს: „ინტელექტუალური მანქანების შექმნისთვის საჭირო მეცნიერებისა და ინჟინერიის დარგს“. იგი განისაზღვრება, როგორც ცოდნის სფერო, „კომპიუტერული მეცნიერებების დარგი, სპეციალური, განვითარებული სახეობა, რომელიც ასრულებს ისეთ ინტელექტუალურ ქმედებებს, რომლებიც, როგორც წესი, დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისთვის. ავტონომიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესები/სისტემები, რომლებიც ახდენენ ადამიანური ქცევის იმიტაციას, პროგნოზირებას ან/და ანაცვლებს მას“ [12].

ევროპის საბჭო ხელოვნურ ინტელექტს განმარტავს, როგორც: „მეცნიერებების, თეორიების, ტექნოლოგიების ერთობლიობას, რომლის მიზანია ადამიანის კოგნიტური უნარების რეპროდუცირება მანქანის მიერ [13].

არსებული განვითარების დონის გათვალისწინებით, ხელოვნური ინტელექტი ნიშნავს ადამიანის მიერ გასაკეთებელი რთული ინტელექტუალური დავალებების დელეგირებას მანქანისთვის“ [14].

ხელოვნური ინტელექტი სამხედრო საქმეში - წარმოადგენს კვლევისა და პრაქტიკული გამოყენების ობიექტს, რომლის ფარგლებშიც ხდება კონცეპტუალური მოდელების, სისტემებისა და მოწყობილობების შემუშავება, რომლებიც ახდენენ ადამიანის ინტელექტუალური მოღვაწეობის (სხვადასხვა ინფორმაციის აღქმისა და ლოგიკური აზროვნების) იმიტაციას შეიარაღებული ბრძოლის სფეროში [15. 8. 24. 49].

ამჟამად აღნიშნულ (სამხედრო) სფეროში ხელოვნური ინტელექტის შემუშავება ორიენტირებულია სამ ძირითად მიმართულებაზე:

ა) ცოდნაზე დაფუძნებულ სისტემებზე;

ბ) ნეიროსისტემებსა და

გ) ევრისტიკული[6] ძიების სისტემებზე

ჰიბრიდული ომის სტრატეგიაში სამხედრო საქმეში ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები გამოიყენება ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული კლასის, სამხედრო დანიშნულების მართვის ავტომატიზებული სისტემების - ჰიბრიდული ომის ოპერაციების მართვის სტრატეგიულ და ოპერატიულ დონეზე გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის სისტემის შექმნისას [16. 6].

„რუხ ზონებში“ ჰიბრიდული ომის სტრატეგიაში ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენება მთელ რიგ უპირატესობას იძლევა [17. 19-25]:

პირველი **-** ჰიბრიდული ომის ფაქტორების მიზანმიმართული გამოყენების შესაძლებლობა მოწინააღმდეგეზე ზემოქმედების ძალისმიერი და არაძალისმიერი საშუალებების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების, კლასიკური და სახალხო დიპლომატიის კოორდინირებული მოღვაწეობის ოპტიმალური საშუალებების არჩევანის ჩათვლით;

მეორე **-** ჰიბრიდული ომის საფრთხეების კომპლექსისა და მისი სახეობების, ადგილის, დროისა და გამოყენების ინტენსივობის მიხედვით სინქრონიზაციის ალტერნატიული ვარიანტების გამოყენების შერჩევის დაჩქარების შესაძლებლობა;

მესამე **-** სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირების სფეროს კიბერსივრცეში გადატანის შესაძლებლობა, რომლის გამოყენება ზრდის „რუხ ზონებში“ მიმდინარე ოპერაციების ოპერატიულობასა და ფარულობას;

---

[6] **ევრისტიკა** - კოგნიტური სტრატეგია ან „პრაქტიკული მეთოდი“, რომელიც ხშირად გამოიყენება როგორც შემოკლებული გზა რთული ამოცანების გადასაჭრელად; ადამიანები ხშირად მიმართავენ ევრისტიკის მეთოდებსა და სტრატეგიებს მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ევრისტიკასთან მიმართებაში მეცნიერებაში ორი ტიპის დამოკიდებულება გამოიყოფა: ა) **მათემატიკური შეხედულება,** რომლის მიხედვითაც ისეთ შემთხვევებში, როდესაც პრობლემის გადაჭრა ანალიზით შეუძლებელია, ევრისტიკის გამოყენება - გარდაუვალია. აღნიშნული მიდგომა ევრისტიკას პრობლემის გადაჭრის გზად განიხილავს, განსხვავებით მეორე შეხედულებისგან, რომლის მიხედვითაც ბ) **ევრისტიკა** - თავად წარმოადგენს პრობლემას, რადგან ინდივიდის მხრიდან მისი გამოყენების საჭიროება ადამიანური გონისა და კოგნიციის ლიმიტებზე მიგვითითებს. (წყარო: ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში; სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2016 წ).

მეოთხე - უპილოტო საფრენი აპარატების მართვა;

მეხუთე - ზრდის „რუხ ზონებში“ მიმდინარე ოპერაციების მართვის მდგრადობას, უწყვეტობას, ოპერატიულობასა და ფარულობას;

მეექვსე - ახდენს ჰიბრიდული ომის, როგორც მოქმედი ან სავარაუდო მოწინააღმდეგის მხრიდან აგრესიის არაბირთვული შეკავების ახალი სახის შესაძლებლობების მნიშვნელოვან გაძლიერებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაზვერვაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება [18. 10-14], რაც საშუალებას იძლევა გადაჭრილ იქნას ფრონტის ხაზიდან დაცილებულ დაზვერვის ობიექტებთან დაკავშირებული ამოცანები, ოპერატიულ ვითარებაში არსებული ცვლილებების, გაურკვევლობის შემცირებისა და არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ახალი ცოდნის ჩამოყალიბების გათვალისწინებით. ამასთან, ხდება აგრეთვე დაზვერვის ცალკეულ სახეობებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციის ოპტიმიზაციის, მოპოვებული ინფორმაციის ინტეგრაციისა და შეფასებასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანების გადაჭრა.

სამხედრო სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება დაკავშირებულია როგორც მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობასთან, ისე აღნიშნული ტექნოლოგიების არასათანადოდ დანერგვისა და გამოყენების უუნარობიდან გამომდინარე რისკებთან. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გამწვავების პირობებში თავს იჩენს ხელოვნური ინტელექტის ბაზაზე საბრძოლო სისტემების შექმნის სფეროში ახალი გამალებული შეიარაღების რისკი (რაც დღეს უკვე შეინიშნება ავიაციის სფეროში არსებულ კონკურენციაში, კერძოდ, ახალი სახეობის თვითმფრინავებისა და უპილოტო საფრენი აპარატების შექმნისას) [19. 15-19].

ამ კატეგორიის რისკებს განსაკუთრებულ სიმწვავეს ანიჭებს ხელოვნური ინტელექტის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული სამართლებრივი ბაზის არ არსებობა და წამყვან სახელმწიფოთა მიერ სამხედრო ტექნოლოგიების შემუშავებისას ინფორმაციული ტექნოლოგიების ერთ-ერთი ყველაზე გამოყენებადი სფეროს - მონაცემთა ბაზებისა და ამ უკანასკნელის მართვასთან დაკავშირებული თანამედროვე სისტემების (DBMS)[7] (განსაკუთრებით დიდი რაოდენობის მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებულ), ჰიბრიდული და ჯგუფური ინტელექტის (Swarm intelligence)[8] [20. 57-62] სფეროში არსებული მიღწევების განუსაზღვრელი გამოყენებისკენ სწრაფვა, გადაწყვეტილების მიღების რგოლიდან ადამიანის ფაქტორის სრულად გამორიცხვის პერსპექტივით გადაწყვეტილების ავტომატიზებულად მიღების - მათ შორის სასიკვდილო შეიარაღების სისტემების გამოყენებისა და ინტელექტუალური რობოტიზებული ტექნიკის - მათთვის ბრძოლის ველზე მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრის „უფლების“ მინიჭების ჩათვლით.

ხელოვნური ინტელექტის ფაქტორმა კიბერსივრცის ფაქტორთან ერთად, ახალი იმპულსი შესძინა სამხედრო სფეროს ევოლუციის შემდგომ ეტაპს და დღეს უკვე წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას, რომლის მოხერხებულად გამოყენებაზე დიდწილადაა დამოკიდებულია სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკის განვითარების ხარისხი.

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები გამოიყენება სამხედრო სფეროში, შეიარაღებული ძალების ყოველდღიურ მოღვაწეობასა და მათი საბრძოლო მზადყოფნის მხარდაჭერაში, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შემუშავებაში. „რუხ ზონებში“ ბრძოლის მაღალი დინამიკისა და დაზვერვის სხვადასხვა სახეობის გამოყენების გათვალისწინებით, ხელოვნური ინტელექტი იძლევა მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ჰიბრიდული ომის საბრძოლო მოქმედებათა თეატრში მიზნების ამოცნობის, მათი ადგილმდებარეობის დადგენის, მათგან მომდინარე საფრთხეების დონის განსაზღვრისა და მათი განეიტრალების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

სამხედრო ხელოვნური ინტელექტის სფეროში ლიდერობს შეერთებულ შტატები [18. 14], რომელსაც კონკურენციას უწევს ჩინეთი. აშშ-ში ახალი ტიპის ომისთვის ინსტრუმენტე-

---

[7] DBMS – (Database Management System) მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები - პროგრამული სისტემები, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლის წვდომას ბაზებთან, მონაცემების შენახვასა და მართვას. (International Journal of Database Management Systems (IJDMS) Vol.5, No.2, April 2013).

[8] Swarm intelligence – ჯგუფური ინტელექტი/როგორც დეცენტრალიზებული თვითორგანიზებული სისტემის კოლექტიური ქცევა განხილულია ხელოვნური ინტელექტის თეორიაში, როგორც ოპტიმიზაციის მეთოდი. ტერმინი შემოტანილ იქნა ჰერარდო ბენის მიერ 1989 წელს, უჯრედოვანი რობოტების კონტექსტში.

ბის შემუშავება მთავარ ამოცანად იქცა, რომელიც 2014 წელს წამოყენებულ იქნა მესამე ინოვაციური თავდაცვის ინიციატივის ფარგლებში და ითვალისწინებს სამხედრო მიზნებისთვის ხელოვნური ინტელექტის დიდი პოტენციალისა და მოწინავე/განვითარებული ავტონომიური სისტემების, რობოტიზებული ტექნიკის, სინთეტიკური ბიოლოგიის, ადამიანის გონების კვლევისა და სოციალური მასების მართვის მაქსიმალურად გამოყენებას [18. 14].

ამერიკელ მეცნიერთა და ანალიტიკოსთა თვალსაზრისით მომავალ კონფლიქტებში სულ უფრო დიდ როლს შეასრულებს ისეთი ოპერაციული გარემო, როგორიცაა კოსმოსი და კიბერსივრცე, ხოლო მონაცემთა ბაზების მართვა (დიდი რაოდენობის მონაცემების) ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, გახდება მნიშვნელოვანი ოპერატიული უპირატესობა [21. 11-12].

ვაშინგტონის განცხადებით, ხელოვნური ინტელექტის ბაზაზე შემუშავებული სამხედრო ტექნოლოგიების დიდი ნაწილი წარმოადგენს „ეგზისტენციალურ საფრთხეს ადამიანის არსებობისთვის“ [22. 30].

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების შემუშავება, მასობრივი განადგურების იარაღისგან განსხვავებით, არ მოიცავს არსებულ საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებსა და შესაბამისად, ჯერჯერობით არ იძლევა კიბერსივრცეში ძირგამომთხრელი, მავნებლური მოქმედებების აგრესიად კვალიფიცირების საშუალებას.

ამჟამად, ხელოვნური ინტელექტის სფეროში ლიდერობს აშშ და ჩინეთი. ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით აშშ-ში მიღებული სტრატეგიული გეგმა „ხელოვნური ინტელექტის სფეროში კვლევებისა და განვითარების“ შესახებ, მოიცავს დიდი რაოდენობით პროგრამებს კიბერ-უსაფრთხოების, სტრატეგიული გამოთვლების, კონფიდენციალობის უზრუნველყოფის გზების, ვიდეო და გამოსახულებების ანალიზის სფეროში [23].

ხელოვნური ინტელექტის სამხედრო პოტენციალის კვლევებში ჩართულია შეერთებული შტატების სამხედრო და სადაზვერვო გაერთიანების მრავალრიცხოვანი სტრუქტურები, კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს პერსპექტიული კვლევების სამმართველო (DARPA), სამხედრო-საჰაერო ძალების (AFOSR) სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, სახმელეთო ჯარების (ARL) კვლევითი ლაბორატორია, სახმელეთო ჯარების ქცევითი და სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტი (ARI), სამხედრო-საზღვაო ძალების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სამმართველო (ONR). აგრეთვე სერიოზულ სამუშაოებს ახორციელებენ ეროვნული ლაბორატორიები, „გონივრული ცენტრები“ და უნივერსიტეტები. თავდაცვის სამინისტროს განსაკუთრებული მნიშვნელობის პროექტს წარმოადგენს „ალგორითმული საბრძოლო მოქმედებების“ (Project Maven) წარმოების ქვედანაყოფი [24. 177-192], რომელიც მუდმივმოქმედ საფუძველზე ახდენს სამხედრო საქმეში ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების აპრობირებას.

2017 წლის ივლისში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ გამოაქვეყნა ქვეყანაში ხელოვნური ინტელექტის განვითარების ეროვნული გეგმა, რომელის მიხედვითაც 2030 წლისთვის გეგმავს გახდეს გლობალური ლიდერი ამ სფეროში [25].

ჩინეთი აპირებს ფართოდ გამოიყენოს ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები: მენეჯმენტიდან, წარმოებიდან და მედიცინიდან დაწყებული ეროვნულ თავდაცვამდე. პეკინი ვარაუდობს, რომ ქვეყანაში სამხედრო-სამოქალაქო ინტეგრაციისკენ აღებული კურსის პირობებში, მიღწევები ჰიბრიდული და ჯგუფური ინტელექტის (Swarm intelligence) [20. 57-62], გადაწყვეტილებების ავტომატურად მიღების, ავტონომიური უპილოტო სისტემებისა და ინტელექტუალური რობოტიზებული ტექნიკის სფეროებში, ხელს შეუწყობს სამხედრო-ტექნოლოგიური სფეროს პოტენციალის ზრდას [26. 137-161].

მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა მიერ ასეთი ძლიერი სამეცნიერო პოტენციალის მიზანმიმართული გამოყენება ხელოვნური ინტელექტის შემუშავებისა და დანერგვისთვის წარმოადგენს უშუალო საფრთხეს ბევრი სახელმწიფოსთვის/ქვეყნისთვის. მწვავე კონკურენტული ბრძოლის პირობებში თავს იჩენს ახალი არაკონტროლირებადი გამალებული შეიარაღების გაჩაღების საფრთხე ხელოვნური ინტელექტის ბაზაზე სისტემის შექმნის სფეროში, რომლის შემუშავება (ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღისგან განსხვავებით) ჯერ არ მოიცავს საერთაშორისო-სამართლებრივ წესებსა და ნორმებს.

სამხედრო-ტექნოლოგიური სფეროს განვითარების მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ახალი და არსებული ტექნოლოგიების ეტაპობრივი, გეგმაზომიერი და კოორდინირე-

ბული ევოლუციური ინტეგრაცია შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ახალი სახეობების შექმნისას, რომელიც მნიშვნელოვან იმპულსს შესძენს თანამედროვე შეიარაღებული კონფლიქტების სტრატეგიისა და ტაქტიკის განვითარებას.

სამხედრო ტექნოლოგიური სფეროს განვითარების კიდევ ერთ უმნიშნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს - უპილოტო საფრენი აპარატები.

თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიური სფეროს განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებები, მაღალი სიზუსტის შეიარაღების, დაზვერვისა და მიზანჩვენების სისტემების გამოყენებასთან ერთად, დღეს დაკავშირებულია შეიარაღებულ კონფლიქტებში უპილოტო საფრენი აპარატებისა და მასთან ბრძოლის საშუალებების გამოყენებასთან, რომლებიც კარდინალურად ცვლიან მომავლის ომების წარმოების სტრატეგიასა და ტაქტიკას.

პოლიტიკოსები და სამხედრო სფეროს წარმომადგენლები აკეთებენ პროგნოზებს, რომ მსოფლიოში არსებულმა ეკონომიკურმა არასტაბილურობამ, შესაძლოა ხელი შეუწყოს დაძაბულობასა და სხვადასხვა სახის შეიარაღებული კონფლიქტების ესკალაციას. მსოფლიო სულ უფრო არაპროგნოზირებადი ხდება და შესაბამისად, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ნებისმიერი დაპირისპირება გადაიზარდოს მასშტაბურ შეიარაღებულ კონფლიქტში და მესამე მსოფლიო ომის დაწყებამდეც კი მივიდეს. ამიტომ, სახელმწიფოები აქტიურად ახდენენ ახალი პერსპექტიული სამხედრო ტექნიკისა თუ შეიარაღების სისტემების შემუშავებასა და ბრძოლის ველზე დანერგვას.

XXI საუკუნის სამხედრო კონფლიქტებში ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში, კიბერსივრცესა და კოსმოსში, საჭირო გახდება ავტონომიური ან დისტანციურად მართვადი თანამედროვე თვითმფრინავები, კოსმოსური აპარატები, ბრონირებული მანქანები და ხომალდები (წყალქვეშა და წყალზედა), რომლებიც იყენებენ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს და აგრეთვე, დიდი რაოდენობით უპილოტო საფრენი აპარატები [27].

შეერთებული შტატების მიერ შემუშავებული მრავალ სივრცეში (Multi Domain) ოპერაციების წარმოების ახალი კონცეფციის შესაბამისად, აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სამსახურები უახლოეს მომავალში გაერთიანდება თანამედროვე ერთიან გლობალურ მაღალ დონეზე დაცულ ქსელში Joint All-Domain Command & Control (JADC2), ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა დონეზე მართვა და კონტროლი, რაც ნიშნავს იდეის რეალიზაციას - „რასაც ერთი ხედავს - ხედავს ყველა“ [27].

ზემოაღნიშნული ქსელის (JADC2) - მთავარ ელემენტებს წარმოადგენს სადაზვერვო კოსმოსური აპარატები და თვითმფრინავები, უპილოტო საფრენი აპარატების ჩათლით, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს სამი უმთავრესი ამოცანის განხორციელებას:

პირველი - შორ მანძილზე მოქმედი შეიარაღების სისტემების განეიტრალებასა და მოწინააღმდეგის ცოცხალ (მოძრავ) ძალებთან ბრძოლას ოპერატიულ და სტრატეგიულ სიღრმეში;

მეორე - შეზღუდული დაშვებისა და მანევრის (A2/AD)[9] სისტემაში შემავალი ძალებისა და საშუალებების განადგურებას (ახლო რადიუსში მოქმედი სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების ჩათვლით), რომელიც ხელს უშლის მოკავშირე ძალების გადასროლას ან ყურადღების გადატანის ოპერაციების განხორციელებას;

მესამე - ხელსაყრელი პირობების შექმნას საკუთარი შეიარაღებული ძალებისთვის ნებისმიერი სამანევრო ქმედებების განსახორციელებლად, მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტებისა და ძალების განადგურების მიზნით.

მომავლის ომები არ იქნება ისეთი, როგორიც წარსულში იყო. მომავალში ბრძოლის ველზე იქნებიან რობოტები. დიდი ბრიტანეთის თავდაცვის შტაბისუფროსი ვარაუდობს, რომ 2030-ში 120 ათასი ერთეული ბრიტანული სამხედრო ტექნიკიდან, მეოთხედი იქნება ავტონომიური ან დისტანციურად მართვადი საბრძოლო მანქანები, ავტომობილები და უპილოტო საფრენი აპარატები [28].

მაგალითად, ერთ-ერთი საკმაოდ უჩვეულო პროექტი, რომლის შემუშავებაც ხდება დიდი ბრიტანეთის არმიისთვის არის - უპილოტო საფრენი აპარატი „i 9“. დრონი შესაძლოა აღჭურვილ იქნას კამერებით, რომელსაც შეეძლება დაზვერვის წარმოება ან ნებისმიერი რადიოსიგნალის ჩახშობა, ორი ავტომატური შაშხანით ან ერთი რაკეტით. ჩამონტაჟებული ხელოვნური ინტელექტი, უპილოტო საფრენაპარატს საშუალებას მისცემს დამოუკიდებლად მოახდი-

[9] (A2/AD) anti-access/area denial შეზღუდული დაშვებისა და მანევრის

ნოს ორიენტირება სხვადასხვა შენობა-ნაგებობაში და მონაწილეობა მიიღოს შენობის შტურმში. საჭიროების შემთხვევაში, ხელოვნური ინტელექტის ნაცვლად, შესაძლებელი იქნება დისტანციური მართვის რეჟიმის ჩართვაც. უპილოტო საფრენი აპარატების უმთავრესი დანიშნულებაა - სპეცდანიშნულების რაზმის მხარდაჭერა და წმენდის ჩატარება ღია, გაშლილ ადგილზე ან შენობა-ნაგებობაში [29].

უპილოტო საფრენი აპარატიდან ან სადაზვერვო ავიაციის თვითმფრინავიდან მიღებული მონაცემები, ხელოვნური ინტელექტის ელემენტებით აღჭურვილ კომპიუტერზე დამუშავების შემდეგ, ხდება მიზნების ამოცნობა, მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრა და მაღალსიჩქარიანი დაცული არხებით საცეცხლე საშუალებებზე გადაცემა, რომლებიც ახორციელებენ შერჩეული ობიექტების განადგურებას. ომმა მთიან ყარაბაღში მოახდინა სადაზვერვო და დამრტყმელი დრონების უნიკალური შესაძლებლობების დემონსტრირება.

პენტაგონში შეიქმნა მცირე უპილოტო საფრენ აპარატებთან ბრძოლის სამმართველო (Joint Counter-small Unmanned Aircraft System Office).

შეერთებული შტატების სამხედრო სფეროს წარმომადგენელთა აზრით, სამრეწველო ბაზის თვალსაზრისით, უპილოტო საფრენ აპარატებთან ბრძოლა წარმოადგენს აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს შესყიდვებისა და მხარდაჭერის მართვის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას ოთხი ძირითადი მიმართულებიდან. სხვა მიმართულებები მოიცავს: მიკრო-ელექტრონიკას, 5 G ქსელებსა და ჰიპერბგერით[10] შეიარაღებას. მმართველობა მიზნად ისახავს სამი-ხუთი სისტემის შემუშავებას სამხედრო გამოყენებისთვის [30].

ნატოს მიდგომა უპილოტო საფრენი აპარატებიდან მომდინარე საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით დაფუძნებულია საფრთხეებსა და ვითარების ცოდნის ერთიანი გაგების შემუშავებაზე. აღნიშნული მიდგომის რეალიზაციის ფარგლებში ჩამოყალიბებული უსაფრთხოების ახალი გამოწვევების განყოფილების ტერორიზმთან ბრძოლის სექციის საშუალებით ნატო ახორციელებს თანამშრომლობას რამდენიმე დონეზე:

- **ტექნიკურ** - სადაც ცალკეული გადაწყვეტილებები არ იქნება ეფექტური, თუ ისინი ინტეგრირებული არ იქნებიან თავდაცვის უფრო ფართო კონტექსტში;
- **ტაქტიკურ** - გულისხმობს დარწმუნებას იმაში, რომ საფრთხეების საწინააღმდეგო ზომები ეფექტურია და არ მოჰყვება თანმხლები ზარალი;
- **ოპერაციულ** - რამდენადაც, უპილოტო საფრენი აპარატების წინააღმდეგ მოქმედება საჭიროებს ურღვევ ინტეგრაციას რამდენიმე სფეროს საზღვარზე;
- **სტრატეგიულ** - საფრთხეებთან ბრძოლისთვის აუცილებელია ნატოს ხელმძღვანელობის ერთიანი მიდგომა.

ნატო-ს კავშირისა და ინფორმაციის სააგენტომ შექმნა მცირე ზომის უპილოტო საფრენი აპარატების აღმოჩენის, იდენტიფიკაციისა და ლოკალიზაციის ექსპერიმენტული პროტოტიპი [31].

ბოლო პერიოდის განმავლობაში სულ უფრო მეტად ხდება იმ სახელმწიფოთა წრის გაფართოება, რომლებიც ახორციელებენ უპილოტო საფრენი აპარატების წარმოებას ეროვნულ სამრეწველო სივრცეში. ამჟამად, დრონების აწყობის ტექნოლოგიებს ფლობს პლანეტის 95 სახელმწიფო. დაახლოებით ათი წლის წინ ასეთ ტექნოლოგიებს ფლობდა 60 ქვეყანა. სპეციალისტები ითვლიან დრონების მინიმუმ 171 სახეობას [32].

ჯაჭვი - „დრონები - მასირებული საარტილერიო დარტყმა“ - წარმოადგენს ახალ ტაქტიკურ მიდგომას, რომელიც ფართოდ და ეფექტურად გამოიყენებოდა სირიაში, უკრაინაში, მთიან ყარაბაღში. უფრო მეტიც, უპილოტო საფრენი აპარატები არ წარმოადგენს მხოლოდ უბრალო ტექნოლოგიურ სიახლეს. უპილოტო მანქანების გამოყენებას შეუძლია შეცვალოს ყველა მომავალი საბრძოლო მოქმედება პლანეტაზე. შეერთებულ შტატებში, ამჟამად საუბარია იმაზე, რომ უკვე ამ ასწლეულში ამერიკულ სამხედრო-საჰაერო ძალებში აღარ დარჩება არცერთი მფრინავი და ყველა საფრენი აპარატი იქნება უპილოტო. F-35 ტიპის საჰაერო ხომალდი იქნება ბოლო თვითმფრინავი, რომელსაც

[10] „ჰიპერბგერითი“ - ატმოსფეროში ფრენის სიჩქარე. ნებისმიერი მოწყობილობა, რომელიც დაფრინავს ატმოსფეროში 5-6 მახზე (მახი - მაღალი სიჩქარეების სადემონსტრაციოდ შემოღებული სიდიდე, რომელიც აჩვენებს რამდენჯერ აღემატება ამა თუ იმ ობიექტის სიჩქარე ბგერის სიჩქარეს) მეტი სიჩქარით, ეწოდება „ჰიპერბგერითი“ სიჩქარე. (Ю. И. Надточей, „Тактическое ядерное оружие США в Европе и политика НАТО“. США и Канада: экономика, политика, культура. – 2016).

ექნება გათვალისწინებული მფრინავის კაბინა [33. 7].

ამჟამად, უპილოტო საფრენი აპარატების წარმოებისა და გამოყენების თვალსაზრისით, ლიდერობს სამი ქვეყანა: აშშ, ისრაელი და ჩინეთი. მათ არ ჩამორჩება საფრანგეთიც. აღნიშნული მიმართულებით აქტიურად მუშაობენ თურქეთსა და ინდოეთშიც [34].

ამერიკული ანალიტიკური კომპანია Orbis Research, რომელიც რეგულარულად აქვეყნებს კვლევებს სხვადასხვა ბაზრის შესახებ, მათ შორის - სამხედროს ჩათვლით, გამოაქვეყნა მოხსენება, „2017-2027 წლების სამხედრო უპილოტო საფრენი აპარატების მსოფლიო ბაზარი“. Orbis Research-ის პროგნოზის მიხედვით, 2020 წლის ბოლოსთვის ბაზრის მოცულობა შეადგენს 9,9 მილიარდ დოლარს, ხოლო 2027-თვის გაიზრდება 15,2 მილიარდ დოლარამდე [35].

ნიდერლანდების კონსალტინგური ფირმის ASD-ის მოხსენების თანახმად, სამხედრო უპილოტო საფრენი აპარატების საბაზრო ბრუნვა 2022 წლისთვის გაიზრდება 13,7 მილიარდ დოლარამდე. პრინციპში, ყველა კომპანიის პროგნოზები ახლოსაა და ადასტურებს სახელმწიფოთა სამხედრო არსენალში უპილოტო საფრენი აპარატების წილის ზრდას.

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნებით სარგებლობს დამრტყმელი დრონები, რომლის წილი ბაზარზე შეადგენს 40,8%-ს; მაღალ სიმაღლეზე მფრენი უპილოტო საფრენი აპარატები, რომლებსაც აქვთ ფრენის დიდი ხანგრძლივობა შეადგენს - 25,1%-ს; ხანგრძლივად ფრენის შესაძლებლობების მქონე საშუალო სიმაღლეზე მფრენი უპილოტო საფრენი აპარატების წილი - 17,4%-ია. გეოგრაფიული თვალსაზრისით, ჩრდილოეთ ამერიკის სამხედრო უპილოტო საფრენი აპარატების წილი მსოფლიო ბაზარზე შეადგენს 34,4%-ს; აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის - 31,7%-ს, ხოლო ევროპის - 24,1%-ს [36].

აზიაში მოხდება უპილოტო საფრენი აპარატების ბაზრის განვითარება ჩინეთის, ინდოეთისა და ავსტრალიის, ხოლო ევროპაში - დიდი ბრიტანეთის მიერ. მოსალოდნელია, რომ ათი წლის განმავლობაში მსოფლიო დახარჯავს დაახლოებით 133,3 მილიარდ დოლარს სამხედრო უპილოტო საფრენ აპარატებზე [37].

ამდენად, სამხედრო უპილოტო საფრენი აპარატების ფართოდ გამოიყენება თანამედროვე კონფლიქტების სტრატეგიასა და ტაქტიკაში, აღნიშნული სამხედრო ტექნიკის ამ საშუალებას აქცევს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც განსაზღვრავს სამხედრო-ტექნოლოგიური სფეროს განვითარების მომავალს.

ნატო სერიოზულ ყურადღებას აქცევს სამხედრო ტექნოლოგიური სფეროს განვითარებას. აქცენტირება ხდება არსებულ საფრთხეებზე, რაც განსაზღვრავს ძალისხმევას სამხედრო მომზადებისა და ტრანსატლანტიკური ალიანსის სოლიდარობის განმტკიცებისთვის გაზრდილი საფრთხეების სპექტრთან და უსაფრთხოების გამოწვევებთან საბრძოლველად, ტრადიციული და არატრადიციული საფრთხეების ჩათვლით: ტერორიზმი, კიბერშეტევები, ჩინეთის გაძლიერება, კლიმატის ცვლილება, რუსეთის ჰიბრიდული ომი და ა.შ.

ნატომ გამოაცხადა კიბერსივრცე ოპერატიულ სფეროდ და შექმნა კიბერდაცვის ჯგუფი სწრაფი რეაგირებისა და მოკავშირეებისთვის სათადარიგო დახმარების უზრუნველსაყოფად. ასევე, ნატოს ცენტრის მონაწილეობით ტარდება სწავლებები კიბერდაცვის მიმართულებით კიბერუსაფრთხოების ესტონეთის სასწავლო ცენტრში, სადაც ტრადიციულად მონაწილეობას იღებს ათასამდე ოფიციალური პირი და ნატოს ექსპერტები, აგრეთვე პარტნიორი ქვეყნები (ფინეთი, ირლანდია, შვეცია და შვეიცარია) და ევროკავშირი [38].

ე.წ. მაღალი ხილვადობის (High visibility Project - HVP) პროექტის ფარგლებში ხდება ზომების მიღება ნატო-ს საზღვაო უპილოტო სისტემების განვითარებისთვის, რომლებსაც შესწევთ უნარი ეფექტურად დაუპირისპირდნენ მძლავრი შეიარაღებით აღჭურვილ ახალ წყალქვეშა ნავებს. მათ ასევე შეუძლიათ სამხედრო პერსონალის გადაადგილების აღკვეთა სახიფათო ვითარების დროს ისეთი საფრთხეების წინააღმდეგ მოქმედებისას, როგორიცაა საზღვაო ნაღმები [39].

საფრანგეთმა, გერმანიამ, საბერძნეთმა, იტალიამ და დიდმა ბრიტანეთმა გამოაცხადა საკუთარი მრავალეროვნული - „მაღალი ხილვადობის პროექტის“ დაწყების შესახებ [40. 41], რომელიც მოიაზრებს ახალი თაობის საშუალო მრავალმიზნობრივი შვეულმფრენის შექმნას, რომელიც 2035-40-იან წლებისთვის შეცვლის ექსპლუატაციაში მყოფ მანქანებს.

სამხედრო ტექნოლოგიურ სფეროზე საფრთხეების გლობალურ ზემოქმედებასა და ერთობლივი საპასუხო რეაგირების ძიების აუცილებლობას ალიანსის ხელმძღვანელობა იყე-

ნებს ბუნებრივ ინტეგრატორად ნატოს ყველა ქვეყნის ძლისხმევის გასაძლიერებლად.

ამავდროულად, ალიანსი ახდენს აგრეთვე ტრადიციული სამხედრო ტექნოლოგიების განვითარებასაც. 2020 წლის ოქტომბერში თავდაცვის მინისტრებთან გამართულ შეხვედრაზე, გაცხადებულ იქნა ათი ქვეყნის გადაწყვეტილება სახმელეთო ბაზირების ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შემუშავების შესახებ, საშუალო, დაბალ და ზღვრულად დაბალ სიმაღლეზე მფრენი საფრენი აპარატების წინააღმდეგ დასაპირისპირებლად [41].

ოთხმა სახელმწიფომ გამოთქვა თანამშრომლობის სურვილი მობილური საშუალებების შექმნის დასაწყებად, რომელიც განკუთვნილი იქნება რაკეტების, საარტილერიო შეიარაღებისა და ნაღმსატყორცნების აღმოსაჩენად და გასანადგურებლად. აღსანიშნავია, რომ ეს წარმოადგენს მყისიერ რეაქციას ყარაბაღის მეორე ომის გაკვეთილებზე [42].

მინისტერიალზე ყურადღება გამახვილებულ იქნა ინფორმაციული ომის საფრთხეებთან დაკავშირებით, კერძოდ, დეზინფორმაციასთან ბრძოლასა და წინააღმდეგობაზე კიბერსივრცეში.

ყველა ზემოაღნიშნული მაგალითი საშუალებას იძლევა დიდი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ სამომავლოდ, სამხედრო ტექნოლოგიური სფეროს განვითარების მიმართულება ბირთვული იარაღისა და მისი მიწოდების საშუალებების დახვეწის, მაღალი სიზუსტის იარაღის კლასიკური სისტემების, საჰაერო თავდაცვის, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისა და რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებთან ერთად, განსაზღვრული იქნება ჰიბრიდული ომის არსენალში ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების, კიბერნეტიკული ზემოქმედების საშუალებებისა და უპილოტო საფრენი აპარატების დანერგვით.

KETEVAN MESKHIDZE

TECHNOLOGICAL COMPETITION IN TERMS OF „GRAY ZONES“MILITARY CONFLICTS AND THE NATURE OF FUTURE WARS

Summary

Modern trends in globalization, which are complexly changing the security environment, are transforming not only the form and structure of international relations and world politics, but also have a fundamental impact on the actors operating in this environment.

The collapse of the bipolar world in the context of globalization and the attempt to establish a new model of the world order gave rise to chaos in international relations and great uncertainty in terms of their development, which is especially evident in the field of international security. It was in this sensitive segment that the consequences of the most acute globalization were manifested, associated with the gradual transformation of the post-industrial society into an information society, a change in the socio-political paradigm, and the completion of a bipolar world order based on the Cold War structure [1]. The increase in the number of state and non-state actors, the dispersion of power, and the emergence of a new era of conflict - lead to instability and growing disorganization.

Planetary events and processes, united by the concept of “globalization”, have different content and manifest themselves in all-encompassing dangerous forms and manifestations in “gray zones”, whether it is the desire of “big states” for military domination in the modern world. order, diplomatic disintegration, fundamental growth, spontaneous escalation of armed conflicts, all-out attacks of international terrorism, intensification of neo-Nazism and political extremism, cyber aggression, "hybrid" wars, falsification of historical facts and events, etc. - completely cover all the main political subjects Factors.

The profound transformation of world economic and social relations caused by the digital revolution, the formation of global public opinion through the “dusty networks” of the media and the Internet, especially the introduction of digital and nanotechnologies, have affected the natural, communication, military and other activities of all modern nations. military security, crisis response to globalization, and conflict resolution in international relations.

We are talking about the global electronic (digital) revolution (“electronic revolution”), electronic technology, means of communication and technological advances in the daily life of states and the

population, and the scale of scientific, technical, industrial, economic, financial turnover, healthcare, education, information, and national safety. And speed.

The existing model of globalization has exhausted itself, and the large-scale growth of innovations and new technologies lays the foundation for a further technological order that will require a change in global governance and the organization of new world connections. A state that can form a development model that best meets the challenges of the future will be able to more flexibly adapt to future changes. This statement fully applies to the political, military-technical sphere and adaptation to the challenges of the "gray zones".

Keywords: „gray zones", digital revolution, globalization; International security; Military-technological advances;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. M. Hogan (ed.), The End of the Cold War: Its Meanind and Implications Cambridge: Univ. Press, 1992;
2. Echevarria A. Operating in the Gray Zone: An Alternative Paradigme For U.S. Military Strategy, Strategic Studies Institute and U.S. Army War College Press, 2016;
3. Krepinevich E. The Military-Technical Revolution: A Preliminary Assessment, Washington, Center for Strategic and Budgetary Assessments, 2002;
4. Кокошин А.А. Вопросы прикладной теории войны. М.: Из-во НИУ ВШЭ, 2018;
5. Center for the Study of the Drone at Bard College//URL: https://dronecenter.bard.edu;
6. Кудрявцев А.М., Иванов А.А., Смирнов А.А. Оценка Военно-политической обстановки в Информационно-аналитической работе монография/под ред. А.М. Кудрявцева. СПБ.: ВАС, 2019.
7. Стародубцев Ю.И., Закалкин П.В., Иванов С.А. Техносферная война как основной способ разрешения конфликтов в условиях глобализации//Военная мыслью. 2020. #10;
8. Cavelty M.,Wanger A. Cyber Security Politics. Socio-Technological Transformations and Political Fragmentation; Center for Security Studies, Swiss Federal Institute of Technology (ETH), London and New York, 2022;
9. Andress J., Winterfeld S. Cyber Warfare: Techniques, Tactics and Tools for Security Practitioners, 2nd ed. Waltham, MA: Elsevier, 2014;
10. Bryant, William D. International Conflict and Cyberspace Superiority. Abingdon, U.K. and New York: Routledge, 2016;
11. Pupillo L., Fantin S., Ferreira A., Polito C. Artificial Intelligence and Cybersecurity. Technology, Governance and Policy Challenges; Final Report of a CEPS Task Force; Centre for European Policy Studies (CEPS) Brussels May 2021;
12. McCarthy J. 2017. What is Artificial Intelligence. Professor John McCarthy. Stanford http://jmc.stanford.edu/articles/whatisai/whatisai.pdf (გადამოწმებულ იქნა 17.05.22)
13. Прангишвили А., Прокопьев С. Информационные технологии согласования управленческих решений по выбору целей и стратегий в конфликтологии. Georgian Electronic Scientific Journal. 2005, #3(7). https://bit.ly/3xhEn41. (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);
14. https://bit.ly/3O1YDx8 (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);
15. Forrest E., Morgan B., Andrew J. Military Applications of Artificial Intelligence; Published by the RAND Corporation, Santa Monica, Calif. 2020;
16. Thiele R. Artificial Intelligence – A key enabler of hybrid warfare; Hybrid CoE is an international hub for practitioners and experts, building participating states' and institutions' capabilities and enhancing EU-NATO cooperation in countering hybrid threats located in Helsinki, Finland, 2020;
17. Maj Gen P K Mallick, VSM (Retd) Grey Zone Warfare – Use of Emerging Technologies by State and Bad Actors; The Amity Institute of International Studies, Amity University, 2021;
18. Artificial Intelligence and National Security; Congressional Research Service; November 10, 2020;
19. Renewed Great Power Competition: Implications for Defense-Issues for Congress; 2022;
20. Beni, G., Wang, J. Swarm Intelligence in Cellular Robotic Systems, Proceed. NATO Advanced Workshop on Robots and Biological Systems, Tuscany, Italy, June 26-30 (1989)

21. Hernández-Garcia L.The grey zone: a conceptual approach from the Armed Forces; Opinion Paper, 2022; https://bit.ly/3Gc4g9y .pdf (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);
22. Boucher Philip Artificial intelligence: How does it work, why does it matter, and what can we do about it? EPRS | European Parliamentary Research Service; Scientific Foresight Unit (STOA) , Brussels, European Union,.2020;
23. Kratsios M. The National Artificial Intelligence Research and Development Strategic Plan, June 21, 2019; https://bit.ly/3xNNXgB.pdf (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);
24. Виловатых А.В. Искуственный интеллект как фактор военной политики будущего//РИСИ. Проблемы национальной стратегии. 2019 #1. С. 177-192;
25. Robles Pablo (2018, October 1). China plans to be a world leader in Artificial Intelligence by 2030. A. World Dominance in Three Steps: China Sets Out Road Map to Lead in Artificial Intelligence by 2030 // South China Morning Post. https://bit.ly/3yNyWfv (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);
26. Комиссина И.Н. Современное состояние и перспективы развития технологий искуственного интеллекта в Китае//РИСИ. Проблемы национальной стратегии 2019. #1. С. 137-161
27. Report to Congress on Joint All-Domain Command and Control: Background and Issues for Congress; Jan 21, 2022 Congressional Research Service report
28. Dan Sabbagh. Robot Soldiers Could make up quarter of British army by 2030s'; Investment in robot warfare at heart of UK's planned five-year defence review; Military/Defence policy/ The Guardian, 8 Nov 2020; https://bit.ly/3NkKefg (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);
29. Jonathan Chadwick. Ministry of Defence is developing weaponised drones armed with Shotguns that can fly indoors and identify targets using machine vision; September 2020.
30. Emerging technologies and their impact on National Security; Committee on Armed Services; United States Senate; One Hundred Seventeenth Congress; First Session; February 23, 2021
31. NATO experts build prototype to detect, identify and localize small drones; Sep 3, 2020; https://bit.ly/3sMRsAY (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);
32. Мини-революция в военном деле. Технологиями военных беспилотных летательных аппаратов обладают уже почти сто стрсн/ Центр изучению дронов при колледже Барда, 2019/ https://bit.ly/3PzDjRe (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);
33. Danny Pronk, Dick Zandee, Adaja Stoetman. Identity, Industry and Interoperability; The drivers of European armaments collaboration/Clingendael Report, Netherlands Institute of International Relations, (January 2022)
34. The Rise of Drones in Modern Warfare; ASDNews, aerospace &defense news, ASDReport – Market Research, Jul 28, 202; https://bit.ly/3G6XtO6 (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);
35. The Global Military UAV Market 2017-2027/Orbis Research/Defence and Security, Oct 27, 2017; https://bit.ly/3LC4Heh (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);
36. Aerospace & Defense - The global military drone market; Market Research Report, Jul 2021; https://bit.ly/3yS4h0E (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);
37. Aerospace & Defense - The global military drone market; Market Research Report, Jul 2021; https://bit.ly/3MHsj2o (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);
38. Maritime Unmanned Systems (MUS)/ November 2020; https://bit.ly/3wxEZTU (გადამოწმებულია 17.05.22);
39. Maritime Unmanned Systems (MUS)/November 2020; https://bit.ly/3LB6oIT (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);
40. Danny Pronk, Dick Zandee, Adaja Stoetman. Identity, Industry and Interoperability; The drivers of European armaments collaboration/Clingendael Report, Netherlands Institute of International Relations, January 2022;
41. Ten NATO Defence Ministers launched a multinational initiative for developing very short range, short range and medium range Ground Based Air Defence (GBAD) capabilities. https://bit.ly/3wLqI4G (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);
42. Four Allies launch multinational initiative on Rapidly Deployable Mobile Counter Rockets, Artillery and Mortar Capability; https://bit.ly/3a4UWbg (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);

✍ ია რუსეიშვილი
წარმოადგინა პროფ. ქეთი ჯიჯეიშვილმა

ერთიანი ევროპა მრავალპოლარულ სამყაროში: ახალი გამოწვევები თუ ახალი შესაძლებლობები?

სტატია ეძღვნება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ანალიზს თანამედროვე ეტაპზე. სტატიაში განხილულია ევროკავშირის ბუნება, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი აქტორისა და ანალიზის საფუძველზე განხილულია მექანიზმები და ინსტრუმენტები საერთო ევროპული საგარეო პოლიტიკის. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის სტრატეგია ჩამოყალიბდა შიდა და გარე კრიზისების ფონზე. დღესდღეობით ევროკავშირი თავის ადგილს ეძებს მრავალპოლარულ სამყაროში. ამისთვის ის აქტიურად იყენებს რბილი ძალების ინსტუმენტებს, პრევენციულ დიპლომატიას და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებს.

საკვანძო სიტყვები: *ევროკავშირი, მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგი, აქტორები, საერთაშორისო ურთიერთობების აქტორები, საერთო საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების პოლიტიკა.*

ევროკავშირის აქტორობისა და საგარეო სუვერენიტეტის პრობლემა

ევროკავშირი ძალიან გავლენიანი, მაგრამ ამავე დროს ახალგაზრდაა და მსოფლიო ასპარეზზე ატიპიური მოთამაშეა რასთან დაკავშირებითაც მისი საგარეო პოლიტიკის ანალიზი მიზანშეწონილია დაიწყოს მისი აქტორობის ბუნების გათვალისწინებით.

ევროკავშირმა 1993 წლიდან მისი ოფიციალური ფორმირების შემდგომ (მაასტრიხტის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდგომ) გრძელი გზა გაიარა ეკონომიკური გაერთიანებიდან პოლიტიკურ გაერთიანებამდე, მაგრამ მისი საერთაშორისო სტატუსი კვლავ საკამათოა.

დღესდღეობით „ევროკავშირის საერთაშორისო პოლიტიკა მსოფლიოს კუთხეში არსებულ არცერთ მოვლენას გვერდს არ უვლის და გააჩნია მდიდარი ინსტრუმენტების არსენალი - დიპლომატიური, ეკონომიკური და უფრო შეზღუდულად სამხედრო. მაგრამ ის არ ატარებს სუვერენული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის დასრულებულ ფორმებს“ [1. 26].

საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური თეორიების თვალსაზრისით ევროკავშირის, როგორც აქტორის როლის გაგება და ახსნა ძნელია.

რეალიზმის სკოლის ცნებების თანახმად საგარეო სუვერენიტეტი არის იმის უფლების ქონა, რომ დამოუკიდებლად განსაზღვრო და განახორციელო საგარეო პოლიტიკა, რაც წარმოადგენს ნაციონალური ეროვნული სახელმწიფოს არსებით ატრიბუტს [2].

ევროკავშირის აქტორობის პრობლემა განიხილება დღეს იურისპრუდენციის ფარგლებში, მსოფლიო ეკონომიკის და პოლიტიკური ფილოსოფიის, მაგრამ, სამწუხაროდ, საკმარისად არ არის ასახული კვლევებში საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემებზე. ასევე, ამ თემისადმი მიძღვნილი უმეტესი ნაშრომები ფოკუსირდება ევროკავშირის ანალიზზე, როგორც ქეისისა მოვლენისა ანუ იზოლირებულად გლობალური პოლიტიკური გამოწვევებიდან [3. 288].

მხოლოდ ახლახან დაიწყო ყოვლისმომცველი კომპლექსური კვლევების გამოჩენა, რომელიც განიხილავს ევროკავშირს სხვა მსოფლიო პოლიტიკური პროცესების აქტორებთან კავშირში. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ლი არსებული კვლევები ფოკუსირებულია ან მის ინსტიტუციურ და პროცედურულ მხარეზე ან სამხედრო და თავდაცვით ასპექტებზე [4. 292]; [5. 25].

მსგავსი ვითარება შეიქმნა პოლიტიკურ პრაქტიკაშიც. მიუხედავად მრავალრიცხოვანი ტრანსფორმაციებისა, რომელიც განიცადა საერთაშორისო ურთიერთობების იალტა-პოდსდამის სისტემამ, მსოფლიო ასპარეზზე მთავარი მოთამაშეები კვლავ რჩებიან ეროვნული - ნა-

ციონალური სახელმწიფოები. და თუმცა თანდათან ჩნდება ახალი ურთიერთქმედების ფორმატები, როგორიცაა, მაგალითად, ტრანსრეგიონული პლატფორმები BRICS-ის ან APEC-ის სტილის სამიტები, თუმცა გარკვეული შეთანხმებები შეიძლება მიღწეული და განხორციელებული იყოს მხოლოდ სახელმწიფოთაშორის დონეზე. განსაკუთრებით ეს ეხება საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტას, კერძოდ კონფლიქტების დარეგულირებას ან სანქციების მექანიზმების გამოყენებას. ეს, თავის მხრივ, წარმოშობს უამრავ სირთულეს როგორც კონცეპტუალიზაციის და ინსტიტუციურობის მხრივ, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ფორმირების ფარგლების ასევე ასევე სხვა აქტორების მიერ ამგვარი პოლიტიკის სხვა მოათამაშეების მიერ აღქმაში. იმისთვის, რომ ევროკავშირის იქნას განხილული თანასწორად, საერთაშორისო აქტორები (სახელმწიფოები და ორგანიზაციები) თითქმის ინსტინქტურად ანიჭებენ მას ეროვნული სახელმწიფოს მახასიათებლებს.

კერძოდ, შეიძლება საუბარი ისეთ ფენომენზე, როგორიც არის ევროკავშირში „გერმანიზაციის ლიდერობა“, რომელიც ხშირად აღიქმება, ევროკავშირის ეკონომიკურ ლიდერად და ევროკავშირის ნების უპირობო წარმომადგენლად.

თავის მხრივ, გერმანია იღებს უნიკალურ შესაძლებლობას, განავითაროს და პოპულარიზაცია გაუწიოს საკუთარ ეროვნულ ინტერესებს ორ დონეზე: ეროვნულ დონეზე, საკუთარი სახელით, ხოლო პან-ევროპულ დონეზე, ევროკავშირის სახელით [6].

თუმცა, ლიდერის სტატუსთან ერთად, გერმანია იძულებულია აიღოს ფართო მასშტაბიანი ვალდებულებები, ასევე გაზრდილი პასუხისმგებლობით მოეკიდოს კოლექტიურ გადაწყვეტილებებს. ამას მოწმობს ევროპული მედიისა და პოლიტოლოგების მხრიდან უამრავი ბრალდება ევროკავშირის მიგრაციის პოლიტიკის არაეფექტურობასთან დაკავშირებით, რომელიც გაატარა ყოფილმა კანცლერმა ანგელა მერკელმა, თუმცა, მერკელს არასოდეს უთქვამს უარი ასეთი ორმაგი ლეგიტიმაციისგან და პირნათლად ასრულებდა შუამავლის ფუნქციებს ევროკავშირის ადმინისტრაციულ სტრუქტურებთან და პოლიტიკურ ფუნქციებს კი თავისი ქვეყნის ძალების მეშვეობით. 2017 წლის 9 მარტს, ბუნდესტაგში გამოსვლისას გერმანიის კანცლერმა, ფაქტობრივად, საკუთარი თავის და მთელი გერმანელი ხალხის იდენტიფიცირება მოახდინა ევროკავშირთან: „ჩვენ, ევროკავშირი, მზად უნდა ვიყოთ კრიზისის მენეჯერის როლისთვის ჩვენს რეგიონი“ [7].

მერკელის ეს განცხადება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გერმანია არა მხოლოდ თავს ხედავს კავშირის ლიდერად, არამედ საკუთარ თავსაც თვლის პასუხისმგებელად ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს ბედზე.

საინტერესო მიდგომა, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის აქტორობის გასაგებად ჩამოყალიბებულია „მრავალჯერადი წესრიგის სამყაროს“ კონცეფციის ფარგლებში [8. 3-30]; [9. 149-186]; [10. 148-153].

რ. საქვას თქმით, ევროკავშირი წარმოადგენს „პოსტმოდერნისტულ“ ან „პოსტ-ვესტფალიურ“ სტრუქტურას - რაღაც შუალედურს კლასიკურ ეროვნულ სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციას შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი არ ფლობს ნაციონალური სახელმწიფოს თვისობრივ მახასიათებლებს, ის მაინც ცდილობს ხელი შეუწყოს და წინა პლანზე წამოწიოს საკუთარი ინტერესები საერთაშორისო არენაზე. ევროკავშირის შიდა სტრუქტურა უცილობლად წინააღმდეგობაში მოდის მის მიერ გატარებულ ერთიან პოლიტიკასთან: ევროკავშირი, რომლის პოლიტიკაც (მათ შორის საგარეო პოლიტიკა) მოწოდებულია იმისთვის, რომ წვლილი შეიტანოს წევრთა გაძლიერებაში, ხშირად კომპრომეტირებულია მათი ეროვნული ინტერესები საერთო ევროპული ინტერესებისა და ღირებულებების სასარგებლოდ. როგორც საკვა აღნიშნავს „ურთერთწინააღმდეგობაში მოვიდა დრო და სივრცე“ [11].

ამ წინააღმდეგობის დასაძლევად ევროკავშირი ცდილობს თავისი საგარეო პოლიტიკით თავი დააღწიოს ტრადიციული ძალისმიერი და სამხეედრო ზომებით ჩართულობას, და ანაცვლებს მათ ეკონომიკური სანქციებით, ცდილობს გამოიყენოს რბილი ძალის იარაღები და უპირველეს ყოვლისა, ახორციელებს საკუთარი ნორმებისა და ღირებულებების გავრცელებას როგორც უნივერსალობის მაჩვენებლისა. „ნორმატიული ძალაუფლების“ გამოყენება საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად დღეს ევროკავშირის, გამორჩეულად სახასიათო თვისებაა როგორც საერთაშორისო აქტორის საერთაშორისო ურთიერთობებში [12. 286-303]; [13]; [14. 299-318].

ევროკავშირის მიერ განცდილი მრავალი კრიზისის ბოლო დროის ერთ-ერთი შედეგია, გაერთიანების საგარეო პოლიტიკის პრაგმატიზაცია, რომელიც, თავის მხრივ, არ ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირი აღარ დაუჭერს მხარს და ხელს არ შეუწყობს ისეთ უნივერსალური ღირებულებების გავრცელებას, როგორიცაა დემოკრატია, ადამიანის უფლებები, თავისუფალი და სამართლიანი კონკურენცია. ევროკავშირი დღესდღეობით აქტიურად ურთიერთობს გაეროს რეგიონალურ კომისიებთან, მჭიდრო კონტაქტშია ევროპის საბჭოსთან, მხარს უჭერს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მოძრაობებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, განსაკუთრებით აფრიკაში. გლობალური უსაფრთხოების სტრატეგიის განხორციელების მეორე ანგარიშის შესაბამისად (2018 წ.).

ევროკავშირი თავის საგარეო პოლიტიკაში ყურადღებას ამახვილებს მულტილატერალიზმზე და სამართლებრივი უნივერსალური სისტემის შექმნაზე, რომელიც აქცენტს აკეთებს ნორმებსა და ღირებულებებზე. ამ მიმართულების ფარგლებში ევროკავშირი გეგმავს ევროკავშირისა და გაეროს პარტნიორობის გაღრმავებას გლობალური მმართველობისა და მდგრადი განვითარების სფეროში [15. 12-13].

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის „ბუნდოვანი“ აქტორობა აკმაყოფილებს მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის მოთხოვნებს, რომელიც ხასიათდება მოთამაშეებს შორის თანამშრომლობის მოქნილი ფორმებით, რომელიც იყენებს გლობალური ქსელური მმართველობის სტრატეგიას და რბილი ძალის ინსტრუმენტებს. ევროკავშირს ამ თვალსაზრისით აქვს უდავო უპირატესობა კლასიკურ ეროვნულ სახელმწიფოებთან შედარებით, რომლის საგარეო პოლიტიკური არსენალი ძალზე შეზღუდულია და დიდწილად განისაზღვრება ეკონომიკური და სამხედრო რესურსების ხელმისაწვდომობით. როგორც ჟოზე მანუელ ბაროზომ აღნიშნაჯერ კიდევ 2010 წელს, „მულტილატერალიზმი ევროკავშირის დნმ-შია.“ სხვებისთვისაც შეიძლება სასარგებლო იყოს ჩვენი გამოცდილება.

როგორც ვხედავთ, ევროკავშირი, უდაოდ ფლობს აქტორის სტატუსს, თუმცა არა იმ გაგებით როგორითაც ის ესმის მსოფლიო საზოგადოებას. იგი მიჩვეულია მსოფლიო საზოგადოების გაგებას. ევროკავშირი სცილდება საგარეო პოლიტიკური ძალაუფლების იურიდიულ საზღვრებს როგორც ეროვნული სახელმწიფო ასევე საერთაშორისო ორგანიზაცია. თუმცა ამის წარმოდგენა ჩვენთვის ჯერ კიდევ ძნელია ევროკავშირს მაგალითად შეუძლია ომის გამოაცხადება თუ მშვიდობის დამყარება, ის ფაქტი უკვე არავის აკვირვებს, რომ ევროკავშირი არ არის უსაფრთხოების ორგანიზაცია, თუმცა ატარებს დამოუკიდებელ სამშვიდობო ოპერაციებს ბალკანეთში, ახლო აღმოსავლეთში, აფრიკაში და თუნდაც პოსტსაბჭოთა სივრცეში [16].

ამასთან ერთად, ევროკავშირს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების აქტორს, არ ფლობს ეროვნული სახელმწიფოს მკვეთრ ტერიტორიულ ინსტინქტს და

საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგის ფორმირების დროს უფრო მეტად ხელმძღვანელობს პრაგმატული და არა იდეოლოგიური მოსაზრებებით, რაც მას ხდის ძალიან მიმზიდველ მოკავშირედ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისთვის და ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის, როელთაც ჰყავთ ისეთი გავლენიანი და ამბიციური მეზობლები, როგორიცაა ჩინეთი და აშშ.

21-ე საუკუნის მეორე ათწლეული გადაჭარბების გარეშე შეიძლება დავასახელოთ ყველაზე კრიზისულ პერიოდად ზოგადად ევროპისათვის და კერძოდ ევროკავშირის ისტორიის პერიოდისათვის.

მკვლევარები აქტიურად განიხილავენ ევროკავშირის მიერ განცდილი კრიზისების რაოდენობასა და ბუნებას, გარე და შიდა ფაქტორების შედეგად. თუმცა, ისინი ყველა ერთხმად თანხმდებიან, რომ შიდა და გარე ცვლილებებმა გამოიწვია მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია როგორც თავად გაერთიანებაზე ასევე მათ მიმდინარე საგარეო პოლიტიკაზე [17. 322]; [18. 32]; [19. 370] .

2008 წლის მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა და მის შემდეგ 2014-2015 წლების მიგრაციულმა კრიზისმა გამოავლინა ისეთი ღრმა პრობლემები, როგორიც არის კავშირის მთავარი მოთამაშეებში განხეთქილება ინტეგრაციის საკითხებში და რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში. დიდმა ბრიტანეთმა, რომელიც ტრადიციულად ემხრობა ევროსკეპტიკურ შეხედულებებს, გადაწყვიტა ევროკავშირის დატოვება 2016 წლის ივნისი, ევროკავშირის მოქალაქეების უკმაყოფილება, მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია, აშკარად მეტყველებს 2019 წლის მაისში ჩატარებული ევროკავშირის პარლამენტის

არჩევნებით. პირველ რიგში, ექსპერტები აღნიშნავენ ამომრჩეველთა აქტივობის გაზრდას [20].

მეორე, წინა პარლამენტში აბსოლუტურმა უმრავლესობამ თანამდებობები დაკარგა. ევროპის სახალხო პარტიამ დაკარგა 37 ადგილი (2014 წელს 216-დან 2019 წელს 182-მდე) და „სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსი“ - 32 (185-დან 154 წლამდე). შესაბამისად) 18.

თუმცა, ევროპელი პესიმისტების პროგნოზის საწინააღმდეგოდ, რიცხვი ახალ პარლამენტში ევროსკეპტიკოსმა დეპუტატებმა მხოლოდ 176 დეპუტატი შეადგინეს (23,43%), რაც კიდევ უფრო ნაკლებია წინა არჩევნებთან შედარებით [21. 2].

ასევე არ გახდება ახალი ევროპარლამენტი ნაციონალისტური, არჩევნების შედეგები აჩვენებს ევროკავშირის მოსახლეობის საერთო უკმაყოფილებას და მოითხოვს პოლიტიკური სისტემის რეფორმირებას.

შექმნილ ვითარებაში ასოციაციისგან გასვლა მთავარი ევროსკეპტიკოსის - დიდ ბრიტანეთის - შეუძლია გერმანიისა და საფრანგეთის სასიკეთოდ იყოს და ხელი შეუწყოს ევროპის თავდაცვის კავშირის ჩამოყალიბებას, რომელსაც ექნება ავტონომია ნატოსა და აშშ-ს პოლიტიკისგან.

მზარდი დაძაბულობა დიდი ხნის პარტნიორებს შორის წამოიწია უკრაინის კრიზისის და ტრამპის ფაქტორის გამო, რომელიც გამოიხატებოდა ამერიკის პრეზიდენტის მკაცრი, არა ყოველთვის სწორი რიტორიკით და მისი მცდელობებით, რომ მოეხდინა ფინანსური და პოლიტიკური ზეწოლა ევროკავშირის და რუსეთის ურთიერთობებზე. მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემას, მაშინ წარმოადგენდა აშშ-ევროპის ურთიერთობებში დონალდ ტრამპის ქცევის არაპროგნოზირებადობა და, შესაბამისად, იმის პროგნოზირების შეუძლებლობა, თუ როგორ განვითარდებოდა აშშ-ს საგარეო პოლიტიკა უახლოეს მომავალში, რომ აღარაფერი ვთქვათ გრძელვადიან პერსპექტივაში.

„არაბული გაზაფხულის“ მოვლენები გახდა წინაპირობა, რომ გადახედილი ყოფილიყო ევროპის თავდაცვის სისტემა და საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, რომელმაც მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ემიგრანტების ისედაც ძლიერი ნაკადის მკვეთრ ზრდას ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებიდან. ევროსტატის ცნობით, 2018 წლის მონაცემებით 22,3 მილიონზე მეტი ემიგრანტი ცხოვრობს ევროკავშირში, რაც მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 4.4%-ს შეადგენს. საუბარია გარე მიგრაციაზე, ანუ არა ევროკავშირის მოქალაქეებზე.

უკონტროლო მიგრაციამ, რომელიც კულტურულად განსხვავებული ევროპისგან რეგიონებიდან მომდინარეობდა ერთდროულად ორი ყველაზე ღრმა კრიზისი გამოიწვია - იდენტობა და ლეგიტიმურობა, და ზენაციონალური სტრუქტურები ზოგიერთი მოქალაქის აზრით, აღმოჩნდნენ უძლურნი მიგრაციის პრობლემის გადაჭრის საკითხში და „ევროპული“ მოსახლეობა ინტერესების დაცვაში.

პირველი ნაბიჯი იყო ის, რომ ბრიუსელი ეტაპობრივად გაემიჯნა მულტიკულტურალიზმის პოლიტიკას, რომელსაც აკრიტიკებდნენ წამყვანი ევროპელი პოლიტიკოსები ჯერ კიდევ რვა წლის წინ და შეინიშნებოდა მზარდი პოპულარობა ნაციონალისტური და მემარჯვენე მოძრაობების ევროკავშირში, მეორე, საბოლოო ჯამში, ევროკავშირის ხელმძღვანელობის წინაშე, ნაბიჯები გადაიდგა 2016 წელს [22].

ივნისში მიღებულ იქნა გლობალური უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც ასახავდა პრევენციული დიპლომატიის სტრატეგიებსა და მექანიზმებს (პირველ რიგში, იმიგრაციის შემცირება ღარიბი ქვეყნებიდან და კონფლიქტური ზონებიდან კონფლიქტების ეფექტური მართვისა და გლობალური კეთილდღეობის დონის ამაღლების გზით).

2016 წლის ოქტომბერში, სასაზღვრო საგენტოს ბაზაზე FRONTEX-შეიქმნა ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სამსახური.

ამგვარად, ევროკავშირისთვის დღესდღეობით მნიშვნელოვანია საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგის მნიშვნელოვანი კორექტირება. ერთიანი პოლიტიკის ფორმირება დღეს ევროკავშირის შიდა ერთიანობის გასაღებია. ერთიანობით შეუძლია ევროპას მოიპოვოს მნიშვნელოვანი პოზიციები მსოფლიოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპარეზზე და მხოლოდ მუდმივი ინტერესების დაცვით საერთაშორისო არენაზე ევროკავშირი შეძლებს უზრუნველყოს სტაბილური და უსაფრთხო მომავალი [23].

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები თავდაპირველად ჩამოყალიბებული იყო მაასტრიხტის (1993) და ამსტერდამის (1997) ხელშეკრულებებში, მაგრამ პირველი კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ინსტიტუციო-

ნალიზაციისთვის მხოლოდ ლისაბონის ხელშეკრულებაში, რომელიც 2009 წელს შევიდა ძალაში. ამის მიხედვით შეიქმნა საგარეო საქმეთა კავშირის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობა და უსაფრთხოების პოლიტიკა (მუხლი 22.2) და ევროპის საგარეო სამოქმედო სამსახური აქტივობა 23 (მუხ. 27.2-3) [24].

დღესდღეობით სწორედ ეს ის სტრუქტურაა, სადაც ხდება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის დამუშავება და განხორციელება.

ევროპის საგარეო სამოქმედო სამსახური (EEAS) კოორდინაციას უწევს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას, მაგრამ არ ფლობს მონოპოლიას ამ სფეროში. სხვა ინსტიტუტებსაც აქვთ შესაძლებლობა და უფლება განახორციელონ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური საქმიანობა: ევროკავშირის საბჭო, ევროპარლამენტი და ევროკომისია. საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, ინსტრუმენტები და მექანიზმები ევროკავშირის საქმიანობისა აისახება გლობალური უსაფრთხოების სტრატეგიაში „საერთო ხედვა, საერთო მიდგომა: ძლიერი ევროპა“, რომელიც ძალაში შევიდა ივნისში 2016 წელს.

გლობალური უსაფრთხოების სტრატეგია სცდება თავდაცვითი დისკურსის ფარგლებს. მასში წარმოადგენილია უსაფრთხოების უფრო ფართო გაგება და, შესაბამისად, მის უზრუნველსაყოფად გაფართოებული არსენალი - უმეტეს შემთხვევაში მისი არასამხედრო. ექსპერტები ასევე აღნიშნავენ, შედარებით უფრო პრაგმატულ წინა დოკუმენტებთან შედარებით, სტრატეგიის ბუნებას და ევროკავშირის გამიჯვნას (და არა უარყოფა) დემოკრატიული ღირებულებების ხელშეწყობის ტრადიციული რიტორიკისაგან [25].

უპირველეს ყოვლისა, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ევროკავშირი ავითარებს გლობალური უსაფრთხოების სტრატეგიაში პრევენციული დიპლომატიის იდეებს, რბილი ძალის ინსტრუმენტების გამოყენებით და როგორიცაა მიგრაციის პრობლემის მოგვარება. შეძლებისდაგვარად, მძიმე იარაღის გამოყენებაზე თავის აცილებით აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში, ევროკავშირი ცდილობს თავიდან აიცილოს შემდგომი ურთიერთობების გაციება შეერთებულ შტატებთან, რამაც წლების მანძილზე ევროატლანტიკური თანამშრომლობით სამხედრო სფეროების მონოპოლიზაცია მოახდინა.

ევროკავშირისთვის ერთიანი საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის ფორმირების პროცესი დღეს შორს არის დასასრულისგან. ევროკავშირი, რომელიც ცდილობს იდეოლოგიურად და პოლიტიკურად თავის გარშემო გააერთიანოს ევროპის რეგიონის ქვეყნები, მათ შორის პოსტსაბჭოთა სივრცის ევროპული ნაწილი და გახდეს რაღაც დროით გაერთიანებული ევროკავშირის კოლექტიური ნების წარმომადგენელი, ჯერჯერობით ვერ უმკლავდება ღრმა კრიზისს გაერთიანების ისტორიაში - იდენტობის კრიზისს. ერთ-ერთი მთავარ პრობლემას წარმოადგენს ევროკავშირის როგორც სრულფასოვანი აქტორობის მიღწევა და მსოფლიო პოლიტიკაში სხვა აქტორების მიერ ევროკავშირის როგორც შიდარეგიონულ ასევე გლობალურ დონეზე.

რაც შეეხება „გარე ლეგიტიმაციას“ (პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ევროკავშირის თანაბარ პარტნიორად აღიარებას), მას აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა ევროპული ინტერესების ხელშეწყობისა და რეალიზაციისათვის მსოფლიო ასპარეზზე, მათ შორის სხვა სახელმწიფოების მხრიდან ნდობის ზრდის გამო ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ საერთაშორისო პროექტებსა და ინიციატივებზე. მიუხედავად არსებული შიდა წინააღმდეგობებისა, ევროკავშირი აქტიურად და საკმაოდ წარმატებით ავითარებს კავშირებს ახალ პარტნიორებთან - აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების დივერსიფიკაცია, ახალი პარტნიორების ძიება და არსებული ურთიერთქმედების ფორმატების მოდერნიზაცია საშუალებას მისცემს ევროკავშირს არა მარტო აქტიური მონაწილეობა მიიღოს გლობალური განვითარების პრობლემების გადაჭრაში, არამედ გარკვეულწილად დაიცვას თავი გლობალიზაციის გამოწვევებისგან - მაგალითად, უკეთესი აკონტროლოს მიგრაციულ ნაკადები.

თუმცა, დღეს უკვე ნათელია, რომ ერთიანი ევროპის, როგორც დამოუკიდებელი და თვითკმარი აქტორის გააქტიურება საერთაშორისო ურთიერთობებში გაზრდის უკვე წარმოშობილ განხეთქილებას ევროკავშირსა და აშშ-ს შორის და გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს მსოფლიოს პოლიტიკურ სურათში [25].

IA RUSEISHVILI

UNITED EUROPE IN MULTIPOLAR WORLD: NEW CHALLENGES OR NEW OPPORTUNITIES?

Summary

The article is dedicated to the analysis of the EU foreign policy at the present stage. The article discusses the nature of the EU as a key actor in international relations and based on the analysis is discussed the mechanisms and tools of a common European foreignpolicy.

The EU foreign policy strategy was formed against the background of internal and external crises. Today, the EU is looking for its place in a multipolar world. For this, it actively uses soft power instruments, preventive diplomacy and multilateral cooperation formats.

Keywords: *EU, multipolar world order, Actors, actors in international relations, common foreign policy and Security policy.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Стрежнева М.В. Методологические аспекты в изучении внешней политики и глобальной роли
   Европейского союза // Полис. Политические исследования. 2017. No6. გვ.26
2. Morgenthau H. J. Politice among nations: The struggle for power and peace / By Hans J. Morgenthau. 2d
   ed. rev. and enl. [reprint.]. New York: A. A. Knopf, 1955. XXVI.600 p.
3. Contemporary European Foreign Policy / Ed. by Walter Carlsnaes, Helene Sjursen, Brian White. London,
   SAGE Publications Ltd, 2004. 288
4. Telò M. Europe: A Civilian Power?: European Union, Global Governance, World Order. Palgrave Macmillan
   UK, 2005. 292 p.;
5. Lucarelli S., Fioramonti L. External perceptions of the European Union as a global actor
   (Book). Routledge, 2010. 25
6. Романова Т.А. Кризисы Европейского союза и его будущее. Валдайские записки. Вып. 54. Август
   2016. С. 3. URL: http://ru.valdaiclub.com/files/22139/ (дата обращения: 13.12.2
7. Вачедин Д. Меркель заявила о готовности Европы к большей ответственности // DW.
   09.03.2017. URL: http://www.dw.com/ru/a-37865612 (дата обращения: 28.05.201
8. Flockhart T. The Coming Multi-Order // World. Contemporary Security Policy, 2016. Vol. 37. Issue 1. P. 3-30;
9. Posen B.R. European Union Security and Defence Policy: Response to Unipolarity? // Security Studies.
   2006. Vol. 15, No 2. P. 149-186;
10. Sakwa R. The Radicalisation of the West and the Clash of World Orders //
    RUDN Journal of Political Science. 2018. Vol. 20. No2. P. 148-153
11. Саква Р. Единая Европа или никакой: деградация и многовекторность // Полис. Политические
    исследования. 2017. No6. С. 13
12. Bicchi F. ‘Our size fits all’: normative power Europe and the Medittarean // Journal of European Public
    Policy. 2006. Vol. 13, No2. March. P. 286–303;
13. Manners I. The European Union in Global Politics: Normative
    Power and Longitudinal Interpretation. In: Lynggaard K., Manners I., Löfgren K. (eds) Research Methods in

European Union Studies. Palgrave Studies in European Union Politics. Palgrave Macmillan, London. 2015;
14. Manners I. Sociology of Knowledge and Production of Normative Power in the European Union's External
Actions // Journal of European Integration. 2015. Vol. 37, No2. P. 299-318; Pacheco Pardo R. Normal power Europe: non-proliferation and the normalization of the EU's foreign policy // Journal of European Integratio
15. From Shared Vision to Common Action: A Global Strategy for the European Union s Foreign And Security
Policy. Implementation Report Year 2. June 2018. P. 12-13. URL: http://www.ieee.es/Galerias/fichero/OtrasPublicaciones/Internacional/2018/EU_Global_Strategy_Jun2018.pdf (дата обращения: 10.06.2
16. Европейский Союз и региональные конфликты / Отв. ред. Н.К. Арбатова, А.М. Кокеев. М.: ИМЭМО
РАН, 2011. С.
17. Guzzini S. The return of geopolitics in Europe?: Social mechanisms and foreign policy identity crises / ed.
by S. Guzzini. Cambridge [etc.]: Cambridge univ. press, 2012. 322 p.;
18. The crisis of Europe / Valdai
discussion club. - Moscow: [s.n.], 2016. 32 p.;
19. Majone G. Rethinking the union of Europe post-crisis: has integration gone too far? Cambridge: Cambridge univ. press, 2014. 370
20. Швейцер В. Выборы в Европейский парламент 2019: перемены в Старом Свете // РСМД. 04.06.2019. URL: https://russiancouncil.ru/analytics-and-comments/analytics/vybory-v-evropeyskiy-
parlament-2019-peremeny-v-starom-svete/ (дата обращения: 10.06.2019)
21. Гуселетов Б.П. Новый состав Европарламента: прогнозы и результаты // Выборы в Европарламент
– 2019: национальные ответы на дилеммы европейской интеграции / Под ред. Ю.Д. Квашнина, А.К.
Кудрявцева, Н.С. Плевако, В.Я. Швейцера. М.: ИМЭМО РАН, ИЕ РАН, 2019. С. 2
22. Рутвен М. Как Европа разуверилась в мультикультурализме: 25.08.2017 // ИноСМИ. URL: https://inosmi.ru/politic/20170825/240111114.html (дата обращения 12
23. Лукьянов Ф. Переживет ли ЕС внутренний кризис // РСМД. 19.02.2019. URL: https://russiancouncil.ru/analytics-and-comments/comments/perezhivet-li-es-vnutrenniy-krizis/?sphrase_id=28406242 (дата обращения: 14.0
24. Treaty of Lisbon // Official Journal of the European Union. 17.12.2007. URL: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:C:2007:306:FULL&from=EN (дата обращения
21.05.20
25. Глобальная стратегия безопасности ЕС 2016. Аналитический доклад / Под ред. Н.К. Арбатовой,
А.М. Кокеева. М.: ИМЭМО РАН, 2017. С. 3-4. URL: https://www.imemo.ru/files/File/ru/publ/2017/2017_013.pdf (дата обращения 30.0
26. The European Union's Global Strategy: Three Years On, Looking Forward. June 2019. P. 4. URL: https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/eu_global_strategy_2019.pdf

✍ გიგა გუბელაძე
*წარმოადგინა ასოც. პროფ. **თამარ კუპრეიშვილმა***

საქართველო, როგორც რეგიონში მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოთამაშე, რაც მისი უსაფრთხოების გარანტს ზრდის

საქართველო წარმოადგენს ხიდს, რომელიც აკავშირებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ რეგიონებს, მათ შორის: ევროკავშირს, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას. საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს უფრო მნიშვნელოვანი რეგიონული მოთამაშის ფუნქციისა და ეკონომიკური აქტივობების გეოგრაფიული არეალის განვითარების მისაღწევად. ეს არის უმნიშვნელოვანესი რგოლი უმოკლეს სატრანზიტო მარშრუტში დასავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებისთვის, ისევე, როგორც მშრალი ტვირთის ტრანსპორტირებისათვის.

საკვანძო სიტყვები : *უსაფრთხოება, ეკონომიკური ზონა, ინფრასტრუქტურა, ტრანზიტი.*

საქართველოს რეგიონალური უსაფრთხოება მნიშვნელოვანია ქვეყნებისთვის, რომლებიც საქართველოს გავლით ახდენენენ თავიანთი პროდუქტის რეალიზაციას, ასევე, ის, რომ საქართველოს რეგიონალური უსაფრთხოება იყოს დაცული ამავე ქვეყნების ინტერესის საგანია. რეგიონალური უსაფრთხოების ჭრილში, როგორც უკვე ვთქვით, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი უჭირავს საქართველოს მდებარეობას, ვინაიდან, რაც მეტი სარგებელი და საჭიროება ექნება ჩვენი ქვეყნის მდებარეობას, მით მეტი ინტერესი იქნება სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან, რომ ჩვენი რეგიონი იყოს უსაფრთხო, გარდა ამისა, ის ტვირთგამტარიანობა, რაც ქვეყანაშია და ის პერქსპექტივები, რაც ამ კუთხით არსებობს, ასევე სასარგებლოა ქვეყნისთვის ეკონომიკურადაც, სწორედ ამიტომ კვლევის კუთხით მიმოვიხილავთ ჩვენს რეგიონში არსებულ აქტუალურ პრობლემებს რეგიონალური უსაფრთხოების კუთხით და, ასევე, აქტუალური თემებით, როგორებიცაა, მაგალითად: ინფრასტრუქტურული პროექტები (უცხოური კაპიტალი რომელსაც ვერავინ შეეხება, გლობალური მიწოდების ჯაჭვი, პრობლემა, ასევე ის არის, რომ არ გვაქვს გრძელვადიანი გეგმები. ანაკლიის პორტი).

როგორც მოგეხსენებათ, ანაკლიის პორტის მშენებლობა დღეისათვის დროებით შეჩერებულია, თუმცა მისი მშენებლობის შემთხვევაში მრავალი დადებითი ფაქტორი შეიძლება გვქონდეს, ამავდროულად არის გარკვეული რისკ-ფაქტორებიც, რომელსაც ქვემოთ მიმოვიხილავ სხვადასხვა ავტორების კვლევითა და საკუთარი ანალიზით.

არსებული დღევანელი რეალობიდან გამომდინარე, ანაკლიის პორტი საქართველოს პირველი ღრმაწყლოვანი პორტი იქნებოდა. ის აღჭურვილი იქნებოდა თანამედროვე ტექნიკითა და ინფრასტრუქტურით. უმაღლესი ხარისხის მომსახურებასთან ერთად, ეს ფაქტორები შეუწყობდა ხელს პორტის პროდუქტიულობას, ეფექტურობასა და საიმედოობას. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პირველი ფაზის მშენებლობის დასრულება და გახსნა 2020 წელს იგეგმებოდა, თუმცა, სამწუხაროდ, აღნიშნული პროქტის დასრულება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა გარკვეული ფაქტორების გამო, თუმცა ამ ფაქტორების თემას უკვე სხვა საკითხზე გადავყავართ.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პერსპექტივის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორების გაანალიზება: ქვეყანაში არსებული კონკურენტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა (ფოთისა და ბათუმის პორტები, ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო პროექტი), მეზობელი ქვეყნების (სომხეთი და აზერბაიჯანი) მაკროეკონომიკური მდგომარეობა, ახალი აბრეშუმის გზისპი-

რა ქვეყნებში სატრანზიტო ტვირთზიდვის ინტენსივობა, ამ ქვეყნებში საბაჟო პროცედურების საერთო ჩარჩო-პირობების ფორმირება, გამჭოლი ტარიფების შემუშავება და პარტნიორ ქვეყნებთან შესაბამისი ეკონომიკური დიპლომატიის სწორი წარმართვა.

ქალაქი ანაკლია და სპეციალური ეკონომიკური ზონა

ქალაქი ანაკლია და სპეციალური ეკონომიკური ზონა ღრმაწყლოვანი პორტის ოპერირებასთან ერთად განვითარდება. ის შეავსებს პორტის საქმიანობას და ხელს შეუწყობს მისი, როგორც ქვეყნის მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტის განვითარებას. ქალაქი ანაკლია, სეზი და ღრმაწყლოვანი პორტი ერთიანად მოიაზრება, როგორც რეგიონული ბიზნესჰაბი, მნიშვნელოვანი სავაჭრო და ლოგისტიკური კვანძი ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე.

სპეციალური ეკონომიკრი ზონის სტატუსის და მისი შესაძლებლობების წყალობით, ანაკლია სითი იქცევა რეგიონულ ბიზნეს-ლოკაციად საერთაშორისო კომპანიებისთვის, რომელთა სურვილიც იქნება ანაკლიის სტრატეგიული მდებარეობიდით კაპიტალის გაზრდა.

ამ ეტაპზე, მიმდინარეობს მუშაობა ანაკლიის ქალაქგანვითარების კონცეფციაზე და ანაკლიის სპეციალური ეკონომიკური ზონის მარეგულირებელ ჩარჩოებზე.

„სს ანაკლია სითი“ მზადაა დაამყაროს კავშირი პოტენციურ ინვესტორებსა და კლიენტებთან, რომელთაც სურთ საკუთარი დაწესებულებების ამ ტერიტორიაზე განთავსება, იქნება ეს სატრანსპორტო თუ ლოგისტიკური კომპანიები, სამრეწველო თუ ჯანდაცვის დაწესებულებები. ასევე, საცხოვრებელად და კომერციული მიზნებისთვის განკუთვნილი უძრავი ქონების დეველოპერები, საგანმანათლებლო კომპანია/ინსტიტუტები და ფინანსური კომპანიები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, მონაწილეობა მიიღონ ფინანსური ცენტრის განვითარებაში.

მშენებლობისთვის განკუთვნილი 2000 ჰა ტერიტორია საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული სპეციალური ეკონომიკური ზონის სტატუსი ე.წ. ჭკვიანი და მწვანე ქალაქების კონცეფციების გამოყენება საწყის ეტაპზე 400 ჰა. ტერიტორია მსუბუქი მრეწველობისა და ლოგისტიკური კლასტერების განვითარებისთვის სრულად ინტეგრირებული ღრმაწყლოვანი პორტის ინფრასტრუქტურასთან, ასევე სახელმწიფო საგზაო და სარკინიგზო ქსელებთან საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც ანაკლიიდან 90 კილომეტრზე ნაკლები მანძილით იქნება დაშორებული მსუბუქი სამრეწველო კლასტერების მუშაობა, რომლებსაც შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ საქართველოს სავაჭრო რეჟიმებით, კონკურენტუნარიანი საწარმოო ფასებით და მიმზიდველი ბიზნესგარემოთი ლოგისტიკური კლასტერები ხელს შეუწყობს ანაკლიის პორტს, გაიმყაროს ადგილი ევროპისა და აზიის სავაჭრო გზებზე და იქცეს რეგიონული გადაზიდვის ცენტრად გადამზადებისა და განვითარების კლასტერები გაამყარებს ანაკლიის კონკურენტუნარიანობას წარმოებისა და ბიზნესის მიმართულებით, რეგიონული მოთამაშეებისა და ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის ფინანსური ცენტრი – „სს ანაკლია სითის“ მიზანია ანაკლიის კომერციულ და ფინანსურ ცენტრად გადაქცევა, კავკასიასა და მის მიმდებარე რეგიონებში ტურიზმი, გასართობი ინდუსტრია და უძრავი ქონება – ეს კომპონენტები შეავსებს ბიზნეს კლასტერების განვითარებას და ანაკლიას რეგიონის ყველაზე მიმზიდველ ადგილად აქცევს.

შიდა ტერიტორიული პრობლემები (ოკუპაცია)

ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეები, რისკები და გამოწვევები ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა: დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის მთავარი საფრთხეა. გარედან ინსპირირებული და მხარდაჭერილი აგრესიული სეპარატისტული მოძრაობები შეიარაღებულ კონფლიქტებში გადაიზარდა, რამაც ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და აფხაზეთის საქართველოდან ფაქტობრივი გამოყოფა და ამ ტერიტორიებზე საქართველოს ხელისუფლების კონტროლის დაკარგვა გამოიწვია.

ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა არის მთავარი წყარო ზოგიერთი პრობლემისა, რომლებიც ძირს უთხრის ქვეყნის პოლიტიკურ,

ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას: საქართველოს სამასი ათასამდე მოქალაქე იძულებული გახდა დაეტოვებინა კანონიერი საცხოვრებელი ადგილები; სახელმწიფო საზღვრები დაუდგენელი რჩება; არაკონტროლირებად ტერიტორიებზე იმყოფებიან უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, შექმნილია ხელსაყრელი გარემო ტერორისტული ჯგუფების საქმიანობისათვის და ნაყოფიერი ნიადაგი კონტრაბანდისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებისათვის; სეპარატისტული რეჟიმები სისტემატურად არღვევენ ადამიანის უფლებებს. დარღვეულმა ტერიტორიულმა მთლიანობამ, თუკი ვერ მოხერხდა ამ პრობლემის დროული და ეფექტიანი მოგვარება, შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოს, როგორც სრულფასოვანი სახელმწიფოს, ფუნქციონირებას. საქართველო რუსეთს შორის ურთიერთობები საკმაოდ გრძელვადიან პერიოდს მოიცავს და ამ ურთიერთობებს გააჩნია მრავალსაუკუნოვანი და რთული ისტორია. რუსეთი ოკუპანტია და ეს მრავალსაუკუნოვან ისტორიაშიც ნათლად ჩანს. შეგვიძლია, ასევე, გავიხსენოთ თანამედროვე დროის რუსეთ-საქართველოს ომი, რომელიც 2008 წლის ზაფხულში მიმდინარეობდა, ამ დროს ქართული არმიისა და სოფლების აქტიური დაბომბვა ხდებოდა. ეს პერიოდი ყველასათვის დასამახსოვრებელი გახდა.

რუსეთის მხრიდან აქტიურად ხდებოდა ასევე ომის პროპაგანდა.მოხდა რუსეთის მხრიდან სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკანონო შეჭრა და სამარი მოქმედებების წამოწყება. მიმდინარეობისას რუსეთი ბომბავდა არამხოლოდ სამხედრო ბაზებს, არამედ სკოლებს, საავადმყოფოებს, ქალაქებს, დასახლებულ პუნქტებს, სოფლებს და ა.შ. მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ რუსეთი იყენებდა კასეტურ ბომბებს, რომლის გამოყენებაც საერთაშორისო კონვენციით აკრძალულია. რუსული არმია ძალადობდა მოქალაქეებზე, ძარცვავდა მათ. რუსულმა არმიამ გადაწვა ბორჯომის ეროვნული პარკი, ეკლესიებიდან აძევებდნენ მღვდლებსა და მონაზვნებს. რუსი ჯარისკაცები განაგრძობდნენ აგრესიას მას შემდეგაც, რაც ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას. ამ ომს შედეგად მოჰყვა 158 ათასზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირი, ასობით დაღუპული ჯარისკაცი და მიწასთან გასწორებული რამდენიმე ქალაქი და სოფელი. ძმობას რომ თავი დავანებოთ, ცუდი მეგობრებიც კი არ იქცევიან ისე, როგორც რუსეთი ექცევა საქართველოს.

რუსეთის ფედერაციის მხრიდან ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიის მცდელობა, იქ არსებული მძიმე კრიმინოგენული ვითარება (გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანების გატაცებები, ყაჩაღობები, მკვლელობები, მოსახლეობაზე თავდასხმა), ქართული მოსახლეობის დისკრიმინაცია, საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავება (ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით), ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი (მავთულხლართების, ღობეების, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების აღმართვა და ტრანშეების გათხრა), თავისუფალი გადაადგილებისა და განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, ინტენსიური სამხედრო წვრთნები ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ასევე ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი საჰაერო სივრცის რუსული სამხედრო თვითმფრინავების, ვერტმფრენებისა და უპილოტო საფრენი აპარატების მიერ დარღვევის ფაქტები და ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის დარღვევა საფრთხეს უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას.

ის, რომ საქართველო აღნიშნულ ომთან დაკავშირებით მართალია და ნამდვილად დაზარალებული მხარეა დასტურდება თუნდაც ახლო წარსულში სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში.

სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის მიერ 21 იანვარს გამოცხადებული გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს სახელმწიფომ რუსეთის ფედერაციას მოუგო საქმე, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომს უკავშირდება.

თბილისის დროით 14:00 საათზე გამართული სხდომის ფარგლებში გამოცხადდა, რომ სასამართლომ დააკმაყოფილა ქართული მხარის სახელმწიფოთშორის საჩივარში ჩამოთვლილი ყველა ძირითადი მოთხოვნა.

საქართველოს საჩივრის თანახმად, 2008 წლის აგვისტოში, საქართველოსთან შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რუსეთის ფედერაციამ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლები,

„სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ რუსეთი ახორციელებდა ცხინვალის რეგიონზე და აფხაზეთზე ეფექტურ კონტროლს და აქედან გამომდინარე, მას შეერაცხება პასუხისმგებლობა საქართველოს მოქალაქეების უფლებების დარღვევისათვის. შესაბამისად, სასამარ-

თლომ დაადასტურა საქართველოს მოთხოვნა, რომ ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილებია და ოკუპირებულია რუსეთის მიერ... ამასთან ერთად, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, სასამართლომ დაადგინა, რომ 2008 წლის ომის დროს რუსეთმა განახორციელა ქართველების ეთნიკური წმენდა", - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა, გოჩა ლორთქიფანიძემ 21 იანვარს გამართულ ბრიფინგზე.

სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

დაზარალებულთა კომპენსაციის საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ცალკე უნდა განიხილოს. მხარეებს პოზიციების წარსადგენად ერთწლიანი ვადა აქვთ.

სახელმწიფოთშორის საჩივარზე გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, სასამართლო განიხილავს ამავე საკითხთან დაკავშირებით შესულ ინდივიდუალურ საჩივრებს.

გარე ფაქტორები

მეზობელ ქვეყნებში არსებული კონფლიქტების გადმოდინება მეზობელი ქვეყნებიდან საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების გადმოდინება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი სერიოზული საფრთხეა და მას შესაძლოა ქვეყანაში დესტაბილიზაცია მოჰყვეს. ამ კონფლიქტებმა შეიძლება გამოიწვიოს პროვოკაციები სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების მხრიდან, რაც არაერთხელ მომხდარა პანკისის ხეობასთან დაკავშირებით. მეზობელ ქვეყნებში არსებულმა კონფლიქტებმა შესაძლებელია განაპირობოს საქართველოს ტერიტორიაზე ლტოლვილთა მასობრივი შემოდინება და შექმნას ხელსაყრელი პირობები ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებისა და კონტრაბანდისათვის.

რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მონაკვეთებზე კონტროლის არარსებობა აძლიერებს ზემოაღნიშნულ საფრთხეს და ქმნის დამატებით ხელშემშლელ ფაქტორებს აღნიშნულ პრობლემასთან ეფექტიანად გამკლავებისათვის. მეზობელ ქვეყნებში კონფლიქტების მოუგვარებლობამ და გახანგრძლივებამ და რუსეთში, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში, სტაბილურობის დარღვევამ, შესაძლოა საქართველოს კონფლიქტში ჩათრევა გამოიწვიოს. ამასთანავე, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებების არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე გარკვეულ შემთხვევებში ქვეყნის სტაბილურობისათვის რისკის შემცველი ფაქტორია.

ამერიკულ გაზეთ „პოლიტიკო"-ს („Politico") ევროპულ ვერსიაში დაბეჭდილია სტატია სათაურით „რუსეთის გამარჯვება მთიან ყარაბაღში ევროკავშირის დამარცხებას ნიშნავს", რომელშიც განხილულია რუსეთ-თურქეთის როლი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საკითხში, სომხეთისა და აზერბაიჯანის პერსპექტივა, მასალაში გაკრიტიკებულია აგრეთვე ევროკავშირის პასიურობა (ავტორი - ნიკუ პოპესკუ, ევროსაბჭოს „დიდი ევროპის" პროგრამის დირექტორი).

„ახლა, როცა კონფლიქტი ოფიციალურად, ალბათ, ისევ გაიყინა, შექმნილ სიტუაციაში, ვიდრე ევროკავშირი შორიდან უყურებდა და სულ უფრო უსარგებლო ხდებოდა თავის მეზობლებისათვის, რეგიონში ორი აშკარა გამარჯვებული გამოვლინდა - რუსეთი და თურქეთი, რომლებმაც კავკასიაში თავიანთი ძალის დემონსტრაცია მოახდინეს. თუ ევროკავშირი თავის სტრატეგიას არ შეცვლის, მაშინ ის ისევ დამკვირვებლის როლში გამოვა, სხვები კი თავის ინტერესების შესაბამისად პრაქტიკულად იმოქმედებენ", - ნათქვამია პუბლიკაციაში, რომელშიც ასევე ვკითხულობთ:

აზერბაიჯანმა მთიანი ყარაბაღის ირგვლივ მდებარე შვიდი რაიონი დაიბრუნა და, შესაბამისად, მთიან ყარაბაღს ანკლავის სახით შეინარჩუნებს, თუმცა ანგარიშს გაუწევს და შეურიგდება გარკვეულ შეზღუდვებს თავის საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოების სისტემაში.

რუსეთის სამხედრო ყოფნის გაძლიერების გათვალისწინებით (რუსული უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების ჩათვლით), მოსკოვს მოულოდნელად ხელში ჩაუვარდა აზერბაიჯანში უსაფრთხოების უზრუნველყოფის ბერკეტები.

მთიანი ყარაბაღი ახლა სულ უფრო დაემსგავსება საქართველოს ორ სეპარატისტულ რეგიონს - აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს - 2008 წლამდე მდგომარეობით. ისინი დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ რუსეთისათვის გეოპოლიტიკურად კომფორტული კონფლიქტური ზონები, რომელთა მეშვეობით მოსკოვი, სურვილის მიხედვით, საქართველოში ტემპერატუ-

რას მართავდა. ახლა საქართველოს აზერბაიჯანიც გვერდით დაუდგა: ალბათ, მოკლევადიან პერსპექტივაში მოსკოვი და ბაქოს ერთმანეთთან იდილიური ურთიერთობა ექნებათ, მაგრამ რუსეთის ყოფნა მთიან ყარაბაღში შეიძლება რუსეთისა და აზერბაიჯანის ურთიერთობაში მომავალი დაძაბულობის წყაროდ იქცეს.

ნამდვილი გამარჯვებულები კი, საბოლოო ჯამში, რუსეთი და თურქეთი არიან. მოსკოვმა სომხეთზე გავლენა გააფართოვა, ანკარამ კი აჩვენა, რომ იგი თავისი მოკავშირის ერთგულია. თურქეთმა საკუთარი იარაღის რეკლამირებაც განახორციელა. აშკარაა, რომ მოსკოვი და ანკარა ერთმანეთთან კარგ ურთიერთობას შეინარჩუნებენ.

ეს ყველაფერი კი ევროკავშირის რეპუტაციას და მის საგარეო პოლიტიკას კარგს არაფერს უქადის. აშკარაა, რომ მის ახლოს მდებარე რეგიონში მეზობელი სახელმწიფოების (თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი) საგარეო პოლიტიკა სულ უფრო მილიტარიზებული ხდება: ვისაც როგორ სურს, უცერემონიოდ ატარებს თავის პოლიტიკას - სამხრეთ კავკასიიდან ლიბიამდე და სირიამდე. სანამ ევროკავშირი მხოლოდ დიპლომატიურ საშუალებებს იყენებს, ეს ტენდენცია შენარჩუნდება. გასაგებია, რომ პრობლემის სწრაფი გადაწყვეტა (ვთქვათ, ჯარის გაგზავნით) ევროკავშირს ყველა პერიფერიაში არ შეუძლია, მაგრამ მას აქვს ერთი ვარიანტი მოქმედებისათვის: გააღრმაოს პარტნიორული ურთიერთობები ევროპის აღმოსავლეთ და სამხრეთ ფლანგებზე. ევროკავშირი უნდა გახდეს ის ძალა, რომელსაც გავლენის მოხდენის შესაძლებლობა ექნება არა მხოლოდ პოლიტიკასა და ეკონომიკაში, არამედ უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროშიც. მხოლოდ ამის შემდეგ მიაქცევენ ყურადღებას ევროკავშირის ხმას და უფრო მეტად მოუსმენენ მას იმ რეგიონში, სადაც მის პოზიციას ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს“.

მოსკოვში ალიევი-პუტინი-პაშინიანის შეხვედრის შედეგად მიღებული ხელშეკრულების, მთავარ დეტალს ასაჯაროვებს, კერძოდ მათ გაავრცელეს რუკა სადაც ნაჩვენებია რუსეთი-აზერბაიჯანი-სომხეთი-ნახიჭევანი (ავტ) თურქეთის დამაკავშირებელი საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების გეგმა, რომელშიც ნათლად ჩანს გეგმა, რომელსაც ევროპაში უკრაინასთან დაკავშირებით უკვე ახორციელებს რუსეთი ჩრდილოეთის ნაკადის მილსადენის მშენებლობით, რითაც ევროპა რუსულ გაზს უკრაინის გავლის გარეშე მიიღებს, რაც ერთი ორად კარგავს გეოპოლიტიკაში უკრაინს ფაას, მეტიც უკრაინს ძალიან დიდი ბერკეტი ეცლება ხელიდან ევროპულ პოლიტიკაში ლავირებისთვის, აღარაფერს ვამბობ ეკონომიკურ სარგებელზე, ახლა კი რა ხდება ჩვენს შემთხვევაში, თავდაპირველად იყო მოსაზრებები, (ჩვენ აუდიტორიაშიც) რომ კავკასიაში აღნიშნული გეგმას განხორციელება არ ეწერა, მიზეზად კი სომხეთი შეუგუებლობა მოჰყავდათ, თუმცა როგორც ნახეთ პუტინის ერთ დაძახებაზე და მეტიც შეთავაზებაზე პაშინიანის მიმართ, რაზეც დათანხმდა ალიევიც, აზერბაიჯანში სომხური კორიდორის გამოყენებით გაივლის არა მხოლოდ ნახიჭევანი-თურქეთამდე დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალი არამედ, სომხეთ-რუსეთის დამაკავშირებელი, როგორც საავტომობილო ისე სარკინიგზო მაგისტრალი, ახლა კი დადასტურებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ, რომელიც როგორც ჩანს აუცილებლად განხორციელდება (ყველა მხარე თანახმაა) ძალიან ეცემა საქართველოს ფასი კავკასიაში ჩვენი მთავარი ტრანს-კავკასიური გამტარის როლი პრაქტიკულად ნადგურდება. და რა არის გამოსავალი? როგორც ხედავთ ჩვენი „მეზობლები“ ცდილობენ საქართველოს ავლით ჩამოაყალიბონ ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური რეალობა, რაც, რაღა თქმა უნდა, პირდაპირ ხელს უწყობს ჩვენს ჩრდილოელ ერთმორწმუნე მეზობელს, ამასთან აღნიშნული ედება ძალიან არასახარბიელოდ და ერთგვარ ზეწოლად მიმაჩნია საქართველოზე, ერდოღანის მიერ დაანონსებული ექვსეულთა პლატფორმის შექმნის შესახებ, რომელსაც მისივე თქმით პუტინმაც მოიწონა, ჩვენთვის ამ პლატფორმაში გაწევრიანება დამღუპველად მიმაჩნია, განსაკუთრებით კი ჩვენი დასავლელი პარტნიორების მეთვალყურეობის და მონაწილეობის გარეშე, ახლა კი ვხედავთ, რაც ჩემთვის პირადად მოსალოდნელი იყო, ძირითადად ეკონომიკურ ზეწოლას საქართველოზე რუსეთი-აზერბაიჯანი-სომხეთი-ნახიჭევანი-თურქეთის დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო და სარკინიგზო მაგსიტრალის შექმნით.

ინფრასტრუქტურული პროექტები (ანაკლისს პორტი)

ანაკლიის პორტს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, როგორც ეკონომიკურად ასევე მომავალი სხვადასხვა სასარგებლო პერსპექტივებისთვის, თუმცა აღნიშნული პროექტი საჭიროებს გეოპოლიტიკური კუთხით საკმაოდ დიდ მუშაობას, რადგან ანაკლიის პორტმა საქართველოს შეიძლება დიდი სარგებელი მოუტანოს, თუმცა მეზობელი ქვეყნებისთვის ეს შეიძლება ეკონომიკურად არასტრატეგიული და ფინანსურზარალიანი აღმოჩნდეს. ქვეყანა რომლისთვისაც შეძლება აღნიშნული წამგებიანი აღმოჩნდეს გახლავთ რუსეთი, რაც სიტუაციას გარკვეულწილად ართულებს, რადგან როგორც მოგეხსენებათ დღესდღეობით რუსეთს საქართველოსთან არამეგობრული ურთიერთობები გააჩნია, მთავარი ხაზი კი აქ ჩვენთვის ძალიან მძიმე და მტკივნეულ თემაზე გადის, ეს კი რუსეთის მიერ ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციაა, ხოლო, რაც შეეხება, პრობლემებს და უფრო პოზიტიურ მოლოდინებს ვფიქრობ, ანაკლიის პორტი საკმაოდ დიდი მნიშვნელობისაა ჩვენი ქვეყნისთვის და იმედს ვიტოვებ, რომ მშენებლობის ის სამუშაოები, რომლებიც დროებით გაჩერებულია ახლო მომავალში ჩვენი სახელმწიფოს ძალისხმევით გაგრძელდლდება და სახეზე გვექნება რამდენიმე წელში საკმაოდ დიდი წინსვლა ამ კუთხით.

ანაკლიის პორტის მშენებლობის გაგრძელების შემთხვევაში, მოსალოდნელი დადებითი შედეგების გაანალიზების შემდეგ, ვფიქრობ, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობა გრძელვადიან პერიოდში შესაძლებელს გახდის ქვეყნის საზღვაო კარიბჭის გაფართოების პერსპექტივას.

შიდა ტერიტორიული პრობლემები(ოკუპაცია)

თემის აქტუალობა მიმოხილული მასალიდან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა მიმოხილულ მასალას რომ თავი დავანებოთ თითოეულმა ქართველმა ძალან კარგად ვიცით თუ რა მდგომარეობაში იმყოფება საქართველო დაკარგული ტერიტორიების კუთხით, სანამ ოკუპაციის მხრიდან გამოწვეულ პრობლემებზე ვისაუბრებ მინდა პირადი მოსაზრება და ანალიზი გავაკეთო სამხრეთ ოსეთის დაკარგვასთან დაკავშირებით (რა თქმა უნდა, ვგულისხმობ დროებით დაკარგვას). ხშირად ყოფილა მოსაზრება გარკვეული პიროვნებების მხრიდან, რომ თითქოს ომი საქართველომ დაიწყო ეს მოსაზრება პირდაპირი მნიშვნელობით მოღალატეობრივია და ამ მოსაზრებას ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი უარყოფს, შესაბამისად მეც ვემიჯნები აღნიშნულ აზრს და ამასთანავე ვგმობ კატეგორიულად, მაგრამ შეიძლებოდა თუ არა რუსეთის პროვოკაციაზე 2008 წელს სხვანაირი რეაგირება

სამართლებრივ წესრიგს, აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და გმობს რუსეთის აგრესიას.

გარე ფაქტორები, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი და საქართველო.

საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მისივე რეგიონში არსებული კონფლიქტია, რომელიც სომხეთ-აზერბაიჯანს შორის მიმდინარეობს, მართალია, აღნიშნული კონფლიქტი დროებით გაყინულია, თუმცა როდესაც მათ შორის ომი აქტიურ ფაზაში იყო საქართველოსთვის ამ ომმა საკმაოდ ცუდი ფაქტორები გამოაჩინა, კერძოდ კი რეგიონში რუსეთისა და თურქეთის გავლენების გაზარდაზეა საუბარი.

ვინაიდან რუსეთის ჩართულობით სომხეთ-აზერბაიჯანში კონფლიქტის მოგვარების კუთხით გადაწყდა, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გაკეთდება ახალი ტვირთგამტარი გზა ეს პრდაპირი მნიშვნელობით აზარალებს საქართველოს, მართალია საკითხის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა და ჯერ მხოლოდ გეგმაა, თუმცა საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აუცილებელია დეტალურად შესწავლა და გამოსავლის ძიება.

GIGA GUBELADZE

GEORGIA AS AN IMPORTANT ECONOMIC PLAYER IN THE REGION, WHICH INCREASES ITS SECURITY GUARANTEE

Summary

Georgia is a bridge connecting important economic regions, including the European Union, the South Caucasus and Central Asia. Georgia has great potential to develop a more important regional player function and geographical area of economic activity. It is the most important link in the shortest transit route for transporting oil and gas between the countries of Western Europe and Central Asia, as well as for transporting dry cargo.

Key words: *security, economic zone, infrastructure, transit.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დანელია ი., „ანაკლიის პორტი და მისი პერსპექტივები“. თბ., 2016. https://forbes.ge/news/1309/anakliis-porti-da-misi-perspeqtivebi
2. კილაძე ს., „რუსეთის გამარჯვება მთიან ყარაბაღში ევროკავშირის დამარცხებას ნიშნავს... ბაქოსთვის კი ეს არა იმდენად გამარჯვებაა, რამდენადაც ეშმაკთან გარიგება“. თბ., 2020 https://www.ambebi.ge/article/251573-rusetis-gamarjveba-mtian-qarabagshi-evrokavshiris-d/
3. http://anakliadevelopment.com/ka/zone/
4. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43156?publication=0
5. https://ssg.gov.ge/page/occupied-territories
6. https://www.radiotavisupleba.ge/a/31061360.html
7. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43156?publication=0
8. https://www.kommersant.ru/doc/4640192

ლევან კოპალიანი
*წარმოადგინა პროფ. **იგორ კვესელავა***

დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებების პროცესში არსებული ირლანდიის სასაზღვრო პრობლემის არსის ინსტიტუციური ჭრილი

ირლანდიის რესპუბლიკასა და ჩრდილოეთ ირლანდიას შორის სასაზღვრო საკითხი მნიშვნელოვანი პრობლემა გახდა დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებების პროცესში. როგორც სტრუქტურულად ცნობილია, ირლანდიის რესპუბლიკა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა, ხოლო ჩრდილოეთ ირლანდიის ტერიტორია შედის გაერთიანებული სამეფოს იურისდიქციაში. სწორედ, ირლანდიის კუნძული გახდა მოლაპარაკებებში მხარეებს შორის ერთ-ერთი უთანხმოების მიზეზი, რადგან კუნძული ის ერთადერთი სახმელეთო ტერიტორია იყო, სადაც არსებობდა ფიზიკური საზღვარი დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის.

სახმელეთო საზღვრის არსებობა წარმოშობდა კუნძულზე მცხოვრები მოსახლეობისთვის გარკვეულ წინააღმდეგობებს, რასაც შესაძლოა გაეღვივებინა კონფლიქტი, რომლის დარეგულირება მხარეებმა მოახერხეს ბელფასტის შეთანხმებით. ცხადია, ეს არ იყო ის მდგომარეობა, რისკენაც ისწრაფოდნენ მხარეები, მაგრამ ნათელი იყო, რომ საზღვრის საკითხის გადაუჭრელობას მოჰყვებოდა გაცილებით მეტი პრობლემა, ვიდრე ეს აქამდე ჰქონდათ მხარეებს მოლაპარაკების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: *დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ევროკავშირი, სასაზღვრო პოლიტიკა, კონფლიქტი, მოლაპარაკებები.*

დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვება ნიშნავს, რომ მათ შორის აუცილებლად უნდა დამდგარიყო სასაზღვრო კონტროლის საკითხი. ამ ეტაპისთვის საზღვარი ჩრდილოეთ ირლანდიასა და ირლანდიას შორის ღიაა და როგორც მოსახლეობას, ასევე საქონელსა და სერვისებს თავისუფლად შეუძლიათ გადაადგილება დამატებითი სასაზღვრო შეზღუდვებისა და კონტროლის გარეშე. ეს ყოველივე შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც გაფორმდა „კარგი პარასკევის შეთანხმება“, იგივე ბელფასტის შეთანხმება 1998 წელს ირლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიას შორის, რამაც დაასრულა წლების მანძილზე არსებული უთანხმოების პოლიტიკა. ღია საზღვრის პოლიტიკა მშვიდობის პროცესის სიმბოლო იყო პროტესტანტულ და კათოლიკურ საზოგადოებებს შორის, შესაბამისად, ყველა ის სარგებელი, რაც ჰქონდათ ამ პოლიტიკის შედეგად კუნძულზე მცხოვრებ ხალხს, დადებით დინამიკაში აისახებოდა მშვიდობის პროცესზე. მაშინ როდესაც შეთანხმებამდე პერიოდში ბრიტანელი ჯარისკაცები აკონტროლებდნენ საზღვარს და არსებობდა მხოლოდ რამდენიმე კონკრეტული საზღვრის კვეთის წერტილი, შეთანხმების შემდეგ ეს მოცემულობა შეიცვალა და დღეს თავისუფლად გადაადგილება შესაძლებელია 200-ზე მეტ წერტილში, ცხადია სასაზღვრო კონტროლის გარეშე.

ბრექსიტის პროცესმა ეს მოცემულობა შეცვალა. დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილებას დატოვოს ევროკავშირი და მათ შორის ერთიანი ბაზარი და საბაჟო კავშირი, ნიშნავს რომ ის ევროკავშირისთვის ხდება „მესამე“ ქვეყანა. ეს მოცემულობა კი აუცილებლად ითვალისწინებს სასაზღვრო კონტროლის შემოტანას როგორც მოქალაქეების გადაადგილებაზე, ასევე საქონლის მომოქცევაზე. ევროკავშირი აუცილებლად ეცდება მოცემულობა რეალობად აქციოს, რათა დაიცვას მისი ინტერესები. დიდი ბრიტანეთისთვის კი ეს საკმაოდ დიდი ეკონომიკურ პრობლემებს შექმნის და შესაძლოა ბელფასტის შეთანხმების დაცვაც დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ. დიდმა ბრიტანეთმა შესაძლოა არ განალაგოს სასაზღვრო შემოწმება საზღვრის მის მხარეს, ეს კი გამოიწვევს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების დარღვევას, სადაც მისი წევრი სახელმწიფოები აუცილებლად გა-

აპროტესტებენ დისკრიმინაციას და დიდი ბრიტანეთის უკეთეს პირობებში ჩაყენების შესაძლებლობას. ეს კი საკმაოდ დიდი რისკია დიდი ბრიტანეთისთვის.

ბრექსიტის მოლაპარაკების მომზადების დოკუმენტში ევროკავშირმა ნათლად განმარტა, თუ რას ნიშნავს მისთვის „მესამე“ ქვეყნის სტატუსი. ეს პირველ რიგში ნიშნავს მოთხოვნას საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შესახებ, სადაც ევროკავშირი დარწმუნდება საქონლის წარმომავლობის და შესაბამისი დოკუმენტაციის არსებობის შესახებ. საბაჟო შემოწმება სასაზღვრო ფორმალობების ნახევარზე ნაკლებს შეადგენს, დანარჩენი მოდის მარეგულირებელ შემოწმებებზე, რომელიც უფრო კომპლექსურია და დამოკიდებულია საქონლის ტიპზე, ასევე აგრეგატების შემცველობაზე, რომელმაც შეიძლება პრობლემა შეუქმნას როგორც მომხმარებელს, ასევე გარემოს და მრავალი სხვა. ეს პროცესი მოითხოვს ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობას, ხოლო ყველაზე რთული რაც ჩრდილოეთ ირლანდიისთვის იქნება, არის ის, რომ ეს სტანდარტები გავრცელდება ყველა სფეროზე, განსაკუთრებით მეცხოველეობასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, რომლებიც ჩრდილოეთ ირლანდიის ეკონომიკისთვის მნიშნელოვან წყაროს წარმოადგენენ. ევროკავშირის წესების თანახმად, მსგავსი ტიპის პროდუქტები გადიან კონტროლს სპეციალიზებულ საზღვარზე ევროკავშირში შესასვლელად. ჩრდილოეთ ირლანდიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების 40%-ს ექსპორტი ხდება ირლანდიაში. შეზღუდვების დაწესება კი შეამცირებს საქონლის მიმოცვლას, გაზრდის მომსახურების ფასებს და, შესაბამისად, შეამცირებს მსყიდველობით უნარს.

დიდი ბრიტანეთი და ევროკავშირი შეთანხმდნენ, რომ კუნძულზე საზღვარი არ უნდა დაწესებულიყო, რითაც მშვიდობის პროცესს ამ კუთხით პრობლემები არ შეექმნებოდა. ევროკავშირის პოლიტიკა სწორედ მშვიდობაზე დაფუძნებული ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნას წარმოადგენდა და ამ პროცესის ხელისშემშლელი კონფლიქტი ცხადია მის ინტერესებში არ შედიოდა. იგივე მოცემულობა იყო დიდი ბრიტანეთისთვის. არც მათ სურდათ არსებული მშვიდობის შეცვლა. მხარეებს შორის მოლაპარაკების პროცესში დიდმა ბრიტანეთმა წარმოადგინა შეთავაზება 2017 წლის დეკემბერში, რომლის თანახმადაც ის მიემხრობა საზღვრის არარსებობას რამდენიმე შემთხვევაში:

- დიდი ბრიტანეთის და ევროკავშირის საერთო ურთიერთობების ფარგლებში;
- სპეციალური გადაწყვეტილებებით, რომლებიც დაკავშირებული იქნება უნიკალურ გარემოებებთან კუნძულზე;
- შიდა ბაზრისა და საბაჟო კავშირის წესების სრული შესაბამისობა, რათა დაცული იყოს კუნძულის ეკონომიკა და წარმოდგენილი პირობები აუცილებლად უნდა იცავდეს „კარგი პარასკევის შეთანხმებას 1998“.

მესამე შეთავაზება ცნობილია ე.წ. „Backstop“-ის, იგივე „დამზღვევი პოლიტიკის“ სახელით და იმპლემენტაცია მოხდება იმ შემთხვევაში, თუ წინა ორმა შეთავაზებამ არ იმუშავა. დიდმა ბრიტანეთმა შემდგომში ასევე ისიც განმარტა, რომ არცერთი შესაძლებლობა არ უნდა იძლეოდეს საზღვრის ირლანდიის ზღვასთან გადატანის აუცილებლობას. მართალია ის, რომ ორივე მხარე თანხმდება თავიდან აირიდონ საზღვარი კუნძულზე, მაგრამ ასევე აუცილებელია განიმარტოს რა მიაჩნიათ მხარეებს საზღვრად. დიდი ბრიტანეთის მთავრობის განცხადებით, მათ არ სურთ რაიმე ფიზიკური ინფრასტრუქტურა საზღვარზე, მაგრამ ჩანს, რომ ისინი შეიძლება ემზადებიან შემოწმების პუნქტებისა და პროცესების იდენტიფიცირებისთვის საზღვრიდან მოშორებით. ირლანდიის მთავრობის განცხადებით კი, მათ არ სურთ არანაირი ფიზიკური ინფრასტრუქტურა საზღვარზე, აგრეთვე არც დამატებითი კონტროლი და შემოწმების პუნქტები რაც გაუზრდის ბიზნესებს ხარჯებს ირლანდიის რესპუბლიკაში.

დიდმა ბრიტანეთმა განაცხადა, რომ მას სურს საზღვრის პრობლემის გადაჭრა ევროკავშირთან სამომავლო ეკონომიკური ურთიერთობების გათვალისწინებით. საზღვრის მთავარი პრობლემა კი სწორედ არის საბაჟო შემოწმება და მარეგულირებელი პროცესები. მაშინაც კი, თუ მომავალი სავაჭრო შეთანხმება მხარეებს შორის უზრუნველყოფს ტარიფების გარეშე ვაჭრობას, საბაჟო პროცედურები კვლავ საჭირო იქნება შემოწმდეს პროდუქციის წარმომავლობა სტანდარტების შესაბამისად, რათა ის დაექვემდებაროს ტარიფების გარეშე შემოღებულ პოლიტიკას. ეს ყოველივე კი თანხვედრაში უნდა მოდიოდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დაწესებულ მოთხოვნებთან. 2017 წლის აგვისტოში, დიდმა ბრიტანეთმა

წამოაყენა წინადადებები, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს საბაჟო დეკლარირებას და პროდუქციის წარმომავლობის წესებს. წამოყენებული იყო ორი ვარიანტი: საბაჟოებთან ურთიერთობების მარეგულირებელი აქტი და მაქსიმალური ფასილიტაციის პროცესები. მას შემდეგ დიდ ბრიტანეთს მოცემულ წინადადებაზე არ წარმოუდგენია იმპლემენტაციის გეგმა და არც განვითარების ტრაექტორია. ორივე წარმოდგენილი შესაძლებლობა დაკავშირებულია როგორც ტექნიკურ, აგრეთვე პოლიტიკურ პრობლემებთან. მაქსიმალური ფასილიტაცია დამოკიდებულია ახალ სისტემებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ გამარტივებულ პროცედურებს, როგორიცაა შეტყობინებების გაგზავნა საბაჟო დამუშავების გზით. ეს ყოველივე კი არაფერია თუ არა საზღვარი, რომელიც რეალობაში მაინც არსებობს არა ფიზიკური ინფრასტრუქტურის გზით. გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე ის, რომ ნებისმიერი წინასწარი შეტყობინების სისტემა დამოკიდებულია ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე, რათა გაკონტროლებულ იქნეს საქონლის მიმოსვლა საზღვარზე. ეს ყოველივე კი ცხადია გაზრდის ადმინისტრაციულ ხარჯებს, რასაც ირლანდიის მთავრობა არ დაეთანხმება.

საბაჟო პარტნიორობის კომპონენტი კი უფრო დიდი პოლიტიკური გამოწვევაა. თუ ირლანდია არ დადგამს სასაზღვრო პუნქტს საზღვარზე, მაშინ ეს შეიძლება დიდმა ბრიტანეთმა განახორციელოს. ამ მოცემულობით გამოდის, რომ დიდ ბრიტანეთს ევროკავშირის საზღვრის კონტროლი შეუძლია ევროკავშირიდან აღსრულების და ზედამხედველობის მექანიზმების გარეშე. მსგავსი შეთანხმების პრეცედენტი ჯერ მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში არ არსებობს. დიდი ბრიტანეთის სავაჭრო ზედამხედველობის ექსპერტების განცხადებით, აღნიშნული სისტემა იქნება საკმაოდ პრობლემატური და ამავდროულად კომპლექსური, რადგან ბრიტანეთს შესაძლებლობას მისცემს გავლენა მოახდინოს ტარიფის ზრდაზე, რადგან მას შეუძლია მიწოდებული საქონლის კონტროლი. ეს კი ადმინისტრაციულად მძიმე იქნება ადგილობრივი ბიზნესებისთვის, ხოლო დიდი ბრიტანეთისთვის აქედან გამოწვეული ტარიფების შემცირება მოიტანს მძიმე დანაკარგებს. მოცემულ პირობებზე დიდი ბრიტანეთის მხრიდან აღარ ყოფილა დამატებითი ინფორმაცია შემოთავაზებული.

ანალოგიურად, გაურკვეველი რჩება დიდი ბრიტანეთის მხრიდან მარეგულირებელ პროცესებზე მისი შემდგომი მოსაზრებები.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ 2018 წლის მარტში განაცხადა შეთავაზების შესახებ, რომლის თანახმად, ევროკავშირის კონკურენციის დაცვის სისტემის გათვალისწინებით დიდი ბრიტანეთს სურს პროდუქციის სტანდარტების არსებით გასწორებაზე იმუშაოს თუ ექნება ამას ორმხრივი აღიარება, რის საფუძველზეც დიდი ბრიტანეთი დარჩება ევროკავშირის ზოგიერთი მარეგულირებლის იურისდიქციის გავლენის ქვეშ. ფაქტობრივად, ამ განცხადებით დიდი ბრიტანეთი ევროკავშირს სთხოვს ბრექსიტის შემდეგ დარჩეს ევროკავშირის ზოგიერთი წესების გავლენის ქვეშ, რათა წვდომა მიეცეს საერთო ბაზარზე როგორც ეს აქვთ ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებს, მაგრამ ასევე არ დაექვემდებაროს მის ზედამხედველობით ორგანოებსა და აღსრულების მექანიზმებს. ცხადია ამ შეთავაზებას ევროკავშირი არ დაეთანხმება. შესაბამისად დიდ ბრიტანეთს მხოლოდ მესამე ვარიანტი, „backstop“ დარჩა მოლაპარაკებებისთვის.

ირლანდიამ და ევროპის კომისიამ მკაფიოდ განაცხადეს, რომ აუცილებელია განხილულ იქნეს ფუნქციური „backstop“ მექანიზმი დიდ ბრიტანეთთან ევროკავშირის დატოვების მოლაპარაკების პროცესში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ე.წ. „მძიმე საზღვარი“. კომისიის მიერ 2018 წლის თებერვალში დატოვების ხელშეკრულების შემოთავაზებულ ვერსიაში წარმოადგინა წინადადება, რომლის თანახმად ჩრდილოეთ ირლანდია უნდა დარჩეს ევროკავშირის საბაჟო ტერიტორიასა და საერთო მარეგულირებელ ზონაში. ჩრდილოეთ ირლანდია ასევე უნდა დარჩეს თავისუფალი ბაზრის წევრად სახელმწიფო დახმარების პრინციპით, რაც ნიშნავს, რომ ის უნდა დაექვემდებაროს ევროკავშირის ინსტიტუტებს, როგორიცაა ევროკომისიის გადაწყვეტილებები და ევროპის სასამართლო. აღნიშნული შეთავაზება ნიშნავდა იმას, რომ სახმელეთო საზღვარი გადაინაცვლებდა ირლანდიის ზღვაში. ევროკავშირი ამ მოცემულობას განმარტავდა, როგორც სპეციალურ გარემოებებს ჩრდილოეთ ირლანდიისთვის. დიდმა ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა ტერეზა მეიმ უარყო წამოყენებული წინადადება და განაცხადა, რომ აღნიშნული შეთავაზება ძირს უთხრის გაერთიანებული სამეფოს საერთო ბაზარს და საფრთხეს უქმნის სამეფოს კონ-

სტიტუციურ მთლიანობას. მან ისიც დასძინა, რომ დიდი ბრიტანეთის არცერთი პრემიერ მინისტრი არ დაეთანხმება მოცემულ წინადადებას. პრემიერ-მინისტრის ამ მოსაზრებას მხარი დაუჭირეს დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ წრეებში და განმარტეს, რომ მარეგულირებელი ბარიერები არ უნდა დაწესდეს ჩრდილოეთ ირლანდიასა და დანარჩენ გაერთიანებულ სამეფოს შორის, რადგან ეს ყოველივე აზარალებს სამეფოს ერთიანობის პრინციპს, როგორც პოლიტიკურ, ისე ეთნიკურ და ეკონომიკურ კონტექსტში. გამომდინარე იქიდან, რომ დიდმა ბრიტანეთმა უარყო ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული „backstop“ იდეა, მან უნდა მოამზადოს ახალი წინადადება, თუ როგორ გაუმკლავდება სასაზღვრო პრობლემას ირლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიას შორის.

დიდი ბრიტანეთი არ ემხრობა ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ იდეას. მათ სჭირდებათ უფრო მეტი რეალური ნაბიჯი, რითაც მზად არიან შეიმუშაონ საკუთარი წინადადება ყველა მოცემულობის გათვალისწინებით, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ირლანდიის სასაზღვრო პრობლემასთან და აგრეთვე დააკმაყოფილებს ევროკავშირის ინტერესსაც. ამ პროცესის ხელშემწყობ ერთ-ერთ ვარიანტად განიხილებოდა დიდი ბრიტანეთის დარჩენა ევროკავშირის საბაჟო კავშირში. თუ ეს გამართლდებოდა, მოხსნიდა ტარიფებს და წარმომავლობის წესების პრობლემებსაც მოაგვარებდა. დარჩებოდა მხოლოდ მარეგულირებელი წესების სტრუქტურა, რომელსაც ევროკავშირი მიიჩნევს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან სისტემას თავისუფალი ვაჭრობის კომპონენტში. როგორც აღინიშნა, ირლანდიის საზღვრის პრობლემის გადაწყვეტა უნდა მოიცავდეს შეთანხმებებს საქონლის რეგულაციის შესახებ, რადგან მხოლოდ სასაზღვრო პროცედურების თავიდან აცილება არ იქნებოდა საკმარისი ღია საზღვრის შესანარჩუნებლად.

დიდ ბრიტანეთს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ევროკავშირის წინადადება, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ის აუცილებლად გავრცელდება არა მხოლოდ ჩრდილოეთ ირლანდიაზე, არამედ დანარჩენ გაერთიანებულ სამეფოზე. ბრიტანეთს შეუძლია ევროკავშირს შესთავაზოს, რომ დარჩება ევროკავშირის წესებთან შესაბამისობაში, როგორც ამას საბაჟო კავშირის წევრობა არეგულირებს. ეს ყოველივე ნიშნავს იმას, რომ ევროპული სასამართლოს იურისდიქცია გავრცელდება დიდ ბრიტანეთში, რადგან ევროსასამართლოს როლი დავების გადაწყვეტაში უზენაესია იმ ტერიტორიაზე, სადაც მისი იურისდიქცია ვრცელდება. ეს მოცემულობა იქნება ორივე მხარისთვის ყველაზე ნაკლებად საზიანო და იმაზე უკეთესი, ვიდრე ევროკავშირის დატოვება შეთანხმების გარეშე. ამ შესაძლებლობით აღარ დაწესდება ახალი ბარიერები ჩრდილოეთ ირლანდიასა და ირლანდიას შორის ვაჭრობის კუთხით, რომელიც უკიდურესად მნიშნელოვანია ორივე მხარისთვის. მნიშვნელოვანი იყო საქონლის მიმოცვლის არსებული სტატუს-ქვოს შენარჩუნება, რომელიც გაივლის მნიშვნელოვან პოლიტიკურ გამოცდას, სადაც არც ნაციონალისტური და არც უნიონისტური პოლიტიკური მიდგომები არ იქნება მხარდაჭერილი. ამ გზით დიდ ბრიტანეთს შეუძლია აჩვენოს, რომ მისთვის მნიშვნელოვანია საერთო პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება მხარეებს შორის, სადაც არცერთი მხარე კატასტროფულად არ დაზარალდება.

ევროკავშირის მიერ ჩრდილოეთ ირლანდიისთვის წარმოდგენილი შეთავაზება მოიცავდა მხოლოდ კონკრეტულად ამ რეგიონისთვის წარმოდგენილ წინადადებას. ძალიან რთულია იმაზე მსჯელობა, შეთავაზებს თუ არა იგივე წინადადებას დანარჩენ დიდ ბრიტანეთს. ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანია არ დაირღვეს ბელფასტის შეთანხმება, შესაბამისად, ორივე მხარემ უნდა გადაწყვიტოს რა იქნება საუკეთესო გამოსავალი კუნძულზე არ გაჩნდეს სასაზღვრო პუნქტი. მაგალითისთვის, დიდ ბრიტანეთს შეუძლია სცადოს დაფაროს ტრანსსაზღვაო სავაჭრო ხარჯები და იგივე პირობების მიღების სანაცვლოდ დაიწყოს მოლაპარაკებები ევროკავშირთან, რასაც ევროკავშირი დაეთანხმება, რადგან დაინახავს, რომ დიდი ბრიტანეთი მოქმედებს პრობლემის გადასაჭრელად. მას ასევე შეუძლია შესთავაზოს, რომ „backstop” პროცესზე ზედამხედველობა გაგრძელდება მიუხედავად იმისა, თუ რა პროცესები წარიმართება დატოვების ხელშეკრულების მოლაპარაკების დროს. ამ ყველაფრის მიზანი იქნება ჩრდილოეთ ირლანდია არ გამოეყოს დანარჩენ დიდ ბრიტანეთს და არ დარჩეს ევროპის საბაჟო კავშირის წევრად და მარეგულირებელი იურისდიქციის ქვეშ. შეთანხმების მიღწევის სტიმული დიდია, რადგან ბრექსიტი გარიგების გარეშე ზიანს მიაყენებს არა მხოლოდ მშვიდობის პროცესს, არამედ კუნძულის მთლიან ეკონომიკას. შესაძლოა ორივე მხარეს

მოუწიოს აღიარება იმისა, რომ ეს არის კომპრომისი, რომელიც, ცხადია, არცერთი მხარისთვის არის სასურველი მაგრამ არის აუცილებელი რეალობა, რათა არ აღმოჩნდნენ უარეს მოცემულობაში.

დიდ ბრიტანეთს ყოველთვის მიაჩნდა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის სასაზღვრო საკითხი აუცილებლად უნდა იყოს განხილული დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის სამომავლო ურთიერთობების ჭრილში. ევროკავშირი კი ამ მიმართულებით ფიქრობდა, რომ ირლანდიური საზღვრის დაურეგულირებლობის პრობლემა ხელს უშლია დიდ ბრიტანეთთან ფართო მოლაპარაკებების შესაძლებლობას. ევროკავშირის მოსაზრებები, რომლებიც მან გააჟღერა საერთო დეკლარაციაში, ასახავდა, რომ გადაწყვეტილებები ირლანდიის საკითხზე არ უნდა ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული დიდი ბრიტანეთის და ევროკავშირის სამომავლო ურთიერთობების შედეგებიდან გამომდინარე. ეს ყოველივე კი საშუალებას იძლეოდა შექმნილიყო „სპეციალური გარემოებები“ კუნძულისთვის სწორედ მოლაპარაკებების პროცესში. მაგრამ რეალობა ის არის, რომ რაც იქნება შეთანხმებული მხარეებს შორის, სწორედ ის განაპირობებს მოლაპარაკებების წარმართვას მომავალში. ევროკავშირი შეშფოთებულია იმაზე, რომ დიდი ბრიტანეთი ჩრდილოეთ ირლანდიის საზღვრის პრობლემას გამოიყენებს, რათა არ დაკარგოს წვდომა თავისუფალ ბაზარზე ყოველგვარი ვალდებულებების გარეშე. დიდი ბრიტანეთის „backstop“ კი ამის პრეცედენტს აუცილებლად შექმნის.

ევროკავშირის მიერ მოფიქრებული მხოლოდ ჩრდილოეთ ირლანდიის „backstop“-ც არ არის ნეიტრალური, კონკრეტულად: დიდი ბრიტანეთის შესაძლებლობას გადაწყვიტოს საბაჟო რეგულაციები და წესები, რომლებსაც, ცხადია, დასჭირდება მოლაპარაკებები ევროკავშირთან, რთულად მისაღწევი იქნება. შესაბამისად, „backstop“ ისევ დარჩება კუნძულის მთავარ პრობლემად ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. ამ სცენარში დიდი ბრიტანეთი დგას გამოწვევის წინაშე აირჩიოს შეთანხმების გარეშე ურთიერთობები ევროკავშირთან თუ შიდა საზღვარი, რაზეც ევროკავშირი ცხადია უარს იტყვის. ორივე მხარის მთავარი მოტივი არის, რომ დარწმუნდნენ „backstop“ არ უნდა იყოს მუდმივი. გაერთიანებული სამეფო სიფრთხილით უნდა მოეკიდოს „Backstop” იდეას, რადგან ეს მოცემულობა შეიძლება გახდეს სამუდამო, სამომავლო ცვლილებების შეტანის გარეშე. ეს შეთანხმება ახლოს დგას „ჯერსის მოდელთან“, რომლის მიხედვით დიდ ბრიტანეთს შეუძლია დარჩეს საბაჟო კავშირსა და ერთიან ბაზარზე, რაც პრინციპში შეესაბამება ევროკავშირის ინტერესებს მისცეს სამეფოს ექსპორტს შეუზღუდავი წვდომა საქონელზე, სადაც აქვს მას ჭარბი რაოდენობა. ცხადია, ევროკავშირი მიიღებს ერთიანი ბაზრის დაყოფის ამ პრინციპს თუ დიდი ბრიტანეთი არ იქნება თანახმა განაგრძოს სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილებას საზღვარზე. დიდმა ბრიტანეთმა უნდა უზრუნველყოს, რომ „backstop” იდეა მისთვის არასასურველი მოცემულობა იქნება, შესაბამისად ორივე მხარე ვალდებულია შეასრულოს საერთო კომუნიკეში წარმოშობილი ვალდებულებების დაცვა, რომლის მიხედვით მათ სურთ თავიდან აირიდონ „backstop” იდეა ირლანდიის კუნძულზე.

აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებების მისაღებად დიდმა ბრიტანეთმა უნდა გაითვალისწინოს ორი მნიშნელოვანი ფაქტორი, რომ არსებობს თანაბარი პირობების ვალდებულებების შესრულების პოლიტიკა მოლაპარაკების პროცესში და აგრეთვე ის, რომ „backstop“ საკითხი საკმაოდ შეზღუდულია დროში. ევროკავშირი, ასევე, შეშფოთებულია იმაზე, რომ დიდ ბრიტანეთს აქვს უპირატესობა მიიღოს შეთანხმების უკეთესი პირობები სერვისების შეთავაზების კუთხით ვიდრე ევროკავშირს აქვს კანადასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით მიღებული. ამიტომ ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია „backstop“ შეთანხმებამ არ დაათმინოს მისი ეკონომიკური პოლიტიკის მნიშნელოვანი პირობები. დიდმა ბრიტანეთმა კი თავი უნდა შეიკავოს არ გასცეს მხოლოდ „backstop“-ზე მეტი ეკონომიკური პირობა. დიდი ბრიტანეთის კიდევ ერთი მოსაზრებაა შესთავაზოს ევროკავშირის სამეფოს მასშტაბით მუდმივი „backstop” შექმნა, როგორც დროებითი გამოსავლის შესაძლებლობა, რომელიც არ იქნება განსხვავებული მარეგულირებლის წესებისგან. ამ ყოველივეს ბრიტანეთის მთავრობა განიხილავს, როგორც ერთ-ერთ შეთავაზებას ევროკავშირთან გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდეგ წარსადგენად. ეს ასახავს იმ სურათს, სადაც დიდ ბრიტანეთს არ სურს განუსაზღვრელი დროით აღმოჩნდეს მარეგულირებელი მექანიზმების დაქვემდებარების ქვეშ. ეს მოცემულობა უზრუნველყოფს იმას, რომ ორივე მხარეს აქვს სურვილი გააგრძელოს მოლაპა-

რაკებების პროცესი უკეთესი პირობების მიღებამდე, რადგან ორივე მხარე აანალიზებს იმას, რომ „backstop“-ის კუნძულზე არსებობა ვერ გადაჭრის ირლანდიის საზღვრის პრობლემას.

თუ დიდი ბრიტანეთი სერიოზულად აპირებს მიუდგეს ირლანდიის საზღვრის მოგვარების პრობლემას ევროკავშირთან მისი გრძელვადიანი ეკონომიკური თანამშრომლობის გზით, ის ჯერ უნდა შეთანხმდეს ევროკავშირთან რა არის „მძიმე საზღვარი“, რომლის თავიდან აცილებას ორივე მხარე ეცდება. ამის შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა უნდა წარმოადგინოს კონკრეტული წინადადებები საბაჟო საკითხებთან დაკავშირებით. თუ საბაჟოს არსებობა მხარეებისთვის არ იქნებოდა მისაღები, ერთადერთ ვარიანტად რჩებოდა მხარეებისთვის ხელსაყრელი საბაჟო ურთიერთობების ფორმირება ახალი საბაჟო კავშირის შექმნით. არცერთ საბაჟო მოდელს არ შეუძლია უხილავი საზღვრის შექმნა მარეგულირებელი პირობების გადაჭრის გარეშე. ამ კუთხით დიდმა ბრიტანეთმა უნდა დაასახელოს თუ გარანტიები მოჰყვება მის შეთავაზებას არსებით რეგულაციებზე და როგორ იმუშავებს ეს პრინციპი რათა თავიდან იქნეს აცილებული მარეგულირებელი შემოწმებები. ნაკლებად სავარაუდოა, რომ დიდი ბრიტანეთი მსგავსი სქემით მიაღწევს ორმხრივ აღიარებას. ის მოლაპარაკებებში აუცილებლად უნდა ეცადოს შეინარჩუნოს ბალანსი ზოგიერთ ეკონომიკურ სექტორში მაინც. თუ ევროკავშირი არ მიიღებს ბრიტანეთის მიერ შეთავაზებულ ამ გადაწყვეტას, მაშინ მთავრობას მოუწევს აირჩიოს გაერთიანებული სამეფოს მასშტაბით საქონლის რეგულირების პროცესი ან შეთანხმდეს ჩრდილოეთ ირლანდიის პრობლემის სპეციფიურ გადაწყვეტაზე. დიდმა ბრიტანეთმა ასევე უნდა გადაწყვიტოს რა არის ირლანდიაზე სპეციფიური გადაწყვეტილებების სფეროები, მაგალითად არის თუ არა ეს აგრო-სასურსათო სფერო, რომელშიც ეკონომიკები ინტეგრირებულია და ირლანდია მოქმედებს როგორც ერთიანი სტრუქტურა ცხოველთა ჯანმრთელობის საკითხებზე საერთო შემოწმების სტრუქტურის პრინციპით, სადაც შემოწმების წესებიც ინტეგრირებულია. სოფლის მეურნეობაც სრულად ინტეგრირებულია კუნძულის ეკონომიკასთან, შესაბამისად, ჩრდილოეთ ირლანდიის ხელისუფლება ამჯობინებს შეინარჩუნოს არსებული ურთიერთობები ირლანდიის რესპუბლიკასთან, რადგან ეკონომიკური სქემები უფრო ახლოს დგას ირლანდიასთან, ვიდრე დანარჩენ გაერთიანებულ სამეფოსთან. ასევე შესაძლებელია შესწავლილი იქნას ირლანდიის გეოგრაფიული მახასიათებლები, რომლებიც აღიარებენ კუნძულის უნიკალურ მდებარეობას, რომლის საფუძველზეც დიდ ბრიტანეთი განსაზღვრას მისი ეკონომიკური პარტნიორობის მნიშვნელობას ირლანდიის რესპუბლიკასთან.

ირლანდიის სასაზღვრო საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის მნიშნელოვან წინაპირობას. მოლაპარაკებების დროს აუცილებელია მხარეებმა გაითვალისწინონ ირლანდიის კუნძულის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა და შესაბამისად შემლონ საერთო გადაწყვეტილებების ფორმირება.

საბოლოოდ, მოლაპარაკებების პროცესმა საფუძველი დაუდო მხარეებს შეექმნათ საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ჩრდილოეთ ირლანდიის პროტოკოლი, რომელიც პირველ რიგში იცავდა „კარგი პარასკევის შეთანხმებას“, იგივე ბელფასტის შეთანხმება და ასევე ადგენდა თანამშრომლობის ეკონომიკურ პირობებს. საბოლოო შეთანხმების მიხედვით, დიდმა ბრიტანეთმა და ევროკავშირმა მიიღეს პირობები, სადაც ე.წ. „მძიმე საზღვარი“ თავიდან იქნა აცილებული ირლანდიის რესპუბლიკასა და ჩრდილოეთ ირლანდიას შორის. შესაბამისად მარეგულირებელი შემოწმების და საბაჟო პუნქტების გაჩენის აუცილებლობა აღარ დადგა დღის წესრიგში. შედეგად, ჩრდილოეთ ირლანდია ოფიციალურად დარჩა დიდი ბრიტანეთის საბაჟო კავშირის წევრად და შესაბამისად იქნება დიდი ბრიტანეთის სამომავლო სავაჭრო ურთიერთობების მოლაპარაკებების პროცესის , ხოლო პრაქტიკაში ჩრდილოეთ ირლანდიაზე გავრცელდება ევროკავშირის საბაჟო წესები და მარეგულირებელი პროცესები. ეს ყოველივე კი ქმნის საბაჟო და მარეგულირებელ საზღვარს ირლანდიის კუნძულსა და დანარჩენ გაერთიანებულ სამეფოს შორის მხოლოდ ირლანდიის ზღვაში და თავიდან ირიდებს სახმელეთო საზღვარს, რომლის წინააღმდეგიც იყო ყოფილი პრემიერი ტერეზა მეი. მიუხედავად იმისა, რომ დიდმა ბრიტანეთმა დაუშვა არ შეამოწმოს ჩრდილოეთ ირლანდიიდან გაერთიანებულ სამეფოში იმპორტირებული საქონელი, ევროკავშირმა დაიტოვა უფლება შეამოწმოს ზოგიერთი საქონელი და დააწესოს ტარიფები ისე როგორც ევროკავშირში შემომავალ პროდუქციაზე უწე-

სებს სხვა ქვეყნებს. პროტოკოლში გატარებული ეს ღონისძიებები არის მუდმივი, მაგრამ ექვემდებარება დისკუსიას, რათა პრაქტიკაში შეძლოს განხორციელება. პროტოკოლი ასევე საშუალებას იძლევა ჩრდილოეთ ირლანდიის ასამბლეამ კენჭი უყაროს მიღებული პროტოკოლის გაგრძელების შესაძლებლობას. თუ ასამბლეა გადაწყვეტს, რომ აღნიშნული პროტოკოლი არ მუშაობს, მაშინ ამ ყოველივემ შეიძლება გააჩინოს კიდევ მეტი წინააღმდეგობა დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის.

2021 წლის დასაწყისში, ეს პროტოკოლი აღმოჩნდა დიდ ბრიტანეთს და ევროკავშირს შორის უთანხმოების გაგრძელების წერტილი. უთანხმოება მომდინარეობდა იმ მოცემულობიდან, სადაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი დიდი ბრიტანეთიდან ჩრდილოეთ ირლანდიაში ხელშესახები იყო, ხოლო ზოგიერთი პროდუქციის გაყიდვა საერთოდ აკრძალული. ამ ყოველივემ დაარღვია ტრადიციული მიწოდების ჯაჭვების ფუნქციონალი, რამაც გამოიწვია ჩრდილოეთ ირლანდიის იმპორტიორებსა და მომხმარებლებზე ხარჯების ზრდა, რის საფუძველზეც ბევრმა დიდმა ბრიტანულმა ფირმამ უარი განაცხადა ჩრდილოეთ ირლანდიაში პროდუქციის შეტანაზე კომერციული მიზეზებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით კი იმ ტერიტორიებზე შეტანაზე, სადაც ისინი ისტორიულად არ ვაჭრობდნენ და არ იცნობდნენ შესაბამის პროცედურებს. ამ ყოველივემ, ასევე, დააზიანა ირლანდიის რესპუბლიკაში იმპორტიორი ფირმები და აგრეთვე მომხმარებლები, მაგრამ შეზღუდული ხარისხით. ეს საკითხი დღესაც რჩება ევროკავშირში დისკუსიის საგანი მოცემული პრობლემების მოგვარების მიზნით. ამ საკითხების მოგვარება მნიშნელოვანია იმდენად, რამდენადაც ჩრდილოეთ ირლანდიის პროტოკოლი ინარჩუნებს სახმელეთო საზღვრის არასებობის პრინციპს ჩრდილოეთ ირლანდიასა და ირლანდიის რესპუბლიკას შორის. პროტოკოლის მე-16-ე მუხლის აძლევს მხარეებს უფლებას დააწესოს შეზღუდვები ირლანდიის საზღვარზე, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სერიოზული ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემები.

LEVAN KOPALIANI

AN INSTITUTIONAL CUT OF THE ESSENCE OF THE IRISH BORDER PROBLEM IN THE PROCESS OF NEGOTIATIONS BETWEEN GREAT BRITAIN AND THE EUROPEAN UNION

Summary

The border issue between the republic of Ireland and Northern Ireland has become a significant problem through the negotiation process between the United Kingdom and the European Union. As It's structurally known, The Republic of Ireland is a part of the European Union while the territory of Northern Ireland is under the jurisdiction of the United Kingdom. Furthermore, the island of Ireland became the cause of disagreements between the UK and EU, because the island of Ireland was the only land area where physical border existed between the European Union and the United Kingdom.

The Existence of land border in the island of Ireland in the nearest future will create some obstacles for the people living on the island, which may cause the conflict that has been resolved through the Belfast Agreement (Good Friday Agreement). Clearly, this is not the situation where the parties striving for, but it was understood that border issue between the UK and the EU would lead to far more problems than the parties have had in the negotiation process so far.

Key words: *Great Britain, Ireland, European Union, border policy, conflict, negotiations.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Treasury Select Committee, Oral evidence: The UK's economic relationship with European Union, HC 473, 7 March 2018, retrieved 24 May 2018, Q327,

http://data.parliament.uk/writtenevidence/committeeevidence.svc/evidencedocument/treasury-committee/the-uks-economic-relationship-with-the-european-union/oral/80035.html
2. House of Commons Northern Ireland Affairs Select Committee, The Land Border Between Northern Ireland and Ireland: Second Report of Sessions 2017–19, (HC 329), The Stationery Office, 2018, p. 27, https://publications.parliament.uk/pa/cm201719/cmselect/cmniaf/329/329.pdf
3. Menon, A. and Bevington, M. (2019), 'The real meaning of Brexit', Prospect Magazine: https://www.prospectmagazine.co.uk/politics/what-brexit-means-britain-towns-uk-prosperity
4. Armstrong, A. and Ebell, M. (2014), 'Monetary unions and fiscal constraints', National Institute Economic Review.
5. Bell, D. and Blanchflower, D. (2010), 'UK unemployment in the Great Recession', National Institute Economic Review, 214, R3–R25.
6. Foster, Arlene (3 February 2021). "Sticking plasters will not fix the fundamental flaws in the Northern Ireland Protocol". The Telegraph. https://www.telegraph.co.uk/politics/2021/02/03/sticking-plasters-will-not-fix-fundamental-flaws-northern-ireland/
7. Official Journal of the European Union. European Commission. The documents include amendments to the original agreement (No 3/2020); determination of "goods not at risk" of entering the EU (includes temporary easements) (No 4/2020); maximum state support and "level playing field" (No 5/2020); practical working arrangements for EU inspectors at ports and airports (No 6/2020); and establishment of an arbitration panel for dispute resolution (No 7/2020). https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=OJ:L:2020:443:TOC
8. Allie Renison, "Navigating Brexit: Priorities for business, options for government", London: Institute of Directors (IoD), 22 February 2017. Available from: https://www.iod.com/Portals/0/PDFs/Campaigns%20and%20Reports/Europe%20and%20trade/Navigating_Brexit_Priorities_for_business_options_for_government.pdf
9. Enda Kenny, "Address by the Taoiseach: Ireland at the heart of a changing European Union", Dublin: Institute of European Affairs, 15 February 2017
10. On the risk that Brexit poses to the peace process in Northern Ireland, see Edward Burke, "Ulster's fight, Ulster's rights? Brexit, Northern Ireland and the threat to British-Irish relations", London: Centre for European Reform, 7 July 2017. Available from http://www.cer.eu/sites/default/files/pb_ireland_brexit_ 6.7.17.pdf.
11. John Doyle, '"Towards a lasting peace?": the Northern Ireland multi-party agreement, referendum and Assembly elections of 1998', Scottish Affairs 25 (1998), 1–20;
12. John Garry, 'The EU referendum vote in Northern Ireland: implications for our understanding of citizens' political views and behaviour' (2016), Northern Ireland Assembly Knowledge Exchange Seminar Series, 2.

მარიამ ჩაჩუა
*წარმოადგინა პროფ. **იგორ კვესელავამ***

ევროინტეგრაციის პროცესები საქართველოში: ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით საკანონმდებლო დაახლოების მიმდინარეობა სანიტარული და ფიტოსანიტარული მიმართულებით და DCFTA-ს ფარგლებში აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ანალიზი

ევროპასთან სავაჭრო ურთიერთოებების ფართო ასპარეზი გაიხსნა მას შემდეგ, რაც 2014 წელს საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას მოაწერა ხელი და მიეცა თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა. შეთანხმების IV კარი - „ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები", ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. მოთხოვნილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქართველოს გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. ამ შესაძლებლობის გამოყენება გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას, ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას. აღნიშნული, საბოლოო ჯამში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე, თუმცა ეს ჯერჯერობით შორეული პერსპექტივაა.

ხელშეკრულების სარგებლის სრულად მიღებისა და არსებული შესაძლებლობის გამოყენებისთვის აუცილებელი გახდა რიგ სფეროებში პრობლემების გამოვლენა და აღმოფხვრა. დოკუმენტის თანახმად, სურსათის უვნებლობა ევროკავშირის პოლიტიკურ პრიორიტეტად იქნა აღიარებული. აღებული ვალდებულებების შესასრულებლად შექმნილია საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა, გაწერილია ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების ვადები - ეს არის ამჟამად მიმდინარე პროცესი. 2015-2022 წლებში, DCFTA-ის შეთანხმების ფარგლებში, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და ფიტოსანიტარიის მიმართულებით, ევროკავშირის კანონმდებლობასთან 272-დან 163 სამართლებრივი აქტი დაახლოვდა, თუმცა რეგიონში არსებული ზოგადი ფონის გამო, აღსრულების ნაწილი ჯერ კიდევ დიდ გამოწვევას წარმოადგენს როგორც მაკონტროლებელი ორგანოსთვის, აგრეთვე ბიზნესოპერატორებისთვის. ვინაიდან ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის უმეტესობა ექვემდებარება ჰარმონიზებულ წესებს, რომელიც იცავს მომხმარებელს, საზოგადო ჯანმრთელობას, გარემოს და, ამავდროულად, გამორიცხავს განსხვავებული ეროვნული წესების მიღებას, საქართველოში წარმოების სტანდარტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირისას. ამიტომაც ქართველ ბიზნესოპერატორს მოუწევს: საერთაშორისოდ აღიარებული სისტემების დანერგვა საწარმოში; ახალ მარეგულირებელ გარემოსთან შეგუება; უვნებელი და ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი პროდუქტის შექმნა; ევროპელი პარტნიორების მოზიდვა და მათ მიერ მოთხოვნილი რაოდენობის წარმოება, რაც შესაძლოა წარმოების განსხვავებულ და თანამედროვე ტექნოლოგიასაც მოითხოვს. აქედან გამომდინარე, არსებითად მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ შეთანხმების პირობებით სარგებლობა არ არის დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფო უწყებების გამართულ მუშაობაზე, ვინაიდან ეს მეტწილად დამოკიდებულია ბიზნესოპერატორების და შესაბამისი ასოციაციების პირად პროგრესზე.

საკვანძო სიტყვები: *საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესები, ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაცია, საერთაშორისოდ აღებული ვალდებულება, ასოცირების შესახებ შეთანხმება, „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება", აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი.*

ქვეყნის საგარეო ურთიერთობების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია იგი ჩართული იყოს გლობალურ პროცესებში. ეს, მეტწილად, ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მათგან მიღებული რეკომენდაციებისა და აღებული ვალდებულებების შესრულებით. საქართველოს ევროინტეგრაციის პროგრესისთვის მნიშვნელოვანია მსოფლიო ასპარეზზე თავის დამკვიდრება და წარმატების მიღწევა პრიორიტეტულ სფეროებში. საქართველოს პროდასავლური კურსი აქვს, ამიტომ მისი საგარეო პოლიტიკის ერთ - ერთ მთავარ ამოცანას ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო, ურთიერთსასარგებლო პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება და გაღრმავება წარმოადგენს. ეკონომიკური ინტეგრაცია ევროპეიზაციის მნიშვნელოვანი ელემენტია - მომსახურების სფერო, პროდუქტის ექსპორტი და, ზოგადად, სავაჭრო ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან. ამ მიმართულებით საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, კონკრეტულად კი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება“ (DCFTA) და ამ შეთანხმების სარგებლის სრულყოფილად მიღების ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრა საქართველოს ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი სექტორის - სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის დარგში.

ევროკავშირი და, მისი ეგიდით, დონორი ორგანიზაციები მუდმივად ეხმარებიან საქართველოს სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, ფულადი კონტრიბუციისა თუ პროფესიული და ექსპერტული მხარდაჭერით დაუახლოვდეს ევროკავშირის სტანდარტებს [1]; [2]; [3].

ამ ყველაფრის მიზანია საქართველოს მთავრობის ხელშეწყობა DCFTA–ს შესრულებასა და ქვეყნის ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევაში ევროკავშირის ბაზარზე, რაც ქვეყნებს შორის საქონლისა და მომსახურების დაუბრკოლებელი მიმოცვლის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. იქედან გამომდინარე, რომ დოკუმენტში ხაზგასმულია სურსათის უვნებლობის მნიშვნელობა და მისი კონტროლის გაუმჯობესების მოთხოვნები, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების შესაძლებლობების გაძლიერებაზე, ახალ მარეგულირებელ გარემოსთან შესაგუებლად. იმის გამო, რომ ინსტრუმენტული და მარეგულირებელი რეფორმები მნიშვნელოვანია სავაჭრო და კერძო სექტორის განვითარებაში, შექმნილია საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა, გაწერილია ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების ვადები, სადაც გარდამავალი პერიოდებიც არის გათვალისწინებული. იმისათვის, რომ საქართველომ მოახერხოს ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოება, ამ სისტემაში არსებული ხარვეზების გამოსწორება უნდა მოხდეს მის ყველა საფეხურზე. არსებობს ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლის აღმოუფხვრელობაც გამოიწვევს არა მხოლოდ ამ ხელშეკრულების სარგებლის სრულად მიღების შეფერხებას, არამედ ქვეყნის საგარეო რეპუტაციასაც შეუქმნის საფრთხეს.

ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის უმეტესობა ექვემდებარება ჰარმონიზებულ წესებს, რომელიც იცავს მომხმარებელს, საზოგადო ჯანმრთელობასა და გარემოს. ჰარმონიზებული წესები გამორიცხავს განსხვავებული ეროვნული წესების მიღებას და უზრუნველყოფს პროდუქციის თავისუფალ მიმოქცევას ევროკავშირის ფარგლებში. საქართველომ უნდა მოახერხოს საკანონმდებლო ინსტუმენტის მიახლოება დათქმულ ვადაში და, რაც მთავარია, შექმნას ისეთი უსაფრთხო და ხარისხიანი პროდუქტი, რომელიც აკმაყოფილებს ევროკავშირის სტანდარტებს.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი საკითხია. ეროვნულ დონეზე სასურსათო უსაფრთხოება განიხილება, როგორც თანმიმდევრული პროგრამების ერთობლიობა, რომლის მთავარი მიზანია ქვეყნის მოსახლეობის ჯანსაღი და უვნებელი სურსათით სტაბილური მომარაგება. საერთაშორისო დონეზე კი ეს არის ქვეყანათაშორისი ვაჭრობის უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანა.

სასურსათო უსაფრთხოების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი, რაც მოსახლეობის შემოსავლების იმ დონემდე ზრდას გულისხმობს, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს სურსათზე ხელმისაწვდომობას, უზრუნველყოფილია ევროპულ ბაზარზე „ევრო“ ვალუტის ღირებულების და მოსახლეობის მაღალმსყიდველუნარიანობის გამო. საქართველოს ძირითადი ამოცანაა ევროკავშირის ბაზარს მიაწოდოს მოთხოვნილი რაოდენობის უვნებელი და ხარისხიანი პროდუქტი. რამდენადაც გასახარია ის ამბავი, რომ DCFTA-ს ფარგლებში საქართველოს 500 მილიონიანი ბაზარი ეხსნება, იმდე-

ნად დიდი გამოწვევაა ეს ქვეყნისთვის. იმის მიუხედავად, რომ შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე საქართველოში წარმოშობილ საქონლის იმპორტზე ევროკავშირში საბაჟო გადასახადი გაუქმდა (გარდა ნიორისა, რომელზეც საბაჟო გადასახადი გაუქმდება ქვოტის ფარგლებში), ქვეყანამ უნდა შეძლოს ბაზარს პროდუქტის მოთხოვნილი რაოდენობა მიაწოდოს.

2019 წელს, აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტში 23%-ს შეადგენდა. ამ წლის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 888.9 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, კონკრეტულად ევროკავშირის ქვეყნებში კი - 130 მლნ აშშ დოლარის ღირებულების (15%).

2020 წლის კოვიდ პანდემიის პირობებში, არსებული სირთულეების მიუხედავად, ქვეყანაში სოფლის მეურნეობის და აგრობიზნესის წარმოების, მიწოდების და რეალიზაციის პროცესი არ შეჩერებულა. ამ წელს სულ ექსპორტირებულია 942,2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია.

რაც შეეხება მიმდინარე წელს, 2021 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით, საქართველოდან ექსპორტირებულია 774.3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია (რაც 26%-ით აღემატება 2020 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს): რუსეთი - 267.3 მლნ დოლარი, ევროკავშირის ქვეყნებში - 117.3 მლნ დოლარი, აზერბაიჯანი - 81.9 მლნ დოლარი, უკრაინა - 74.6 მლნ დოლარი და სომხეთი - 55.6 მლნ დოლარი.

სტატისტიკის მიხედვით, აგროსასურსათო პროდუქციის ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი, ევროკავშირი, აზერბაიჯანი, უკრაინა და სომხეთი. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები კი არიან: თურქეთი, რუსეთი და ჩინეთი. ფაქტია, რომ ქართული ბიზნესსექტორის წარმომადგენლები უკვე თანამშრომლობენ სხვადასხვა ქვეყნებთან, დამყარებული აქვთ სავაჭრო ურთიერთობა და გააქვთ პროდუქტი ექსპორტზე. ევროკავშირის ქვეყნებს რაც შეეხება, ექსპორტირებულ პროდუქტთა შორის წარმოებული და გადამუშავებული სურსათი რთულად თუ მოიძებნება, ვინაიდან მსგავსი ტიპის საწარმოთათვის მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება საკმაოდ რთულია ქართველი ბიზნესოპერატორებისთვის. ამიტომაც, ზოგადად, სოფლის მეურნეობის მხოლოდ რამდენიმე ისეთი პროდუქტია საერთაშორისო დონეზე კონკურენტული, როგორიცაა ღვინო, მინერალური წყლები, სპირტიანი სასმელები და თხილი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს დაფიქსირდა თაფლის რეკორდული მაჩვენებელი - 26 სექტემბრის მდგომარეობით 429 ათას აშშ დოლარს შეადგენს. მისი ექსპორტი 15 ქვეყანაში განხორციელდა, მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობით ევროკავშირის ქვეყნებში: საფრანგეთი, ბულგარეთი და გერმანია.

იმის მიუხედავად, რომ ევროკავშირი მაღალმსყიდველუნარიანია და 500 მილიონიან ბაზარს გვთავაზობს, ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს, რომლებიც უკვე პარტნიორობენ სხვა ქვეყნებთან, სავარაუდოა რომ გაუჭირდებათ უფრო მაღალი სტანდარტების გაკმაყოფილება და ახალ სავაჭრო გარემოზე მორგება. ამიტომაც, მნიშვნელოვანია ამ პროცესის მხარდაჭერა და ევროკავშირის ბაზრის უპირატესობების შესახებ ცნობიერების ამაღლება, კონტაქტებისა და პარტნიორების მოძიებისა და საერთაშორისო სისტემების ხელშეწყობა სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან. გარდა ამისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორისთვის ჯერ კიდევ დამახასიათებელია მცირემიწიანობა - დიდი რაოდენობის მცირე საოჯახო ტიპის მეურნეობები[11], ამიტომაც მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრუქტურების თანამონაწილეობის გაზრდა ადგილობრივი წარმოების განვითარების პროცესში.

მსოფლიოს მოსახლეობის ზრდასთან ერთად, სოფლის მეურნეობისა და ცხოველების წარმოების გააქტიურება და ინდუსტრიალიზაცია საკვებზე მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ქმნის როგორც შესაძლებლობებს, აგრეთვე გამოწვევებს სურსათის უვნებლობისთვის, რაც უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს სურსათის მწარმოებლებს. ურბანიზაციამ და სამომხმარებლო ჩვევების შეცვლამ, მოგზაურობის ჩათვლით, გაზარდა ადამიანების რიცხვი, რომლებიც ყიდულობენ და ჭამენ საზოგადოებრივ ადგილებში მომზადებულ საკვებს. გლობალიზაციამ გამოიწვია მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნილება საკვების მრავალფეროვნებაზე, რის შედეგადაც სულ უფრო რთული და გრძელი გლობალური კვების ჯაჭვი შეიქმნა. ადგილობრივი ინციდენტები შეიძლება სწრაფად გადაიზარდოს საერთაშორისო საგანგებო სიტუაციებში პროდუქტის განაწილების სიჩქარისა და დიაპაზონის გამო. აქედან

[11] მიწის ნაკვეთის საშუალო ზომა დაახლ. 0.2 ჰა-ს შეადგენს.

გამომდინარეობს DCFTA-ს მოთხოვნათაგან უმთავრესი - ბაზარს მიეწოდოს უვნებელი სურსათი და კვების საწარმოებში დანერგილი იყოს საერთაშორისო სტანდარტები. სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისათვის ევროკავშირში შემუშავებულია სისტემები, რომელთა საფუძველია „კარგი სასოფლო სამეურნეო პრაქტიკა“ (GAP – Good Agricultural Practice), „კარგი ვეტერინარული პრაქტიკა“ (GVP – Good Veterinarian Practice), „კარგი წარმოების პრაქტიკა“ (GMP – Good Manufacturing Practice), „კარგი ჰიგიენის პრაქტიკა“ (GHP – Good Hygienic Practice), „კარგი დისტრიბუციის პრაქტიკა“ (GDP – Good Distribution Practice), „კარგი ვაჭრობის პრაქტიკა“ (GTP – Good Trading Practice) და სხვა. ეს სისტემები საშუალებას აძლევს ბიზნესოპერატორს აწარმოოს და მომხმარებელს მიაწოდოს უვნებელი სურსათი. სურსათის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპს ადგენს საქართველოს სურსათისა და ცხოველის საკვების კანონმდებლობა, რომელთა მოთხოვნების შესაბამისობას და სახელმწიფო კონტროლს, წლიური პროგრამის შესაბამისად, ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“ (კონტროლს ქვეყნის საზღვარზე უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტი). აქედან გამომდინარე, ამ ინსტიტუტის კომპეტენციის და ბიზნესსექტორთან კომუნიკაციის გაძლიერება ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითია ევროკავშირში პროდუქტის ექსპორტისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მისაღწევად. საეჭვო ხარისხის პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე მოხვედრა დაუშვებელია, ამიტომაც ქვეყანა ვალდებულია დანერგოს მოთხოვნილი საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც არამხოლოდ ექსპორტისთვის, არამედ საქართველოს შიდა ბაზრისთვისაც ხარისხიან პროდუქტს შექმნიან. ასეთი სტანდარტია საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა, იგივე „ჰასპი“ (HACCP- Hazard Analyss and Critical Control Points System) - საერთაშორისოდ აღიარებული სურსათის უვნებლობის მართვის პლატფორმა, რომელიც სურსათის წარმოების პროცესში პოტენციური საფრთხეების დადგენას, მათ პრევენციასა და აღმოფხვრას გულისხმობს. მისი პრინციპები ჯერ კიდევ 1970 წელს აშშ-ში შემუშავდა, ხოლო საქართველოში HACCP-ის სისტემის პრინციპების დაცვა 2015 წლის 1 იანვრიდან გახდა სავალდებულო ნედლი რძის გადამამუშავებელ საწარმოებსა და სასაკლაოებში. დღეისათვის, კი ევროკავშირის რეგულაციების შესაბამისად, სხვადასხვა პროფილის ბიზნესოპერატორებმა კვების სფეროში კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემა ეტაპობრივად უნდა დანერგონ, ამ პროცესის დასრულება დაგეგმილია 2023 წლისთვის.

იქედან გამომდინარე, რომ ქართველი გლეხი წლების განმავლობაში ჩვეულ ტექნოლოგიებს იყენებდა წარმოებაში, მისთვის რთული შეიძლება იყოს სიახლეების მიღება და პრაქტიკაში დანერგვა. ისეთი საერთაშორისო სტანდარტები, როგორებიცაა Global GAP, HACCP, GMP და GHP, ითვალისწინებს თანამედროვე პრაქტიკებს და მათი დანერგვა უზრუნველყოფს საწარმოთა და მეურნეობების დონის ამაღლებას, იმ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, რომელსაც ითხოვს ევროკავშირის ბაზარი. ეს არის მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელსაც უნდა გაუმკლავდეს როგორც სახელმწიფო ინსტიტუტები, ასევე კერძო სექტორიც. საფინანსო რესურსებზე წვდომის გაზრდა, მეწარმეთა დახმარება თანამედროვე სტანდარტების დანერგვაში, ცნობიერების ამაღლება და ახალი შესაძლებლობების განვითარება გამოიწვევს კონკურენტუნარიანობის გაზრდას და შექმნის გლეხის ფერმერად გარდაქმნის პრეცენდენტს.

ევროკავშირთან, როგორც მიმზიდველ, ახლომდებარე, მაღალშემოსავლიან ბაზართან აგრო ექსპორტის გაფართოების პოტენციალი არსებობს, თუმცა ამას დიდი გამოწვევა უდგას წინ. საჭიროა გაცილებით მეტი კვლევა ჩატარდეს ამ მიმართულებით, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ ევროკავშირის საკვები პროდუქტების უსაფრთხოების სტანდარტები მთავარი საკითხია. EU იყენებს სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების (SPS) ფართო ასორტიმენტს, რათა დარწმუნდეს, რომ ევროკავშირის მომხმარებლებს უსაფრთხო საკვები პროდუქტები მიეწოდება. უფრო მეტიც, ევროკავშირში საკვების მთავარი დამმუშავებლები და სუპერმარკეტის ქსელები ნერგავენ დამატებით კერძო სტანდარტებს, რომლებიც ხშირად აჭარბებენ ევროკავშირის SPS სტანდარტებსაც კი. თხილის შემთხვევაში, შედარებით მარტივია ამ სტანდარტებთან თანხვედრა, რაც საქართველოდან თხილის ევროკავშირში ექსპორტის წარმატების ახსნის საშუალებას იძლევა (2021 წლის 26 სექ-

ტემბერის მდგომარეობით, კაკლოვანი ხილის (ძირითადად თხილი) ექსპორტი შეადგენს 65.8 მლნ აშშ დოლარს - უმსხვილესი საექსპორტო ბაზრებია იტალია და გერმანია). სხვა პროდუქტებისათვის, როგორიცაა მაგალითად ხორცპროდუქტები და რძის პროდუქტები, ეს სტანდარტები ძალიან მომთხოვნია და ევროკავშირის შიდა მწარმოებლებსთვისაც კი გამოწვევაა. გარდა იმისა, რომ აღნიშნული სტანდარტები უშუალოდ საწარმოში უნდა იყოს დანერგილი, მნიშვნელოვანია რეგიონში ვეტერინარული მდგომარეობა - გამოწვევას წარმოადგენს ზოონოზურ დაავადებებთან ბრძოლაც. იმისათვის, რომ საწარმომ უვნებელი პროდუქტი შექმნას, საჭიროა ცხოველური წარმოშობის სურსათი იყოს ჯანმრთელი. აქ მნიშვნელოვანია სახელმწიფო სასაკლაოების და ლაბორატორიის ეფექტური ბრძოლა დაავადებებთან, რასაც მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრები და დრო სჭირდება. ეს ისეთი პროცესია, სადაც საჭიროა კომპლექსური მიდგომა - „მინდვრიდან სუფრამდე", რომ მივიღოთ ჯანსაღი პროდუქტი, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს.

საქართველოში ამ ეტაპისთვის დაბალია მწარმოებლურობა და სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის დონე. აგრობიზნესში მიღწეული ზრდის ტემპები საკმარისი არ არის ევროპულ ბაზარზე თავის დასამკვიდრებლად. აღნიშნული პრობლემების მიუხედავად, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ბუნებრივი და სხვა სახეობის რესურსული პოტენციალი გააჩნია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ქვეყანას შეუძლია გახდეს თვითმყოფადი აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების მხრივ და აგრობიზნესის განვითარებამ წარმოადგინოს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კომპონენტი [4].

დღევანდელ მსოფლიოში ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესები საკმაოდ სწრაფად ვითარდება, სადაც შეინიშნება სახელმწიფოების მზარდი მისწრაფება, რომ რაც შეიძლება ღრმად ჩაერთონ საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში. დღეს საქართველოსთვის ამ მხრივ პრიორიტეტულია „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)", აქედან გამომდინარე, ყველა ის სფერო, რომელიც არეგულირებს ეკონომიკას ან შეეხება ქვეყნის უნარს აწარმოოს ვაჭრობა, გარკვეულ რეფორმირებას საჭიროებს. აღნიშნული შეთანხმება საქართველოში წარმოებულ სურსათს ევროკავშირის ბაზარზე შესვლის შესაძლებლობას აძლევს, თუმცა, იმის გამო, რომ დღეისათვის ევროკავშირის კანონმდებლობა სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებით ცალსახად აყალიბებს მოთხოვნებს, რაც მომავალმა პარტნიორმა ქვეყნებმა უნდა დააკმაყოფილონ ევროკავშირის ბაზრის გარკვეულ სეგმენტზე სურსათის განთავსებისათვის, საშუალოვადიან პერსპექტივაში აუცილებელი გახდა სურსათის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის მარეგულირებელი სისტემის ევროკავშირის მარეგულირებელ სისტემასთან მიახლოება და ინსტიტუციური განვითარება. იმისათვის, რომ საქართველომ მოახერხოს ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოება, ამ სისტემაში არსებული ხარვეზების გამოსწორება უნდა მოხდეს მის ყველა საფეხურზე. არსებობს ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლის აღმოუფხვრელობაც გამოიწვევს არა მხოლოდ ამ ხელშეკრულების სარგებლის მიღების შეფერხებას, არამედ ქვეყნის საგარეო რეპუტაციასაც შეუქმნის საფრთხეს. საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება, ქართულ საწრმოებსა თუ ფერმებში საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, მეურნეობების განვითარება-გაფართოება, ევროპული ბაზრის უპირატესობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ბიზნესსექტორისთვის და ქვეყანაში ზოონოზურ დაავადებებთან ეფექტური ბრძოლა ის მთავარი გამოწვევებია, რომლის წინაშეც დღეს საქართველო დგას. აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა უკვე დაწყებულია ქვეყნის შესაბამისი სამთავრობო ინსტიტუტების მიერ, ევროკავშირის ბაზარზე წვდომა კი მჭიდროდაა დაკავშირებული ამ რეფორმების დასრულებაზე. ამით საქართველო ასრულებს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას - ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო, ურთიერთსასარგებლო პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბებას.

MARIAM CHACHUA

EUROPEAN INTEGRATION PROCESSES IN GEORGIA: LEGISLATIVE APPROXIMATION IN THE SANITARY AND PHYTOSANITARY DIRECTIONS UNDER THE ASSOCIATION AGREEMENT AND AGRO-FOOD EXPORT ANALYSIS WITHIN THE DCFTA

Summary

In 2014 after signing the Association Agreement between the European Union and Georgia, a wide range of trade relations has been opened for the state of Georgia and was given the opportunity for the free trade. Chapter IV of the Agreement - "Trade and Trade-Related Issues", the agreement about Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA) includes the mechanism of economic integration with the EU and opens its internal market for Georgia. According to the agreement, if the required conditions are achieved, the world's largest market will be opened for Georgia, which currently unites 28 countries and more than the 500 million customers. Utilizing this opportunity will lead increasing investment flows in the country, the emergence of new enterprises and export products, suppling of safe and harmless products to the customers. This will ultimately have a positive impact on the country's economic growth and the development, nevertheless it is still a distant prospect.

In order to receive all the foreseen benefits of the Association Agreement, it became necessary to identify and eliminate problems in the number of areas. According to the agreement, food safety is recognized as a political priority of the European Union. Created program of legislative approximation with the EU includes the fulfillment of commitments and the deadlines, which is an ongoing process. In the years of 2015-2022, in accordance with the DCFTA agreement, 163 legal acts (out of 272) had been aligned with the EU legislation in the fields of food safety, veterinary and phytosanitary. Despite all these achievements, the major challenge for both the regulators and business operators still remains to be the enforcement and putting into effect the EU required standards. As the most products in the EU market are subject to harmonized rules, that protect the consumers, public health and the environment, it excludes the adoption of different national rules - the product made in Georgia must comply with the EU standards. That is why the Georgian business operators have to: introduce internationally recognized systems in the enterprise; adapt to the new regulatory environment; create a harmless, quality and competitive product; attract the European partners and be able to produce the required quantity, which may need to involve the different and modern production technologies. Therefore, it is essential to understand, that using the terms of the agreement do not completely depend on the smooth running of government agencies, as it largely depends on the personal progress of the business operators and the relevant associations.

Key words : *European Integration Processes in Georgia, Economic integration with Europe, International commitment, Association Agreement, The Deep and Comprehensive Free Trade Area, Export of agro-food products.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home.html
2. FAO-ს და EU-ს ერთობლივი „ENPARD“ პროგრამა http://enpard.ge/ge/gaeros-ganvitharebis-prog/
3. გაეროს საერთ. საფინანსო ინსტიტუტის IFAD -ის პროგრამა https://mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/150
4. ევროპის საინვესტივიო ბანკი EIB და სხვა
5. მიწის ნაკვეთის საშუალო ზომა დაახლოებით 0.2 ჰექტარს შეადგენს.
6. Kharaishvili E., ErkomaiSvili G., Chavleishvili. Agribusiness Development Strategy in Georgia, - ICEMBIT 2015: 17th International Conference on Economics and Marketing Management, Madrid, Spain, November 12-13, 2015.
7. წლიური ანგარიში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

8. „საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტის ექსპორტ-იმპორტი“, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2019/2020
9. „საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტის ექსპორტ-იმპორტი“, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2021 (წინასწარი)
10. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2014
11. „საქართველო და ევროკავშირი. განვითარებისა და რეფორმების კვალდაკვალ“, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი, 2016
12. „კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში“, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2012
13. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების სამოქმედო გეგმა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2019
14. Agribusiness Development Strategy in Georgia, - ICEMBIT 2015: 17th International Conference on Economics and Marketing Management, 2015
15. ქ.ლაფერაშვილი, ზ. ქუჩუკაშვილი, “სურსათის უვნებლობა და ხარისხი” — სახელმძღვანელო, თბილისი, 2011 წ, 120 გვ.
16. ინტერნეტ წყაროები:
17. https://www.ifad.org/en/
18. https://www.un.org/ecosoc/
19. http://www.dcfta.gov.ge/ge/agreement
20. https://www.undp.org/content/undp/en/home.html

✍ გაიანე მკრტუმიანი
*წარმოადგინა პროფ. **ომარ ტაბუცაძემ***

შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია და ამერიკის შეერთებული შტატები

შეუძლებელია შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის პოზიციის სრულად ასახვა საერთაშორისო სისტემაში, ამერიკის შეერთებულ შტატებთან შთო-ს ურთიერთობების გათვალისწინების გარეშე.

დასაწყისში, შეერთებული შტატები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა შანხაის პროცესს. ზოგმა შთო-ს სადისკუსიო კლუბის როლი მიანიჭა და მეტი არაფერი. სხვები მიიჩნევდნენ, რომ ეს მოსკოვისა და პეკინის ცენტრალური აზიის რეგიონში გავლენის გაფართოების მცდელობა იყო, მაგრამ თვლიდნენ, რომ ეს წარუმატებლობისთვის იყო განწირული, რადგან არც რუსეთსა და არც ჩინეთს იმ დროისთვის არ ჰქონდათ საკმარისი რესურსი და მათი ინტერესები მრავალმხრივ ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. მაგრამ იმის შემდეგ, რაც მოხდა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის კონსოლიდაცია და რეგიონის ბევრმა ქვეყანამ გამოთქვა სურვილი შეუერთდეს მას, დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა.

ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი წყაროები: მასალები შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციისადმი მიძღვნილი ფორუმებიდან, МГИМО-ს საერთაშორისო სამეცნიერო საკოორდინაციო საბჭოს ანალიტიკური მოხსენებები, შთო-ს წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურების გამოსვლები, სტატიები გაზეთებიდან, რომლებიც ეძღვნება შთო-ს, აგრეთვე ორგანიზაციის დეკლარაციები, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების გრძელვადიანი კეთილმეზობლობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, შთო-ს ოფიციალური ვებ-გვერდის მასალები http://www.sectsco.org და ინტერნეტ რესურსი http : //www.infoshos.ru.

საკვანძო სიტყვები: *საერთაშორისო ორგანიზაციები, შთო, საერთაშორისო ურთიერთობები, ცენტრალური აზია.*

შეუძლებელია შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის პოზიციის სრულად ასახვა საერთაშორისო სისტემაში, ამერიკის შეერთებულ შტატებთან შთო-ს ურთიერთობების გათვალისწინების გარეშე.

დასაწყისში, შეერთებული შტატები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა შანხაის პროცესს. ზოგმა შთო-ს სადისკუსიო კლუბის როლი მიანიჭა და მეტი არაფერი. სხვები მიიჩნევდნენ, რომ ეს მოსკოვისა და პეკინის ცენტრალური აზიის რეგიონში გავლენის გაფართოების მცდელობა იყო, მაგრამ თვლიდნენ, რომ ეს წარუმატებლობისთვის იყო განწირული, რადგან არც რუსეთსა და არც ჩინეთს იმ დროისთვის არ ჰქონდათ საკმარისი რესურსი და მათი ინტერესები მრავალმხრივ ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. მაგრამ იმის შემდეგ, რაც მოხდა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის კონსოლიდაცია და რეგიონის ბევრმა ქვეყანამ გამოთქვა სურვილი შეუერთდეს მას, დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა.

შთო დაარსდა 2001 წლის ივნისში. ორგანიზაციის პირველ სამიტზე, წევრი ქვეყნების ლიდერებმა ხელი მოაწერეს „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის შექმნის შესახებ დეკლარაციას“.

მოგვიანებით, 2006 წელს სანკტ-პეტერბურგში ქვეყნების მეთაურების შეხვედრაზე ხელი მოეწერა „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წესდებას“, სადაც განისაზღვრა შთო-ს პრინციპები და განვითარების ძირითადი მიმართულებები. ეს დოკუმენტები იყო ჩინეთისა და რუსეთის პირველი ნაბიჯები ქვეყნებს შორის ძლიერი ურთიერთობების დამყარების გზაზე და გზავნილი საერთაშორისო საზოგადოებას საკუთარი მსოფლმხედველო-

ბის ახალი იდეების შესახებ. ჩინეთი და რუსეთი მხარს უჭერენ ორგანიზაციის წევრებს შორის თანამშრომლობის განვითარებას, რითაც ხელს უწყობენ „შანხაის სულისკვეთების“ პოპულარიზაციას, ერთის მხრივ და ორივე ქვეყნის გავლენის გაძლიერებას რეგიონში, მეორეს მხრივ. 9.11 მოვლენების შემდეგ აშშ-მ შეიყვანა ჯარები ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე, რამაც ჩინეთსა და რუსეთს შორის თანამშრომლობა უფრო მეტად „შეკვრა“ და გააერთიანა.

შთო-მ პირველად სერიოზული ყურადღება მიიპყრო 2005 წელს, როდესაც ვაშინგტონის ერთ-ერთმა მთავარმა მოწინააღმდეგემ - ირანმა და ასევე აშშ-ს ახლო პარტნიორებმა ინდოეთმა და პაკისტანმა დამკვირვებლის სტატუსი მიიღეს.

კიდევ ერთ სახელმწიფოს, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს შეერთებულ შტატებთან - მონღოლეთს, 2006 წელს ეს სტატუსი მიენიჭა და ვაშინგტონის დიდი ხნის მოკავშირეებმა კი, სამხრეთ კორეამ და თურქეთმა გამოხატეს ინტერესი შთო-ს საქმიანობისადმი. მაგრამ მართლაც სერიოზული შეშფოთება გამოიწვია 2005 წლის ივნისში ასტანაში სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს მიერ მიღებულმა დეკლარაციამ. იგი შეიცავდა ანტისტერორისტული კოალიციის წევრებისადმი მიმართვას, განსაზღვრონ „ინფრასტრუქტურული ობიექტების დროებითი გამოყენების ვადები და სამხედრო კონტინგენტის არსებობა შთო-ს წევრი ქვეყნების ტერიტორიებზე“, „ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციის აქტიური სამხედრო ფაზის დასრულების ფაქტის გათვალისწინებით“.

დეკლარაციაში ამ პუნქტის შეტანის ინიციატივით გამოვიდა უზბეკეთი, რომლის ხელმძღვანელობა იმედგაცრუებული იყო აშშ-ს წინადადებით ანდიჟანში 2005 წლის მაისის მოვლენების დამოუკიდებელი გამოძიების დაწყების შესახებ. მაგრამ ცენტრალურ აზიაში ამერიკის კონტინგენტის არსებობა იწვევდა ყველა წევრი ქვეყნის რეალურ შეშფოთებას. ისინი უცხოური ჯარების შემოსვლას პრაგმატულად შეხვდნენ, როგორც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებელ ზომას. შეშფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ შეერთებულმა შტატებმა შეიძლება გამოიყენოს თავისი შეუზღუდავი ვადით სამხედრო ყოფნა არა მხოლოდ ამ ბრძოლის მიზნებისათვის, არამედ საკუთარი ეგოისტური გეგმების განხორციელებისათვის რეგიონის სახელმწიფოების ხარჯზე.

ამ ფონზე, უზბეკეთი გამოირჩევა იმით, რომ ზოგადად გადაწყვიტა შეეცვალა თანამშრომლობის პოლიტიკა შეერთებულ შტატებთან და დასავლეთთან და ორიენტირებული იყო მოსკოვის, პეკინისა და შთო-სკენ, რომელთაც ნაკლებად არიან დაკავებულნი ადამიანის უფლებების საკითხებით. ტაშკენტის თხოვნით, ამერიკული სამხედრო ბაზა ხანაბადიდან გაიყვანეს. როგორც მოგეხსენებათ, შეთანხმება მის შექმნის შესახებ მიღწეულ იქნა აშშ-უზბეკეთის დაახლოების პიკს 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, ავღანეთში ანტიტერორისტული კოალიციის ჯარების მოქმედებების მხარდასაჭერად.

შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია (შემდგომში SCO) არის რეგიონალური უსაფრთხოების ორგანიზაცია, რომელშიც ჩინეთი და რუსეთი წამყვანი ქვეყნებია. ამ ორგანიზაციამ ჩინეთსა და რუსეთს მისცა სივრცე თანამშრომლობის განვითარებისა სტრატეგიულ პარტნიორებთან და ამავე დროს უზრუნველყო რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განვითარება. თუ შევხედავთ შთო-ს შიგნიდან ჩვენ დავინახავთ, რომ ამ ორგანიზაციის სტრუქტურის ძირითადი ნაწილებია ჩინეთი და რუსეთი და ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა და მათი სტრატეგიული ინტერესები გავლენას ახდენს ორგანიზაციის განვითარების ყველა სფეროზე.

მოკლე ვადებში შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია გახდა მოქმედი და ეფექტიანი რეგიონალური ორგანიზაცია, რაც სერიოზული ფაქტორია რეგიონის სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. [4. 4]

ორგანიზაციის წევრებმა გააძლიერეს კოორდინაცია და ურთიერთქმედება რეგიონალურ და აქტუალურ საკითხებზე. მათ არაერთხელ განაცხადეს საერთო პოზიცია ავღანეთზე და სხვა აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე, შეიმუშავეს საერთო შეხედულებები მსოფლიოს ბიპოლარული საერთაშორისო ურთიერთობების დემოკრატიზაციაზე, ეკონომიკურ გლობალიზაციაზე, ცივილიზაციათა მრავალფეროვნებაზე, ადამიანის უფლებებზე და ა.შ., მიმართავენ მაქსიმალურ ძალისხმევას და მიისწრაფებიან, რათა ხელი შეუწყონ ახალი საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის შექმნას.

როგორც არ უნდა იყოს, შეიცვალა ამერიკელების, ასე ვთქვათ, „დამცინავი“ დამოკიდე-

ბულება შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის მიმართ. რეაქცია მაშინვე მოჰყვა. 2005 წლის 19 ივლისს აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გამოხატავდა შეშფოთებას შთო-ს ზემოხსენებული დეკლარაციის გამო. 2005 წლის ოქტომბერში აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ეწვია ყაზახეთს, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთს, დაარწმუნა ბიშკეკის ხელმძღვანელობა, შეენარჩუნებინა საერთაშორისო ძალების ბაზა მანასში და კიდევ დაუშვან ხანაბიდადან გაყვანილი ამერიკელი პერსონალის ყირგიზეთში გადაყვანა.

შესაძლოა, ამ ვიზიტის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შედეგი იყო დიდი ცენტრალური აზიის კონცეფციის გაჩენა. მისი წარმოშობა ჩვეულებრივ გვხვდება ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტში, ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის საერთაშორისო კვლევების პოლ ნიცშეს სახელობის სამაგისტრო სკოლის ხელმძღვანელის ფრედერიკ სტარრის სტატიაში „პარტნიორობა ცენტრალური აზიისთვის“ [1. 1].

სტატიის მთავარი იდეაა თანამშრომლობისა და განვითარების დიდი აზიის პარტნიორობის (GCAP) შექმნა, რეგიონალური ფორუმი აშშ-ს პროგრამების დაგეგმვის, კოორდინაციისა და განხორციელებისათვის. სტარრის აზრით, პარტნიორობა, რომელიც ხელს შეუწყობს ვაჭრობის გაზრდას, თანამშრომლობას და რეგიონის თანდათანობით დემოკრატიზაციას, შესაძლებელი ხდება იმით, რომ ავღანეთში მიღწეულმა პროგრესმა მშვენიერი შესაძლებლობაა არა მხოლოდ ამ ქვეყნისთვის, არამედ დანარჩენი ცენტრალური აზიისთვისაც. შეერთებულ შტატებს ახლა აქვს შანსი დაეხმაროს გარდაქმნას ავღანეთი და მთელი რეგიონი უსაფრთხო სუვერენული სახელმწიფოების ზონებად, სიცოცხლისუნარიანი საბაზრო ეკონომიკით, განვითარებული და ღია მმართველობითი სისტემებით, რომლებიც კარგ ურთიერთობებს შეინარჩუნებდნენ შეერთებულ შტატებთან.

2006 წლის 13 ივნისს, შანხაიში შთო-ს სამიტის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, აშშ-ს ვაჭრობისა და განვითარების სააგენტომ სტამბოლში „ელექტროენერგია საზღვრებს გარეთ“ ფორუმი გამართა. მონაწილეებმა ცენტრალური და სამხრეთ აზიიდან წარმოადგინეს ახალი მნიშვნელოვანი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურული პროექტები ავღანეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, პაკისტანში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში. რუსეთიდან და ჩინეთიდან წარმომადგენლები არ მიიწვიეს. ცხადია, რომ ფორუმზე უნდა ასახულიყო შეერთებული შტატებისა და თურქეთის ახალი როლი ცენტრალური და სამხრეთ აზიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარებაში.

დიდი ცენტრალური აზიის იდეამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია თვით შუა აზიის ქვეყნებში, გულგრილობა მოსკოვში და შეშფოთება ჩინეთში. ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კასიმჟომარტ ტოკაევმა დადებითად შეაფასა მისი შესაძლო როლი, როგორც სტიმული სამეცნიერო დისკუსიებისთვის, მაგრამ ხაზი გაუსვა, რომ მისი ქვეყანა უპირატესობას ანიჭებს შთო-ს ფარგლებში თანამშრომლობას. ყირგიზეთის ექსპერტმა, მურატბეკ იმანალიევმა დაასკვნა, რომ შუა აზია ახალ პროექტს ამერიკულს თვლის, რამაც შეიძლება შეშფოთება გამოიწვიოს მოსკოვსა და პეკინში.

მაგრამ, მათ ყველაზე მკვეთრად გააკრიტიკეს პეკინში. ჩინეთის მმართველი კომუნისტური პარტიის ოფიციალური ორგანოს კომენტარში „ჟენმინ ჟიბაო“ ნათქვამია, რომ შეერთებული შტატები მზადაა გამოიყენოს ენერგია, ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა სატყუარად ცენტრალური აზია პოსტსაბჭოთა სისტემის დომინირებისგან გაწყვეტის მიზნით. ამ გზით მათ შეეძლებათ ცენტრალური აზიის შიდა სტრატეგიული აქცენტი გადაიტანონ ამჟამინდელი პარტნიორობიდან, რომელიც ფოკუსირებულია რუსეთსა და ჩინეთზე, სამხრეთ აზიის სახელმწიფოებთან თანამშრომლობის ურთიერთობებზე.

მათ შეუძლიათ გაანადგურონ რუსეთის გრძელვადიანი დომინირება ცენტრალური აზიის რეგიონში, დაშალონ და გაყონ შთო-ს მთლიანობა და თანდათან დაამყარონ ამერიკის დომინირება ცენტრალურ და სამხრეთ აზიის ახალ სივრცეში. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, შეერთებულმა შტატებმა „ახალი ცხელი წერტილის“ შექმნით შეიძლება სტრატეგიულად ვერ შეაფასოს სხვა მსხვილი სახელმწიფოები და არჩევანის წინაშე დააყენოს შუა აზიის ქვეყნები.

ეკონომიკური გლობალიზაციისა და მსოფლიო პოლიტიკის ბიპოლარული სისტემის პირობებში რეგიონალურმა ორგანიზაციებმა აჩვენეს თავიანთი სიცოცხლისუნარიანობა. როგორც რეგიონული ორგანიზაცია, შთო-მ თავისი „უნიკალური მიმზიდველობა“ გამოავლინა.

ასეთი მიმზიდველობა დიდწილად განმარტებულია „შანხაის სულისკვეთებით“ და იმ პრინციპებით, რომლებსაც შთო ეყრდნობა.

შთო-ს ფორმირების პერიოდი უკვე დასრულებულია; დღეისათვის წევრ სახელმწიფოებს შორის მრავალმხრივი ურთიერთქმედების საჭირო მექანიზმები შეიქმნა თითქმის ყველა სფეროში. ორგანიზაციის ორი მუდმივი ორგანო შთო-ს სამდივნოს სახით პეკინში და რეგიონალური ანტიტერორისტული სტრუქტურის ტაშკენტში - უზრუნველყოფენ შთო-ს სრულფასოვან განვითარებას და მის საქმიანობას პრაქტიკული შინაარსით ავსებენ.

ორგანიზაცია გახდა ცნობადი საერთაშორისო არენაზე. მან მიიღო გაეროს გენერალური ასამბლეის დამკვირვებლის სტატუსი, დაამყარა ახლო კონტაქტები მსგავსი ტიპის სხვა ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: ევრაზესი, დსთ და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოების ასოციაცია. რიგმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა შთო-სთან ურთიერთობის სურვილი გამოთქვა. გარდა ამისა, ასევე არსებობს სხვა სახელმწიფოების ინტერესიც, რომლებიც აპირებენ დამკვირვებლის სტატუსის მიღებას ან გახდნენ შთო-ს წევრი.

ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა „შანხაის სულისკვეთების“ პრინციპების მსოფლიო საზოგადოების მიერ აღიარება და ადეკვატური აღქმა, რომელიშიც გაერთიანებულია: „ორმხრივი ნდობა, ერთობლივი სარგებელი, თანასწორობა, ორმხრივი კონსულტაციები, მრავალფეროვანი კულტურის პატივისცემა და საერთო განვითარების სურვილი" [1. 2].

დღეისათვის შთო-მ უკვე მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს თავის განვითარებაში, რამაც მსოფლიო საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო. უფრო მეტ ქვეყანას სურს გაამლიეროს თანამშრომლობა ორგანიზაციასთან. შთო-სთან თანამშრომლობა სულ უფრო ფართოვდება და უსაფრთხოებისა და ეკონომიკის სფეროდან ჰუმანიტარულ, სამეცნიერო და ტექნიკური, ასევე გარემოს დაცვის სფეროში გადადის. გეოპოლიტიკური სიახლოვე, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების უძველესი ისტორია, ეკონომიკისა და საერთო ინტერესების ერთობლიობა მიუთითებს შთო-ს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ფართო პოტენციალზე.

შთო-ს წევრებთან თანამშრომლობის გარდა ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს დამკვირვებლებთან - ინდოეთთან, პაკისტანთან, მონღოლეთთან და ირანთან. უფრო მეტიც, შთო ასევე თანამშრომლობს ბევრ სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის დსთ-სთან და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიია სახელმწიფოების ასოციაციასთან.

შეიძლება ითქვას, რომ შთო-ს დიდი წვლილი შეაქვს მშვიდობის, სტაბილურობისა და განვითარების საკითხებში როგორც რეგიონის, ისე მთელი მსოფლიოს.

როგორც შთო-ს წევრები, ორივე ქვეყანას აქვს საკუთარი სტრატეგიული მიზნები, რომელთა მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ორმხრივი თანამშრომლობის გზით. ჩინეთი და რუსეთი განიცდიან მნიშვნელოვან ეპოქას - ერთი ქვეყანა სტრატეგიული შესაძლებლობების განვითარების ეტაპზეა, მეორე კი საზოგადოების ტრანსფორმაციისა და ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების ხანაში. საერთაშორისო დონეზე ახალი, სამართლიანი წესრიგის ფორმირების ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ ორივე ქვეყანამ რეგიონში მოახდინოს გავლენა შთო-ს „დახმარებით“ აღნიშნული მიზნების მისაღწევად დაფუძნებული მათი ქვეყნების უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე [5. 6]

2005 წლის „საერთო დეკლარაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის 21-ე საუკუნის საერთაშორისო წესრიგის შესახებ" ორივე ქვეყანამ გამოაცხადა თავისი ზოგადი იდეების შესახებ და საერთაშორისო საზოგადოებას მიმართა ერთობლივი ძალებითა და ურთიერთნდობის, საერთო სარგებლის, თანასწორობისა და საერთო ინტერესების დაცვის პრინციპებით ახალი უსაფრთხო მსოფლმხედველობის ფორმირებისთვის.

2005 წელს შთო-მ განაცხადა, რომ ავღანეთში ანტიტერორისტული ომის დასრულების შემდეგ შთო-ს წევრი სახელმწიფოები თვლიან, რომ გონივრული იქნება, თუ შეერთებული შტატები გაიყვანს ჯარს. ამრიგად, ჩინეთი და რუსეთი ცენტრალურ აზიაში აშშ-ს გავლენის გაფართოების წინააღმდეგ გამოვიდა, რაც ბევრს ნიშნავს ორივე ქვეყნისთვის, როგორც ძალთა დაბალანსებისა და სიტუაციის სტაბილიზაციის მხრივ რეგიონში. აქედან გამომდინარე, შთო-ში გაწევრიანების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი - რეგიონში მათი ქვეყნების გავლენის გავრცელებაა.

„ცივი ომის” დასრულების შემდეგ ჩინეთის გეოპოლიტიკური სტრატეგიის მიზანი იყო ქვეყნის მოდერნიზაციისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. ჩინეთის საგარეო პოლიტიკის

ძირითადი მიმართულება იყო მეგობრული ურთიერთობების გაუმჯობესება მეზობელ ქვეყნებთან, განვითარებულ ქვეყნებთან და „მესამე მსოფლიოს ქვეყნებთან“. ამგვარად, შთო-ს ყველა წევრს ჩინეთის სტრატეგიის ელემენტები გააჩნია, შესაბამისად, მათ აქვთ დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ქვეყნისთვის [18. 3].

გარდა ამისა გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ შთო-ს შექმნა „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც ერთპოლარული სამყაროს თეორიისა და პრაქტიკის ძალიან დამაჯერებელი უარყოფა გახდა.

ოცდამეერთე საუკუნის პირველ ნახევარში იზრდება საერთაშორისო სამთავრობათაშორისი ორგანიზაციების მნიშვნელობა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო იძენს შესაძლებლობას გააძლიეროს მათი უსაფრთხოება, შეიმუშაოს ეკონომიკური თანამშრომლობა და გააღრმავოს მოქალაქეებს შორის კონტაქტები. ამ კუთხით, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია (შთო), როგორც თანამედროვე ევრაზიის ერთ-ერთი წამყვანი რეგიონალური ორგანიზაცია, შეიძლება იყოს კვლევის საინტერესო ობიექტი უსაფრთხოებისა და ექსტრემიზმის, სეპარატიზმის და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების თანამედროვე მშენებლობის თავისებურებების შესწავლისათვის.

შთო-ს წარმოქმნა პირდაპირ უკავშირდება 1991 წელს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დაშლის შემდეგ გეოპოლიტიკურ გარდაქმნებს ევრაზიულ კონტინენტზე. პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შედეგად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვარი გარდაიქმნა: სსრკ-ს მემკვიდრე - რუსეთის ფედერაცია, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი. ამ პირობებში, კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბება და რეგიონალური უსაფრთხოების რეჟიმის განმტკიცება აუცილებელია ავღანეთის საფრთხის შესახებ ზოგადი შეშფოთების გათვალისწინებით.

დემოკრატიული მშვიდობის განვითარება მიიჩნევა შთო-ს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად და „შანხაის სულისკვეთა“ მთავარ ინსტრუმენად, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო ურთიერთობებში სამხედრო ძლიერება შეცვალა ეკონომიკურმა ძლიერებამ და ეკონომიკური ინსტრუმენტების არსებობა არის შთო-ს საგარეო პოლიტიკის უპირატესობა.

შთო-ს საქმიანობის აქტივიზაცია უკავშირდება გაძლიერებულ საფრთხეს, რომელიც მოდის ახლო აღმოსავლეთის რეგიონებში შექმნილ ახალ ტერორისტულ ორგანიზაციებზე. ამიტომ ბრძოლა სეპარატიზმის, ტერორიზმის და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ხდება შთო-ს ერთობლივი საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო.

ორგანიზაცია, რომელიც თავდაპირველად იყო შექმნილი როგორც თავდაცვისა და პოლიტიკური მექანიზმი, რეგიონალური უსაფრთხოების პრობლემების მოგვარების მიზნით, ახლა ის არის ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილე ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას და მრავალპროფილურ საერთაშორისო სტრუქტურად გადაიქცა.

შთო-ს მიმდინარე საქმიანობა და განსაკუთრებით მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები იწვევს სხვადასხვა შეფასებებისა და მახასიათებლების წარმოქმნას.

შთო-ს სამიტზე ტაშკენტში 2016 წელს ხელი მოეწერა შეთანხმების მემორანდუმს ინდოეთის რესპუბლიკისა და პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის მიერ, რაც ორგანიზაციის გაფართოების პროცესში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა. 2015 წელს უფაში ჩატარებული სამიტი შეფასებულია შთო-ს ისტორიაში გადამწყვეტ მომენტად, რაც გულისხმობს „მძინარე“ საქმიანობის ფორმატიდან დიდი ევრაზიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ აქტიური საქმიანობის მშენებლობაზე გადასვლას.

ამრიგად, შთო-ში რუსეთსა და ჩინეთს შორის ურთიერთობის პრობლემური დონის განსაზღვრის მნიშვნელობა გამოწვეულია შთო-ს რეგიონალური ევრაზიული ორგანიზაციის მნიშვნელობის გამო, მისი გაფართოების შედეგად ძირითადი აზიური ძალების ხარჯზე და მისი გეოპოლიტიკური წონის ფუნდამენტური ცვლილება თანამედროვე ევრაზიის ინტეგრაციული პროცესების კონტექსტში.

ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის სფეროები და ფორმები შეიძლება განსხვავდებოდეს, მაგრამ უპირატესობები იგივეა. ამიტომ, შთო-ს პოზიტიური განვითარებისთვის, ქვეყნებმა უნდა დაიცვან თავიანთი ინტერესები ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სტრატეგიულ სფეროებში და ამავე დროს თანამშრომლობის ახალი ფორმები მოიძიონ. შთო-ს ფარგლებში რაციონალური თანამშრომლობა სასიცოცხ-

ლოდ მნიშვნელოვანია და ჩინეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რესურსებთან თანამშრომლობისას. ჩინეთი არის ე.წ. „მეზობელი ფანჯარა“ ცენტრალური აზიის ხედით ყველაზე მსხვილი ტერიტორიითა და მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ეკონომიკური განვითარებით და არის რესურსების ლიდერი მომხმარებელი მსოფლიოში. რუსეთი კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინვესტორია ცენტრალური აზიის ქვეყნებში და ერთ-ერთი ძირითადი რესურსების ექსპორტიორი-ქვეყანა შთო-ს წევრ ქვეყნებს შორის მრავალმხრივ ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, ჩინეთსა და რუსეთს შორის კარგი ურთიერთობა მნიშვნელოვანია ეკონომიკური თანამშრომლობისათვის შთო-ს ფარგლებში.

რუსეთი და ჩინეთი თავიანთ საგარეო პოლიტიკის სტრატეგიებში მხარს უჭერენ მრავალპოლარული სამყაროს ვერსიას, ამიტომაც ისინი შეშფოთებულები არიან იმის გამო, რომ აშშ-მ შეიძლება გამოიყენოს თავისი სამხედრო ყოფნა ცენტრალური აზიის რეგიონში არა მარტო საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში, არამედ საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ბრძოლა რეგიონის ქვეყნების რესურსებისთვის და გავლენა რეგიონალურ პროცესებზე დიდი ევრაზიის ახალი გეოპოლიტიკური სივრცის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ფაქტორია. შთო ხშირად დასავლური ექსპერტების მიერ ცენტრალური აზიის ნატო-ს ალტერნატივად აღიქმება. შთო არასდროს არ განიხილებოდა წევრი სახელმწიფოების მიერ ამ კუთხით, მაგრამ უზბეკეთის ექსპერტი ფ.ფ.ტომენოვის თქმით: „არა მხოლოდ რუსეთსა და ჩინეთში, არამედ ბევრ სხვა სახელმწიფოში, რომლებსაც ცენტრალური აზიაში ინტერესები აქვთ, არსებობს ძალები, რომლებიც ცდილობენ რეგიონალური მასშტაბების ბალანსის მოდელის აღდგენას (რუსეთსა და შეერთებულ შტატებს, აშშ-სა და ჩინეთს, რუსეთს და ჩინეთს შორის)“. ამდენად დასტურდება, რომ ცენტრალური აზია მსოფლიო საკითხებში თავისი პერიფერიული პოზიციიდან გამოვიდა. ამ კონტექსტში 21-ე საუკუნის მეორე ათწლეულის ძირითადი ამოცანაა იმის უზრუნველყოფა, რომ ცივი ომის პერიოდში დამახასიათებელი კონფრონტაციული ურთიერთქმედებები დომინანტური არ იყოს, რადგან არსებობს ტერორისტული საფრთხე, რომელიც აერთიანებს ყველა ძირითად მოთამაშეს (როგორც რეგიონალური, ისე არა რეგიონალური), დაწყებული 2001 წლის 11 სექტემბერს და აგრძელებს ზრდას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის ცენტრალურ აზიაშიც. როგორც მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების საერთაშორისო კვლევების ანალიტიკურ ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი ლეონიდ გუსევი აღნიშნა: „რასაკვირველია, რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის არსებობს გარკვეული დაპირისპირება, მაგრამ არსებობს თანამშრომლობის შესაძლებლობები, განსაკუთრებით უსაფრთხოების საკითხებში“. ამერიკელი ექსპერტების აზრით, აშშ-ს თანამშრომლობა რეგიონის წევრ ქვეყნებთან შთო-ს ფარგლებში შეიძლება გახდეს კარგი პოტენციალი მათი ინტერესების რეალიზაციისათვის, კერძოდ ცენტრალურ აზიაში. თუმცა, არსებობს მთელი რიგი შეშფოთება და რისკები, რომლებიც საჭიროებს სერიოზულ განხილვას.

ახალი მსოფლიო წესრიგის (ერთპოლარული და მრავალპოლარული) ფორმირების სხვადასხვა მიდგომის გათვალისწინებით, შეერთებული შტატები, რუსეთი და ჩინეთი ობიექტურად კონკურენტები არიან რეგიონში. მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში მიღწეულია დიალოგი ტერორიზმის, ექსტრემიზმის, ტრანსსასაზღვრო დანაშაულის, ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის სფეროში, რუსეთისა და დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობებში კრიზისის მიუხედავად. მაგალითად, ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტული საქმიანობის გაფართოებამ რუსეთსა და შეერთებულ შტატებს ერთობლივი ძალისხმევისკენ მოუწოდებდა ამ სახიფათო ფენომენის დასაპირისპირებლად.

ცენტრალური აზიის რეგიონში არსებული ბრძოლა რუსეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის განპირობებულია სხვადასხვა ინტერესებით და ამოცანებით. შეერთებული შტატები მიიჩნევს ცენტრალურ აზიას, როგორც მნიშვნელოვან რეგიონს იმ თვალსაზრისით, რომ მსოფლიო ლიდერობას შეინარჩუნებს და ერთპოლარული მსოფლიო წესრიგის განმტკიცების გაძლიერებას შეძლებს. რუსეთს ტრადიციულად აქვს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები და ინტერესები ამ რეგიონში. ჩინეთისთვის, ეს არის საკუთარი პროდუქციისა და რესურსების წყაროს პერსპექტიული ბაზარი. შესაბამისად, სრულფასოვანი თანამშრომლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ამერიკის შეერთებულ

შტატებსა და რუსეთს შორის უთამნხმოებების დაძლევის შემთხვევაში - მომავლის პერსპექტივაა. ამ ეტაპზე რუსეთი და ჩინეთი შთო-ს ფარგლებში ახორციელებენ რეგიონალური უსაფრთხოების სფეროში კავშირების გამყარებას. ორივე ზესახელმწიფოსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის გაფორმებულია შეთანხმებები, რომლის ფარგლებშიც ტარდება სამხედრო წვრთნები, საკონსულტაციო სამუშაოები და გახსნილია ტერორიზმთან ბრძოლის ცენტრები. რაც შეეხება აშშ-ს, ისინი მოქმედებენ რეგიონში ნატო-სთან ერთად.

ამრიგად, არსებული კონფლიქტები შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის მსოფლიო არენაზე, ისევე როგორც ჩინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების შეჯახება ზოგიერთ სფეროში ძალზე რთული გადასალახია, ვინაიდან ყველას ამოცანაა, ოპონენტის „განდევნა“ რეგიონიდან. ერთ-ერთი ასეთი „განდევნის“ მექანიზმია თითოეული ზემოაღნიშნული ზესახელმწიფოსათვის რეგიონში თავისი გეოეკონომიკური პროექტების ხელშეწყობა: რუსეთი ხელს უწყობს ევრაზიის ეკონომიკური კავშირის განვითარებასა და მხარს უჭერს ჩინეთის პროექტს „ერთი ქამარი - ერთი გზა“ , აშშ თავის მხრივ, მხარს უჭერს პროექტს - „ახალი აბრეშუმის გზა“.

GAIANE MKRTUMIANI

SHANGHAI COOPERATION ORGANIZATION AND THE UNITED STATES OF AMERICA

Summary

The Shanghai Cooperation Organisation (SCO) is a permanent intergovernmental international organization, the creation of which was announced on 15 June 2001 in Shanghai (China) by the Republic of Kazakhstan, the People's Republic of China, the Kyrgyz Republic, the Russian federation, the Republic of Tajikistan, and the Republic of Uzbekistan. It was preceded by the Shanghai Five mechanism.

The SCO is not an alliance directed against other States and regions and it adheres to the principle of openness.

The SCO has also provided an effective platform for carrying out a multilateral dialogue on security in the region and is widely acknowledged by the international community.

The Shanghai Cooperation Organization has emerged as an important platform for promoting regional security, stability and development.

The struggle in the Central Asian region between Russia, the United States and China is driven by different interests and tasks. The United States views Central Asia as an important region in terms of maintaining world leadership and strengthening a unipolar world order.

Russia has traditionally had political, economic and cultural ties and interests in the region. For China, it is a promising market for its own source of products and resources. Therefore, full-fledged cooperation between the People's Republic of China, the United States and Russia in case of overcoming disagreements is a prospect for the future.

At this stage, Russia and China are strengthening ties in the field of regional security within the WTO. Agreements have been signed between the two superpowers and the countries of Central Asia, under which military exercises, consultations and counter-terrorism centers have been opened. As for the US, they are operating in the region with NATO.

Key words: *international organizations, international relations, Central Asia.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Фредерик Старр. Партнёрство для Центральной Азии http://www.analitika.org/article.php?story=20051122073817435
2. Арис С. Шанхайская организация сотрудничества: по материалам британских и американских исследователей. http://www.infoshos.ru/?idn=330

3. Журнал международного права и международных отношений. Эволюция Шанхайской организации сотрудничества в контексте формирования азиатской системы безопасности.
4. Сыроежкин, К. Л. ШОС: проблемы и перспективы. Азияинформ: информ.-аналит. портал. http://www.asiainform.ru/rusdoc/14822.html
5. Т.Т. Шаймергенов, Г.А. Тусупбаева. Роль международных структур в обеспечении региональной безопасности в Центральной азии: перспективы для ШОС и НАТО. http://www.analitika.org/article.php?story=20071014004111495
6. Лузянин С.Г. Шанхайская организация сотрудничества: модель образца 2008 года. http://www.perspektivy.info/oykumena/krug/shanchayskaya_organisaciya_2008-3-28.htm
7. Yu Bin. The relations between China and Russia in the perod after the cold war // International politics studies. — 2013.
8. Виндиш, Э. В долгосрочной перспективе ШОС хочет стать противовесом НАТО и ОПЕК. http://www.lentacom.ru/comments/3143.html
9. Цыганков П.А., Теория международных отношений. 2003.
10. Вартанян А.М. Зачем Ирану нужно членство в ШОС? http://www.iimes.ru/rus/stat/2007/29-08-07a.html
11. Васильев Л.Е., Румянцев Е.И., Шанхайская организация сотрудничества. Док - ты и материалы. М.: ИВДРАН, 2007.
12. «Жэньминь Жибао», Визиты Вэнь Цзябао в РФ, Казахстан и участи в заседании совета глав правительств-членов ШОС, http//Russian.people.com.cn./31521/6525199.html
13. Торкунов А.В., Современные международные отношения: Учеб. Пособие. М.: «Российская политическая энциклопедия» (РОССПЭН), 1999.
14. Изатулла Езати., ШОС и будущие Евразии: Аналитические доклады. М.: МГИМО
15. Путин В.В. ШОС - новая модель успешного сотрудничества. http://www.rg.ru/2006/06/14/putin-shos.html
16. Попович А. Интеграция: теоретические аспекты. http://fmp-gugn.narod.ru/pop2.html
17. Хартия ШОС http://kremlin.ru
18. Уровень отношений Китая и России//www.sco-ec.gov.cn/

✍ მიხეილ ჩოხელი
წარმოადგინა პროფ. ედიშერ გვენეტაძემ

გაერთიანებული გერმანიის სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში ყოფნის საკითხისათვის

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ გერმანიის გაერთიანების პროცესი სპონტანურად დაიწყო. მთავარი საკითხი კი იყო უნდა ყოფილიყო თუ არა გაერთიანებული გერმანია, რომელიმე სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის წევრი. გერმანიის მოგვარების მთავარი საკითხად დღის წესრიგში დადგა ერთიანი გერმანიის საერთაშორისო სტატუსი. ანუ გახდებოდა თუ არა ნეიტრალური ქვეყანა. ე. ი. თავი შეეკავებინა სამხედრო ბლოკებში მონაწილეობისგან თუ დარჩენილიყო ნატოში. ნეიტრალიტეტის წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებდა არა მხოლოდ აშშ, არამედ დიდი ბრიტანეთიც. მათ სურდათ დაეტოვებინათ შეერთებული შტატების ეგიდით მყოფი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების პოზიციები, რომლებიც ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და მტკიცედ მუშაობდნენ საბჭოთა კავშირის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპიდან განდევნაზე.

აშშ სახელმწიფო მდივანმა ჩამოაყალიბა თავისი წინადადება კითხვის სახით: „თუ გაერთიანება მოხდება, რას ანიჭებთ უპირატესობას: გაერთიანებული გერმანია ნატოს გარეთ, სრულიად დამოუკიდებელი, ამერიკული ჯარების გარეშე, თუ გაერთიანებული გერმანია, რომელიც ინარჩუნებს კავშირებს ნატოსთან, მაგრამ გარანტიით, რომ ნატოს იურისდიქცია ან ჯარები არ გავრცელდება აღმოსავლეთით მიმდინარე ხაზებზე?“. საბოლოოდ გაერთიანებული გერმანია დარჩა ნატო-ს წევრი.

საკვანძო სიტყვები: გერმანია, საბჭოთა კავშირი, აშშ, ევროპა, მ. გორბაჩოვი, ჯ ბუში, მოსკოვი, ბერლინი, ე. შევარდნაძე, დიპლომატია.

საზოგადოებრივი მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, გერმანიის გაერთიანების პროცესი სპონტანურად დაიწყო. რაც უპირველესად გამოხატა გდრ-ის მოქალაქეების აღშფოთებით იმის შესახებ, რომ ქვეყნის ხელისუფლების მიერ იზღუდებოდა მათი უფლებებისა და თავისუფლებები, რაც, საბოლოოდ, დამთავრდა ბრანდენბურგის კარიბჭის გახსნით და შემდეგ ბერლინის კედლის დანგრევით.

მრავალი დოკუმენტური მტკიცებულების საფუძველზე შეიძლება ვარაუდის გამოთქმა იმის შესახებ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის(გდრ) გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან(გფრ-ს) მიერთება დასავლეთის მიერ საგულდაგულოდ იყო დაგეგმილი და მომზადებული. მათ მოახერხეს და ფსონი დადეს მ. ს. გორბაჩოვზე, როგორც საბჭოთა კავშირის პერსპექტიული ლიდერზე, რომელიც მზად იყო დასავლეთთან დიალოგისთვის და კომპრომისული გადაწყვეტილებების შემუშავებისთვის, დასავლური ძალების ლიდერები შეტევაზე გადავიდნენ გერმანიის მიმართულებით. შეერთებული შტატებისთვის გდრ-ს გფრ-სთან შეერთება იყო სსრკ-ს დასუსტების ზოგადი კურსის ნაწილი, რომელიც თეთრმა სახლმა აიღო რ. რეიგანის პრეზიდენტობის დროს. ის მისმა მემკვიდრემ ჯორჯ ბუშმა ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა. საჯაროდ, გფრ-ის ერთიანული პრობლემის გადაჭრის კურსი ჩამოყალიბდა ჰელმუტ კოლის პირველი ვადით კანცლერობის დროს (1983-1987).

1987 წლის ზაფხულში აშშ-ს პრეზიდენტი რ. რეიგანი ჩაფრინდა ბერლინის 750 წლის იუბილეს აღსანიშნავად. ის ბრანდენბურგის ჭიშკართან გამოვიდა მოწოდებით: „ბატონო გორბაჩოვ, გახსენით ეს ჭიშკარი!“

ვფიქრობთ, ჩვენი აზრით, ასეთი მიმართვის გამოცხადება იყო არა იმპროვიზირებული, არამედ საგულდაგულოდ გააზრებული და მომზადებული. შეერთებული შტატების მხრიდან ეს იყო „ბოროტების იმპერიის“ განადგურების სტრატეგიის ნაწილი, გფრ-ს მხრიდან კი ეს იყო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა ერის ერთიანობის პრობლემის გადაჭრას.

დასავლეთ გერმანიის დიპლომატიის თავდასხმის საწყისი წერტილი იყო კრიზისი გდრ-

ში. ეს კრიზისი წარმოიშვა მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, მაგრამ განსაკუთრებით გამწვავდა „პერესტროიკის“ დაწყების შემდეგ.

გერმანიის სპეცსამსახურების ყოფილმა უფროსმა და 1977-1980 წწ-ში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა მოსკოვში, უდავოდ კარგად ინფორმირებულმა საჯარო მოხელემ ჰანს გეორგ ვიკმა, ფრანგულ რადიოსთან ინტერვიუში ინტერვიუში, ნაწილობრივ გამოავლინა აღმოსავლეთ გერმანიის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში კრიზისის დაწყების გარემოებები. იგი მას უკავშირებს გდრ-ის მთავრობის მეთაურ ე. ჰონეკერსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივან მ. გორბაჩოვს შორის არსებულ განსხვავებებს. კორესპონდენტის კითხვაზე, „მართალია თუ არა, რომ არსებობდა შეთქმულება ჰონეკერის წინააღმდეგ, რომლის უკან იდგა მიხაილ გორბაჩოვი? მან ასეთი განმარტება მისცა: „მე არ ვისაუბრებდი შეთქმულებაზე, მაგრამ 1989 წლის ოქტომბერში უკვე ცხადი იყო, რომ ჰონეკერს არ შეეძლო, არც გონებრივად და არც ფიზიკურად ემართა ქვეყანა ჯანმრთელობის მიზეზების გამო. ამიტომ დათანხმდა ის თანამდებობიდან გადადგომაზე.

თუმცა, ჯერ კიდევ 1987 წელს მოსკოვმა სცადა ერთიანი სოციალისტური მმართველ პარტიაში გაეძლიერებინა რეფორმისტული ბანაკი. გდრ-ის შუამავლები მოსკოვსა და რეფორმატორებს შორის იყვნენ გდრ-ის მომავალი პრემიერ-მინისტრი ჰანს მოდროუ და დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელი მარკუს ვოლფი. რეფორმატორები ცდილობდნენ გადმოებირებინათ პოლიტბიუროს წევრები და ამით აეძულებინათ ჰონეკერი წასულიყო რეფორმებზე. რეფორმების გატარება გდრ-ში იყო ოთხი გამარჯვებული სახელმწიფოსა და გერმანიის ორ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებების, ასევე გფრ-ს მხრიდან მატერიალური მხარდაჭერის პირობა.

მ. გორბაჩოვის გეგმა ითვალისწინებდა „საერთო ევროპული სახლის“ შექმნას, რომელშიც ადგილი იქნებოდა ორი გერმანული სახელმწიფოს კონფედერაციისთვის. კრიზისი გდრ-ში გამწვავდა 1989 წლის ზაფხულში და შეუქცევადი გახდა 1989 წლის ოქტომბერში გდრ-ს 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების დროს. როგორც მასალები მოწმობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. გორბაჩოვის მონაწილეობას საიუბილეო თარიღის აღსანიშნ ღონისძიებაზე მკაფიოდ უნდა აღენიშნა გდრ-ის ხელისუფლებაში დემარკაცია კონსერვატორებსა და რეფორმატორებს შორის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებამ მოამზადა გორბაჩოვის სიტყვა-კბენა ფორმულით: „ის, ვინც აგვიანებს, სჯის ცხოვრება“. დევიზი აშკარად მიმართავდა „ძველ ერიხს“ და გასაგები იყო ყველასთვის: მეგობრებისთვისაც და მოწინააღმდეგეებისათვისაც. სულ მალე ე. ჰონეკერი ჩამოაცილეს ხელისუფლებას, მაგრამ რეფორმატორების მცდელობებმა გადაერჩინათ რესპუბლიკა არ მოიტანა სასურველი შედეგი. მმართველი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებამ დასავლეთის მიმართულებით მოქალაქეთა გამგზავრების გაიოლების ხელშეწყობის შესახებ, ადამიანებმა ბერლინში მისცეს ინტერპრეტაცია, როგორც ჭიშკრის დაუყოვნებლივ გაღების ნებართვაზე.

1989 წლის 8-9 ნოემბრის ღამეს ბერლინელები შეიკრიბნენ ბრანდენბურგის ჭიშკართან და მოითხოვეს ქალაქის დასავლეთ ნაწილში გადასასვლელის გახსნა. საბჭოთა საელჩოს ფანჯრებთან ზოგიერთმა მომიტინგემ დიპლომატებს განუცხადა, რომ ისინი აღარ აპირებდნენ საბჭოთა ყოფასთან შეეგუებას. რა თქმა უნდა, მათ არ იცოდნენ, იმის შესახებ, რომ მ. გორბაჩოვმა ცოტა ხნით ადრე აცნობა დასავლეთ ბერლინის ობერ-მერს, რომ, რაც არ უნდა მომხდარიყო ქალაქში, საბჭოთა ჯარისკაცები იქნებოდნენ ყაზარმებში [1].

თუმცა, რამდენიმე ასეული საბჭოთა ჯარისკაცი, მაინც წავიდა სასეირნოდ და უკან არ დაბრუნებულა.

საელჩოს შეკითხვაზე: „რა გავაკეთოთ?“ მოსკოვიდან დიპლომატიის ისტორიაში მოვიდა გაუგონარი „ინსტრუქცია“: დაე, ყველაფერი ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდეს. საბჭოთა დიპლომატებმა ბერლინში ვერ მიიღეს ერთადერთ გონივრული ინსტრუქცია, დაკავშირებოდნენ აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის წარმომადგენლებს, რომლებსაც სსრკ-თან ერთად იმ მომენტში ჯერ კიდევ ჰქონდათ უფლებები გერმანიასთან მიმართებაში და პასუხისმგებელნი იყვნენ ქვეყნის წინაშე. ცხადია, რომ ყველაფერი წინასწარ იყო განხილული აშშ-სა და გერმანიის მთავრობებთან.

მას შემდეგ რაც ფედერალურმა კანცლერმა ჰ. კოლმა ბერლინში კედლის ჩამონგრევის შემდეგ. დაამყარა პირველი სატელეფონო კონტაქ-

ტი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ მ. ტეტჩერთან. როგორც გაირკვა, იგი წუხდა იმაზე, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდიმა (IMF) სესხი გამოუყო პოლონეთს და არა იმაზე, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები ბერლინში.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ მ. ტეტჩერი ჯერ კიდევ 1989 წლის სექტემბერში, ტოკიოდან დიდ ბრიტანეთში დაბრუნებული, მცირე ხნით გაჩერდა მოსკოვში, შერემეტიევოს აეროპორტში, რათა განეხილა მ. გორბაჩოვთან გერმანულ საკითხი და ურჩია საბჭოთა ლიდერს არ ეჩქარა მის გადაჭრაში. მ. გორბაჩოვმა თითქოს მტკიცე პოზიცია დაიკავა. თითქოსდა გერმანიის გაერთიანება დღის წესრიგში არ იყო. თუმცა ჰ.კოლმა შეერთებული შტატების თანხმობით „აჩქარებისკენ“ აეღო კურსი. 1989 წლის ნოემბრის ბოლოს მან წარმოადგინა 10-პუნქტიანი პროგრამა გდრ-ში კრიზისის დასაძლევად. მართალია, ის არ წასულა იმაზე შორს, ვიდრე ორი გერმანული სახელმწიფოს სახელშეკრულებო საზოგადოების ან კონფედერაციის შექმნის სურვილი იყო. თუმცა მ. გორბაჩოვი ცდილობდა გამოეხატა აღშფოთება იმის გამო, რომ ჰ. კოლი არ იცავდა შეთანხმებებს, რაც იმას ნიშნავდა, რომ იყო ასეთი შეთანხმებები.

შემდეგი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გერმანიის გაერთიანებისკენ იყო მ. გორბაჩოვის შეხვედრა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან ერთად ამერიკულ ხომალდზე 1989 წლის დეკემბრის დასაწყისში კუნძულ მალტასთან. ეს შეხვედრა შედგა აშშ-ის პრეზიდენტის ინიციატივით, რომელიც განსხვავებით საბჭოთა კავშირის მმართველი პარტიის გენერალური მდივნისგან ამისთვის საფუძვლიანად იყო მომზადებული. საქმე შემდეგში მდგომარეობდა. თუ ადრე ამერიკელმა ლიდერებმა მკვეთრად წამოჭრეს საკითხი სსრკ-ში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ, 1989 წლის ბოლოს წინა პლანზე წამოიწია ვითარებამ გერმანიაზე, რომელიც ოთხი გამარჯვებული ძალის პასუხისმგებლობის სფეროში იყო, მაგრამ ძირითადები მაინც სსრკ და აშშ იყვნენ.

გერმანიის მოგვარების მთავარი საკითხად დღის წესრიგში დადგა ერთიანი გერმანიის საერთაშორისო სტატუსი. ანუ გახდებოდა თუ არა ნეიტრალური ქვეყანა. ე. ი. თავი შეეკავებინა სამხედრო ბლოკებში მონაწილეობისგან თუ დარჩენილიყო ნატოში. ნეიტრალიტეტის წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებდა არა მხოლოდ აშშ, არამედ დიდი ბრიტანეთიც. მათ სურდათ დაეტოვებინათ შეერთებული შტატების ეგიდით მყოფი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების პოზიციები, რომლებიც ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და მტკიცედ მუშაობდნენ საბჭოთა კავშირის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპიდან განდევნაზე. სამწუხაროდ, სპეციალისტებს ჯერ არ აქვთ სრული ინფორმაცია მალტაში საუბრების მიმდინარეობის შესახებ. ამ მოვლენის რამდენიმე ვერსია არსებობს, მაგრამ შეხვედრის სრული შინაარსი ჯერ კიდევ საიდუმლოა. მ. გორბაჩოვის ფონდის მიერ გამოქვეყნებული ჩანაწერები „მ. გორბაჩოვის საუბრებიდან ჯორჯ ბუშთან“ დათარიღებული 1989 წლის 2 და 3 დეკემბრით გამოქვეყნებული არის ფრაგმენტები, რომლებიც არ იძლევა რეალობის სრულ სურათს საკითხის არსზე [2. 268-272].

გორბაჩოვმა გერმანიაში განვითარებულ მოვლენებზე თქვა: „ჩვენ გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ბატონი კოლი ჩქარობს, ფუსფუსებს, იქცევა უაზროდ, უპასუხისმგებლოდ. <...> რა იქნება? იქნება თუ არა გაერთიანებული გერმანია ნეიტრალური, არ იქნება სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსებს ან ნატოს წევრი? <...> მე და შენ არ ვართ პასუხისმგებელი გერმანიის დაყოფაზე. ასე დააწესა ისტორიამ“. საბჭოთა ლიდერმა აშშ პრეზიდენტს ამ საკითხის სამომავლოდ გადადებაც შესთავაზა: „მომავალში ისტორიამ განკარგოს ეს საკითხი“. ჯორჯ ბუშმა გონივრულად შენიშნა, რომ ის არ აპირებდა „კედელზე გადახტომას“. მეორე დღეს მას მხარი სახელმწიფო მდივანმა ჯ. ბეიკერმაც დაუჭირა: „გერმანიის გაერთიანების საკითხი ნერვიულობას იწვევს ჩვენში, თქვენში და ბევრ ევროპელში. რისთვის ვართ აქ? რათა გაერთიანება მოხდეს ღიაობის, პლურალიზმისა და თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე“ [2. 268-272].

რა მოხდა რეალურად კუნძულ მალტასთან საუბრების შედეგად? საინტერესო აზრები გამოითქვა ამ თემაზე 2008 წლის დასაწყისში გაზეთ „იზვესტიასთან“ ინტერვიუში ცნობილი ფრანგი მკვლევარის, პარიზის საერთაშორისო და სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის პროფესორის, ეკატერინე დურდინის მიერ. ის არის რამდენიმე წიგნის ავტორი. როგორც გაირკვა, მას ჰქონდა წვდომა ცსს-ს დოკუმენტებზე. მან გამოთქვა მოსაზრება აშშ-ს სადაზვერვო სამსახურების როლზე სსრკ-სა და გერმანიის მიმართებით.

შეკითხვაზე ე. დურნდინმა ასეთი პასუხი გასცა: „გორბაჩოვი ბუშს სამხედრო ხომალდზე

შეხვდა და ამ დროს საშინელი ქარიშხალი იყო. ახლა სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი პრეზიდენტი სრულიად მოუმზადებელი იყო ამ სამიტისთვის. განიხილეს საბჭოთა კავშირისთვის კარდინალურად მნიშვნელოვანი მოვლენა-გერმანიის გაერთიანება“ [3].

იმ დროისთვის ჯ. ბუშმა და ჰ. კოლმა ერთმანეთში გადაწყვიტეს, რომ ერთიანი გერმანია უნდა ყოფილიყო ნატოს წევრი. თუმცა, უცნობია, მზად იყო თუ არა ამისთვის მთელი გერმანელი ხალხი, მაგრამ ასეთი კითხვით აშშ-სა და გფრ-ის ლიდერები საერთოდ არ იყვნენ დაინტერესებულნი. დასავლელმა დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ მ. გორბაჩოვი მოიქცა თავშეკავებულად, თუნდაც მორცხვად, მაგრამ მაინც გადაწყვიტა შეეწინააღმდეგებოდა სსრკ-ში ადამიანის უფლებების დარღვევების მუდმივი შეხსენებების საპასუხოდ: „მაგრამ თქვენ არ გაქვთ მონოპოლია ადამიანის უფლებებზე!“

ჯორჯ ბუშს ხელში ეჭირა რეპრესირებული პირების სია, მან უკანა პლანზე გადაიტანა მთავარი საკითხები, რომლისთვისაც მან მიიწვია მ. გორბაჩოვი შეხვედრაზე. ამრიგად, ამერიკის პრეზიდენტმა, როგორც იქნა, ჩამოართვა მ. გორბაჩოვს შესაძლებლობა, წამოეყენებინა ნებისმიერი პირობა გერმანიის პრობლემის გადასაჭრელად. კორესპონდენტის კითხვაზე: „საბოლოოდ გორბაჩოვი დანებდა? ე. დურნდინმა უბრალოდ უპასუხა: „ვფიქრობ, პანიკაში ჩავარდა. ეს იყო, ფაქტობრივად, ცსს-ს გათვლა“. ამ ფრაზას ყურადღება უნდა მიაქციოთ. აქ გაანგარიშება იყო გაკეთებული არა დიპლომატიური უწყების მიერ, არამედ ცსს-ს. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელი იყო საბჭოთა კავშირში არსებული შიდაპოლიტიკური ვითარების სირთულე, მაგრამ არსებულ ვითარებაში თავდაჯერებული ლიდერი უნდა შეხებოდა თავისი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოებთან შეთანხმებით გლობალური მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის საკითხებს.

ფრანგი მკვლევარი თვლის: „დაზვერვის გაანგარიშება, რომელმაც კარგად შეისწავლა გენერალური მდივნის ხასიათი, ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ ის ფსიქოლოგიურად იყო უმძიმეს მდგომარეობაში. და მას უბრალოდ არ შესწევდა ძალა, წინააღმდეგობა გაეწია დასავლეთის ზეწოლისათვის“ [3].

მ. გორბაჩოვი ისე იოლად დანებდა, რომ ამან გააოცა საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერები, რომლებიც სსრკ-ს მეთაურს მოუწოდებდნენ, არ ეჩქარა გერმანიის საკითხის გადაწყვეტის პროცესში.

როგორც არ უნდა იყოს, მალტასთან სამხედრო გემზე ჯორჯ ბუშთან შეხვედრის შემდეგ გენერალური მდივანი, არა მხოლოდ დათმობებზე წავიდა, არამედ დაიწყო გერმანიის გაერთიანების საკითხზე ყოველმხრივ დაახლოება. ჰ. კოლმა იმავდროულად დაიწყო გდრ-ის ტერიტორიაზე მოგზაურობა და მასობრივ მიტინგებზე გამოსვლისას პირობა დადო, რომ რაც შეიძლება მალე მთელ გერმანიას დედამიწის ყველაზე აყვავებულ ლანდშაფტად გადაქცევდა.

1990 წლის იანვარში ბუნდესკანცლერმა გააკვირვა თავისი ფინანსისტები, როდესაც მათ შესთავაზა გდრ-ის ტერიტორიაზე გერმანული მარკის შემოღება და თუნდაც აღმოსავლეთ გერმანიის მოქალაქეების არსებული დანაზოგების მომგებიანად გაცვლა. 1990 წლის იანვრის ბოლოს მ. გორბაჩოვმა თავისი უშუალო თანამშრომლების ვიწრო წრეში გამართა შეხვედრა გერმანიის საკითხზე, რომელზეც გადაწყვიტეს ფსონი დაედოთ ჰ. კოლზე, ვინაიდან, გენერალური მდივნის თქმით, მოკავშირე გდრ-ში შესაფერისი პარტნიორები არ არსებობდნენ [2. 307-311].

დასავლელი დამკვირვებლები და პუბლიციტები თვლიან, რომ მ. გორბაჩოვმა ამ საკითხში გულუბრყვილობა გამოიჩინა და ასევე ცდილობდა, რაც შეიძლება მალე მიეღო ფინანსური სესხი. მან სიტუაცია შემდეგნაირად აღწერა: „ჩვენ ახლა გდრ-სთან ისე ვართ, როგორც ჩვენს აზერბაიჯანთან. ვერავის ვეყრდნობით, არავისთან გვაქვს სანდო ურთიერთობა. და თუ შესაძლებელია ვინმესთან მოლაპარაკება, ამას გადამწყვეტი შედეგები არ მოჰყვება. <…> გდრ-ში რეალური ძალები არ არსებობს. შესაბამისად, პროცესზე ზემოქმედება მხოლოდ გფრ-ს მეშვეობით შეგვიძლია. და აქ ჩვენ გვაქვს არჩევანი: კოლი ან ერთიანი გერმანიის სოციალისტური პარტია“ [4. 551].

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. რიჟკოვი, თავის მხრივ, არ ჩქარობდა, პირველი მოკრძალებული 3 მლრდ მარკის სესხის აღებას, რადგან მიხვდა, რომ ვალები უნდა გადაეხადა. მან გამოთქვა ალტერნატიული თვალსაზრისი: „კონფედერაცია - დიახ. მაგრამ კონფედერაციას ჩვენ უნდა შევუქმნათ პირობები. კოლისთვის ყველაფრის მიცემა არასწორია“ [4. 551].

მიუხედავად ამისა, მ. გორბაჩოვმა საბოლოოდ არჩევანი მაინც კოლზე შეაჩერა.

თათბირზე მთავარი საკვანძო მნიშვნელობის იყო სამხედრო ბლოკებში ერთიანი გერმანიის მონაწილეობა არ მონაწილეობის საკითხი. „მთავარია, - აღიარა მ. გორბაჩოვმა - იმედი არავის უნდა ჰქონდეს ერთიანი გერმანიის ნატოში გაწევრიანების შესახებ. ჩვენი ჯარების ყოფნა იქ ამას არ დაუშვებს. და ჩვენ შეგვიძლია მათი იქედან წაყვანა, თუ ამერიკელებიც გაიყვანენ თავიანთ ჯარებს“ [4. 552].

ამგვარად, ოფიციალურად ჩამოყალიბებული პირობები ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანებისთვის მოლაპარაკების პროცესის დასაწყისში „ოთხ პლუს ორი“ ფორმულის მიხედვით მკაფიოდ იყო განსაზღვრული. სახელდობრ, ერთიანი გერმანია არ მონაწილეობდა სამხედრო ბლოკებში, იმავდროულად მისი ტერიტორიიდან გაყვანილი იქნებოდა ყველა უცხოური ჯარი. თუმცა გენერალური მდივნის ასეთი აზრები, უკვე იმავე წლის შუა რიცხვებში გადაიზარდა პირდაპირ საპირისპირო „კომპრომისულ“ გადაწყვეტილებებში. საბჭოთა ჯარები გადიან, ამერიკული ჯარები რჩებიან გფრ-ში, გაერთიანებული გერმანია შედის ნატო-ში.

1990 წლის იანვრის ბოლოს - თებერვლის დასაწყისში, მ. გორბაჩოვმა მოსკოვში შეხვედრა გამართა გდრ-ის ლიდერებთან - მთავრობის მეთაურთან გ. მოდროვთან და დემოკრატიული სოციალიზმის პარტიის ლიდერთან გ. გიზისთან. საუბრები „ამხანაგებთან“ კონსულტაციების ხასიათს ატარებდა. რესპუბლიკის მძიმე მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად (სახელმწიფო ვალები, შიდა და გარე, სახალხო პალატის მაისის არჩევნებზე დაგეგმილი მოქალაქეების განწყობა და სხვ.). გ. მოდროვმა გამოკვეთა სახელმწიფოში არსებული მდგომარეობა და საზოგადოების მღელვარება და გამოთქვა გონივრული სურვილი „შეანელოს პროცესი და გადაიტანოს პანეევროპულ არხზე. <…> ვფიქრობ, ღირებული იქნებოდა საბჭოთა კავშირის გერმანიაში დანარჩენ სამ ძალასთან ერთად გაეხსენებინა თავისი უფლებები“ [2. 317].

როგორც ვხედავთ, გდრ მთავრობის მეთაურს უფრო ღრმად ესმოდა არა მხოლოდ გდრ-ს, არამედ სსრკ-ის სახელმწიფო ინტერესები. გ. მოდროვთან საუბრისას (2010 წლის ნოემბერში). კითხვაზე: ესაუბრა თუ არა გენერალური მდივანი თავის მოკავშირეს, ყოველ შემთხვევაში ირიბად, რის გაკეთებას აპირებდა მომავალში? პასუხი მარტივი იყო: არა. საბჭოთა ლიდერი საქმიან პარტნიორებად აშშ-სა და გერმანიის წარმომადგენლებს ამჯობინებდა.

1990 წლის 9 თებერვალს შეხვედრა შედგა მ. გორბაჩოვსა და აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერთან მოსკოვში. როგორც ჩანს, ამ შეხვედრის არასრული ჩანაწერიდან, სახელწოდებით „საუბარი...“, „მართლაც გადამწყვეტი იყო. სახელმწიფო მდივანი მოსკოვში ჩაფრინდა გერმანიის საკითხის გადაჭრის სერიოზული გეგმით. უპირველეს ყოვლისა, გერმანიის გაერთიანების გარდაუვალად მიჩნევით, ჯ. ბეიკერმა უარყო გერმანიის ნეიტრალიტეტის იდეა. მან თავისი პოზიცია იმით დაასაბუთა, რომ ნეიტრალური გერმანია აუცილებლად გახდებოდა მილიტარისტული და ატომურ იარაღზეც კი განაცხადებდა პრეტენზიას. რა თქმა უნდა, ეს ფაქტობრივად ნიშნავდა ქვეყანაში შეერთებული შტატების და ნატოს გავლენის შენარჩუნებას.

ჯ. ბეიკერმა ჩამოაყალიბა გერმანიის საკითხის გადაწყვეტის სცენარი. ის აღნიშნავდა, რომ „პროცესი ბევრად უფრო სწრაფად მიდის, ვიდრე მოსალოდნელი იყო გასულ წელს „დეკემბერშიც“ კი. სახელმწიფო მდივანი ამბობდა: „18 მარტს გდრ-ის მოსახლეობა არჩევნებზე მისცემს ხმას. აბსოლუტური უმრავლესობით ის იტყვის გაერთიანების სასარგებლოდ და აირჩევს ლიდერებს, რომლებიც მხარს უჭერენ გერმანიის გაერთიანების იდეას. მალე ორი გერმანული სახელმწიფო დაიწყებს გაერთიანების შიდა ასპექტების განხილვას, როგორიცაა მთავრობების გაერთიანება, პარლამენტები, საერთო დედაქალაქი, საერთო ვალუტა, ეკონომიკური კავშირი“ [2. 333].

ამ (ამერიკული) სცენარის მიხედვით დაიწყო „პროცესი“. საჭირო იყო გერმანიის საკითხის მოგვარების გარე ასპექტრზე შეთანხმება. სახელმწიფო მდივანს ამ საკითხებზე ჰქონდა მზა გეგმა. მან უარყო მოლაპარაკებების „ოთხს პლუს ორი“ ფორმულა, ისევე როგორც ეუთოს „მძიმე“ მექანიზმის გამოყენება. ჯ. ბეიკერმა მტკიცედ შემოიტანა ფორმულა „ორს პლუს ოთხი“, როგორც უფრო მისაღები გფრ-ისთვის. ამერიკულმა სცენარს არ გამოუწვევია წინააღმდეგობა საბჭოთა ლიდერების მხრიდან, ისევე როგორც გეგმას ნატოსა და აშშ-ს სამხედრო ყოფნის შენარჩუნებისა ევროპაში. „ჩვენ გვესმის, - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა, - რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საბჭოთა

კავშირისთვის, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებისთვისაც გარანტიები, რომ თუ შეერთებული შტატები შეინარჩუნებს ყოფნას გერმანიაში ნატოს ფარგლებში, მაშინ არ იქნება ნატოს იურისდიქციის ან სამხედრო მისიის გაფართოება არც ერთი დიუმით აღმოსავლეთით.

მიგვაჩნია, რომ კონსულტაციები და დისკუსიები „2+4“ მექანიზმის ფარგლებში უნდა უზრუნველყოფდეს გარანტიას, რომ გერმანიის გაერთიანება არ გამოიწვევს ნატოს სამხედრო ორგანიზაციის აღმოსავლეთით გავრცელებას“ [2. 334].

ამრიგად, გერმანიის გაერთიანების შემთხვევაში, შეერთებულმა შტატებმა წამოაყენა წინადადება, არ გაეფართოებულიყო ნატოს სამხედრო ბლოკის ფარგლები „არც ერთი დიუმით“.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რატომ მ. გორბაჩოვი და ე. შევარდნაძემ რატომ არ დადეს შესაბამისი დოკუმენტი აშშ-სთან და ნატო-ს სხვა წევრებთან? საფიქრებელია ამ ფიგურების არაკომპეტენტურობამ დიპლომატიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, ვინაიდან, როგორც ჩანს სახელმწიფო მდივანმა საბჭოთა კავშირს გერმანიის გაერთიანების პირობად შესთავაზა უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიები.

ჯ. ბეიკერმა ჩამოაყალიბა თავისი წინადადება კითხვის სახით: „თუ გაერთიანება მოხდება, რას ანიჭებთ უპირატესობას: გაერთიანებული გერმანია ნატოს გარეთ, სრულიად დამოუკიდებელი, ამერიკული ჯარების გარეშე, თუ გაერთიანებული გერმანია, რომელიც ინარჩუნებს კავშირებს ნატოსთან, მაგრამ გარანტიით, რომ ნატოს იურისდიქცია ან ჯარები არ გავრცელდება აღმოსავლეთით მიმდინარე ხაზებზე?“ „ამჟამინდელი ხაზი“ უნდა გვესმოდეს, როგორც საზღვარი გფრ-სა და გდრ-ს, გდრ-სა და ჩეხოსლოვაკიას შორის და უფრო სამხრეთით, ისევე, როგორც ჩრდილოეთით საზღვარი ნორვეგიასა და სსრკ-ს შორის. აშშ-ის ყოფილმა ელჩმა მოსკოვში ჯეკ მატლოკმა, რომელიც მოგვიანებით ნატოს გაფართოების წინააღმდეგ ისაუბრა, დაადასტურა, რომ აშშ და გფრ დაპირდნენ რუსებს, რომ არ გააფართოვებდნენ ნატო აღმოსავლეთით, რუსეთის საზღვრამდე, გერმანიის გაერთიანების შემდეგ: „მე ვიყავი ამის მოწმე და მერე მოვატყუეთ რუსები. რატომ უნდა დაგვიჯერონ ახლა მათ?“ [5].

1990 წლის იანვრის ბოლოს. მ. გორბაჩოვის პირად დიპლომატიაში იყო შემობრუნება და თებერვლის პირველ ათ დღეში დაიწყო გენერალური მდივნის გეგმის პრაქტიკული განხორციელება. მისი არსი შემდეგში მდგომარეობდა მივიღოთ აშშ-ს სცენარი და არაფერი გავაკეთოთ გერმანიის კანცლერის გარეშე.

ამრიგად, მასალებიდან სჩანს, რომ საბჭოთა დიპლომატია იყო აშკარად მოუმზადებელი იმ დიდი ცვლილებებისათვის, რომელიც მიმდინარეობდა მსოფლიო-პოლიტიკურ არენაზე და დაშინებულნი საბჭოთა კავშირის შიგნით მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების გამო. საბჭოთ პოლიტიკის დიპლომატები ყველა მნიშვნელოვან საკითხს თმობდნენ დასავლელი ლიდერების წინაშე.

MIKHEIL CHOKHELI

FOR THE ISSUE OF BEING IN THE MILITARY-POLITICAL BLOC OF THE UNITED GERMANY

Summay

The process of German reunification began spontaneously. Which was expressed primarily by the indignation of the citizens of the GDR that their rights and freedoms were being restricted by the country's authorities, which finally ended with the opening of the Brandenburg Gate and then the demolition of the Berlin Wall.

On the basis of many documentary evidences, it can be assumed that the merger of the German Democratic Republic (GDR) with the Federal Republic of Germany (FRG) was carefully planned and prepared by the West. They managed and bet M. S. With Gorbachev as a promising leader of the Soviet Union, who was ready to dialogue with the West and develop compromise solutions, the leaders of the Western powers went on the offensive in the direction of Germany. For the United States, the annexation of the GDR to the GFR was part of the general course of weakening the USSR, which the White House undertook. During the Reagan presidency. His successor, George W. Bush, took it to its logical conclusion.

M. Gorbachev's plan envisaged the creation of a "common European home" in which there would be room for a confederation of two German states.

The international status of a unified Germany was put on the agenda as the main issue of the settlement of Germany. That is, whether it would become a neutral country or not. e. i. To refrain from participating in military blocs or to remain in NATO. Not only the USA, but also Great Britain actively acted against neutrality. They wanted to leave the positions of the Western European states under the auspices of the United States, which had been formed after World War II, and worked hard to expel the Soviet Union from Central and Eastern Europe.

J. Baker framed his proposal as a question: "If reunification takes place, what would you prefer: a united Germany outside of NATO, completely independent, without American troops, or a united Germany that retains ties to NATO but with the guarantee that NATO jurisdiction or troops do not extend to the lines running east?" ?" "The current line" should be understood as the border between the FRG and the GDR, the GDR and Czechoslovakia, and further south, as well as the border between Norway and the USSR in the north. Former US Ambassador to Moscow Jack Matlock, who later spoke out against NATO expansion, confirmed that the US and Germany had promised the Russians that they would not expand NATO eastward to the Russian border after German reunification: "I witnessed it, and then we lied to the Russians. Why should they believe us now?"

Key words: *Germany, Soviet Union, USA, Europe, M. Gorbachev, J. Bush, Moscow, Berlin, E. Shevardnadze, Diplomacy.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Кеворков В. Тайный канал. М., 1997.
2. Михаил Горбачев и германский вопрос: Сборник документов.1986—1991 / Предисл. и сост. А. Галкин, А. Черняев. М., 2006.
3. Известия. 01.02.2008
4. В Политбюро ЦК КПСС. По записям А. Черняева, В. Медведева, Г. Шахназарова (1985—1991). М., 2006
5. Независимая газета. 22.01.1997

ლევან კვირკვაია
*წარმოადგინა პროფ. **იგორ კვესელავამ***

სამხედრო ალიანსის როლი, სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად

„მოკავშირეებთან ბრძოლაზე უარესი მხოლოდ ერთია,
ეს არის ბრძოლა მათ გარეშე“.
უ. ჩერჩილი

სახელმწიფოთა მისწრაფებას თავი დაიმკვიდრონ საერთაშორისო არენაზე და აწარმოონ ეროვნული ინტერესებიდან ნაკარნახევი პოლიტიკა, თან ახლავს სტრატეგიული მოკავშირეობა და მისი დინამიკა, რომელსაც განსაზღვრავს ქვეყნის გეო-პოლიტიკური მდგომარეობა.

ნებისმიერი სახელმწიფოს მიზანია გაიუმჯობესოს ცხოვრების ხარისხი, რომელიც გამომდინარეობს ეკონომიკური შესაძლებლობებიდან, თუმცა ეს უკანასკნელი პირდაპირ კავშირშია უსაფრთხოებასთან. სწორედ უსაფრთხოების მაღალი სტანდარტებიდან გამომდინარე, ქვეყნები ცდილობენ გააერთიანონ ძალები და შეურთდნენ სამხედრო ალიანსებს, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებასა და სტაბილურობას გრძელვადიან პერსპექტივაში. ნატომ თანამედროვე ეტაპზე განავითარა უსაფრთხოების განზომილებები და გადაიქცა ინსტიტუტებისა და თანამშრომლობის უპრეცედენტო კომპლექსად, რომლებიც ემყარება გლობალური სტაბილურობის უფრო მაღალ ხარისხს სუვერენულ სახელმწიფოებს შორის.

2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებას, რომ საქართველო და უკრაინა გახდებოდნენ ნატოს წევრები, მას შემდეგ რაც დააკმაყოფილებდნენ ყველა საჭირო მოთხოვნას, საფუძველი ჩაუყარა რუსულ აგრესიას ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების პირისპირ. რუსეთის მზარდი ექსპანსიონიზმი ქმნის გლობალური დაუცველობის დომინოს ეფექტს და ხელს უწყობს მასობრივი არასტაბილურობის ჩამოყალიბებას, რომლის შეკავებაც აუცილებელია სტრატეგიული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: *სტრატეგიული უსაფრთხოება, მასობრივი არასტაბილურობა, ალიანსი, ექპანსიონიზმი, მოკავშირეობა, სუვერენიტეტი.*

სახელმწიფოთა განვითრების დინამიკა ცხადყოფს, რომ ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ეროვნული ინტერესები იძენს ექსპანსიურ ბუნებას და იზრდება ძალის პროპორციულად. საერთაშორისო ურთიერთობებში არსებობს სახელმწიფოები, რომლებიც ინტერესებს მიმართავენ საერთო კოლექტიური მიზნებისკენ, მაგრამ, ამავდროულად, ვხვდებით სახელმწიფოებს, რომელთა ინტერესი ტერიტორიულ ექსპანსიას და ძალადობრივი დომინანტობის მოპოვება-შენარჩუნებას უკავშირდება.

სახელმწიფოები ჩამოყალიბების დღიდან ცდილობენ კავშირი დაამყარონ სხვა სახელმწიფოებთან, ერთობლივი ძალისხმევით საერთო მიზნების მისაღწევად.

ემპირიულ კვლევებზე დაყრდნოთ აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ ეკონომიკურ კავშირს წინ უძღოდა სამხედრო თანამშრომლობა. სტრატეგიული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველა სახელმწიფოს სჭირდება გარანტიები, რათა პრიორიტეტი დაუთმოს ეკონომიკას, სამხედრო ინდუსტრიის სანაცვლოდ. დღევანდელი ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოების ისტორია დაკავშირებულია სამხედრო მოკავშირეობასთან, რომლებმაც განსაზღვრა მათი სახელმწიფოს განვითარების ვექტორი.

პირველ და მეორე მსოფლიო ომებში სამხედრო თანამშრომლობამ შეცვალა მსოფლიო ისტორია და საფუძველი ჩაუყარა ახალ მსოფლიო წესრიგს, სადაც პრიორიტეტი გახდა ეკონომიკური განვითარება და საერთაშორისო თანამშრომლობა.

სწორედ აღნიშნული ეპოქის შემდეგ სახელმწიფოთა განვითარება დაუკავშირდა საერთაშორისო წესრიგს და მისგან ნაკარნახებ პოლიტიკას.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ სახელმწიფოები მიხვდნენ, რომ საჭირო იყო ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება, რომელიც გახდებოდა საყოველთაო თანხმობის მიღწევის საშუალება. აღნიშნულს ადასტურებს ამერიკის პრეზიდენტის ვუიდრო ვუილსონის 14-პუნქტიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ექსპანსსის აღკვეთას, ეკონომიკურ განვითარებას და ერთა ლიგის ჩამოყალიბებას. თუმცა მაშინ გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა ვერ მოახერხეს ამბიციების გაკონტროლება და სურდათ მაქსიმალურად მომგებიან პოზიციაში ჩადგომა, რამაც გამოიწვია მეორე მსოფლიო ომი.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებას წინ უძღოდა სამხედრო კავშირების შექმნა, გამარჯვებული და დამარცხებული სახელმწიფობის დაყოფა ბანაკებად, საბჭოთა კავშირის შექმნა და „დათმობის პოლიტიკა“. სწორედ დათმობის პოლიტიკამ და სახელმწიფოთა ექსპანსიურმა ამბიციებმა განსაზღვრა მეორე მსოფლიო ომის ბედი.

1945 წლის 3 სექტემბერს იაპონიის კაპიტულაციით დასრულდა მეორე მსოფლიო ომი, მაგრამ როგორც ბერტოლდ ბრეხტმა განცხადა: „ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ, ხალხო!“. 1945 წლის 24 ოქტომბერს ჩამოყალიბდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, საყოველთაო მშვიდობისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად. თუმცა გაეროს უშიშროების საბჭოში დამტკიცდა ხუთი მუდმივი წევრი, ვეტოს უფლებით: აშშ, რუსეთის ფედერაცია, საფრანგეთი, ჩინეთი და გაერთიანებული სამეფო. ომის დასრულებისთანავე მსოფლიო გახდა ბიპოლარული და დაიწყო ცივი ომი, რომელიც დღესაც მიმდინარეობს, უკვე ცხელ ფაზაში.

1922 წელს ბოლშევიკური რევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირი, რომელიც II მსოფლიო ომის შემდგომ გაძლიერდა დაიწყო ექსპანსია, ფაშისტური დიქტატურა კომუნისტურმა ჩაანაცვლა. ომის შემდგომ სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება სამხედრო ძალებისა და იარაღის შემცირებასთან დაკავშირებით, თუმცა სსრკ აღნიშნული ვალდებულების შესრულებას არ ჩქარობდა.

სწორედ საბჭოთა კავშირის ექსპანსიურმა ბუნებამ განსაზღვრა სამხედრო ალიანსის და სტრატეგიული უსაფრთხოების დიდი არქიტექტურის ჩამოყალიბების აუცილებლობა.

ამერიკის პრეზიდენტმა ჰ. ტრუმენმა ჩამოაყალიბა დოქტრინა, რომელიც ეყრდნობოდა ჯ. ქენანის „დიდი ტელეგრამის“ ანალიზს და ემსახურებოდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ-იდეოლოგიური ექსპანსიის შეკავებას.

დასუსტებული ევროპის გასაძლიერებლად აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯ. მარშალმა შეიმუშავა გეგმა, ევროპის ასაღორძინებლად. თუმცა, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი საბჭოთა კავშირის შესაკავებლად და ევროპის გასაძლიერებლად. სწორედ ამიტომ, 1948 წლის მარტში ჩამოყალიბდა „ბრიუსელის პაქტი“, რომელშიც გაერთიანდა ევროპის ხუთი სახელმწიფო: ბელგია, გაერთიანებული სამეფო, ლუქსენბურგი, ნიდერლანდები და საფრანგეთი. აღნიშნული კავშირის მიზანი იყო სახელმწიფოების მჭიდრო თანამშრომლობა და თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება, საერთო სისტემის შექმნით. ბრიუსელის პაქტის ქვეყნებმა თავდაცვის ერთიანი სისტემის გასაუმჯობესებლად დაიწყეს მოლაპარაკებები ევროპაში: იტალიასთან, დანიასთან, ისლანდიასთან, ნორვეგიასთან და პორტუგალიასთან, ასევე, აშშ-სთან და კანადასთან [2].

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან (სსრკ) დაიწყო ცივი ომი, შესაბამისად, შეერთებულმა შტატებმა და მისმა უსაფრთხოების პარტნიორებმა გადაწყვიტეს ეკონომიკური ინსტრუმენტების ინტეგრირება უსაფრთხოების გათვლებში. თეორიის მიხედვით, ამის გაკეთება სახელმწიფოებს უფრო გამძლეს გახდიდა კომუნიზმისა და საბჭოთა ექსპანსიონიზმის მიმართ. აქედან გამომდინარე, ევროპის რეკონსტრუქციას თან ახლდა მარშალის გეგმა და ნატო.

თავად ნატო შეიქმნა მისი წევრი ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის თავსებადობის გათვალისწინებით. შეერთებულ შტატებთან უსაფრთხოების ურთიერთობები, მათ შორის შეერთებული შტატების გაფართოებული ბირთვული შეკავება და ბირთვული ქოლგა, დაეხმარა ევროპასა და აზიაში მოკავშირეებს გაუძლოთ საბჭოთა მზარდი გავლენთვის [8].

1949 წლის 4 აპრილს მოლაპარაკებები თავდაცვის ერთიანი სისტემის შესახებ გაფორმდა ვაშინგტონის ხელშეკრულებით და ჩამოყალიბდა ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია-ნატო.

აღნიშნული ხელშეკრულების ქვეშ გაერთიანებულმა 12-მა სახელმწიფომ მალევე მიაღ-

წიეს სტაბილურობის უპრეცედენტოდ მაღალ დონეს, როგორც სამხედრო ასევე, პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

ვაშინგტონის შეთანხმება შედგება 14 პუნქტისაგან, თუმცა ხელშეკრულების ქვაკუთხედს წარმოადგენს მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვითად: „მხარეები თანხმდებიან, რომ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე ერთ ან ერთზე მეტ მხარეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა აღიქმება ყველას წინააღმდეგ თავდასხმად.

არსებულ შემთხვევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების საფუძველზე, მხარეები დახმარებას გაუწევენ საფრთხის ქვეშ მყოფ მხარეს ან მხარეებს და განახორციელებენ ყველა საჭირო ქმედებას, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენებას, ჩრდილო-ატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით“ [7].

ერთხელ უინსტონ ჩერჩილმა თქვა: „მოკავშირეებთან ბრძოლაზე უარესი მხოლოდ ერთია, ეს არის ბრძოლა მათ გარეშე“.

აღნიშნული ეხება უსაფრთხოების ურთიერთობების რთულ ქსელს, რომელსაც ნატო ინარჩუნებს სახელმწიფოებთან მთელს მსოფლიოში.

სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ალიანსები და პარტნიორობა ხშირად ძალიან რთული სამართავია, რასაც განაპირობებს: საშინაო პოლიტიკა, ეროვნული ინტერესები, ტვირთის გაზიარება და განსხვავებული სტრატეგიული მოსაზრებები.

მიუხედავად იმ უზარმაზარი დროისა და ყურადღებისა, რომელსაც ნატო-ს ლიდერი სახელმწიფოები უთმობენ ალიანსის შენარჩუნებას, მოკავშირეები და პარტნიორები ხშირად იღებენ პოლიტიკის არჩევანს, რომელიც ეწინააღმდეგება ნატო-ს საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტებს. ამიტომ, დიდი სტრატეგიული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ალიანსის ლიდერ სახელმწიფოებს უწევთ გარკვეული ნაბიჯების გადაგმა, რომელიც ხშირად უკმაყოფილებას იწვევს როგორც ალიანსის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ [1].

ნატომ თანამედროვე ეტაპზე განავითარა უსაფრთხოების განზომილებები და გადაიქცა ინსტიტუტებისა და თანამშრომლობის უპრეცედენტო კომპლექსად, რომლებიც ემყარება გლობალური სტაბილურობის უფრო მაღალ ხარისხს სუვერენულ სახელმწიფოებს შორის, ვიდრე ისტორია წინასწარმეტყველებდა. ეკონომიკურად, მას საშუალება აქვს დაადგინოს საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსების წესები და, ბალანსის მიხედვით, დარჩეს კარგ მდგომარეობაში ამ სისტემის უპირატესობების მისაღებად. მთლიანობაში, ალიანსებისა და უსაფრთხოების პარტნიორობის სისტემამ, რომელსაც ამჟამად შეერთებული შტატები ხელმძღვანელობს, უზარმაზარი სტრატეგიული უპირატესობა მიანიჭა როგორც აშშ-ს, ასევე იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მასში ერთიანდებიან.

ნატო დემოკრატიისა და ინსტუტუციური განვითარების ფარგლებში მოკავშირე სახელმწიფოებში ახორციელებს ისეთ პროგრამებს, როგორებიცაა: პარტნიორობა მშვიდობისთვის; თავდაცვის განვითარების პროგრამა; პროფესიული განვითარების პროგრამა; გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების ინიციატივა; მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის [4].

თანამედროვე ალიანსის გასაგებად, ჯერ უნდა გავიგოთ, როგორ მოვხვდით აქ. თუკიდიდე ამბობდა, რომ ალიანსები ომისა და კონფლიქტების გრძელვადიანი თვისებაა ათასობით წლის განმავლობაში.

მრავალმხრივი სამხედრო შეთანხმებები სახელმწიფოებს (და მათ ისტორიულ ანალოგებს) საშუალებას აძლევს გააერთიანონ თავიანთი შესაძლებლობები და ითანამშრომლონ უსაფრთხოების საერთო გამოწვევების საპასუხოდ.

ადრე ალიანსები იქმნებოდა ეკონომიკური აქტივების გაერთიანებით, პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. როდესაც შეერთებული შტატები გახდა დომინანტური გლობალური ძალა ამ ომების კვალდაკვალ, მან ჩამოაყალიბა გლობალური სისტემა უფრო თანმიმდევრულად საკუთარ ანტიიმპერიულ ღირებულებებთან. მან ეს გააკეთა თავისი უსაფრთხოებისა და სტრატეგიული ურთიერთობების ორი ძირითადი მიმართულებით: ფორმალური სტრატეგიულ-პოლიტიკური ინსტიტუტების მეშვეობით, როგორიცაა გაერო და ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) და ახალ სუვერენულ სახელმწიფოებთან ორმხრივი თანამშრომლობით [5].

ცივი ომის დასრულებამ და საბჭოთა საფრთხის კოლაფსმა, რომლის ირგვლივაც იყო

ორგანიზებული აშშ-ს უსაფრთხოების სისტემა, გამოიწვია აჟიოტაჟი მეცნიერებსა და პოლიტიკოსებს შორის: როგორ შეინარჩუნებდნენ ალიანსს და უსაფრთხოების არქიტექტურას იმ საფრთხის გარეშე, რომლის წინააღმდეგაც იყო შექმნილი? თუმცა, ეს შეშფოთება ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან მოკავშირეებმა და პარტნიორებმა დაიწყეს უსაფრთხოების ურთიერთობებისა და პრიორიტეტების ორგანიზება რეგიონული კრიზისებისა და საფრთხეების კოლექტიური მართვის გარშემო, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში, აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში [3].

2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებას, რომ საქართველო და უკრაინა გახდებოდნენ ნატოს წევრები, მას შემდეგ რაც დააკმაყოფილებდნენ ყველა საჭირო მოთხოვნას, საფუძველი ჩაუყარა რუსულ აგრესიას ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების პირისპირ.

2008 წელს რუსეთმა ომი გამოუცხადა საქართველოს, 2014 და 2022 წელს კი უკრაინას. რუსეთმა განავითარა მეზობლების ევროატლანტიკური მისწრაფებების დაბლოკვის ფორმულა: შეჭრა და ნაწილობრივი ოკუპაცია, ე.წ სახალხო რესპუბლიკების აღიარებით. მოსკოვმა ეს ფორმულა საქართველოს მიმართ 2008 წელს, ე.წ აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის აღიარებით; უკრაინაში 2014 წელს ყირიმის ანექსიითა და 2022 წელს ე.წ. დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების აღიარებით. მოლდოვა იზიარებს მსგავს ვითარებას დნესტრისპირეთში. რუსეთის მავნე ქმედებებმა საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში – და ტრანსატლანტიკური საზოგადოების უუნარობამ, უკან დახევამ, მოსკოვს დე ფაქტო ვეტოს უფლება მისცა ნატოს ნებისმიერ მომავალ წევრობაზე. უბრალოდ, საქართველო ნატოში ვერ გაწევრიანდა, რადგან კრემლს უფრო მეტად სურდა საქართველო ალიანსს გარეთ, ვიდრე ალიანსს სურდა საქართველო შიგნით, რაც საშუალებას აძლევს რუსეთს გააგრძელოს ნატოს გაფართოებაზე ვეტოს დადების უფლება.

ნატოს ზოგიერთი წევრი შეშფოთებულია, რომ საქართველოს შესვლა ალიანსში ავტომატურად გამოიწვევს ომს რუსეთთან, რადგან მოსკოვს ოკუპირებული აქვს საქართველოს, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის რეგიონები.

აღნიშნული გამომდინარეობს 1949 წლის ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლიდან, რომელიც სთავაზობს უსაფრთხოების გარანტიას მის წევრებს. როგორც ფიქრობენ, ნატო ვალდებული იქნება, დაეხმაროს თავის ახალ წევრს საქართველოს ტერიტორიის განთავისუფლებაში, მაგრამ ეს არის რუსული პროპაგანდის ნაწილი.

საქართველოს ნატოში გაწევრიანება მოხდება საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიით, მათ შორის რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონები, აფხაზეთი და სამაჩაბლოც. თუმცა, დათქმის საფუძველზე ნატოს მე-5 მუხლის უსაფრთხოების გარანტიები არ გავრცელდება რუსეთის მიერ დროებით ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამაჩბლოს ტერიტორიებზე – ამ დროისთვის, ვიდრე არ აღდგება საქართველოს მთლიანობა [6].

აღნიშნული გარანტიებს იძლევა ნატოს მე-6 მუხლი და მისი ჩასწორებები მე-5 მუხლის გამოყენების შესახებ: ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიზნებისთვის, მხარეზე ან მხარეებზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა ჩაითვლება ასეთად, თუ იგი განხორციელდა:

- ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიაზე ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში, საფრანგეთის ალჟირის დეპარტამენტებზე, და მონაწილე მხარის იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე ან კუნძულებზე, რომლებიც არიან ჩრდილო-ატლანტიკური სივრცის კირჩხიბის ტროპიკის ჩრდილოეთით;
- ხელშეკრულებაში მონაწილე მხარის შეიარაღებულ ძალებზე, გემებსა და ავიაციაზე, რომლებიც განლაგებულია ხსენებულ ტერიტორიებზე ან ევროპის ნებისმიერ სხვა ნაწილში, სადაც ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღეს რომელიმე მხარის საოკუპაციო ძალები იმყოფებოდნენ, ან ხმელთაშუა ზღვის, ან ჩრდილო-ატლანტიკურ რეგიონში კირჩხიბის ტროპიკის ჩრდილოეთით ტერიტორიებზე.

ამასთანავე საქართველოს დეკლარირებული აქვს ვალდებულება, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება მოხდება მხოლოდ მშვიდობიანი გზით.

არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც ეს სტრატეგია შეიძლება წარმატებული იყოს [6]:

- ეს გეგმა შეესაბამება საქართველოს მიერ ძალის გამოუყენებლობის დაპირე-

ბას ოკუპირებულ რეგიონებზე კონტროლის აღდგენის შესახებ;

- არსებობს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესწორების ან მოდიფიცირების პრეცედენტი და დათქმის უფლება საერთაშორისო სამართალში; (მუხლის მოდიფიცირება მოხდა საბერძნეთისა და თურქეთის გაწევრიანებამდე; ასევე, საფრანგეთის ალჟირის დეპარტამენტებზე ალჟირის დამოუკიდებლობის გამო);
- ნატოს რამდენიმე წევრ სახელმწიფოს არ აქვს მთელი თავისი ტერიტორია მე-5 მუხლის დაცვის ქვეშ; (მაგალითად: აშშ-ს ტერიტორიებს გუამით ან ჰავაის შტატით წყნარ ოკეანეში, გაერთიანებული სამეფო ფოლკლენდის კუნძულებით სამხრეთ ატლანტიკაში და საფრანგეთი რეუნიონის კუნძულით ინდოეთის ოკეანეში);
- დაშვებულია პრეცედენტი, ნატოში გაწევრიანების დროს ქვეყანას ჰქონდა მუდმივი სასაზღვრო დავა (მაგალითად, 1955 წელს გერმანიის მხოლოდ დასავლეთ ნაწილი გახდა ნატოს წევრი; ესტონეთს, რომელიც ალიანსს 2004 წელს შეუერთდა, ჯერ კიდევ არ აქვს კანონიერად შეთანხმებული საზღვარი რუსეთთან. ხორვატიას, რომელიც ალიანსს 2009 წელს შეუერთდა, სასაზღვრო დავა აქვს სერბეთთან მდინარე დუნაის გასწვრივ).

მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომი ცხადყოფს, რომ რუსეთი დაუპირისპირდა ცივილიზებულ სამყაროს და ცდილობს საბჭოთა კავშირის აღდგენას. რუსეთის ამბიციური საგარეო პოლიტიკური ზრახვები ადასტურებს მის არასტაბილურ პოლიტიკას, რომელიც არაფრად აგდებს ქვეყნების სუვერენიტეტს და ქმნის არასტაბილურ გარემოს მსოფლიო უსაფრთხოებაში. რუსეთი ღიად ითხოვდა ნატოს აღმოსავლეთით არ გაფართოების გარანტიებს და უარის პარალელურად მან დაიწყო გარანტიების სამხედრო გზით უზრუნველყოფა. საქართველო აღნიშნულ ვითარებაში იმყოფება მძიმე მდგომარეობაში, ვინაიდან არსებობს მაღალი ალბათობა, იმისა, რომ კვლავ განმეორდეს რუსული აგრესია საქართველოში, მოსკოვის აღმოსავლური გარანტიების ფარგლებში.

ნატოს უსაფრთხოების მაღალი სტანდარტები უზრუნველყოფს სტაბილურობას მის წევრებში, რაც გამომდინარეობს დიდი სტრატეგიული უსაფრთხოების თეორიიდან.

შესაბამისად, აუცილებელია სწრაფად მოხდეს უკრაინისა და საქართველოს გაწევრიანება ნატოში, რათა შეკავდეს რუსეთის მზარდი ექსპანსიონიზმი მის ირგვლივ მყოფ სახელმწიფოებზე და არა მარტო. რუსეთი საინფორმაციო ომით ცდილობს დასავლეთის დაკნინებას და მისი სახით მტრის ხატის შექმნას, რითაც იდეოლოგიურად ასაზრდოებს თავის მრავალრიცხოვან მოსახლეობას.

რუსეთის მზარდი ექსპანსიონიზმი ქმნის გლობალური დაუცველობის დომინოს ეფექტს და ხელს უწყობს მასობრივი არასტაბილურობის ჩამოყალიბებას, რომლის შეკავებაც აუცილებელია სტრატეგიული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

LEVAN KVIRKVAIA

THE ROLE OF THE MILITARY ALLIANCE, FOR ENSURING STABILITY AND SECURITY

Summary

„There is only one thing worse than fighting with allies and that is fighting without them“.

W. Churchill

The aspiration of states to establish themselves in the international relations and to pursue policies dictated by national interests is accompanied by a strategic alliance and its dynamics, which determined by the geopolitical situation of the country.

The goal of any state is to improve the quality of life that comes from economic opportunities, although the latter, however is directly related to security. Because of high standards of security that countries seek to join forces and join military alliances to ensure long term security and stability.

NATO has developed security dimensions at the modern stage and has become an unprecedented complex of institutions and cooperation, which are based on a higher degree of global stability between sovereign states.

The decision of the 2008 NATO Bucharest Summit to allow Georgia and Ukraine to become members of NATO, once all the necessary requirements have been met, laid the groundwork for Russian aggression in the face of NATO's eastward expansion. Russia's growing expansionism creates a domino effect of global insecurity and contributes to the formation of mass instability, the deterrence of which is essential to ensure strategic security.

Kaywords: *Strategic security, Mass instability, Alliance, Expansionism, Sovereignty.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Dalby S., „National Security in a Rapidly Changing World“, Balsillie Papers, Canada 2020.
2. Epstein A., „NATO enlargement and the spread of democracy: Evidence and Expectations“, Security studies. 2006.
3. Joshua S., Goldstein. Jon C. Pevehouse, „International Relations“, 2013-2014 update.
4. Kathleen J. Mclnnis „The Competitive Advantages and Risks of Alliances“, 2020. The Competitive Advantages and Risks of Alliances | The Heritage Foundation
5. Katz, J and Taussig T., „An inconvenient truth: Addressing Democatic Backsliding within NATO“, 2018.
6. Luke Coffey, James J. Carafano „Time to End Russia's Veto on Georgia's NATO Membership“, Time to End Russia's Veto on Georgia's NATO Membership | The Heritage Foundation. 2021.
7. Official website of NATO. NATO - Topic: Deterrence and defence.
8. William E. Colglazier, „National Interest, Global Interest, and Science“, Science & Diplomacy, 2021. https://www.sciencediplomacy.org/editorial/2021/national-interest-global-interest-and-science

მარიკა კენჭოშვილი
წარმოადგინა პროფ. ემილია ალავერდოვმა

რუსეთისა და ჩინეთის რბილი ძალის პოლიტიკა ცენტრალურ აზიაში

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2013 წელს ჩინეთმა Belt and Road (BRI) ინიციატივა წამოიწყო გაძლიერდა ჩინეთის ყოფნა ცენტრალურ აზიაში. რუსეთი და ჩინეთის ლიდერები უარყოფენ, რომ მათ შორის არის რაიმე ინტერესთა კონფლიქტი, მაშინ, როდესაც სტანდარტული ნარატივი არსებობს, რომ ორი სახელმწიფო იცავს ამოცანების ფუნქციურ ნაწილს, რომელშიც ჩინეთი კონცენტრირებულია ეკონომიკურ აქტივობაზე, ხოლო რუსეთი მოქმედებს როგორც რეგიონის უსაფრთხოების გარანტორი.

სტატიაში საუბარია რუსეთისა და ჩინეთის მოქმედებებზე ცენტრალურ აზიაში და შევადარო მათი განხორციელებული პროექტები, ასევე ცენტრალური აზიის ქვეყნების ლიდერების დამოკიდებულება რუსეთსა და ჩინეთის მიმართ; არის რუსეთისა და ჩინეთის რბილი ძალის გაზომვისა და მოსახლეობების დამოკიდებულებების შედარების მცდელობა.

საკვანძო სიტყვები: *ჩინეთი, რუსეთი, ცენტრალური აზია, რბილი ძალა, BRI.*

ორ სახელმწიფოს შორის ამოცანების ფუნქციური დანაწილების მოსახერხებელი ნარატივი ეჭვქვეშ აყენებს ჩინეთის მზარდ აქტიურ ყოფნას რეგიონში სამხედრო და უსაფრთხოების სექტორში, მაგრამ ჩინეთის გავლენა იზრდება ცენტრალური აზიის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ წესრიგში. ჩინეთის მოძრაობა ცენტრალურ აზიაში ეჭვქვეშ აყენებს რუსეთის პრეტენზიას იმოქმედოს როგორც ჩინეთის თანაბარი პარტნიორი, ისევე როგორც მის პრეტენზიას რეგიონული ჰეგემონიის მიმართ. ეს განვითარება ასახავს მზარდ უთანასწორობას ორ სახელმწიფოს შორის ძალაუფლების შესაძლებლობებთან მიმართებაში, მაგრამ ასევე ავლენს რუსეთსა და ჩინეთს შორის ურთიერთქმედებას ცენტრალურ აზიაში, როგორც მათი ურთიერთობის ყველაზე დაუცველ ასპექტად. ცენტრალურ აზიაში თავდაცვითი რუსეთი ხვდება აღმავალ ჩინეთს.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, რუსი და ჩინეთის ოფიციალური პირები ხაზს უსვამდნენ თავიანთი ურთიერთობების მუდმივ ინტენსიფიკაციას. 2019 წელს, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, ვალდაის სადისკუსიო კლუბის ყოველწლიურ კონფერენციაზე გამოსვლისას, იქამდე მივიდა, რომ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა მოიხსენია, როგორც „მოკავშირე ურთიერთობა“ (soiuznicheskie otnoshenie).

ამავდროულად, რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობებს გამოწვევა ემუქრება ჩინეთის, როგორც დიდი ძალის აღზევება, ფენომენი, რომელიც აისახება ძალაუფლების ურთიერთობების მზარდ ასიმეტრიაში. ჩინეთის მშპ, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის (PPP) მიხედვით, რომელიც გამოიყენება CIA-ს მსოფლიო ფაქტების მიერ, გადააჭარბა შეერთებულ შტატებს და, დაახლოებით 22,53 ტრლნ დოლარი შეადგინა, რომელიც ექვსჯერ აღემატება რუსეთს (3,60 ტრლნ დოლარი) [1].

2013 წელს „ქამარი და გზის ინიციატივის“ (BRI) დაწყებით, ჩინეთმა სულ უფრო მეტად შეაღწია მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელსაც რუსეთი, მაშინდელი პრეზიდენტის დ. მედვედევის სიტყვებით, „პრივილეგირებული ინტერესების რეგიონად“ მიიჩნევდა [2].

ეს განსაკუთრებით მოხდა ცენტრალურ აზიაში, სადაც ჩინეთმა მკვეთრად გაზარდა თავისი ყოფნა და გავლენა ბოლო ოცი წლის განმავლობაში.

რუსეთის იდენტობის დისკურსის შესწავლით ჩინეთთან მიმართებაში, რომელიც სტრუქტურირებულია კავშირების/დიფერენციაციის და ისეთი ძირითადი საკითხების ირგვლივ, როგორიცაა ჩინეთის საფრთხის შედარებითი აღქმა, დჰარმაპუტრას წვლილი ახალ შეხედულებებს ამატებს რუსეთის „აღმოსავლეთისკენ მიმართულების“ და გაჩენის შესახებ ჩვენს გა-

გებაში. „დიდი ევრაზიის“ ცნების შესახებ. მისი სტატია ცხადყოფს რომ უკრაინის კრიზისის ფონზე ჩინეთთან დაკავშირებით რუსეთის დისკურსში გარკვეული ცვლილებების მიუხედავად, როგორიცაა ჩინეთის „მეგობრად“ წარმოჩენა და საერთო ისტორიის წარმოშობის ცნება, ისინი არ იყვნენ საკმარისი იმისათვის, რომ რაიმე ცვლილება დაებეჭდათ იდენტობის ძირითად ფენაზე. თავის მხრივ, საერთაშორისო ეკონომიკის შეხედულებებზე დაყრდნობით, Defraigne-ის წვლილი ახალ შეხედულებებს ამატებს დებატებს EAEU-ზე, როგორც ეკონომიკური ინტეგრაციისა და ევრაზიაში რუსეთის ეკონომიკური ლიდერობის გასაძლიერებლად, იმის ახსნით, თუ რატომ რჩება რუსეთი სუსტი ეკონომიკური რეგიონალური ლიდერი. მის სტატიაში ნათქვამია, რომ ჩინეთის ეკონომიკური გავლენა იზრდება EAEU-ს ბევრ ქვეყანაში, EAEU ქვეყნების შედარებით დაბალი დონის გამო.

ცენტრალური აზიის ქვეყნების არჩევანი რუსეთსა და ჩინეთს შორის

ცენტრალური აზიის სახელმწიფოები, როგორც წესი, უფრო პასიურ ელემენტებად განიხილება, ვიდრე ინტეგრაციის აქტიურ ნაწილებად დიდ ევრაზიაში. რუსეთის ტრადიციულ გავლენასთან ერთად, ჩინეთის რბილი ძალის მზარდი გავლენა იგრძნობა ცენტრალურ აზიაში და წარმოადგენს მთავარ ფაქტორს დიდი ევრაზიის ახალი რეგიონალური სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. რუსეთი აგრძელებს სერიოზულ გავლენას ცენტრალურ აზიაზე ევრაზიული ეკონომიკური ინტეგრაციის პროექტის მეშვეობით (ყაზახეთი და ყირგიზეთი ამჟამად EEU (ევრაზიის ეკონომიკური კავშირის) წევრებიც არიან, და ასევე CSTO-ს, სამხედრო და პოლიტიკური გზით. ეს უკანასკნელი, რუსეთის გარდა, მოიცავს შუა აზიის ისეთ სახელმწიფოებს, როგორიცაა ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი.

უზბეკეთი ორჯერ შეუერთდა CSTO-ს და მის წინამორბედს დსთ-ს CST-ს და შემდეგ გამოვიდა წევრობიდან (მისი მონაწილეობა ამ ორგანიზაციაში ამჟამად შეჩერებულია).

თურქმენეთს ოფიციალურად ნეიტრალური სტატუსი აქვს.

ჩინეთის სარტყელი და გზის ინიციატივა (BRI) და ჩინეთის საერთო ეკონომიკური გავლენა გახდა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც აყალიბებს ცენტრალური აზიის EEU-ს წევრების განვითარებას.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლ. პუტინმა და ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინპინმა ეს ვითარება განაცხადეს 2015 წლის მაისში ამ ორი პროექტის „დაკავშირების“ შეთანხმებაში. რუსეთ-ჩინეთის თანამშრომლობის გარკვეული ელემენტები ცენტრალურ აზიაში ასევე გამოიკვეთა EEU-ჩინეთის შეთანხმებაში სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ (2018).

დიდი ხნის განმავლობაში, რუსეთი და CSTO ასრულებდნენ გადამწყვეტ როლს, როგორც უსაფრთხოების გარანტი ცენტრალურ აზიაში. თუმცა, ყირგიზი ანალიტიკოსი ნარგიზა მურატალიევა აღნიშნავს, რომ ჩინეთიც თანდათან დგება უსაფრთხოების მნიშვნელოვანი როლის შესრულებაში [3].

ეს განვითარება ყველაზე მკაფიოდ გამოიხატება ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან ერთობლივი საბრძოლველად კონსულტაციების მექანიზმის შექმნაში. იგი დაარსდა ჩინეთის, ტაჯიკეთის, ავღანეთისა და პაკისტანის მიერ 2016 წლის ზაფხულში ურუმჩიში [4].

ზოგიერთი ცნობილი რუსი საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი მიიჩნევს, რომ მზარდი ურთიერთქმედება რუსეთსა და ჩინეთს შორის და მათ მიერ მხარდაჭერილ ინტეგრაციულ პროექტებს შორის, რეგიონზე გავლენების შესანარჩუნებლად ხორციელდება. ეს სტრუქტურა შეიძლება წარმოიშვას ევრაზიაში რეგიონული თანამშრომლობის სისტემის შემდგომი განვითარების შედეგად. ამის გაკეთების ერთ-ერთი გზა იქნება ურთიერთდაკავშირებული ქსელის შექმნა, რომელიც მოიცავს თავისუფალ სავაჭრო ზონებს, ბლოკთაშორის სავაჭრო და ეკონომიკურ პარტნიორობას და რეგიონული ინტეგრაციის პროცესებს. ახალი ცივი ომის სპეციფიკური მდგომარეობა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში და მზარდი ჩინეთ-ამერიკული ოპოზიცია ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც ხელს უწყობენ დიდი ევრაზიის მშენებლობას [5]; [6].

ჩინეთის შესაძლო „ევრაზიულ საუკუნეზე“ ნაშრომები ასევე გამოჩნდა დასავლეთში [7]. მათი ავტორები ასევე განიხილავენ ევრაზიაში OBOR-ის (ერთი სარტყელი ერთი გზა) შესაძლო რისკებს [8].

არსებობს მრავალი სამეცნიერო და საექსპერტო პუბლიკაცია, რომელიც აანალიზებს რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობების ზოგად მახასიათებლებს ცენტრალურ აზიაში [9. 635-654]; [10. 1-14]; [11. 56–68]; [12. 41–58]; [13].

გაცილებით ნაკლები ნამუშევარია, რომელიც ითვალისწინებს ცენტრალური აზიის ქვეყნების პოზიციებს [14]; [15]; [16]; [17]; [18]; [19].

სრულიად არ არსებობს ცენტრალური აზიის სახელმწიფოების ინტერესების სისტემატური ანალიზი, რომლებიც მონაწილეობენ რუსეთ-ჩინეთის მიმდინარე დაახლოებაში, რომელიც ადგენს დიდი ევრაზიის კონტურებს. რა სურთ თავად ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს? ცენტრალური აზიის ყველა სახელმწიფო ატარებს ეგრეთ წოდებულ „მულტიქტორულ“ საგარეო პოლიტიკას, რომელიც აბალანსებს ურთიერთობებს მთავარ დიდ სახელმწიფოებთან (რუსეთი, ჩინეთი და „კოლექტიური დასავლეთი“), ასევე ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის ქვეყნებთან [20]; [21]; [22].

ექსპერტმა დოსიმ სატპაევმა (2018) (ყაზახეთი) განსაზღვრა არსი „მულტიქტორული“ საგარეო პოლიტიკა შემდეგნაირად: „ყაზახეთის ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ არ გაჰყვეს ზოგიერთი ძირითადი გეოპოლიტიკური აქტორის კვალს; ჩვენ არ გვჭირდება არც რუსეთი და არც სხვა სახელმწიფო, როგორც „დიდი ძმა“.

„მულტიქტორული“ საგარეო პოლიტიკა ასევე შეიძლება ჩაითვალოს დაბალანსებულად, ისეთ პოლიტიკად, რომელიც დამახასიათებელია ცენტრალური აზიისთვის. ცენტრალური აზიის ქვეყნების შემთხვევა ყველაზე ახლოს არის მცირე და საშუალო სახელმწიფოების მიერ დაბალანსების კვლევებთან, რომლებიც კონტაქტში არიან უფრო ძლიერ აქტორებთან [23]; [24]; [25]; [26].

ცენტრალური აზიის სახელმწიფოების მულტივექტორული საგარეო პოლიტიკა არანაირად არ შემოიფარგლება მათი ურთიერთქმედებით ჩინეთთან და რუსეთთან. ეს სახელმწიფოები აქტიურად ავითარებენ დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთქმედებას ყველა შესაძლო ფორმატში. რუსეთს, დასავლეთს, ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის მზარდი წინააღმდეგობების გათვალისწინებით, ეს არის ერთ-ერთი მთავარი საშუალება რუსეთისა და ჩინეთის მზარდი გავლენისგან დაბალანსების მიზნით. ცენტრალური აზიის ქვეყნებს აქვთ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებები ევროკავშირთან (EU) და არსებობს ევროკავშირის სპეციალური სტრატეგია ცენტრალურ აზიასთან დაკავშირებით. ისინი არიან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) წევრები. ცენტრალური აზიის ქვეყნები აქტიურად თანამშრომლობენ ნატოსთან ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში და პარტნიორობა მშვიდობისთვის პროგრამის ფარგლებში. 2006 წლიდან, ყაზახეთს ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმაც კი ჰქონდა.

მჭიდრო სამხედრო და პოლიტიკური ორმხრივი ურთიერთქმედება შეერთებულ შტატებსა და ცენტრალური აზიის რამდენიმე სახელმწიფოს შორის დამყარდა ავღანეთში აშშ-ის ოპერაციის დაწყების შემდეგ. დაბალანსების ნაკლებად ეფექტური გზაა ისლამურ სახელმწიფოებთან ინტეგრაციის პროექტებში მონაწილეობა ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის, განვითარების ბანკისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მეშვეობით. ინდოეთისა და პაკისტანის SCO-ში გაწევრიანებამ მოახდინა თანამშრომლობა ცენტრალური და სამხრეთ აზიის სახელმწიფოებს შორის.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციისა და ორგანოს ზემოქმედება ქმნის ორმხრივი ვალდებულებების ქაოტურ ქსელს, რომელიც აზიის განვითარების ბანკმა თავის ანგარიშში შეადარა სპაგეტის თასს [27];

ეს მეტაფორა ასევე გამოიყენეს და უფრო დეტალურად გააანალიზეს ევრაზიული ინტეგრაციის ცნობილმა სპეციალისტებმა ე. ვინოკურომა და ა. ლიბმანმა (2012).

ცენტრალური აზიის ცალკეული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის მულტივექტორული ხასიათის საკითხი ჩვენი კვლევის ფარგლებს სცილდება. ქვეთავში ძირითადად ყურადღებას ვამახვილებ, რეგიონალური სახელმწიფოების საერთო ინტერესებზე, რომლებიც პრაქტიკულად გამოიხატება რეგიონალიზმის სხვადასხვა ფორმით, მათ შორის ცენტრალური აზიის ხუთეულში. მიუხედავად ამისა, რუსეთისა და ჩინეთის მიმართ რეგიონული სახელმწიფოების ინტერესების დაზუსტებისთვის მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ მათი მულტივექტორული პოლიტიკა მოსკოვისა და პეკინის მიმართ განსხვავდება ერთმანეთისგან.

ცენტრალური აზიის, რუსმა და ჩინელმა ექსპერტებმა ჩაატარეს კვლევა 2019-2020 წლებში, რათა გაეზომათ ამ ქვეყნების რბილი ძალის

გავლენები ცენტრალური აზიის ქვეყნებზე, საზომად კი პოლიტიკური შეხედულებები, მოსახლეობის დამოკიდებულება და ეკონომიკური გავლენები გამოიყენეს.

ყაზახეთი: შედარებით ძლიერი (რეგიონული თვალსაზრისით), მაგრამ მომპოვებელი ეკონომიკა, ორიენტირებული ჩინეთსა და ევროკავშირში ბუნებრივი რესურსების ექსპორტზე; ღია კარის პოლიტიკა გლობალურ საქმეებში ყველა შესაძლო პარტნიორთან ურთიერთობის მიმართ, ღია კარის პოლიტიკა უცხოური ინვესტიციების მიმართ; დიდი რაოდენობით ინტეგრაციის პროექტების ინიცირება, მრავალმხრივ სტრუქტურებში აქტიური მონაწილეობა; აქტიური თანამშრომლობა რუსეთთან მის ინტეგრაციულ პროექტებში; აქტიური პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა ჩინეთთან; ურთიერთქმედება დასავლურ ძალებთან, რომელიც ნაწილობრივ ანაზღაურებს რუსეთისა და ჩინეთის გავლენას; ანტიჩინური მასობრივი სენტიმენტების სპორადული აფეთქებები (გამოიხატება ჟანაოზენის აჯანყებით 2011 წელს, „მიწის ბუნტები“, 2016 და სხვ.); პოტენციური ტერიტორიული პრობლემები რუსეთთან ქვეყნის ჩრდილოეთით.

უზბეკეთი: ცენტრალური პოზიცია რეგიონში, დიდი მოსახლეობა და შედარებით ძლიერი არმია, როგორც რეგიონული გავლენის ძირითადი ინსტრუმენტები; ტრადიციულად ფრთხილი მიდგომა რუსული ინტეგრაციის პროექტების მიმართ; ორმხრივი ურთიერთობების გრძელვადიანი უპირატესობა მრავალმხრივ ურთიერთობებზე; სერიოზული კონფლიქტები მთელ რიგ მეზობელ ქვეყნებთან, რომლებიც წარმატებით მოაგვარა პრეზიდენტმა მირზიოევმა; რეგიონული ურთიერთობების გაძლიერება, როგორც ძირითადი პრიორიტეტი; მირზიოევის მიერ განხორციელებული ღია კარის ეკონომიკური პოლიტიკა, რამაც გამოიწვია საქმიანი კონტაქტების გაძლიერება მთავარ პარტნიორებთან - აშკარა განსხვავებაა კარიმოვის მმართველობის დროს ეკონომიკურ იზოლაციასთან.

ყირგიზეთი: შიდა არასტაბილურობა, ტერიტორიული განხეთქილება, სუსტი სამთავრობო ინსტიტუტები, დასავლეთის გავლენისთვის ღია რეგიონის ყველაზე დემოკრატიული ქვეყნის სტატუსის გაქრობა; რუსული სამხედრო ინსტალაცია კანტში და რუსეთის განსაკუთრებული როლი CSTO-ს მეშვეობით ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში; სუსტი ეკონომიკა, რომელიც დამოკიდებულია რუსეთში სამუშაო ძალის ექსპორტზე და ჩინური საქონლის სატრანზიტო ვაჭრობაზე; ჩინური ინვესტიციების მზარდი როლი; რუსეთის მყარი ეკონომიკური მხარდაჭერა, მონაწილეობა რუსულ ინტეგრაციულ პროექტებში.

ტაჯიკეთი: რუსული სამხედრო ბაზა და რუსეთის კონკრეტული როლი სამოქალაქო ომის შემდეგ პოლიტიკური რეჟიმისა და ეროვნული უსაფრთხოების სტაბილურობის უზრუნველყოფაში; ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთში სამუშაო ძალის ექსპორტზე; მზარდი ჩინეთის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა; ინდოეთის და პაკისტანის (როგორც ჩინეთის მოკავშირის) სტრატეგიული ინტერესი ქვეყნის მიმართ (ინდოეთის შემთხვევაში, დაინტერესებულია აინის საჰაერო ბაზის იჯარით); ავღანეთთან უზარმაზარი და დაუცველი საზღვარი და განმეორებადი ტრანსსასაზღვრო საფრთხეები და ამ საფრთხისგან თავის დასაცავად რუსეთთან ან ჩინეთთან თანამშრომლობის აუცილებლობა; ირანის კულტურული გავლენა, მზარდი მეტოქეობა ირანსა და საუდის არაბეთს შორის „რბილი ძალის“ დომენში.

თურქმენეთი: „პოზიტიური ნეიტრალიტეტის“ პოზიცია და ნებისმიერ ინტეგრაციის პროექტში მონაწილეობა; მულტივექტორული პოლიტიკა გაზის სფეროში, ღიაობა თანამშრომლობისთვის ნებისმიერ პარტნიორთან, ვისაც სურს შეიძინოს ბუნებრივი აირი; იზოლაციონიზმი პოლიტიკასა და ეკონომიკაში; ეკონომიკური დამოკიდებულება ჩინელ ინვესტორებზე და ბუნებრივი აირის მომხმარებლებზე; ფართო და ცუდად დაცული საზღვარი ავღანეთთან და განმეორებადი ტრანსსასაზღვრო საფრთხეები; რუსულენოვანი უმცირესობის ჩაგვრის პოლიტიკა, რომელიც კიდევ ერთხელ გამოიკვეთა 2020 წლის კორონაკრიზის დროს (რუსულენოვანი სკოლის დახურვა დედაქალაქში და სხვ.).

ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის გავლენა დღეს ძალიან მაღალია ყირგიზეთში, მაღალი ტაჯიკეთსა და ყაზახეთში, საშუალო (თუმცა, მზარდი) უზბეკეთში და დაბალია თურქმენეთში.

ჩინეთის გავლენა დღეს ძალიან მაღალია ტაჯიკეთში, თურქმენეთსა და ყირგიზეთში; მაღალი ყაზახეთში; და უზბეკეთის სხვადასხვა საკითხებზე საშუალო და მაღალი.

MARIKA KENCHOSHILI

RUSSIA AND CHINA'S SOFT POWER POLICY IN CENTRAL ASIA

Summary

Over the past few decades, and especially since China launched the Belt and Road (BRI) initiative in 2013, China's presence in Central Asia has intensified. The leaders of Russia and China deny that there is any conflict of interest between them, while there is a standard narrative that the two states pursue a functional part of the tasks in which China concentrates on economic activity while Russia acts as a guarantor of regional security. In this subsection I want to talk about the actions of Russia and China in Central Asia and compare their implemented projects, as well as the attitudes of Central Asian leaders towards Russia and China, I will try to measure the soft power of Russia and China and compare service attitudes.

Keywords: *China, Russia, Central Asia, Soft Power, BRI*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. CIA. 2021. CIA World Factbook. "Economy." China and Russia. https://www.cia. gov/the-world-factbook/countries/russia/#economy; https://www.cia.gov/theworld-factbook/countries/ china/ #economy.
2. Medvedev, Dmitry. 2008. "Interview Given by Dmitry Medvedev to Television Channels: Channel One, Rossia, and NTV." Kremlin, Moscow, August 31, 2008. http://archive.kremlin.ru/eng/text/speeches/2008/ 08/3l/1850_type8.
3. Panchenko, T. (2019, September 18). "One belt, one road": CentralAsian states are driven into a debts trap. Forbes Kazakhstan. https://forbes.kz/process/expertise/odin_poyas_odin_put_stranyi_tsentralnoy_ azii_zagonyayut_v_lovushku_dolgov/?fbclid=IwAR0mXc8MbUUWwiIgYZoRYWi7A21P7lT4qMfzRh6yUVJJDDfgVGvYKnxx6M. (In Russian)
4. Hrolenko A., Why China builds a Military Base and what's that got to do with Tajikistan. Sputnik Tajikistan. https://tj.sputniknews.ru/columnists/20180115/1024425253/tadzhikistan-ukreplyayet-voyennyye-svyazi-kitayemafganistanom.html?_ga=2.248732239.979194152.1552926919-1445004964.1552926919. In Russian). 2018, January 15
5. Karaganov S., The new Cold War and the emerging Greater Eurasia. Journal of Eurasian Studies, 9(2), 85-93. https://doi.org/10.1016/j.euras.2018.07.002
6. Lukin A. A., Russian-Chinese cooperation in Central Asia and the idea of Greater Eurasia. India Quarterly, 75(1), 2019.
7. Rolland N., China's Eurasian century? Political and strategic implications of the Belt and Road Initiative. National Bureau of Asian Research. 2017.
8. Ferguson R. J., China's Eurasian dilemmas: Roads and risks for a sustainable global power. Edward Elgar. 2018.
9. Freeman C. P., New strategies for an old rivalry? ChinaRussia relation in Central Asia after energy boom. Pacific Review, 31(5), 2018.
10. Lukin, A. A. (2019). Russian–Chinese cooperation in Central Asia and the idea of Greater Eurasia. India Quarterly, 75(1), 2019.
11. Na-Xi L., Meng-Fang, H., & Shan-Bing, L. (2019). How the Belt and Road Initiative can help strengthen the role of the SCO and deepen China's cooperation with Russia and the countries of Central Asia. India Quarterly, 75(1), 2019.
12. Odgaars L., Beijing's quest for stability in its neighbourhood: China's relations with Russia in Central Asia. Asian Security, 13(1), 2017.

13. Samokhvalov, V. (2018). Russia and its shared neighbourhoods: A comparative analysis of Russia-EU and Russia-China relations in the EU's Eastern neighbourhood and Central Asia. Contemporary Politics, 24(1), 30-45.
14. Kirkham, K. (2016). The formation of the Eurasian Economic Union: How successful is the Russian regional hegemony? Journal of Eurasian Studies, 7(2), 111–128.
15. Laruelle, M., & Peyrouse, S. (2012). The "Chinese Question" in Central Asia: Domestic order, social change and the Chinese factor. Oxford University Press; Hurst Publisher.
16. Lee, J.-E. (2016). Competition between China and Russia and Central Asia's responses. Information, 19(12), 5731–5737.
17. Peyrouse, S. (2016). Discussing China: Sinophilia and sinophobia in Central Asia. Journal of Eurasian Studies, 7(1), 14–23.
18. Syroyezhkin, K. L. (2015). Xinjiang: A sore issue for China and Kazakhstan. Asian Research Institute. (In Russian)
19. Zhengyuan, X. (2010). In the shadow of great powers: A comparative study of various approaches to regionalism in Central Asia. Connections, 9(4), 37–52
20. Cooley, A. (2012). Great games, local rules. The new great power contest in Central Asia. Oxford University Press.
21. Kazantsev, A. A. (2008). Great game with unknown rules: Global politics and Central Asia. Moscow State Institute of International Relations Press. (In Russian)
22. Nourzhanov, K. (2012). Omnibalancing in Tajikistan's foreign policy: Security-driven discourses of alignment with Iran. Journal of Balkan and Near Eastern Studies, 14(3), 363–381
23. David, S. (1991). Explaining third world alignment. World Politics, 43(2), 233–256
24. Elman, M. (1995). The foreign policies of small states: Challenging Neorealism in its own backyard. British Journal of Political Science, 25(2), 172–217.
25. Hey, J. (2003). Small states in world politics: Explaining foreign policy behavior. Lynne Rienner
26. Sutton, P. (1987). Political aspects. In C. Clarke & T. Payne (Eds.), Politics, security, and development in small states (pp. 3–25). Allen & Unwin
27. Asian Development Bank. (2006). Increasing gains from trade through regional cooperation in trade policy, transport, and customs transit.

ალექსანდრე მამისაშვილი
*წარმოადგინა პროფ. **თამარ კიკნაძემ***

ერთიანი უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკა გლობალური უსაფრთხოების ახალ არქიტექტურაში

საერთაშორისო უსაფრთხოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მეტად ნათელი ხდება, რომ გლობალური ხასიათის საფრთხეებიდან გამომდინარე ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია გადახედვას და ძირეულ რეფორმას საჭიროებს.

იმისათვის, რათა მიღწეულ იქნას ევროპის უსაფრთხოება რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი არაპროგნოზირებადი გამოწვევების პირობებში აუცილებელია მრავალმხრივი თანამშრომლობა ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ, რადგან ინდივიდუალურად სახელმწიფოები ვერ შეძლებენ გაუმკლავდნენ ომის უკიდურეს ზღვარზე მისულ კომპლექსურ გამოწვევებს. საგულისხმოა, რომ კრიზისის განმუხტვის ერთადერთ გზად დიპლომატია რჩება. თუმცა, შეერთებული შტატებისა და მათი მოკავშირეების მხრიდან არ უნდა იყოს საუბარი რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში დიდი საფასურის გადახდაზე, - არამედ კრიზისის განმუხტვაზე, თავიდან აცილებაზე. ვაღიაროთ, რომ შექმნილი მძიმე ვითარება გავლენას იქონიებს უსაფრთხოების კონცეფციის დღევანდელ აღქმაზე - თუ ვინ როგორ უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხოებას მსოფლიო მმართველობის არქიტექტურაში.

საკვანძო საკითხები: *ეროვნული უშიშროება, თავდაცვის პოლიტიკა, დიპლომატია, პოლიტიკური და ეკონომიკური ესკალაცია, ახალი ცივი ომი, ევროპული უსაფრთხოება.*

თავის დროზე ორი დაპირისპირებული სახელმწიფო - ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი, რომლებმაც მთელი მსოფლიო და, პირველ რიგში, ევროპა გავლენის სფეროებად გადაინაწილეს, თავიანთ სამხედრო ყოფნას საკუთარი ალიანსების წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე და პოლიტიკურ დიქტატს, საერთო მტრის ხატით ამართლებდნენ.

ევროპული უსაფრთხოება კი ეფუძნებოდა ორ პოლიტიკურ ბლოკს - ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ნატოს შორის არსებულ დაპირისპირებას. მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ზემოხსენებულ ძალთა თანაფარდობა, ძირითადად უზრუნველყოფდა გარკვეულ სტაბილურობას. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ხშირად თავს იჩენდა კრიზისები, - არც ერთი კრიზისი არ გადაზრდილა ომში, რაც იძლეოდა იმის თქმის საფუძველს, რომ არსებული სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა იალტისა და პოტსდამის გადაწყვეტილებებს, კიდევ დიდხანს იარსებებდა. თუმცა, ისტორიამ თავისი კორექტივები შეიტანა სცენარის განვითარებაში.

ფაქტია, რომ საბჭოეთმა ვერ გაუძლო მეტოქესთან შეჯიბრს და დამარცხდა - საბჭოთა კავშირმა „ცივი ომი“ წააგო, რამაც ის სრულ კოლაფსამდე და დაშლამდე მიიყვანა.

ბუნებრივია, საფუძვლიანად გადაიხედა იალტისა და პოტსდამის შეთანხმებათა ფორმატი, რომელმაც მთლიანად განსაზღვრა ე.წ. ბიპოლარული რეჟიმის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი პერიოდი, მაგრამ ახალი მსოფლიო წესრიგი და საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი სისტემა, რიგი ფაქტორების გამო, რეალურად დღემდე არ არის ჩამოყალიბებული და ამდენად, თანამედროვე კაცობრიობა ჯერ კიდევ შორსაა სტაბილურობისა და უსაფრთხოებისაგან, რაც მეტ-ნაკლებად უფრო გარანტირებული იყო „ცივი ომის“ დროს, ორი მკვეთრად „გადანაწილებული“ და დეტერმინირებული, იდეოლოგიურად დაპირისპირებული ბანაკის და ბირთვული შეკავების პირობებში [1].

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ევროატლანტიკური უშიშროების გარანტად ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია გვევლინებოდა, რომელიც აერთიანებდა კანადას, აშშ-სა და ევროპის უმეტეს ქვეყნებს. უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთი სახელმწიფოსთვის საკმაოდ რთული ტვირთია.

სწორედ აქედან გამომდინარეობდა ვაშინგტონის ინტერესი ევროპის სამხედრო-პოლიტიკური სექტორის განვითარებისადმი.

ზოგადად, ევროპული გაერთიანების ჩამოყალიბების დაწყებისთანავე ევროპელმა სახელმწიფოებმა სცადეს პოლიტიკური ერთობის შექმნა. ცივი ომის დასრულების შემდეგ, მომზადდა ნოყიერი ნიადაგი იმისათვის, რომ შექმნილიყო ევროკავშირის უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკა, მაგრამ ორგანიზაციის წინაშე წამოიჭრა თვისობრივად ახალი გამოწვევები: ეთნიკური კონფლიქტები, ტერორიზმი, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები და სხვ. ახალი რეალობის ჩამოყალიბებამ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის ნათელი გახადა, რომ ერთიანი უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკა ახალ გამოწვევებთან გასამკლავებლად და გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურაში საკუთარი გავლენის გასაზრდელად საჭიროებდა ძირეულ რეორგანიზაციას. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი ევროპის სახელმწიფოების მიერ სამხედრო-პოლიტიკური ერთობის შექმნის იდეა. თუმცა, არასაკმარისი დაფინანსება და ევროპული ქვეყნების შეუთანხმებელი პოლიტიკა, ამერიკის შეერთებულ შტატებს მეოცე საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული კვლავინდებურად ევროატლანტიკური უსაფრთხოებისათვის მთავარ პასუხისმგებელ აქტორად ტოვებდა.

ომის შემდგომი ევროპის შეზღუდული სამხედრო და ეკონომიკური შესაძლებლობების გამო დასავლეთ ევროპის რეგიონში უსაფრთხოების გარანტად კვლავ ნატო ე.ი. აშშ რჩებოდა, რაც დღემდე გრძელდება. ამაში დიდი როლი ბიპოლარულმა სისტემამ შეასრულა, კერძოდ ორი ზესახელმწიფოს დაპირისპირებას დასავლეთ ევროპის ამერიკის შეერთებულ შტატებზე დამოკიდებულებამდე მივყავართ. თუმცა, ბერლინის კედლის დანგრევამ არა მხოლოდ დააჩქარა თანამედროვე ევროპის რადიკალურად შემცვლელი პროცესების განვითარება, არამედ მიგვიყვანა ძირეულ გეოპოლიტიკურ ცვლილებებამდე - ბიპოლარული სისტემის კრახამდე. ცივი ომის დასრულების შემდეგ კი ევროპის კონტიგენტის წინაშე საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში შიდა პოტენციალის განვითარების შესაძლებლობები გამოჩნდა. ევროპამ გაამხილა თავისი სურვილი, მოეპოვებინა ერთიანი და ძლიერი ხმა საერთაშორისო არენაზე და ჩამოეყალიბებინა ევროპული იდენტობა უშიშროებასა და თავდაცვაში.

მაასტრიხტის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების განხილვის მნიშვნელობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მის საფუძველზე ევროგაერთიანებები გარდაიქმნა ევროკავშირად და ეკონომიკურთან ერთად შეიძინა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ასპექტი [2].

მაასტრიხტის ხელშეკრულებამ შემოიღო ერთიანი საგარეო და უშიშროების პოლიტიკის (Common Foreign and Security Policy (CFSP)) განხორციელების ორი ინსტრუმენტი: საერთო პოზიცია და ერთიანი ქმედებები. დეტალურად გაიწერა საერთო პოზიციის შემუშავების პრინციპები და მეთოდები, ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება თავისი ნაციონალური პოლიტიკის პოზიცია შეესაბამებინათ საერთო პოლიტიკისათვის [3. 97-103].

მაასტრიხტის ხელშეკრულებამ ასევე დაადგინა, რომ ევროკავშირი უნდა ეფუძნებოდეს სამ ძირითად სვეტს: პირველმა სვეტმა მოიცვა ევროპის არსებული გაერთიანებები; მეორე სვეტში შევიდა საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა, ხოლო მესამე სვეტში - თანამშრომლობა მართლმსაჯულებასა და შინაგან საქმეებში.

მაასტრიხტის ხელშეკრულების მეოთხე მუხლი განმარტავს, რომ საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ყველა იმ საკითხს, რომელიც ეხება კავშირის უშიშროებას, მათ შორის საერთო თავდაცვის პოლიტიკის ჩარჩოების შენარჩუნებას, რამაც შესაძლოა დროთა განმავლობაში, მიგვიყვანოს საერთო თავდაცვამდე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მეორე სვეტმა მოიცვა საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა, რომელსაც დასავლეთ ევროპულ კავშირთან ურთიერთობის განვითარებასთან ერთად უნდა უზრუნველეყო მთელი ევროკავშირის უშიშროება. ამასთან ყოველთვის ხდებოდა აპელირება ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მაასტრიხტის ხელშეკრულებამ ვერ შეძლო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის პრინციპების და მიმართულებების ნათლად ჩამოყალიბება, მაგრამ მან დაამკვიდრა მექანიზმები ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საგარეო პოლიტიკური კურსის შეთანხმებისათვის.

1997 წლის ოქტომბერში ქ. ამსტერდამში 1992 წლის მაასდრიხტის ხელშკერულების დებულების შესაბამისად, წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ მომდევნო ხელშეკრულების თაობაზე, რომელიც ძალაში 1999 წლის მაისში შევიდა და

მისი მეშვეობით მოხდა ევროკავშირის პოლიტიკური კურსისა და ძალაუფლების გააზრება და ადაპტირება. 2000 წლის დეკემბერში გამართულ ნიცას სამიტზე შემუშავებული ნატოს ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოეწერა 2001 წლის 26 თებერვალს, ძალაში შევიდა 2003 წლის თებერვალში. მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა მომზადებულიყო ინსტიტუციური საფუძველი გაფართოების ახალი ტალღისათვის.

აღნიშნულ სამიტზე ერთსულოვნად იქნა მიღებული 50-პუნქტიანი ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია.

ამ შეთანხმების მთავარი ამოცანა ევროკავშირის სტრუქტურული რეორგანიზაცია იყო. კერძოდ, მასში განისაზღვრა ევროკავშირის შემადგენლობა და მისი მოცულობა [4. 44].

რაც შეეხება ევროპის გაფართოებას, აღნიშნული დაკავშირებული იყო ინტეგრაციის გზით საბჭოთა კავშირის დაშლისა და კომუნისტური მმართველობისაგან გათავისუფლებული აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების განვითარებისა და მათში ევროპული ცხოვრების დონის მიღწევა წარმოადგენდა [5. 391].

რაც შეეხება ამსტერდამის ხელშეკრულებამ, რომელსაც 1997 წელს ჰოლანდიაში ხელი მოეწერა, მოიცვა საკითხთა ის სპექტრი, რომლებზე შეთანხმება ვერ მოხერხდა მაასტრიხტის ხელშეკრულების ფარგლებში. იმისათვის, რომ უფრო ეფექტური და ქმედითი ყოფილიყო ევროპის საგარეო და უშიშროების პოლიტიკა, ამსტერდამის ხელშეკრულებაში ჩაიდო რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება. კერძოდ, დაემატა საერთო სტრატეგია, შევიდა ცვლილება ხმის მიცემის პროცედურაში. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი კი იყო უმაღლესი წარმომადგენლის პოსტის შემოღება. 1999 წლიდან ზემოხსენებული პოსტი დაიკავა ხავიერ სოლონამ, რომელიც ადრე ნატოს გენერალური მდივანი იყო. მას აღნიშნული პოსტი ეკავა 2009 წლის დეკემბრამდე.

ევროპული იდენტობის პროცესს, რომელიც დაკავშირებული იყო თავდაცვის სფეროში აქტიურ თანამშრომლობასთან, მიმართული იყო იქითკენ, რომ ევროპული კონტინენტის ინტეგრაციას ეტაპობრივად შეემცირებინა ნატოს როლი ევროპაში. სწორედ ამას ემსახურებოდა აშშ-ს ინიციატივა ალიანსის ევროპეიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ყოველივე გათვლილი იყო იმაზე, რომ აღნიშნული ნატოში ევროპულ საყრდენს გააძლიერებდა. ნატო კი თავის მხრივ დაეხმარებოდა დასავლეთ ევროპულ კავშირს მის მიერ ალიანსისგან დამოუკიდებლად ჩატარებულ ოპერაციებში. 2002 წელს ნატოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილ იქნა ევროპული უშიშროებისა და თავდაცვის დეკლარაცია, რომელშიც საუბარი იყო სტრატეგიულ პარტნიორობაზე. 2003 წლის 17 მარტს კი ხელი მოეწერა ბერლინ პლუსის ჩარჩო ხელშეკეკრულებას, რომლის თანახმადაც ევროკავშირს გარანტირებული ჰქონდა ალიანსის დახმარება კოლექტიური უშიშროებისათვის საჭირო დამოუკიდებელ ოპერაციებში. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ არაერთი ევროპელი ლიდერი გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმის თაობაზე, რომ ვაშინგტონი კავშირის სამხედრო ძალებს პირადი სტრატეგიული მიზნებისთვის იყენებდა. საფრანგეთმა, გერმანიამ, ბელგიამ და ლუქსემბურგმა ევროკავშირის ავტონომიურობის შესახებ მოლაპარაკების დაწყების სურვილი გამოთქვეს. ყოველივე დაკავშირებული იყო ამერიკის მიერ ერაყში დაწყებული სამხედრო მოქმედებასთან, რამაც ევროპელების უკმაყოფილება გამოიწვია. საქმე იქამდე მივიდა, რომ გამოითქვა მოსაზრება დამოუკიდებელი ოპერატიული შტაბის შექმნის შესახებ. თუმცა აღნიშნულმა იდეამ, რიგი ევროპული ქვეყნების კრიტიკა გამოიწვია. განსაკუთრებით აქტიურობდა დიდი ბრიტანეთი, თვლიდნენ, რომ ყოველივე დაუძლურებას გამოიწვევდა და ასევე მოითხოვდა ფინანსურ რესურსებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აშშ-ს მთავრობის მხრიდან არაერთხელ გამოითქვა შეშფოთება ევროკავშირის უშიშროების საკითხებში ერთიანი პოზიციის არქონასთან დაკავშირებით. კერძოდ, საუბარია ევროკავშირის უძლურებაზე სახმედრო სფეროში, - რაც ასუსტებდა ნატოს ევროპულ საყრდენს და აშშ-ზე იქნებოდა დამოკიდებული ალიანსის 26 ევროპული წევრი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამას ემატებოდა ისიც, რომ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებიდან გამომდინარე, დასავლეთ ევროპის აქტივობა ნატოს ჩარჩოში შემოიფარგლებოდა იმით, რომ ლატვია, ლიტვა, პოლონეთი და ესტონეთი ცდილობდნენ ნატოს გამოყენებას საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ვინაიდან რუსეთს პოტენციურ აგრესორად აღიქვამდნენ. რაც შეეხება საფრანგეთსა და გერმანიას ისინი ერიდებოდნენ კონფრონტაციას,უფრო შორს წავიდა ფრანსუა ონლანდი, რომელმაც 2016 წლის ვარ-

შავის სამიტზე განაცხადა, რომ რუსეთი წარმოადგენს არა მტერს, - არამედ პარტნიორს, ხოლო ნატომ არ უნდა მიუთითოს ევროპას, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდეს მას რუსეთთან [6].

ამერიკა შეეცადა სხვადასხვა საშუალებებით გაეფართოვებინა ზეგავლენა მსოფლიოში, რომელიც მშვიდობიანი და არამშვიდობიანი ფორმებითა და მეთოდებით ხორციელდებოდა. ეს იყო ამერიკული დემოკრატიისა და ღირებულებების იმპორტი, თუმცა არსებობდა ამ გზაზე წარმოშობილი წინააღმდეგობები - აშშ-ის, ევროპის, რუსეთის და აზიის სახელმწიფოებს შორის.

პროფესორი იგორ კვესელავა ნაშრომში „მსოფლიო იმპერიების პარადიგმები და დილემები“ აღნიშნავს: საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა 60-იან წლებში მიზნად დაისახა ევროპის ლიდერობის გაძლიერება და აშშ-ის გეოპოლიტიკური გავლენის შესუსტება. ამ მიზნით 1963 წელს საფრანგეთი და გერმანია შეთანხმდნენ საფუძველი ჩაეყარათ ევროპეიზმის პოლიტიკისათვის, თუმცა ეს ფაქტი უარყოფითად შეაფასეს ამერიკელებმა [7. 13].

ასევე ძალზე საინტერესოა აშშ-ს ყოფილი თავდაცვის მინისტრის რობერტ გეიტსის მიერ 2011 წელს გაკეთებული განცხადება, რომელშიც მან გააკრიტიკა ნატო: „ადრე მე მაღელვებდა ის გარემოება, რომ ნატო გარდაიქმნებოდა ორსაფეხურიან ალიანსად, რომელშიც მოიძებნებიან ისინი ვინც „რბილი“ განვითარების მომხრეები იქნებიან, მშვიდობის უზრუნველყოფისათვის და ისინი ვინც საომარ მისიებში მონაწილეობს... ეს უკვე ჰიპოთეტური მღელვარება არ არის. ჩვენ ამას უკვე დღეს ვადევნებთ თვალს და ეს მიუღებელია“ [8].

დღეისათვის რუსეთის ფედერაციისათვის კვლავ მნიშველოვანია ნატოს გაფართოებისათვის ხელშეშლა [9].

ნატოს სამხედრო სტრუქტურის რუსეთის საზღვრებთან მიახლოება, კრემლის მხრიდან ტრადიციულად ნაციონალური უშიშროებისათვის საფრთხის შემქმნელ ფაქტორად განიხილება [10].

სწორედ ამიტომ აღიქვამს რუსეთი ნეგატიურად, ნატოს განცხადებას საქართველოსა და უკრაინის მომავალში ნატოს წევრად ხილვის თაობაზე. სწორედ ამას მოჰყვა 2008 წელს რუსეთ-საქართელოს ომი და 2014 წელს ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია. ა/წლის 21 თებერვალს კრემლის მიერ დომბასისა და ლუგანსკის რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება, საგულისხმოა ისიც, რომ რუსეთის მხრიდან სერიოზული საფრთხე ემუქრება ბალტიისპირა ქვეყნებს. აღნიშნული რეგიონი წარმოადგენს იმ საზღვარს სადაც ერთმანეთს ეჯახება რუსეთის და ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ინტერესი, ვინაიდან თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ბალტიის ზღვა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფაქტორია, რომლის სტრატეგიული მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ყირიმის ნახევარკუნძული რუსეთის მიერ იქნა ოკუპირებული. აღნიშნულის შემდეგ ნატოს მიერ რუსეთის მხრიდან აგრესია განიხილება როგორც რეგიონალური უსაფრთხოების რეალური საფრთხე [11].

საგულისხმოა, რომ 2018 წლის 8 ივლისს ნატოსა და ევროკავშირს შორის ვარშავაში ხელმოწერილ იქნა დეკლარაცია, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია ნატოსა და ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორობის რამდენიმე მიმართულებაზე. მათ შორის, უმთავრესია ჰიბრიდული საფრთხეებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, კიბერუსაფრთხოება და თავდაცვა, წევრების, დასავლეთისა და აღმოსავლეთის პარტნიორების პოტენციალის ფორმირებაში მხარდაჭერა.

ნატო თანდათან აძლიერებს სამხედრო კონტიგენტს თავის აღმოსავლეთ საზღვრებთან, რასაც რუსეთის მხრიდან აგრესიით ამართლებს, თავის მხრივ, იგივეს ახორციელებს რუსეთი თავის დასავლეთ საზღვრებთან. ევროკავშირის და ნატოს თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც რუსეთის აგრესიის შემაკავებელი ფაქტორი. საქართველოს რეგიონების ოკუპაციისა და ყირიმის მიერთების შემდეგ, 2018 წლის 25 ნოემბერს რუსეთის უსაფრთხოების სამსახურის სასაზღვრო კონტროლის კატერებმა, ქერჩის სრუტეში უკრაინულ ხომალდებს ცეცხლი გაუხსნეს. რომ რუსმა მესაზღვრეებმა ხომალდებს ცეცხლი მაშინ გაუხსნა, როდესაც უკრაინული ხომალდები უკრაინის შიდა ტერიტორიულ წყლებში იყვნენ, რაც თავის მხრივ გაეროს საზღვაო წესების დარღვევას ნიშნავს. ამას ემატება ისიც, რომ ბოლო პერიოდში, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი, რომელიც შევიდა „ახალი ცივი ომის“ ფაზაში. რუსეთი სულ უფრო და უფრო პროვოკაციულად იქცევა და რეგიონის დესტა-

ბილიზაციის გზით საფრთხეს უქმნის მსოფლიო უსაფრთხოებას.

რუსეთის ოფიციალური პირები კი აგრძელებენ აგრესიულ და მილიტარისტულ რიტორიკას უკრაინის მიმართ, უფრო მეტიც ულტიმატუმით მიმართავენ კოლექტიურ დასავლეთსა და აშშ-ს იმასთან დაკავშირებით, რომ მათ სჭირდებათ იურიდიული გარანტიები ნატოს აღმოსავლეთით არ გაფართოების შესახებ, რომელიც თითქოსდა საფრთხეს უქმნის რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებას.

რუსეთის შემაკავებელ ერთადერთ ძალად ნატო გვევლინება, რომელსაც ევროკავშირისგან მეტი ძალისხმევა სჭირდება, თუნდაც სამხედრო კონტიგენტის დაფინანსების სფეროში.

რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეზე ამახვილებს ყურადღებას ნატოს გენერალური მდივანი სტოლტენ ბერგი:

„ჩრდილოატლანტიკური ალიანსი უნდა იყოს ფხიზლად, რათა თავიდან იქნას აცილებული რუსეთის მხრიდან პოლიტიკური და ეკონომიკური ესკალაცია“ [12].

აღნიშნულიდან გამომდინარე არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მნიშვნელოვან სამხედრო აქტორად ფორმირება ახალ საფეხურზე გადაიყვანს ევროკავშირისა და ნატოს ურთიერთობას. უფრო მეტიც, კოლექტიური უშიშროების სფეროში ტრანსატლანტიკური სტრუქტურების თანამშრომლობა ხელს შეუწყობს რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებზე დროულ რეაგირებას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით ევროატლანტიკური უსაფრთხოების შენარჩუნება ფაქტობრივად შეუძლებელია ალიანსის, კერძოდ კი, აშშ-ის მონაწილეობის გარეშე. ამ ვითარებაში, პრობლემების არსებობა თანამშრომლობისა და ურთიერთქმედების საკითხში ძალზედ დამაფიქრებელია, საუბარია ამერიკის შეერთებული შტატებისა და, შესაბამისად, ალიანსის პოლიტიკას შორის არსებულ წინააღმდეგობებზე, შექმნილ ვითარებაში ახალი ცივი ომი ცვლის არსებულ სტატუს კვოს და ემსახურება ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებას, რომლის პოლიტიკური პერსპექტივა მეტწილად დამოკიდებულია ძალთა ბალანსზე - კოლექტიურ დასავლეთსა და რუსეთს შორის. თუმცა, აშკარად შესამჩნევია ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაჩენილი ბზარები, რაც ამ გაერთიანებას „მშვიდ ცხოვრებას“ ნამდვილად არ უქადის სამომავლოდ.

კოლექტიურ დასავლეთსა და რუსეთს შორის სიტუაციის განმუხტვის ერთადერთი გზა არსებობს: „დიპლომატიას, დიპლომატიას და მხოლოდ დიპლომატიას შეუძლია ომის უკიდურეს ზღვარზე მისული ვითარების მოგვარება“.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ რა თქმა უნდა, დიპლომატიურ აქციებს არ შეუძლიათ გამოიწვიონ ისეთი დიდი რეზონანსი, როგორც საბრძოლო მოქმედებებს, მაგრამ მის გარეშე შეუძლებელია ჭეშმარიტი გამარჯვების მოპოვება. ნებისმიერი ომი ადრე თუ გვიან მთავრდება მშვიდობით და როგორი იქნება ეს მშვიდობა დიდად არის დამოკიდებული დიპლომატიის წარმატებაზე.

ALEKSANDRE MAMISASHVILI

UNIFIED SECURITY AND DEFENSE POLICY IN NEW GLOBAL SECURITY ARCHITECTURE

Summary

At the modern stage of international security development, it is becoming increasingly clear that the European security strategy needs to be reviewed and fundamentally reformed due to threats of a global nature.

In order to achieve European security in the face of unpredictable challenges expected from Russia, multilateral cooperation is necessary in Europe and beyond, because individual states will not be able to cope with the complex challenges that have reached the extreme edge of war. It is significant that diplomacy remains the only way to resolve the crisis. However, on the part of the United States and its allies, there should be no talk of paying a huge price in case of Russia's invasion of Ukraine, but rather of easing the crisis and avoiding it. Let's admit that the created difficult situation will affect the current perception of the concept of security - who should provide security and how in the world governance architecture.

Key Issues: *National Security, Defense Policy, Diplomacy, Political and Economic Escalation, New Cold War, European Security.*

გამოყენებული ლიტერატერატურა:

1. დურმიშიძე ნ., ამერიკის საგარეო პოლიტიკა „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ. საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, თბ. 2020, N45-46.
2. 1992 წლის 7 თებერვლის მაასტრიხტში, კავშირის 12 წევრის მიერ ხელი მოეწერა მაასტრიხტის ხელშეკრულებას, ევროპის კავშირის შექმნის შესახებ.
3. ხუხუნაიშვილი ნ., ევროატლანტიკური უშიშროების სისტემა „ევროპისა და ამერიკის თანამშრომლობის პრობლემატიკა, საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, თბ. 2020, N45-46.
4. გრიგოლია თ., შავი ზღვის აუზში მიმდინარე საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესები, თბ., 2006.
5. მერკვილაძე მ., ევროკავშირის გაფართოების ეტაპები „საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, თბ. 2020, N45-46, 391.
6. Hollande F. Russia Is A partner, Not A Threat // Radio Free Europe/Radio Liberty, 08.06.2016//http://www.rferl.org/a/Hollande-russia-is-a-partner-not-a-threat/27847690.html.
7. კვესელავა ი., მსოფლიო იმპერიების პარადიგმები და დილემები (ისტორიულ-პოლიტოლოგიური ინტეგრალები) საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, თბ. 2020, N45-46. 13.
8. Gates R. Reflections on the Status and Future of the Transatlantic Alliance. 2011 // http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2009_2014/documents/sede/dv/sede 190911 robertgates/sede19 091 1robertgates_en.pdfJones, Seth. G, The Rise of European Security Cooperation, Cambridge, 2007.
9. Концепция внешней политики Российской Федерации. 30.11.2016/ http://www.mid.ru/foreign policy/news/-/asset_publisher/cKNonkJE02Bw/content/id/254224 .
10. Стратегия национальной безопасности Российской Федерации. 31.12.2015 // http://www.consultant.ru/cons/cgi/online.cgi?req=doc&base=LAW&n=191669&fid=134&dst=100001,0&r n d=0.29217123264607014#0
11. Warsaw Summit Communiqué. Warsaw, 2016 // https://www.nato.int/cps/en/ natohq/official_texts_133169.html.
12. გაზეთი „რეზონანსი“, 2021 წლის 16 დეკემბერი.

✍ **გიორგი გაბიტაშვილი**
*წარმოადგინა პროფ. **ედიშერ გვენეტაძემ***

რუსეთის პოლიტიკა „ახლო საზღვარგარეთის“ ქვეყნების მიმართ

ნაშრომში საუბარია იმის შესახებ, რომ რუსეთი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს მიიჩნევს მისთვის ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებად და ცდილობს მათზე ჰქონდეს გავლენა. რუსული პროპაგანდა და საინფორმაციო ომი კვლავ აქტუალური საკითხია ევროპული სახელმწიფოები უკვე სრულად აცნობიერებენ რუსული დეზინფორმაციისა და საინფორმაციო ოპერაციების საფრთხეს და ცდილობენ შესაბამისი ზომები მიიღონ.

ხაზგასმულია, რომ შესაბამისად, ისევე როგორც ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, რუსეთი თავისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარჯების უდიდეს ნაწილს ახალი სამხედრო ტექნოლოგიებისა და უკვე არსებული დარგების განვითარებას მოახმარს. შედეგად, არასამხედრო, მაგრამ სხვა მხრივ მნიშვნელოვანი ტექნოლოგიების განვითარების მხრივ, რუსეთი ამერიკის შეერთებული შტატებისა და დანარჩენი მსოფლიოს უკან აღმოჩნდება. მიზეზები, რომელმაც ეს კონფრონტაცია (კონფრონტაცია რუსეთსა და დასავლეთს შორის) და მანამდე ცივი ომი გამოიწვია ისეთივე შედეგებს მოიტანს, როგორიც ცივმა ომმა მოიტანა, რისთვისაც ამერიკის შეერთებულ შტატებს ამჯერად ნაკლები ძალისხმევა.

საკვანძო სიტყვები: *აშშ, რუსეთი, საბჭოთა რესპუბლიკები, სამხრეთ კავკასია, უკრაინა, კისინჯერი, ტელბოტი, ფრიდმანი.*

რუსეთი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს მიიჩნევს მისთვის ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებად და ცდილობს მათზე ჰქონდეს გავლენა. რუსული პროპაგანდა და საინფორმაციო ომი კვლავ აქტუალური საკითხია ევროპული სახელმწიფოები უკვე სრულად აცნობიერებენ რუსული დეზინფორმაციისა და საინფორმაციო ოპერაციების საფრთხეს და ცდილობენ შესაბამისი ზომები მიიღონ.

ჯერ კიდევ 1995 წელს ჰენრი კისინჯერი წერდა: „უპრეცედენტო პირობები არ არსებობს არსად ცივი ომის შემდგომ რუსეთში. ტანჯვის შერბილება და ეკონომიკური რეფორმის ხელშეწყობა ამერიკის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია, თუმცა ისინი ვერ ჩაანაცვლებს იმ სერიოზულ ძალისხმევას, რომელიც საჭიროა გლობალურ დონეზე ძალაუფლების ბალანსის შესანარჩუნებლად ექსპანსიონიზმის ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქვეყანასთან მიმართებაში“ [1. 814].

მსოფლიო დიპლომატიის მეტრი ასევე წერდა, რომ „რუსეთის წამყვანი ფიგურების აბსოლუტური უმრავლესობა - მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებებისა - უარს ამბობს აღიაროს საბჭოთა იმპერიის დაშლა, ან უფლებამონაცვლე სახელმწიფოების, განსაკუთრებით, უკრაინის ლეგიტიმურობა“ [1. 815] და რომ „რეალისტური პოლიტიკა აღიარებს, რომ ბორის ელცინის რეფორმისტული მთავრობის დროსაც კი რუსული ჯარები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმეტესობის ტერიტორიაზე იდგა - ხშირად ადგილობრივი მთავრობის სურვილის საწინააღმდეგოდ. ეს სამხედრო შენაერთები რამდენიმე რესპუბლიკის სამოქალაქო ომშიც მონაწილეობდნენ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის არაერთხელ წარმოდგენილი კონცეფცია „ახლო სამეზობლოში“ სამშვიდობო პროცესზე რუსეთის მონოპოლიას ითვალისწინებს, რაც სხვა არაფერია, თუ არა მოსკოვის ბატონობის აღდგენის მცდელობა. მშვიდობის გრძელვადიან პერსპექტივებზე გავლენას რუსული რეფორმები მოახდენს, მაგრამ მოკლევადიანი პერსპექტივები დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია აიძულო რუსეთის არმია დარჩეს თავის ქვეყანაში. ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში, ძველი იმპერიის საზღვრებზე რუსული არმიის ხელახალი გამოჩენის შემთხვევაში, რუსეთსა და მის მეზობლებს შორის არსებული ისტორიული დაძაბულობა, რასაც კიდევ უფრო ამძაფ-

რებს შიში და ორმხრივი ეჭვი, აუცილებლად ხელახლა გაღვივდება“ [1. 815-816].

კისინჯერმა ხაზგასმით აღნიშნვდა, რომ „საერთაშორისო სისტემაში რუსეთის ინტეგრაცია ახალი საერთაშორისო წესრიგის მთავარი ამოცანაა“, მაგრამ „მას ორი კომპონენტი გააჩნია, რომელთა შორისაც აუცილებელია ბალანსის დაცვა: რუსეთის მიდგომებზე ზემოქმედება და რუსეთის გეგმების ხელშეშლა“ [1. 818]. მსოფლიომ და, განსაკუთრებით, ცივი ომის მთავარმა გამარჯვებულმა - ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელიც თავისი გამარჯვებით ტკბებოდა, სამწუხაროდ, მხოლოდ 11 სექტემბრის უპრეცედენტო ტერორისტული აქტის შემდეგ გაიღვიძა. სწორედ ამ აქტმა მიაპყრო მსოფლიოს, მათ შორის, სამხედრო ძალების ყურადღება ტერორიზმის პრობლემისკენ. მალევე, ენერგო რესურსებზე ფასების არნახული ზრდის და „სახელმწიფო კაპიტალიზმის“ ე.წ. პრინციპების სწრაფი განვითარების გამო, რუსეთმა უზარმაზარი კაპიტალი დააგროვა და როგორც ახლო სამეზობლოში, ისე საერთაშორისო არენაზე იმპერიული „კუნთების თამაში“ განაახლა. ამ ორმა მოვლენამ საშიშ ტენდენციას ჩაუყარა საფუძველი: აშკარა იყო, რომ მთავარ კითხვებზე პასუხის გაცემის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ორმაგ სტანდარტებზე დაფუძნებული მიდგომის დაძლევა და 21-ე საუკუნის ყველაზე საშიში ფენომენის წინააღმდეგ ძალების რეალურად გაერთიანება.

აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილე სტროუბ ტალბოტი მიუთითებს იმ პოლიტიკურ მსხვერპლზე, რომელიც კლინტონის ადმინისტრაციამ გაიღო ელცინის რუსეთის „დემოკრატიზაციისა“ და საერთაშორისო სისტემაში რუსეთის ჩართვის მიზნით. საინტერესოა, რა მიიღეს მათ საპასუხოდ? საერთაშორისო სისტემაში ჩართული რუსეთი, თუ ძლიერი და აგრესიული ზესახელმწიფო, რომელმაც ისარგებლა შესვენებით და ახალი გამოწვევები შეუქმნა ახალ წესრიგს? აშკარა იყო, რომ ე.წ. „ახლო სამეზობლო“ რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკის პირველი სამიზნე გახდებოდა, მაგრამ დასავლეთმა და მისმა ლიდერმა - ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეს არ ან ვერ გააცნობიერა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სათანადოდ ვერ შეაფასა რუსეთის მხრიდან სამართლიანი მსოფლიო წესრიგის შექმნაში მონაწილეობის მზაობა.

მიუხედავად იმისა, რომ, კლინტონის ადმინისტრაციისგან განსხვავებით, ჯორჯ ბუში უმცროსის ადმინისტრაციას სამხრეთ კავკასიისთვის „რუსეთის პერიფერია“ არ უწოდებია, აშშ მას მაინც თვლიდა ტერიტორიად, სადაც რუსეთს ერთგვარი მოქმედების თავისუფლება ჰქონდა. რასაკვირველია, ეს არ გულისხმობდა იმგვარ ქმედებებს, რაც რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში ჩაიდინა, ან დღესაც სჩადის (მაგალითად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში სამხედრო ბაზების შენებლობა). ჯორჯ ბუში უმცროსის ადმინისტრაცია შეეცადა გაეძლიერებინა თავისი გავლენა სამხრეთ კავკასიაში - ენერგორესურსების ტრანზიტის თვალსაზრისით მნიშვნელოვან რეგიონში, რომელიც, ამავე დროს, ახლო აღმოსავლეთის უშუალო სიახლოვეს მდებარეობს. მაგრამ ამერიკელებმა ეს რუსეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული მეთოდების გამოყენებით, კერძოდ, რეგიონის ქვეყნების უსაფრთხოების გაძლიერებისა და დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობის გზით სცადეს. ანალოგიურად განვითარდა მოვლენები უკრაინაშიც (თუ გავითვალისწინებთ ე.წ. „ფერადი რევოლუციების“ მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერას), მაგრამ ყოველივე ეს ხდებოდა პოლიტიკური, ფინანსური ან ტექნიკური დახმარების, და არა სეპარატიზმის გაღვივების, უნდობლობის დათესვის, სუვერენული ქვეყნების შიდა საქმეებში ჩარევის გარეშე. დღეს სავსებით ცხადია, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ რუსეთის მიმართ დასავლეთის ზედმეტად ლიბერალურმა პოზიციამ პრობლემატური გახადა საერთაშორისო უსაფრთხოების ახალი ტიპის სისტემის შექმნა, რამაც, ბუნებრივია, გამორიცხა რეგიონული უსაფრთხოების სისტემის შექმნა, მათ შორის, სამხრეთ კავკასიაში. აშკარა იყო, რუსეთი ყველა მეთოდს მიმართავდა ზესახელმწიფოს სტატუსის დასაბრუნებლად და ცივი ომის წაგებისთვის სამაგიეროს გადასახდელად. რუსეთს ტრადიციული „მძიმე ხელი“ სჭირდებოდა წესრიგის აღსადგენად, რაც შეუძლებელია „ძალოვანი მინისტრების“ ძლიერი მმართველობის გარეშე. ეს კი დემოკრატიულ პროცესებს დაზარალებდა. საგარეო პოლიტიკაში, კერძოდ, დასავლეთთან მიმართებაში, რუსეთი ტრადიციულ მეთოდებს იყენებდა: ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპას შორის ურთიერთობის გამწვავება, ბირთვული და კონვენციური შეიარაღების შემცირების თემით შანტაჟი, დასავლეთის წინააღმდეგ აღმოსავლეთის ქვეყნებთან (ჩინეთი, ინდოეთი, ისლამური სამყა-

რო) ალიანსების ჩამოყალიბება, ახლად აღმოცენებული ეკონომიკური შესაძლებლობების (მაგალითად, ენერგორესურსებზე ფასების უპრეცედენტო ზრდა და ენერგოპოლიტიკის ბერკეტი) საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენება. თავის „ახლო სამეზობლოში“ რუსეთი ყველაფერს აკეთებდა თავისი გავლენის შესანარჩუნებლად, რისთვისაც როგორც სამხედრო-პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ მეთოდებს მიმართავდა და ერთი ნაბიჯითაც არ აპირებდა უკან დახევას. ამ კონტექსტში, რუსეთის მთავარ იარაღად რჩებოდა არასტაბილურობის შენარჩუნება სეპარატიზმის გაღვივებით და საერთაშორისო მშვიდობისმყოფელთათვის მანდატის გაგრძელების საკითხით ვაჭრობა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში რუსეთი ასევე მიმართავდა ეკონომიკურ ბერკეტებს. (ჩუბაისის „ლიბერალური იმპერიის“ კარგად ცნობილი პრინციპები). მხოლოდ 21-ე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ენერგორესურსებზე მკვეთრად გაზრდილი ფასების გამო გამოცოცხლებულმა რუსეთმა განაახლა იმპერიული ნაბიჯების გადადგმა, დასავლეთში გამოჩნდნენ ექსპერტები, რომლებმაც დაიწყეს საუბარი, რომ „ჩინეთსა და რუსეთს შეუძლიათ შექმნან ეკონომიკურად განვითარებული და ძლიერი „მეორე სამყარო“, რომელიც შესაძლოა ამერიკული ლიბერალური დემოკრატიის მიმზიდველ ალტერნატივად იქცეს“. („საგარეო საქმეები“, 2007 წლის ივლისი-აგვისტოს გამოშვება, აზარ გატის სტატია). ახალი რეალობის აღმოჩენის მიუხედავად, დასავლეთი სრულად მაინც ვერ აცნობიერებდა რა ხდებოდა „ახალ რუსეთში“. მაგალითად, ჟურნალი „ეკონომისტი“ 2008 წლის ივლისში დიდი რვიანის სამიტისადმი მიძღვნილ სტატიაში წერდა, რომ „დემოკრატიიდან სახელმწიფო კაპიტალიზმამდე რუსეთის ვარდნამ ზიანი მიაყენა კლუბის (დიდი რვიანის) პოლიტიკურ ტონს“. სულ ესაა? მეტი არაფერი? პუტინის აგრესიული რიტორიკა თავის ცნობილ წიგნში „ახალი ცივი ომი“, ედვარდ ლუკასი წერდა: „ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პუტინის ერთ-ერთ პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა იარაღის ექსპორტის მძლავრი სახელმწიფო კომპანიის „როსობორონ ექსპორტის“ შექმნა. მას შემდეგ, რუსულ იარაღის გაყიდვები 70 პროცენტით გაიზარდა, რამაც ქვეყანა ამერიკის შემდეგ მსოფლიოში იარაღის ყველაზე მსხვილ ექსპორტიორად აქცია [2].

ლუკასი ასევე დასძენს, „რუსეთი მეტისმეტად სუსტია იმისთვის, რომ ჰქონდეს ნამდვილად ეფექტიანი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, მაგრამ ამასთანავე, ის მეტისმეტად გაღიზიანებული და ნევროტულია იმისათვის, რომ გაატაროს გონივრული და კონსტრუქციული პოლიტიკა. მას სურს, რომ პატივს სცემდნენ, ენდობოდნენ და მოსწონდეთ, მაგრამ ის არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მოიპოვოს ეს პატივისცემა, ნდობა ან სიყვარული. ის ყაბულდება იმას, რომ ამჩნევდნენ - თუნდაც ისეთი ქცევის გამო, რომელიც სხვა ქვეყნების გაუცხოებას და დაშინებას იწვევს. ის თავისი სისუსტის კომპენსირებას მოჩვენებითი სიძლიერის დემონსტრირებით ახდენს. ავანტიურისტული რეჟიმებისთვის მაღალტექნოლოგიური იარაღის მიყიდვა გლობალურ მშვიდობასა და უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს. ამ კუთხით, ახალი ცივი ომი ნაკლებად საშიშია, ვიდრე ძველი. თუმცა, რუსეთის ქცევა შემაშფოთებელი, უსიამოვნო და დამაზიანებელია როგორც საკუთარი, ისე სხვა 21 ქვეყნების ინტერესებისთვის. შეშფოთებას იწვევს ასევე მოვლენების განვითარების შესაძლო სცენარი. თუ რუსეთი უფრო გამდიდრდება და უფრო ავტორიტარული გახდება, ყველა იმ პრობლემის გადაწყვეტა (რომლებიც წინა თავებშია აღწერილი) კიდევ უფრო გართულდება.

რუსეთის მომავალთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო ხედვას გვთავაზობს ჯორჯ ფრიდმენი წიგნში „მომდევნო ასი წელი“ (21-ე საუკუნის პროგნოზი), რომელიც 2010 წელს გამოქვეყნდა. ავტორი საკმაოდ რადიკალურ დასკვნას აკეთებს: „პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ერთიანი რუსეთის უბრალო არსებობაც კი მნიშვნელოვანი პოტენციური გამოწვევაა ევროპისთვის“ [2. 101].

საინტერესოა წიგნში მოყვანილი რუსეთთან დაკავშირებული სხვა მოსაზრებებიც: „თავისი საზღვრების დაცვა დღეს რუსეთის ერთადერთი პრობლემა არ არის. რუსები უაღრესად კარგად აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ ისინი მასიური დემოგრაფიული კრიზისის წინაშე დგანან (2050 წლისთვის, მათგან 90-დან 125 მლნ-მდე დარჩება)... გეოპოლიტიკურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ პრობლემებს შორის, რუსებს მოუწევთ კარდინალური ცვლილებების განხორციელება“. ფრიდმენი ფიქრობს, რომ „მომდევნო ათი წლის განმავლობაში (2010 წლიდან) რუსეთი (წარსულთან შედარებით) სულ უფრო მდიდარი, მაგრამ გეოგრაფიულად დაუცველი გახდება. ამიტომ ის სიმდიდრის გარკვეულ ნაწილს გამოიყენებს იმისთვის, რომ შე-

ქმნას სამხედრო ძალა, რომელიც დაიცავს მის ინტერესებს, ბუფერული ზონები, რომლებიც დაიცავს მას დანარჩენი სამყაროსგან - და შემდეგ ბუფერული ზონები ბუფერული ზონებისთვის. რუსეთის მთავარი სტრატეგია ითვალისწინებს უზარმაზარი ბუფერების შექმნას ჩრდილოეთ ევროპის ველის გასწვრივ, თავისი მეზობლების გაყოფას და მანიპულირებას და ევროპაში ძალთა ახალი რეგიონული ბალანსის შექმნას. რასაც რუსეთი ვერ იტანს, ესაა კარგად დაცული საზღვრები ბუფერული ზონების გარეშე, და მის წინააღმდეგ გაერთიანებული მეზობლები.

სწორედ ამიტომ, რუსეთის მომავალ ქმედებებს ექნება აგრესიული სახე, მაგრამ სინამდვილეში ისინი იქნება თავდაცვითი ხასიათის“ [3. 104-105].

„რუსეთის ქმედებები სამ ეტაპად განხორციელდება. პირველ ეტაპზე, რუსეთი დაინტერესებული იქნება ყოფილ საბჭოთა კავშირში ზეგავლენისა და ეფექტიანი კონტროლის აღდგენით და ბუფერების სისტემის ხელახლა შექმნით. მეორე ეტაპზე, ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვრებს მიღმა, რუსეთი შექმნის ბუფერების მეორე წყებას. ის შეეცდება ეს გააკეთოს წინააღმდეგობის ძლიერი კედლის შექმნის გარეშე, რომლის მსგავსიც მას ცივი ომის პერიოდში ახრჩობდა. მესამე ეტაპზე - ეს კი ისაა, რაც თავიდანვე დაიწყება - რუსეთი შეეცდება ხელი შეუშალოს ანტი-რუსული კოალიციის ფორმირებას“ [3. 106].

რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებთან დაკავშირებით ფრიდმენი მიიჩნევდა, რომ „ამერიკის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მცდელობას რუსეთი უპასუხებს ზეწოლის გაძლიერებით ამერიკის შეერთებულ შტატებზე, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. მაგალითად, ახლო აღმოსავლეთში ეს კონფრონტაცია 2020 წლისთვის დომინანტურ გლობალურ საკითხად იქცევა - და მას ყველა პერმანენტულ პრობლემად განიხილავს. კონფრონტაცია ისეთივე ყოვლისმომცველი იქნება, როგორიც პირველი ცივი ომი. რუსებს ძალა არ ეყოფათ მთელი ევრაზიის ხელში ჩასაგდებად. შესაბამისად, ისინი რეგიონულ საფრთხედ იქცევიან. ეს სწორედ ის კონტექსტია, რომლის ფარგლებშიც ამერიკის შეერთებული შტატები რეაგირებას მოახდენს. დაძაბულობა რუსეთის მთლიან საზღვარზე იქნება, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები ვერ შეძლებს (ან მას არ მოუწევს) რუსეთისთვის კორდონის გარშემორტყმას, როგორც ეს მოხდა საბჭოთა კავშირის დროს. კონფრონტაციის გამო, ევროპის დამოკიდებულება ნახშირწყალბადის რესურსებზე, რომელთა მნიშვნელოვანი წყარო რუსეთია, სტრატეგიული საკითხი გახდება... რუსეთი არ აპირებს ტექნიკური პროგრესის ავანგარდში ყოფნას, რომელიც საუკუნის მიწურულის მთავარი საკითხი იქნება... ამის ნაცვლად, რუსეთს მოუწევს თავისი სამხედრო შესაძლებლობების განვითარება. შესაბამისად, ისევე როგორც ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, რუსეთი თავისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარჯების უდიდეს ნაწილს ახალი სამხედრო ტექნოლოგიებისა და უკვე არსებული დარგების განვითარებას მოახმარს. შედეგად, არასამხედრო, მაგრამ სხვა მხრივ მნიშვნელოვანი ტექნოლოგიების განვითარების მხრივ, რუსეთი ამერიკის შეერთებული შტატებისა და დანარჩენი მსოფლიოს უკან აღმოჩნდება. მიზეზები, რომელმაც ეს კონფრონტაცია (კონფრონტაცია რუსეთსა და დასავლეთს შორის) და მანამდე ცივი ომი გამოიწვია ისეთივე შედეგებს მოიტანს, როგორიც ცივმა ომმა მოიტანა, რისთვისაც ამერიკის შეერთებულ შტატებს ამჯერად ნაკლები ძალისხმევა დასჭირდება. ბოლო კონფრონტაციის ადგილი ცენტრალური ევროპა იყო. ახალი კონფრონტაცია კი აღმოსავლეთით იქნება ლოკალიზებული. ბოლო კონფრონტაციის დროს, ჩინეთი რუსეთის მოკავშირე იყო, ყოველ

შემთხვევაში დასაწყისში. ამ შემთხვევაში, ჩინეთი თამაშგარე იქნება. ბოლო კონფრონტაციის დროს, რუსეთი კავკასიაზე სრულ კონტროლს ახორციელებდა, მაგრამ ამჯერად ასე ვერ იქნება. რუსეთს ჩრდილოეთით ამერიკისა და თურქეთის ზეწოლასთან გამკლავება მოუწევს. ბოლო კონფრონტაციის დროს, რუსეთს დიდი მოსახლეობა ჰყავდა, ამჟამად კი მისი მოსახლეობა შემცირებულია. შიდა წნეხი განსაკუთრებით სამხრეთით, რუსეთს დასავლეთისგან ყურადღებას გადაატანინებს და ის ომის გარეშე გატყდება. რუსეთი გატყდა 1917 წელს, შემდეგ 1991 წელს. 2020 წლის შემდგომ მოკლე პერიოდში რუსეთი კიდევ ერთხელ ჩამოიშლება [3. 117-119].

ექსპერტები ზდისლავ სლივა, ვილიარ ვიბელი და მაქსიმე ლებრუნი მიიჩნევენ, რომ „ძველი ცივი ომის მენტალობა უკვე შესუსტდა და რუსეთს აღარ შესწევს ამგვარი მასშტაბური ოპერაციების ჩატარების, უზარმაზარი ტერიტორიების დაპყრობის ძალა... ეს ესმის რუსეთის ხელმძღვანელობას. ამიტომ ნატოსა და ევ-

როკავშირის წინააღმდეგ გამოიყენება არასამხედრო ტაქტიკა, რომლის მიზანია მათი დასუსტება, მათი შიდა ერთიანობის განადგურება და შიდა უთანხმოებების გაღრმავება. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ჰიბრიდული ომი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად ესმით. ეს პირდაპირ აისახება თავდაცვის სახელმწიფო სტრატეგიებსა და შეიარაღებულ ძალებში ჩადებულ ინვესტიციებზე. ეს შეიძლება მჟღავნდებოდეს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მიერ საფრთხეების ხედვაში, ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებსა და ერთიანი აზრის არარსებობაში, მაგ., ენერგოუსაფრთხოების საკითხებზე და გაზისა და ნავთობის ტრანსპორტირების გარიგებებთან დაკავშირებით.

რუსეთს აქვს თავისი სტრატეგიული ინტერესები სამხრეთ კავკასიაში და ცდილობს დომინანტური პოზიციის დამკვიდრებას რეგიონში. მისი სამეზობლო პოლიტიკა მოიცავს როგორც ძლიერი, ასევე რბილი ძალის ინსტრუმენტებს, რომელთა მიზანია რუსეთის გავლენის გაფართოება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე.

GIORGI GABITASHVILI

RUSSIA'S POLICY TOWARDS THE "NEAR ABROAD" COUNTRIES

Summary

Therefore, as in the last two centuries, Russia will spend the largest part of its scientific research activities on the development of new military technologies and existing industries. As a result, Russia will find itself behind the United States of America and the rest of the world in the development of non-military but otherwise important technologies. The reasons that led to this confrontation (the confrontation between Russia and the West) and the Cold War before it will have the same consequences as the Cold War, for which the United States of America will make less effort this time.

It is noted that Russia has its strategic interests in the South Caucasus and is trying to establish a dominant position in the region. Its neighborhood policy includes both hard and soft power instruments aimed at expanding Russia's influence over the countries of the South Caucasus.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კისინჯერი ჰ., „დიპლომატია“. თბ., 2021.
2. https://www.radiotavisupleba.ge/a/1559264.html
3. G. Friedman on The Next 100 Years.

✍ სოფიკო ედიშერაშვილი
წარმოადგინა პროფ. ჯემალ გახოკიძემ

გაეროს და ეუთოს როლი საქართველოში მიმდინარე კონფლიქტების მშვიდობიანი ტრანსფორმაციისთვის

სამხრეთ კავკასიაში გაყინული და გაჭიანურებული კონფლიქტები სამართლიან მოგვარებას კვლავ ელოდებიან. კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის დარღვევა ხელს შეუწყობს დესტაბილიზაციას მთელს სამხრეთ კავკასიში. შინაარსიან პარტნიორობას, რეგიონული და საერთაშორისო მრავალმხრივი პარტნიორებით, შესწევს ხელშეწყობა ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარებას, რათა მივიღოთ მშვიდობიანი დიალოგი ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სიტუაციებთან, ასევე რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული კონფლიქტის საკითხებში.

მრავალმხრივი პარტნიორების მიერ წარმოებული სამშვიდობო მცდელობების მიმოხილვაც კი ნათლად გამოხატავს კორელაციას მრავალმხრივი პარტნიორების გავლენის შემცირებას, ასევე რეგიონში მშვიდობის შენარჩუნების შეზღუდულ მანდატებსა და შესაძლებლობებს შორის. კავკასიის რეგიონში არსებული კონფლიქტები მეტწილად მოითხოვს მეტ ყურადღებას როგორც გაეროს მშვიდობის აღმშენებლობის ფონდის მხრიდან, ასევე სხვა საერთაშორისო დონორების მხრიდანაც და მხარდაჭერას ლიდერობის იმ პროექტებში, რომელთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ურთიერთშევსების განვითარება და ეკონომიკური კავშირის გაუმჯობესება. აღნიშნული მეტად საჭიროა იქ, სადაც ეკონომიკური კონკურენციის ტრანსფორმაცია ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობად არის შესაძლებელი.

საკვანძო სიტყვები: *ეუთო, გაერო, საქართველო, კონფლიქტები, ცხინვალის რეგიონი, ჟენევის მოლაპარაკებები.*

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პირველი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, რაც გადაიდგა საერთაშორისო სამართლის სუბიექტურობის აღიარებისკენ, საქართველოს მხრიდან, იყო გაეროში გაწევრიანება 1992 წელს. ამავე წელს, შეიქმნა ევროპის უშიშროებისა და თანამეგობრობის მისია, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოში არსებულ ვითარებას და რომელიც საქართველოს მთავრობას დახმარებას უწევდა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში.

1993 წლიდან გაეროს სპეციალური წარმომადგენელთა ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილი იყო ორმოცდაათი სამხედრო მეთვალყურე, შეუდგა ფუნქციების შესრულებას. აღნიშნული ჯგუფის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა კონფლიქტის ზონაში ვითარების განმუხტვა და მისი დარეგულირება. რამდენიმე თვით ადრე სოხუმის დაცემამდე, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო №858 რეზოლუცია. აღნიშნული წარმოადგენდა გაეროს სამშვიდობო მისიის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს საქართველოში [1].

1993 წლის 24 აგვისტოს, 88 კაცისგან დაკომპლექტებულ მისიას მოქმედების პერიოდი განესაზღვრა ექვსი თვით, რომელიც განხორციელდა რეზოლუციის თანახმად. მისიის წევრებს განსაზღვრული ჰქონდათ საზავო ხელშეკრულებით (27 ივლისის) გათვალისწინებული პირობების დაცვა და მათი კონტროლი, თუმცა საკმაოდ მოკლე პერიოდში, გაერომ მიიღო მომდევნო რეზოლუცია, რის მიხედვითაც კონფლიქტის ესკალაციის საფუძველზე შემცირდა დამკვირვებელთა რაოდენობა [2].

ხოლო 1994 წლის მანძილზე მისიის მოქმედება მთლიანად იყო შეჩერებული და მხოლოდ წლის ბოლოს გახდა შესაძლებელი განახლებულიყო სამშვიდობო პროცესების შესრულება, 2004 წლამდე გაგრძელდა მოქმედების პერიოდი.

რუსეთთან დაპირისპირების შედეგად მისია გაფართოვდა და სხვა ფუნქცია-მოვალეო-

ბების შესრულებაც დაევალა და მოქმედების ვადაც განისაზღვრა და ჩაინიშნა 2009 წლის 15 თებერვლამდე, შემდეგ თარიღი შეიცვალა 15 ივლისამდე ეს კი ბოლო ვადა აღმოჩნდა, რადგან მოსკოვმა ვეტო-ს უფლების გამოყენებით შეწყვიტა სამშვიდობო მისიის მოქმედება კონფლიქტურ ზონებში [3].

1993 წელს, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციების თანახმად, რეგიონში არსებულ სიტუაციაზე გამოითქვა შეშფოთება. კერძოდ, ეს ეხება ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევას და, ასევე, ეთნიკური წმენდის ფაქტების გამოვლენას [4].

უშიშროების საბჭომ, ასევე, დაგმო აფხაზების ქმედებები და ის ფაქტები, რომლებიც უკავშირდებოდა სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევას. მოთხოვნა წარედგინათ დაპირისპირებულ მხარეებს, რომ კონფლიქტის შემდგომი გამწვავებისგან შეეკავებინათ თავი და ეთნიკური წმენდის ფაქტების მოკვლევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღეს, რომლის განხორციელება დაევალა სპეციალური საგამოძიებო მანდატის მქონე მისიას [5].

რატომ არ აქტიურობდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოლქთან დაკავშირებით გაერო, პასუხი ნამდვილად არის ცალსახა.

მოგეხსენებათ, 1990-1991 წლების პერიოდში სამხედრო შეირაღებული დაპირისპირება იყო ცენტრალურ ხელისუფლებასა და ე.წ სამხრეთ ოსეთის უკანონო ფორმირებებს შორის. ამ პერიოდში საქართველო გაეროს სრულუფლებიანი წევრი არ იყო ჯერ. მოგვიანებით კი, სხვა რეზოლუციებში განხილულია აფხაზეთის კონფლიქტთან ერთად ცხინვალის კრიზისიც და სწორედ ორივე კონფლიქტურ ზონასთან დაკავშირებით არის შემდეგი ტერმინები გამოყენებული: „დევნილები“; „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა“; ეთნიკური წმენდა; „ლტოლვილები“ და ა.შ. [6].

როგორც 2003 წელს შტატებისა და ბრიტანეთის სახმედრო ძალების შეჭრა ერაყში ვერ აღკვეთა გაერომ, ასევე ვერ მოახერხა 2008 წლის რუსული აგრესიის თავიდან არიდება საქართველოს წინააღმდეგ [7].

მოგეხსენებათ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ შესწევს უნარი ზემოქმედება მოახდინოს ზესახელმწიფოებზე, ხოლო ამ სახელმწიფოებს გააჩნიათ მასზე გავლენის მოხდენის მექანიზები და საჭიროების შემთხვევაში ამას ოსტატურად იყენებენ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტს წარმოადგენს ვეტო-ს უფლების გამოყენება. რუსეთის ფედერაციის მიერ როგორც ეუთოს, ასევე გაეროს შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიაზე სადამკვირვებლო მისიის მანდატი დასრულდა ვეტო-ს გამოყენებით [8].

გაეროს გარდა, ცხინვალის რეგიონში არსებულ მოვლენებსა და აფხაზეთში ქართველების ეთნიკურ წმენდას ეუთო-ც გმობდა.

აღსანიშნავია ის, რომ ორივე ორგანიზაციის მხრიდან ხორციელდებოდა ტერიტორიული მთლიანობისა და მისი სუვერენტეტის დაცვის პოლიტიკა, რაც გამოიხატებოდა დეკლარაციებსა და რეზოლუციებში. მათ დოკუმენტებში კარგადაა გადმოცემული ორგანიზაციების შეხედულებები და დამოკიდებულება. მაგალითისთვის მოვიყვან 1995 წლის 6 აპრილის პერიოდს, როდესაც შემუშავდა წინადადებები ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის მიერ, რომელიც ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციურ სტატუსს უკავშირდება და ყურადღებას ამახვილებს სამ პრინციპზე:

- პირველი ესაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება;
- მეორე არის სამხრეთ ოსეთის ფართო ავტონომია;
- მესამე კი არის ურთიერთობების შენარჩუნება.

საქართველოს ურთიერთობები, როგორც გაეროსთან, ასევე ეუთოსთან გამოხატავს კეთილმოსურნე დამოკიდებულებაზე, თუმცა 1992-2008 წლებში მათ მიერ გამოცემულ ოფიციალურ დოკუმენტებში რუსეთის ფედერაცია მშვიდობისმყოფელ მხარედ არის განხილული, რაც არ წარმოადგენს გონივრულ გადაწყვეტილებას, მაგრამ ის ფაქტიც უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს მხრიდან ოფიციალურ დონეზე არ მომხდარა რუსეთის კონფლიქტის მხარედ აღიარება, რასაც თავის სასარგებლოდ იყენებს მოსკოვი საერთაშორისო სასამართლოში რუსეთ-საქართველოს დავისას [9].

2008 წლის შემდგომ შეიცვალა მდგომარეობა, კერძოდ, 18 სექტემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეუთო-ს მუდმივმოქმედი საბჭოს მიერ, რომელიც გულისხმობდა ეუთო-ს მისიის სამხედრო მონიტორინგის გაზრდას საქართველოში. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ხაზგასმული იყო ის, რომ მათი ნაწილი განთავსდებოდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ რუსეთის მიერ დაიბ-

ლოკა პროექტი ვეტო-ს დადების საშუალებით. 2008 წლის 4 დეკემბერს, ეუთო-ს მინისტერიალზე, რომელიც გაიმართა ქალაქ ჰელსინკში, რუსეთმა ვეტო-ს უფლება კიდევ ერთხელ გამოიყენა და ეუთოს მისიის მანდატის გაგრძელება საქართველოში დაბლოკა, ხოლო უკვე 2009 წლის 15 ივნისს, ისევ ვეტო-ს გამოყენებით რუსეთმა გაეროს სადამკვირვებლო მისიის მუშაობა შეაჩერა [10].

სწორედ რუსეთის გავლენამ და ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ განაპირობა ეუთო-ს მისიისა და გაერო-ს მანდატის შეწყვეტა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ამის მიუხედავად, აღნიშნული ორგანიზაციების დაინტერესება ორივე კონფლიქტის მოგვარების საქმეში დღემდე გრძელდება. ორივე ორგანიზაციის მხრიდან მოწონებას იმსახურებს „ჩართულობის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა“, რომელიც დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 27 იანვარს [11].

დოკუმენტში რიგი მიმართულებებია გაწერილი, როგორც ცხინვალის რეგიონში, ასევე აფხაზეთში მცხოვრები მოქალაქეების კეთილდღეობისთვის და ასევე დოკუმენტი ითვალისწინებს გაყოფილი საზოგადოების შერიგებას და მათ შორის ნდობის ჩამოყალიბებას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2015 წლის 20 ნოემბერს გაეროს მუდმივ კოორდინატორსა და საქართველოს მთავრობას შორის მოეწერა ხელი „2016-2020 წლების თანამშრომლობის გეგმას მდგრადი განვითარებისთვის“, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 156 მილიონ დოლარს. ხელშეკრულება ემსახურება როგორც დემოკრატიული მმართველობის, ასევე განათლების, სოციალური დაცვის, დასაქმებისა და ჯანდაცვის მიმართულებებს [12].

ხელშეკრულებით განისაზღვრა საქართველოს მთავრობის ის საჭიროებები და პრიორიტეტები, რომლებიც მნიშვნელოვანია კონფლიქტის რეგიონებთან ურთოერთობისათვის.

2010 წლის 27 იანვარს დამტკიცებულ გეგმაში ვხვდებით იმ ფაქტს, რომ გაერო, საერთაშორისო არეალზე უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და მისი სუვერენიტეტის დაცვას, რაც ნათლად ჩანს 2008 წლის აგვისტოდან დღემდე.

მოგახსენებთ, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციაში „აფხაზეთიდან, საქართველო, და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო, ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობის“ შესახებ, დაფიქსირებულია დევნილთა უფლებების აღდგენის აუცილებლობა, ასევე მათ საცხოვრებელ ადგილებში ღირსეული, უსაფრთხო და ნებაყოფლობითი დაბრუნება. მეტად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს რეზოლუციის მხარდამჭერთა რიგები, რომლის რაოდენობა ყოველწლიურად არის ფიქსირებული და კლებას არ განიცდის [13].

1992 წლის დეკემბრიდან კი ეუთო-ს მისიამ დაიწყო საქართველოში მოქმედება. მისია მხარს უჭერდა საქართველოს ხელისუფლებას დემოკრატიზაციის, კონფლიქტების მოგვარების, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების საკითხებში. საქართველოში თანდათან გაიზარდა ეუთო-ს ჩართულობა, რომელიც კონფლიქტის მოგვარებასა და მის უსაფრთხოების უზრუნველყოფას მოიცავდა. მისია, ასევე უწყობდა ხელს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის დროს დაპირისპირებულ მხარეებს შორის მოლაპარაკებების წარმართვას. საერთაშორისო დონორების დაფინანსებითა და ეუთო-ს მისიის ინიციატივით კონფლიქტურ ზონებში განხორციელდა ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური სარეაბილიტაციო პროექტები. მისია აქტიურად იღებდა მონაწილეობას როგორც ხალხთა დაახლოების მიმართულებით, ასევე არასამთავრობო სექტორისთვის კონცენტრირებულ პროექტებში შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით [14].

რაც შეეხება ცხინვალის რეგიონში მიმდინარე დაძაბულობასა და ეუთო-ს როლს, მისია ჩაერთო მას შემდეგ რაც, 1992 წლის 24 ივლისს სოჭში მოეწერა ხელი „საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ“ შეთანხმებას. დაკომპლექტდა მისიის შემადგენლობა, რომელიც მოიცავდა - ოფისის თავმჯდომარის სპეციალურ წარმომადგენლებს, ასევე ორ დიპლომატიურ მრჩეველსა და ოთხკაციან სამხედრო ჯგუფს [15].

მისიას განესაზღვრა პოლიტიკური ჩარჩოების შექმნის აუცილებლობის ხელშეწყობა, სწორედ მის ფარგლებში უნდა მომხდარიყო ხანგრძლივი პოლიტიკური შერიგება, რომელიც ეფუძნებოდა ეუთო-ს ვალდებულებებსა და პრინციპებს. აღნიშნული გადაწყვეტილების მეორე პუნქტის თანახმად, ოფისის თავმჯდომარის მიერ სპეციალურად წარდგენილ პიროვნებას უნდა აღმოეჩინა დახმარება მოლაპარაკებების ჩარჩოების ჩამოსაყალიბებლად, ასევე ცეცხლის სტაბილურად შეწყვეტასა და კონფ-

ლიქტის მოგვარების საქმეშიც უნდა ყოფილიყო ჩართული. უკვე 1997 წლის 22 აპრილს ამოქმედდა ეუთო-ს მისიის ქვედანაყოფი ქალაქ ცხინვალში, რომელიც უშუალოდ ექვემდებარებოდა მისიის შტაბს თბილისში [16].

1997 წელვე ხელი მოეწერა შეთანხმებას აფხაზეთში არსებულ გაერო-ს ადამიანის უფლებების ოფისსა და ეუთო-ს შორის. შეთანხმების საფუძველზე ერთი ოფიცერი გაიგზავნებოდა ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგისათვის აფხაზეთში. აღნიშნული გადაწყვეტილებების მიუხედავად როგორც ცხინვალის რეგიონში, ასევე აფხაზეთში არ მოჰყოლია პოზიტიური შედეგები ეუთო-ს მისიის ძალისხმევას.

1999 წლის 15 დეკემბერს კი, 334-ე გადაწყვეტილების თანახმად, 20-მდე გაიზარდა ეუთო-ს მისიის შემადგენლობა, რომლებსაც უნდა განეხორციელებინათ მონიტორინგი რუსეთ-საქართველოს საზღვრის მონაკვეთებზე. 2004 წლის 31 დეკემბრამდე „საზღვრის კონტროლის მისია“ ახორციელებდა მონიტორინგს როგორც რუსეთ - საქართველოს საზღვართან, ასევე დაღესტნის, ჩეჩნეთის და ინგუშეთის საზღვრების მონაკვეთებზე [17].

მაგრამ, საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნების მიუხედავად, არ განხორციელდა მონიტორინგის დაწესება საქართველო-რუსეთის საზღვრის და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მონაკვეთზე. მეტიც, რუსეთის ფედერაციამ ვეტო დაადო მისიის მიერ მონიტორინგის გაგრძელებას და უკვე 2004 წლის ბოლოს, შეწყდა კონტროლის განხორციელება საზღვრის ზემოთ აღნიშნულ მონაკვეთებზე.

2004 წლის კონფლიქტის პერიოდში რუსეთის ფედერაციის მხრიდან მუდმივად ხდებოდა ცხინვალის რეგიონში როგორც საბრძოლო ტექნიკის, ასევე შეიარაღების არალეგალური შემოტანა ქვეყნის ტერიტორიაზე [18].

2008 წლის აგვისტოში, ეუთო-მ მიმართულება შეცვალა და მისი საქმიანობა ემსახურებოდა ჰუმანიტარულ კრიზისს დაგადაუდებელ სტაბილიზაციას. ეუთო-მ ამ მიმართულებებით 20 ახალი ოფიცერი ჩართო ოპერატიულად. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია ჟენევის მოლაპარაკებებს უჭერდა მხარს, რომელსაც რეგიონში სტაბილურობის დასამყარებლად ხელმძღვანელობდნენ თავად ეუთო, გაერო და ევროკავშირი. განხილვების შედეგად შემუშავდა საერთო ინციდენტების პრევენციის მექანიზმები.

აგვისტოს ხუთდღიანი ომის პერიოდში განხორციელდა „ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის ცხინვალის საველე ოფისის“ ევაკუირება, პერსონალის უსაფრთხოების მიზნით, ხოლო შემდეგ ახორციელებდა საქმიანობას კარალეთის „მეწინავე მონიტორინგის ბაზიდან“ 2009 წლის 30 ივნისამდე. 2009 წლიდან კი მისიამ შეწყიტა საქმიანობა, რადგან რუსეთის ფედერაციამ არ დაუჭირა მხარი მანდატის გაგრძელებას და ამით დასრულდა საქართველოში ეუთო-ს 17 წლიანი უშედეგო მოღვაწეობა [19].

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი - საქართველოში სტაბილურობისა და უსაფრთხოების მიღწევის მნიშვნელობის დადასტურებისათვის საკმარისია ის ფაქტიც, რომ დღეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი რუსეთის ფედერაციის მიერ არის ოკუპირებული, სწორედ ამის შედეგად გაჩნდა კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობაში.

აღიშნული კანონის მიზანს წარმოადგენს „განსაზღვროს იმ ტერიტორიების სტატუსი, რომლებიც ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად, დაადგინოს ამ ტერიტორიების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი“ [20].

სწორედ ამ პრობლემის აქტუალურობას ამოწმებს **საგარეო პოლიტიკის სტრატეგია,** რომელიც შემუშავდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ და ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ასევე საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული სახელმწიფო საზღვრების ურღვევობის განმტკიცება, ამას ემატება, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა და მშვიდობიანი გზით ქვეყნის დეოკუპაციის წარმატებული პოლიტიკის განხორციელება. სწორედ ეს არის დღეს მთავარი ამოცანა დიპლომატიური სამსახურისთვის [21].

მოგეხსენებათ, რომ კონფლიქტების მოგვარება თუ პოსტ-კონფლიქტური სიტუაციების დარეგულირება მოლაპარაკებების გზით არ წარმოადგენს ახალ მოვლენას. მის დახვეწას კიდევ და კიდევ მეტად ცდილობენ, რომ მეტად მოქნილი ინსტრუმენტი გახდეს აღნიშნული მიზნის მიღწევის პროცესში. როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მშვიდობის დაცვა და მისი უზრუნველყოფა. ცენტრალური ხელისუფლება მიმართავს

უსაფრთხოების რისკებისა და მათი შესაძლო პროვოკაციების განეიტრალების, მშვიდობის დაცვის, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ურყევი კურსისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის და სუვერენიტეტის განმტკიცების დაცვას, ეს კი წარმოადგენს წინაპირობას კონფლიქტების წარმატებული და მშვიდობიანი მოგვარებისთვის. ერთ-ერთი მნიშველოვანი ინსტრუმენტი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საქმეში მოლაპარაკებების გამართვა [22].

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ უსაფრთხოების და სტაბილურობის მიღწევის თვალსაზრისით არის საერთაშორისო მოლაპარაკებების ერთადერთი უმნიშვნელოვანესი ფორმატი, სადაც მონაწილეები წარმოდგენლნი არიან ინდივიდუალური სტატუსით. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ცნობით, ყოველწლიურად ტარდება ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები 4 რაუნდი. საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის გარდა მოლაპარაკებებში ჩართულნი არიან გაერო-ს, ეუთო-ს, ევროკავშირის მხრიდან წარმომადგენლები, ასევე თანათავმჯდომარეები და აშშ-ის წარმომადგენლები. ასევე, ცხინვალისა და სოხუმის წარმომადგენლები არიან ჩართულნი [23].

როგორც ცნობილია ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები ორ პარალელურ სამუშაო ჯგუფში მიმდინარეობს. პირველ ჯგუფში განიხილება საკითხები უსაფრთხოების შესახებ (მაგ.: საქართველოსა და რუსეთს შორის შეთანხმების მიღწევა ძალის გამოუყენებლობის შესახებ და ასევე უსაფრთხოების მექანიზმების შექმნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებზე), ხოლო მეორე ჯგუფში განიხილება იძულებით გადაადგილებულ პირთა და ასევე ჰუმანიტარული საკითხები (თავისუფალი გადაადგილება საოკუპაციო ხაზზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ა.შ.).

2008 წლის შემდეგ, დღეს არსებული მდგომარეობით, მოლაპარაკებათა 55 რაუნდი ჩატარდა, თუმცა მაინც ვერ ხერხდება პრობლემატური საკითხების ძირეულად მოგვარება. თითოეულ რაუნდზე ხდება მათი გადაჭრის ხელახალი მცდელობა. ამის მაგალითად მოვიყვანთ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 48-ე რაუნდს, რომელიც 2019 წლის 2-3 ივლისს ჩატარდა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებას, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ მხარეებმა ისაუბრეს ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში ჰუმანიტარული და უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებზე. ისევე როგორც წინა რაუნდებზე მოუწოდა ქართული მხარე რუსეთს შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთახმებით ნაკისრი ვალდებულები და საქართველოს ტერიტორიიდან გაიყვანოს საოკუპაციო ჯარი. როგორც ვხედავთ, ძირითადი განსახილველი საკითხები ეხება „რუსეთის მიერ ძალის არგამოყენების ვალდებულების დადასტურებისა და შესრულების აუცილებლობის საკითხს. აღნიშნულ რაუნდზე მნიშვნელოვანი აქცენტები გაკეთდა ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის საჭიროებაზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების მიღწევისა და მდგრადი მშვიდობის დამკვიდრების მიზნით [24].

საკმაოდ მნიშვნელოვანი შეხედულებები ჩანს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს მიერ ჩატარებულ დისკუსიაში თემაზე „ჟენევის მოლაპარაკებების მომავალი: დიპლომატიის როლი კონფლიქტის ტრანფორმაციისთვის“. პაატა ზაქარეიშვილმა, რომელიც იყო ერთ-ერთ მომხსენებელი და იმ პერიოდში იყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, აღნიშნულ ფორმატზე საუბრისას გამოკვეთა ხარვეზებიც. მაგალითად - მომხსენებლის აზრით, გარკვეული შეცდომები იყო დაშვებული დასაწყისშივე, რომელიც საკმაოდ კარგად გამოიყენა რუსეთის ფედერაციამ. ერთ-ერთი მათგანი არის ინიციატივა იმის შესახებ, რომ საქართველოს წარმომადგენელი ყოფილიყო საგარეო საქმეთა სამინისტრო. რუსეთმა, გამოსავლის სახით, მოლაპარაკებებში ჩართო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის რეჟიმების საგარეო საქმეთა სამინისტროები. ზაქარეიშვილის შეფასებით, აღნიშნულმა დაამძიმა პროცესი და ამით რუსეთს მიეცა საშუალება გადასულიყო ჩრდილში. მომხსენებელი ალტერნატივად მიიჩნევს სწორედ ისეთი სამინისტროს ჩართვას მოლაპარაკებებში, რომელიც იმუშავებდა კონფლიქტებზე და შესაძლებელი გახდებოდა საფრთხის თავიდანა არიდება.

რაც შეეხება უკვე მოლაპარაკებების ფორმატის გაუქმების საკითხს, მომხსენებს მიაჩნია

რომ ეს არცერთი მხარის ინტერესებს არ შედის, არც ოსებისა და აფხაზების, არც რუსეთის, რადგან ეს წარმოადგენს უმაღლეს საერთაშორისო ტრიბუნას, აქ კი მოლაპარაკებების ფორმატში შეუძლიათ ჩართვა და რა თქმა უნდა ამ შესაძლებლობას არ გაუშვებენ ხელიდან [25].

რაც შეეხება ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატის მომავალს, არსებობს აზრთასხვადასხვაობა, ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ფორმატი არის არაშედეგიანი, იმის გათვალისწინებით, რომ არ მიღწეულა ძირეული მიზნები მოლაპარაკებების შედეგად. თუმცა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში უსაფრთხოების და მშვიდობის თვალსაზრისით ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატთან მიმართებაში, უმეტესად მსგავსი ან ერთიანი პოზიცია იკვეთება ფორმატის ცვლილების თუ გაუქმების საკითხთან დაკავშირებით.

ძალიან საინტერესოა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატთან დაკავშირებით საერთაშორისო თანათავმჯდომარეების შეხედულებები, რომლებიც ასრულებენ მედიატორი ფუნქციას დისკუსიების მიმდინარეობის დროს და სწორედ მათთან უნდა მიმდინარეობდეს საქართველოს მხრიდან მუდმივ რეჟიმში მუშაობა, რათა მოვიპოვოთ მათი მხარდაჭერა. გთავაზობთ მათი ინტერვიუებიდან ამონარიდებს:

ანტი ტურუნენი, გაეროს წარმომადგენელი:

„2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებზე მსჯელობისთვის ჟენევის მოლაპარაკებები წარმოადგენს ერთადერთ პლატფორმას. დიახ, გარკვეულ პრობლემებს აწყდება მოლაპარაკებები. ჩვენ განვიხილავთ კომპლექსურ, ძალიან სერიოზულ და პრობლემატურ საკითხებს.

ამავდროულად, უმნიშვნელოვანესს ფაქტს წარმოადგენს, რომ ადგილზე შევძლოთ სიტუაციის შეფასება და ამ საკითხების გადასაჭრელად გარკვეული მექანიზმები შევიმუშაოთ. გადაწყდა, რომ შეიქმნებოდა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM), ასევე ცხელი ხაზიც, რომლის გამოყენება და ფუნქციონირება მხოლოდ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე არ იქნებოდა, არამედ შეეხებოდა სამედიცინო დახმარებასა თუ სხვა საკითხებს“ [26].

ანჯელო გნედინგერი, ეუთოს წარმომადგენელი:

„ჩვენ გვიწევს მუშაობა იმ გარემოში, რომელიც არის უნიკალური, რადგან აქ წარმოდგენილია ყველა მონაწილე მხარე. აღნიშნული კი საშუალებას აძლევს ყველა მხარეს ჰქონდეთ მრავალფეროვანი ურთიერთობა 3-4 დღის განმავლობაში თუ რამდენ დღეს გრძლდება ჟენევის მოლაპარაკებების თითოეული რაუნდი. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა თითოეულ მხარესთან განვიხილოთ მოცემული საკითხები, მათ კი აქვთ საშუალება ერთმანეთს შორის განიხილონ საკითხები, ეს კი, თავის მხრივ, მუშაპროცესში ტოვებს ამ მექანიზმს. ის ფაქტი, რომ აბსოლუტურად ყველას აქვს შესაძლებლობა ერთი ქოლგა-სტრუქტურის ქვეშ საუბრის, მიმაჩნია, რომ ეს არის მთავარი მამოძრავებელი ელემენტი“ [27].

თუ გავითვალიწინებთ იმ ფაქტს, რომ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები ეროვნული ანალიზის დონეზე წარმოადგენს არაეფექტურ ინსტრუმენტს სტაბილურობისა და უსაფრთხოების მიღწევის თვალსაზრისით, მიგვაჩნია, რომ უმნიშვნელოვანესია სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან თანამშრომლობის გაღრმავება. აღნიშნული პროცესები მეტნაკლებად უკვე დაწყებულია და საჭიროებს მეტად დახვეწას და გაღრმავებას. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women), რომელიც შტატების სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად უწყობს ხელს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მონაწილეებსა და ასევე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს წარმართონ დიალოგი. 2019 წლის 20 მაისს მსგავსი შეხვედრა გაიმართა, რომლის მიზანს წარმოადგენდა „ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მონაწილეებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ექსპერტებს შორის ინფორმაციის გაცვლა, ასევე, ქალთა ჩართულობის, მათი პრიორიტეტებისა და საჭიროებების გათვალისწინება და სამშვიდობო მოლაპარაკებების დღის წესრიგში ასახვა“.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 47-ე რაუნდის შედეგების განხილვის შემდგომ ლაშა დარსალიამ, რომელიც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელია და ასევე არის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ისაუბრა როგორც საქართველოს მიერ წარმოდგენილ ჰუმანიტარულ და უსაფრთხოების საკითხებზე, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებულ ვითარებაზე. როგორც გაეროს ქალთა ორგანიზაცია აცხადებს: „შეხვედრის მონაწილეების მიერ ხაზი გაესვა ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში ადამიანის უფ-

ლებებს, უმეტესად ქალების უფლებების საერთაშორისო სტანდართებისა თუ ინსტრუმენტების, ასევე მონიტორინგის მექანიზმების გავრცელების მნიშვნელობას. შემდეგ საკითხზე მსჯელობის გარდა როგორიცაა ქალთა ჩართულობის ზრდა სამშვიდობო მოლაპარაკებებში, უსაფრთხოებისა და ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა დამატებით გამოთქვეს მზაობა, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მონაწილეებთან უშუალო თანამშრომლობით, შეიტანონ საკუთარი წვლილი საქართველოში არსებული კონფლიქტის მშვიდობის მშენებლობის პროცესში“ [28].

რაც შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშვიდობის მშენებლობის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას, არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. „მოგეხსენებათ ე.წ სამხრეთ ოსეთში დღეს სრულყოფილი სახელმწიფო პოლიტიკა არ არსებობს, რომელიც არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობას მოაგვარებს. ამის მიუხედავად, 1990-იანი წლების შუა პერიოდში ცხინვალის რეგიონში დაიწყო ე.წ. მესამე სექტორის ფორმირება. ეს ემთხვევა ზუსტად იმ პერიოდს, როდესაც კონფლიქტის ზონებში გამოჩდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები და მოხდა პირველი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბება“.

ცხინვალის რეგიონში, მშვიდობის მშენებლობის სფეროში, სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართლობაზე იკვეთება განსხვავებული შეხედულებები. ცხადია ის ფაქტი, რომ ოსებისთვის მშვიდობის მშენებლობაზე ლაპარაკიც ზედმეტია არსებითი საკითხების მოგვარების გარეშე. მაგალითად, ალან ჯოსუევი გამოსვლისას აცხადებდა, რომ „ისეთი პროექტების განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებდა ქართულ-ოსური მხარის ერთობლივი ჩართულობით ორი – ქართული და ოსური სკოლისთვის ერთი შენობის აშენებას, არაფერი შედეგი არ მოუტანია, გარდა დონორისთვის გაგზავნილი ანგარიშისა: „ნებისმიერი სამშვიდობო პროექტის პრიორიტეტი უნდა იყოს არა საქართველოში სამხრეთ ოსეთის ინტეგრაცია და ღირებულების სხვა სისტემის თავზე მოხვევა, არამედ სამხრეთ ოსეთის სამოქალაქო საზოგადოების განვითარება მისი ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით და არა – დონორთა ინტერესების ან უკვე არსებული სხვა პროგრამების მიხედვით. ჩემთვის, როგორც სამხრეთ ოსეთის რიგითი მოქალაქისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია, რას მეძახიან მე, ჩემს ქალაქს და ჩემს ქვეყანას. ამას ჰქვია ურთიერთპატივისცემა და მშვიდობის მშენებლობის საფუძველი, მაგრამ თუ ქართველი კოლეგები ამას არ აკეთებენ, მაშინ არა აქვს აზრი მათთან მშვიდობის მშენებლობაზე საუბარს“ [29].

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არც თუ ისე ეფექტური აღმოჩნდა ეუთო-ს მისიის საქმიანობა. მისიამ ვერ მოახერხა ჯერ კიდევ 2004 წლის კონფლიქტის ესკალაცია, ვერც 2008 წლის აგვისტოს ომის თავიდან აცილება შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალში საველე ოფისის მიერ ამოქმედებული იყო მონიტორინგის განხორციელება, ეუთო-ს მისიამ კონფლიქტის ზონაში ვერ შეძლო რუსეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებისა და ე.წ „მოხალისეთა“ უკანონო გადაადგილების აღწერა და შემდგომ ვერ მოახერხა ქმედითი ღონისძიებების ჩატარება მათ შესაჩერებლად.

აღნიშნული კონფლიქტის მაგალითზე ცხადია, რომ ეუთო და გაერო, მიუხედავად მათი უდიდესი ავტორიტეტულობისა, დამოუკიდებულნი არიან ზესახელმწიფოთა პოლიტიკურ ინტერესებზე, როდესაც იღებენ გადაწყვეტილებებს. რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს კონფლიქტის მეორე მხარეს, რომელიც ისეთი წევრია ეუთო-ს და გაერო-ს, როგორც არის საქართველო, თუმცა მას გააჩნია ქმედითი ბერკეტები ამ ორგანიზაციებზე ზემოქმედებისათვის, ვიდრე – საქართველოს. სწორედ ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული მექანიზმები კონფლიქტის მოსაგვარებლად, იმ შემთხვევაში თუ რუსეთის ინტერესების საპირისპირო იქნება, აუცილებლად დაიბლოკება. რუსეთის ფედერაციას მუდამ აქვს შესაძლებლობა „ვეტო-ს“ უფლებით ისარგებლოს.

ასევე, საკმარისი არ არის მხოლოდ საქართველოს მცდელობა რათა მოგვარდეს არსებული პრობლემები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოლაპარაკებების პროცესისთვის საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობა არის მეტად სასარგებლო. მაგრამ ცხინვალისა და სოხუმის მიერ რუსეთის პოლიტიკის გატარება შეუძლებელს ხდის შესრულდეს ფორმატის მთავარი მიზანი. სტაბილურობისა და მშვიდობის მიღწევის მიზნით გამოიკვეთა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების არაეფექტიანობა, ამიტომ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მეტად მრავალფეროვანი მუშაო-

ბის გამართვა, ასევე სამშვიდობო პოლიტიკის გატარება და სამოქალაქო ორგანიზაციებთან კონსულტაციების ჩატარება, ასევე უნდა მოხდეს თანათავმჯდომარეებთან აქტიური მუშაობა მოლაპარაკებების რაუნდიდან რაუნდამდე, უნდა შემუშავდეს მყარი პოზიციები, რადგან რუსეთის ფედერაციამ არ ისარგებლოს აღნიშნული ფორმატის ცვლილებით და მთავარი მიზნების განუხორციელების დროსაც აქტიურად გაგრძელდეს საერთაშორისო დიალოგის რეჟიმი.

SOPIKO EDISHERASHVILI

THE ROLE OF THE UN AND THE OSCE IN THE ONGOING CONFLICTS IN GEORGIA FOR A PEACEFUL TRANSFORMATION

Summary

Frozen and protracted conflicts in the South Caucasus are still awaiting a just settlement. Violation of the ceasefire between the parties to the conflict will contribute to destabilization throughout the South Caucasus. A meaningful partnership with regional and international multilateral partners will contribute to the development of national, regional and local capacities to achieve a so-called peaceful dialogue. The situation in South Ossetia and Abkhazia, as well as the conflict between Russia and Georgia.

Even a review of the peace efforts made by the multilateral partners clearly shows the correlation between reducing the influence of the multilateral partners, as well as the limited mandates and opportunities for peacekeeping in the region. Conflicts in the Caucasus region require increasing attention from both the UN Peacebuilding Fund and other international donors, as well as support for leadership projects whose main goal is to develop complementarity and improve economic ties. This is especially needed where the transformation of economic competition into mutually beneficial cooperation is possible.

***Keywords**: OSCE, UN, Georgia, conflicts, Tskhinvali region, Geneva talks.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 1993 წლის 24 აგვისტო გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 858. http://abkhazia.gov.ge/laravel-filemanager/ [უკანასკნელად გადამოწმებულია 25.04.2022]
2. RESOLUTION 876 (1993). Adopted by the Security Council at its 3295th meeting, on 19 October 1993 https://undocs.org/en/S/RES/876(19930) [უკანასკნელად გადამოწმებულია 25.04.2022]
3. [08.08.08 დოკუმენტები ,,კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების კვლევითი ცენტრი" http://iccn.ge/files/6-point_plan_sarkozy_2008.pdf [უკანასკნელად გადამოწმებულია 25.04.2022]
4. Fabry, Mikulas (2010). Recognizing States: International Society and the Establishment of New States Since 1776. Oxford University Press, p. 189. ISBN 978-0-19-956444-6;
5. Cohen, Roberta (1998). Masses in flight: the global crisis of internal displacement. Brookings Institution Press, p. 343. ISBN 978-0-8157-1511-5;
6. აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, საქართველოს პარლამენტი, ნაწილი 1-ლი, თბ., 2000. გვ. 357-360;
7. პიერ დე სენარკლენი და იოან არიფენი. საერთაშორისო პოლიტიკა თანამედროვე თეორიები და ამოცანები. მეხუთე გამოცემა მთარგმნ. ნ. ცქიტიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბ., 2014), 31.
8. ეკა წამალაშვილი, გაეროს მისია საქართველოში საქმიანობას წყვეტს. რადიო თავისუფლება. (ივნისი 16, 2009). https://www.radiotavisupleba.ge/a/1755754.html [უკანასკნელად გადამოწმებულია - 07.12.2021]
9. თ. წულუკიანი საქართველოს იუსტიციის მინისტრის განცხადება 22.05.2019 https://factcheck.ge/ka/story/ [უკანასკნელად გადამოწმებულია 25.04.2022]

10. კვარაცხელია ბ., „რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი“) და საერთაშორისო თანამეგობრობა“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2015. გვ. 282;
11. საქართველოს მთავრობის განკარგულება №107 2010 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი სახელმწიფო სტრატეგიის ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ – ჩართულობა თანამშრომლობის გზით დამტკიცების შესახებ;
12. „2016-2020 წლების თანამშრომლობის გეგმას მდგრადი განვითარებისთვის“ http://www.ungeorgia.ge/geo/l7nIU] [უკანასკნელად გადამოწმებულია 26.04.2022]
13. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 2019 წ. 5 ივნისი, https://mfa.gov.ge/News/gaero-s-generalurma-asambleam,-73-e-sesiis-fargleb.aspx?CatID=5 [უკანასკნელად გადამოწმებულია 26.04.2022]
14. ჩხოტუა ზ., „ევროკავშირის ჩართულობა შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარებაში: საქართველოს მაგალითი“; თბ., 2018. გვ.18
15. Organization for Security and Co-operation in Europe. *Establishment of the Personal Representative of the Chairman-in-Office for Georgia.* 17th CSO Meeting, 6 November 1992, Journal No. 2, Annex 2 (6 November 1992). https://www.osce.org/georgia-closed/22213 [გადამოწმებულია 26.04.2022]
16. Organization for Security and Co-operation in Europe Permanent Council. 18th Plenary Meeting PC Journal No. 18, Point 5(a). DECISION No. 38. (27 April 1995). https://www.osce.org/pc/20254?download=true
17. The Secretariat Conflict Prevention Centre, Survey of OSCE Field Operations. (Vienna, Austria 26 August 2020), 51. https://www.osce.org/secretariat/74783?download=true https://www.osce.org/pc/20254?download=true [უკანასკნელად გადამოწმებულია 26.04.2022]
18. Svante E. Cornell and b S. Frederick Starr. The guns of August 2008 : Russia', war in Georgia. the Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program Joint Center, (2009), 56.
19. Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia „*Report”* Volume II. (September 2009), 302.
20. საქართველოს პარლამენტი, 2008 ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ | სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” (matsne.gov.ge) [უკანასკნელად გადამოწმებულია 26.04.2022]
21. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - Home (mfa.gov.ge), 2019 [უკანასკნელად გადა-მოწმებულია 28.04.2022]
22. „საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 8 მთავარი ამოცანა“, 2017
23. SMR.GOV.GE - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი [უკანასკნელად გადამოწმებულია 28.04.2022]
24. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ჟენე-ვის საერთაშორისო მოლაპარაკებების 48-ე რაუნდთან დაკავშირებ (mfa.gov.ge) [უკანასკნელად გადამოწმებულია 28.04.2022]
25. ჟენევის მოლაპარაკებების მომავალი: დიპლომატიის როლი კონფლიქტის ტრანსფორმაციისთ-ვის | ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო (boell.org) [უკანასკნე-ლად გადამოწმებულია 28.04.2022]
26. https://tass.com/world/753824 [უკანასკნელად გადამოწმებულია 30.04.2022]
27. https://www.files.ethz.ch/isn/124968/iai1025.pdf [უკანასკნელად გადამოწმებულია 30.04.2022]
28. https://civil.ge/archives/301070 [უკანასკნელად გადამოწმებულია 30.04.2022]
29. ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი, 2015, გვ. 184-188

ნათია გოგალაძე
*წარმოადგინა პროფ. **მაია გურამიშვილმა***

სეპარატიზმის ცნება და მნიშვნელობა

სტატია ეხება სეპარატიზმის ცნებას და მის მნიშვნელობებს, აქცენტი კეთდება სეპარატიზმს, სეცესიონიზმს, ირიდენტიზმსა და ნაციონალიზმს შორის ურთიერთობაზე.

სეპარატიზმი წარმოადგენს, როგორც მსოფლიო ასევე რეგიონალური პოლიტიკის ერთ-ერთ განმსაზღვრელ საკითხს. სეპარატიზმის კერები თითქმის ყველა კონტინენტზე გვხვდება და მის გავლენას როგორც ძლიერი, ასევე განვითარებადი სახელმწიფოებიც მწვავედ განიცდიან. მსოფლიოს წინაშე ეს საკითხი მწვავედ დგას, მითუმეტეს იმის ფონზე, რომ სხვადასხვა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები საკმაოდ კარგად იყენებენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს და ცდილობს სეპარატისტული თუსეცესიური მიზნების განხორციელებას.

სეპარატისტული მოძრაობების უამრავი განმარტება არსებობს, მათ შორის შეიძლება განვაცალკეოთ სეპარატისტული მოძრაობები, რომლებიც ემყარება ეთნო-რეგიონალურ საფუძვლებს, რომელიც საყოველთაოდ საშიში და ძალადობრივი გამოვლინების ფორმაა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს გადაუჭრელი პრობლემაა. სეპარატიზმი არის პოლიტიკური მოძრაობა ქვეყნის შიგნით, რომელიც სახელმწიფოს ერთი ნაწილის გამოყოფისკენაა მიმართული. სეპარატიზმმა შეიძლება ესწრაფვოდეს არამხოლოდ სახელმწიფოსგან გამოყოფას, არამედ შეერთებასაც.

სეპარატიზმის ცნების განხილვა,მისი სახეებისა და მოტივების ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დავინახოთ ამა თუ იმ კონფლიქტის მოტივი, განვასხვაოთ ერთმანეთისგან სეპარატიზმი, ირიდენტიზმი და ნაციონალიზმი.

საკვანძო სიტყვები: *სეპარატიზმი, სეცესია, ნაციონალიზმი, ირიდენტიზმი, ტერიტორიული მთლიანობა.*

სეპარატიზმის პრობლემა დღესაც ისეთივე აქტუალურია, როგორც ეს გასული ათწლეულების უკან იყო, რადგან სეპარატისტულ მოძრაობებთან დაკავშირებული კონფლიქტები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ქვეყნის მთლიანობას, რომელშიც უშუალოდ მიმდინარეობს დაპირისპირება, არამედ რეგიონის მშვიდობასა და უსაფრთხოებასაც, ეჭვის ქვეშ აყენებს.

მსოფლიო პოლიტიკისათვის სეპარატიზმის ნიადაგზე ინსპირირებული კონფლიქტები/ომები ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა, რამაც სეპარატიზმის საკითხის წინწამოწევას და მის აქტუალობას შეუწყო ხელი. თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმთან ერთად სწორედ, რომ სეპარატიზმი იქცა გლობალური უსაფრთხოების გამოწვევად.

სეპარატისტული კონფლიქტები განსაკუთრებულად რთულ, ხანგრძლივ და ძნელად გადასაჭრელ კონფლიქტთა რიცხვს მიეკუთვნება. მრავალ ქვეყანაში სეპარატისტული კონფლიქტები ისტორიის მანძილზე გამოირჩევა თავისი მაშტაბებით, ინტენსივობით და, რა თქმა უნდა, ხანგრძლივობით.

სეპარატისტული მოძრაობები გვხვდება მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტის (გარდა ანტარქტიდისა) მრავალ ქვეყანაში. სეპარატიზმთან დაკავშირებულ პრობლემებს არამხოლოდ განვითარებადი, არამედ განვითარებული ქვეყნებიც განიცდიან, რასაც მოწმობს მაგალითად, დამოუკიდებლობისთვის (ბრძოლა): ესპანეთში – ბასკები და კატალონიელები, იტალიაში – პადანია, ტიბეტელები ჩინეთში, კანადაში – კვებეკი და ა.შ.

თანამედროვე მსოფლიოში დაახლოებით 3-5 ათასი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს, დაახლოებით 223 ეთნოსი მილიონზე მეტ ადამიანს ითვლის, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ დღეს, თანამედროვე სახელმწიფოების უმრავლესობა პოლიეთნიკური შემადგენლობისაა. პოლიეთნიკურობა კი უფრო მეტად დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისთვის.

სეპარატისტულ, ეთნიკურ და ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებს, როგორც უკვე ავღნიშნეთ, მსოფლიოს ყველა კონტინენტზე ვხვდებით, რა თქმა უნდა ანტარქტიდის გარდა.

სეპარატიზმის დეფინიციასთან დაკავშირებით არსებობს მსოფლიოს ლიტერატურასა თუ ლექსიკონებში სხვადასხვაგვარი განმარტება. ერთ-ერთი განმარტებით, სეპარატიზმი ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ მოძრაობას წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოსგან რომელიმე ნაწილის გამოყოფისკენაა მიმართული. სეპარატიზმი შესაძლებელია ესწრაფვოდეს, არა მარტო გამოყოფას სხვა სახელმწიფოსაგან, არამედ შეერთებასაც. სეპარატისტული მიმდინარეობების მრავალრიცხოვანი სახესხვაობა არსებობს, რომელთა შორისაც განსაკუთრებულად უნდა გამოიყოს ეთნო-რეგიონალურ საფუძვლებზე დაფუძნებული აგებული სეპარატისტული მოძრაობები [1. 125].

კემბრიჯის საერთაშორისო ლექსიკონის თანახმად, სეპარატიზმი გულისხმობს „რწმენის, რელიგიის ან სხვა ჯგუფის წარმომადგენელთა რწმენას/სურვილს ქვეყნის შიგნით, რომ ისინი უნდა იყვნენ დამოუკიდებლები და ჰქონდეთ საკუთარი მთავრობა ან სხვაგვარად იცხოვრონ სხვა ხალხისგან დამოუკიდებლად [2].

სეპარატისტული ქმედებები მიმართულია ცენტრალური წარმომადგენლების წინააღმდეგ: პოლიცია, არმია, საგადასახადო თანამდებობის პირები, მოსამართლეები და ა.შ., რაღა თქმა უნდა, არა ყველა ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ამას არ შეიძლება ავტომატურად ჩაითვალოს სეპარატისტულად.ა.შ, რაღა თქმა უნდა ეს გულისხმობს არა ყველა ქმედებას, არამედ მოისაზრებს მხოლოდ იმას,რომელიც ავტომატურად სეპარატისტულად უნდა იყოს გაგებული, ტექნიკურმა პროგრესმა კი ძალაფლების ბალანსშიც მოიტანა ცვლილებები [3. 21].

ფ.ა პოპოვი მიიჩნევს, რომ სეპარატისტული მოძრაობების ჩამოყალიბება გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორებით: ფსევდო-ეთნიკური, რელიგიური, საგარეო პოლიტიკა, პირადი უფლებამოსილების ფაქტორი (ქარიზმატული ლიდერი), ადმინისტრაციული საზღვრების ფაქტორი (ჯგუფი, რომელიც ქმნის ტერიტორიულ იდენტურობას, იქმნება ზოგადი იდენტიფიკაციის საფუძველზე გარკვეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული), ტერიტორიული ფაქტორი (ტერიტორიის მქონე პირთა იდენტიფიცირება, ტერიტორიის სივრცითი გამოყოფით), ისტორიული, ეკონომიკური ფაქტორი და ა.შ. [4. 55].

სეპარატისტული განწყობების წარმოშობის წინაპირობები შეიძლება იყოს სხვადასხვა ფაქტორი: პოლიტიკური ეკონომიკურ და კულტურული დისკრიმინაცია, ეთნიკური, ენობრივი, კონფესიური და სხვა საფუძველი, ეკონომიკური საქონლის არასაკმარისი განაწილება და რესურსები, რეგიონული განვითარების უთანასწორობა, ისტორიული თვისებები, განვითარება, ძალაუფლების ბრძოლა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ადგილობრივ, რეგიონალურ და სახელმწიფო დონეზე და ა.შ.

სხვა სოციოლოგიური ფენომენის მსგავსად, სეპარატიზმი გარკვეული კანონების მიხედვით ვითარდება და ინიცირებულია გარკვეული ფაქტორებით, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ობიექტური და სუბიექტური ჯგუფების განმასხვავებელი ნიშნებით გამოიყოს გამოყოფა: ობიექტური ფაქტორები მოიცავს იმ ფაქტორებს მნიშვნელობებს, რომლებიც შედარებით დამოუკიდებლად არსებობს საზოგადოების საზოგადოებრივ ცნობიერებაში. ამ ტიპის ყველაზე ნათელი მაგალითია ბუნებრივი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მოცემული ტერიტორიის რესურსების პოტენციალს და გამოხატავს ეთნიკურ, რელიგიურ, ეკონომიკურ და სხვა ჰეტეროგენეობას ერთიან სახელმწიფოში, რაც რამაც, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს ცენტრიფუზიური ტენდენციების ფართობი. ეს ტრანსფორმაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პროცესის სუბიექტური ფაქტორების აქტიური ქმედებებით – მაგალითად, ეროვნული, კულტურული თვითმყოფადობის ძიება, მოსახლეობის პოლიტიკური აქტივობა, გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ეკონომიკური სიტუაცია.

სეპარატიზმი ყველაზე გავრცელებული მნიშვნელობით არის ქვეყნის ტერიტორიის გამიჯვნა ცალკე სახელმწიფოს შექმნის ან ფართო ავტონომიის სტატუსის მოპოვების მიზნით. სეპარატიზმი იწვევს სუვერენიტეტის, ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, საზღვრების ურღვევობის პრინციპის დარღვევას, ასევე მოიცავს ეთნიკურ კონფლიქტებს.

დღესდღეობით სეპარატისტული მიმდინარეობები საკმაოდ მომძლავრებულია, სეპარატისტული მოძრაობების ჩამოყალიბება სპონტანურად და მცირე ხანში არ ხდება, იგი რთული და მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების შედეგია. სეპარატიზმი ნაკლებად უკავშირდება სახელმწიფოთა განვითარების დონეს, მისმა ტალღამ შესაძლოა გადაუაროს, როგორც განვითარებულ ასევე ინ-

დუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოებსაც და იქ დაიწყოს გავრცელება.

სეპარატიზმის ყველაზე საშიში და ძალადობრივი გამოვლინების ფორმა ეს არის აგრესიული სეპარატიზმი,რომელიც თანამედროვე მსოფლიოსათვის განსაკუთრებით გადაუწყვეტ პრობლემას წარმოადგენს, საერთაშორისო თანამეგობრობამ კი ვერ შეძლო ამ პრობლემის დარეგულირება.

ტერმინი „აგრესიული სეპარატიზმი“ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან 1992 წელს გაჟღერდა აფხაზი სეპარატისტების მისამართით, რაც შემდგომ წლებშიც იქნა განმეორებული, თუმცა ოფიციალურ დოკუმენტებში დაფიქსირებული და ასახული არ არის. ამ ტერმინის საერთაშორისო დიპლომატიურ ლექსიკონში დამკვიდრების წინააღმდეგ ძირითადად გამოდიან რუსი დიპლომატები, რომლებიც თავის წინააღმდეგობას ამტკიცებენ არგუმენტით, რომ სეპარატიზმი უკვე აგრესიულია თავისი ბუნებით [5].

სეპარატისტული იდეოლოგია ხშირ შემთხვევაში ყალიბდება არა ეთიკური ჯგუფის ან ხალხის მიერ, არამედ ვიწრო წრის, როგორც წესი ეთნოკრატიის მიერ.

სეპარატისტული მოძრაობა, ხშირ შემთხვევაში, დაფუძნებულია რომელიმე ეთნიკური ელიტარული ჯგუფის მიერ საკუთარი კეთილდღეობისა და პრივილეგიების შენარჩუნების იდეაზე. სეპარატიზმი ეს არის შიშველი და ავადმყოფური უარყოფა, მათ დევიზად, შესაძლებელია, მივიჩნიოთ „ყველაფერი მთლიანობის წინააღმდეგ“.

სეპარატიზმი აქტიურად ესწრაფვის გამოყოფის იდეის რეალიზაციას, სეპარატისტული მოძრაობის მთელი ძალები მთლიანადაა კონცენტრირებული სახელმწიფოსგან გამოყოფის სტრატეგიულ მიზანზე, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე სეპარატიზმი ცდილობს ნებისმიერ, მათ შორის სახელმწიფო ერთობის იდეის უარყოფის ფასად თავისი მიზნის განხორციელებას.

სეპარატიზმის უმთავრესი პრობლემა დაკავშირებულია სახელმწიფოს და ხალხის ურთიერთობასთან, ხალხის პოლიტიკურ თვითგამორკვევასთან. ამ გზით წარმოქმნილი დაპირისპირების სამართლებრივი ასპექტი აისახება საერთაშორისო სამართლის სფეროში, მეცნიერთა ნაწარმოებებში.

ამავდროულად, სეპარატიზმი განიხილავს სამართლებრივ კონფლიქტს, რომელიც მოიცავს საერთაშორისო სამართლის ორი ნორმის კომბინირებას – ერთი მხრივ, არსებული საზღვრების ურღვევობისა და სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს და, მეორე მხრივ, ხალხის უფლებას თვითგამორკვევისთვის. ამ სფეროში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ავტორები მიიჩნევენ, რომ სეპარატიზმი საფრთხეს უქმნის გეოპოლიტიკურ სტაბილურობას.

სეპარატისტული მოძრაობების ჩამოყალიბება და განვითარება ყველა საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი, ისტორიის მანძილზე კი იცვლებოდა მხოლოდ მისი ფორმები, დღესდღეობით კი გამოყოფენ სეპარატისტული მისწრაფებების ოთხ ძირითად მოტივაციას:

1. სეპარატისტთა მოსაზრებით, ხელისუფლებისა და მართვის პოზიციების პოლიტიკურად უსამართლო დანაწილება ერთ-ერთი მძლავრი მოტივია მათი ქმედებების გამართლებისთვის;
2. სასიცოცხლო ეკონომიკური სივრცის შემჭიდროვება, რაც გამოწვეულია მოსახლეობის რაოდენობის ზრდითა და ეკოლოგიური პრობლემების გაუარესებით;
3. რელიგიური შეუწყნარებლობა, ასევე კულტურის ასიმილაცია;
4. სეპარატისტების მიერ „უსამართლოდ“ მიჩნეული საზღვრებისა და ხელშეკრულებების რევიზიის ცდა [6].

სეპარატიზმის იდეა, როგორც ფენომენი ეროვნულ ურთიერთობებში დეტერმინირებული წინააღმდეგობები და კონფლიქტები ასახულია მრავალ მეცნიერთა ფილოსოფიურ და პოლიტიკურ ნაშრომში. ნათელი და აშკარაა ის ფაქტი, რომ შეუძლებელია შეიქმნას ჰომოგენური სახელმწიფოები, რომლებიც ეთნიკური შემადგენლობით ერთგვაროვანი იქნება, მაგრამ სეპარატიზმის პრობლემა ავტორის თქმით იგივე დარჩება.

აქედან გამომდინარე თუ ვ.ა. ტიშკოვი მიიჩნევს, რომ სეპარატიზმს არ შეუძლია გადაჭრას რაიმე კონფლიქტი და იგი პირიქით ართულებს მას [7. 37], იუ. ვ. ბრომლი სხვაგვარად მიიჩნევს და აცხადებს რომ „ეროვნულ სფეროში არსებულ შეწინააღმდეგებათა ძირითადი მიზანია ეროვნული პროცესების ორი ძირითადი პრინციპის დიალექტური ურთიერთქმედება – დიფერენციაცია და ინტეგრაცია“.

ჩემი აზრით, ეს თვალსაზრისი ყველაზე კონსტრუქციულია, რადგან იგი აყალიბებს

დიპლომატიურ ჩარჩოებს. ნაციონალური ურთიერთობების სფეროში დადებითი და უარყოფითი ასპექტების შესწავლისა და საერთო ტიპოლოგიის ანალიზის შესაძლებლობას გვაძლევს სეპარატიზმი და საზოგადოების ეროვნული და სახელმწიფო ინტერესების იდეის განსაზღვრებას.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად სეპარატიზმი არაერთგვაროვანია და დაკავშირებულია შიდა ეკონომიკური წინააღმდეგობების სფეროსთან – ეს არის ცენტრისა და პერიფერიის ძალაუფლების დისბალანსი. ამის გამო, სეპარატიზმის ბუნებისა და არსის გარკვეულ ასპექტებს განიხილავენ სახელმწიფო სტრუქტურის სფეროში. ამავე დროს, სეპარატიზმი განიხილება, როგორც ერთ-ერთი შესაძლო საფრთხე, რომელიც სახელმწიფოს ტოტალიტარიზმის რეჟიმიდან გადადის დემოკრატიის გარდამავალ პერიოდში.

სეპარატიზმის წარმოშობის აუცილებელი პირობებია: სახელმწიფოსა და მისი კომპონენტების, სახელმწიფოს გაფართოების, მისი პოლიტიკის, ხელისუფლების ცენტრალიზებული ხასიათის ასრსებობა და აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის არარსებობა ან უკმარისობა. სახელმწიფოში პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. გარდა ამისა, სეპარატიზმის წარმოშობა ხშირად ხდება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და მოსახლეობის მიგრაციის ფონზე,ისევე როგორც სახელმწიფოს იმ ადგილებში, რომლებიც სხვა პარამეტრებში განსხვავებული ან მკვეთრად განსხვავებულია.

სეპარატისტული ჯგუფები იცავდნენ პირდაპირობას, პოლიტიკის ფორმას და პოლიტიკურ საქმიანობას, რომელიც დაფუძნებულია გარკვეულ სოციალურ ჯგუფებზე. სწორედ ასეთი ჯგუფები მიიჩნევდნენ, რომ დომინანტურ ჯგუფებს შეუძლიათ ინტეგრაცია, კომპრომისზე წასვლა, თუმცა ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები, როგორც წესი სეპარატისტული მოძრაობების შექმნისას ძლიერია, ვიდრე ნაკლებად იდენტურ მოძრაობებთან.

სეპარატიზმი, როგორც ცალკე მდგომი ფენომენი, ვფიქრობ, არ უნდა განვიხილოთ. იმისთვის, რომ უკეთ მოვახდინოთ ამა თუ იმ კონფლიქტის კლასიფიკაცია, აუცილებლად და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიმაჩნია ვიცნობდეთ მასთან „მონათესავე“ ცნებების განმარტებებს, მათ სახეებს, დამახასიათებელ ნიშნებსა და ფორმებს, რადგან სწორად მოვახდინოთ კონფლიქტის დახასიათება და შემდგომ სწორი მიმართულებით შევარჩიოთ ამ კონფლიქტების დეესკალაციისთვის საჭირო მექანიზმები.

ზოგადი და ყველაზე გავრცელებული განმარტების მიხედვით სეპარატიზმი – სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები მცირერიცხოვანი ერის, ეროვნული ან ეთნიკური უმცირესობის მცდელობაა ამ სახელმწიფოს ფარგლებში მიაღწიოს მაქსიმალურ პოლიტიკურ ავტონომიას, ფედერაციაში ცალკე სუბიექტის სტატუსს ან საერთოდ გამოეყოს მას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანებით [8. 12].

ამ განმარტების ირგვლივ აუცილებელია ვახსენოთ ირედენტიზმი, რომელიც XIX საუკუნის ევროპაში გაჩენილი მოძღვრებაა. იგი მოუწოდებდა „ისტორიული ტერიტორიების“ დაბრუნებისკენ, ასე მაგალითად საფრანგეთსა და გერმანიას შორის დავა ელზასისა და ლოტარინგიის თაობაზე, რაც შეეხება კავკასიას, აქ ირედენტიზმის მაგალითებია: საქართველო „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, „დიდი სომხეთისა“ და „ერთიანი თურანის“ შექმნისკენ მოწოდებები.

საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, სამართლის ყოველგვარი მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ სახელმწიფოს მთელი მოსახლეობის ნება-სურვილის გამჟღავნებით (რეფერენდუმით ან სხვ.). დაუშვებელია სეპარატისტული მოძრაობის მცდელობა, ძალით ჩამოაცილოს არსებულ დემოკრატიულ სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი და ამ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა ხელყოს.

სეპარატიზმი, როგორც უკვე ავღნიშნეთ შესაძლოა ეფუძნებოდეს ეკონომიკურ, კულტურულ, იდეოლოგიურ, ეთნიკურ და სხვა საკითხებს, ამავე დროს მას გააჩნია აქტიურობის ხარისხი, რომელიც შეგვიძლია გამოვყოთ სამ ნაწილად:

- **აქტიური** – როდესაც ეთნიკური ჯგუფი აქტიურად უჭერს მხარს სეცესიის იდეას;
- **ზომიერი** – როცა ეთნიკური ჯგუფი ითხოვს მხოლოდ ავტონომიას და მიმართული არ არიან სეცესიისკენ;
- **პასიური** – როცა ეთნიკური ჯგუფი უკმაყოფილოა თავისი პოზიციით, მაგრამ არ აცხადებს რაიმე სახის პრეტენზიას.

კონფლიქტის ტრაქეტორია განისაზღვრება

ამა თუ იმ კონფლიქტის დაძაბულობის ძირითადი ფაქტორების ერთობლიობით. კონფლიქტის განმსაზღვრელი ფაქტორები გვიჩვენებს მის ძირითად ტიპსაც. კვლევის მსვლელობისას შევძელით გამოგვეკვეთა სამი კონფლიქტის ტიპი: პოლიტიკურ-ადმინისტრაციული კონფლიქტი, პოლიტიკურ-ინსტიტუციური კონფლიქტი, პოლიტიკურ-ტერიტორიული კონფლიქტი. რაც შეეხება კონფლიქტის ხასიათს და დინამიკას, განისაზღვრება, გარკვეულ სფეროებში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, ასე მაგალითად: ისტორიული მეხსიერების, ეთნიკური კუთვნილების პრობლემა, განსხვავებული იდენტობა/კულტურა, მკვეთრად გამოხატული ეკონომიკური და სოციალური დისბალანსი, რელიგიური წინააღმდეგობები და ა.შ.

სეცესია დღესდღეობით იშვიათი მოვლენაა, თუმცა არა იმდენად რომ ყურადღების მიღმა დაგვრჩეს ამა თუ იმ კონფლიქტის განხილვისას და მასზე მუშაობისას. სეცესიის პრობლემის აქტუალობა თანამედროვე პერიოდში საკმაოდ კარგად დაგვანახა კოსოვოს საკითხმა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ტერმინებისა და ცნებების სწორი დეფინიცია, მათი მახასიათებლების და წინაპირობების განსაზღვრა.

სეცესიის შესახებ უამრავი თეორია არსებობს, რის გამოც კონსესუსის მიღწევა მის ზუსტ განმარტებასთან დაკავშირებით საკმაოდ რთულია. ამერიკელმა ფილოსოფოსმა, ალენ ბიუკენანმა 1990-იან წლების დასაწყისში პირველად დაიწყო ამ თემის სისტემური აღწერა და სეცესიის შესახებ ლიტერატურის ნორმატულ კლასიფიკაციაშიც შეიტანა თავისი წვლილი. ბიუკენანმა აღნიშნულ თემატიკას მიუძღვნა ნაშრომი (1991 წელი) „Secession: The Morality Political Divorce from Fort Sumter to Lituania and Quebec“. წიგნში ალენ ბიუკენანი გამოყოფს გარკვეულ გარემოებებში სეცესიის შეზღუდულ უფლებას, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია სხვა ეთნიკური ან რასობრივი ჯგუფის ადამიანების ჩაგვრასთან, განსაკუთრებით კი მათთან ვინც ადრე დაიპყრო ისინი.

„სეცესია სეპარატიზმის უკიდურესი ფორმაა, რომელიც მიზნად ისახავს გარკვეული ტერიტორიის სრულ პოლიტიკურ გამოყოფას არსებული სახელმწიფოდან და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. სეცესია სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების უცვლელობის პრინციპების წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა და ეთნიკური მინიმალიზაციის მთავარ მიზანს გამოხატავს. შესაბამისად სეცესიისაკენ სწრაფვა, თუ ამის ობიექტური მიზეზები არ არსებობს (ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობა განიცდილის შევიწროებას და რეალურია მისი, როგორც ეთნოსის გაქრობა) საერათაშორისო სამართლის მიერ დაიგმობა, თუ, რა თქმა უნდა, თვით არსებული სახელმწიფო არ დაეთანხმება მისი ტერიტორიის ნაწილის გამოყოფას და იქ სუვერენული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას“ [9].

სეპარატიზმის პრობლემის განხილვისას ნაციონალიზმსაც აუცილებლად უნდა შევეხოთ, რადგან მას შემდეგ რაც ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია გამოჩნდა მსოფლიო ასპარეზზე გამოიწვია მკვლევარებსა თუ მეცნიერებს შორის კამათი და დისკუსია, ეს ფენომენი დადებით მოვლენას წარმოადგენდა თუ უარყოფითს.

საკითხით დაინტერესებული მეცნიერების მოსაზრებით გლობალიზაციის პერიოდში, როდესაც საზღვრები გაქრება ისეთი პრობლემები, როგორიც ნაციონალიზმია აღარ იქნება და ის წარსულის პრობლემად გადაიქცევა, მაგრამ ჩვენ ყველა კარგად ვხედავთ თუ როგორ ხდება ნაციონალიზმი კვლავ ამა თუ იმ რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების განმსაზღვრელი ელემენტი. ნაციონალიზმმა მკვეთრი გავლენა მოახდინა ისეთ დიდ მოვლენებზე, როგორიცაა ბრექსითი, უნგრეთის რეფერენდუმი და ა.შ.

ისევე როგორც სეპარატიზმს ნაციონალიზმიც გამოირჩევა თავისი სახეებით. მისი ძირითადი სახეა – ეთნიკური ნაციონალიზმი, რომელიც მიზნის მიღწევის ანუ ეროვნული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, როგორც წესი იცვლება ლიბერალურ და სახელმწიფო ნაციონალიზმად, რომლებიც აქცენტს არა ეთნიკურ, არამედ კულტურულ და პოლიტიკურ ერთობაზე აკეთებენ და სახელმწიფოს შიგნით არსებულ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკურ ნაციონალიზმს,როგორც სახელმწიფოს ერთიანობის მთავარ მტერს.

სეპარატიზმთან ასოცირებულია ირიდენტიზმის ცნება, მაგრამ მათ შორის განსხვავებებიც მკვეთრად იკვეთება. ირიდენტიზმი მოიცავს ტერიტორიის გამიჯვნას სახელმწიფოსგან და მის შემდგომ მიერთებას უკვე არსებულ სხვა სახელმწიფოსთან, მაშინ როდესაც სეპარატიზმის შემთხვევაში შერწყმა არ ხდება. კვლევებმა აჩვენა, რომ ირიდენტიზმი უფრო მეტად ძალადობრივია,ვიდრე სეცესიონიზმი.

ირიდენტიზმის საფუძველზე წარმოებული კონფლიქტის დროს ძირითადი მიზანი ერთ სახელმწიფოსგან გამოყოფას და „ისტორიული“ სამშვლოს საზღვრებში დაბრუნებს გულისხმობს, ამ შემთხვევაში არ დგას დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნა. ირიდენტიზმი XIX საუკუნეში ევროპაში გაჩნდა, როგორც მოძღვრება. იგი „ისტორიული ტერიტორიების“ დაბრუნებისკენ მოუწოდებს ერებს.

ალექსეი მილერი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პეტერბურგის ევროპული უნივერსიტეტის პროფესორი აღნიშნავს, რომ ირიდენტიზმი პოლიტიკურ პრაქტიკად იქცევა, ანუ გარკვეული ძალისხმევით მხარდაჭერილი სოციალური მოძრაობაა. ამ ძალის მხარდამჭერი სახელმწიფო, მაგალითად იტალიაში ეს არის პიდმონტი, გერმანიაში – პრუსია. ირიდიენტობას საკუთარი იდეოლოგია აქვს, რომელიც ნაციონალიზმს ეფუძნება.

XX-XXI საუკუნეებში ასეთი იდეოლოგიის განხორციელების საკმარისი მაგალითებია. ზოგიერთი ტრაგიკულია, ხოლო ზოგი კი საკმაოდ ცივილიზებულია. მაგალითად, მესამე რეიხის იდეოლოგია ნამდვილად არარედინექტური იყო. მათი ერთ-ერთი მთავარი დებულება იყო - ყველა გერმანელის გაერთიანება. ომის შემდგომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა იყო ასევე ირიდენტული, რადგან არ აღიარებდა გერმანიის ორ ნაწილად გაყოფს და სურდა ეს ორი ნაწილი ერთ მთლიანობად ქცეულიყო. მილერი, სწორედ ამას მიიჩნევს ირიდენტიზმად [10].

კ. ბოილი და პ. ენგლბერტი წიგნში „პოლიტიკის უპირატესობა სეპარატიზმის დინამიკაში“ აღნიშნულია, რომ სეპარატიზმი დღეს პოლიტიკურ პირობებზე რეაქცია უფროა, ვიდრე კულტურული განსხვავებების გამოვლინება ან ეკონომიკური შესაძლებლობების გამოყენება [11].

ჩემი აზრით, აღნიშნული მოსაზრება რეალურია და შეესაბამება დღევანდელობას, რადგან მიმდინარე სეპარატისტულ კონფლიქტებს თუ დავაკვირდებით მსოფლიოში თვალწინ გაგვეშლება პირველი მიზეზი რაც ეთნიკურ უმცირესობებში იწვევს უკმაყოფილებასა და აჯანყებას, ეს მიზეზი სწორედ რომ ეკონომიკური მდგომარეობაა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გამომდინარე აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დიდი ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული საკითხის (პრობლემის) თავიდან აცილებისკენ, ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებით. ისტორიული პროცესებიის გაანალიზებით და მკვლევართა მოსაზრებაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსგავსი ტიპის კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მჭიდრო კავშირი ცენტრალური ხელისუფლებასა და კონფლიქტურ რეგიონ(ებ)ს შორის. ამავე დროს მნიშვნელოვანია იმ ქვეყნების ისტორიული გამოცდილების გაზიარება, რომლებმაც შეძლეს მინიმალური მსხვერპლით აღნიშნული კონფლიქტების დეესკალაცია.

სეპარატისტები ხელყოფენ სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ რაოდენ მრავალმხრივი ფენომენია. მას აქვს სტრუქტურული, ფუნქციური და გენეტიკური ასპექტები. იმისათვის რომ სახელმწიფოს მთლიანობა დაირღვეს სამივე კომპონენტზე უნდა მოხდეს ზემოქმედება, მათ შორის სახელმწიფო აპარატსა და ისტორიული მეხსიერების კოორდინირებულ ფუნქციონირებაზე.

ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილი ცნებების დეფინიციები საკამათო და მეტად საინტერესოა სეპარატიზმით დაინტერესებული პირებისთვის, რადგან თუ კარგად დავაკვირდებით აღნიშნული ტერმინოლოგიები გამოხატავენ იმ ფაქტს, რომ სეპარატიზმი შეიძლება არსებობდეს როგორც აშკარა ისე ფარული ფორმით.

ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სეპარატიზმი მხოლოდ ძალადობრივი ქმედებებით არ შეიძლება გამოიხატებოდეს, შესაძლოა ის საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ან ჰუმანიტარულ-ტექნოლოგიურ ზემოქმედებაში გამოიხატოს.

NATIA GOGALADZE

THE CONCEPT AND MEANING OF SEPARATISM

Summary

The article adresses the concept of separatism and its meanings, focusing on the relationship between separatism, secessionism, irredentism and nationalism.

Separatism represents the defining factor in international as well as regional politics. The signs of separatism can be found in every part of the world heavily affecting both highly developed and developing countries. Although minority groups take the advantage of the nation's self-determination principle and aspire to separate and secede, separatism still poses danger to the world.

There are numerous explanations of separatism movements, separatist movements based on ethno-regional basis might be separated among them, which is a form of dangerous and violent manifestation of separatism, which is an unresolved problem of the modern world. Separatism is political movement inside the country, which is directed to separate one of part of the state. Separatism can strive not only to secession from the other state, but also to join it.

Discussing the concept of separatism, the formation of its characters and motives significantly helps to show the motivation of a conflict or difference the signs of separatism, irredentism and nationalism.

Key words: **Separatism, Secession, Nationalism, Irredentism, Territorial Integrity.**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ermacora, F., Allgemeine Staatslehre, Vom Nationalstaat Zum Weltstaat, 1970, S.624;
2. Cambridge International Dictionary of English (Procter, 1995)
3. Separatism And Disintegration, Bertrand M.Roehner with the collaboration of Leonard J.Rahilly; LPTHE, University Of Paris, 2016; pp.368.
4. Попов Ф.А., География сецессионизма в современном мире. М.: Новый Хронограф, 2012. 672 с
5. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12840;
6. SEPARATISM., http://en.wikipedia.org/wiki/Separatism (გადამოწმებულია 8 იანვარი, 2020 წელი)
7. Тишков В.А., Шабаев Ю.П. Этнополитология: политические функции этничности. М.: Изд-во Московского университета, 2011
8. Wegemund, R. Politisierte Ethnizitat In Muuretanien Und Senegal, 1991, S.12
9. სეცესია, სამოქალაქო განათლების კექსიკონი http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6663
10. ალეკსეი მილერი: „ირიდენტიზმი და ეროვნული იდენტურობის კრიზისი“, 30.10.2017, https://globalaffairs.ru/number/Irredentizm-i-krizis-natcionalnoi-identichnosti-19125
11. K. Boyle and P. Englebert in their book "The Primacy of Politics in Separatist Dynamics" (Boyle, Englebert 2006)
12. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4505;
13. https://irredentism.askdefine.com/

1. მიდელაშვილი ს. ტერიტორიული მთლიანობისა და სეპარატიზმის პრობლემა საქართველოში. 2014, გვ.189

მარიამ ჩივაძე

წარმოადგინა პროფ. ჰენრი კუპრაშვილმა

ევროკავშირის და ნატოს როლი ჰიბრიდულ ომთან გამკლავების პროცესში

ჰიბრიდული გამოწვევების შესწავლა მნიშვნელოვანია ნატოში ინტეგრირების პროცესის ყოვლისმომცველი ანალიზისთვის საფუძვლის მოსამზადებლად, განსაკუთრებით, „უსაფრთხოების“ უფრო ფართო კონცეპტუალიზაციის პირობებში, რაც არა მარტო ტრადიციულ, „უხეშ“ ფაქტორებს მოიცავს, არამედ უსაფრთხოების „რბილ“ ანუ, არასამხედრო კომპონენტებსაც, რომლებიც ასე ხშირად რჩება პოლიტიკის შემმუშავებლებისა და ფართო საზოგადოების განსჯის მიღმა. ის ასევე შესაძლებლობას იძლევა, მეტი ფოკუსირება მოხდეს თანამედროვე კონფლიქტის ცვალებად ხასიათზე, რომელშიც არასამხედრო საშუალებები სულ უფრო დიდ როლს თამაშობს. შესაბამისად, ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილების შესწავლა უდავოდ შეიტანს წვლილს ეკონომიკური ნატოს კვლევაში, რომლის მიზანიც არის, გაუმჯობესოს საჯარო დისკუსიების ხარისხი ალიანსის გაფართოების პროცესის შესაძლო შედეგების თაობაზე.

გლობალური უსაფრთხოების ბევრ იმ პრიორიტეტს შორის, რომელთა წინაშეც დემოკრატიული სამყარო დგას, ევროპული მომავლისთვის უმთავრესია მისი უსაფრთხოების გამოწვევების დაძლევა.

***საკვანძო სიტყვები**: ნატო, ევროკავშირი, ჰიბრიდული ომი, უსაფრთხოება, რბილი ძალა.*

ბოლო წლებში ევროპის ქვეყნები და მთლიანად ევროკავშირი მრავალჯერ გახდა მომსწრე საზოგადოების და ლეგიტიმური მთავრობების დესტაბილიზაციის მცდელობების.

როგორც უცხოელები, ისე საშინაო, სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები ცდილობენ შეარყიონ მოქალაქეების ნდობა დემოკრატიული პროცესებისადმი, გაამწვავონ პოლიტიკური პოლარიზაცია და გაავრცელონ გეოპოლიტიკური მოვლენების შესახებ დაბნეულობა სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით. ამ სტრატეგიების დროს გამოყენებულია სხვადასხვა სახის დეზინფორმაციული კამპანია და მიგრაცია, როგორც ზეწოლა, საბოლოო ჯამში ამ ყველაფრის ერთობლიობით ვიღებთ ჰიბრიდული საფრთხეებს.

ნატო ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ჰიბრიდული ომის თემას, ამის მაგალითია ვარშავასა და უელსის სამიტებზე შემუშავებული სტრატეგია და დეკლარაცია [1].

ვინაიდან, ჰიბრიდული საფრთხეების სიჩქარე, მასშტაბი და ინტენსივობა ბოლო წლებში განსაკუთრებულად გაიზარდა, დღეს, **ნატოს მთავარი პრიორიტეტი,** ჰიბრიდული თავდასხმების პრევენციისთვის, წინააღმდეგობის გაწევისთვის და მათზე რეაგირებისთვის, სახელმწიფო თუ არასახელმწიფო აქტორების მხრიდან მზადყოფნაა [2].

2015 წლიდან ნატოს აქვს სტრატეგია თავისი როლის შესახებ, ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნატო უზრუნველყოფს, რომ ალიანსი და მოკავშირეები იყვნენ საკმარისად მომზადებული ჰიბრიდული თავდასხმების ნებისმიერი შესაძლო სცენარით განვითარებისათვის. ნატო მზად არის შეაკავოს ჰიბრიდული თავდასხმები ალიანსზე და საჭიროების შემთხვევაში დაიცვას დაინტერესებული მოკავშირეები.

2016 წლიდან ნატოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის პრიორიტეტულ საკითხად განისაზღვრა ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლა.

2020 წლის ივლისში მიღებული ევროკავშირის უსაფრთხოების კავშირის სტრატეგია და 2020 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ნატოს რეფლექსიის ანგარიში „ნატო 2030: გაერთიანებული ახალი ეპოქისთვის“ ადასტურებს, რომ ჰიბრიდული საფრთხეები ნელნელა იზრდება და ეს საფრთხეები არის მიმართული დესტაბილიზაციისაკენ. ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ საბრძოლველად, ევროკავშირი და

ნატო აღიარებენ ქვეყნებსა და პარტნიორებს შორის შემდგომი თანამშრომლობის და კავშირის გაძლიერების მნიშვნელობას, ამასთან აღიარებენ, რომ აუცილებელია შემუშავდეს პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენების საერთო მიდგომები.

ევროკავშირისა და ნატოს გადმოსახედიდან, ძალების გაერთიანება, ძირითადი საკვანძო საკითხების იდენტიფიცირება და საერთო რისკის შეფასება მოითხოვს პარტნიორებს, წევრ ქვეყნებს, სამოქალაქო და კერძო სექტორებს და ევროკავშირ-ნატოს ინსტიტუტებს შორის საერთო სინქრონიზებულ ძალისხმევას. ძალების გაერთანება ჰიბრიდული საფრთხეების შეკავებისა და თავიდან არიდების წინაპირობაა. თავდაცვის პირველი ხაზი მოითხოვს საერთო გამძლეობას, უსაფრთხოების საერთო გაგებას, ისევე მოთხოვს ერთობლივ ცნობიერებას და სისუსტეებისა და უსაფრთხოების რისკების შეფასებას.

თავდაცვისათვის აუცილებელია მოქნილობა, ინსტიტუციური ადაპტირება, პასუხისმგებლობა, ძლიერი ლიდერობა, თანამშრომლობა, ცოდნის გადაცემა და გადაწყვეტილების მიღების სწრაფი, მოქნილი და ეფექტურ პროცესი.

ნატო მუდმივად აგროვებს, აზიარებს და აფასებს ინფორმაციას, რათა აღმოაჩინოს ნებისმიერი მიმდინარე ჰიბრიდული აქტივობა და იპოვოს მისი აქტორი. ნატოს შტაბ-ბინაში დაზვერვისა და უსაფრთხოების ერთობლივი სამმართველო აუმჯობესებს ალიანსის ჰიბრიდული საფრთხეების გაგებასა და ანალიზს. ჰიბრიდული ანალიზის სამმართველო უზრუნველყოფს აამაღლოს ცნობიერება, იმისათვის, რომ გადაწყვეტილების მიმღებებს შეეძლოთ ჰიბრიდული საფრთხეების შესახებ გაუმჯობესებული დასკვნების გამოტანა [3].

ტრენინგი, წვრთნები და განათლება ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. ეს მოიცავს გადაწყვეტილების მიღების პროცესებს და ერთობლივ სამხედრო და არასამხედრო რეაგირებას სხვა აქტორებთან თანამშრომლობით.

ჰიბრიდული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ნატოს მტკიცედ აქვს განსაზღვრული იმოქმედოს სწრაფად, ნებისმიერ დროს და სადაც საჭიროა. იგი მზადაა გამოიყენოს თავისი ძალები, გააძლიეროს გადაწყვეტილების მიღების პროცესი და მისი მმართველობის სტრუქტურა, როგორც მისი თავდაცვის შემადგენელი ნაწილი. ეს აგზავნის ძლიერ სიგნალს, რომ ალიანსი აუმჯობესებს როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო პასუხისმგებლობას და ადასტურებს, რომ ალიანსის უნარს განათავსოს შესაბამისი ძალები საჭირო ადგილას, საჭირო დროს.

თუ ჰიბრიდული საფრთხის თავიდან არიდება ვერ მოხერხდა, ნატო მზადაა დაიცვას ნებისმიერი მოკავშირე ნებისმიერი საფრთხისგან. ამ დროს ნატოს ძალებმა უნდა შეძლონ მოახდინონ სწრაფი და მოქნილი რეაგირება ნებისმიერ დროს და ადგილას.

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული ბრწყინვალების ცენტრის (CoE) ინაუგურაციაზე სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა, რომ ომის ჰიბრიდული მეთოდები, როგორიცაა პროპაგანდა, მოტყუება, დივერსია და სხვა არასამხედრო ტაქტიკა, დიდი ხანია გამოიყენება მოწინააღმდეგეების დესტაბილიზაციისთვის. ახალი რაც არის ამ შეტევებში არის მათი სიჩქარე, მასშტაბი და ინტენსივობა, რასაც ხელს უწყობს სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებები და გლობალური კომუნიკაციები. ნატოს აქვს სტრატეგია თავისი როლის შესახებ ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ და მზადაა დაიცვას ალიანსი და ყველა მოკავშირე ნებისმიერი საფრთხისგან, იქნება ეს ჩვეულებრივი ომი თუ ჰიბრიდული.

ნატომ რამდენჯერმე შეძლო ტრანსფორმაციის პროცესის წარმატებით წარმართვა და თანამედროვე საფრთხეებთან გამკლავებისთვის საჭირო ცვლილებების განხორციელება. თუმცა, დღეს ნატო არის უპრეცედენტო გამოწვევის წინაშე, რომელშიც შეიძლება ითქვას თავისი შექმნის დღიდან ჯერ არ დამდგარა, ნატო ახლა გადის ქმედუნარიანობისა და ეფექტიანობის ტესტს. ნატოს სისუსტეს წარმადგენს გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება, ეს გამომდინარეობს 30 სხვადასხვა გეოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტის მქონე ქვეყნების ხედვებს შორის არსებული განსხვავებებიდან. მაგალითად ევროპის ზოგიერთ ქვეყანას რუსეთიდან მოსალოდნელი საფრთხე ზოგიერთს გადაჭარბებულად ეჩვენებოდა და ახლოაღმოსავლეთიდან მომავალი ტეროტიზმისა და არალეგალური მიგრაციის საფრთხეებზე აკეთებდნენ აქცენტს. ალიანსისათვის ახლა მთავარია აღმოფხვრას შიდა სისუსტეები და

სათანადოდ შესაფასოს მის წინაშე არსებული საფრთხეები.

2017 წლის აპრილში ნატოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის შედეგად დაარსდა Hybrid CoE, რომელშიც მონაწილე სახელმწიფოები არიან - ფინეთი, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, საფრანგეთი, გერმანია და შეერთებული შტატები. ცენტრის საქმიანობაში მონაწილეობა ღიაა ევროკავშირისა და ნატოს ყველა ქვეყნისთვის.

Hybrid CoE-ის მისიაა გაამლიეროს მისი მონაწილე სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების უსაფრთხოება ჰიბრიდული საფრთხეების დასაძლევად კონკრეტული შემთხვევების შედეგად დაგროვილი პრაქტიკისა და ტრენინგის მიწოდებით.

ცენტრი უნიკალურია იმ გაგებით, რომ ის ერთადერთი აქტორია, რომელიც ევროკავშირის და ნატოს სამუშაოს აერთიანებს და ატარებენ სხვადასხვა აქტივობებსა და წვრთნებს, რომლებიც მოიცავს არამხოლოდ სამოქალაქო და სამხედრო აქტივობებს არამედ მტრული განწყობიდან დაწყებული ჰიბრიდულ ომით დამთავრებული ყველა შესაძლო სასწავლო აქტივობას.

ცენტრის მთავარი ამოცანაა განავითაროს მისი მონაწილე სახელმწიფოების შესაძლებლობები ჰიბრიდული საფრთხეების პრევენციისა და წინააღმდეგობის გასაწევად. ეს მიიღწევა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით, რეკომენდაციების მიწოდებით, ასევე ახალი იდეებისა და მიდგომების ტესტირებით. ცენტრი ასევე ავითარებს მონაწილე სახელმწიფოების ოპერატიულ შესაძლებლობებს, პრაქტიკოსების მომზადებით და პრაქტიკული წვრთნების ორგანიზებით.

Hybrid CoE არა მხოლოდ აყალიბებს ახალ სტრატეგიულ კონცეფციებს, ის ასევე ეხმარება მათ განხორციელებაში. შედეგი მიიღწევა ცენტრის მთავრობათაშორისი, სექტორთაშორისი ქსელებით, რომლებიც შედგება 1500-ზე მეტი პრაქტიკოსისა და ექსპერტისგან, რომლებიც სხვადასხვანაირად მუშაობენ მონაწილე სახელმწიფოებში, ევროკავშირსა და ნატოში, კერძო სექტორსა და აკადემიაში.

ცენტრს შემუშავებული აქვს დოკუმენტი სათაურით „2022 წლის ჰიბრიდული საფრთხის წინააღმდეგ მიდგომების ძირითადი თემები“ [4], რომლის მიხედვითაც ცენტრის 2022 წლის სამუშაო გეგმა იყოფა 3 ნაწილად:

1. ჰიბრიდული საფრთხეების მახასიათებლების შესახებ ცოდნის გაძლიერება, გამართული ლოგიკა და კონტრარგუმენტების დაპირისპირება;
2. ჰიბრიდული საფრთხის შემცველი მოქმედებების აქტორების სტრატეგიისა და პოლიტიკის შესწავლა, იმისათვის რომ მათთან გამკლავებისათვის შემუშავდეს კონკრეტული იდეები;
3. დასავლური საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ჰიბრიდული საფრთხეების შესახებ და იდეების მიწოდება მათი მოგვარების შესახებ.

2019 წლის 20 ივნისს ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე ევროპის საბჭო შეთანხმდა ევროკავშირის დღის წესრიგზე მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში და მიიღო დოკუმენტი სახელწოდებით „ახალი სტრატეგიული დღის წესრიგი 2019-2024“. ეს შეთანხმება ადგენს პრიორიტეტულ სფეროებს და უზრუნველყოფს ევროკავშირის სხვა ინსტიტუტების ჩართულობას აღნიშნული დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მუშაობის პროცესში.

სტრატეგიული დღის წესრიგი ფოკუსირებულია ოთხ მთავარ პრიორიტეტზე:

- მოქალაქეებისა და თავისუფლებების დაცვა;
- ძლიერი ეკონომიკური ბაზის შემუშავება;
- ნეიტრალური, მწვანე, სამართლიანი და სოციალური ევროპის მშენებლობა;
- ევროპული ინტერესებისა და ღირებულებების პოპულარიზაცია გლობალურ ასპარეზზე და ამ მიზნის მიღწევის მეთოდები [5].

პირველი გამოწვევა რაც დგას ჰიბრიდულ საფრთხეებთან მიმართებაში ეს არის:

- **ჰიბრიდული საფრთხეების, განსაკუთრებით დეზინფორმაციისა და უცხოური გავლენის წინააღმდეგ ჰარმონიზებული რეგულირების ნაკლებობა;**

ჰიბრიდული მოქმედებების ჯვარედინი და ურთიერთდაკავშირებული ბუნება ზღუდავს იმ ღონისძიებების ეფექტურობას, რომლებიც გამოიყენება მათ დასაძლევად. ყოვლისმომცველი, ჰარმონიზებული საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო შესაძლებელს გახდის გააუმჯობესოს ევროპული ინსტიტუტებისა და მოქალაქეების დაცვა და, შესაბამისად, ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავება.

ევროკავშირის სამართლებრივი მდგრადობის გაძლიერება უმნიშვნელოვანესი საკითხი იქნება ჰიბრიდულ საფრთხეებთან სათანადო გამკლავებისთვის.

- **მიღებული ზომების ეფექტურობა დამოკიდებულია დამნაშავეთა ანუ ჰიბრიდული საფრთხის აქტორის იდენტიფიკაციაზე**

ჰიბრიდული საფრთხეების წარმოშობის (აქტორი) დადგენის იდენტიფიცირება, საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ელემენტია; უნდა განხორციელდეს იმ აქტორის (უცხოელი ან ადგილობრივი) და პოტენციური ადგილობრივი მარიონეტების (მაგ.: ტეროტისტული დაჯგუფება) წინასწარი იდენტიფიკაცია, რომლებიც მონაწილეობას იღებენ და თანამშრომლობენ მათ განვითარებაში. კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჰიბრიდული საფრთხეების მიკუთვნება მათი რეალური დამნაშავეებისთვის, ვინაიდან ეს პირდაპირპროპორციულია მსხვერპლის მიერ მიღებული ზომების წარმატებასთან. ამით გამოიკვეთება თავდასხმის საბოლოო მიზანი, გამარტივდება დაკავშირებული პირებისა თუ ორგანიზაციების მოძებნა და, რაც მთავარია, აქტორს დაეკისრება პასუხისმგებლობა და საჭიროების შემთხვევაში სანქციები, განხორციელებული ჰიბრიდული მოქმედებებისათვის

- **დეზინფორმაცია ვრცელდება ციფრული საშუალებებით, სოციალური მედიის პლატფორმების მწირი კონტროლით**

დეზინფორმაციული კამპანიის ერთ-ერთი მიზანია ხელი შეუშალოს მოქალაქეებს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. სამიზნე ჯგუფს შორის ინფორმირებულობის ნაკლებობა დეზინფორმაციის წარმატების ერთ-ერთი მთავარი გასაღებია.

- **ინფორმაციის გაზიარებისა და კოორდინაციის არსებული მექანიზმები არასაკმარისია**

ბოლო წლებში ევროკავშირმა ქვედანაყოფების, გუნდების, სააგენტოებისა და სხვა საკონსულტაციო ორგანოების ფართო ქსელის საშუალებით შეიმუშავა გეგმა, როგორც ჰიბრიდული საფრთხეების კომპლექსურ ფენომენთან გამკლავებისათვის და მის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტთან დეზინფორმაციასთან. გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა, ეროვნულ დონეზე, შექმნეს სპეციალური დანაყოფები, ჰიბრიდულ საფრთხეებთან საბრძოლველად, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა ინსტიტუტები (პრეზიდენტის კაბინეტი, შინაგან საქმეთა სამინისტროები, საგარეო საქმეთა სამინისტროები, თავდაცვისა და ა.შ.) და სხვადასხვა ფუნქციებითა და პასუხისმგებლობებით (მონიტორიზაცია, აღმოჩენა, მიკუთვნება, რეაგირება, და ა.შ.). კერძო სექტორი ასევე თანამშრომლობს ობსერვატორიების, ფაქტების შემმოწმებელი ქსელებისა და ანალიტიკური ცენტრების მიმართულებით.

- **ევროკავშირი, ციფრული ტექნოლოგიების შემუშავებაში (ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ საბრძოლველად), ჩამორჩება თავის მთავარ კონკურენტებს (აშშ და ჩინეთს)**

ევროკავშირის ტექნოლოგიურმა დამოკიდებულებამ აშშ-სა და ჩინეთზე (Ortega, A., 2020), კერძოდ, ისეთ სენსიტიურ სფეროებზე, როგორიცაა კიბერ დაზვერვა, კიბერუსაფრთხოება, 5G ინფრასტრუქტურა და ხელოვნური ინტელექტი, შეიძლება გაართულოს ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლა, ვინაიდან ევროკავშირის მიერ ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ წარმოებულ პოლიტიკაში ამავდროულად დაცული უნდა იქნას ევროკავშირის ღირებულებები და პრინციპები (პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება, კანონის უზენაესობა, დემოკრატია, ინდივიდუალური თავისუფლებების პატივისცემა და ა.შ.).

- **ევროკავშირის ინსტიტუტები და წევრი ქვეყნები ცდილობენ დეზინფორმაციის ნარატივების გამოვლენას და იდენტიფიცირებას რეტროსპექტივაში**

აქტორები ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ მოქალაქეები მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ცრუ ინფორმაციის შერევით ან რეალობის დამახინჯებული ინტერპრეტაციებით. ერთ-ერთი ბოლო მაგალითი იყო ცრუ ბრალდებები, რომ 5G ქსელები პასუხისმგებელნი არიან Covid-19 ვირუსის გავრცელებაზე. დეზინფორმაცია, გავლენის გაძლიერების მიზნით, სწრაფად ვრცელდება ციფრული პლატფორმების მეშვეობით. 2017 წლის შეფასებით, მოწინავე ქვეყნების მოქალაქეები 2022 წლისთვის შესაძლოა უფრო ცრუ ინფორმაციას მოიხმარენ, ვიდრე ჭეშმარიტს.

ჰიბრიდული საფრთხეების აქტორები იყენებენ ციფრული საშუალებების, განსაკუთრებით სოციალური ქსელების უზარმაზარ პოტენციალს, რათა გაავრცელონ დეზინფორმაცია, სამიზნე საზოგადოებებში. დეზინფორმაციული კამპანიების დროს აქტორები სარგებ-

ლობენ სოციალური ქსელების ბუნებით, ციფრული პლატფორმებით, რომლებიც აკავშირებენ აუდიტორიას და ავრცელებენ ისეთ ინფორმაციას, რომლის შინაარსი შესაძლოა საერთოდ არ ემთხვეოდეს რეალობას. ასეთი ქმედებისათვის კი არ არსებობს პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომა.

მართალია სოციალურ ქსელებს აქვთ დაწესებული ისეთი ინფორმაციის გავრცელების აკრძალვა როგორიცაა: სიძულვილის წაქეზება, ძალადობა, ბავშვთა პორნოგრაფია, ტერორიზმი, სასტიკი და უგრძნობი შინაარსი. შესაბამისად, სოციალურ ქსელებს უფლება აქვთ, საზიანო შინაარსის გამოვლენის პასუხისმგებლობა გადასცენ მომხმარებლებს ან, უფრო კონკრეტულად „საზოგადოებას", რომ რეგირება მოახდინოს შეტყობინების დაფიქსირების სახით.

- **მოქალაქეების არაინფორმირებულობა დეზინფორმაციის არსებობისა და მისგან მომდინარე შესაძლო ზიანის შესახებ**

ევროკავშირმა უნდა გააძლიეროს ხედვები და ღირებულებები EU წევრი ქვეყნების გარეთ, მხარი უნდა დაუჭიროს თავისუფალი ჟურნალისტიკას ჰიბრიდულ საფრთხეებთან საბრძოლველად. ძალიან მნიშვნელოვანია შეიქმნას ახალი სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის უტყუარობის გარანტიებს, რათა თავიდან იქნას აცილებული ე.წ. fake ნიუსები. ამასთან, მნიშვნელოვანია, ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ სტრატეგიული გამოწვევები გააუმჯობესონ დიპლომატიური ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან.

პოლიტიკურმა მეცნიერმა არიელ კოენმა საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ჰიბრიდული ომის მსხვერპლი უწოდა. ეს არის ქვეყნისთვის სერიოზული გამოწვევა, რომლის საპასუხოდაც საქართველომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები, წესრიგში მოიყვანოს და საერთაშორისო სტანდარტებს შეუსაბამოს ქვეყნის შიდა სტანდარტები, გაზარდოს საერთაშორისო თანამშრომლობა, მოახდინოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და საგანმანათლებლო სისტემის შემუშავება. მოცემულ სფეროში აქტუალური და აუცილებელი ხდება საქართველოს სუბიექტების, ევროკავშირის წევრი და სხვა ქვეყნების ანალოგიურ სუბიექტებთან ინტეგრაციის პროცესის სწორი მიმართულებით წარმართვა, მათი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, რაც ხელს შეუწყობს ჰიბრიდული საფრთხეების სფეროში ქვეყნის ორგანიზაციულ სტრუქტურული სუბიექტების განვითარებას, მათ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას, კოორდინირებული მუშაობის ამაღლებასა და ეფექტური ღონისძიებების გატარებას სხვადასხვა მიმართულებით.

MARIAM CHIVADZE

THE ROLE OF THE EUROPEAN UNION AND NATO IN THE PROCESS OF DEALING WITH HYBRID WARFARE

Summary

The study of hybrid challenges is important to prepare the basis for a comprehensive analysis of the NATO integration process, especially in the context of a broader conceptualization of "security", which includes not only the traditional, "hard" factors, but also the "soft", i.e., non-military components of security, which are so often left behind by policy makers and beyond the judgment of the general public. It also provides an opportunity to focus more on the changing nature of modern conflict, in which non-military means play an increasingly important role. Therefore, the study of the change in the security landscape of the Euro-Atlantic space will undoubtedly contribute to economic NATO research, which aims to improve the quality of public discussions about the possible consequences of the alliance's enlargement process.

Among the many global security priorities facing the democratic world, addressing its security challenges is central to Europe's future.

The weaponization of non-military means as a "new form" of achieving political goals fundamentally changes the security, economic and political landscape and raises many questions not only about the nature of the threats we face, but also about the ability of existing security institutions to cope with these

challenges. Neither the idea nor the essence of the hybrid war is completely original, it has such features that are characteristic of the new or well-forgotten old Russian model of warfare.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Wales Summit Declaration, Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Wales, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_112964.htm (ბოლოს ნანახია 10.10.2022);
2. NATO's response to hybrid threats, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_156338.htm (ბოლოს ნანახია 10.10.2022);
3. EU-NATO and the Eastern Partnership Countries Against Hybrid Threats: From the EU Global Strategy till the war in Ukraine, by Dr. Vira Ratsiborynska | Jun 3, 2022 | Geopolitics & International Security, Research, https://behorizon.org/eu-nato-and-the-eastern-partnership-countries-against-hybrid-threats-from-the-eu-global-strategy-till-the-war-in-ukraine/ (ბოლოს ნანახია 10.10.2022);
4. Hybrid CoE's key themes and approaches to countering hybrid threats in 2022, The European Centre of Excellence for Countering Hybrid Threats, https://www.hybridcoe.fi/wpcontent/uploads/2022/03/NEW2_web_Workplan-2022_rgb.pdf (ბოლოს ნანახია 10.10.2022);
5. Setting the EU's political agenda, https://www.consilium.europa.eu/en/european-council/role-setting-eu-political-agenda/ (ბოლოს ნანახია 10.10.2022);
6. ჰიბრიდული ომი და ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილება, პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები, ავტორები: გრიგოლ მგალობლიშვილი ბათუ ქუთელია ირინა გურული ნინო ევგენიძე გვ.37, http://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2016-08/1471530452_hybrid-warfare-report-geo_web.pdf (ბოლოს ნანახია 10.10.2022).

.

მარიამ ბალხამიშვილი
წარმოადგინა პროფ. ზურაბ კვეტენაძემ

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა რუსეთ-ევროკავშირის ენერგეტიკულ თანამშრომლობაზე

მსოფლიოში ენერგეტიკული რესურსები მუდმივად ყურადღების ცენტრში იყო. განსაკუთრებული აქტუალობა კი აღნიშნულმა შეიძინა უკრაინის კრიზისის, შემდგომ კი რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში.

ნაშრომში ასახულია რუსეთ-უკრაინის ომამდე პერიოდში, რუსეთ-ევროკავშირის ენერგეტიკული ურთიერთობების განვითარების ეტაპები.

ასევე განხილულია „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ გაზსადენის სერტიფიცირების შეჩერება, რომელსაც უნდა გაეზარდა ევროპის ენერგოდამოკიდებულება რუსეთზე.

ასევე განხილულია რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა რუსეთ-ევროკავშირის ენერგეტიკულ თანამშრომლობაზე.

საკვანძო სიტყვები: *ენერგოდამოკიდებულება, ენერგეტიკული თანამშრომლობა, ენერგოუსაფრთხოება, ენერგოდიალოგი.*

XXI ს-ში ენერგეტიკა უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ გარანტს წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში ამ სახელმწიფოთა ლიდერები ვისაც საკუთარი რესურსები არ გააჩნიათ დილემის წინაშე დგებიან, რადგან ისინი ვისაც ხელი მიუწვდებათ ენერგორესურსებზე ცდილობენ ეს უპირატესობა პოლიტიკურ იარაღად გამოიყენონ.

ევროკავშირი მსოფლიოს ყველაზე წარმატებული ინტეგრაციული გაერთიანებაა, სადაც დაცული ადამიანის უფლებები, მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია ეკონომიკური ცხოვრების დონე, არსებობს განვითარების პერსპექტივა და ნათელი მომავლის იმედი. სანამ ამ დონეს მიაღწევდა ევროპამ ორი მსოფლიო ომი გამოაცხადა. იყო მილიონობით ადამიანური მსხვერპლი, ნგრევა, უბედურება, მაგრამ ევროპა ამ უდიდესი გამოცდილებით ამაღლდა საკუთარ ამბიციებზე და ,,ცივი ომის'' პერიოდში მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბუნებრივი რესურსების ირგვლივ დაპირისპირების ნაცვლად უმჯობესი იქნებოდა ეს რესურსები საერთო მონაპოვრად და სიმდიდრედ გამოეცხადებინათ.

ევროკავშირს გააჩნია მეტად ეფექტური სამეზობლო პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სხვადასხვა ეკონომიკური პროექტები, გარდა ამისა ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ითვალისწინებს ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებას.

ამასთანავე, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო დროს, განსაკუთრებით უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ ევროკავშირსა და რუსეთს შორის ენერგეტიკულმა თანამშრომლობამ გაცილებით მეტი აქტუალობა შეიძინა და ეს თემა პოლიტიზირებული გახდა.

ენერგოდიალოგი რუსეთსა და ევროკავშირს შორის 2000 წლიდან დაიწყო, თუმცა უშედეგოდ. ამის საპირისპიროდ კი ევროკავშირი ცდილობს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირებას. ურთიერთობები ვითარდება უკრაინის მოვლენების ფონზე. უკრაინაში განვითარებულმა პროცესებმა ევროკავშირი დააფიქრა იმაზე, არის თუ არა რუსეთი საიმედო პარტნიორი და რას უნდა ველოდოთ მისგან. ევროკავშირი ცდილობს ალტერნატიული რესურსების მოძიებას, რომლის ნათელი მაგალითია „ნაბუკო“ და „თეთრი ნაკადი“-ის ინიციატივა, რომლებიც კვლავ განუხორციელებელი დარჩა რიგი მიზეზების გამო. დღისწესრიგში დგას ასევე ფიქალის გაზის რესურსი, რომლის მოპოვების შესაძლებლობა აქვთ ევროკავშირის იმ ქვეყნებს, რომლებიც მეტად არიან დამოკიდებულნი რუსეთზე.

უკრაინაში კრიზისის პერიოდში ევროკავშირმა და აშშ-მ რუსეთის ენერგეტიკული სექტორის წინააღმდეგ მიზნობრივი სანქციების იდეა წამოაყენეს, რისი მიზანიც იყო რუსეთის ბიუჯეტზე დარტყმის მიტანა და მოსკოვის დაძალება წასულიყო დათმობებზე უკრაინის კრიზისის გადასაჭრელად.

უკრაინის 2014 წლის კრიზისმა გაზარდა რუსეთიდან ევროპაში აირის მიწოდებაში შე-

ფერხებების რისკი და უბიძგა ევროკავშირს რუსეთისგან ენერგეტიკული დამოკიდებულების შემცირების გზების ძიების აქტივიზაციისკენ. მიუხედავად ამისა, უახლოეს დროში ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოება ტრადიციულ ენერგეტიკულ წყაროებს ეფუძნება, ხოლო ენერგეტიკულ მატარებელთა უკმარისობა ენერგეტიკული იმპორტის ხარჯზე შეივსება. 2005 წლის კრიზისმა უკრაინის გავლით აირის ტრანზიტის ღირებულების გამო უთანხმოებებთან დაკავშირებით ერთობ შელახა რუსეთის, როგორც „საიმედო“ მიმწოდებლის რეპუტაცია და სტიმული მისცა ევროკავშირის ქვეყნებს ენერგიის მიმწოდებლებისგან უფრო მკაფიო პოლიტიკის გასატარებლად.

გარდა ამისა, „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის პროექტი, რომლის მშენებლობაც უკვე დასრულებულია, რუსეთის მხრიდან აღიქმება როგორც სუფთა კომერციული პროექტი, რომელსაც მხარს უჭერდა გერმანიის ყოფილი კანცლერი ანგელა მერკელი და გამორიცხავდა რომ პროექტი პოლიტიკურად მოტივირებულია. „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ გაზსადენის გაცხადებულ მიზეზად ევროპის გაზზე მოთხოვნის ზრდას ასახელებენ, თუმცა ყველა თანხმდება, რომ პროექტი მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის არ არის და რუსეთი მხოლოდ ეკონომიკური სარგებლით არ არის დაინტერესებული, აღნიშნული გაზსადენის საშუალებით რუსეთი გათავისუფლდება უკრაინაზე დამოკიდებულებისგან, პარალელურად კი დიდ შემოსავალს აკარგვინებს უკრაინას, რომელიც ბუნებრივი აირის სატრანზიტო ქვეყანაა.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში მთავარი მნიშვნელოვანი მომენტია რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომი, აღნიშნულის პარალელურად გვიწევს ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი. მოგეხსენებათ, როგორც უკვე აღვნიშნეთ წინამდებარე თავებში რუსეთ-უკრაინას შორის დაპირისპირება ახალი არ არის და რუსეთ-ევროკავშირის ენერგეტიკულ ურთიერთობებზეც დიდ გავლენას ახდენდა, კერძოდ, ევროკავშირი ეჭვქვეშ აყენებდა რუსეთის სანდოობის საკითხს, მიმდინარე ომმა კი დღის წესრიგში დააყენა რუსეთ-ევროკავშირის ენერგეტიკული თანამშრომლობის საკითხები. სანამ კონკრეტულად ენერგოდამოკიდებულების საკითხებს შევეხებით ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ, რათა ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას სიტუაციაზე.

რუსეთის პრეზიდენტი ვლ. პუტინი თავისი იდეოლოგიზირებული გადმოსახედიდან უყურებს სივრცის მოწყობას რუსეთის გარშემო და ის ბოლომდე შეეცდება მაქსიმალური მიიღოს, კერძოდ კი მას დიდ გამოწვევად ევლინება ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით. ის რაც დღეს უკრაინაში ხდება ეს არა მხოლოდ უკრაინის, არამედ მთელი მსოფლიოს კატასტროფაა, ფაქტობრივად უკრაინამ არ გაამართლა რუსეთის მოლოდინები და აჩვენა მათ გმირობის მაგალითები, რაც შეეხება რუსეთის მიმართ დაწესებულ მკაცრ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სანქციებს, ნათელია, რომ აკრძალვები მიმდინარე ომზე გავლენას ვერ ახდენს, ის მხოლოდ საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივაა. დასავლეთის პოზიცია აშკარაა, ისინი შემოიფარგლებიან მხოლოდ და მხოლოდ დაპირებული იარაღის მიწოდებით უკრაინისთვის, ცალსახად გაკეთდა განცხადებები იმის თაობაზე, რომ უკრაინას ცას არავინ დაუკეტავს. ფაქტია, რომ მიმდინარე ყველა მოვლენის ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ პუტინის კონკრეტული ნაბიჯების პროგნოზირება საკმაოდ რთულია, რადგან მას ფაქტობრივად მოუწია გეგმის ცვლილება, ახლა მისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მნიშვნელოვანი იყო მისი მხრიდან მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული განცხადებები და ბრძანება იარაღის მწყობრში მოყვანის შესახებ, ფაქტია, რომ მას შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს მასობრივი განადგურების შეიარაღების კომპონენტები. მთელი დასავლეთი მასობრივ სისხლისღვრას ერიდება და შესაბამის ზომებს იღებს, თუმცა მოვლენების მსგავსად განვითარების შემთხვევაში, ნატოს მოქმედება შეუძლია. ექსპერტი ვ. მაისაია აღნიშნავს, რომ „თუ საერთაშორისო სამართალის სერიოზული დარღვევა მოხდა, რომელიც მოიცავს ეთნიკურ წმენდას და იგივე ჰუმანიტარული კატასტროფის შექმნას, მაშინ ნატო მოქმედებას დაიწყებს და ომში ჩაერთვება, ასეთ კატასტროფას კი ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენების შემთხვევაში მივიღებთ“.

უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკის გაეროს უშიშროების საბჭოს სესიაზე გამოსვლა უკრაინის დიპლომატიის დიდ წარმატებას წარმოადგენს თუმცა, ეს ყველაფერი მას საკმაოდ დიდ ფასად უჯდება, საუბარია უამრავ დაღუპულ ბავშვსა და მშვიდობიან მოსახლეობაზე. ამავდროულად 6 მლრდ დევნილი უკრა-

ინიდან უდიდესი დანაკარგია. ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტი მაისაია ასევე აღნიშნავს, რომ რუსეთმა დაიკავა ხერსონი, დონბასი, მან ხერსონის გავლით კომუნიკაცია დაამყარა როსტოვის ოლქსა და ყირიმის ანექსირებულ ტერიტორიას შორის, ეს კი ნიშნავს, რომ რუსეთი შეეცდება უკრაინას აუკრძალოს გასვლა შავი ზღვის აკვატორიაზე.

თავად რუსეთში პრეზიდენტ პუტინის რეიტინგი მკვეთრად გაიზარდა რისი დასტურიც არის შესაბამისი კვლევები, ოფიციალური სოციოლოგიური მონაცემები ადასტურებს, რომ რუსი მოსახლეობის 74% მხარს უჭერს რუსეთის უკრაინაში შეჭრას. ეს საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ პუტინი მიმდინარე ომისთვის კარგად ემზადებოდა საინფორმაციო-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, კერძოდ რუსული საზოგადოება მიიჩნევს, რომ უკრაინაში ნაცისტები არიან, ნატო კი აპირებს რუსეთზე თავდასხმას.

რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე დიალოგიც ერთგვარად შესაძლოა ატარებდეს ერთგვარი ტაქტიკური მანევრის ფუნქციას, რომლის შემდეგაც ჯარები სულს მოითქვამენ. ის, რომ რუსეთის ნდობა არ შეიძლება, ამაში არაერთხელ დავწრმუნდით და ნაშრომშიც ხშირად არის განმეორებული, გარდა იმისა, რომ ის ენერგეტიკულ ურთიერთობებში არ არის საიმედო პარტნიორი, მას არაერთხელ დაურღვევია არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება თუ პირობა. ექსპერტი ვ. მაისაია მიმდინარე ომის შეწყვეტის გამოსავალად შემდეგ ფაქტორებს ასახელებს: „1. უკრაინის ხელისუფლების საკმაოდ ძლიერი მდგრადობა; 2. დასავლეთი უნდა გადავიდეს სამშვიდობო ფორმატის მოლაპარაკებებზე, რომ განრისხებული პუტინი გააჩერონ, რათა არ გადავიდეს ეს შურისძიება მშვიდობიან მოსახლეობაზე; 3. რუსეთის სრული ეკონომიკური ბლოკადა“.

დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ როგორც აღვნიშნეთ მთელი რიგი პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების პაკეტი წარადგინა, გერმანიის მხრიდან სანქცია კი გულისხმობდა „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის სერტიფიცირების შეჩერებას. ნაკადის, რომელიც ზრდიდა ევროკავშირის ენერგოდამოკიდებულებას რუსეთზე. პარალელურად არავინ საუბრობს იმ დეტალზე, რასაც ექსპერტი მაისაია აღნიშნავს, რომ რუსეთმა შეძლო და წარმატებულად აითვისა „სამხრეთის ნაკადი“, რის შედეგადაც ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები რუსეთის პირდაპირი გავლენის ქვეშ ექცევიან, „სამხრეთის ნაკადი“ თურქეთზე გადის ევროპიდან, ასევე მოქმედებაში რჩება „ჩრდილოეთის ნაკადი 1“, ასევე რუსეთმა დაიწყო მოლაპარაკებები და გაზს რომელსაც „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ გაზსადენში უნდა გაევლო, ციმბირის გაზსადენის გაყვანით გადაისვრის ჩინეთისკენ. პარალელურად ევროკავშირის დამოკიდებულება უცვლელია, საჭიროა ევროპის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების ნულამდე დაყვანა. ვხვდებით, მკაცრ განცხადებებს, რომ ევროკავშირმა უნდა გააკეთოს ყველაფერი, რათა არც ერთი წევრი სახელმწიფო არ იყოს დამოკიდებული რუსულ გაზზე.

უკრაინა კვლავ თავს იცავს რუსეთისგან, რომელსაც მსოფლიომ უპრეცენდენტო სანქციები დაუწესა, უმთავრესი იარაღი, გარდა სამხედრო და ბირთვული შეიარაღებისა რაც რუსეთის ფედერაციას გააჩნია არის ენერგეტიკული რესურსები, ევროკავშირის დამოკიდებულება რჩება კვლავ თითქმის 50% ზე, რომელიც ძირითადად ბუნებრივ აირზე მოდის, სამწუხაროა, რომ ევროპამ ბევრი წელი დაკარგა, რათა გადაედგა კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით. თუმცა, არსებული ვითარება აიძულებთ მათ გადადგან ეს ნაბიჯები საკუთარი ენერგომომარაგების უზრუნველსაყოფად.

გერმანიის სახელმწიფო ბანკის და ნიდერლანდური კომპანია Gasunie პარტნიორობით გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც გერმანიაში თხევადი გაზის ტერმინალის მშენებლობას ითვალისწინებს გერმანიის ენერგეტიკის მინისტრის თვალთახედვით, მთავარი მიზანი რუსულ იმპორტზე დამოკიდებულების სწრაფი შემცირებაა, თხევადი ბუნებრივი აირის ტერმინალი გერმანიისა და ნიდერლანდური კომპანიის ერთობლივ საკუთრებას წარმოადგენს.

ტერმინალის წლიური რეგაზიფიკაციის სიმძლავრე 8 მლრდ კუბ მეტრს შეადგენს, რაც შედარებისთვის გერმანიაში რუსული გაზის წლიური იმპორტი დაახლოებით 140 მლრდ კუბ მეტრია. თხევადი ბუნებრივი აირის პირველი ტერმინალი სავარაუდოდ 2024 წლისთვის ევროკავშირისა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობასთან შესაბამისად, შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ ამოქმედეება და პროექტის პარტნიორების მიზანი ტერმინალის რაც შეიძლება სწრაფი განხორციელება ლიცენზირებისა და სახელმწიფო მოთხოვნების გათვალისწინებაა.

ამასობაში შეერთებულმა შტატებმა რუსული ნავთობის იმპორტი აკრძალა. ამის შესახებ ბაიდენმა განაცხადა, რომ, მისი თქმით, მზადდება ბევრად უფრო მძიმე სანქციები, რაც უფრო მეტად დააწვება რუსეთის ეკონომიკას. ამერიკას ბევრად უკეთესი მდგომარეობა აქვს ევროპასთან შედარებით რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების კუთხით. ევროპისათვის რუსულ გაზზე და ნავთობზე უარი უფრო მეტად რთული სათქმელი იქნება ევროპის ცალკეული ქვეყნების შემთხვევაში, რუსული გაზი რომელიც მკვეთრად გაძვირებულია მაინც სასიცოცხლო მნიშვნელობის არის, მეტად ხელფეხგახსნილია ბრიტანეთი კონტინენტურ ევროპაში, ბრიტანეთის მთავრობამ რუსული ნავთობპროდუქტების იმპორტის აკრძალვის შესახებ გააკეთა განცხადება, თუმცა, იმპორტის ეტაპობრივი შეწყვეტა არ იქნება მყისიერი რათა ქვეყნის კერძო სექტორს ჰქონდეს საკმარისი დრო მიწოდების ჯაჭვის კორექტირებისათვის, ასევე მრეწველობისა და მოხმარების მხარდაჭერისათვის. „რუსული ნავთობის იმპორტი შეადგენს რუსეთის ექსპორტის 44%-ს და ფედერალური მთავრობის შემოსავლიების 17%-ს გადასახადების მეშვეობით, ეს ნაბიჯი აძლიერებს საერთაშორისო ზეწოლას რუსეთის ეკონომიკაზე. რუსული იმპორტი შეადგენს გაერთიანებული სამეფოს ნავთობზე მთლიანი მოთხოვნის 8%-ს, მაგრამ დიდი ბრიტანეთი ასევე არის ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მნიშვნელოვანი მწარმოებელი“.

უკრაინაში შეჭრის საპასუხოდ ევროკომისიამ რუსულ ნავთობზე და გაზზე დამოკიდებულების შემცირების გეგმა წარმოადგინა, რომელიც 2030 წლამდე ევროკავშირის სრულ ენერგოდამოუკიდებლობას ითვალისწინებს. REpowerEU გეგმა ევროკავშირის გაზით მომარაგების წყაროების დივერსიფიცირებას და განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებას მოიცავს, კერძოდ, გაზის ახალი მიმწოდებლების მოძიებას, ალტერნატიული გზების ძიებას, განახლებადი ინვესტიციების დაჩქარებას და ბუნებრივი აირის საწყობების ზამთრამდე შევსებას, რათა გაზარდონ ენერგომომარაგების უსაფრთხოება და და შეამცირონ რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება. ევროკომისიის ვარაუდით ამ გეგმის საშუალებით 2022წლის ბოლომდე რუსულ გაზზე მოთხოვნა 66 % ით შემცირდება.

გარდა ამისა, ინვესტიციები განხორციელდება ისეთ ალტერნატიულ საწვავებში, როგორიც არის წყალბადი და ბიომეთანი, თუმცა გეგმა ჯერ არასრულია. რუსეთის ენერგოდამოკიდებულებაზე შემცირების მიზნით კი ევროკავშირის ქვეყნებმა მოუწოდეს თავიანთ მოქალაქეებს 1 გრადუსით შეამცირონ ტემპერატურა სახლებში, რის შედეგადაც ევროპაში მხოლოდ წელს 10 მლრდ კუბური მეტრი გაზი დაიზოგება, ასევე გაიზრდება ინვესტიციები ქარისა და მზის ელექტროსადგურების მშენებლობებში.

ენერგორესურსებით რუსეთი მუდმივად მანიპულირებს, რუსეთი საუბრობს „ჩრდილოეთის ნაკადი 1“-ის გათიშვაზე, ეს უკანასკნელი აღნიშნა ნოვაკმა, თუმცა, ის ხაზს უსვამს, რომ ამით მოგებული არავინ დარჩება. თუ ვლადიმერ პუტინი ამ გზას დაადგება საგრძნობი შეფერხებები გარდაუვალი იქნება, ყველაზე მეტად რუსული გაზის შეწყვეტას იგრძნობენ ლიეტუვაში, სლოვაკეთში, ავსტრიაში, პოლონეთსა და უნგრეთში.

რუსული გაზის ჩანაცვლების მთავარი წყარო გათხევადებული ბუნებრუვი გაზია, ევროპის ენერგოსისტემა კი დღეს გაცილებით მძლავრი და მდგრადია, ამ კუთხით საკმაოდ დიდი ინვესტიციები განახორციელა რეგაზიფიცირების სისტემებში და სერიოზული ინფრასტრუქტურა შექმნა, რომელიც კვლავ აუთვისებელია, რეგაზიფიცირების სისტემებმა ნახევარი დატვირთვით რომ იმუშაონ, შესაძლებელი იქნება რუსული გაზის იმპორტის ორი მესამედის ჩანაცვლება.

ამ ეტაპისთვის ევროპას რუსული გაზის იმპორტის ჩანაცვლებისთვის არ მიეწოდება საკმარისი რაოდენობის გათხევადებული ბუნებრივი გაზი, ამისთვის მას გაზის ტანკერების დამატებითი არმადები ესაჭიროება აშშ-დან და აზიიდან, ეს უკანასკნელი კი ახალი კონტრაქტების გაფორმებას საჭიროებს.

გათხევადებულ ბუნებრივ გაზზე ევროპის მაღალი მოთხოვნით მოსალოდნელია ისარგებლოს მისმა მწარმოებელმა ჩინეთმა და აშშ-მ, რომელიც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით უფრო ახლოს არის ევროპასთან.

გიგანტი კომპანია „შელი“ ტოვებს რუსეთს, „ბრითიშ პეტროლიმი“ კი წყვეტს ნავთობრესურსების შეძენას რუსეთის ბაზარზე. „ჩვენ მივეცით უკრაინას 1მლრდ ევრო, რაც შესაძლოა დიდ თანხად მოგეჩვენოთ, ეს არის ის თანხა, რასაც ჩვენ ვუხდით პუტინს ყოველდღიურად იმ ენერგიაში, რასაც ის გვაწვდის, რაც ომი დაიწყო ჩვენ მას მივეცით 35 მლრდ ევრო და ახლა

ეს შეადარეთ 1 მლრდ ევროს, რომელსაც ვაძლევთ ჩვენ უკრაინას შეიარაღებისთვის, ეს გიგანტური სხვაობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გეგმის განხორციელების აუცილებლობას, რომელიც ევროპის საბჭომ დაგვანახა. უნდა შევამციროთ ენერგეტიკული დამოკიდებულება რუსეთზე, განაცხადა ჯოზეფ ბორელმა.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, რუსული გაზის სრული შეწყვეტის შემთხვევაში მთელი ევროპა დაზარალდება, თუმცა აღნიშნულ პრობლემას ის ერთი წლის პერსპექტივაში არსებითად დაძლევს. საქმე ისაა, რომ ევროკავშირი დიდი ხანია ეგუება რუსულ არასაიმედო პარტნიორს და ხელოვნურად გაზრდილ ფასებს, შესაბამისად მას ახლა უფრო დიდი სურვილი აქვს შეამციროს ენერგოდამოკიდებულება რუსეთზე.

დასკვნის სახით, შესაძლოა ითქვას, რომ რუსული გაზის გარეშე ევროპას გაუჭირდება, მაგრამ გაუძლებს და გადარჩება, გრძელვადიან პერსპექტივაში კი მას უფრო ძლიერს ვიხილავთ ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით, რუსეთისთვის კი ეს დიდი ზიანის მომტანი იქნება , რასაც ნამდვილად არ მოყვება სახარბიელო პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები.

იმის გასაგებად, თუ როგორ შეიცვლება გეოპოლიტიკური მდგომარეობა მსოფლიოში, საჭიროა მიმდინარე ომის დასრულება. ახალი მსოფლიო წესრიგისა და უსაფრთხოების კონტურები ჯერჯერობით არ შეცვლილა, ეს მოხდება მხოლოდ და მხოლოდ ომის დასრულების შემდეგ, მაშინ კი რეალურ სურათს ვიხილავთ, თუ როგორია მსოფლიო წესრიგის ახალი კონტურები ან თუნდაც ევროპული უსაფრთხოების „ახალი არქიტექტურა“.

MARIAM BALKHAMISHVILI

THE IMPACT OF THE RUSSIA-UKRAINE WAR ON RUSSIA-EU ENERGY COOPERATION

Summary

The world's energy resources have been constantly in the spotlight. This gained special urgency, during the Ukraine crisis, and then during the Russian-Ukrainian war.

The paper reflects on the stages of the development of Russia-EU energy relations in the period before the Russia-Ukraine war.

In this paper is also considered the suspension of ,,North Stream 2'' gas pipeline certification, which should increase Europe's energy dependence on Russia.

The paper also discusses the impact of the Russia-Ukraine war on Russia-EU energy cooperation.

Key words: *energy dependence, energy cooperation, energy security, energy dialogue.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. The impact of the war in Ukraine on Europe's climate and energy policy. March/24/2022, https://www.eui.eu/news-hub?id=the-impact-of-the-war-in-ukraine-on-europes-climate-and-energy-policy
2. The war in Ukraine and its implications for the EU, 14/03/2022 , https://www.eeas.europa.eu/eeas/war-ukraine-and-its-implications-eu_en
3. Russia's Energy Role in Europe: What's at Stake With the Ukraine Crisis 22/02/2022, https://www.cfr.org/in-brief/russias-energy-role-europe-whats-stake-ukraine-crisis
4. What the Ukraine conflict means for Europe's energy crisis 8/02/2022 https://www.energymonitor.ai/policy/a-ukraine-could-inflame-europes-energy-crisis
5. How the Ukraine Conflict Looms as a Turning Point in Russia's Uneasy Energy Relationship with the European Union , 12/02/2022, https://insideclimatenews.org/news/12022022/how-the-ukraine-conflict-looms-as-a-turning-point-in-russias-uneasy-energy-relationship-with-the-european-union-

6. Russia's Invasion of Ukraine Adds Urgency to Europe's Green Power Transition, 25/02/2022, https://www.scientificamerican.com/article/russias-invasion-of-ukraine-adds-urgency-to-europes-green-power-transition/
7. Nord Stream 2: Assessing Russia's "serious geopolitical victory", 3 Jun 2021. https://www.lowyinstitute.org/the-interpreter/nord-stream-2-assessing- russia-s-serious-geopolitical-victory
8. Nord Stream 2: US warns companies to 'immediately abandon work'. https://www.dw.com/en/nord-stream-2-us-warns-companies-to-immediately-abandon-work/a-56920315
9. Geopolitics versus geoeconomics: The case of Russia's geostrategy and its effects on the EU, May 2016, https://www.researchgate.net/publication/302064665_Geopolitics_versus_geoeconomics_The_case_of_Russia%27s_geostrategy_and_its_effects_on_the_EU
10. REPowerEU: Joint European action for more affordable, secure and sustainable energy March/8/2022. https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_22_1511?fbclid=IwAR3cFnlbdCMEYSg7nVAiqwufTEPCA1PNBKHlX6Yza2G5ERGnnH2XqcUUvBQ
11. Energy diplomacy in a time of energy transition, November 2019, https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2211467X19300793
12. Commissioner Simson in Vienna for energy diplomacy meetings amid Russia's invasion of Ukraine, 8/April/2022, https://ec.europa.eu/info/news/commissioner-simson-vienna-energy-diplomacy-meetings-amid-russias-invasion-ukraine-2022-apr-08_en
13. ჩრდილოეთის ნაკადი 2" - გადაწყვეტილია თუ არა ევროპის" ცუდი გარიგების" ბედი? 11/02/2021, ტონი ვესოლოვსკი. https://www.radiotavisupleba.ge/a/31098350.html
14. გაზსადენი ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის მშენებლობა დასრულდა 10/09/2021. https://tabula.ge/ge/news/672809-gazsadeni-chrdiloetis-nakadi-2-mshenebloba

ნათელა ხაჩიძე
წარმოადგინა პროფ. ქეთი ჯიჯეიშვილმა

სირიის კრიზისი - რუსეთ-ამერიკის თანამშრომლობის დილემები და გამოწვევები

რუსულ-ამერიკული ურთიერთქმედების როლის, ადგილისა და საზღვრების გააზრება მნიშვნელოვანია სირიის კრიზისისა და ზოგადად რეგიონული კონფლიქტების მოგვარების ყველაზე ეფექტური მექანიზმების დასადგენად და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებადი თანამედროვე სისტემის შესასწავლად, რომელიც ტრანსფორმაციის პერიოდს განიცდის. ეს განსაკუთრებით აქტუალური იყო მაშინ, როდესაც რუსეთ-ამერიკის ურთიერთობამ დაადასტურა - რეგიონის ქვეყნების შესაძლებლობების ზრდა, რათა გავლენა მოეხდინათ კრიზისის განვითარებაზე, რის შედეგადაც მონაწილეობას მიიღებდნენ მათ მოგვარებაში.

სირიის საკითხთან მიმართებაში რუსეთ-ამერიკის თანამშრომლობის საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ სამი ძირითადი მიმართულება: ქიმიური განიარაღება, საომარი მოქმედებების შეჩერება, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელმაც გარკვეული ცვლილებები შეიტანა კონფლიქტის დეესკალაციაში. მიუხედავად ამისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა იძენს პოლიცენტრულ თვისებებს და უზრუნველყოფს რეგიონის ქვეყნებისთვის სრულ პოლიტიკურ სივრცეს, რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის თანამშრომლობას რეგიონული კონფლიქტების გადასაჭრელად დიდი მნიშვნელობა აქვს. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვსაუბრობთ გლობალური პრობლემებისა და საფრთხეების დაპირისპირებაზე, სადაც ორ ქვეყანას არ სჭირდება რეგიონალური მოთამაშეების დახმარების იმედად ყოფნა.

საკვანძო სიტყვები: *სირიის კრიზისი, რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები, საომარი მოქმედებები, ტერორიზმი, კონფლიქტის დეესკალაცია.*

რუსეთ-ამერიკის ურთიერთობამ გავლენა მოახდინა სირიის კონფლიქტის დარეგულირების უმეტეს ასპექტზე. რუსეთი და შეერთებული შტატები ერთობლივად მუშაობდნენ ისეთ საკითხების მოგვარებაზე, როგორიცაა სირიის კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტა, სირიაში ქიმიური იარაღის მარაგის განადგურება და საომარი მოქმედებების შეწყვეტა, შემოღება და შენარჩუნება. ამავდროულად, სხვადასხვა სფეროდან გამომდინარე, ურთიერთქმედების სხვადასხვა დონე რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის იცვლებოდა მჭიდრო თანამშრომლობიდან სხვადასხვა სახელმწიფოების ჩართულობის მიხედვით (სირიის ქიმიური არსენალის ექსპორტი და განადგურება შეიძლება შეფასდეს, როგორც ერთობლივი პროექტი) შეზღუდული ურთიერთობის ფონზე (სირიაში ISIS-ის განადგურების ოპერაცია). სირიაში საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემოღებასა და შენარჩუნებაზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა რუსულ-ამერიკული თანამშრომლობის გარკვეული ჩარჩოები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ხორციელდებოდა რეგიონის ძირითადი ქვეყნების მონაწილეობის გარეშე.

აღსანიშნავია ის საკითხი, რომ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის გარკვეული დინამიკა შენარჩუნებული იყო როგორც ბ. ობამას პრეზიდენტობის პერიოდში (კონფლიქტის დასაწყისიდან 2011 წლიდან 2016 წლის ბოლომდე), ასევე აშშ-ს პრეზიდენტის დ. ტრამპის გამარჯვების შემდეგ,(2017 წლის ნოემბრის არჩევნებში).

რუსულ-ამერიკული ურთიერთქმედების როლის, ადგილისა და საზღვრების გააზრება მნიშვნელოვანია სირიის კრიზისისა და ზოგადად რეგიონული კონფლიქტების მოგვარების ყველაზე ეფექტური მექანიზმების დასადგენად და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებადი თანამედროვე სისტემის შესასწავლად, რომელიც ტრანსფორმაციის პერიოდს განიცდის. ეს განსაკუთრებით აქტუალური იყო მაშინ, როდესაც რუსეთ-ამერიკის ურთიერთობამ დაადასტურა - რეგიონის ქვეყნების შესაძლებლობების ზრდა, რათა გავლენა მოეხდინათ კრიზისის განვითარებაზე.

2013-2014 წლებში სირიის ქიმიური არსენალის განადგურების საკითხზე მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის თანამშრომლობა შეიძლება გამოვყოთ, როგორც ცალკე აღებული ასპექტი.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, თითქოს საუბარია ძალიან ვიწრო სამხედრო-ტექნიკური პრობლემის მოგვარებაზე, სინამდვილეში ეს პროექტი გახდა რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის თანამშრომლობის პირველი მთავარი მაგალითი ბოლო ათწლეულების განმავლობაში. გლობალური - იმის მიხედვით, რომ სირიის ქიმიური დემილიტარიზაციის ოპერაცია გახდა ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უშლიდა სიტუაციის განვითარებას სირიაში ძალისმიერი სცენარის შესაბამისად, რომლისთვისაც ვაშინგტონი ემზადებოდა და რაც პირდაპირ გავლენას ახდენდა რეგიონალური უსაფრთხოების სფეროში, არსებულ ვითარებაზე. რუსეთ-ამერიკის ხელმძღვანელობით ვაშინგტონის მხრიდან ძალისმიერი სცენარის გამოყენებაზე უარის თქმით დაიწყო მრავალმხრივი თანამშრომლობის მექანიზმების ამოქმედება, რომელსაც არა მხოლოდ სერიოზული მორალური და ფსიქოლოგიური ზიანი მოჰყვა (შეერთებულმა შტატებმა რუსეთთან თანამშრომლობით საჯაროდ უარი განაცხადა სირიის დაბომბვის გეგმაზე და პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხის შემუშავება დაიწყო), არამედ გავლენა მოახდინა სირიის „დოსიეს“ გარშემო საერთაშორისო ურთიერთგაგებაზე, რომელიც მიუთითებს თანამედროვე პირობებში მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთქმედების შესაძლებლობაზე [1].

ამრიგად, სირიის ქიმიური იარაღის განადგურების თემამ შეიძინა გლობალური კონტექსტი, რითაც განისაზღვრა რუსულ-ამერიკული თანამშრომლობის როლი და მნიშვნელობა. სირიის კრიზისის მსვლელობაში ქიმიური იარაღის გამოყენების თემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო „ქიმიური საკითხი“, რომელიც მანამდე შეერთებულმა შტატებმა და ვაშინგტონის ზოგიერთმა მოკავშირე ქვეყანამ აირჩია ასადის რეჟიმის დამხობის ერთ-ერთ ზემოქმედების და, როგორც სამხედრო ჩარევის შესაძლო საბაბი [2].

სირიაში „ქიმიური იარაღის“ პრობლემა თავდაპირველად შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა განიხილეს, როგორც სირიის ხელისუფლებაზე ზეწოლის ერთ-ერთი მთავარ მიზეზად. ეს თემა საზოგადოებრივ სივრცეში 2012 წელს გაჟღერდა, სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებამდე დიდი ხნით ადრე. კონფლიქტის ფონზე, რეალური გახდა ქიმიური იარაღის ტერორისტების ხელში ჩავარდნის საფრთხე. ექსპერტებმა ასევე განიხილეს, თუ რამდენად სასარგებლო შეიძლება ყოფილიყო სირიის მმართველი რეჟიმისთვის მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება და რა შემთხვევაში გადაწყვეტდა დამასკო ამ ნაბიჯის გადადგმას. არგუმენტები დაჯგუფდა თეზისის ირგვლივ, თუ სირიის ხელისუფლება იგრძნობდა თავისი პოტენციალის დაკარგვას „მიწაზე“ მათ შეეძლოთ გამოეყენებინათ ადგილობრივი ქიმიური იარაღი და შემდეგ დამალულიყვნენ ალავიტის სანაპირო პროვინციებში, ლატაკიაში და იქიდან ეწარმოებინათ პარტიზანული ომი [3].

დასავლური ანალიტიკოსების მიერ განხილული კიდევ ერთი სცენარი გულისხმობდა ირანისა და სირიის მიერ ქიმიური იარაღის გადაცემის საკითხს, რომელიც მათ რუსმა სპეციალისტებმა შეუქმნეს, ჰამასისა და ჰეზბოლასათვის გადასაცემად.

ამერიკის შეერთებული შტატების მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური თეზისი - ე.წ. „ბარაკ ობამას წითელი ხაზი“ ემყარებოდა „ქიმიური იარაღის“ საკითხს. 2012 წლის 20 აგვისტოს შეერთებული შტატების პრეზიდენტმა „წითელი ხაზის“ შესახებ ცნობილი განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნავდა, რომ თუ სირიაში ქიმიურ იარაღს გამოიყენებდნენ, ეს მის „შეხედულებას მნიშვნელოვნად შეცვლიდა“ [4].

ცხადია, საქმე ეხებოდა ძალისმიერი სცენარის გამოყენებას. ამავდროულად, შეერთებული შტატების მეთაური მიუთითებდა, რომ „უკუსვლის ხაზი“ მსოფლიო საზოგადოების მიერ უკვე შემოსაზღვრული იყო [5].

ბ. ობამას შემდეგ, ეს თეზისი დასავლეთის სხვა ლიდერებმაც გამოიყენეს: ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დ. კამერონმა ნათლად აღნიშნა, რომ მომწამვლელი ნივთიერებების გამოყენება აიძულებდა დასავლეთის დედაქალაქებს გადაეხედათ თავიანთი სამოქმედო გეგმისთვის [6. 2].

საფრანგეთის პრეზიდენტმა ფ. ოლანდმა ხაზი გაუსვა, რომ სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენება საერთაშორისო საზოგადოებას მისცემს „სირიაში პირდაპირი ჩარევის ლეგიტიმურ საფუძველს“.

აღსანიშნავია, რომ არც შეერთებული შტატები და არც მისი მოკავშირეები არ აღიქვამდნენ, შეიარაღებულ ოპოზიციას და ტერორისტულ დაჯგუფებებს საფრთხედ, რომელსაც შეეძლო სირიაში ქიმიური ნივთიერებების გამოყენება.

პირველად, ქიმიური იარაღი გამოიყენეს 2013 წლის 19 მარტს, სოფელ ხან ელ-ასალში (ალეპოს პროვინციაში). მიმდებარე საავადმყოფოებმა მიიღეს გაგუდვის სიმპტომების მქონე ადამიანები. ძირითადად სირიელი ჯარისკაცები და მშვიდობიანი მოსახლეობა [7. 2].

მომდევნო დღეს - 2013 წლის 20 მარტს - სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მულემმა გაუგზავნა წერილი გაეროს გენერალურ მდივანს, რომელშიც ითხოვდა პან გი მუნს დაუყოვნებლივ დეწყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება ინციდენტის გარემოებებთან დაკავშირებით, რომელშიც დადგინდებოდა დანაშაულის ჩამდენი პირების ვინაობა. ამავდროულად, წერილში მითითებული იყო რომ სირიის მთავრობის თანახმად, ხან ელ-ასალზე სარაკეტო შეტევა ხვარ დაელის რეგიონიდან მებრძოლებმა განახორციელეს.

2013 წლის 24-25 ივლისს გაიმართა მოლაპარაკება, სირიაში ქიმიური იარაღის განიარაღების საკითხთან დაკავშირებით, სირიელ მაღალჩინოსნებსა და გაეროს უმაღლეს წარმომადგენელ ა. კენს შორის [8. 2], რის შედეგად, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რათა ამ საკითხთან დაკავშირებით სირიიში გამოძიება ჩატარებულიყო. 2013 წლის 25 აგვისტოს ხელი მოეწერა სირიის მთავრობასა და გაეროს შორის „საერთო გაგების“ დოკუმენტს, რომელიც დააარეგულირებდა ინსპექტორების საქმიანობას სირიაში. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, თუ როგორ მიმდინარეობდა დისკუსია სირიაში, საზოგადოებრივ სივრცეში, ქიმიური იარაღის გამოყენების მოვლენასთან დაკავშირებით. აქ ერთმანეთის საპირისპიროდ შეგვიძლია მოვიყვანო ორი მიდგომა. ერთის მხრივ, დასავლეთმა გაავრცელა თავისი მოსაზრება, რომ სირიის ხელისუფლებამ გამოიყენა ქიმიური იარაღი. ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ამ მხრივ ყურადღების გამახვილებას მოითხოვდა იყო - დამოკიდებულება, რომ სსრკ-ს ჰქონდა თავის დროზე გავლენა სირიის მიერ ქიმიური არსენალის შეძენასთან დაკავშირებით. რუსულმა მხარემ უარყო გამოთქმული ვარაუდი თეზისის ჩამოყალიბების საფუძველზე, რომ სირიაში ქიმიური არსენალის შექმნის პერიოდში 1970-80-იან წწ-ში სირიის ინდუსტრიაში ჩანდა არა საბჭოთა, არამედ დასავლური ტექნოლოგიები და ქიმიური ნაერთების-წინამორბედების მიწოდება, მათ შორის ორმაგი დანიშნულებისთვისაც [9].

გერმანული ჟურნალი „ფოკუსი“ ამერიკელი რეპორტის მითითებით „სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრმა“ ეს ვერსია დაადასტურა, სადაც გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომელშიც მითითებული იყო, რომ 1980-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე გერმანული ფირმა ამარაგებდა ჰ. ასადის მთავრობას ქიმიური ნივთიერებებით, ტოქსიკური ქიმიკატებით და მათ შორის სარინითაც. კომპანია „შოთთისგან“ დამასკომ შეიძინა ლაბორატორიული აღჭურვილობა და სპეციალური მილები, სირიის თავდაცვის ქიმიური საწარმოებისთვის. „ლეიფელდ ვებერმა“ სირიაში შეიტანა და დაამონტაჟა მაღალი ტემპერატურის ღუმელები, რეზერუარები და ცხელი იზოსტატიკური ღუმელები. დამასკომ „გერიტ ვან დელდენისგან“ იყიდა რეაგენტები დიქლორიდის საწარმოებლად (სარინის დასამზადებელი ნივთიერება). კონცერნი „სიგრისგან“ - ტეფლონით დაფარული აპარატი და იარაღები, რომლებიც გამოიყენება ქიმიურ ნივთიერებების შესაქმნელად ლაბორატორიებში. ამავე კომპანიამ სირიელებს ლოჯისტიკური დახმარება გაუწია და საწარმო ხაზების წარმოებაში დაეხმარა. საწყისი მასალა სარინის მოსაპოვებლად ტრანსპორტირებულ იქნა გერმანული გემებით. უფრო მეტიც, კომპანია „როზეს“, რომელიც მუშაობდა მ. კადაფთან, შეეძლო დამასკოსთვის გადაეცა დოკუმენტაცია გაზის ობსორბაციული გაწმენდის ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით. რუსეთისა და შეერთებული შტატების კოორდინაცია ISIS-ის წინააღმდეგ ბრძოლაში - ადასტურებს, რომ ურთიერთქმედება ორ ქვეყანას შორის უარყოფითი დინამიკის ფონზე არამხოლოდ შესაძლებელია, არამედ პროდუქტიულიცაა. კონტროლირებულ ძალებზე დაყრდნობით, მოსკოვს და ვაშინგტონს შეეძლოთ შეექმნათ საერთაშორისო ურთიერთქმედების ვექტორი, საერთო გამოწვევებისა და საფრთხეების წინააღმდეგ.

ამრიგად, ორმხრივი შესუსტებული ურთიერთობების მიუხედავად, რუსეთი და შეერთებული შტატები აქტიურად თანამშრომლობდნენ სირიის „დოსიეზე“. მოსკოვი და ვაშინგტონი არა მხოლოდ კოორდინაციას უწევდა, არამედ ახორციელებდა ორმხრივ პროექტებს - სირიაში ქიმიური იარაღის დემილიტარიზაციის შესახებ. რაც შეეხება შეერთებულ შტატებსა და მის რეგიონალურ მოკავშირეებს შორის ურთიერთქმედებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ემსახურებოდა ახლო და შუა აღმოსავლეთში ძალაუფლების წინააღმდეგობის ცენტრების გადანაწილებას და ვაშინგტონის ურთიერთქმედების კონტროლს მოსკოვის ურთიერთობას-

თან მიმართებაში. ანკარას სერიოზულად აღიზიანებდა აშშ-ის მხარდაჭერა ქურთული დემოკრატიული კავშირის პარტიისადმი - ეს ქმედება იწვევდა PDS-ზე თურქების მხრიდან იერიშის მიტანას, რომელთა რიგებში იყვნენ ამერიკელი მრჩეველები. უფრო მეტიც, ორმა ქვეყანამ ვერ შესძლო შეთანხმებულიყო ისეთ საკითხზე, თუ რომელი სტრუქტურები გააკონტროლებენ ISIS-ისგან განთავისუფლებულ ტერიტორიებს. თავის მხრივ, საუდის არაბეთისთვის მტკივნეული აღმოჩნდა 2015 წლის ივლისში ვენაში ჩატარებული სამოქმედო ერთობლივი გეგმა (JCPOA) ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო არსებული ვითარების მოგვარების შესახებ, რომელიც შეიმუშავა საერთაშორისო შუამავლობის „ექვსმა“ ქვეყანამ და ირანმა. გეგმა ითვალისწინებდა, კერძოდ, თეირანის მიმართ სანქციების ეტაპობრივ მოხსნას - ძირითადი ერ-რიადის მეტოქე რეგიონში. ამ სიტუაციამ გავლენა მოახდინოს აშშ-საუდის არაბეთის ურთიერთობებზე, რაც დიდი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა აშშ-ის გავლენის ძირითად სფეროს, ბირთვული იარაღის საკითხს სპარსეთის ყურის რეგიონი. ამ ფონზე, რეგიონის ქვეყნები ეჭვისთვალით უყურებდნენ მოლაპარაკებებს რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის, 2016 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე და სათანადოდ იყვნენ ორიენტირებულნი თავიანთი კონტროლის ქვეშ მყოფ ძალებზე [10].

სირიასა და ახლო აღმოსავლეთის სხვა კონფლიქტებზე რუსულ-ამერიკული თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებისა და შესაძლებლობების ანალიზისას უნდა გახსოვდეთ ორი ასპექტი: პირველი, არსებობს ტენდენცია უფრო ღრმდ მოხდეს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში დაყენება, რეგიონალური მოკავშირეების პრიორიტეტების მიხედვით. მაგალითად, დ. ტრამპის ადმინისტრაციის ანტიირანული მიკერძოებაა. ამ კონტექსტში ღირს ყურადღება მიექცეს სახელმწიფო მდივნის რ. ტილესონის განცხადებას (ირანის საკითხებზე, 2017 წლის 18 აპრილს). მისი არსი შემდგომში მდგომარეობს: ირანი ხელს უწყობს კონფლიქტების გამწვავებას სირიაში, იემენში, ლიბანში, ერაყში; ახორციელებს ანტიისრაულ პოლიტიკას; ამარაგებს ჰამასს და სხვა პალესტინურ დაჯგუფებებს; დგას ბ. ასადის დაუნდობელი რეჟიმის უკან; მხარს უჭერს ერაყელ სამხედროებს, რომლებიც ძირს უთხრიან ქვეყნის უსაფრთხოებას, ეხმარება ჰუთებს KSA–ს წინააღმდეგ ომში; აწყობს კიბერშეტევებს შეერთებული შტატების წინააღმდეგ; მიჰყვება აშშ-ის საზღვაო ძალებს და ხელს უშლის უფასო გადაზიდვებს სპარსეთის ყურეში; თეირანის ბირთვული ამბიციები საფრთხეს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობებისთვის. ირანი ახორციელებს საშუალო სპექტრის ბალისტიკური რაკეტების მოკლე მანძილზე დატესტვას, ავითარებს და ანაწილებს ბირთვულ ტექნოლოგიებს. შეერთებული შტატები, როგორც ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მენეჯმენტის ნაწილი, წარმოქმნა წინააღმდეგობები ანტიირანული დღის წესრიგის განვითარების საჭიროება (ეს გამოიხატა, კერძოდ, ვაშინგტონის პრობლემებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულებით, სირიის საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობით, სადაც ირანი იმყოფებოდა). მეორეც, რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთქმედების საკითხებში ბევრია დამოკიდებული პრობლემის ხასიათზე, რომლის გადაწყვეტაც იგეგმებოდა რუსულ-ამერიკული თანამშრომლობის ფარგლებში. მოსკოვისა და ვაშინგტონის თანამშრომლობის დღის წესრიგის გაანალიზების შემდეგ სირიის „დოსიე“ შეგვიძლია პირობითად დავყოთ სამ ნაწილად:

1. სტრატეგიული საკითხები - რაც მოიცავს სირიაში მასობრივი იარაღის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლას, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის განსაზღვრას (ISIS, „ჯაბჰატ ალ-ნუსრა“), და პოლიტიკის ძირითად ელემენტებს გამოკვეთას სირიის კონფლიქტის მოგვარებაში (გაეროს უსაფრთხოების საბჭოს პოტენციალის გამოყენებით);

2. ოპერატიულ-ტაქტიკური მიდგომები - მასშტაბური შეტევების განვითარების ოპერაციების დაგეგვმა (ტერორისტების წინააღმდეგ), სტრატეგიული მოლაპარაკებების წარმოება ბლოკირებული დასახლებებიდან ხალხის ევაკუაციის შესახებ, ლოკალური და ჰუმანიტარული ურთიერთობების პაუზების აღდგენა;

3. ტაქტიკური - ძალების გადანაწილება „ადგილზე“, ჯგუფებს შორის ალიანსი, გარკვეული ტაქტიკური მიზნების მისაღწევად.

პირველი კატეგორიის საკითხის ურთიერთქმედება რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის წარმატების ყველაზე დიდი შანსს მოიცავს, რადგან იგი მინიმუმადე დაყვანით ითვალისწინებს რეგიონის იმ ქვეყნების ჩართვას, რომლებიც ხელს უწყობენ საკუთარი ინტერესების და პრიორიტეტების გატარებას, რომლის

მეშვეობითაც ირღვევა საერთო დასახული მიზანი. ამის მაგალითი სირიაში ქიმიური არსენალის ამოღება და განადგურება. შესაბამისი ოპერაცია, რომელიც არ საჭიროებდა რეგიონის სახელმწიფოების ჩართვას, იყო გლობალურ საკითხებში რუსეთ-ამერიკის თანამშრომლობის წარმატებული მაგალითი. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვიც და ვაშინგტონიც ვერ შეთანხმდნენ ურთიერთშეთანხმებულ პირობებზე ერთობლივი მოქმედებების ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად (მათ შორის, რეგიონული მოკავშირეების მხრიდან შეერთებულ შტატებზე გავლენის გამო), მაგრამ ამის მიუხერდავად ორი ქვეყნის თავდაცვის დეპარტამენტებს შორის კოორდინაცია განხორციელდა 2017 წლის ნოემბრისთვის, სადაც მიაღწიეს სირიაში ISIS ჯგუფის დამარცხებას. ამ თანამშრომლობით დამყარდა „დეზოკონფლიქტაცია“ (ჯგუფების მოქმედებათა კოორდინაცია საშიში ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით) ეს არის ის სფერო, რომელიც ორმხრივად მისაღებია თუნდაც მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის პოლიტიკური დაპირისპირების პირობებშიც. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ხელმძღვანელობით კოალიციამ მოიცვა დასავლეთის და რეგიონის სხვა ქვეყნებს, ვაშინგტონმა არ დაიწყო დელიგირება ვინმეს მიმართ და უზრუნველყოფდა ყოველდღიურ კავშირს კოალიციისა და რუსეთის სამხედრო შტაბებს საკუთარი ოფიცრებისა და გენერალთა გაერთიანებული წარმომადგენლების მეშვეობით.

რაც უფრო მეტად ამყარებს რუსეთი და შეერთებული შტატები ოპერატიულ-ტაქტიკურ ქმედებებს, იზრდებოდა რეგიონის ქვეყნების მოზიდვის, განხილვის, შეთანხმებისა და, შესაბამისად, ხელშეკრულების განხორციელების მიზეზი. ამ მხრივ, 2016 წლის ნოემბრიდან რუსეთ-ამერიკის მოლაპარაკებები აღმოსავლეთ ალეპოსთან მიმართებაში, შეუერთდნენ რეგიონის ქვეყნები - კატარი, თურქეთი და KSA. ამასთან, დისკუსიები იმართებოდა ამერიკის პოზიციის საფუძველზე, რასაც მხარს უჭერდნენ რეგიონის ქვეყნები და რამაც უბიძგა მოსკოვს ალეპოს პრობლემის საკითხზე სეპარატისტული მოლაპარაკებები ეწარმოებინა ანკარასთან.

სირიის საკითხთან მიმართებაში რუსეთ-ამერიკის თანამშრომლობის საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ სამი ძირითადი მიმართულება: ქიმიური განიარაღება, საომარი მოქმედებების შეჩერება, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელმაც გარკვეული ცვლილებები შეიტანა კონფლიქტის დეესკალაციაში.

ა. რუსეთი და შეერთებული შტატები, როგორც გლობალური მოთამაშეები ვალდებულები იყვნენ ეთანამშრომლათ ერთმანეთთან, სირიის კონფლიქტის დარეგულირების უმეტეს ასპექტებზე. ამასთანავე, რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის თანამშრომლობის დონე იცვლებოდა მჭიდრო თანამშრომლობიდან სხვა სახელმწიფოების ჩართვის საჭიროებით;

ბ. სირიის ქიმიური ნივთიერებების აღმოფხვრასა და ლიკვიდაციის საკითხთან დაკავშირებით 2013 წელს რუსეთ-ამერიკა იყო ის წამყვანი და მოწინავე ძალა, რომლის გარშემოც გაერთიანდნენ სხვადასხვა აზრის, პოლიტიკური შეხედულებების და იდეოლოგიის მქონე ქვეყნები. რუსეთ-ამერიკის პროგრამა იმდენად უნივერსალური აღმოჩნდა ამ საკითხთან მიმართებაში, რომ არ საჭიროებდა რეგიონის ქვეყნების ჩართვას მიმდინარე საკითხში. პროექტის დადებითად წარმართვის მიუხედავად სადაც იკვეთებოდა ორივე მხარის სტრატეგიული ინტერესების გადაკვეთა/დამთხვევა, ურთიერთქმედებამ რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის, განიცადა დეესკალაცია და დაუბრუნდა საწყის ეტაპს. ამის მიუხედავად, ასეთი თანამშრომლობა ემყარება „ad-hoc“-ის პრინციპს რომელსაც რა თქმა უნდა გააჩნდა დადებითი მხარეები;

გ. თანამშრომლობის გარკვეული ჩარჩოები რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის გამოიკვეთა 2016 წელს სირიაში, საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემოღებისა და შენარჩუნების საკითხებზე. მიზეზი იყო რეგიონის ქვეყნების უმოქმედობა ამ სამხედრო- პოლიტიკურ პროექტში. ისინი დაინტერესებულნი იყვნენ კონტროლირებადი ძალების დახმარებით „მიწაზე“ მტრის დამარცხების მიღწევაში. რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის მიღწეული შეთანხმებები გაერთიანდა ტრადიციული მექანიზმების - გაეროს უსაფრთხოების საბჭოს და ახალი მექანიზმების ფარგლებში, რეგიონის ძირითადი ქვეყნების (სირიის საერთაშორისო მხარდაჭერის ჯგუფი) მონაწილეობით, რაც გახდაძირითადი დამაკავშირებელი პოსტ სამხედრო და თანამედროვე ინსტრუმენტების მეშვეობიტ კონფლიქტის დარეგულირების საშუალება;

დ. რეგიონალური მოკავშირეების პრიორიტეტი აშშ საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში ჩარევა (მაგალითად, დონალდ ტრამპის

ადმინისტრაციის ანტიირანული მიკერძოება) კვლავ რჩება მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის თანამშრომლობის დაძაბვის ფაქტორად, რაც გაართულებს ორმხრივი დიალოგის პროცესს, უფრო მრავალშრიანს და არაპროგნოზირებადს გახდის;

ე. მიუხედავად ამისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა იძენს პოლიცენტრულ თვისებებს და უზრუნველყოფს რეგიონის ქვეყნებისთვის სრულ პოლიტიკურ სივრცეს, რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის თანამშრომლობას რეგიონული კონფლიქტების გადასაჭრელად დიდი მნიშვნელობა აქვს. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვსაუბრობთ გლობალური პრობლემებისა და საფრთხეების დაპირისპირებაზე, სადაც ორ ქვეყანას არ სჭირდება რეგიონალური მოთამაშეების დახმარების იმედად ყოფნა.

NATELA KHACHIDZE

DILEMMAS AND CHALLENGES OF RUSSIAN-AMERICAN COOPERATION IN THE SYRIAN CONFLICT

Understanding the role, place and borders of Russian-American interaction is important to identify the most effective mechanisms for resolving the Syrian crisis and regional conflicts in general, and to explore the evolving modern system of international relations that is undergoing a period of transformation. This was especially true at a time when Russia-US relations were evolving - increasing the capacity of countries in the region to influence the development of the crisis that led to their participation in resolving it.

Based on Russian-American cooperation on the Syrian issue, three main areas can be distinguished: chemical disarmament, the cessation of hostilities, the fight against terrorism, which made certain changes in the de-escalation of the conflict. Although the system of international relations acquires polycentric features and provides a full political space for the countries of the region, cooperation between Russia and the United States is of great importance for resolving regional conflicts. First of all, we are talking about the confrontation of global problems and threats, where the two countries do not need to rely on the help of regional players.

Keywords: *Syrian crisis, Russian-American relations, military actions, terrorism, conflict de-escalation.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე რ., „ახლოაღმოსავლეთი, სივრცე,ხალხი და პოლიტიკა“, თბ., 2011. გვ. 183.
2. Syrian Regime Will Deploy Chemical Weapons as Last Resort // The Telegraph. – 2012, 19 Septembe.
3. Remarks by the President to the White House Press Corps. The White House. Office of the Press Secretary. 20 August 2012. https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/2012/08/20/remarks-president-white-house-press- corps (გადამოწმებულია 03.04.2021)
4. Shawna Th., „Obama draws 'red line' for Syria on chemical and biological weapon“, NBC News. 20 August 2012. https://www.cbsnews.com/news/obama-chemical-weapons-in-syria-are-a-red-line/
5. Kessler G., „President Obama and the „red line“ on Syria's chemical weapons“. Washington Post. 2013, 6 September. (გადამოწმებულია 05.04.2021)
6. Finaud M., „Syria's Chemical Weapons: Force of Law or Law of Force?“. GCSP Policy Paper 2012/10. P. 2. (გადამოწმებულია 07.04.2021)
7. Letter by Angela Kein, High Representative for Disarmament Affairs to His Excellency Mr. Faisal Mekdad, Deputy Minister of Foreign Affairs and Expatriates of the Syrian Arab Republic. New York. 12 August 2013. P. 2. (გადამოწმებულია 11.04.2021)
8. Комментарий Департамента информации и печати МИД России в связи с появившимися в СМИ высказываниями Министра иностранных дел Польши Р. Сикорского относительно сирийского химоружия. 3 сентября 2013. http://www.mid.ru/foreign_policy/news//asset_publisher/cKNonkJE0-2Bw/content/id/98150 (გადამოწმებულია 16.04.2021)
9. Справка «О роли стран Запада в получении Сирийской Арабской Республикой химического оружия». 23 февраля 2016 г.// Центр оперативного реагирования на нарушения режима прекращения боевых действий (Женева). (გადამოწმებულია 20.04.2021)

ლია შენგელია
წარმოადგინა პროფ. ავთანდილ კიკნაძემ

ჩინეთის გლობალური პროექტი „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ და სამხრეთ კავკასია

სტატიაში განხილულია ჩინეთის გლობალური პროექტის „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივის არსი და მნიშვნელობა. სამხრეთ კავკასიის, როგორც სტრატეგიული ადგილმდებარეობის რეგიონის, ჩართულობა და შესაძლებლობები ჩინეთის მიერ ინიცირებულ პროექტში.

საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კავკასია, ჩინეთი, ერთი სარტყელი-ერთი გზა, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, რეგიონი.

ჩინეთი მრავალი საუკუნის განმავლობაში ისწრაფვოდა ერთიან საზღვრებში შეენარჩუნებინა სახელმწიფო და ცივილიზაცია. საკუთარ ცივილიზაციაზე დაყრდნობით ჩინეთმა შექმნა ტრადიციული გეოპოლიტიკა, რომლის მიზანია გარე სამყაროსადმი გათვლილი და გააზრებული მიდგომა და გახსნილობა, ქვეყნის მენტალიტეტისა და ტრადიციების დასაცავად. სწორედ ჩინეთის ამ გეოპოლიტიკის მნიშვნელობას წარმოადგენს, ჩინეთის დიდი კედელი და დიდი აბრეშუმის გზა [9].

ევრაზიულ კონტიენენტზე დიდი აბრეშუმის გზა იყო უდიდესი მსოფლიო სავაჭრო საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც წარმოადგენდა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობისადმი უდიდეს ცივილიზაციის გახსნილობას. აბრეშუმის გზა უზრუნველყოფდა არა მარტო ქვეყნებს შორის ვაჭრობას, არამედ კულტურისა და ინფორმაციის გაცვლას. რაც, შეიძლება ითქვას, რომ ქმნიდა მშვიდობის და სტაბილურობის გარანტიას ევრაზიულ გეოპოლიტიკურ სივრცეში.

გასული საუკუნის მიწურულს ისევ აქტუალურად წამოიწია „აბრეშუმის გზის“ განახლების და აღდგენის იდეამ. არაერთი პროექტი და ინიციატივა იქნა შემოთავაზებული, მაგრამ ყველაზე მასშტაბური 2013 წელს ჩინეთის პრეზიდენტის სი ძი პინის ინიციატივა სახელწოდებით „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ აღმოჩნდა, რომელშიც ჩართულია 100-მდე ქვეყანა და საერთაშორისო ორგანიზაცია და რომლის სტრატეგიულ მიზანს ევრაზიის კონტინენტზე ძალთა დაბალანსება წარმოადგენს [10].

„ერთი სარტყელი, ერთი გზა“, ეს არის ჩინეთის ისტორიული ინიციატივა. ბოლო დროს იგი ცნობილია, როგორც სარტყელი და გზის ინიციატივა და აერთიანებს „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელისა“ და „21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზას“. აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი მოიცავს ცენტრალური აზიის ქვეყნებს, დასავლეთ აზიის ქვეყნებს, ახლო აღმოსავლეთს და მიდის ევროპისკენ. მისი ძირითადი მიმართულებებია:

- ჩრდილოეთი (ჩინეთი — ცენტრალური აზია — რუსეთი — ევროპა (ბალტიის ზღვამდე);
- ცენტრალური (ჩინეთი — ცენტრალური და დასავლეთ აზია — სპარსეთის ყურე — ხმელთაშუა ზღვა);
- სამხრეთი (ჩინეთი — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია — სამხრეთი აზია — ინდოეთის ოკეანე).

პროექტის თანახმად, ახალი აბრეშუმის გზა დაიწყება ცენტრალური ჩინეთიდან-ქალაქ სიანიდან და შეუერთდება განსუს პროვინციის დედაქალაქ ლაჯოუს, გაგრძელდება ურუმჩიში და ხორგასში. აქედან ის დატოვებს ჩინეთის საზღვრებს და აიღებს გეზს ყაზახეთისკენ. შემდეგ ეს გზა გადის ცენტრალური აზიიდან ირანის ჩრდილოეთამდე, მერე გაგრძელდება ერაყში,სირიასა და თურქეთში. ბოსფორის სრუტის გავლით სტამბულიდან გადავა ევროპაში - ბულგარეთში, რუმენთში, ჩეხეთსა და გერმანიაში, შემდეგ გრძელდება

ჰოლანდიაში, იქიდან იტალიაში - ვენეციაში და უერთდება პროექტის მეორე განშტოებას 21-საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზას. საზღვაო აბრეშუმის გზა დაფუძნებულია „სარტყელი და გზის“ ინიციატივის წევრ ქვეყნებს შორის არსებულ წყალსადენებზე. იგი მოიცავს დაახლოებით 65 ქვეყანას და 900 პროექტს, რომელთა ინვესტიციების მოცულობა 850 მილიარდი დოლარია. საზღვაო მარშუტები კი გადის: ჩინეთის სანაპიროდან ევროპამდე სამხრეთ ჩინეთის ზღვისა და წყნარი ოკეანის გავლით - მეორე ჩინეთის სანაპიროდან სამხრეთ ჩინეთის ზღვის გავლით წყნარი ოკეანის სამხრეთ სანაპირომდე [5].

აღსანიშნავია, რომ „ერთი სარტყელი“ მოიცავს „აბრეშუმის გზის ეკონომიკურ სარტყელს“, რომელიც ეფუძნება ძველი აბრეშუმის გზის აღორძინებას, რომელიც ჩინეთს აკავშირებდა ცენტრალურ აზიასთან, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპასთან. ასე რომ, იგი ასევე ცნობილია, როგორც თანამედროვე აბრეშუმის გზა. „ერთი გზა“ აღნიშნავს „21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზას“, რომელიც ცნობილია როგორც საზღვაო აბრეშუმის გზა და მოგვიანებით ინიციატივის სახელწოდებად დამკვიდრდა „სარტყელი და გზა“.

ინიციატივის „სარტყელი და გზა“ მიზანია სავაჭრო და ინფრასტრუქტურული ქსელის აშენება და აზიის, ევროპისა და აფრიკის დაკავშირება, ქვეყნებს შორის პარტნიორობის გაძლიერების და საერთო განვითარებისთვის. პროექტი გულისხმობს საავტომობილო გზების, რკინიგზის, საზღვაო პორტების, ელექტროქსელების, ნავთობისა და გაზის მილსადენების და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობას. ინიციატივა წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ პროექტს, რომელიც აყალიბებს ახალ გზას გლობალიზაციისკენ. ინციატივა „სარტყელი და გზა“ ეფუძნება საერთაშორისო თანამშრომლობის 5 ძირითად განზომილებას: პოლიტიკის: კორდინაცია-მთავრობათაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობა და კომუნიკაციის მექნიზმი; ობიექტების კავშირი: ინფრასტრუქტურის მშენებლობის ურთიერთკავშირის გაუმჯობესება და ერთიანი ტექნიკური სატანდარტების სისტემები; შეუფერხებელი ვაჭრობა: საინვესტიციო და სავაჭრო ბარიერების შემცირება, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა; ფინანსური ინტეგრაცია: კორდინაცია და თანამშრომლობა მონეტარული პოლიტიკის სფეროში, ფინანსური ინსტიტუტების ფორმირება; ხალხთაშორისი კავშირები: კულტულური და აკადემიურ წრეებში ინფორმაციის გაცვლა.

ინიციატივა „სარტყელი და გზა“ თავდაპირველად გამოცხადდა 2013 წელს უძველესი აბრეშუმის გზის აღდგენის მიზნით, რომელიც აზიასა და ევროპას აკავშირებდა, პროექტი წლების განმავლობაში გაფართოვდა და მოიცავს ახალ ტერიტორიებს და განვითარების ახალ ინიციატივებს. 2014 წელს ჩინეთის მთავრობამ „აბრეშუმის გზის ფონდი“ დაარსა – 40 მილიარდი დოლარით დაფინანსა და ინიციატივის ფარგლებში ჩინეთმა პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება დაიწყო. ამჟამად ჩინეთის მთავრობასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს 150 ქვეყანას გაფორმებული. 2015 წელს დაფუძნდა აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB), საწყისი კაპიტალიზაციით $100 მილიარდი, და $40 მილიარდი აბრეშუმის გზის ფონდით, რომელიც „სარტყლისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში ბიზნეს პროექტების დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მალევე, 2015 წელს, შემუშავდა კონკრეტული მიმართულებები და „სარტყელისა და გზის“ ფარგლებში ექვსი სატრანზიტო დერეფანი განისაზღვრა: 1. ახალი ევრაზიული სახმელეთო ხიდი; 2. ჩინეთი-მონღოლეთი-რუსეთის დერეფანი; 3. ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის დერეფანი; 4. ჩინეთი-ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის დერეფანი; 5. ჩინეთი-პაკისტანის დერეფანი; 6. ბანგლადეში-ჩინეთი-ინდოეთი-მიანმარის დერეფანი.

„სარტყელი და გზის“ ინიციატივა არის მეგაპროექტი, რომელიც ფარავს სახმელეთო და საზღვაო ტერიტორიებს, მოიცავს მსოფლიო მოსახლეობის ორ მესამედს და ენერგორესურსების სამ მეოთხედს. „სარტყელი და გზის“ ინიციატივის მიზანია აზიის პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის ხელახლა ჩამოყალიბება კულტურული, პოლიტიკური და სავაჭრო კორპორაციების ქსელის განვითარებით. „სარტყელი და გზის“ ინიციატივამ უკვე მიიღო 65 ქვეყანა მათივე ინიციატივით და ინიციატივის მნიშვნელობის მიმართ გლობალური ინტერესი გამოიხატება ყველა კონტინენტის 150-მდე ქვეყნის მონაწილეო-

ბით. 2019 წლის მონაცემებით, ჩინეთის მთავრობამ ხელი მოაწერა თანამშრომლობის შესახებ 173 შეთანხმებას 125 ქვეყანასთან და 29 საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომელიც ეფუძნება საერთო საფუძველს და ათანხმებს ურთიერთანამშრომლობის გეგმებს. „სარტყელი და გზა“ ფოკუსირებულია აზიაზე, ევროპასა და აფრიკაზე, მაგრამ ღიაა ყველა პოტენციური მონაწილის მიმართ. არ განასხვავებს ქვეყნებს იდეოლოგიის მიხედვით და სურვილის შემთხვევაში, ყველა ქვეყნისთვის ინიციატივაში გაერთიანება მისაღებია. ჩინეთი ცდილობს ხელი შეუწყოს გამჭვირვალობას ქეყნებს შორის თანამშრობლისას და კორუფციასთან მიმართებით აცხადებს ნულოვან ტოლერანტობას, რომელიც ეფუძნება 2019 წლის პეკინის „სარტყლისა და გზის“ ინიციატივის ფორუმზე გამოცხადებულ „სუფთა აბრეშუმის გზის“ კოცეფციას [11].

ჩინეთის „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის მთავარი მოტივი ეკონომიკური ინტერესებია და ნაკლებად პოლიტიკური, რადგან, როგორც აღინიშანა, სახმელეთო და საზღვაო აბრეშუმის გზის შექმნა ჩინეთის განვითარების სტრატეგიის განხორციელების უზარმაზარ მამოძრავებელ ძალად განიხილება დღეს, რაც დიდ გავლენას ახდენს რეგიონული ინტეგრაციის პროცესზე. შეიძლება ითქვას, რომ ინიციატივას აქვს კარგი პოლიტიკური საფუძველი, რომელიც ორმხრივი პოლიტიკური ურთიერთობების ეტაპობრივ გაძლიერებას გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ აბრეშუმის გზის გასწვრივ მდებარე ქვეყნები ერთმანეთისგან განსხვავდებიან პოლიტიკური რეჟიმებითა და კულტურით, თითქმის ყველა მათგანი ატარებს მშვიდობიან და მეგობრულ საგარეო პოლიტიკას.

ჩინეთს, როგორც გეოპოლიტიკურ ძალას, სურს გააფართოვოს თავისი ეკონომიკური კონტაქტები ყველა რეგიონთან, რომელიც წარმოადგენს დერეფანს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, როგორიცაა ცენტრალური აზია და სამხრეთ კავკასია, ამიტომაც ჩინეთის ხელისუფლებამ შექმნა ახალი ინსტრუმენტი, ახალი გლობალური ინიციატივა - ახალი აბრეშუმის გზა, რომელიც უკავშირდება ძველი აბრეშუმის გზის განახლების იდეას და მოიაზრება, როგორც რეგიონში ჩინეთის დღევანდელი გლობალური პროექტის საფუძველი. ისტორიულად ჩინეთის ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან ძირითადად დაკავშირებული იყო ძველი აბრეშუმის გზის არსებობასთან. ძველი აბრეშუმის გზა საქარავნო, სავაჭრო გზა იყო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აკავშირებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს. ეს ურთიერთობები შეზღუდული და ორიენტირებული იყო ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებზე. ეს იყო რეგიონში ჩინეთის დღევანდელი აქტივობის დასაწყისი.

სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელი ქვეყნები - სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო - განსხვავდებიან მრავალ სფეროში, როგორიცაა კულტურა, რელიგია, საგარეო პოლიტიკა და ენა. თითოეული სახელმწიფო ატარებს ცალკე საგარეო პოლიტიკას და სხვანაირად აყალიბებს ურთიერთობას მოკავშირეებთან, ასევე უნდა აღინიშნოის, რომ ამ ქვეყნებისთვის ჩინეთი წარმოადგენს კაპიტალისა და უცხოური ინვესტიციების ახალ წყაროს და ასევე სხვა ეკონომიკურ ვარიანტს, ვიდრე რუსეთი, ევროკავშირი და შეერთებული შტატები. დღეს სამივე სახელმწიფო დაინტერესბულია საერთაშორისო თანამშრომლობით და ურთიერთობის გაფართოებით რეგიონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტორთან, ჩინეთთან, და სამი სახელმწიფოსთვის ჩინეთის ინიციატივა აღიქმება, როგორც მნიშვნელოვანი შესაძლებლობა და სახელმწიფოები ეძებენ გზას ამ ინიციატივაში ჩასართავად.

მიუხედავად მათი გეოგრაფიული სიახლოვისა და საერთო ისტორიისა, განსხვავებები განვითარების ტრაექტორიებში უნდა აღინიშნოს. აზერბაიჯანს აქვს ყველაზე დიდი ეკონომიკა, ის პოზიციონირებს როგორც ნავთობისა და გაზის მწარმოებელი, ქვეყნის ეკონომიკა უფრო დიდია, ვიდრე სომხეთისა და საქართველოს ეკონომიკა ერთად. აზერბაიჯანი ჩართულია სამხედრო კონფლიქტში მეზობელ სომხეთთან. თუმცა, აზერბაიჯანი ცდილობს მჭიდრო კავშირები ჰქონდეს თურქეთთან და კარგი ურთიერთობა რუსეთთან. აზერბაიჯანი ასევე განიხილავს პოტენციურ სატრანზიტო მარშრუტს ცენტრალური აზიის ენერგეტიკული რესურსებისთვის ევროპისკენ რუსეთის გვერდის ავლით, რითაც შეძლებს ხელი შეუწყოს ევროპის მოსკოვზე დამოკიდებულების შემცირებას. მაგრამ, დღეს აზერბაიჯანი ევროკავშირთან და რუსეთთან ურთიერთობებში ბალანსის დამყარებას ცდილობს. აზერბაიჯანის უმსხვილესი სავაჭრო

პარტნიორი დღეს არის ევროკავშირი ამ რეგიონში მისი ენერგო რესურსის ექსპორტის გამო. მაგრამ ბაქოსა და მოსკოვს ჯერ კიდევ მჭიდრო ეკონომიკური კავშირები აქვთ. რუსეთი არის აზერბაიჯანში საქონლის მეორე უმსხვილესი ექსპორტიორი და მეორე უდიდესი ინვესტორი. თუმცა, აზერბაიჯანმა არ მოაწერა ხელი რუსეთის მიერ ინიცირებულ ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს (EAEU), რათა არ დაარღვიოს ბალანსი, რომელსაც ინარჩუნებს ევროკავშირსა და რუსეთს შორის.

აზერბაიჯანი, რომელსაც აქვს ნავთობისა და გაზის რესურსი, არის მთავარი მოთამაშე ენერგეტიკულ პროექტებში: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზრუმის (BTE) გაზსადენი. აზერბაიჯანის ენერგოექსპორტის ნახევარზე მეტი მიდის ევროკავშირში. აზერბაიჯანი მხარს უჭერს ევროკავშირის წინადადებას ტრანსკასპიური გაზსადენის შესახებ, რომელიც დააკავშირებს BTE-ს თურქმენეთისა და ყაზახეთის მწარმოებლებთან. იმის გაცნობიერებით, რომ მან უნდა განახორციელოს თავისი ეკონომიკური სტრატეგიების დივერსიფიკაცია საკუთარი ენერგორესურსების ამოწურვამდე, აზერბაიჯანი ინვესტირებას ახორციელებს სატრანზიტო ჰაბის პოზიციონირებაში.

აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანი არის „სარტყელისა და გზის“ ინიციატივაში იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის, რომელიც მდებარეობს ევრაზიის შუაგულში და აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო სავაჭრო დერეფნებისა და თანამედროვე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაში. აზერბაიჯანმა უმოკლეს დროში მოახერხა ჩინეთსა და ევროპას შორის ყველაზე მოკლე სარკინიგზო კავშირის შექმნა. ბაქოს სატვირთო ტერმინალი, აზერბაიჯანის ექვსი საერთაშორისო აეროპორტი, ალათის სავაჭრო პორტი, კასპიის ფლოტი, თავისუფალი ეკონომიკური ზონა, თანამედროვე სატვირთო გემები კასპიის ზღვაზე. ბაქო-თბილისი-ყარსის (BTK) რკინიგზა, რომელიც დასრულდა 2017 წელს და არის აზერბაიჯანის და რეგიონის ერთობ მნიშვნელოვანი რეგიონალური პროექტი. ბაქო-თბილისი-ყარსის (BTK) რკინიგზა სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას ევროპასთან აკავშირებს და განიხილება როგორც „რკინის აბრეშუმის გზა“. რეგიონისთვის მნიშვნელოვან პროექტის მშენებლობა 2008 წელს დაიწყო, ხოლო 2017 წლის ივლისში კი პირველი მატარებელი ყარსიდან საქართველოს საზღვრამდე მივიდა. რკინიგზა წარმოადგენს ამ პროექტის განვითარების ახალ მნიშვნელოვან ფაზას, რადგან ეს გზა უკვე აკავშირებს არა მხოლოდ აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს, არამედ აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზის გასწვრივ მდებარე ყველა ქვეყანას. ამ რკინიგზას, როგორც გზის კომპონენტს მნიშველოვანი გეოპოლიტიკური დატვირთვა აქვს, ის ლოგიკურად შეესაბამება „სარტყელისა და გზის“ ინიციატივას.

აზერბაიჯანს აქვს როგორც ტექნიკური, ასევე ფინანსური შესაძლებლობები და პოლიტიკური მზაობა, შემდგომში ხელი შეუწყოს ჩინეთის ინიციატივას. ქვეყნის ხელსაყრელი მდებარეობა, ასევე კარგად განვითარებული საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა საშუალებას აძლევს მას მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო პროექტებში. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ აზერბაიჯანისა და საქართველოს ჩართვა ჩინურ „სარტყელისა და გზის „ინიციატივაში განაპირობა უკვე მოქმედი აბრეშუმის გზის სატრანსპორტო დერეფნის პროექტმა.

საქართველო, შეიძლება ითქვას, რომ საუკეთესო ადგილს იკავებს ამ სამ ქვეყანას შორის ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსში, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში და კორუფციის აღქმის ინდექსში, ცდილობს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, რათა უფრო მჭიდრო კავშირები ჰქონდეს ნატო-სთან და სხვა დასავლელ პარტნიორებთან. საქართველო გადამწყვეტ როლს თამაშობს რეგიონულ კავშირსა და კოორდინაციაში აზერბაიჯანთან, თურქეთთან და სომხეთთან მოწინავე ურთიერთობების გამო.

დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე გადის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ყარსის (BTK) რკინიგზა, ბაქო-თბილისი-ერზურმის გაზსადენი, რუსეთ-სომხეთის გაზსადენი. შეიძლება ითქვას, რომ საქრთველო, თავისი მდებარეობიდან გამომდინარე აღიარებს სატრანსპორტო დერეფნის პოტენციალს და მნიშვნელოვანია ერთი სარტყელი ერთი გზის ინიციატივაში ჩართვა, რათა კიდევ უფრო გაღრმავდეს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი [5].

თავდაპირველად საქართველო „ერთი სარტყელი – ერთი გზის ინიციატივაში“ არ იყო წარმოდგენილი, მაგრამ ქვეყანამ თანდა-

თანობით გააღრმავა ჩინეთთან თანამშრომლობა და მალევე მოახერხა ინიციატივაში გაწევრიანება. მალევე საქართველომ პროექტისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ფორუმებსაც კი უმასპინძლა. ამჟამად, „ერთი სარტყელი – ერთი გზის“ ინიციატივა ექვს ძირითად სატრანზიტო კორიდორს მოიცავს, რომლებიც აზიასა და ევროპას შორის მთავარი მაკავშირებელი გზის სტატუსის მოსაპოვებლად ერთმანეთთან კონკურენტულ დამოკიდებულებაშია. ერთ-ერთი ასეთი კორიდორი ჩინეთს ევროპასთან ყაზახეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის გავლით აკავშირებს. ეს არის გზა, რომელსაც „ერთი სარტყელი – ერთი გზის“ შუა კორიდორს უწოდებენ და საქართველოს სატრანზიტო მისწრაფებებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, საქართველოს მცდელობები, რომ ერთ-ერთი უმთავრესი სატრანზიტო ჰაბი გამხდარიყო, მრავალი წარუმატებლობით დასრულდა რაც უკავშირდებაა ღრმაწყლოვანი პორტის აშენებას ანაკლიაში, რომელიც დროებით შეჩერებულია. ანაკლიის პორტი რეგიონში ერთ-ერთი ღრმაწლოვანი პორტია და მოიაზრება, როგორც ბათუმისა და სუფსის პორტების ალტერნატივა ნავთობისა და გაზის გადაზიდვისთვის [6].

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი“ ქმნის ევროკავშირსა და ჩინეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ახალ ეტაპს და საქართველო აქტიურად განიხილება ევროკავშირსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის დამაკავშირებელ ცენტრად.

როგორც ჩინეთი, ისე საქართველო არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყანა, საქართველოს აქვს ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება. საქართველოს უკვე აქვს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთნ და ასევე ხელმოწერილი აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან(EFTA). საქართველოს ეს გარემოებები ხელს უწყობს, რომ ჩამოყალიბდეს ჩინეთის ევროკავშირთან დამაკავშირებელ ლოჯისტიკურ ჰაბად. საქართველოს სავაჭრო პარტნიორებში, თურქეთისა და რუსეთის შემდეგ, ჩინეთი მე-3 ადგილს იკავებს [17].

სომხეთს რეგიონში არ აქვს ურთიერთობა აზერბაიჯანთან და თურქეთთან მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო და იზოლირებულია რეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტებისგან. ქვეყანაში აქტიურად განიხილავენ რუსეთის გავლენას, ის 2015 წელს შეუერთდა რუსეთის ხელმძღვანელობით ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს (EAEU). მაგრამ პარალელურად სომხეთი ავითარებს პარტნიორულ ურთიერთობებს აშშ-სთან, ევროკავშირთან და ნატოსთან. ქვეყანამ ხელი მოაწერა ყოვლისმომცველ და გაძლიერებულ პარტნიორობის შეთანხმებას ევროკავშირთან 2017 წლის ნოემბერში.

ჩინეთის ინტერესი სომხეთის მიმართ ამჟამად უფრო გეოპოლიტიკურია, ვიდრე ეკონომიკური. ჩინეთი ფოკუსირებულია რბილი ძალის ჩამოყალიბებაზე, მათ შორის სერვისების მიწოდებაზე და კულტურული აქტივობებზე, რადგან „სარტყლისა და გზის“-ინიციატივის ფარგლებში სომხეთს აქვს შეზღუდული ვარიანტები [14].

სომხეთის მთავრობა მტკიცედ არის დაინტერესებული „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის ფართო პროექტში ჩართვასა და ჩინური ინვესტიციების მოზიდვაზე. სომხეთი მიისწრაფვის ააგოს ჩრდილოეთ-სამხრეთის კავშირი სპარსეთის ყურესა და საქართველოს შავი ზღვის პორტებს შორის, სადაც ჩინელები ინვესტიციებს ახორციელებენ. სხვა პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია „სარტყელისა და გზის“ ინიციატივასთან. (ჩრდილოსამხრეთის კავშირის ნაწილი) არის მეღრიერევანი-ბავრას გზატკეცილი, რომელიც აკავშირებს სომხეთის სამხრეთ საზღვარს ირანთან და მის ჩრდილოეთ საზღვართან, საქართველოსთან. ჩინეთის ინტერესი ამ პროექტის მიმართ შეიძლება უკავშირდებოდეს ჩინური კომპანია Sinohydro-ს ჩართულობას. ჩინურმა სახელმწიფო სამშენებლო ფირმამ აიღო პასუხისმგებლობა, დაასრულოს გზის მონაკვეთი, რომელიც აკავშირებს გიუმრს, სომხეთის სიდიდით მეორე ქალაქს, საქართველოს საზღვართან, რითაც დაეხმარა დაჩქარებას. სომხეთში საავტომობილო ტრანსპორტი ტრანსპორტის ყველაზე გავრცელებული საშუალებაა, მათ შორის ტრანზიტი საქართველოს პორტებში ევროკავშირთან და სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებისთვის. ამიტომ, მეგრი-ერევანი-ბავრის საავტომობილო გზა ძალიან საჭიროა, როგორც იმპულსი სატრანსპორტო კავშირების გასაუმჯობესებლად და ვაჭრობის გასაძლიერებლად [17].

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად რთულია „ერთი სარტელი, ერთი გზის“ ინიციატივის ყველა შესაძლო დერეფნის განვითარების ჩინეთსა და ევროპას შორის განხილულია ექვსი სავაჭრო დერეფნის კონტექსტში, რომელთაგან ზოგიერთი უკვე ფუნქციონირებს ან ჯერ კიდევ მშენებარეა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები შეიძლება ჩაითვალოს იმ დერეფნების ნაწილად, რომელიც იძლევა საქონლის ტრანსპორტირებას აღმოსავლეთ აზიიდან დასავლეთ ევროპაში, რაც იწვევს რეგიონში უფრო დიდ სავაჭრო ტვირთების ნაკადებს. აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულება, განსაკუთრებით ბაქო-თბილისი-ყარსის (BTK) რკინიგზის მეშვეობით, უფრო აქტუალურია საქართველოსა და აზერბაიჯანისთვის. სხვა აღმოსავლეთ-დასავლეთის პროექტები, რომლებიც უფრო აქტუალურია საქართველოსა და აზერბაიჯანისთვის, არის მიმდინარე რეგიონული პროექტები, როგორიცაა ტრანსკასპიის საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი (TITR) და ლაპის-ლაზულის სატრანსპორტო დერეფანი. ხოლო სომხეთს, ორ მეზობელ ქვეყანასთან (აზერბაიჯანთან და თურქეთთან) დაძაბული ურთიერთობის გამო, ღია საზღვრები აქვს მხოლოდ საქართველოსთან ჩრდილოეთით და ირანთან სამხრეთით.

როგორც აღინიშნა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის გეოპოლიტიკური მდგომარეობა ძალინ რთულია, რაც აქტორებს აიძულებს სამხრეთ კავკასიის თითოეული სახელმწიფოს მიმართ თავიანთ პოლიტიკაში სხვადასხვა ფაქტორები გაითვალისწინონ. მიუხედავად ამისა, სამხრეთ კავკასია თავის სტრატეგიულ მნიშვნელობას ადასტურებს, რაც აისახება დაინტერესებული აქტორების რაოდენობით, რომლებიც ცდილობენ თავიანთი პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ გავლენას რეგიონში.

ჩინეთის საგარეო პოლიტიკური სტრატეგია სხვა ქვეყნების მიმართ ძირითადად გამიჯნულია პოლიტიკისგან და ახალი აბრეშუმის გზის ინიციატივით ჩინეთი ქმნის საფუძველს ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისთვის როგორც გლობალურად, ასევე რეგიონში. ამ თანამშრომლობამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ ველზე - განსაკუთრებით რთულ სამხრეთ კავკასიაში, სადაც ეკონომიკური და პოლიტიკური სფეროები განუყოფელია.

ჩინეთიც, როგორც მნიშვნელოვანი აქტორი, გამოჩნდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში და როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ჩინეთმა აირჩია არა მხოლოდ ინდივიდუალური პარტნიორობა თითოეულ ქვეყანასთან, არამედ „რეგიონალური მიდგომა“. ეს ნიშნავს, რომ ჩინეთი ცდილობს განავითაროს ურთიერთობები რეგიონის ყველა ქვეყანასთან ერთ დონეზე, იგივე ინსტრუმენტების გამოყენებით სამხრეთ კავკასიის თითოეულ სახელმწიფოსთან თანამშრომლობის სხვადასხვა გზების დადგენის გარეშე, როგორც ამას სხვა სახელმწიფოები აკეთებენ. ჩინეთი ასევე არ ითვალისწინებს ქვეყნებს შორის კონფლიქტებს და განხეთქილებას, მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორებს განსაზღვრავს. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში არის პოლიტიკური დაძაბულობა და ღია კონფლიქტები, ვაჭრობისა და ბიზნეს საქმიანობებს ჩინეთი სწრაფად ავითრებს რეგიონთან. ინფრასტრუქტურული პროექტებმა, რომლებიც უკვე არსებობდა და განვითარების სააგენტოები, რომლებიც მოქმედებენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, შეიძლება ხელი შეუწყონ ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას. ჩინეთი, როგორც ეკონომიკური ძალა არ ერთვება ქვეყნების პოლიტიკურ სფეროში, და არ იყენებს იმავე სტრატეგიას, რასაც რუსეთი. საქართველოს კი, ისევე როგორც სომხეთ-აზერბაიჯანს, სჭირდება გლობალური ძალა, რათა განიხილოს სამშვიდობო პოლიტიკური გადაწყვეტილებები.

უნდა ავღნიშნოთ, 2019 წლის ბოლოს დაწყებულმა გლობალურმა პანდემიამ, მსოფლიო გამოწვევების წინაშე დააყენა და მსოფლიო ეკონომიკას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. გადაადგილების შეზღუდვამ, მასშტაბურმა კარანტინებმა თითქმის ყველა სახელმწიფოში კრიზისი წარმოქმნა, თუმცა ამასთან ერთად ევრაზიულ სივრცეში გაიზარდა მასშტაბები სარკინიგზო გადაზიდვებისა, რაც ყველაზე ეფექტიანი საშუალება გამოდგა სწრაფი ტრანსპორტირებისთვის. ასევე უნდა აღინიშნოს, უკრაინაში მიმდინარე რუსული ომის შედეგად ევროპასა და აზიას შორის სამხრეთ კავკასიის გავლით ტრანზიტი საკმაოდ გაიზარდა, რადგან რუსულ რკინიგზაზე დაწესებული სანქციების გამო საერთაშორისო კომპანიები რუსეთის გზის ავლით ცდილობენ ტვირთის გადაზიდვას და მიმდინარეობს ახალი მარშუტების შემუშავება.

რეგიონული და საერთაშორისო კავშირის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით, „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა შეიძლება იყოს უზარმაზარი შესაძლებლობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის ეკონომიკური ზრდის გასაძლიერებლად, გლობალურ სავაჭრო ქსელებთან დაკავშირებისთვის, ასევე შეიძლება შექმნას დამატებითი შესაძლებლობები რეგიონული კავშირების განვითარებისთვის და თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის ჩინეთის ინიციატივამ შეიძლება საშუალება მისცეს ისარგებლონ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განახლებებით, რადგან „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში შემუშავებული მრავალი პროექტი, რომელიც უკვე დამუშავების პროცესშია მომავალში შეიძლება მათ საზღვრებში აშენდეს.

LIA SHENGELIA

CHINA'S GLOBAL PROJECT "ONE BELT, ONE ROAD" AND THE SOUTH CAUCASUS

Summary

The article discusses the essence and significance of China's global project "One Belt, One Road". Involvement and opportunities of the South Caucasus as a strategic location region in the project initiated by China.

Key words: *South Caucasus, China, One Belt One Road, Georgia, Armenia, Azerbaijan, region.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ისმაილოვი ე., პაპავა ვ., „ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები“, თბ., 2007
2. მამრაძე პ., „ჩინეთის პროექტი OBOR (One Belt — one Road), ანუ „ერთი სარტყელი-ერთი გზა“ („ესეგ“) და საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების პერსპექტივა“. გლობალური კვლევების ცენტრი. 9 ივლისი, 2017. იხ. http://globalresearch.ge,
3. არუშიძე პ., „ჩინეთის ახალი გეოსტრატეგია და საქართველოს პერსპექტივა“. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ბათუმი, 2017
4. პაპავა ვ. ერთი სარტყელი — ერთი გზის“ ინიციატივა და საქართველო. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრი. ექსპერტის აზრი. თბ., 2017. https://www.gfsis.org,
5. გოგოლაშვილი კ., „ახალი აბრეშუმის გზა:ევროკავშირისა დაჩინეთის თანამშრომლობის ეტაპი“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბ., 2017.
6. ჯოსეფ ლ., „საქართველო ჩინეთის ურთიერთობები: „სარტყელისა და გზის ‘’ გეოპოლიტიკა“, პოლიტიკის დოკუმენტი, თბ., 2017, 17 ოქტომბერი
7. ტეტუნაშვილი თ., „გეოპოლიტიკური ნარკვევები“. თბ., 2018.
8. ვეკუა კ., „ევროკავშირი და ერთი სარტყელი — ერთი გზის ინიციატივა მშვიდობის მეცნიერებების პერსპექტივიდან“. თბ., 2018, https://www.researchgate.net/publication/341270753_evrokavshiri_da_erti_sartqeli_erti_gzis_initsiativa_mshvidobis_metsnierebebis_perspektividan
9. აფციაური დ., „სარტყელი და გზა“ – „ჩინეთის ინიციატივა, როგორც გლობალური ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი მოდელი“, 2019. https://di.gov.ge/wpcontent/uploads/2021/02/onebeltoneroadge.pdf
10. Wuthnow J., „Chinese Perspectives on the Belt and Road Initiative: Strategic Rationales, Risks, and Implications“, INSS, National Defence University Press, Washington, D.C. October, 2017, p.15 https://inss.ndu.edu/Portals/68/Documents/stratperspective/china/ChinaPerspectives-12.pdf
11. Charaia, V., & Papava, V., „Belt and Road Initiative: Implications for Georgia and China- Georgia Economic Relations“. China International Studies, 2017.

12. Poghosyan B., „China's OBOR Initiative: Opportunities for the South Caucasus“. IndraStra Global, 2017. 4(7), 1-5. https://nbn-resolving.org/urn:nbn:de:0168-ssoar-57806-2
13. Xi Jinping Makes an Important Speech at the Diplomatic Work Conference http://politics.people.com.cn/n/2013/1025/c1024-23332318.html
14. Sarker M.N.I., Hossin, M.A., Yin, X. and Sarkar, M.K. „One Belt One Road initiative of China: Implication for future of global development“. Modern Economy. 2018, .
15. Zabakhidze M., Gabriadze I., Beradze R., Khishtovani G.. „Connectivity, Trade and Financial Integration of the South Caucasus Via the Belt and Road Initiative“, (BRI) October, 2019, https://www.laender-analysen.de/cad/pdf/CaucasusAnalyticalDigest111.pdf
16. https://en.imsilkroad.com/p/314285.html What progress has been made in the Belt and Road Initiative. June 17, 2020
17. South Caucasus and Central Asia: Belt and Road Initiative Azerbaijan Country Case Study Macroeconomics, Trade and Investment. South Caucasus and Central Asia Equitable Growth, Finance and Institutions (EFI) World Bank June 2020 https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/34329/South-Caucasus-and-Central-Asia-The-Belt-and-Road-Initiative-Azerbaijan-Country-Case-Study.pdf
18. http://www.traceca-org.org/en/traceca/history-of-traceca/ ტრასეკას ოფიციალური ვებ გვერდი
19. http://www.worldbank.org/ მსოფლიო ბანკი
20. https://www.beltroad-initiative.com/ სარტყელი და გზის ინიციატივა
21. https://www.oecd.org/finance/Chinas-Belt-and-Road-Initiative-in-the-global-trade-investment-and-finance-landscape.pdf
22. http://www.worldbank.org/ BELT AND ROAD ECONOMICS. file:///C:/Users/LaPs/Downloads/9781464813924%20(1).pdf

რიმა გელენავა
*წარმოადგინა ასოც. პროფ. **მადლენა კოწოწაშვილმა***

სახალხო დიპლომატია: ისტორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები

წინამდებარე სამეცნიერო სტატია აანალიზებს „სახალხო დიპლომატიის“ ფენომენს. მისი თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გამოვლენისას ხაზი გაესვა, რომ სახალხო დიპლომატია თანამედროვე გლობალური სამყაროს განუყოფელი ნაწილია. სტატია განიხილავს სახალხო დიპლომატიის ისტორიას, მის ფორმებს, მეთოდებს, მის ასპექტებს და დონეებს. აგრეთვე, აღწერილია ფენომენის კონცეფციისა და წარმოშობის განსაზღვრის პრობლემა. თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს „სახალხო დიპლომატია“ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების თანამედროვე სისტემაში, როგორც რეგიონალურ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

სტატიაში ასევე განხილულია „სახალხო დიპლომატია“, როგორც „რბილი ძალის“ სტრატეგიის განხორციელების ერთ-ერთი ინსტრუმენტი, როგორიცაა სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების საქმიანობა სახალხო დიპლომატიის სფეროში. ამ სტატიის მიზანია გამოავლინოს სახალხო დიპლომატიის განვითარების მნიშვნელობა, ფუნდამენტური გაგება, თუ რას წარმოადგენს იგი. ყოველივე ეს მოგვცემს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში „სახალხო დიპლომატიის“ პოტენციალის და შესაძლებლობების განსაზღვარის საშუალებას. აღნიშნულზე დაყრდნობით შესაძლებელი იქნება შეიქმნას „სახალხო დიპლომატიის“ ფუნქციონირებისათვის მყარი საფუძველი, შესაბამისი რეკომენდაციების და სტრატეგიების შექმნისათვის.

საკვანძო სიტყვები: *„სახალხო დიპლომატია“, „რბილი ძალა“, საერთაშორისო ურთიერთობები, გლობალიზაცია, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საგარეო პოლიტიკა.*

მიუხედავად იმისა, რომ სპეციფიკური ტერმინი „სახალხო დიპლომატია“, მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის წინ შემოვიდა პოლიტოლოგების და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების ლექსიკაში, მრავალი საუკუნის განმავლობაში მას თავისი როლი ეკისრებოდა საერთაშორისო ურთიერთობებში. ისტორიის მანძილზე, სახალხო დიპლომატიამ მნიშვნელოვანი ფუნქცია შეასრულა მსოფლიო პოლიტიკაში და მისი გავლენა დღემდე არ შემცირებულა.

როგორც აღვნიშნეთ, კაცობრიობის ისტორიისათვის დიპლომატიის აღნიშნული ფორმა არ არის ახალი.

„სახალხო დიპლომატიის“ ერთ-ერთი მიმართულებაა „კულტურული დიპლომატიაც“. მისი წარმატებულად გამოყენების მტკიცებულებები მრავლადაა ისტორიაში და ის საუკუნეების განმავლობაში არსებობდა.

არაერთი მკვლევარის აზრით, რომელთაც ჩვენც ვეთანხმებით, „კულტურის დიპლომატებად - „არაოფიციალურ ელჩებად“ შეიძლება განვიხილოთ ნებისმიერი ეპოქის მკვლევარები, მოგზაურები, ვაჭრები, მასწავლებლები, მხატვრები და სხვ. ანუ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ურთიერთქმედებს სხვადასხვა კულტურასთან და ხელს უწყობს კულტურათა გაცვლას, ძირითადად კულტურის ისეთ მიმართულებებში როგორებიცაა: ხელოვნება, სპორტი, ლიტერატურა, მუსიკა, მეცნიერება, ასევე ბიზნესი, ეკონომიკა და სხვ. [1].

„სახალხო დიპლომატიის“ ტერმინის განხილვისას უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირად იგი ტერმინოლოგიურ დაბნეულობას იწვევს, ესაა „სახალხო დიპლომატიისა“ და „რბილი ძალის“ განმარტებების საერთო სინონიმური გამოყენება და გაგება. ეს ტერმინები მართლაც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან, თუმცა, „რბილი ძალა“ არის თეორიული კონსტრუქცია, ხოლო „სახალხო დიპლომატია“ მისი ოპერაციონალიზაციის იარაღია. რა თქმა უნდა, ეს მომენტები გავლენას ახდენს განსახილველი ფენომენის და მისი გამოყენებითი ასპექტების მეცნიერულ გაგებაზეც.

უნდა აღინიშნოს, ასევე რუსი მეცნიერების შეხედულებები „სახალხო დიპლომატიის“ განმარტებასთან დაკავშირებით. მაგალითად, რუსი მეცნიერი მ. მედვედევა, თავის წიგნში „სახალხო დიპლომატია - თეორია და პრაქტიკა“, აღწერს თავისი კოლეგების მიდგომას „სახალხო დიპლომატიის“ განამარტებასთან მიმართებაში. ა. დოლინსკი წერს, რომ სახალხო დიპლომატიას გამოუჩდა მეორე მნიშვნელობა რუსულ ენაზე - „დიპლომატია საზოგადოებრივი ორგანიზაციის დონეზე“.

თ. ზონოვა ანალოგიურ პოზიციას იზიარებს და ამბობს, რომ „ჩვენს საგარეო პოლიტიკის ლექსიკაში დიპლომატიასთან მიმართებაში ორი ტერმინი გამოიყენება: „სახალხო“ და „საზოგადოებრივი“. ამასთან, ამ ტერმინების ურთიერთშემცვლელობას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ჩვენ ვცხოვრობთ გლობალური კომუნიკაციის, შესაბამისად, გლობალური თარგმანის ეპოქაში. „საზოგადოების“ განმარტება ნათარგმნი იქნება სხვა ენებზე, როგორც საჯარო, როგორც სამოქალაქო და როგორც სახალხო. აშკარაა, რომ ჩვენ საზოგადოებრივ დიპლომატიას ვუწოდებთ არასამთავრობო ორგანიზაციების დიპლომატიასაც [2].

შეერთებულ შტატებში ტერმინი სახალხო დიპლომატია, გამოყენებული იქნა 1871 წელს კონგრესმენ ს. კოქსის (სამუელ კოქსი (Samuel S. Cox) (დ. 30 სექტემბერი, 1824 - გ. 10 სექტემბერი, 1889) - ამერიკელი კონგრესმენი და დიპლომატი. იგი წარმოადგენდა ოჰაიოს და ნიუ-იორკს შეერთებულ შტატების წარმომადგენელთა პალატაში და იყო შეერთებული შტატების ელჩი ოსმალეთში) მიერ, კონგრესში დომინიკის ანექსიის საიდუმლო გეგმების საწინააღმდეგოდ სიტყვით გამოსვლისას, სადაც განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს „ღია, სახალხო დიპლომატიას“, ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით“.

ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, ტერმინმა, „სახალხო დიპლომატია“ ინგლისურენოვან წყაროში პირველად გაიჟღერა 1856 წლის იანვარში, ლონდონში გამოცემა „თაიმს“-ში, სტატიაში, რომელიც მიძღვნილი იყო აშშ-ს პრეზიდენტის ფ. პირსის პოლიტიკისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „ამერიკელ სახელმწიფო მოღვაწეებს უნდა ესმოდეთ, თუ მათ სჭირდებათ, როგორც ჩანაფიქრში აქვთ, ჩვენზე მოახდინონ გარკვეული შთაბეჭდილება, ისინი უნდა გახდნენ მაგალითი საკუთარი ხალხისათვის და ამისათვის ყველაზე ეფექტური გზა „სახალხო დიპლომატიაა“ [3].

შედარებით თვალშისაცემი ფორმით, ეს აღნიშნული ინტერპრეტაცია გამოიკვეთა პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც მასები და მათი წარმომადგენელი პოლიტიკური პარტიები გამოვიდნენ ასპარეზზე. ცნობილი „14 პუნქტიდან“ პირველი ომის მიზნებისა და ომის შემდგომი სამშვიდობო პრინციპების შესახებ“, რომლითაც ამერიკის პრეზიდენტმა ვ. ვილსონმა კონგრესს მიმართა 1918 წლის 8 იანვარს, და ნათქვამია რომ: საჭიროა „ღია სამშვიდობო შეთანხმებები, ღია განხილვები, რის შემდეგაც აღარ იქნება ნებისმიერი სახის, საიდუმლო საერთაშორისო შეთანხმებები, ხოლო დიპლომატია ყოველთვის იმოქმედებს გულწრფელად და საზოგადოებისთვის გახსნილად [4].

„ამ მოწოდებების საპასუხოდ, გერმანიის კანცლერმა გ. ფონ ჰერტლინგმა (გეორგ ფონ ჰერტლინგი იყო გერმანელი პოლიტიკოსი, რომელიც მსახურობდა ბავარიის მინისტრ-პრეზიდენტად 1912-1917 წლებში, შემდეგ იყო პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტი და გერმანიის იმპერიის კანცლერი 1917-1918 წლებში. ის იყო პირველი პარტიის პოლიტიკოსი, ვინც ამ თანამდებობას იკავებდა) განაცხადა, რომ იგი ემხრობა პრინციპს დიპლომატიური ხელშეკრულებების საჯაროობაზე. 1918 წლის თებერვალში, ვ. ვილსონმა კონგრესში სიტყვით გამოსვლისას უკვე პირდაპირ გამოიყენა ტერმი „სახალხო დიპლომატია“ [5].

ჩვენი ინფორმაციით, სწორედ ვ. ვილსონმა გადადგა პირველი ნაბიჯი ტერმინ „სახალხო დიპლომატიის“ პრაქტიკაში დასანერგად. მისივე ინიციატივით, 1917 წელს შეიქმნა „საზოგადოებრივი ინფორმაციის კომისია“, რომლის ფუნქცია იყო, სხვადასხვა პროპაგანდისტული სტატიების, ფილმებისა თუ მსგავსი საშუალებებით აშშ და მისი როლი მხოლოდ დადებითი რაკურსით წარმოეჩინა. კომისიამ აგრეთვე დაარსა „ახალი ამბების სახელმწიფო სააგენტო“ [6].

შეერთებულ შტატებში გასულ საუკუნის 50-60-იანი წლებიდან, სახალხო დიპლომატიას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო.

1956 წელს ორგანიზაციის „People to People International Foundation“ დაარსების შემდეგ, აშშ-ის პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერის ინიციატივით, ამერიკის სხვადასხვა ფენის მოქალაქეებმა გადაწყვიტეს შეექმნათ პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა კულტურული და კე-

თილმეზობლური კავშირების დამყარებას ამერიკელებსა და სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებს შორის. აგრეთვე, შეიქმნა მსგავსი სხვა პროგრამები, რომლებიც მიზნად ისხავადნენ ოფიციალური დიპლომატიის გამოყენებით, გაეუმჯობესებინათ ურთიერთობები ადამიანური ფასეულობების გათვალისწინებით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პირველი დელეგაცია შეერთებული შტატებიდან 1956 წელს, კეთილი ნების მისიით, ჩავიდა სსრკ-ში. მისიის სახელწოდება ასე ჟღერდა: „ხალხი ხალხისთვის კეთილი ნების საერთაშორისო ტური“ („People to People International Goodwill Tour“)[7].

1965 წელს, სახალხო დიპლომატიის კლასიკური თანამედროვე კონცეფცია წარადგინა ფლეტჩერის ტაფტის უნივერსიტეტის, იურიდიული და დიპლომატიური სკოლის დეკანმა ე. გალიონმა, მისი თქმით: „სახალხო დიპლომატია“ არის „საშუალება, რომლის დახმარებითაც სახელმწიფო და კერძო პირები ზეგავლენას ახდენენ ეროვნებათაშორის ურთიერთობებზე, ან სხვა ერების შეხედულებებზე, და სახელწიფო ამ გზითაც ცდილობს საგარეო პოლიტიკის სფეროში ზეგავლენა მოახდინოს სხვა ერების გადაწყვეტილებებზე“ [8].

„სახალხო დიპლომატია ეხება საზოგადოების დამოკიდებულებასაც, განსაკუთრებით კი, იგი გავლენას ახდენს საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე. „სახალხო დიპლომატია“ წარმოადგენს რა, საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ მიმართულებას, ის მაინც სცილდება ტრადიციულ დიპლომატიას. „სახალხო დიპლომატიის“ ტერმინის პარალელურად, გამოიყენებოდა ტერმინი second track diplomacy ე.წ. „მეორე დონის დიპლომატია“, თუმცა, მან ვერ დაიმკვიდრა ადგილი დიპლომატიურ ლექსიკონში (მეორე დონის დიპლომატია second-track diplomacy) პირველად სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ამერიკელმა პოლიტოლოგმა ჯო მონტვილმა 1980-იანი წლების დასაწყისში [9].

ტერმინი „სახალხო დიპლომატია“, ევროპაში განსაკუთრებით გამოყენებადი გახდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. ხოლო შეერთებულ შტატებში, როგორც აღვნიშნეთ, მან თავისი ინსტიტუციონალიზაცია სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური განყოფილებებისა და სპეციალური პროგრამების მხარდაჭერით ჰპოვა, სადაც ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა დაიწყეს ე.წ. „უსადენო ფაილის“ (wirelessfile) შექმნა, რომელიც ითვალისწინებდა, უცხოური მედიისთვის აშშ-ის პოლიტიკის შესახებ ყოველდღიური საინფორმაციო მასალების მომზადებას. 1942 წლიდან ევროპაში მაუწყებლობა დაიწყო რადიომ „ამერიკის ხმა“.

1938 წელს შეიქმნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის „კულტურის საქმეთა დეპარტამენტი“, რომელიც სპეციალიზირდებოდა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან კულტურულ და აკადემიურ დონეზე ურთიერთობების გაღრმავებაზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამერიკელებმა გამოიყენეს სახალხო დიპლომატიის ინსტრუმენტები გერმანიისა და იაპონიის მიმართულებითაც: შეიქმნა სპეციალური ჟურნალები, გადაიღეს დოკუმენტური ფილმები და ა.შ. 1952 წელს, დასავლეთ გერმანიის სოციოლოგიურმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ აშშ-ს იმიჯი გერმანიაში ძირითადად აშშ–ში ნამყოფი თანამემამულეების ინფორმაციის საფუძველზე იყო ჩამოყალიბებული. კვლევის ამ შედეგების შემდეგ, აშშ-ს ხელისუფლებამ მნიშვნელოვნად გაზარდა დაფინანსება გერმანიასთან აკადემიური და პროფესიული გაცვლითი პროგრამებისთვის. ათი წლის შემდეგ ბუნდესტაგის 31%, ბუნდესრატის 53% და FRG მინისტრების კაბინეტის 70% იყო ამერიკული გაცვლითი პროგრამის კურსდამთავრებული [10].

კიდევ ერთხელ გვინდა დავაზუსტოთ ტერმინების: „სახალხო დიპლომატია“ და „რბილი ძალა“, ურთიერთკავშირი და განსხვავებები.

„სახალხო დიპლომატია“ წარმოადგენს სახელმწიფო-სუბიექტის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის სფეროს, რომელიც მიმარულია საკუთარი ეროვნული ინტერესების გაზრდისაკენ. თავისი მასშტაბურით, „რბილი ძალის“ კონცეფცია, უფრო ფართოა, ხოლო „სახალხო დიპლომატია“, შეიძლება, განვიხილოთ, როგორც მისი ერთ-ერთი კომპონენტი, ან „რბილი ძალის“ ცალკეული გამოვლინება, როგორც სხვა ქვეყნების საზოგადოებებთან ურთიერთქმედების სახელმწიფო პოლიტიკის ფენომენი.

ცნობილი ამერიკელი მკვლევარი ჯ. ნაი მიიჩნევს, რომ „სახალხო დიპლომატია“ „რბილი ძალის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და განსაზღვრავს მის სამ მთავარ განზომილებას: ყოველდღიური კომუნიკაცია საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ, გადაწყვეტილებების განმარტებით; სტრატეგიული

კომუნიკაცია მარტივ პოლიტიკურ თემებზე, რამდენიმე თვის ან წლის განმავლობაში; გრძელვადიანი კომუნიკაცია საგანმანათლებლო პროგრამების, კონფერენციების, კონკურსების და ა.შ. საშუალებით, რომელთა მიზანია ორმხრივი, ან მრავალმხრივი ურთიერთნდობის ხარისხის ამაღლება [11].

„სახალხო დიპლომატია“ ასევე, ასოცირდება სამეცნიერო და კულტურულ დიპლომატიასთან, რადგან ისინი, ხშირად ერთადაც მოქმედებენ, შეიძლება ითქვას, რომ ეს მიმართულებები არის სახალხო დიპლომატიის განხორციელების გზები. ამჟამად არსებობს ასეთი დიპლომატიის განახლებული ვერსია რომელსაც - „ახალ სახალხო დიპლომატია“-ს უწოდებენ, ის მოქმედებს ზუსტად საერთაშორისო ქსელის გარემოში, სადაც ბევრი არასახელმწიფო აქტორი მოქმედებს [12].

„ახალი სახალხო დიპლომატია“ ნიშნავს ერთი ქვეყნის ან კულტურის ღირებულებების სხვებისთვის ახსნას/გაცნობას, რომლითაც ქვეყანა ცდილობს თავი დააღწიოს ხილულ, მის მიმართ საწინააღმდეგოდ მიმართულ პროპაგანდას. მაგალითად, ზოგიერთმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ, შეიძლება გადასცეს პროექტები განსახორციელებლად არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მიმართულია ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარების და შესაძლებლობების გაფართოებისაკენ და სხვ . [13].

ტერმინ „სახალხო დიპლომატიის“ კიდევ უფრო გააქტიურება აშშ-ში მოხდა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, კერძოდ: მოხდა „ახალი სახალხო დიპლომატიის“ [14] დანერგვა, რომელიც არსებითად ურთიერთკავშირშია „სახალხო დიპლომატიის“ კონცეფციასთან.

კონფლიქტების დარეგულირების ერთადერთ რეალურ გზას, დაპირისპირებული მხარეების მიერ გადადგმული ორმხრივი ნაბიჯები წარმოადგენს, რაც საყოველთაო თანხმობის მიღწევისკენ არის მიმართული. ამასთან, გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება „ძლიერის“ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. დღეისათვის, არ არსებობს კონფლიქტების დარეგულირების უნივერსალური კონცეფცია.

კონფლიქტების თანამედროვე თეორია უმეტესწილად აგებულია ცალკეულ იდეებზე, კონფლიქტოლოგების, სოციოლოგების, პოლიტოლოგების, პოლიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების მოსაზრებებზე, გამონათქვამებზე. კონფლიქტის გადაწყვეტა შეიძლება გადაიდოს ან დროში გაიწელოს. თუმცა, ამით კონფლიქტი კი არ აღმოიფხვრება, არამედ პირიქით, უფრო გაღრმავდება და გამწვავდება კიდეც. კონფლიქტის დასრულების ვარიანტებს შესაძლოა სხვადასხვა საფუძველი ჰქონდეს: კომპრომისი, კონსენსუსი, დისენსუსი. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონფლიქტის დასრულების მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების ღრმა ანალიზს [15].

ქართველ მკვლევართა გარკვეული ნაწილის აზრით, აფხაზურ-ქართულ და ოსურ-ქართულ კონფლიქტში ძირითადი პასუხისმგებლობა ოფიციალურ მხარეებს ეკისრება და, შესაბამისად, გადამწყვეტი სიტყვა ოფიციალურ დიპლომატებზეა დამოკიდებული. ამ მოცემულობაში, მართალია, სახალხო დიპლომატია ძალიან ეფექტურია, მაგრამ მაინც დამხმარე მექანიზმის ფუნცქცია აკისრია. მას შეუძლია შეასუსტოს ურთიერთგაღიზიანება, შექმნას პოზიტიური ატმოსფერო, მაგრამ არ შეუძლია გადაჭრას კონფლიქტი. სახალხო დიპლომატიას განსაკუთრებული როლი ენიჭება მაშინ, როდესაც ვერ მუშაობს ოფიციალური დიპლომატია, როცა კონფლიქტი გაყინულია ან „ცხელია“ და ოფიციალურ მხარეებს შორის კონტაქტები მოშლილია. ასეთ შემთხვევაში სწორედ არასახელმწიფო აქტორები იღებენ თავის თავზე პოზიციათა დაახლოების ძიებას, როდესაც პოლიტიკოსებს არ სურთ, ან არ შეუძლიათ ერთმანეთთან საუბარი. სწორედ არაფორმალური დიალოგის მეშვეობით ხდება სხვადასხვა პოლიტიკური გადაწყვეტილების მოსინჯვა, რომელმაც შეიძლება დადებითი შედეგი მოიტანოს[16].

საქართველოს ხელისუფლება ცდილობს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგავრებაში ჩართოს „სახალხო დიპლომატია“, ამ მიზნით, არაერთხელ იყო ხაზგასმული „სახალხო დიპლომატიის“ როლის შესახებ კონფლიქტების დარეგულირების საკითხში. 2017 წლის დეკემბრის თვეში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, ქეთევან ციხელაშვილმა არასამთავრობო ორგანზაიციებთან და ექსპერტებთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ „სამშვიდობო პროცესში საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დიპლომატიის როლი უნიკალურია და ამიტომაც ვფიქრობ, რომ ამ სეგმენტთან რეგულარული ინფორმაციის გაცვლა აუცილებელია [17].

ამრიგად, საქართველოს ხელისუფლება განახორციელებს სხვადასხვა პროგრამებს „სახალხო დიპლომატიის“ მიმართულებით, კონფლიქტების დარეგულირების ხელშეწყობის მიზნით, როგორც ნაციონალურ, რეგიონალურ ასევე საერთაშორისო დონეზე.

აუცილებელია აღინიშნოს, საქართველოს ხელისუფლების მიერ, არაერთი წინგადადგმული ნაბიჯის შესახებ, რომელიც მიმართულია შერიგების, ნდობის აღდგენის, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რაც უნდა გამოყენებულ იქნას კონფლიტის მშიდობიანად მოგვარების საფუძვლად.

როგორც აღვნიშნეთ, კონფლქტების დარეგულირების საქმეში, მნიშვნელოვანი როლი შეუძლია შეასრულოს „სახალხო დიპლომატიამ“, რომელიც არის ინსტრუმენტი კონფლიქტის შედეგად გაყოფილი, ერთმანეთს დაპირისპირებული ხალხის/ერების დასაახლოებლად. მეტად შედეგიანი შეიძლება იყოს დაპირისპირებულ მხარეებს შორის პირდაპირი დიალოგის გამართვა, ნდობის აღდგენის ხელშეწყობა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბება. სწორედ ყოველივე ამის ჩამოყალიბებისკენ არის მიმართული „სახალხო დიპლომატია“. იგი ხელს უწყობს სტერეოტიპების დამსხვრევას, როგორც მტრის აღქმის განეიტრალებას. მაგალითად, ჯანდაცვის პროგრამა, საგანმანათლებლო პროგრამა და სხვა. თუმცაღა აღნიშნული პროგრამების ეფექტურობა და შედეგი არის გამოსაკვლევი და გასაანალიზებელი.

„სახალხო დიპლომატიაში“ ვლინდება რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი:

1. სახალხო დიპლომატიის ძირითადი მონაწილეები (მთავრობები და სახელმწიფო ორგანოები; კერძო ინტერესთა ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო პირები; მედია და სხვები);
2. სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის სპეციფიკა, როგორც სუბიექტი და საზოგადოებრივი დიპლომატიის საგანი;
3. სახალხო დიპლომატიის მიზანია, შეცვალოს როგორც საზოგადოების, ასევე სხვა ქვეყნის მთავრობის დამოკიდებულება, თავისი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. შეიძლება გამოიყოს ისეთი სფეროები, როგორიცაა: ბიზნესი, განათლება, ადგილობრივი და გლობალური არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა, საერთაშორისო მედიის მუშაობა, რომლებიც პირდაპირ კავშირში არ არის სახელმწიფო მხარდაჭერასთან, მაგრამ დიდ გავლენას ახდენს კონკრეტულ საზოგადოებაში „სახალხო დიპლომატიის“ ეფექტურობაზე.

სახალხო დიპლომატიის დონეები - „სახალხო დიპლომატიის“ როლი თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებში, მისი ფუნქციონირების, საქმიანობის მასშტაბის, გეოგრაფიის, მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვა დონეზე: საერთაშორისო, სახელმწიფოთაშორისი და რეგიონთაშორისი.

„სახალხო დიპლომატია“, საკუთარი ამოცანების გადაჭრით, მისი მეთოდებისა და ფორმების გამოყენებით, საბოლოოდ ცდილობს მიაღწიოს საერთო მიზანს - მშვიდობის შენარჩუნებასა და მეგობრობის განვითარებას, ურთიერთგაგებას და თანამშრომლობას სხვადასხვა ხალხებს შორის.

საერთაშორისო და რეგიონალური სახალხო დიპლომატია არის სახალხო დიპლომატიის აქტორების საქმიანობა სხვადასხვა სახელმწიფოს ცალკეულ რეგიონებს შორის (ქალაქები, პროვინციები, რეგიონები, პრეფექტურები) მეგობრული კავშირების დამყარება და განვითარება. რეგიონულ დონეზე აქტორები არიან თვითონ რეგიონები, ხშირად რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების სახით. აგრეთვე, რეგიონული საზოგადოებრივი ინსტიტუტები (არასამთავრობო ორგანიზაციები, პარტიები, მოძრაობები), სხვადასხვა რეგიონალური ერთეულები (საგანმანათლებლო დაწესებულებები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები და ა.შ), ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ხალხთა შორის მშვიდობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების მიზნით, ეწევიან საერთაშორისო საქმიანობას.

„რეგიონალური დიპლომატია“ ეხმარება სახელმწიფო საგარეო პოლიტიკას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მიზნები ემთხვევა სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკური კურსის მიზნებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში ეს ყოველთვის ასე არ ხდება და შეიძლება სხვადასხვა გარემოებებზე იყოს დამოკიდებული. მაგალითად, რეგიონული თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ხარისხზე,

სამოქალაქო თავისუფლებების არსებობაზე და ა.შ.

„რეგიონალური დიპლომატია“ მოიცავს არა მხოლოდ მთავრობის წარმომადგენლებს, არამედ ბიზნეს საზოგადოების, წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლებს. მათი ამოცანაა, თავიანთი მიღწევების დემონსტრირება რეგიონების მიმზიდველობისათვის და გარკვეული მხარეებისგან თანამშრომლობისაკენ დაინტერესების მოპოვება. ეს ხდება სხვადასხვა რეგიონული გამოფენების, ფორუმების, სიმპოზიუმებისა და საერთაშორისო სამიტის ფარგლებში. ასეთი ღონისძიებები ზრდის რეგიონების მიმზიდველობას პოტენციურ აუდიტორიაში: ტურისტებში, მომხმარებლებში, მეწარმეებში, სპეციალისტებში და სხვ.

სახალხო დიპლომატიის მეთოდები - სახალხო დიპლომატიის ფუნქციონირების თანამედროვე მეთოდები შეიძლება განიმარტოს, როგორც კომპლემენტარული (ურთიერთშევსებადი (ავსებს ერთმანეთს)). ერთი მხრივ, ტრადიციული დიპლომატიის როლი შენარჩუნებულია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ „ვენის კონვენციის“ (1961) განმარტების შესაბამისად, მეორე მხრივ - ის ივსება და ფართოვდება ქსელების, კომუნიკაციებისა და საბაზრო მეთოდების შემუშავების გზით. თანამედროვე დიპლომატები უმკლავდებიან ახალ გამოწვევებს და ამოცანებს: ერთი მხრივ, მათი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი მედიასა და კონტენტზე, ხოლო მეორე მხრივ, მათ უნდა შეინარჩუნონ საზოგადოების სხვადასხვა ფენის მხარდაჭერა მათი საგარეო პოლიტიკის მიმართ და შექმნან აღნიშნული საზოგადოებისთვის მისაღები იმიჯი, რომლითაც ისინი ხდებიან ერთგვარი საზოგადოებასთან ურთიერთობების და დამაკავშირებელი კომუნიკაციის მენეჯერები და კოორდინატორები.

სახალხო დიპლომატიის გავრცელების მეთოდებს ასევე შეიძლება მივაკუთნოთ:

1. ტურიზმის სფერო;
2. პროდუქციის ექსპორტი, რომელიც წარდგენილია ავტორიტეტული ელჩების მიერ;
3. ქვეყნის მთავრობის პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროპაგანდა - საგარეო პოლიტიკის სფეროში, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს აუდიტორიაზე, ასევე, შიდა პოლიტიკაზე, რომელიც გავრცელებულია საერთაშორისო მედიაში;
4. ინვესტიციების და უცხოელი ბიზნესმენების, მკვლევარების და სტუდენტების მოზიდვა;
5. კულტურული გაცვლით ღონისძიებები, კულტურული ექსპორტი და სპორტი;
6. პოლიტიკური მოღვაწეების, ცნობილი სახეების და სპორტსმენების სიმპატიების მიღებაზე მუშაობა [18].

სახალხო დიპლომატიის ფორმები - ამერიკელი მეცნიერები ჯ. კოუენი და ა. არსენაულტი განასხვავებენ სახალხო დიპლომატიის სამ ფორმას: მონოლოგს, დიალოგს და ტრანსნაციონალურ თანამშრომლობას.

თითოეული არის არა ერთმანეთის შემცვლელი, არამედ ერთმანეთის შემავსებელი. „მონოლოგი“ ემსახურება საერთაშორისო დონეზე, კონკრეტული ქვეყნის ხედვების, გეგმების, პოზიციის შესახებ გზავნილის გავრცელებას და ამ თვალსაზრისით ის შეუცვლელია. ასევე, ის არის საშუალება, რათა სახელმწიფომ გამოასწოროს ნეგატიური იმიჯი, რომელიც შეიქმნა სხვა საერთაშორისო სუბიექტების გარკვეული მოქმედებების შედეგად.

„დიალოგის ფორმა“ შედარებით ახალია და მოიცავს ადრესატსა და ადრესანტს შორის კომუნიკაციას/აზრთა გაცვლას.

დიალოგი არის ორმხრივი (ან მრავალმხრივი) კომუნიკაციის სისტემა, რომელიც, ყოველთვის იწყება ინდივიდებით.

„ტექნიკური დიალოგი“, ეს არის პროცესი, როდესაც ხდება პირდაპირი კომუნიკაცია, იდეების თავისუფალი გაცვლა.

„თანამშრომლობა“ - მისი განხორციელების პროცესი შედარებით გრძელვადიანია და შედარებით ეფექტურია, რადგან მიზნად ისახავს საზოგადოებებს შორის ერთობლივი პროექტების შემუშავებას და შეუძლია შექმნას ორმხრივი პოზიტიური დამოკიდებულებები.

არსებობს სახელმწიფოთაშორისი, ან კერძო ფინანსური ორგანიზაციების ურთიერთობის ფორმა - „ტრანსნაციონალური თანამშრომლობა“, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელთა, საერთო საერთაშორისო პროექტებზე ერთობლივ მუშაობას. ამ კონტექსტში პროექტები შეიძლება ბუნებრივად განსხვავებული იყოს: თეატრალური წარმოდ-

გენებიდან დაწყებული, სტიქიის შედეგების დაძლევით დამთავრებული [19].

„სახალხო დიპლომატია“ შეიძლება დაიყოს ოთხ ისტორიულ ეტაპად:

1. ევროპაში და ამერიკაში პირველი ანტისაომარი სოციალური მოძრაობების ჩამოყალიბება და განვითარება (მე-19 საუკუნის დასაწყისში -1918);
2. „სახალხო დიპლომატიის“ ინტერკონტინენტურ დონეზე გასვლა (1919-1945);
3. სახალხო დიპლომატიის მონაწილეობა იდეოლოგიურ ომში და მშვიდობის მომხრეების ორგანიზებული მოძრაობის განვითარება (1946-1990);
4. სახალხო დიპლომატიის სფეროს გაფართოება და მისი ინსტიტუციების საერთაშორისო დონეზე შესვლა, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის რეალური მონაწილეები (1991 წ. - დღემდე).

სახალხო დიპლომატიის იდეამ მთელ მსოფლიოში ყურადღება მიიპრყრო, თუმცა ამ მცნების კონცეფცია, აქტორები, მეთოდები და პრაქტიკა მაინც შესწავლის საგნად რჩება, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალის შესწავლისა და ანალიზის შედეგად, ვასკვნით, რომ

1. თუ ადრე ტერმინი „სახალხო დიპლომატია“ მხოლოდ სახლმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი აქტორების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს გულისხმობდა, უკანასკნელი ასწლეულის მანძილზე, მსოფლიოში საერთაშორისო, არასახელმწიფო აქტორების გამოჩენამ და ზრდამ, ამ მხრივ მანამდე არსებული ვითარება რადიკალურად შეცვალა და დღეისათვის არასახელმწიფო ორგანიზაციები შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე პროცესებზე. ჩვენ, წარმოდგენილ სტატიაში შევეცადეთ სახალხო დიპლომატიასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტერმინების, მეთოდების და აქტორების გამოვლენას და შესწავლას როგორც კონფლიქტების დარეგულირების საკითხში. ასევე სახალხო დიპლომატიის როლზე მის დადებით და უარყოფით გავლენაზე კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში;
2. არასამთავრობო ორგანიზაციების და ინდივიდუალური „სახალხო დიპლომატების“ მუშაობა შეიძლება უფრო ეფექტური იყოს, თუ სახელმწიფო, ამ ორგანიზაციებს განიხილავს, როგორც სრულფასოვან პარტნიორებს და არა როგორც სახელმწიფოთაშორისი და რეგიონთაშორისი ურთიერთობებში „არასტაბილურ ელემენტებს“;
3. მხოლოდ ოფიციალურ ორგანიზაციებთან „სახალხო დიპლომატიის“ წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის ფაქტორის გამოყენებით შესაძლებელია მრავალი პრობლემის მოგვარება სახელმწიფოთაშორის და რეგიონთაშორის ურთიერთობებში;

„სახალხო დიპლომატიის“ გაღრმავების მიზნით, მიზანშეწონილია, სხვა ქვეყნების გამოცდილების მიხედვით, შეიქმნას განყოფილება, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მას ეროვნულ დონეზე. მაგალითად, სასურველია საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნას სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს „სახალხო დიპლომატიის“ მიმართულებით საქმიანობაში არასახელმწიფო ორგანიზაციების დაინტერესებასა და ჩართულობას.

RIMA GELENAVA

PUBLIC DIPLOMACY: HISTORICAL-METHODOLOGICAL ASPECTS

Summary

This scientific article analyses the phenomenon of “public diplomacy”. While analyzing its theoretical and practical aspects, it was highlighted that public diplomacy is an indivisible part of modern global world. The article overviews that history of public diplomacy, its forms, methods, aspects, and stages. Also, the problem of identifying phenomenon concept and essence is outlined, the importance of “public diplomacy” in building modern systems of cooperation among countries at regional and international level described. The article overviews the insights of “public diplomacy” as one of a key tool of “soft power” strategy, as an action of state and non-governmental stakeholders in

public diplomacy field. The article aims to recognize the importance of public diplomacy development, raise the awareness of its fundamental essence and content. All above mentioned will create a floor to identify the potential and opportunities of "public diplomacy" in the light of modern international relations. This can be the basis to establish steady foundation of "public diplomacy" operation, to elaborate respective recommendations and strategies.

Keywords: *"public diplomacy", "soft power", international relations, globalization, public relations, foreign policy.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Institute for Cultural Diplomacy inc. (USA)-ის ვებ-გვერდი, https://www.culturaldiplomacy.org/index.php?en_culturaldiplomacy (გადამოწმდა 21.04.2022). (ინგლისურ ენაზე).
2. მ. მედვედევა, „სახალხო დიპომატია - პრაქტიკა და თეორია". მოსკოვი, 2017. https://mgimo.ru/upload/iblock/c2e/%D0%9C%D0%B0%D0%BA%D0%B5%D1%82%20%D0%9F%D1%83%D0%B1%D0%BB%D0%B8%D1%87%D0%BD%D0%B0%D1%8F%20%D0%B4%D0%B8%D0%BF%D0%BB%D0%BE%D0%BC%D0%B0%D1%82%D0%B8%D1%8F.pdf ვებ-გვერდი (გადამოწმდა 20.04.2022) (რუსულ ენაზე).
3. https://en.wikipedia.org/wiki/Public_diplomacy. (გადამოწმებული 5.04.2022), (ინგლისურ ენაზე).
4. President Woodrow Wilson's 14 Points (1918). https://www.archives.gov/milestonedocuments/president-woodrow-wilsons-14points?_ga=2.134945009.1457839534.1651787814343679820.1651787814 (გადამოწმებული 12.04.2022) (ინგლისურ ენაზე).
5. Cull Nicholas J. «Public Diplomacy» Before Gullion: Th e Evolution of a Phrase // Nan- cy Snow and Philip M. Taylor. https://www.routledgehandbooks.com/doi/10.4324/9780203891520.ch3 (გადამოწ-მებული 15.04.2022) (ინგლისურ ენაზე).
6. The evolution of the 'public' in diplomacy. Christina la Cour https://cadmus.eui.eu/bitstream/handle/1814/60001/Evolution%20of%20the%20public%20in%20diplomacy%20upload.pdf?sequence=1 (გადამოწმებული 15.04.2022) (ინგლისურ ენაზე).
7. https://www.eisenhowerlibrary.gov/research/online-documents/people-people-program (გადამოწმებული 15.04.2022) (ინგლისურ ენაზე).
8. Nicholas J. Cull. 'Public Diplomacy' Before Gullion: The Evolution of a Phrase.. https://universityofleeds.github.io/philtaylorpapers/pmt/exhibits/2652/gullion.pdf (გადამოწმებული 1.04.2022)
9. С.В. Генюш. Экспертная дипломатия: гражданское общество на службе внешней политики. file:///C:/Users/ACER/Downloads/ekspertnaya-diplomatiya-grazhdanskoe-obschestvo-na-sluzhbe-vneshney-politiki.pdf (გადამოწმებული 11.04.2022)
10. Progress Towards Measuring the Impact of Public Diplomacy and International Broadcasting Activities, 2014.https://2009-2017.state.gov/documents/organization/231945.pdf (გადამოწმებულია 15.04.2022) (ინგლისურ ენაზე)
11. Soft Power: The Means to Success in World Politics – Joseph S. Nye, Jr. Chapter 4 - Wielding Soft Power. https://www.belfercenter.org/sites/default/files/legacy/files/joe_nye_wielding_soft_power.pdf (გადამოწმებულია 15.04.2022) (ინგლისურ ენაზე)
12. Melissen J. The New Public Diplomacy. Soft Power in International Relations. N.Y., 2005. http://culturaldiplomacy.org/academy/pdf/research/books/soft_power/The_New_Public_Diplomacy.pdf (გადამოწმებულია 15.04.2022) (იბგლისურ ენაზე).
13. J. Kurbalija and V. Katrandjiev. Multistakeholder Diplomacy: Challenges and Opportunities. Malta; Geneva, 2006. https://www.jura.fuberlin.de/fachbereich/einrichtungen/oeffentlichesrecht/lehrende/bolewskiw/dokumente/1__Creative-Diplomacy/Kurbalija_Multistakeholder_Diplomacy.pdf (გადამოწმებულია 16.04.2022) (იბგლისურ ენაზე).

14. დოლინსკი *ა.ვ.,* დისკურსი სახალხო დიპლომატიის შესახებ // საერთაშორისო პროცესები. მოსკოვი, 2011. http://intertrends.ru/system/Doc/ArticlePdf/695/Dolinskiy-25.pdf (გადამოწმებულია 10.04.2022) (რუსულ ენაზე).
15. დ. პიპინაშვილი, სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები. თბ., 2009; https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/polit-davit%20pipinashvili.pdf (გადამოწმებული 3.04.2022).
16. სონღულაშვილი ა., ჯინჭარაძე ქ., სონღულაშვილი ვ., „სახალხო დიპლომატია და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები", თბ., 2020. გვ.139.
17. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, ქეთევან ციხელაშვილის, კონფლიქტებზე და ქალთა საკითხებზე მომუშავე ექსპერტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა. 2017 წლის საქმიანობის ანგარიში წარდგენა. https://smr.gov.ge/ge/news/read/1143/ (გადამოწმებულია 13.04.2022)
18. Цветкова Наталья Александровна, Публичная дипломатия как инструмент идеологической и политической экспансии США в мире, 1914–2014 гг. https://disser.spbu.ru/disser2/disser/Tsvetkova_dissertation_text_US_Public_Diplomacy_expansion.pdf (გადამოწმებული 10.04.2022) (რუს. ენაზე).
19. Geoffrey Cowan, Amelia Arsenault. Moving from Monologue to Dialogue to Collaboration: The Three Layers of Public Diplomacy // The ANNALS of the American Academy of Political and Social Science 2008; 616; 10. Pp. 21-23. https://www.academia.edu/426014/Moving_From_Monologue_to_Dialogue_to_Collaboration_The_Three_Layers_of_Public_Diplomacy (გადამოწმებული 5.04.2022) (ინგლისურ ენაზე).

ანა ნუცუბიძე
წარმოადგინა პროფ. ჰენრი კუპრაშვილმა

ეროვნული უშიშროების ტრანსფორმაცია გლობალიზაციის პირობებში

დღეს მსოფლიო განვითარების ძირითად ტენდენციებს გლობალიზაციის პროცესები განაპირობებს. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ეროვნული უშიშროების პრობლემები დღეს, როგორც არასდროს, უნდა განიხილებოდეს საერთაშორისო კონტექსტის მთელი მრავალფაქტორული ბუნების გათვალისწინებით, მათ შორის მსოფლიო განვითარების გრძელვადიანი და ულტრა გრძელვადიანი ტენდენციებით.

გლობალიზაციის პროცესის, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მახასიათებლების წინააღმდეგობრივი ერთიანობა მეცნიერებს XXI საუკუნის გლობალურ პოლიტიკაში ახალი სახელმძღვანელო პრინციპების მოძიების ამოცანას აკისრებს.

საქართველოს სახელმწიფოს ძირითადი ინტერესი არის ჩვენი სახელმწიფოს მოდერნიზაცია, თანამედროვე საბაზრო პოსტინდუსტრიული ეკონომიკის შექმნა, პოლიტიკური დემოკრატიის სტაბილური სისტემა, ჭეშმარიტად სამოქალაქო საზოგადოება, კულტურული და ცივილიზაციური მახასიათებლების შენარჩუნება და გაძლიერება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს ჩვენი რეალური სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

გლობალიზაცია, როგორც გრძელვადიანი ტენდენცია, სრულად ეხება ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკურ სფეროს, სადაც ამ სფეროების მნიშვნელოვანი ინტელექტუალიზაციის გარეშე არ შეიქმნება ქვეყნის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის სისტემა, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, სახელმწიფოსა და საზოგადოების ჭეშმარიტ ინტერესებს.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, ურთიერთდამოკიდებულება, უშიშროება, ინფორმაცია, ეკონომიკა, რეგიონი, კულტურა.*

გლობალიზაცია, რომელიც თანამედროვე მსოფლიო განვითარების დომინანტური ტენდენციაა, მიუხედავად გარკვეული პოზიტიური პოტენციალისა და სუვერენული პოლიტიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების მიზნით გათვალისწინებული შესაძლებლობებისა, ასევე იწვევს ახალ რისკებს, გამოწვევებსა და საფრთხეებს. ამ ფაქტორმა განსაკუთრებული აქტუალობა უკრაინაში შექმნილი მოვლენების შემდეგ მოიპოვა, რამაც დასავლეთის ქვეყნებსა და რუსეთს შორის ურთიერთობების მკვეთრი გაუარესება გამოიწვია.

გლობალიზაციის დასაწყისს XVI საუკუნის დასაწყისს უკავშირებენ, მაშინ როცა კოლონიალიზმი გაჩნდა, მეორენი კი, ინტერნაციონალური კონცერნების გამოჩენას. მესამენი ამტკიცებენ, რომ გლობალიზაცია მყარი სავალუტო კურსების გაუქმებისას, აღმოსავლური ბლოკის კრახთან ერთად დაიწყო [1].

სინამდვილეში აღნიშნული პროცესის დასაწყისის კონტურები ქვემოთ აღწერილ პროცესს უკავშირდება. „რაც ჩვენს დროში წესრიგად მიიჩნევა, თითქმის ოთხი საუკუნის წინათ შეიქმნა დასავლეთ ევროპაში, გერმანიის რეგიონის, ვესტფალიის სამშვიდობო კონფერენციაზე. კონფერენციას წინ უძღოდა ცენტრალურ ევროპაში რელიგიური კონფლიქტებისა და პოლიტიკური გარდაქმნების საუკუნე, რომლის კულმინაციასაც წარმოადგენდა ოცაათწლიანი ომი (1618-1648), სადაც დაპირისპირებული მხარეები „ტოტალურ ომს“ აწარმოებდნენ მოსახლეობის წინააღმდეგ და რომლის დროსაც ცენტრალური ევროპის მოსახლეობის თითქმის ერთი მეოთხედი ომის, ავადმყოფობის და შიმშილის გამო დაიხოცა. კონფლიქტის ძალაგამოცლილი მხარეები, ბოლოს და ბოლოს, შეთანხმდნენ მთელ რიგ საკითხებზე, რომელსაც უნდა აღეკვეთა შემდგომი სისხლისღვრა. VII საუკუნეში ვესტფალიის ზავის მომლაპარაკებლები, რასაკვირველია, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ გლობალურ სისტემას უყრიდნენ საფუძველს [2].

ვიცით, რომ XXI საუკუნე მიჩნეულია გლობალიზაციის ეპოქად, შესაბამისად, ამ ეპოქაში ტერმინი „გლობალიზაცია“ ყველაზე მეტად გამოყენებადი ტერმინია და მისი შინაარსის განსაზღვრის მცდელობა აქტუალობას არ კარგავს.

სულ სხვაგვარადაა მდგომარეობა ამ ტერმინის ფორმალური, მეცნიერულად დასაბუთებული განმარტების თვალსაზრისით. არსებობს გლობალიზაციის იმდენი განმარტება, რომ საბოლოო ჯამში რაიმე დასკვნის გამოტანა მათ საფუძველზე პრაქტიკულად შეუძლებელია. სიტუაცია ძალიან წააგავს იმას, რომელიც აღწერა ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა რობერტ ჰაინლაინმა ჯერ კიდევ 1940-იანი წლების დასაწყისში. „მაგალითად, - ამბობდა მისი ერთერთი წიგნის გმირი - ზმნას ყოფნა ინგლისურ ენაში გააჩნია ოცდაერთი განსხვავებული მნიშვნელობა, რომელთაგანაც არც ერთი არ შეესაბამება სინამდვილეს. ამ სიტუაციის წარმოქმნა ადვილად გასაგებია. ის კარგად აიხსნება საზოგადოებრივი განვითარების პრობლემების ზედმეტი იდეოლოგიური დატვირთვით, ისევე როგორც ავადსახსენებელი პოლიტიკური კორექტულობის კულტურით, რომელიც არ იძლევა საშუალებას დაარქვა ნამდვილი სახელი საკმაოდ უწყინარ მოვლენებსაც კი [4].

„ტერმინი „გლობალიზაცია“ პირველად ლიტერატურაში 1983 წელს გამოჩნდა ამერიკელი ეკონომისტის თეოდორ ლევიტის სტატიაში. მას შემდეგ სერიოზული დისკუსია იმართება აღნიშნული ტერმინის ყველასთვის მისაღები დეფინიციის ფორმირებისათვის. თუმცა გლობალიზაციის არსის თაობაზე ერთიანი შეხედულება ჯერ კიდევ არ არსებობს. გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც შედგება ოთხი ასპექტისგან: ეკონომიკური გლობალიზაცია, მსოფლიო აზრის ფორმირება, დემოკრატიზაცია და პოლიტიკური გლობალიზაცია [5].

მარტივი განმარტებით, გლობალიზაცია ნიშნავს ერთ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების ასახვას სხვა ქვეყნებზე, რაც მათი ურთიერთდამოკიდებულების და ურთიერთგადახლართვის პროცესია. გლობალიზაციის პროცესის გავრცელების არეალი და მასშტაბი არის მთელი პლანეტა [3].

არსებული მსოფლიო წესრიგის ძირითად პრინციპებზე ზემოქმედებით, გლობალიზაცია ახალ პირობებში მოქმედებს, როგორც ტრანსნაციონალური საფრთხეების გამტარი საერთაშორისო და ეროვნული უშიშროების სისტემებისთვის, რაც განსაკუთრებით საგანგაშოა ბირთვული და მაღალი სიზუსტის იარაღის გავრცელების ეპოქაში.

ასეთ პირობებში, გლობალიზაციის მთავარი უარყოფითი გავლენა არის მთელი რიგი პოლიტიკური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, სოციალურ-კულტურული პრობლემები, რომლებიც ერთად წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას მთელი კაცობრიობისთვის, ასევე ეროვნული სახელმწიფოების უსაფრთხო არსებობისა და განვითარებისათვის [12].

გლობალიზაცია არის ერთიანი მსოფლიო სისტემის ფორმირების პროცესი ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში - პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა და ა.შ. გლობალიზაციის პროცესი განპირობებულია მსოფლიო ეკონომიკის განვითარებით, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გაჩენით, გაფართოებით, კავშირებითა და ურთიერთგავლენის საზოგადოების სხვადასხვა სფეროში. გლობალიზაცია არის ობიექტური და ბუნებრივი პროცესი, იმანენტურად თანდაყოლილი თანამედროვე ეპოქაში.

გლობალიზაციის პროცესის გაგება ხდება ორი მხრიდან ანუ არსებობს მისი განვითარების ორი მიდგომა: რევოლუციური და ევოლუციური. პირველი მიდგომის მხარდამჭერები არიან ამერიკელი პოლიტოლოგი ჯ. ნაი და რ. კეჰანი, ტ. ფრიდმანი, რომლებიც ამბობენ, რომ მარტივი ურთიერთდამოკიდებულება იქცა რთულ ურთიერთდამოკიდებულებად, რომელიც აკავშირებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს.

იაპონელი მკვლევარი კენიჩი ომაე თავის ნაშრომში „მსოფლიო საზღვრებს გარეშე“ წერს, რომ ხალხი, ბაზრები, ფირმები ზრდიან მათ მნიშვნელობას, ხოლო სახელმწიფოების პროგატივები სუსტდება.

ევოლუციური მიდგომის მხარდამჭერი ჯ. როზენაუ თვლის, რომ გლობალიზაცია არის ძლიერი, მსოფლიო გარდამქმნელი ძალა, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებებისა და ეკონომიკების მასობრივ ევოლუციაზე, მმართველობის ფორმებისა და მთელი მსოფლიო წესრიგის ცვლილებებზე. ის თანდათან ანგრევს განსხვავებას საშინაო და საგარეო, შიდა და გარე პრობლემებს შორის. ევოლუციონისტები ამბობენ, რომ სახელმწიფოები და საზოგადოებები თანდათან უნდა შეეგუონ უფრო ურთიერთდამოკიდებულ და ამავე დროს მეტად არასტაბილურ სამყაროს [6].

პირველი სკოლა ამბობს, რომ ძლევამოსილი თანამედროვე სახელმწიფოები, მიუხედავად გლობალიზაციის ნებისმიერი ხარისხისა, შეძლებენ შეინარჩუნონ საკუთარი ეკონომიკური და ძალაუფლების პოტენციალი, ნებისმიერ შემთხვევაში, ეროვნული პოლიტიკა და არა „ბაზრის უხილავი ხელი“, განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

მეორე სკოლა თვლის, რომ ეროვნული იდენტობის მნიშვნელობის დროებითი, არასწორად ჩაფიქრებული დაუფასებლობა სავსეა ცალკეული ქვეყნების და მთლიანად მსოფლიო სისტემის კოლოსალური დესტაბილიზაციით.

მესამე მიმართულება - (პ. ჰირსი და ვ. ტომპსონი) თვლის, რომ, ზოგადად, გლობალიზაცია არის მითი, რომელიც მიმართულია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების კონფრონტაციული რეალობის დამალვისკენ, რაც სულ უფრო და უფრო მჭიდროდ შეზღუდულ ძალთა ბალანსს წარმოადგენს სამი რეგიონული ბლოკის სახით - ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა და აღმოსავლეთ აზია. ბაზრის ძალები არ არის კონტროლიდან გასული, ისინი დამოკიდებულნი არიან ეროვნული მთავრობების მარეგულირებელ წესებზე. სინამდვილეში, მთავრობები არ არიან ინტერნაციონალიზაციის მორჩილი მსხვერპლი, ისინი არიან მისი მთავარი შემქმნელები.

გლობალიზაცია არ ამსუბუქებს, მაგრამ ზრდის გლობალურ უთანასწორობას, ის უქმნის დამატებით შესაძლებლობებს მსხვილ მწარმოებლებს მცირე მწარმოებლებისა და თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ნაკლებად ჩართულობის ხარჯზე.

ამერიკელი ჯ. გრეის თქმით, გლობალიზაცია არის მცდარი და მავნე პოლიტიკური პროექტი, რომელიც არაგონივრულ გავლენას ახდენს გლობალურ ეკონომიკურ და ფინანსურ ინსტიტუტებზე - ეს ასახავს ამერიკის საგარეო პოლიტიკის შემქმნელთა უპირატესობას.

მაგალითად, საერთაშორისო ტერორიზმი, გლობალიზაციის პროცესის შედეგად, არის ფენომენი, რომელიც იქცა გლობალურ პრობლემად და რომელიც დესტრუქციულ გავლენას ახდენს სოციალურ დამოკიდებულებებზე და სოციალურ ღირებულებებზე. ტერორისტული აქტების მთავარი ობიექტი არის საზოგადოებრივი უშიშროება, რომლის განადგურება იწვევს საზოგადოების არსებობის დემოკრატიული პრინციპების დაშინებას და შეზღუდვას.

ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია გავიხსენოთ ფრანგი მოაზროვნე ა. კამიუ, რომელმაც ტერორიზმის შესახებ დისკუსიების დროს ყურადღება გაამახვილა ამ ფენომენის ისეთ მახასიათებელზე, როგორიცაა ზიზღი - „ირაციონალური ტერორი აქცევს ადამიანს ნივთად, პლანეტურ ბაქტერიად. ტერორისტი „თავის წინაშე აყენებს არა მხოლოდ პიროვნების განადგურებას, არამედ მასში არსებული შესაძლებლობების განადგურებას, როგორიცაა აზროვნების უნარი, ერთიანობის სურვილი, აბსოლუტური სიყვარულისკენ მოწოდება“.

თანამედროვე მსოფლიო საზოგადოებას ქსელური სტრუქტურების საზოგადოებას უწოდებენ. ქსელის სტრუქტურა სრულად არის დაკავშირებული ტერორიზმთან, ამიტომ მის წინააღმდეგ ომი მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული სამხედრო კონფლიქტებისგან. ერთი მხრივ, არ არსებობს აშკარა „ცხელი წერტილები“, მეორე მხრივ, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არ გულისხმობს მხოლოდ ცალკეული ტერორისტული ორგანიზაციების დამარცხებას [11].

საერთაშორისო ტერორიზმი განპირობებულია გლობალიზაციის პროცესებით, რომელიც იღებს კრიმინალური ტერორიზმის სინთეზირებულ ფორმებს პოლიტიკური, ეროვნული და რელიგიური კუთხით. გლობალიზაციისა და ტერორიზმის პრობლემების მკვლევარები აღნიშნავენ მისი მოდიფიცირებისა და გამოვლენის სურვილს კრიმინალურ თემებთან თანამშრომლობის პროცესში.

ტერორიზმს დღეს აქვს გარკვეული სტრუქტურები, მნიშვნელოვანი ფინანსური და ეკონომიკური აღჭურვილობა, შეუძლია ომების წარმოება და ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტების მონაწილეა.

ამ თვალსაზრისით, გლობალიზაციის კონტექსტში საერთაშორისო ტერორიზმის პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტების ზოგადი თეორიული და გამოყენებითი პრობლემების შესწავლა საჭირო ხდება როგორც ზოგადი ფილოსოფიური, ისე სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე თანამედროვე პოლიტიკური და სოციალური საჭიროებების თვალსაზრისით. ეს არის პრაქტიკა, რომელიც განსაზღვრავს უშიშროების სახელმწიფო რეგულირების ეფექტურობას.

ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისი მექანიზმის შექმნა შესაძლებე-

ლია იმ პირობით, რომ იგი ეფუძნება სამეცნიერო კვლევის ობიექტურ შედეგებს და ითვალისწინებს სახელმწიფოთა და მთლიანად საერთაშორისო საზოგადოების ანტიტერორისტული პოლიტიკის შედეგებს. საზოგადოების უშიშროების სახელმწიფო რეგულირება უნდა იყოს ეფექტური, რაც საშუალებას მისცემს დემოკრატიულ სახელმწიფოს წინააღმდეგობა გაუწიოს ტერორიზმს და დაიცვას კანონის უზენაესობის პრინციპები.

ზოგადად, გლობალიზაციის პროცესის საბოლოო მიზანია სამყაროს მთლიანობის, ურთიერთდაკავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბება და დამტკიცება, კაცობრიობის ერთიანი წარმოებისა და რეკრეაციული სისტემის შექმნა.

გლობალიზაცია, რომელიც, ერთი მხრივ, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთნიკური, კონფესიური, კულტურული სფეროების ინტეგრირების ობიექტური პროცესია, მეორე მხრივ, არის სოციალური გარდაქმნების რთული პროცესი, რომელსაც თან ახლავს ინტერესთა შეჯახება, წინააღმდეგობების გაზრდა და ახალი რისკების გაჩენა [10].

გლობალიზაცია, როგორც მსოფლიო საზოგადოებისა და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების კომპლექსური პროცესი, საპირისპირო ტენდენციებისა და მიმდინარეობების ჩათვლით, განაპირობებს თანამედროვე რეალობის დინამიზმსა და მოვლენადობას. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პროცესები აჩვენებს, რომ გლობალიზაციას არ მოჰყოლია საერთაშორისო სტაბილურობისკენ მიმართული ქვეყნებს შორის პარტნიორობის დამყარება. უფრო მეტიც, სამხედრო ძალა დღეს გახდა კონფლიქტებისა და სირთულეების (მაგალითად, ეკონომიკური ხასიათის) გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი საშუალება, რითაც მოქმედებს არა როგორც შემაკავებელი, არამედ როგორც შეტევითი ძალა, რუტინული საკითხების გადაჭრის ინსტრუმენტი, რომელიც არის მსოფლიოში აგრესიის ზრდის ტენდენციის გამოხატულება და კონფლიქტის გავრცელება. მკვეთრად გაიზარდა საერთაშორისო ტერორიზმის, სეპარატიზმის, რელიგიური ექსტრემიზმის, ეროვნული შეუწყნარებლობის, ორგანიზებული დანაშაულის საფრთხე და ა.შ. [8].

განსაკუთრებული აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოში ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემა, რომელიც პირდაპირ კავშირშია გლობალიზაციის პროცესის შედეგებთან. საფრთხის მრავალფეროვნება და რაოდენობა მუდმივად იზრდება, რაც რისკს სოციალური სივრცის განუყოფელ ნაწილად აქცევს, ხოლო საზოგადოებას მთლიანად „რისკის საზოგადოებად“, რომელშიც საგანგებო მდგომარეობა ნორმად იქცევა. ჩამოყალიბდა დაპირისპირების ახალი ველი - ინფორმაციული და იდეოლოგიური. დაპირისპირება კონკურენტი ქვეყნის სახელმწიფო სივრცეში ინფორმაციული შეჭრის სახით მიმდინარეობს. თანამედროვე საინფორმაციო თავდასხმის მთავარი ობიექტი არის მოცემული ქვეყნის მოსახლეობა და მიზანია მსოფლიოს პოლიტიკური სურათის მოდიფიკაცია მოქალაქეთა გონებაში. პოლიტიკური მითების შემოღების მეთოდი ძირს უთხრის მოქალაქეების ნდობას მათი ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიმართ, არღვევს კონსტიტუციურ წესრიგს, ნერგავს სახელმწიფოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მოდელის, როგორც უსამართლო და მანკიერი ფორმის იდეას. ამავდროულად, გთავაზობთ უცხო ცხოვრების სამყაროს იდეალიზებულ სურათს. ასეთი პროპაგანდის მოკლევადიანი შედეგი (თუ ის წარმატებულია) არის საზოგადოების უმაღლესი ხარისხის ნაწილის (შემოქმედებითი კლასის) საზღვარგარეთ ემიგრაცია და გრძელვადიან პერსპექტივაში ჩნდება სოციალური ბაზა რადიკალური საპროტესტო მოძრაობებისთვის [9].

გლობალიზაციის პროცესი შეიცავს შინაგან წინააღმდეგობებს, რომლებიც არ ამსუბუქებს, მაგრამ ზრდის გლობალურ უთანასწორობას. აქტუალურია განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ინტერესებს შორის განსხვავება. გლობალიზაცია განვითარების ახალ შესაძლებლობებს უქმნის მსხვილ მწარმოებლებს, რომლებიც ეყრდნობიან ტექნოტრონიულ ინდუსტრიას და გლობალური ემისიის ცენტრებს (ასოცირებული ბანკები და ფინანსური ფონდები). უპირატესობა მიიღწევა გლობალური ბაზრიდან მცირე ეკონომიკური მოთამაშეების განდევნით, რომლებიც საკმარისად არ არიან ჩართულნი თანამედროვე მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში.

მიუხედავად მსოფლიო ბაზარზე თანაბარი შესაძლებლობების დეკლარაციული პრინციპისა, ნახევრად პერიფერიული და პერიფერიული სახელმწიფოები აწყდებიან რეალურ შეზღუდვებს თანამედროვე მსოფლიო ეკონო-

მიკაში ინტეგრაციის პროცესში, რაც იწვევს ეკონომიკური უთანასწორობის ზრდას, რაც ასევე გადადის პოლიტიკურ დამოკიდებულებაში.

მაგალითად, დასავლეთის მხრიდან ეკონომიკური სანქციების ამჟამინდელ პირობებში მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს არა მხოლოდ რუსეთის ეკონომიკას, როგორც ცალკეულ სეგმენტს, არამედ რუსეთის ცალკეული რეგიონების საგარეო ეკონომიკურ აქტივობას, რომლებსაც ადრე ჰქონდათ შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაეძლიერებინათ ბიუჯეტი საგარეო ვაჭრობის გზით [7].

გლობალიზაციის პროცესით გამოწვეული ერთ-ერთი რისკია ცივილიზაციათაშორისი კონფლიქტები, რასაც მხარს უჭერს რელიგიური მოძრაობების რადიკალიზაცია. ამ მხრივ, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ახალ სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოთა ცივილიზაციურ და კულტურულ თვითიდენტიფიკაციას, საკუთარი მოქალაქეების და მსოფლიო საზოგადოების მიერ ქვეყნის კულტურის უნიკალურობისა და ორიგინალურობის აღიარებას. სახელმწიფოს, როგორც გეოპოლიტიკური ერთეულის, სულიერი პლატფორმა უნდა გახდეს სახელმწიფო პოლიტიკის კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს მის მთლიანობას და ეფექტურ ფუნქციონირებას საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში.

საერთო განმარტებით, გლობალიზაცია გულისხმობს პროცესებს, რომლის ფარგლებშიც ჩნდება საერთო სტანდარტები მთელი მსოფლიოსთვის ან სახელმწიფოთა შედარებით დიდი ჯგუფისთვის - ეკონომიკაში, პოლიტიკაში და სოციალურ განვითარებაში.

გლობალიზაციას ახასიათებს მრავალი განსხვავებული ფენომენი, როგორიცაა საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის საშუალებების გავრცელება, ფინანსური ბაზრების ურთიერთდამოკიდებულება და მონაწილეთა გაერთიანება, მიგრაცია, უნივერსალური კულტურის ჩამოყალიბება და ა.შ.

გლობალიზაციის თანამედროვე პრობლემები, ძირითადად, წარმოიქმნება ამ პროცესების მონაწილეთა მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის გამო. ხოლო მისი ოპონენტების აზრით, გლობალიზაციის პროცესები ეფუძნება პრინციპებს, რომელთა გამოყენება ძალიან ხშირად იწვევს უარყოფით შედეგებს. გლობალიზაციის პროცესები ზრდის უშიშროების ურთიერთდამოკიდებულებას საერთაშორისო, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე. შედეგად ჩნდება ადამიანის, საზოგადოებისა და ბუნების ერთიანობის, ასევე საერთო გლობალური უშიშროების პრობლემების ერთიანობის გაცნობიერების აუცილებლობა.

თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს სახელმწიფოს წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანა, რომელიც, პირველ რიგში, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაა. ეს ნაკარნახევია რეალური საფრთხეების არსებობით: საფრთხეები სახელმწიფოსთვის - მისი მთლიანობა და დამოუკიდებლობა, საფრთხე საზოგადოებისათვის - მისი დემოკრატიული ინსტიტუტები, საფრთხეები ინდივიდისთვის - მისი უფლებები და თავისუფლებები.

საქართველოს სახელმწიფოს ეროვნული უშიშროება არის ის, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის განვითარების პოტენციალს ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში, ასევე საზოგადოების სტაბილურობასა და კეთილდღეობას. ეროვნული უშიშროება გულისხმობს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში შიდა და გარე საფრთხეებისგან.

საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფცია ყალიბდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში არსებული პრობლემების ანალიზის საფუძველზე. ამიტომ, ამ დოკუმენტის შექმნა მოითხოვს სახელმწიფო საინფორმაციო ცენტრებისა და არასახელმწიფო ქვესისტემების ძალზედ შრომატევად მუშაობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფას. ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებების კომპლექსს უნდა დაუჭიროს მხარი არა მხოლოდ სახელმწიფომ, არამედ საზოგადოებამაც. ნეგატიური სიახლეა ამ საფრთხეების განხორციელების ახალი მასშტაბები, საშუალებები და დინამიკა, რომელიც დღეს უკვე იდენტიფიცირებულია და შესაძლო კატასტროფული შედეგები, როგორც სახელმწიფო, ისე გლობალურ დონეზე.

ANNA NUTSUBIDZE

TRANSFORMATION OF NATIONAL SECURITY IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION

Summary

The main trends of world development today are determined by the processes of globalization. In this regard, Georgia's national security problems today, as never before, must be considered in the light of the multifactorial nature of the international context, including long-term and ultra-long-term trends in world development.

The contradictory unity of both positive and negative features of the globalization process places scientists on the task of finding new guiding principles in 21st century global politics.

The main interest of the Georgian state is the modernization of our state, the creation of a modern post-industrial market economy, a stable system of political democracy, a truly civil society, the preservation and strengthening of cultural and civilizational characteristics. Only in this way can our real sovereignty and territorial integrity be secured.

Globalization, as a long-term trend, fully refers to the economic, military and political spheres, where without significant intellectualization of these spheres, the country's national security and defense system will not be created, which meets modern requirements, true interests of state and society.

Key words: *globalization, interdependence, security, information, economy, region, culture.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბეკი უ., „რა არის გლობალიზაცია“. „ელფის“ გამომცემლობა, თბ., 2003, გვ. 34.
2. კისინჯერი ჰ., „მსოფლიო წესრიგი“. გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., გვ. 11-13.
3. ლეკაშვილი ე., „არის გლობალიზაცია“, ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, N11(144), თბ., 2009, გვ. 65-66.
4. მელიქიძე ვ., „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“. გამომცემლობა ,,თბილისი“, თბ., 2006, გვ. 4.
5. ჭოჭუა ლ., „გლობალიზაციის გენეზისი, არსი და ფორმები“. ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, N9, თბ., 2008, გვ. 34-40.
6. Belsky I. E., „The Multivariate Image of Territory in the Internal and External Markets of the Global World“ Regional Economy: Theory and Practice. 2014, გვ.,142.
7. Green L. E. „Globalization and National Sovereignty. History and Modernity“. 2005, გვ. 76.
8. Inozemtsev V. L., „Globalization and inequality: what is the cause, what is the result?“ 2003, გვ. 208.
9. Norberg I. U., „Defending Global Capitalism“. 2007, გვ. 186.
10. Potapov V. I., „National and International Security: Political and Military Aspects“. Political Studies. 2015, გვ. 71.
11. Romanovich A. L., „Sustainable Future (Globalization, Security, Noospherogenesis)“. 2017, გვ. 52.
12. Tsapenko I. P., „Subjective Welfare of the Population and Immigration“. World Economy and International Relations. 2015, გვ. 64.

ნათია მამალაძე
წარმოადგინა პროფ. ნატო სონღულაშვილმა

კულტურა და ქართული ეროვნული იდენტობა

კულტურა საკმაოდ რთული ცნებაა და ის შეიძლება იყოს როგორც მატერიალური, როგორიცაა ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებები, ასევე ნაკლებად მატერიალური, როგორიცაა რელიგია, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები. კულტურის განუყოფელი ნაწილია სოციალური წესრიგი და კანონები, რომლებიც მართავს და არეგულირებს კონკრეტული ჯგუფის საქმიანობას. სწორედ ამიტომ კულტურა თამაშობს მნიშვნელოვან როლს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ერის ცნების განსაზღვრისას აღნიშნულია მისი ორი განზომილება: ზოგადი (პოლიტიკური) და ეთნიკური (ეთნოკულტურული). პოლიტიკური დეფინიცია აკავშირებს ერს სახელმწიფოსთან და სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ადამიანი ითვლება ამ სახელმწიფოს მოქალაქედ, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობის. რაც შეეხება ეთნოკულტურულს, ის მკვეთრად ჰყოფს მოქალაქეობასა და ეროვნებას, რადგან ერი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ეთნიკურ და კულტურულ ფაქტორებთან და არა სახელმწიფოსთან. როგორც ენტონი სმიტი აღნიშნავს, ერის ანალიზში ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული ელემენტებია. როგორიცაა: სიმბოლოები, მითები, ღირებულებები, ტრადიციები. ეს კულტურული ელემენტები უზრუნველყოფს ერთიანობას. საერთო ღირებულებები და ტრადიციები კი თავის მხრივ, ინარჩუნებს ერთიანობას წინა თაობებთან და ისტორიულ წარსულთან.

გლობალიზაცია ბევრ დადებით ასპექტთან ერთად ქმნის კულტურული იდენტობის დაკარგვის შესაძლებლობას. ეროვნული ტრადიციები და კულტურული ღირებულებები ხშირად უგულებელყოფილია და ერწყმის მასობრივ გლობალურ პროცესებს. ეს თავის მხრივ ართმევს ერს კულტურულ ინდივიდუალიზმს. ამ გლობალური პროცესების შიში და შედეგები სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვა რეაქციას იწვევს და ეს რეაქციები ხდება საერთაშორისო ურთიერთობების, კონკრეტული სახელმწიფოების საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის განმსაზღვრელი. საქართველო არის მულტიკულტურული სახელმწიფო, დასახლებული სხვადასხვა ეთნიკური, ენობრივი თუ რელიგიური მახასიათებლების მქონე ეთნიკური ჯგუფებითა და კულტურული ჯგუფებით. ქართველები დიდი ხანია მშვიდობიანად თანაარსებობენ სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფებთან. საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა პატარა სახელმწიფოში, კულტურულ განზომილებას სახელმწიფოზე ბევრად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კულტურული განზომილების განმსაზღვრელი ელემენტებია: რელიგია, ტრადიციები, ისტორია. ქართული ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია საქართველოს, როგორც ქრისტიანული ქვეყნის წარმოდგენა. საქართველოში მას ხშირად აიგივებენ კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფთან, კერძოდ ეთნიკურ ქართველებთან, ხოლო ეთნიკურ ქართველებს მართლმადიდებლობასთან.

რელიგიური კუთვნილების განცდა საკმაოდ აქტუალურია საქართველოში. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში საუკუნეების მანძილზე მთავარ როლს ასრულებდა რელიგიის ფაქტორი. გავიხსენოთ, მაგალითად, გეორგიევსკის ტრაქტატი ხელმოწერილი 1783 წელს „ერთმორწმუნე რუსეთთან“. რუსეთი დღესაც ცდილობს განავითაროს თავისი "რბილი ძალის" მექანიზმები რელიგიური კონტექსტიდან გამომდინარე და ვფიქრობ, ეს მექანიზმები საქართველოში აქტიურად მუშაობს, რადგან საქართველოში ჯერ კიდევ არის საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომლისთვისაც რუსეთთან კავშირების აღდგენა ეროვნული ღირებულებებიდან გამომდინარე უფრო მისაღებია, ვიდრე დასავლეთის ლიბერალური ღირებულებები, რომელიც როგორც ქართველი სამღვდელოების ნაწილი ამბობს, „ქართველ ერს გახრწნის“.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე საქართველოში ნაკლებად არის განვითარებული ინტერკულტურული მგრძნობელობა. როგორც მილტონ ბენეტი განსაზღვრავს, ეს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოდელია ინტერკულტურული კომუნიკაციის, ინკლუზიისა და თანასწორობის სფეროებში. განათლების სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნული უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის საქმეში. ინტეგრაცია მოითხოვს უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის ცოდნას და

მათი კულტურული იდენტობის დაცვას. განათლების სისტემამ, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ღირებულებების შესწავლა, ეროვნული უმცირესობების კულტურული იდენტობის დაცვა და ინტერკულტურული განათლება.

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა და მრავალფეროვნებასა და პლურალიზმზე დაფუძნებული საზოგადოების ხელშეწყობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დემოკრატიის ხარისხს და განვითარებას. კულტურა არის უხილავი ძალა, რომელსაც აქვს უნარი ძლიერი გავლენა მოახდინოს სახელმწიფოთა ურთიერთობის ბუნებაზე, ან გარდაიქმნას სხვადასხვა კონფლიქტებისა თუ დაპირისპირების მიზეზად. შესაბამისად, კულტურის მნიშვნელობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. რა თქმა უნდა, კულტურა არ არის ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს კონკრეტულ სახელმწიფოს ყველა არსებული პრობლემის გადაჭრაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ სახელმწიფოში განსხვავებული კულტურა მართლაც უნიკალური შესაძლებლობაა გამოავლინოს და შექმნას მიმზიდველობა მსოფლიოში. მიმზიდველობა ნიშნავს ინვესტიციების მოზიდვას, ეკონომიკის განვითარებას, სტაბილური სახელმწიფოს იმიჯის ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს მტკიცე პოზიციის დაკავებას საერთაშორისო ასპარეზზე და სასურველი საგარეო პოლიტიკური კურსის წარმოებას.

საკვანძო სიტყვები: *კულტურა, ეროვნული იდენტობა, ეროვნული უმცირესობები, გლობალიზაცია.*

კულტურა საკმაოდ რთული ცნებაა და ის შეიძლება იყოს მატერიალურიც, როგორც მაგალითად ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებები, და ნაკლებად ნივთიერიც, როგორიც არის რელიგია, ადათ-წესები, ტრადიციები. კულტურის შემადგენელი ნაწილია ის სოციალური წყობა და კანონები, რომლებიც კონკრეტული ჯგუფის საქმიანობას წარმართვს და არეგულირებს [1].

სწორედ ამიტომ, კულტურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ისტორია და კულტურა ძალიან დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფოებზე, მათ ინტერესებსა და საგარეო პოლიტიკაზე.

რაც შეეხება ეროვნულ იდენტობას ის ყალიბდება იმ ელემენტებისგან, რომლებიც გაზიარებულია იმ ინდივიდების მიერ, რომლებიც თავს მიაკუთვნებენ კონკრეტულ ერს. ადამიანთა ერთობა კი თავის მხრივ შეიძლება ჩაითვალოს ერად თუ მას გააჩნია განსაზღვრული ტერიტორია, საერთო კულტურა, წარსული და მომავლის ერთიანი ხედვა, საერთო ინსტიტუციები და ერის ყველა წევრისთვის უფლებათა და მოვალეობათა ერთიანი სისტემა. ეროვნული იდენტობა უზრუნველყოფს როგორც ინდივიდებს, ასევე ინდივიდსა და ერს შორის ემოციურ კავშირებს. ერის წევრთა ასეთი ემოციური კავშირი ლიდერების მხრიდან ხშირად პოლიტიკური მიზნებით გამოიყენება. როდესაც რეალური ან წარმოსახვითი საფრთხე ემუქრება საზოგადოებას, მის საკუთრებას, ტრადიციებს, კულტურას, ტერიტორიას ან სუვერენიტეტს [2].

ეროვნული იდენტობა სოციალური იდენტობის ერთ-ერთი ფორმაა. მისი საკვანძო ობიექტი კი არის ერი. ეროვნული იდენტობა ფუძეს უმაგრებს სახელმწიფოსა და მის ორგანოებს. ერი მუდმივად აღვივებს ეროვნული იდენტობის შეგრძნებებს საერთო ღირებულებების, ტრადიციების, სიმბოლოების (დროშების, ჰიმნების, ერონვული ტანისამოსის) საშუალებით, რომლებიც წევრებს შეახსენებს მათ საერთო კულტურულ მემკვიდრეობას.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ერის ცნების განსაზღვრისას მის ორ განზომილებას აღნიშნავენ: ზოგადს (პოლიტიკურს) და ეთნიკურს (ეთნოკულტურულს). პოლიტიკური განმარტება ერს უკავშირებს სახელმწიფოს და სახელმწიფოში მცხოვრებ ყველა ადამიანს მოიაზრებს ამ სახელმწიფოს მოქალაქედ, მიუხედავად მათი ეთნიკური კუთვნილებისა. რაც შეეხება ეთნოკულტურულს, ის მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისგან მოქალაქეობას და ეროვნებას, რადგან ერი უპირველესად დაკავშირებულია ეთნიკურ და კულტურულ ფაქტორებთან და არა სახელმწიფოსთან [3].

ეროვნული თვითმყოფადობა ეს არის სახელმწიფოს ან ერის საზოგადოებისადმი კუთვნილების განცდა და დაკავშირებულია ისეთ ასპექტებთან, როგორიცაა კულტურა, რელიგია, ტრადიციები და ა.შ. ზოგადად ჩვენი იდენტობა ესაა ჩვენი პიროვნულობის შეცნობის შედეგი. ეს არის ადამიანის წარმოდგენა საკუთარ „მე“-ზე. იდენტობას კი ინდივიდი შესაბამისი ნიშნის მიხედვით ახდენს, როგორიცაა მაგალითად: ენთიკური, ენობრივი, რელიგიური. ზო-

გიერთი მკვლევარის აზრით, „მე“-ს სწორედ ის სოციუმი განაპირობებს სადაც ესა თუ ის ინდივიდი იმყოფება. კულტურული ფონი კი უზარმაზარ გავლენას ახდენს ინდივიდის განვითარებაზე.

როდესაც ვსაუბრობთ ეროვნულ იდენტობასა და კულტურაზე, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ენტონი სმითი, ეთნოსიმბოლიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი. თავის მხრივ ეთნოსიმბოლიზმი ამტკიცებს, რომ ერების წარმოშობა არის ახალი ეპოქის შედეგი, თუმცა ამასთან ერთად ხაზს უსვამს ერების ჩამოყალიბების პროცესში ეთნოსებისა და ეთნოკულტურული ერთობების მნიშვნელობას. ეთნოსიმბოლისტები არ უარყოფენ პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენას ერების ფორმირების პროცესებზე, თუმცა უმთავრესად ყურადღებას ამახვილებენ კულტურულ-ისტორიულ ასპექტებზე.

ენტონი სმითი აღნიშნავს, რომ „ერებს მოდერნისტებიც და ეთნოსიმბოლისტებიც განიხილავენ, როგორც ისტორიულ ერთობებს, რომლებიც ჩაისახნენ კონკრეტულ ისტორიულ და გეო-კულტურულ კონტექტში“ [4].

სმითის განმარტებით, როცა ერი ეთნიკურ ერთობებს ემყარება, ამ ეთნოსების „სიმბოლოების, ტრადიციების და მითების“ საფუძველზე ხდება ერებისა და მათი „ახალი ეროვნული სახელმწიფოების საჯარო კულტურის, სიმბოლური კოდებისა და სისტემების, მრავალი კანონისა თუ ჩვეულების ჩამოყალიბება“ [5].

სმითის აზრით, ერის ანალიზის დროს უმთავრესი მნიშნელობა ენიჭება სწორედ კულტურულ ელემენტებს, როგორიცაა: სიმბოლოები, მითები, ღირებულებები, ტრადიციები. ეს კულტურული ელემენტები უზრუნველყოფენ ერთობას. საზიარო ღირებულებები და ტრადიციები კი, თავის მხრივ, ერთობებს უნარჩუნებს კავშირებს წინა თაობებთან, ისტორიულ წარსულთან [6].

გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო მარტივი ხდება კონკრეტულ ქვეყანაში არსებული კულტურის სხვებისთვის გაზიარება. ამ პროცესს, რა თქმა უნდა, უამრავი დადებითი ასპექტი მოყვება, როგორიცაა მაგალითად ინვესტიციების მოზიდვა, ინფორმაციული და ტექნოლოგიური განვითარება და ა.შ. თუმცა ხშირად ეს პროცესი ქმნის კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვის შესაძლებლობას. ხშირად ხდება ეროვნული ტრადიციებისა და კულტურული ღირებულებების უგულებელყოფა, შერწყმა მასობრივ გლობალურ პროცესებთან. ეს კი თავის მხრივ ერს უკარგავს კულტურულ ინდივიდუალიზმს. ამ გლობალური პროცესების შიში და შედეგები კი სხვადასხვა კულტურებში სხვადასხვა რეაქციებს იწვევს, ეს რეაქციები კი საერთაშორისო ურთიერთობების, კონკრეტული სახელმწიფოების საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის განმსაზღვრელი ხდება.

გლობალიზაცია ის პროცესია, რომელიც ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდ აკავშირებს სახელმწიფოებს. უამრავ დადებით ასპექტთან ერთად ეს პროცესი ქმნის საშიშროებას ეროვნული უმცირესობებისათვის, რომელიც თავის მხრივ განპირობებულია ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვით. განსაკუთრებით საინტერესოა პატარა სახელმწიფოების დამოკიდებულება გლობალიზაციის პროცესებისადმი.

საქართველოს სხვა კულტურებთან თანაარსებობის დიდი გამოცდილება აქვს. ამ ქვეყანაში არსებული კულტურული მრავალფეროვნება პირველ რიგში საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით იყო განპირობებული. უძველესი აბრეშუმის გზის ერთ-ერთი განშტოება სწორედ საქართველოზე გადიოდა, რაც სხვადასხვა კულტურათა თავმოყრას იწვევდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამის გამო, თბილისი ოდითგანვე წარმოადგენდა მულტიკულტურულ ქალაქს. მე-11 საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის მიხედვით, ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე მე-6 საუკუნეში ქართლში, ქართულის გარდა კიდევ ხუთ ენაზე საუბრობდნენ, ესენია: ასურული, ბერძნული, ებრაული, სომხური და ხაზარული. ოდითგანვე ქართველები მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ უმცირესობათა სხვადასხვა ჯგუფებთან კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემით. ქართული ტოლერანტობის მაგალითად შეგვიძლია ვახსენოთ თბილისის ერთ-ერთ ძველი უბანი, სადაც მეიდნის გარშემო სხვადასხვა ქუჩაზე, ერთმანეთისგან განსხვავებული ეთნოსის კულტურა და რელიგია ერთად იყრის თავს. ამ ტეროტორიაზე განთავსებულია მართმადიდებლური, მუსლიმური, სომხური, ებრაული და კათოლიკური საკულტო ნაგებობები. სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებმა საქართველოს დედაქალაქში შეძლეს საკუთარი რელიგიის საუკუნეების განმავლობაში შენარჩუნება.

საქართველო მულტიკულტურული სახელმწიფოა, სადაც ცხოვრობენ სხვადასხვა ეთ-

ნიკური, ლინგვისტური თუ რელიგიური მახასიათებლების მატარებელი ეთნოსები და კულტურული ჯგუფები. საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა პატარა სახელმწიფოში, კულტურული განზომილება ბევრად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, ვიდრე სახელმწიფოებრივი. კულტურული განზომილების განმსაზღვრელ ელემენტებად კი შეგვიძლია მოვიაზროთ: რელიგია, ტრადიციები, ისტორია. ჰაიდერისა და შმიდტის აზრით, ეროვნული იდენტობის განცდას განაპირობებს ემოციები კონკრეტული ასპექტების მიმართ, რომლებიც მთელ ერს აერთიანებს. ამგვარ ასპექტებად შეიძლება ჩაითვალოს ისტორია, კულტურა, ეკონომიკა, ენა, რელიგია, ეროვნული სიმბოლოები და სხვა [7].

ქართული ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი საქართველოს ქრისტიანულ ქვეყნად მოაზრებაა. საქართველოში ხშირად ხდება ეროვნების კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფთან გაიგივება, კერძოდ ეთნიკურ ქართველებთან, ხოლო ეთნიკური ქართველების-მართმადიდებლობასთან.

ეროვნული იდენტობის მკვეთრად გამოხატულება შესაძლოა გახდეს კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელი მთელ რიგ საკითხებში. მაგალითად, დასავლეთიდან შემოსული ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებები ხშირად შეუსაბამობაში მოდის ქართული საზოგადოების გარკვეულ სეგმენტთან. ეს სეგმენტი კი წარმოადგენს ქართველების გარკვეულ ნაწილს, რომელთაც მკვეთრად გამოხატული ეროვნული კუთვნილების განცდა აქვს. პროდასავლური ღირებულებების განვითრება ხშირად აღიქმება, როგორც საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვა, რაც, თავის მხრივ, იწვევს შიშსა და უნდობლობას [8. 72].

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ რელიგიური კუთნილების განცდა საკმაოდ აქტუალურია საქართველოში. რელიგიის ფაქტორი საუკუნეების განმავლობაში უდიდეს როლს თამაშობდა საქართველოს საგარეო კურსის ფორმირებაში. გავიხსენოთ, თუნდაც 1783 წელს გაფორმებული გეორგიევსკის ტრაქტატი „ერთმორწმუნე რუსეთთან“. დღესაც, რუსეთი სწორედ რელიგიური კონტექსტიდან გამომდინარე ცდილობს საკუთარი „რბილი ძალის“ მექანიზმების ამუშავებას და ვფიქრობ, ეს მექანიზმები საქართველოში აქტიურად მუშაობს, რადგან ჯერ კიდევ არსებობს საქართველოში საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომლისთვისაც რუსეთთან კავშირების აღდგენა, ეროვნული ფასეულობებიდან გამომდინარე, მეტად მისაღებია ვიდრე ლიბერალური ღირებულებების მიღება, რომლებიც როგორც ქართველი კლერიკალების ნაწილი ამბობს „გახრწნის ქართველ ერს“.

თანამედროვე საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა მრავალფეროვანია. ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ: აზერბაიჯანელები, სომხები, ასირიელები, ებრაელები, რუსები, უკრაინელები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ რეგიონებს, სადაც ეროვნული უმცირესობები კომპაქტურად სახლობენ, ესენია: აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. ქვემო ქართლი აზერბაიჯანს ესაზღვრება, ხოლო სამცხე-ჯავახეთი - სომხეთს. ეს მდებარეობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ამ რეგიონებში მცხოვრები აზერბაიჯანელებისა და სომხების სტატუსს. რა თქმა აღნიშნულიდან გამომდინარე სეპარატიზმის საფრთხე მოსალოდნელია, რადგან უმცირესობები ქართულ მოსახლეობასთან ასიმილაციას საკუთარი ეთნიკური იდენტობის საფრთხედ აღიქვამენ. ამის მთავარი მიზეზი კი სახელმწიფოს მიმართ არალოიალური დამოკიდებულებაა, რაც თავის მხრივ სახელმწიფოს გულგრილობით არის გამოწვეული.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილმა ეთნიკურმა, რელიგიურმა და კულტურულმა მრავალფეროვნებამ ახლებური გააზრება მოითხოვა. თავი იჩინა ეთნიკური ხასიათის დაპირისპირებებმა. კავკასიაში ვითარება განსაკუთრებით გაართულა ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებულმა ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა, რომელთაგან ორი საქართველოში - აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარეობდა. არსებულმა კონფლიქტებმა გადაფარა დიალოგისა და საერთო წარსულის ხანგრძლივი გამოცდილება. აფხაზეთის რეგიონი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მთელი ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის მანძილზე.

1921 წელს, როდესაც რუსეთის წითელი არმია საქართველოში შემოიჭრა და მოახდინა ამ უკანასკნელის ოკუპაცია, აფხაზეთიც გახდა საბჭოთა იმპერიის ნაწილი. საბჭოთა მმართველობის პერიოდში აფხაზები ხშირად ექცეოდნენ რუსული პროპაგანდის და აგიტაციის გავლენის ქვეშ. საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე აფხაზეთში ხდებოდა სხვადასხვა ეროვნებების დისკრიმინაცია, რუსეთის წაქეზებით ღვივდებოდა ქართველთა წინააღმდეგ

ეთნიკური ხასიათის სიძულვილი და სურვილი საქართველოსგან გამოყოფის. შედეგად 1991 წელს, აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ, რომლის უმრავლესობას აფხაზი სეპარატისტები წარმოადგენდნენ, აქტიურად დაიწყო აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფისკენ მიმართული ნაბიჯების გადადგმა. 1993 წელს აფხაზური მხარე გადავიდა შეტევაზე. 1993-1994 წლებში კი აფხაზეთში მიმდინარეობდა ეთნოწმენდა. ორასორმოციათასი აფხაზეთის მკვიდრი ქართველი განდევნილ იქნა საკუთარი მიწა-წყლიდან [9].

სამხრეთ ოსეთის უმრავლესობა ეთნიკურად იგივეა რაც ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა. ოსების უმრავლესობა მართმადიდებელი ქრისტინია, რაც ოსებსა და მეზობელ ჩრდილოკავკასიელ ხალხებს შორის გაუცხოებას იწვევს. საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო ორი საუკუნეა გაჩნდა „სამხრეთ ოსეთი“. ამ ტერიტორიული ერთეულის დაარსება გახლდათ რუსეთის მიზანმიმართული ქმედება გავლენა მოეხდინა საქართველოზე „დაყავი და იბატონე“-ს პრინციპით. სამაჩაბლოს უძველესი მოსახლეობა ქართული იყო. ამ ტერიტორიაზე 1922 წელს კომუნისტებმა ოსებს აჩუქეს საქართველოს გარკვეული მიწების ნაწილი და დროთა განმავლობაში საკუთარ მიწაზე ქართველობა იქცა ეროვნულ უმცირესობად. ამას მოწმობს 1929 წელს ცხინვალში შედგენილი მოხსენებითი ბარათი, სადაც ნათქვამია „სამხრეთ ოსეთში ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ: ქართველები, სომხები, ებრაელები, რუსები და სხვა.“ [10].

ცალკე პრობლემა გახლდათ ენა. საბჭოთა კავშირის სივრცეში უმთავრესი საკომუნიკაციო ენა გახლდათ რუსული, საბჭთა კავშირის დაშლის შემდგომ საქართველოში რუსული ქართულმა ჩაანაცვლა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე სამცხე-ჯავახეთის ნაწილში ძირითადად სომხური და რუსული ენები გამოიყენება საკომუნიკაციოდ. რაც შეეხება ქვემო ქართლს აქ ძირითადად აზერბაიჯანული და რუსული იკვეთება.

თანამედროვე საზოგადოებაში კულტურული მრავალფეროვნების პრობლემები სხვაგვარად წარმოჩნდება. ის, რასაც ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა შუა საუკუნეებში ან თუნდაც საბჭოთა კომუნიზმში, ახლა შესაძლოა გახდეს თანამედროვე საზოგადოების პრობლემა და გამოწვევა. კულტურათაშორისი დიალოგი კი წარმოადგენს იმ გზას, რაც დაეხმარება განსხვავებული კულტურების მქონე საზოგადოებებს თანაარსებობაში. კულტურათა დიალოგი გულისხმობს იდეებისა და განსხვავებების გაზიარებას სხვადასხვა პერსპექტივებისა და პრაქტიკის უფრო ღრმა გაგების განვითარების მიზნით.

„კულტურათაშრისი დიალოგი“, როგორც ტერმინი, პირველად ევროპის საბჭომ გამოიყენა. მაშინ საუბარი იყო პოლიტიკის განსაზღვრების პროცესში მოქანაქეების ჩართვაზე. მას შემდეგ კი რაც ევროპის საბჭოს წევრთა რიცხვი გაიზარდა, კულტურათაშორისი დიალოგის მნიშვნელობა გაცილებით გაიზარდა. ევროპის საბჭო კულტურათაშორის დიალოგს შემდეგნაირად განმარტავს: „კულტურათაშორისი დიალოგი გულისხმობს ხედვათა ღია და ღირსეულ გაცვლას სხვადასხვა ეთნიკური, კულტურული, რელიგიური და ლინგვისტური წარმომავლობის და მემკვიდრეობის მქონდე ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის“ [11.10-12].

ვფიქრობ, კულტურათა დიალოგი არის სწორედ ის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია როგორც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების, ისე სხვადასხვა კულტურული თუ ეროვნული იდენტობის საკითხების ნორმალიზირება და მოგვარება რაც, თავის მხრივ, განსხვავებული კულტურული მახასიათებლებისგან არის გამოწვეული. რა თქმა უნდა კულტურათა დიალოგი ზემო აღნიშნულ კონფლიქტებსა და საკითებს მალე ვერ მოგვარებს, თუმცა დროში სწორად გათვლილი და გაწერილი სტრატეგია დაგვეხმარება დაკარგული კავშირების აღმოჩენასა და ურთიერთობების ნორმალიზებაში.

ბერძნული ენათმეცნიერების პროფესორის, ჯორჯ ბაბინიოტისის თქმით არ არსებობს ხალხის გაცნობის უფრო პირდაპირი, მოკლე გზა, ვიდრე მათი ენის შესწავლა. ხალხის ენა არის სამყაროს აღქმის, კლასიფიკაციის და გამოხატვის გზა. კონკრეტულ ენაზე საუბარი ნამდვილად დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ცნობიერსა და შეგნებაზე, სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი საქართველოში მყოფ ეროვნულ უმცირესობათა განათლების სისტემის განვითარება და არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საქართველოში ნაკლებადაა განვითარებული ინტერკულტურული მგრძნობელობა. როგორც მილტონ ბენეტი განსაზღვრავს, ეს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოდელია კულტურათაშორისი კომუნიკაციის, ჩართულობისა და თა-

ნასწორობის სფეროებში. მოდელი აღწერს სტანდარტულ გზებს, რომლითაც ადამიანები განიცდიან, ინტერპრეტირებენ და ურთიერთქმედებენ კულტურულ განსხვავებებს შორის. ინტერკულტურული მგრძნობელობა გვთავაზობს იმგვარ განვითარებას, სადაც ადამიანებს შეუძლიათ მიაღწიონ პროგრესს და კულტურული განსხვავებულობის უფრო ღრმა გაგებასა და შეფასებას [12].

ეროვნული უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი განათლების სისტემას უკავია. ინტეგრირებისათვის ხელის შესაწყობად საჭიროა უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის ცოდნა და მათი კულტურული იდენტობის დაცვა. განათლების სისტემამ კი თავის მხრივ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოებრივი ღირებულებების შესწავლა, ეროვნული უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის დაცვა და ინტერკულტურული განათლება.

2003 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო პროექტები, რომლითაც ეროვნულ უმცირესობებს ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესებაში დაეხმარებოდა. ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელდა ეს არის სწორედ ბილინგვური განათლების პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა.

ბილინგვური განათლების კონცეფცია გულისხმობს პოლიკულტურულ აღზრდას. ბილინგვური განათლების მიღების დროს, მოსწავლე მეორე ენასთან ერთად, უცხო, მისი მშობლიური კულტურისგან განსხვავებულ კულტურასაც ეუფლება და მაღლდება მისი ინტერკულტურული კომპეტენცია. ამ ტიპის განათლების პირობებში იგი ტოლერანტული ხდება სხვა კულტურების მიმართ. ფართოვდება ასევე მისი კულტურული სივრცე და ეს მას ეხმარება გამოიმუშაოს მრავალკულტურულ საზოგადოებაში დამკვიდრებისა და სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კონსტრუქციული თანაცხოვრების ჩვევები. ბილინგვური განათლება აძლევს მათ შანსს, რომ შეინარჩუნონ, დაიცვან მშობლიური ენა და საკუთარი კულტურული იდენტობა [13].

საკმაოდ მნიშვნელოვანია 2006 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის“ რატიფიცირება, რომლითაც ქვეყანამ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აიღო ვალდებულება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა დაცვის, მათი იდენტობის შენარჩუნებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის. 2009 წელს მთავრობამ მიიღო პირველი ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებდა უმცირესობათა მიმართ პოლიტიკას და განსაზღვრავდა სახელმწიფოს ინსტიტუციურ ჩარჩოს, აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მთავრობის დადგენილებას სახელწოდებით „ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია“, სადაც გაწერილი იყო ზოგადი სამთავრობო მიზნები და ამოცანები უმცირესობათა დაცვის და ინტეგრაციის მიმართულებით, და ასევე რაც ყველაზე მნიშვნელოვანია შემუშავებულ იქნა ხუთწლიანი სამთავრობო სამოქმედო გეგმა, რომელშიც სხვადასხვა უწყებების მიხედვით გადანაწილდა შესაბამისი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები.

ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებული პირების კულტურული თვითმყოფადობის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით შეგვიძლია გამოვყოთ საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 1 ივლისს დამტკიცებული „კულტურის სტრატეგია 2025“, რომელიც შემუშავებულ იქნა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ. დოკუმენტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა „კულტურაზე წვდომა და კულტურული მრავალფეროვნება“. მიზნის მისაღწევად კი დაისახა ისეთი ამოცანები, როგორიცაა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული და შემოქმედებითი ინიციატივების მხარდაჭერა და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება მათი ჩართულობით [14].

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში დეტალურადაა ჩამოთვლილი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობითა და უშუალო მონაწილეობით განხორციელებული სხვადასხვა პროგრამები/პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დაცვა-განვითარებასა და პოპულარიზაციას.

საქართველოში ეროვნული იდენტობის განცდა უამრავი პრობლემებისა და კონფლიქტების შექმნის მიზეზია. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პროდასავლური კურსი აქვს აღებული და უკვე მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა ევრო-ატლანტიკური ინტეგრა-

ციისკენ, აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება. ეს კი თავის მხრივ შესაძლებელია მოხდეს ინდივიდთა შორის თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფით.

ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვა და მრავალფეროვნებასა და პლურალიზმზე დაფუძნებული საზოგადოების ხელშეწყობა მნიშვნელოვნად განაპირობებს დემოკრატიულობის ხარისხსა და განვითარებას. აუცილებელია ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის და კულტურული განხვავებულობის პრობლემები მოგვარებულ იქნას პირველ რიგში ქვეყნის შიგნით, რადგან თუკი საზოგადოება არ იღებს საკუთარი სახელმწიფოს საზღვრებში არსებულ განსვევებულ კულტურულ თუ ეთნიკურ იდენტობებს, მას რა თქმა უნდა გაუჭირდება ნებისმიერ უცხოსთან ურთიერთკავშირის დამყარება.

დასკვნის სახით, მინდა აღვნიშნო, რომ კულტურა გახლავთ ის უხილავი ძალა, რომელსაც საშუალება აქვს ძლიერი გავლენა მოახდინოს სახელმწიფოთა ურთიერთობების ხასიათზე, ან თავად გარდაიქმნას სხვადასხვა კონფლიქტებისა თუ დაპირისპირებების მიზეზად. შესაბამისად, კულტურის მნიშვნელობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში საკმაოდ გაზრდილია. რა თქმა უნდა, კულტურა არ წამოადგენს იმ ერთადერთ ძალას, რომელიც დაეხმარება კონკრეტულ სახელმწიფოს ყველა არსებული პრობლემის მოგვარებაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კულტურა, რომელიც განსხვავებულია ყოველ სახელმწიფოში ნამდვილად წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას მსოფლიოში დემონსტრირების და მიმზიდველობის შექმნის კუთხით. მიმზიდველობა ნიშნავს ინვესტიციების მოზიდვას, ეკონომიკის განვითარებას, სტაბილური სახელმწიფოს იმიჯის ფორმირებას, რაც თავის მხრივ გულისმობს საერთაშორისო არენაზე მყარი პოზიციის დაკავებას და სასურველი საგარეო პოლიტიკური კურსის წარმოებას.

NATIA MAMALADZE

CULTURE AND GEORGIAN NATIONAL IDENTITY

Summary

Culture is quite a complex concept and it can be both material, such as works of art and literature, and less material, such as religion, customs, traditions. An integral part of culture is the social order and the laws that govern and regulate the activities of a particular group. This is why culture plays an important role in the decision-making process.

In the scientific literature, when defining the concept of a nation, its two dimensions are mentioned: general (political) and ethnic (ethnocultural). The political definition connects the nation to the state and all people living in the state are considered citizens of that state, regardless of their ethnicity. As for the ethnocultural, it sharply separates citizenship and nationality, because the nation is primarily related to ethnic and cultural factors and not to the state.As Anthony Smith emphasizes, in the analysis of the nation, the most important thing is the cultural elements, such as: symbols, myths, values, traditions. These cultural elements ensure unity. Shared values and traditions, in turn, maintain unity with previous generations and with the historical past.

Globalization, along with many positive aspects, creates the possibility of losing cultural identity. National traditions and cultural values are often neglected, merging with mass global processes. This in turn deprives the nation of cultural individualism. The fear and consequences of these global processes provoke different reactions in different cultures, and these reactions become the determinants of international relations, foreign or domestic policies of specific states.

Georgia is a multicultural state, inhabited by ethnic groups and cultural groups with different ethnic, linguistic or religious characteristics. Georgians have long coexisted peacefully with various minority groups with respect for cultural diversity. In Georgia, as in many other small states, the cultural dimension occupies a much more important place than the state. The defining elements of the cultural dimension are as follows: religion, traditions, history. One of the main features of Georgian national identity is the idea of Georgia as a Christian country. In Georgia, it is often equated with a specific ethnic group, namely ethnic Georgians, and ethnic Georgians to Orthodoxy.

The feeling of religious affiliation is quite relevant in Georgia. The religion factor has played a major role in shaping Georgia's foreign policy for centuries. Let us recall, for example, Georgievsky's

treatise "On Monotheistic Russia" signed in 1783. Even today, Russia tries to develop its own "soft power" mechanisms due to its religious context, and I think these mechanisms are actively working in Georgia, because there is still a certain part of society in Georgia for which re-establishing ties with Russia is more acceptable due to national values than liberal values. As part of the Georgian clergy says, "it will corrupt the Georgian nation."It should be noted that intercultural sensitivity is less developed in modern Georgia. As Milton Bennett defines it, intercultural sensitivity is one of the most influential models in the fields of intercultural communication, inclusion and equality. The education system plays an important role in integrating national minorities into society. Integration requires knowledge of the state language for minorities and the protection of their cultural identity. The education system, in turn, must ensure the study of state values, the protection of the cultural identity of national minorities, and intercultural education.

Protecting the rights of ethnic minorities and promoting a society based on diversity and pluralism significantly contribute to the quality and development of democracy. Culture is an invisible force that has the ability to strongly influence the nature of relations between states, or to transform itself into the cause of various conflicts or controversies. Consequently, the importance of culture has increased considerably over the last decade. Of course, culture is not the only force that can help a particular state solve all the existing problems, however it should be noted that culture that is different in each state is truly a unique opportunity to demonstrate and create attractiveness in the world. Attractiveness means attracting investments, developing the economy, forming the image of a stable state, which in turn means taking a firm position in the international arena and producing the desired foreign policy course.

Key words: *culture, national identity, national minorities, globalization.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Тэйлор Э. Б., „Антропология: Введение к изучению человека и цивилизации“. Издание И. И. Билибина и Ко, 1882
2. გამსახურდია ვ., „ქართული ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოდერნულ კონტექსტში“. მოძიებულია 10 აპრილი, 2016
3. მორგოშა მ., „ბანალური ნაციონალიზმის“ გამოვლენის ფორმები აფხაზეთში და მისი გავლენა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე“, თბ., 2018.
4. Smith A. D., „The Ethnic Origins of Nations“. Oxford: B. Blackwell, 1987.
5. Smith A. D., „National Identity and the Idea of European Unity“. In: International Affairs (Royal Institute of International Affairs 1944-), Jan., 1992, 68, 1, pp. 55–76
6. Smith A. D., „Ethno-symbolism and nationalism“. A cultural approach. London, New York: Routledge. 2009.
7. Heyder A., Schmidt P., „Deutscher Stolz. Patriotismus wäre besser“. In: Heitmeyer, Wilhelm (Ed.): Deutsche Zustände. Folge 1. Frankfurt am Main: Suhrkamp, 2002.
8. ბოგიშვილი დ., ოსეფაშვილი ი., გავაშელიშვილი ე., გუგუშვილი ნ., „ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია“, თბ., 2016.
9. სონღულაშვილი ა., „საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა“, 2018.
10. მჭედლიძე გ., „ისტორია უდისტანციოდ“, ქუთაისი, 1999
11. White Paper on Intercultural Dialogue. „living together as equals in dignity“. Council of Europe,Strasbourg, 2008. p.10-12
12. Bennett, M. J., „Development model of intercultural sensitivity“. In Kim, Y. (Ed.), International Encyclopedia of Intercultural Communication. Hoboken, NJ: John Wiley & Sons, 2017. https://www.idrinstitute.org/dmis/
13. მეხუზლა ს., ეიდინ როშე ე. „უმცირესობათა საკითხების ეროვნული ცენტრი, ECMI -ის სამუშაო მოხსენება #46, სექტემბერი, 2009
14. კულტურის სტრატეგია. 2025, 2016.

ნატო ჯიაძე
*წარმოადგინა პროფ. ***ჰენრი კუპრაშვილმა***

პატარა ქვეყნების კიბერუსაფრთხოების გამოწვევები

21-ე საუკუნეში უსაფრთხოების არქიტექტურა მნიშვნელოვნად იცვლება და ფართოვდება, რაც დაკავშირებულია თანამედროვე გამოწვევების, რისკებისა და საფრთხეების მრავალფეროვნებასთან. საფრთხეები უფრო და უფრო კომპლექსური ხდება და ახალ მიდგომებს საჭიროებს. უსაფრთხოების ახალი გამოწვევები დიდ გავლენას ახდენს პატარა სახელმწიფოებზე. პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოება დამოკიდებულია სტაბილურობაზე, პროგნოზირებაზე და გლობალური პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტილების მიღებაზე. პატარა ქვეყნები და, მათ შორის, საქართველო დამოუკიდებლად ვერ უმკლავდებიან კიბერ შეტევებს. მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა და საერთაშორისო ორგანიზაციებში გაერთიანება. პატარა ქვეყნების ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება უზრუნველყოფს კიბერშესაძლებლობის განვითარებას და ქვეყნის კიბერმდგრადობას.

საკვანძო სიტყვები: *პატარა ქვეყნები, კიბერუსაფრთხოება, კიბერსივრცე, კიბერშეტევა.*

21-ე საუკუნეში უსაფრთხოების არქიტექტურა მნიშვნელოვნად იცვლება და ფართოვდება, რაც დაკავშირებულია თანამედროვე გამოწვევების, რისკებისა და საფრთხეების მრავალფეროვნებასთან. საფრთხეები უფრო და უფრო კომპლექსური ხდება და ახალ მიდგომებს საჭიროებს. უსაფრთხოების გაგების, ანალიზის მიდგომა ჩამოაყალიბა კოპენჰაგენის სკოლამ. უსაფრთხოების ახალმა გაგებამ მთლიანად შეცვალა ცივი ომისეული უსაფრთხოების კონცეფცია და ხედვა.

ჯოზეფ ნაიმ (1994) აღნიშნა, რომ „კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პერიოდში ქვეყნების უსაფრთხოების დიდ გამოწვევას, შესაძლებელია, წარმოადგენდეს არასამხედრო ტიპის მოქმედებები“, ანუ 21-ე საუკუნეში უსაფრთხოების კომპლექსური გარემო სამხედრო სფეროსთან ერთად მოიცავს ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა: ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული, ბირთვული, ქიმიური იარაღის საფრთხეები, ტრანსნაციონალური საფრთხეები, რეგიონალური საფრთხეები, კიბერუსაფრთხოება და ა. შ.

თანამედროვე გეოპოლიტიკური ვითარებისა და ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან ერთად იზრდება სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების – წინაშე არსებული გამოწვევები, რომელიც სულ უფრო საშიში და არაპროგნოზირებადი ხდება. აღნიშნული მძიმე ვითარება მოითხოვს უსაფრთხოების პოლიტიკის ახალ მიდგომას და უსაფრთხოების პარადიგმის გადატანას თავდაცვიდან მდგრადობაზე.

ცივი ომის დასრულების შემდგომ საფრთხეების ბუნება მკვეთრად შეიცვალა. მაშინ, როდესაც ცივი ომის დროს სახელმწიფოებისათვის მთავარ გამოწვევას შიდა საფრთხეები წარმოადგენდა, დღეისათვის ის შეიცვალა საგარეო და საშინაო რისკებით. მდგრადობა ნიშნავს, როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების უნარს, გაუმკლავდეს რისკებს, რომელიც დღეისათვის საზოგადოების ყველა სფეროს მოიცავს.

მდგრადობა ყოვლისმომცველი კონცეფცია გახდა, რომელიც გაცილებით ეფექტურად უმკლავდება მზარდ რისკებს, ვიდრე ტრადიციული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. მაგალითად ე.წ „დიპფეიკი“ (Deep fake),[12] რომელიც დახვეწილი კიბერშეტევის საუკეთესო მაგალითია. ის დეზინფორმაციული კამპანიის წარმოების საუკეთესო საშუალებაა, რათა მოახდინოს დემოკრატიული ინსტიტუტების და პროცესების ნდობის შერყევა და დაბნეულობის გამოწვევა საზოგადოების ფენებში. იგი გამოიყენება როგორც ასიმეტრიული საბრძოლო მოქ-

[12] Deep fake – ტერმინი გამოიყენება ვიდეოს დასახასიათებლად, რომელიც სპეციალური ალგორითმის საშუალებით ახდენს მის რედაქტირებას; შეუძლია შეცვალოს პირი (განსაკუთრებით საჯარო, ცნობადი) ორიგინალურ ვიდეოში, ისე რომ ვიდეო ავთენტურად გამოიყურებოდეს. What is a Deepfake? | Deepfake Meaning and Examples | Merriam-Webster

მედეგების იარაღი, რათა მოახდინოს მასებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება და გამოიწვიოს ქვეყნის დესტაბილიზაცია. ნათელი მაგალითია უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის ყალბი ვიდეო მიმართვა უკრაინელი ჯარისკაცებისადმი იარაღის დაყრისა და რუსეთზე დანებების შესახებ. ვიდეო სოციალურ ქსელებში ცირკულირებდა და უკრაინის საინფორმაციო არხებზე გადიოდა ერთი წუთის განმავლობაში [1].

აღნიშნული ყალბი მაღალტექნოლოგიური ვიდეო წარმოადგენს რუსეთის საინფორმაციო ომის წარმოების რეალურ მაგალითს, რომლის მიზანი მასებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება, შიშის და პანიკის დათესვაა.

აღნიშნული რისკების გასამკლავებლად, რომელიც მაღალტექნოლოგიური კიბერშეტევის მაგალითია და ხორციელდება სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი კიბერკრიმინალების მიერ ტრადიციული თავდაცვის მიდგომა არაეფექტურია. მნიშვნელოვანია საზოგადოების მდგარდობის გაძლიერება, რომელიც ხელს შეუწყობს გაუმკლავდეს წარმოშობილ რისკებს.

ტექნოლოგიურმა რევოლუციამ, ინტერნეტ ქსელებმა, ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებამ მსოფლიო თამაშის ახალი წესები დაამკვიდრა. კიბერუსაფრთხოება დღეისათვის გლობალურ გამოწვევას წარმოადგენს.

თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება პირდაპირ დაკავშირებულია უსაფრთხოებასთან. ხელოვნური ინტელექტის თანამედროვე მიღწევები მაღალი რისკის შემცველია სამხედრო, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებისათვის.

მაგალითად, მეცნიერულ მიღწევებს სინთეზურ ბიოლოგიასა და ნეიროტექნოლოგიაში, როგორიცაა: ტვინის კომპიუტერული ინტერფეისი, შეუძლია ახალი გენეტიკური ვირუსების გენერირება; უფრო მეტიც ადამიანის ტვინის მართვა. გლობალიზაციის ეპოქა ხასიათდება ტექნოლოგიის, ფინანსებისა და ინფორმაციის დემოკრატიზაციით [2], რაც გულისხმობს ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, ადამიანის ხელმისაწვდომობას ნებისმიერ ტექნოლოგიებზე. ეს პროცესი ზრდის პოტენციური საფრთხის ვექტორებს, როგორც სახელმწიფოებისათვის, ასევე ინდივიდებისა და ბიზნეს სექტორისათვის.

უსაფრთხოების ახალი გამოწვევები დიდ გავლენას ახდენს პატარა სახელმწიფოებზე. პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოება დამოკიდებულია სტაბილურობაზე, პროგნოზირებაზე და გლობალური პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტილების მიღებაზე.

საერთაშორისო სისტემაში ბევრი პატარა სახელმწიფოა და მათი რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა მე-20 საუკუნეში, რაც მთელი რიგი ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენებით იყო გამოწვეული. გლობალიზაციის პროცესმა, საერთაშორისო ორგანიზაციების როლისა და მნიშვნელობის გაზრდამ პატარა სახელმწიფოებს უფრო მეტი წონა და გავლენა შემატა საერთაშორისო სისტემაში. მათ მიეცათ შესაძლებლობა დაიცვან თავიანთი ეროვნული ინტერესები, ნათლად დააფიქსირონ თავიანთი გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიული ინტერესები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში და გავლენა მოახდინონ მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებზე. 21-ე საუკუნეში სუვერენიტეტის შენარჩუნება პატარა სახელმწიფოებს გაცილებით მარტივად და იოლად შეუძლიათ, ვიდრე ეს წინა საუკუნეებში იყო შესაძლებელი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სისტემაში კვლავ დომინირებენ ძლიერი და დიდი სახელმწიფოები და პატარა ქვეყნები დისკრიმინაციას განიცდიან.

პატარა სახელმწიფოებს, დიდ სახელმწიფოებთან შედარებით უჭირთ საკუთარი კიბერსივრცის და კიბერუსაფრთხოების დაცვა, იმიტომ, რომ ხშირ შემთხვევაში არ აქვთ არც საკმარისი ფინანსური რესურსი და არც შესაბამისი ტექნოლოგიები ამ მიზნის მისაღწევად.

ამერიკელი მეცნიერი რ. როთშტაინი კარგად აღწერს თუ რა გამოწვევების წინაშე დგანან პატარა სახელმწიფოები. მისი აზრით, პატარა ქვეყნებს არ გააჩნიათ საკმარისი რესურსები და საკმარისი პოტენციალი არ აქვთ, რომ მათ შეძლონ საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების ეფექტურად დაცვა. ასეთი ქვეყნები ხშირად დიდი სახელმწიფოების გავლენის ქვეშ ექცევიან და მათ პოლიტიკურ ნებაზე არიან დამოკიდებული [3].

დიდი სახელმწიფოებისაგან დახმარების მიღების გარეშე მათ არ შეუძლიათ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. იგივე შეიძლება ითქვას მათ კიბერუსაფრთხოებაზე.

პატარა და სუსტი ქვეყნები ხშირად დიდი სახელმწიფოების დახმარების წყალობით ახერხებენ საკუთარი კიბერსივრცის დაცვას, კიბერთავდაცვითი შესაძლებლობის გაძლიერებას და კიბერსაფრთხეების თავიდან აცილებას. რომ არა დიდი სახელმწიფოების მხარდაჭერა, განვითარებადი სამყაროს სუსტ და ღარიბ ქვეყ-

ნებს ძალიან გაუჭირდებოდათ საკუთარი კიბერსივრცის დაცვა და კიბერშეტევების მოგერიება.

პატარა ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კიბერთავდაცვითი შესაძლებლობების თვალსაზრისით. თუმცა ის რაც ამ ქვეყნებს აერთიანებს, არის მათი მიდრეკილება მხარი დაუჭიონ მულტილატერალიზმს და საერთაშორისო ორგანიზაციების როლის ზრდას საერთაშორისო სისტემაში. ისინი მულტილატერალიზმს ემხრობიან იმ მიზეზის გამო, რომ სურთ დიდი და დომინანტი სახელმწიფოების უნილატერალური ქმედებების აღკვეთა საერთაშორისო სისტემაში. პატარა სახელმწიფოები თანდათანობით ათვითცნობიერებენ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კოალიციებისა და ალიანსების შექმნას ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში. ისინი ასევე ხვდებიან, რომ კოალიციების და ალიანსების შექმნის შემთხვევაში უფრო ეფექტურად შეძლებენ საკუთარი კიბერსივრცის დაცვას და კიბერსაფრთხეების თავიდან არიდებას. ასეთ ქვეყნებისათვის დიდ ალიანსებში გაწევრიანება არის საკუთარი კიბერსუსაფრთხოების განმტკიცების მნიშვნელოვანი გარანტი.

უსაფრთხოების გამოწვევები, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიურმა მიღწევებმა წარმოშვა უფრო დიდ საფრთხეს უქმნის პატარა ქვეყნებს, ვიდრე დიდ სახელმწიფოებს, ვინაიდან პატარა ქვეყნები უფრო მოწყვლადია, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ საკმარისი რესურსი რომ გაუმკლავდნენ უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებს, რომელიც უფრო და უფრო კომპლექსურ ხასიათს იძენს ე.წ. ჭკვიანი ტექნოლოგიების ხანაში. როგორც კრიტიკული კვლევები აჩვენებს, კიბერუსაფრთხოება უახლესი გამოწვევაა, რომელიც წარმოიშვა ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში. კიბერუსაფრთხოება საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ძირითად ღირებულებებს; კიბერაქტორების სამიზნეს კრიტიკული ინფრასტრუქტურის ის სფეროები წარმოადგენს, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თითოეული ქვეყნისათვის. კიბერ კრიმინალების მიერ კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე იერიშის მიტანამ შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დესტაბილიზაცია. კიბერსაფრთხეები თავისი ბუნებიდან გამომდინარე ტრანსნაციონალური ხასიათისაა [5].

კიბერსაფრთხეებთან გამკლავება მოითხოვს მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობას, ვინაიდან ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში წაშლილია საზღვარი ქვეყნებს შორის. ხშირად ძნელია იმის დადგენა თუ საიდან, რომელი ტერიტორიიდან განხორციელდა კიბერშეტევა; იყო თუ არა ის ინიცირებული რომელიმე აგრესორი ქვეყნის მიერ, ისეთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, როგორიცაა: საბოტაჟი, სამხედრო ან სამოქალაქო აქტივების მოპარვა [5. 134].

21-ე საუკუნის მეორე ათწლეულის მიწურულს კიბერუსაფრთხოება, როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი სულ უფრო მეტ დატვირთვას იძენს. კიბერსივრცე, რომელიც საბრძოლო მოქმედებების მე-5 დომეინს წარმოადგენს, გამოიყენება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო მიზნების მისაღწევად. ბევრი სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, რუსეთი, რომელიც ფლობს განვითარებულ შეტევითი ხასიათის კიბერპოტენციალს, კიბერსივრცეს იყენებს ომის, კონფლიქტის მიმდინარეობის თუ მშვიდობიან დროს გეოპოლიტიკური უპირატესობის მოსაპოვებლად. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა კიბერშეტევების ხასიათმა. თუ საუკუნის პირველ ათწლეულში აგრესორი ქვეყნები კიბერშეტევებს იყენებდნენ ტექნიკური ეფექტის მისაღწევად კიბერსივრცეში, ბოლო პერიოდში ამგვარი შეტევები თანდათან ადგილს უთმობს საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით განხორციელებულ კიბეროპერაციებს. საქართველოსთვის დიდი რისკის შემცველია რუსეთის მხრიდან განხორციელებული დესტრუქციული კიბეროპერაციები, რომელიც გათვლილია როგორც ტექნიკური ასევე ფსიქოლოგიური ეფექტის მოხდენაზე [6].

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითად გამოწვევას წარმოადგენს არაპროგნოზირებადი ბირთვული ქვეყანა რუსეთი, რომელიც სულ უფრო აძლიერებს სამხედრო პოტენციალს და საინფორმაციო, კიბერშეტევების წარმოების საშუალებებს. პატარა ქვეყნები განიცდიან აგრესორი მეზობლის მუდმივ საფრთხეს და კიბერშეტევის, კიბერტერორიზმის მუდმივი რისკის ქვეშ არიან. ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება, როგორიცაა ევროკავშირი და ნატო, დიდი სარგებლის მომტანია პატარა ქვეყნებისთვის და საშუალებას აძლევს მათ უფრო ეფექტურად დაიცვან თავიანთი სუვერენიტეტი და ეროვნული უსაფრთხოება. ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თა-

ნამშრომლობა და კოლაბორაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პატარა ქვეყნებისათვის.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ეფუძნება კოლექტიურ თავდაცვას, რაც ნიშნავს იმას, რომ ნატო-ს წევრ რომელიმე ქვეყანაზე თავდასხმის შემთხვევაში, ამოქმედდება მეხუთე მუხლი და ყველა სახელმწიფო ერთობლივად დაუპირისპირდება აგრესორს.

აღნიშნული ფორმულირება ნატომ ვერ აამოქმედა კიბერთავდასხმის დროს, რომელიც განხორციელდა 2007 წელს ესტონეთზე.

როგორც ესტონეთის მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, ნატომ აღნიშნული კიბერთავდასხმა არ განიხილა, როგორც სამხედრო აგრესია, რომელიც გულისხმობს მე-5 მუხლის ამოქმედებას. პრომლებური აღმოჩნდა ალიანსის წევრი ქვეყნების ფორმულირება.

გამომდინარე იქიდან, რომ გაურკვეველი იყო თუ ვინ განახორციელა კიბერთავდასხმა, ხოლო რუსეთმა უარი განაცხადა ეწარმოებინა ერთობლივი გამოძიება ესტონეთის ხელისუფლებასთან ერთად. თუმცაღა, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, ესტონეთზე განხორციელებულმა კიბერშეტევამ სერიოზულად დააფიქრა ნატო-ს წევრი ქვეყნები და მათ კიბერთავდასხმები მიიჩნიეს 21-ე საუკუნის და თანამედროვე ეპოქის სერიოზულ გამოწვევევად. მან დააჩქარა ნატოს მხრიდან კიბერუსაფრთხოების დაცვისათვის სათანადო ზომების გატარება, რაც გულისხმობს ნატოს კიბერშესაძლებლობების გაძლიერებას, რომელიც მომგებიანია პატარა სახელმწიფოებისათვის. 2010 წელს ნატომ ჩამოაყალიბა კიბერგამოწვევების განყოფილება, კიბერთავდაცვის მენეჯმენტის ორგანო (CDMA) და სწრაფი რეაგირების ჯგუფი (RRT) - ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც სწრაფად გადაადგილდება კიბერშეტევების აღმოსაფხვრელად, ასევე თანამშრომლობითი კიბერთავდაცვის დახელოვნების ცენტრი (CCD COE), რომელიც დღეისათვის 20 წევრ სახელმწიფოს აერთიანებს. ცენტრის მთავარი მიზანია გაძლიერდეს თანამშრომლობა კიბერთავდაცვის სფეროში ნატოს და პარტნიორ ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაზიარების მიზნით, რომელიც მოიცავს განათლების ტრენინგებს, კვლევებს, კონსულტაციებს და გამოცდილების გაზიარებას [7].

ჯოზეფ ნაის მტკიცებით, კიბერ დომეინი არ წარმოადგენს დიდ ბარიერს არასახელმწიფო აქტორებისა და პატარა სახელმწიფოებისათვის, ვინაიდან მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი კიბერშეტევები განახორციელონ, რომელიც არ მოითხოვს დიდ ფინანსებს [8].

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პატარა ქვეყნები უფრო მოწყვლადია კიბერშეტევების მიმართ, რომელიც მართულია დიდი სახელმწიფოების მიერ. როგორც კვლევა აჩვენებს მავნე შეტევების დიდი წილი წამყვან დიდ სახელმწიფოებზე მოდის: ამერიკა - 21,1%, ჩინეთი - 9.2%,ინდოეთი - 6.2%,ბრაზილია - 4.1%, გერმანია-3.9%, რუსეთი-3.2%, უკრაინა - 3.2% [9].

უფრო მეტიც, ძლიერი სახელმწიფოები სულ უფრო და უფრო მეტ ინვესტიციებს დებენ შემტევი (თავდასხმითი) კიბერშესაძლებლობების განვითარებაში, რომელსაც აქტიურად იყენებენ კონფლიქტის, აგრესიის დროს პატარა სუსტი სახელმწიფოების წინააღმდეგ. ამის მაგალითია 2008 წელს აგრესორი რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული კიბერშეტევა, რომელმაც გამოიწვია საქართველოს კრიტიკული ინფრასტრუქტურის, სამთავრობო უწყებების მწყობრიდან გამოსვლა, რომელიც წინ უძღოდა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრას და კუთვნილი ტერიტორიის ოკუპაციას. ეს მაგალითი ნათელი ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორ განსხვავდება მცირე და დიდი სახელმწიფოების კიბერშესაძლებლობები.

გახმაურებული კიბერშეტევა, stuxnet-ის სახელწოდებით, რომელიც ამერიკის მიერ განხორციელებულდა ირანის ბირთვულ ცენტრიფუგებზე, ითვლება ყველაზე რთულ დახვეწილ ვირუსად, რომელიც მიუთითებს ამერიკის წამყვან ტექნოლოგიურ მიღწევებს კიბერპოტენციალის განვითარების კუთხით.

სახელმწიფოები მილიონობით დოლარს ხარჯავენ კიბერ ინსტრუმენტების გასავითარებლად; ციფრული ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად დღითიდღე უფრო ხვეწენ მას. 2013 წელს პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის დროს ამერიკის თავდაცვის ბიუჯეტი 4.7 მილიარდი დოლარით გაიზარდა. ამერიკის თავდაცვის უწყებამ თავდასხმითი და თავდაცვითი კიბერ ოპერაციები გააერთიანა სტრატეგიულ დოქტრინაში [4].

დიდი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, პატარა სახელმწიფოებს არ გააჩნიათ საკმარისი რესურსები, რომ განავითარონ თავდასხმითი და თავდაცვითი კიბერშესაძლებლობები. პატარა ქვეყნების სტრატეგიულ ინტერესს ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე ძირს უთხრის კიბერშეტევები, რომელიც მართულია აგ-

რესორი ქვეყნის კიბერ კრიმინალური დაჯგუფებების მიერ. კიბერშეტევების ბუნებიდან გამომდინარე ნებისმიერ ქვეყანაზე კიბერშეტევა შეიძლება განხორციელდეს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, რაც შეუძლებელია აკონტროლო თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში. პატარა სახელმწიფოებს არ აქვს საკმარისი პოლიტიკური, დიპლომატიური და ეკონომიკური ბერკეტები რომ უპასუხონ გლობალურ გამოწვევებს, როგორც ამას დიდი სახელმწიფოები უმკლავდებიან. მკლევარები კიბერ თავდასხმის ერთ-ერთ ფაქტორად გეოპოლიტიკურ ვითარებას ასახელებენ. აგრესორი რუსეთის მხრიდან საქართველოსა და ესტონეთზე განხორციელებული მასშტაბური კიბერთავდასხმა დაძაბული ისტორიული და გეოპოლიტიკური ვითარებით შეიძლება აიხსნას [4].

2019 წლის 28 ოქტომბერს საქართველოზე განხორციელებული კიბერშეტევა რუსეთის მორიგი აგრესიული ქმედების მაგალითია. ამ კიბერშეტევამ წყობიდან გამოიყვანა ათასობით ვებ-გვერდი და სერვერი: სამთავრობო უწყებები, სახელმწიფო ორგანოები, სასამართლო, აკადემიური სფერო, არასამთავრობო ორგანიზაციების ვებ-გვერდები, კომერციული და კერძო საფინანსო სექტორები. მთლიანად შეიცვალა ზოგიერთი ვებ-გვერდი; მაგალითად, პრეზიდენტის ვებ გვერდზე გამოჩნდა ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსახულება ტექსტით „მე დავბრუნდები“. რამდენიმე საათი არ ფუნქციონირებდა ტელეკომპანია „იმედი“, ასევე სამთავრობო სერვისები.

მიუხედავად იმისა, რომ კიბერშეტევა თავისი ბუნებით არ მიეკუთვნება რთულ, დახვეწილ კიბერშეტევას, მას ჰქონდა ფსიქოლოგიური ზეგავლენა საზოგადოებაზე და გამოიწვია დაბნეულობა, დაუცველობის განცდა.

ოთხი თვის შემდგომ, 2020 წლის 20 თებერვალს საქართველოს, ბრიტანეთის, ევროკავშირისა და სხვა სახელმწიფოების მიერ გამოქვეყნდა ერთობლივი დოკუმენტი, სადაც პირდაპირი მტკიცებულებაა, რომ კიბერშეტევა განხორციელდა რუსეთის გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამსახურის (GRU), სპეციალური ტექნოლოგიების მთავარი ცენტრის (GTsST or „Unit 74455“) მიერ.

აღნიშნული ჯგუფი ახორციელებდა კიბერშეტევებს სხვადასხვა სახელწოდებებით: „Sandwarm“, „Blackenergy“, „Voodoobear“.

სავარაუდოდ, აღნიშნული ჯგუფი ხელმძღვანელობდა კიბერშეტევას 2015 წელს უკრაინის ენერგო ქსელზე და 2017 წლის ივნისში სახელწოდებით NotPetya [10].

თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობისათვის ცნობილია ის ფაქტი, რომ რუსეთმა განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ კიბერშეტევა, არ არსებობს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, რომელიც კრძალავს ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფას კიბერსივრცეში, რომელიც იურიდიულ პასუხისმგებლობას დააკისრებს აგრესორ ქვეყანას. კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს სამართლებრივ გამოწვევას, როგორც ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ დონეზე. ასევე პრობლემას წარმოადგენს კიბერსივრცეში ქვეყნების ქცევის კოდექსის სამართლებრივი და იურიდიული ჩარჩოს არარსებობა.

საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების არარსებობა კიბერუსაფრთხოების გლობალური გამოწვევაა. არ არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც უშუალოდ დაარეგულირებს კიბერშეტევებისა და კიბერომის საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებს. ერთადერთ დოკუმენტს წარმოადგენს ევროსაბჭოს ფარგლებში მიღებული კონვენცია „კიბერდანაშაულის შესახებ“, რომელიც კიბერშეტევებს არ განიხილავს, როგორც ომის წარმოების ერთ-ერთ ფორმას და კიბერსივრცეში მომხდარ დარღვევებს განიხილავს, მხოლოდ სისხლის სამართლის კონტექსტში [11].

კიბერსივრციდან მომდინარე საფრთხეები არ შემოიფარგლება კონკრეტული პოლიტიკური და გეოგრაფიული საზღვრებით, რაც კიბერგამოწვევებს უფრო მასშტაბურ ხასიათს სძენს.

კიბერსივრცეში დესტრუქციული ხასიათის ქმედებების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომელიც მოიცავს მხარდაჭერას საჯარო ინსტიტუტების განმტკიცებაში, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას კიბერუსაფრთხოების კუთხით, რაც პატარა ქვეყნებისათვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს. საქართველოში შეუძლებელია განათლების მიღება კიბერუსაფრთხოების სფეროში. არ არსებობს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, რომელიც მოამზადებს კვალიფიციურ კადრებს, შესაბამისად, პრობლემატურ საკითხად რჩება ქვეყნის კიბერმდგრადობის უზრუნველყოფა ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ხანაში.

პატარა ქვეყნები განიცდიან როგორც ეკონომიკურ, ასევე ადამინური რესურსების, ტექ-

ნიკური ექსპერტიზის და ცოდნის ნაკლებობას, რათა გაუმკლავდნენ კიბერუსაფრთხოების ცვალებად გარემოს.

დიდი განსხვავებაა პატარა და დიდი სახელმწიფოების კიბერპოტენციალს შორის, რაც კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის პატარა ქვეყნებს. თანამედროვე კიბერ გარემო ხასიათდება სახელმწიფო და არა სახელმწიფო აქტორების ფართო სპექტრით, რომელთაც ხელი მიუწვდებათ სხვადასხვა კიბერ ტექნოლოგიებზე, ხშირ შემთხვევაში კიბერაქტორები ერთიანდებიან და ერთობლივად აწარმოებენ კიბერშეტევებს ფინანსური მოგების მიზნით, ჯაშუშური მავნე საქმიანობის განახორციელებლად, ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოსახდენად სამიზნე ქვეყნის მოსახლეობაზე. სახელმწიფოები კიბერჯაშუშობას განიხილავენ როგორც საბრძოლო იარაღს ქვეყნის შიდა უთანხმოების წინააღმდეგ საბრძოლველად, სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური და კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად [12].

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, კვანტური კომპიუტერები, ე.წ „ჭკვიანი ტექნოლოგიები“, ღრუბლოვანი გამოთვლები (claud compiuting), ბლოკჩეინი, დისტანციური სწავლების პროგრამები, ციფრული სამყაროს მომავალს წარმოადგენს. აღნიშნული ტექნოლოგიები დიდ რისკებს და საფრთხეებს წარმოშობს, განსაკუთრებით დიდი რისკის შემცველია უკონტროლო ხელოვნური ინტელექტი და კვანტური კომპიუტერები [13].

კვანტურ კომპიუტერებს მეცნიერები „კვანტურ აპოკალიფს“ უწოდებენ, ვინაიდან მას ნებისმიერი დაშიფრული ინფორმაციის წაკითხვა შეუძლია, რომელზეც დამოკიდებულია თანამედროვე ციფრული ინფრასტრუქტურა, რაც კიბერკრიმინალების ხელში საშიში იარაღია.

აღნიშნულ რისკებთან გამკლავება დიდ ფინანსებს მოითხოვს, რაც პატარა ქვეყნებისათვის უდიდესი გამოწვევა. ძლიერი სახელმწიფოები მილიარდობით დოლარს ხარჯავენ, რომ ეფექტურად გაუმკლავდნენ საფრთხეებსა და რისკებს კიბერუსაფრთხოების დარგში, ხოლო პატარა ქვეყნები კიდევ უფრო მეტ პრობლემებს აწყდებიან კიბერდანაშაულთან ბრძოლის საქმეში. მათ არ გააჩნიათ საკმარისი რესურსები იმისათვის, რომ გაანეიტრალონ კიბერთავდასხმები და შექმნან ეფექტური კიბერთავდაცვის მექანიზმები.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საფრთხეები და რისკები, რომელიც ხორციელდება კიბერკრიმინალების, სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების მხრიდან კიბერსივრცეში, კიდევ უფრო კომპლექსური და დახვეწილი გახდება ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად. იმისათვის, რომ პატარა ქვეყნებმა გაუძლონ ახალ რისკებს და გამოწვევებს მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონეზე კოლაბორაცია, თანამშრომლობა ევროკავშირის, ნატოს, პარტნიორ ქვეყნებთან. მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და კოლექტიური ძალისხმევის მეშვეობით იქნება შესაძლებელი პატარა ქვეყნების კიბერუსაფრთხოების და კიბერმდგრადობის უზრუნველყოფა.

NATO JIADZE

SMALL STATES CYBERSECURITY CHALLENGES

Summary

Cyber security is a global issue due to development of advanced technology, the increasing state's interdependency and the transnational nature of cyber security. Cyber security is not only a threat for larger, but also for smaller states. The state's dependency on the internet for their critical information infrastructures is increasing, which makes the states more vulnerable for cyber-attacks.

This article analyses haw the cyber threats effects small states security and the role of international organizations, EU and NATO to enhance the small states cyber security capabilities and building cyber resilience to tackle emerging cyber security threats.

***Key words**: small countries, cyber security, cyber space, cyber attack.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „Deepfake video of Zelenskyy could be 'tip of the iceberg' in info war, experts warn“ https://www.npr.org/2022/03/16/1087062648/deepfake-video-zelenskyy-experts-war-manipulation-ukraine-russia
2. Friedman T. L., „The Lexus and the Olive Tree: Understanding Globalization“. New York: Random House. 1999. Democratization of technology wiki | TheReaderWiki
3. რონდელი ა., „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2009.
4. Burton J., „Small states and cyber security: The case of New Zealand“. Political Science, 2013.
5. ცაცანაშვილი მ., „ინფორმაციული სამართალი“, თბ., 2014.
6. გოცირიძე ა., „ჟენევის სამიტის კიბერგანზომილება“, თბ., 7.07.2021
7. Kovalcs L., „Cyber security policy and strategy in the European Union and NATO“, 11 may 2018 - Cyber Security Policy and Strategy in the European Union and Nato (sciendo.com)
8. Nye J., „Nuclear Lessons for Cyber Security?“ https://www.jstor.org/stable/26270533?seq=1
9. „Symantec Report on Threat Activity Trends“, 2013. https://docs.broadcom.com/doc/intelligence-report-oct-13-en
10. Przemyslaw R., „Russian cyber attacks against Georgia, public attributions and sovereignty in cyberspace“, 2020 march 6 . https://www.justsecurity.org/69019/russian-cyber-attacks-against-georgia-public-attributions-and-sovereignty-in-cyberspace/
11. ბურკაძე ხ., „კიბერშეტევები, როგორც ომის წარმოების თანამედროვე ფორმა“, 9 ივნისი, 2020 https://geocase.ge/ka/publications/164/kibershetevebi-rogorc-omis-tsarmoebis-tanamedrove-forma
12. Geopolitical Impact on Cyber Threats from Nation-State Actors (dhs.gov)
13. Global Cybersecurity Outlook January 2022 World Economic Forum.

სოსო კიკნაძე
წარმოადგინა პროფ. ვაჟა შუბითიძემ

საქართველოს დამოუკიდებლობა და საერთაშორისო ორგანიზაციები

1918 წელს, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქვეყანა უამრავი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წელს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს ისტორიაში, ამ დამოუკიდებლობის შენარჩუნება წარმოადგენდა ძალიან დიდ სირთულეს საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდისათვის საქართველოს ყავდა ხელისუფლება, რომელიც წარმოადგენდა ქართული მოსახლეობის უმრავლესობის აზრის გამოხატულებას და ამ ხელისუფლებას ჰქონდა უნარი გადაეჭრა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები, სამწუხაროდ, ამ ხელისუფლებამ ვერ შეძლო ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტა.

საქართველომ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდანვე დაიწყო მფარველის ძიება, რომელიც დაიცავდა მის სუვერენიტეტს. მაშინდელი ხელისუფლება აცნობიერებდა, რომ ძლიერი მოკავშირის გარეშე ამიერკავკასიის რეგიონში გადარჩენა თითქმის შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან საქართველოს სუვერენიტეტს პირდაპირ საფრთხეს უქმნიდა, ორი სახელმწიფო ბოლშევიკური რუსეთი და ქემალისტური თურქეთი. ასეთ მოკავშირედ საქართველოს გერმანია გამოუჩნდა, რომელმაც ნამდვილად მოახერხა მცირე ხნით, მაგრამ მაინც საქართველოს დაცვა გარეშე ძალებისაგან. ხაზგასასმელია, რომ გერმანელები საქართველოში კარგი რეპუტაციით სარგებლობდნენ და მათ მიმართ ქართულ საზოგადოებას დადებითი დამოკიდებულება ჰქონდა. საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა, რომ ქვეყანა მოეწყო ისე, როგორც მაშინდელი ევროპული სახელმწიფოებისათვის იქნებოდა მისაღები. იმდროინდელი ქართული სახელმწიფო მაშინდელ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფო იყო, რომელსაც ჰქონდა ცივილური კონსტიტუცია, სადაც დაცული იყო ადამიანის უფლებები. მას შემდეგ რაც გერმანია მეორე მსოფლიო ომში დამარცდა გერმანული სამხედრო ნაწილებმა საქართველო დატოვეს. საქართველოს ხელისუფლებას ევროპაში მოუწია ახალი მფარველის ძიება, ამ მხრივ საქართველო დიდ იმედებს ამყარებდა პარიზის კონფერენციაზე, თუმცა ქართული ხელისუფლების მოლოდინი არ გამართლდა, რადგან პარიზის კონფერენციაზე საქართველოს საკითხი აქტუალური არ იყო. საქართველოს კონფერენციის მონაწილეები მაინც რუსეთის გავლენის სფეროდ მოიაზრებდნენ. პარიზის კონფერენციაზე უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ერთა ლიგის შექმნა, რომლის იდეა ეკუთვნოდა ვუდრო ვილსონს. საქართველოს ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ამ ორგანიზაციის წევრობა, თუმცა საქართველოს ერთა ლიგაში მიღებაზე უარი ეთქვა, იმ არგუმენტით, რომ ერთა ლიგის წევრები ვერ შეძლებდნენ მის დაცვას საგარეო საფრთხის შემთხვევაში. საბოლოოდ ერთა ლიგამ საქართველო პირისპირ დატოვა ბოლშევიკური აგრესიის წინაამღდეგ. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ 1922 წელს გაიმართა გენუის კონფერენცია, სადაც რუსეთს მოსთხოვეს დაეფარა მეფის რუსეთის პერიოდში აღებული სესხი. გენუის კონფერენციას მიმართა საქართველოს პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ და მოითხოვა რუსული ჯარის საქართველოდან გაყვანა, თუმცა გენუის კონფერენცია საქართველოსთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრირებულ მთავრობას არ შეუწყვეტია ბრძოლა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, თუმცა ევროპელები ჟორდანიას მთავრობას მხოლოდ სიტყვიერ თანადგომას სთავაზობდნენ, რადგან მათ არ შეეძლოთ ასეთ რთულ მდგომარეობაში საქართველოს რაიმეთი დახმარებოდნენ.

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, დამოუკიდებლობა, კონსტიტუცია, ევროპა, საერთაშორისო ორგანიზაციები.*

როდესაც, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა მაშინ ამ რეგიონში არსებობდა ქაოსური ვითარება. დამოუკიდებლობის გამოცხადების

შემდეგ საქართველომ მფარველობა სთხოვა გერმანიას, ვინაიდან მაშინდელ საქართველოში მიაჩნდათ, რომ გერმანია დაიცავდა საქართველოს რუსული საფრთხისაგან, რუსეთში კი ამ დროს სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა თეთრ და წითელ არმიებს შორის [1].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას უმძიმეს პერიოდში მოუწია არსებობა და მან მხოლოდ 1028 დღის განმავლობაში იარსება, რესპუბლიკამ მაინც გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს ისტორიაში. იმ დროს არსებული საგარეო პოლიტიკური კრიზისისა და საშინაო ეკონომიკური არასტაბილურობის მიუხედავად, მაშინდელმა ხელისუფლებამ ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა შეძლო. 1917 წელს გაჩნდა იდეა დამფუძნებული კრების მოწვევის შესახებ, მაგრამ ეს იდეა გადადებული იქნა სამომავლოდ, პოლიტიკური მოუმზადებლობისა და კრიზისის გამო [2. 12-13].

როგორც ვახსენეთ, მიუხედავად რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობისა საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა საფრთხეების არიდებას ქვეყნისათვის, ეს საფრთხეები კი ქვეყნის წინაშე ნამდვილად იდგა, მაგალითად ქემალისტური თურქეთის სახით, რომელიც ყველანაირად ცდილობდა ქართული მიწების მიტაცებას. ასევე საქართველოს დიდ საფრთხეს უქმნიდა დენიკინის არმია, რომელიც ღიად ემუქრებოდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველოს მთავრობას ჰქონდა შემოთავაზება დენიკინის მხრიდან ალიანსის გაფორმებასთან დაკავშირებით, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ არ ისურვა დენიკინთან რაიმე გარიგებაზე წასვლა. და საქართველოს ნეიტრალიტეტის პოლიტიკის განხორციელება დაიწყო. დამოუკიდებლობის გამოცხადების 26 მაისის დეკლარაციაში ეწერა შემდეგი: 1. საქართველოს პოლიტიკური მოწყობის ფორმა იყო დემოკრატიული რესპუბლიკა; 2. ნებისმიერ საერთაშორისო კონფლიქტში საქართველო შეინარჩუნებდა მუდმივ ნეიტრალიტეტს [3. 139-141].

არ შეიძლება აღინიშნოს, რომ მაშინდელი საქართველოსთვის საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარება რუსეთთან. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის. ამ ხელშეკრულებით რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და უარი თქვა მის მიმართ ტერიტორიულ პრეტენზიებზე, ხელშეკრულების მიხედვით რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო საქართველოს შიდა საქმეებში. ხელშეკრულება ნამდვილად წარმოადგენდა მნიშვნელოვან ნაბიჯს ორ ქვეყანას შორის მომავალი თანამშრომლობისათვის, მაგრამ მოხდა რუსეთის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი. 1921 წელს საქართველოს ძალიან მძიმე მდგომარეობა ჰქონდა, ბაქოს ნავთობის სარეწები უკვე საბჭოთა რუსეთის ხელში იყო [4. 377-380].

პირველი რესპუბლიკის გამოცხადების პერიოდში, მსოფლიოში არასტაბილური ვითარება არსებობდა. პირველმა მსოფლიო ომმა გაანადგურა იმპერიები შეიწირა უამრავი ადამიანის სიცოცხლე, ომის დასრულების შემდეგ კი საფუძველი ჩაეყარა ერი სახელმწიფოს იდეას. ომის შემდგომ შეერთებული შტატები იქცა ყველაზე გავლენიან სახელმწიფოდ მთელ მსოფლიოში. განსხვავებით შეერთებული შტატებისაგან ომის შედეგად სრულიად განადგურებული იყო ევროპა. ომმა ევროპაში გამოიწვია პოლიტიკური და უმძიმესი ეკონომიკური კრიზისი. მთლიანად ომს შეეწირა 16 მილიონი ადამიანი, რაც უდიდესი დანაკლისი იყო მაშინდელი ევროპისათვის [5].

პირველმა მსოფლიო ომმა განსაკუთრებით დიდი დანაკლისი მოუტანა საფრანგეთს. საფრანგეთმა დაკარგა თითქმის მილიონი ადამიანი ამ ომში. 1919 წელს პარიზში შედგა: დიდი ბრიტანეთის, იტალიის, საფრანგეთის და ამერიკის წარმომადგენლების შეხვედრა. გერმანიას მოკავშირეებისათვის მოუწია უზარმაზარი რეპარაციების გადახდა. ომით დაზარალებულმა საფრანგეთმა საკუთრებაში მიიღო ალზასი და ლოთარინგია და აგრეთვე ქვანახშირით მდიდარი ზაარის ოლქი. საფრანგეთს მიეცა იმის საშუალება, რომ ჰქონოდა მანდატი ახლო აღმოსავლეთში კერძოდ სირიასა და ლიბანზე. ომით დაზარალებულ მსოფლიოს ჰქონდა საკმაოდ ბევრი პრობლემა თუმცა ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ასეთი რამ აღარ განმეორებულიყო და ამისათვის ისინი ეძებდნენ სამშვიდობო გზებს [6].

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველოს მოუწია ძლერი მფარველის, ძიება, რომელიც დაიცავდა მას საგარეო საფრთხეებისაგან. იმ პერიოდში ასეთი ძალა საქართველოსთვის გერმანია აღმოჩნდა, რომელმაც და-

იცვა საქართველო ოსმალეთის შესაძლო ოკუპაციისაგან. გერმანიის მთავრობამ საქართველოს გაუწია ერთგვარი დახმარება შიდა სტაბილიზაციის მისაღწევად და მსოფლიოში საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესებაში. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ გერმანია პატივს სცემდა საქართველოს სუვერენულ უფლებებს და უხეშად არ ერეოდა მის შიდა საქმეებში ქვეყანაში ფაქტიურად არ არსებობდა ანტიგერმანული განწყობები. ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მარცხის შემდეგ, საქართველომ დაკარგა მფარველი და მოკავშირე, თუმცა ამ მოვლენას ჰქონდა დადებითი მხარეც, ვინაიდან როცა დამარცხებულმა ოსმალეთმა დატოვა ამიერკავკასიის ოკუპირებული ტერიტორია საქართველომ დაიბრუნა სამუსლიმანო საქართველო [7. 253].

საქართველოს მთავრობა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ყველანაირად ცდილობდა, რომ საერთაშორისო სარბიელზე წარმატებებისთვის მიეღწია. 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საფრანგეთში კერძოდ (ვერსალის) სამშვიდობო კონფერენციაზე გაგზავნა დელეგაცია, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოს დე-ფაქტო ცნობა. 1919 წელს კი საქართველოს მთავრობამ თხოვნით მიმართა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საქართველო დამოუკიდებლობის შენარჩუნების გარანტიას დიდი სახელმწიფოებისაგან ელოდა. სამწუხაროდ, იმ პერიოდში დასავლეთი არ აღმოჩნდა მზად საქართველოს დასახმარებლად, რადგან ის ამ პერიოდში რუსეთში ბოლშევიზმის დამარცხებით იყო დაინტერესებული. საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა კი აქტიურად იბრძოდა საქართველოს აღიარებისთვის და ამ მხრივ ცდილობდა ყველა შესაბამისი რესურსი გამოეყენებინა, რაც კი იმ პერიოდში მას ხელთ ჰქონდა [8. 37].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობა პარიზის კონფერენციაზე მტკიცედ იცავდა ნეიტრალიტეტს, რუსეთის სამოქალაქო ომის მიმართ. ამიტომ ევროპა არ განიხილავდა საქართველოს ისეთ რგოლად, რომელსაც შეეძლო მომავალში შეებოჭა საბჭოთა რუსეთი. საქართველოს დელეგაცია ცდილობდა I მსოფლიოს ომში გამარჯვებული მხარეების ყურადღება მიეპყრო. ქართველი დიპლომატების პარიზის კონფერენციაზე ცდილობდნენ ევროპელებისათვის დაემტკიცებინათ ის, რომ რუსეთის აღდგენა სრულიად არ გულისხმობდა იმას, რომ მის ფარგლებში შესულიყო საქართველო ან მთლიანად ამიერკავკასია. უნდა აღინიშნოს იმ ფაქტიც, რომ მაშინდელ ევროპაში ამიერკავკასიის მიმართ არ არსებობდა ჩამოყალიბებული პოზიცია და ევროპელებს ძალიან უჭირდათ რაიმე გადაწყვეტილების მიღება [9. 158-159].

პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მონაწილეები განიხილავდნენ საქართველოზე მანდატის დაწესების საკითხს. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი დაინტერესებული იყო საქართველოზე მანდატის დაწესებით, თუმცა პრეზიდენტის ამ ინიციატივას სენატმა და კონგრესმა არ დაუჭირა მხარი. საქართველოს მანდატი შესთავაზა დიდმა ბრიტანეთმა და იტალიამ, თუმცა იტალიამ რუსეთის ფაქტორის გამო საქართველოთი დაინტერესებაზე თქვა უარი, პარიზის კონფერენცია საქართველოსთან დაკავშირებით მხოლოდ დე-ფაქტო აღიარებით შემოიფარგლა, სათანადოდ არ იქნა განხილული საქართველოს საზღვრების საკითხი, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვრებთან დაკავშირებით ჰქონდა მძიმე პრობლემები მის მეზობლებთან, ღიად გამოიკვეთა, რომ დასავლეთის ქვეყნები ვერ უზრუნველყოფდნენ საქართველოს დაცვას რუსეთის სახელმწიფოსაგან [10. 29].

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პარიზის სამშვიდობო კონფერენციას წარმართავდა ოთხი ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, შეერთებული შტატები და იტალია, კონფერენციაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ქვეყნების პოზიციებს. პარიზის კონფერენციაზე შეგნებულად არ მიიწვიეს რუსეთი, რადგან იმ პერიოდში, რუსეთში ძალაუფლება ბოლშევიკებმა მოიპოვეს ეს ძალა კი მიუღებელი იყო ევროპისათვის, რადგან ევროპელები თეთრგვარდიელებს უჭერდნენ მხარს. კონფერენციაზე არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა, მაგალითად, ამერიკის პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა ცალსახად უარყოფითი აზრი დააფიქსირა ხელშეკრულებაზე, რომელიც შეეხებოდა იტალიის საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ პარიზის კონფერენციაზე არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა მასში მონაწილე მხარეებმა, მაინც მიაღწიეს კონსესუსს ძირითად საკითხებთან დაკავშირებით და გაჩნდა ერთა ლიგის შექმნის იდეაც [11].

პარიზის კონფერენციაზე მოხდა სხვა მოვლენებიც დაიშალა ავსტრია-უნგრეთის იმპერია

და შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ასევე დაიშალა ოსმალეთის იმპერიაც მისი ტერიტორიები ინგლისისა და საფრანგეთის კონტროლქვეშ მოექცა. კონფერენციაზე დამნაშავედ ცნეს გერმანია და მისი მოკავშირეები. გერმანიას აეკრძალა საბრძოლო ტექნიკის წარმოება ჯარის და ფლოტის ყოლის უფლება [12].

1919 წლის 14 მარტს საქართველოს ხელისუფლებამ ვერსალის კონფერენციას გადასცა მემორანდუმი, რომელშიც დაასაბუთა საქართველოს მთავრობის შუამდგომლობა დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ: „საქართველოს დელეგაციას აქვს პატივი, სთხოვოს დიდ სახელმწიფოებს, რომელთა წარმომადგენლებმა თავი მოიყარეს ვერსალის საზავო კონფერენციაზე ცნონ ეს დამოუკიდებლობა“. ევროპის პოლიტიკური წრეები აქტიურად განიხილავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურედ აღიარების საკითხს. საქართველოს დელეგაცია აქტიურად ცდილობდა, რომ ევროპელების ყურადღება მიეპყრო ბუნებრივი რესურსებისკენაც, ვინაიდან ისინი ფიქრობდნენ, რომ მარტო პოლიტიკური საკითხებით ვერ მოხერხდებოდა ევროპელების საქართველოთი დაინტერესება [13. 8-9].

ვერსალის კონფერენციის მიხედვით ევროპაში ახალი პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძვლები შეიქმნა. პარიზის კონფერენცია ყველაზე მეტად, ალბათ, იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ სწორედ ამ კონფერენციაზე ჩაეყარა საფუძველი ერთა ლიგის შექმნის იდეას. ახალი ორგანიზაციის მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო საერთაშორისო ვითარებისთვის თვალყურის დევნება და ომის და ძალადობის აღმოფხვრა მთელს მსოფლიოში. განვითარებულმა საერთაშორისო საზოგადოებამ თავისი მომავალი ერთა ლიგას დაუკავშირა, ორგანიზაციის შექმნის მთავარი ინიციატორი კი ამერიკის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი იყო [14. 63].

ერთა ლიგის დაარსებამდე დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში საქართველო აქტიურად ეძებდა რაიმე გზას, რითაც შესაძლებელი იქნებოდა მეზობელი დიდი სახელმწიფოების თავდასხმისაგან თავის არიდება, ამის მაგალითი იყო ამიერკავკასიის კონფედერაციის შექმნა, სადაც სამი ამიერკავკასიის სახელმწიფო საქართველო სომხეთი და აზერბაიჯანი გაწევრიანდა. კონფედერაციის დაშლის შემდეგ ნოე ჟორდანია წერდა: მართალია, ჩვენ ვიშლებით და ვცილდებით ერთმანეთს, მაგრამ ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ სხვა სახით აუცილებლად შევერთდებით, ჩვენი მეზობლები დარწმუნდნენ იმაში, რომ ჩვენ არ შეგვიძლია უერთმანეთოდ ცხოვრება, რომ ჩვენ გადახლართული ვართ ერთმანეთს ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ძაფებით“. ნოე ჟორდანიას ეს გამოსვლა ცხადყოფს იმას, რომ საქართველო, დღიდან დაარსებისა, ეძებდა მოკავშირეებს და გარკვეულწილად მფარველებს, ერთა ლიგის დაარსება კი გახდა საშუალება, რომ საქართველოს შეენარჩუნებინა მოპოვებული დამოუკიდებლობა [15.188-189].

ერთა ლიგის დაარსების შემდეგ საქართველოს მთავრობამ მიზნად დაისახა ამ ორგანიზაციის წევრობა. ერთა ლიგაში გაწევრიანება საქართველოსთვის პირველ რიგში ნიშნავდა საერთაშორისო სუბიექტად აღიარებას და რუსული სივრცისაგან საბოლოოდ თავის დაღწევის საშუალებას. საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობდა იმაზე, რომ საქართველო გამხდარიყო ამ ორგანიზაციის წევრი. ამისთვის საქართველოს მთავრობამ სპეციალურად გამოჰყო საგანგებო წარმომადგენელი ზურაბ ავალიშვილი, რომელსაც დავალებული ჰქონდა მუშაობა ერთა ლიგაში საქართველოს გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი იყო ერთა ლიგის პირველი კრება, რომლის პროგრამაში შედიოდა მთელი რიგი არაწევრი ქვეყნების შუამდგომლობის გარჩევა, ორგანიზაციაში წევრად მიღების საკითხთან დაკავშირებით, რომელთა შორისაც, რა თქმა უნდა, საქართველოც შედიოდა [16. 168].

საქართველოსათვის, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო 1920 წლის ერთა ლიგის კრებაზე საქართველოს საკითხის განხილვა. როდესაც კრება დაიწყო დეპუტატებმა მაშინვე გამოხატეს საკუთარი ქვეყნების პოზიციები. როგორც ყოველთვის დიდი ქვეყნების პოზიციები განსაკუთრებით კი საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის პოზიციები თამაშობდნენ გადამწყვეტ როლს. ამ ქვეყნებმა რუსეთისადმი ერთა ლიგაზე, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარი სიფრთხილე გამოიჩინეს. ნათლად გამოჩნდა, რომ ევროპის სახელმწიფოები არ იყვნენ მზად საქართველოს ამ ორგანიზაციაში მიღებისთვის, რადგან თუ ისინი საქართველოს მიიღებდნენ ამ ორგანიზაციაში, მათ უნდა უზრუნველყოთ საქართველოს დაცვა გარე საფრთხეებისაგან. სამწუხაროდ, ევროპამ ვერ აიღო საკუთარ თავზე საქართველოს სუვერენიტეტის დაცვა, რაც შემდგომში სავალალოდ დასრულდა საქართველოსათვის [17. 85-86].

უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში დამოუკიდებელი ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო გამართული დიპლომატიური კორპუსის ყოლა, რადგან ძლიერი დიპლომატიური კორპუსი მეტად დაეხმარებოდა საქართველოს სუვერენიტეტის მოპოვებაში. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აქტიურად მუშაობდა ევროპაში საქართველოს სუვერენიტეტის აღიარების პროცესში, საქართველოს მაინც არ ჰყავდა გამოცდილი და კარგად გამართული დიპლომატიური კორპუსი. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კონსტანტინოპოლში მდებარე საქართველოს წარმომადგენლობა. დიპლომატიურ წარმომადგენლობას ჰქონდა მნიშვნელოვანი ხარვეზები წარმომადგენლები ინსტრუქციას იღებდნენ არა თბილისიდან არამედ ევროპაში მოქმედი ზემდგომი მისიებიდან. დიპლომატიური სამსახურის მნიშვნელოვანი შეფერხება გამოიწვია ბრიტანული მხრიდან აკრძალვამ, რომ კურიერები არ უნდა ყოფილიყვნენ გაგზავნილნი თბილისიდან კონსტანტინოპოლში და კონსტანტინოპოლიდან პარიზში [18. 46-47].

ძალიან უჩვეულო, რამ მოხდა ერთა ლიგის შექმნის პროცესში, როდესაც ეს ორგანიზაცია, ამერიკის პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის ინიციატივით შეიქმნა, ამერიკაში პრეზიდენტს კონგრესში მოწინააღმდეგეები გამოუჩნდენენ და შეერთებული შტატები ვერ გახდა ერთა ლიგის წევრი. პრეზიდენტი ვილსონის მოწინაამღდეგეების არგუმენტი მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი ამერიკის იზოლაციონალიზმის მომხრეები იყვნენ და ერთა ლიგის წევრობა მათ მიზნებში ნამდვილად არ შედიოდა, მაგრამ მთავარი რის გამოც კონგრესმა უარი უთხრა პრეზიდენტ ვილსონს იყო ის ფაქტი, რომ თუ ამერიკა ერთა ლიგის წევრი გახდებოდა მას უნდა უზრუნველყო წევრი ქვეყნების სუვერენიტეტის დაცვა, ერთა ლიგის წესდების შესაბამისად [19].

ერთა ლიგას არანაირი მონაწილეობა არ მიუღია მეორე მსოფლიო ომში და 1946 წელს მოხდა მისი, როგორც ორგანიზაციის დაშლა. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ერთა ლიგა იყო მსოფლიოს პირველი ორგანიზაცია, რომლის შექმნამ საფუძველი ჩაუყარა სხვა ორგანიზაციების დაარსებას. ერთა ლიგის სამართლამემკვიდრედ დღევანდელ დღეს გაერო ითვლება. ერთა ლიგის შექმნით იყო მცდელობა, რომ შექმნილიყო მსოფლიო პარლამენტი, სადაც პატარა ქვეყნების პოზიციებიც იქნებოდა გათვალისწინებული. საქართველოსთვის ერთა ლიგაში გაწევრიანება იყო საშუალება იმისათვის, რომ ის შეერთებოდა ევროპულ ოჯახს და ჰქონოდა მშვიდობის გარანტია. ვინაიდან ორგანიზაციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარება. სამწუხაროდ, ეს ორგანიზაცია ვერ აღმოჩნდა ისე წარმატებული, როგორც მისი დამაარსებლები იმედოვნებდნენ, რადგან დიდი ქვეყნები საკუთარი მიზნების მისაღწევად ძალის გამოყენებას მიიჩნევდნენ აუცილილებელ ფაქტორად [20].

მიუხედავად იმისა, რომ ერთა ლიგამ უარი უთხრა საქართველოს წევრად მიღებაზე, 1922 წელს ბელგიელი სოციალისტის დებრიუკერის წინადადებით, ერთა ლიგამ განიხილა საქართველოს საკითხი და გამოიტანა მისადმი თანაგრძნობის დადგენილება, რაც დადასტურდა 1924 წლის რეზოლუციით. ამ ყველაფერმა რუსეთის აღშფოთება გამოიწვია, საბჭოთა ხელისუფლება დიდხანს არ ცნობდა საქართველოს დაპყრობის ფაქტს. ამავე 1922 წელს სამი ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე: ემილ ვანდერველემ და რამზეი მაკდონალდსმა მოითხოვეს ბოლშევიკებისაგან საქართველოს გათავისუფლება. ეს, რა თქმა უნდა, იყო საქართველოსადმი გამოხატული თანაგრძნობა, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, ვერ ცვლიდა რეალურ სურათს. რაც შეეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ის ემიგრაციაში ყოფნის დროს კვლავ განაგრძობდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, მხოლოდ საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმებით [21-45-46].

იმავე 1922 წელს საფრანგეთის ქალაქ კანში შეიკრიბნენ ანტანტის უმაღლესი საბჭოს წევრები, სადაც იმსჯელეს გენუის მომავალი კონფერენციის გამართვის შესახებ, სადაც ევროპის ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების განხილვა იყო დაგეგმილი. ანტანტის უმაღლეს საბჭოს საგანგებო ნოტით მიმართეს ამიერკავკასიის და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებმა, რომლებიც მოითხოვდნენ კავკასიის რესპუბლიკების დაშვებას გენუის კონფერენციაზე. 1922 წელს გენუაში შეიკრიბა ევროპის ხუთი სახელმწიფო ბრიტანეთის ხუთი დომინიონი და შეერთებული შტატები. სამწუხაროდ ამ კონფერენციაზე არ იყვნენ მიწვეული კავკასიის წარმომადგენლები. რუსეთი ამ კონფერენციაზე მოითხოვდა, რომ მას ეკისრა ამიერკავკასიის ქვეყნების წარმომადგენლის სტატუსი, რაც იყო საერთაშორისო

სამართლის სრული დარღვევა. საფრანგეთის იტალიის და ბელგიის წარმომადგენლებმა უარყვეს რუსეთის ეს არაკანონიერი მოთხოვნა [22. 240-241].

უცხოეთში გახიზნულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ გენუის კონფერენციაზე უკანონოდ ჩაითვლებოდა რუსეთის რწმუნებები საქართველოსა და სხვა რესპუბლიკების მიმართ. საქართველოს დევნილი მთავრობა იმედოვნებდა იმას, რომ ყურადღება მიექცეოდა ხევსურეთისა და სვანეთის აჯანყებებს, რომლებიც რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ მიმდინარეობდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა სამწუხაროდ არ გამართლდა ქართული ემიგრაციის იმედები. თუმცა მაინც საქართველოს ხელისუფლების წარმატებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ საბჭოთა რუსეთს არ მიეცა საშუალება, რომ ამ კონფერენციაზე საქართველოს სახელით გამოსულიყო. გენუის კონფერენციის შემდეგი პერიოდი ძალიან ცუდი აღმოჩნდა საქართველოს ემიგრირებული მთავრობისათვის. ევროპის ქვეყნებმა აქტიურად ჩართეს რუსეთი საერთაშორისო ურთიერთობების პროცესში, რაც დიდ პრობლემას უქმნიდა ემიგრირებულ მთავრობას მომავალში რაიმე წარმატებისათვის [23. 218-219].

ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ის რომ გენუის კონფერენციას შემდეგი სიტყვებით მიმართა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ: 1. დაუყოვნებლივ იქნას გაყვანილი საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი იქნას მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობისაგან; 2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ სხვათა ძალდაუტანებლად და უკარნახოდ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც მას ეს უნდა შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც ეს მის ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება. სამწუხაროდ, პატრიარქის სიტყვებმა ვერ მოახდინა ზეგავლენა გენუის კონფერენციის დელეგატებზე. ამ მიმართვის შემდეგ კათოლიკოს პატრიარქი დევნის ქვეშ მოექცა, რუსეთის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა მის შევიწროებას პატრიარქი ამბროსი, ამის გამო ციხეშიც იმყოფებოდა [24].

გენუის კონფერენცია იყო პირველი საერთაშორისო კონფერენცია პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. გენუის კონფერენციის შეკრებაზე განხილვის უმთავრეს საკითხს წარმოადგენდა ის ვალები, რომლებიც ჰქონდა მეფის რუსეთის მთავრობას ჰქონდა ევროპის მიმართ. კონფერენციაზე რუსეთის წარმომადგენელმა გიორგი ჩიჩერინმა მზადყოფნა გამოთქვა იმის თაობაზე, რომ რუსეთის მთავრობა მზად იყო ამ ვალების ცნობისათვის. ოღონდ ერთი პირობით რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებისთვის უნდა მიეცათ სესხი, რომლის მეშვეობითაც რუსეთი შეძლებდა ქვეყანაში შქმნილი მძიმე ეკონომიკური პირობების გამოსწორებას [25].

გენუის კონფერენციაზე ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია წარმატებას. კონფერენციაზე ინგლისურ-ფრანგული მხარე სთავაზობდა საბჭოთა მხარეს მცირე სესხის მიცემას. კონფერენციაზე, რომელიც ითვალისწინებდა ომის შემდგომი მსოფლიოს ერთგვარ აღდგენას, მხარეებს ძალიან გაუჭირდათ რაიმე კომპრომისის მიღწევა. კონფერენციის მიმდინარეობის პროცესში წამყვანი პოზიციები ეკავა ინგლისურ-ფრანგულ ალიანსს, რომელიც წარმართავდა კიდეც კონფერენციას და ცდილობდა, რაიმე სასიკეთო გამოსავლის პოვნას. ინგლისურ-ფრანგული ჯგუფი ყველანაირად ცდილობდა გერმანიისა და რუსეთის უფრო მეტად ჩართვას ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში [26].

გენუის კონფერენციას უნდა უზრუნველყო ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის დანგრეული ეკონომიკის აღდგენა. რუსეთის საკითხის განხილვისას კონფერენციის მონაწილე მხარეები ცდილობდნენ, რომ ადეკვატურად შეეფასებინათ რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა. ეს ქვეყანა ეკონომიკურად ნამდვილად ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგან ქვეყანას ახალი გადატანილი ჰქონდა რევოლუცია და სამოქალაქო ომი. ამ კონფერენციაზე საფრანგეთმა და ბელგიამ გამოხატეს ინიციატივა, რომ ბოლშევიკური რუსეთისათვის მიეცათ სესხი. საბოლოოდ, მიუხედავად დიდი მცდელობებისა, რაიმე ღირებული შედეგის მიღწევა სამწუხაროდ, გენუის კონფერენციაზე ვერ მოხერხდა და კონფერენცია უშედეგოდ დასრულდა. ეს ყველაფერი ძალიან მძიმე მდგომარეობაში აგდებდა საქართველოს, რომელიც უკვე 1921 წლიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა. ბოლშევიკური რუსეთი არ აღმოჩნდა მზად ევროპასთან თანამშრომლობისათვის, თუმცა გენუის კონფერენცია იყო მცდელობა იმისა, რომ რამენაირად მიღწეულიყო სიტუაციის დასტაბილურობა ევროპასა და რუსეთს შორის [27].

საქართველომ ოკუპაციის შემდეგ „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ლიგის“ მხარდაჭერაც მოიპოვა. 1924 წლის კარლო ჩხეიძის თავჯდომარეობით შექმნილი „ადამიანის უფლებათა დაცვის ქართული სექციის“ მუშაობის წყალობით 13 წლის განმავლობაში, „საერთაშორისო ლიგამ“ საქართველოს საკითხზე რეზოლუცია სამჯერ მიიღო. ქართული სექციების გარდა იმ პერიოდში მრავლად იყო საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც დახმარებას უწევდნენ საქართველოს მაგალითად: წითელი ჯვარი, შრომის საერთაშორისო ბიურო, ნანსენის კომიტეტი და ერთა ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკული კომიტეტი. მიუხედავდ დევნილობისა საქართველოს ემიგრირებულ მთავრობას ჰქონდა მხარდაჭერა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი საერთო სურათის შესაცვლელად. ევროპას არ ჰქონდა ძალა იმისათვის, რომ რაიმე ზეგავლენა მოეხდინა ბოლშევიკური რუსეთის მთავრობაზე და აეძულებინა ის საქართველოსთან მიმართებაში რაიმე დათმობაზე წამოსულიყო [28. 189].

1922 წელს იტალიის ქალაქ რაპალოში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის, რომელიც ისტორიაში რაპალოს ხელშეკრულებით არის ცნობილი. ხელშეკრულების მიხედვით მეგობრული ურთიერთობები უნდა დამყარებულიყო ამ ორ ქვეყანას, შორის. ხელშეკრულების მთავარი აზრი იდო იმაში, რომ არც ერთი ქვეყანა არ იზიარებდა ვერსალის ხელშეკრულების პირობებს. რაპალოს ხელშეკრულება ოფიციალურად გაფორმდა 1922 წელს გერმანიაში. ხელშეკრულებას შემდეგში დაემატა ფუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა მეგობრული ურთიერთობების დამყარებას გერმანიას და საბჭოთა კავშირის რეპუბლიკებს შორის, რომელთა შორის საქართველოც შედიოდა [29]. ამ ხელშეკრულების მიხედვით მხარეები უკვე აქტიურ ეკონომიკურ თანამშრომლობას იწყებდნენ ერთმანეთთან. საბჭოთა კავშირის მხრიდან ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა გიორგი ჩიჩერინმა, ხოლო გერმანიის მხრიდან ვალტერ რატენაუმ. ხელშეკრულების საიდუმლო მუხლი ითვალისწინებდა სამხედრო თანამშრომლობას და ამ მუხლით გერმანიას უფლება ენიჭებოდა გაეწვრთნა თავისი სამხედროები რუსეთის ტერიტორიაზე. ეს ხელშეკრულება თავისთავად გულისხმობდა იმას, რომ გერმანიაც და რუსეთიც საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდებოდნენ, ვინაიდან ამ ხელშეკრულებით ორივე მხარემ აქტიურად დაარღვია საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმები. ხელშეკრულება ურთულეს მდგომარეობაში აგდებდა იმ პატარა ქვეყნებს, რომლებიც ამ პერიოდში ძალდატანებით იმყოფებოდნენ საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში, საქართველო ძალიან დიდი ხნით მოწყდა ევროპულ სივრცეს და დაკარგა უფლება განეხორციელებინა საკუთარი საგარეო პოლიტიკა [30].

რაპალოს ხელშეკრულების ოფიციალურ დოკუმენტში ეწერა, რომ მხარეები ხელს შეუწყობდნენ ერთმანეთთან კომერციულ თანამშრომლობას, როგორც ეს ხდება ორ პარტნიორ ქვეყანას შორის. ხელშეკრულებაში ყველაზე მეტად მხარეებს შორის ეკონომიკურ თანამშრომლობაზე იყო საუბარი. ასევე ხელშეკრულებაში ხაზგასმულია, რომ გერმანული მხარე ხელს შეუწყობდა კერძო მეწარმეობას, როგორც ეს ხელშეკრულების მიხედვით იქნებოდა გათვალისწინებული. საბოლოოდ ეს ხელშეკრულება აღმოჩნდა ერთგვარი კედელი, რომელიც აღიმართა საბჭოთა რუსეთსა და ევროპას შორის [31].

საქართველოს ემიგრირებული მთავრობა მაქსიმალურად ცდილობდა, რომ ევროპელებისათვის უკეთ გაეცნო საქართველო, ემიგრირებული მთავრობა საქართველოს გადარჩენის გასაღებს მხოლოდ და მხოლოდ ევროპაში ხედავდა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან პირველი რესპუბლიკის მთავრობა მიისწრაფოდა ევროპისაკენ. ამ მხრივ საყურადღებოა ნოე ჟორდანიას აზრები ევროპის შესახებ.

ჟორდანიას აზრით, საქართველო მუდმივად ევროპისაკენ ისწრაფვოდა. საქართველოს ჟორდანია ევროპის დაკარგულ ნაჭერად თვლიდა. პრეზიდენტი აკრიტიკებდა, რუსეთს და მას ევროპულ სივრცისაკენ მიმავალ გზაზე შემაფერხებელ ფაქტორად თვლიდა, მისი აზრით საქართველოს მომავლის რუსეთთან გადაბმა ნიშნავს საქართველოს სრულ გადაშენებას. პირველი რეპუბლიკის მთავრობა, რომ პროევროპული იყო ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ის ემიგრაციაში წავიდა არა აზიაში არამედ ევროპაში [32. 134-135].

მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკური პარტია ხელისუფლებაში მოსვლამდე არ იზიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, უკვე ამ პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ჟორდანიას მთავრობა ყველანაირად ცდილობდა ევროპის

ნდობის მოპოვებას ამაზე ნათლად მეტყველებს პრეზიდენტ ჟორდანიას მიმართვები ევროპული ქვეყნებისადმი. ჟორდანიამ პარიზის კონფერენციის თავჯდომარეს მიმართა შემდეგი სიტყვებით. მთელი საქართველო და მისი მთავრობა ღრმა კმაყოფილებით შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის დე-ფაქტო აღიარებას.

„მადლობას გიძღვნით რა ამ დიდებული აქტით, საქართველოს ხალხის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობითი ძალის ნდობისათვის, რომელიც მთელი საუკუნეების განმავლობაში ევროპის კარებთან დარაჯად ედგა ცივილიზაციური ქვეყნის პროგრესულ მისწრაფებას, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ღრმად დარწმუნებულია, რომ ქართველი ერი, როცა მას მხარს დაუჭერს მოკავშირეთა დიდი სახელმწიფოები, მტკიცე კავშირს შეკრავს ევროპასთან და გახდება ღირსეული წევრი იმ ოჯახისა, რომელმაც ერთ დროს მას დახმარების ხელი გამოუწოდა“ [33. 216].

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ჟორდანია ემიგრაციაში ყოფნის დროს არ წყვეტდა პოლიტიკურ საქმიანობას. 1921 წლის 3 მაისს ნოე ჟორდანიამ მოხსენება გააკეთა საფრანგეთის ცენტრალურ კომიტეტში. ჟორდანია ამბობდა, რომ ცხადად უნდა გაეანალიზებინათ ევროპელებს, რომ მოხდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა და ეს არ იყო აჯანყება საქართველოში, რასაც ასე დაჟინებით ამბობდნენ რუსები. ჟორდანიამ საფრანგეთის ცენტრალურ კომიტეტს დოკუმენტებით დაუსაბუთა, რომ საბჭოთა რუსეთმა დაგეგმა და შემდეგ კი უკვე განახორციელა საქართველოს დაპყრობა. საფრანგეთის ცენტრალურმა კომიტეტმა დახმარება აღუთქვა ნოე ჟორდანიას. მართლაც მალევე ფრანგი სოციალისტების აღმასრულებელმა ორგანომ, საფრანგეთის მუშათა კლასს მიმართა მანიფესტით, სადაც მას მოუწოდებდა, რომ პროტესტი განეცხადებინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის წინაამღდეგ, ცენტრალური კომიტეტი ასევე მოითხოვდა საქართველოს დაცვას რუსი სამხედრო მოხელეებისაგან და ჯარისკაცებისაგან [34. 11-12].

როგორც ჟორდანია აღნიშნავდა, საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი ძარღვი მიემართებოდა ერთა თვითგამორკვევის უფლებისაკენ, საერთაშორისო თანხმობით და ურთიერთგარანტიით. ჟორდანიას კარგად ესმოდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე და, მით უმეტეს, დამოუკიდებლობის შემდეგ, საქართველო ამ გეოპოლიტიკურ რეგიონში ვერ გააგრძელებდა დამოუკიდებლად არსებობას და მას აუცილებლად დასჭირდებოდა ევროპული ქვეყნებისაგან მხარდაჭერის მოპოვება. ზოგადად, როგორც ნოე ჟორდანია აღნიშნავდა იმ პერიოდში არც ერთი ერი არ იყო გაშვებული ეულად და ვერც ერთი ერი ვერ განაგებდა საკუთარ პოლიტიკას საკუთარი ნება სურვილის შესაბამისად. ამ მხრივ საქართველო მეტად რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვინაიდან მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა ქვეყანა, რომელიც მუდმივად მტრულად იყო განწყობილი საქართველოს მიმართ [35. 169-170].

ემიგრაციაში წასული საქართველოს მთავრობა არ ეგუებოდა საქართველოს ოკუპაციას. ქართველი პოლიტიკოსების ნაწილმა, რომელიც ემიგრაციაში იყო წასული საქართველოში აჯანყების მოწყობა გადაწყვიტეს. მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ მიუხედავად ცალკეული მცირე კერებისა ბოლშევიკურმა რუსეთმა მაინც მოახერხა საგარეო პოლიტიკური ვითარებების გაუმჯობესება და ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარება. ყველაზე გადამწყვეტი ალბათ ის იყო, რომ ევროპის ორმა წამყვანმა სახელმწიფომ ბრიტანეთმა და საფრანგეთმა აღიარეს ბოლშვიკური რუსეთი. ემიგრაციაში წასული საქართველოს მთავრობა უკვე ცხადად ხედავდა იმას, რომ პატარა საქართველოსთვის ევროპა რუსეთთან ურთიერთობას არ გაიფუჭებდა. სამწუხაროდ, არაფერი გამოვიდა აჯანყებიდან, რომელიც რუსეთმა ადვილად ჩაახშო და ამ აქციის მონაწილეები მკაცრად დასაჯა დააპატიმრებული და მოკლული იქნა უამრავი ადამიანი, რუსეთის მხრიდან ეს იყო სადამსჯელო ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს სრულ დაშინებას და დამორჩილებას [36. 242-243].

მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები მუდმივად განიცდიდნენ თანხის დეფიციტს. ჟორდანიას მთავრობა აქტიურად განაგრძობდა ანტისაბჭოთა ორგანიზაციებთან კავშირს, რაც გარკვეულ უსიამოვნებებს უქმნიდა საბჭოთა ხელისუფლებას. საქართველოს ემიგრირებულმა მთავრობამ მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს, რომელიც აქტიურად იბრძოდა ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. ბოლშევიკების წინაამღდეგ აჯანყებაში ჩართულნი იყვნენ ისეთი მაღალი რანგის პირები, როგორებიც იყვნენ

სახალხო გვარდიის მეთაური ვალიკო ჯუღელი და სოფლის მეურნეობის მინისტრი ნოე ხომერიკი. სამწუხაროდ, ეს ადამიანები დახვრეტილნი იქნენ ჩეკას მიერ [37].

ემიგრაციაში ყოფნის დროს ნოე ჟორდანია ბელგიაში ჩავიდა და შეხვდა ბელგიელ მაღალი რანგის პირებს, ბელგიის მთავრობის თავმჯდომარეს და ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრს. ჟორდანიას ბელგიაში ჩასვლის შესახებ აქტიურად წერდნენ ბელგიური გაზეთები. მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობდა და ბელგიის მთავრობის წარმომადგენლებმა ნოე ჟორდანიას დახმარება აღუთქვეს. ბელგიაში ყოფნის დროს ჟორდანიას მიმართ არსებობდა დიდი საზოგადოებრივი ინტერესი. მრავალმა ბელგიელმა საზოგადო მოღვაწემ პირადად ინახულა ნოე ჟორდანია. ამავე პერიოდში საქართველოზე აქტიურად იწერებოდა ბელგიურ გაზეთებში. ბრიუსელიდან ნოე ჟორდანია მიწვეული იქნა ანტვერპენის სოციალისტურმა ორგანიზაციის მიერ. ნოე ჟორდანია ანტვერპენში სიტყვითაც გამოვიდა და ისაუბრა, რაც საქართველოს სახელმწიფოს დაატყდა ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან [38].

შეეძლო თუ არა საქართველოს ბოლშევიკური რუსეთისათვის უფრო დიდი წინაამღდეგობის გაწევა, ამ თემასთან დაკავშირებით დღემდე არ წყდება დებატები ქართველ ისტორიკოსებს შორის. ნაწილი საქართველოს დატოვებას ქვეყნის ღალატად მიიჩნევს, მეორე ნაწილის აზრით, კი ემიგრირებული მთავრობის გეგმა მდგომარეობდა იმაში, რომ მათ უცხოეთიდან უნდა მიეღოთ დახმარება და ევროპელების დახმარებით უნდა მოეხდინათ საქართველოს გათავისუფლება. თუმცა ისტორიკოსების ერთი ნაწილი თანხმდება იმაზე, რომ პირველი რესპუბლიკის მთავრობამ ვერ მოახერხა საქართველოში საერთო სახალხო წინაამღდეგობის მოძრაობის ორგანიზება და მიუხედავად იმისა, რომ ჟორდანიას მთავრობა ემიგრაციაში წარმატებით მუშაობდა საბოლოოდ მას იმედი გაუცრუვდა, რადგან მიხვდა, რომ ევროპელები მას სიტყვიერ მხარდაჭერას უცხადებდნენ და არ არსებობდა რაიმე მნიშვნელოვანი ბერკეტი, რომელიც ბოლშევიკური რუსეთის ანექსიის წინაამღდეგ, რაიმე შედეგს გამოიღებდა [39].

საერთო სახლხო ქართული აზრი 1921 წელს მიიჩნევს რუსეთი იმპერიის მიერ საქართველოს ანექსირებულ წლად. მიუხედავად გარკვეული კითხვებისა, რაც საზოგადოების ნაწილს აწუხებს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ მათი ღვაწლი დასაფასებელია, სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ობიექტურად იქნას შეფასებული პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების ქმედებები, რადგან ხშირ შემთხვევაში საბჭოურ მითებთან გვაქვს საქმე [40].

1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პირველ რესპუბლიკის მთავრობას მრავალი გამოწვევის გადალახვა მოუწია. პირველ რიგში მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტორი, რომ ქვეყანა გეოპოლიტიკურად არასტაბილურ რეგიონში მდებარეობდა, მას ესაზღვრებოდა ისეთი ძლიერი ქვეყნები, როგორებიც იყვნენ ქემალისტური თურქეთი და რუსეთი. ორივე ამ სახელმწიფოს საქართველოს მიმართ გააჩნდა თავისი სურვილები, ამიტომ საჭირო იყო ძლიერი მოკავშირის მოძებნა, რომელიც დაიცავდა საქართველოს სუვერენიტეტს, ამას კარგად აცნობიერებდა საქართველოს მთავრობა. იმ პერიოდში ასეთ მოკავშირედ გერმანია ჩანდა რომელსაც შეეძლო საქართველოს დაცვა გარე ძალებისაგან. მართლაც გერმანია გახდა საქართველოს მფარველი და მოკავშირე ქვეყანა და რომ არა გერმანიის თანადგომა საქართველოს მიმართ, საქართველო მეზობელი დიდი ქვეყნების თავდასხმას ვერ გადაურჩებოდა. გერმანიის დამარცხების შემდეგ პირველ მსოფლიოს ომში ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველომ დაკარგა ძლიერი მფარველი და მოკავშირე. საქართველოს ხელისფლება დიდ იმედებს ამყარებდა პარიზის საზავო კონფერენციაზე, თუმცა ამ კონფერენციაზე საქართველო მხოლოდ დე-ფაქტოდ აღიარეს, ვინაიდან ამ ქვეყანას ევროპელები მაინც რუსეთის გავლენის სფეროდ თვლიდნენ. პარიზის საზავო კონფერენციაზე საფუძველი ჩაეყარა პირველი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის ერთა ლიგის შექმნას, რომლის იდეა ვუდრო ვილსონს ეკუთვნოდა.

მიუხედავად საქართველოს დიდი მცდელობისა საქართველო ვერ გახდა ერთა ლიგის წევრი იმ მიზეზით, რომ ევროპელები ვერ აიღებდნენ პასუხისმგებლობას, რომ საქართველო დაეცვათ საგარეო საფრთხის შემთხვევაში. ამ ყველაფერმა კი ფაქტობრივად გზა გაუხსნა რუსეთს, რომელმაც 1921 წელს მოახდინა საქართველოს ოკუპაცია. საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ებრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. მთავრობის წევრე-

ბი ხვდებოდნენ ევროპელებს და დაზუსტებით აცნობდნენ საქართველოში შექმნილ მდგომარეობას, ევროპელები მართალია თანაუგრძნობდნენ საქართველოს მთავრობას, მაგრამ მათ არ შეეძლოთ საქართველოს ემიგრირებულ მთავრობას რამით დახმარებოდნენ და მხოლოდ სიტყვიერი თანადგომით შემოიფარგლებოდნენ. ევროპა ამ პერიოდში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ძალიან იყო დაზარალებული და ევროპულ ქვეყნები შიდა პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორებისათვის ყველაფერს აკეთებდენ და ბუნებრივია მიუხედავად რუსეთის ოკუპაციისაა საქართველოს საკითხი იმ პერიოდში ევროპელებისთვის არ იყო აქტუალური.

SOSO KIKNADZE

GEORGIA'S INDEPENDENCE AND INTERNATIONAL ORGANIZATIONS

Summary

Since Georgia declared independence in 1918, the country has faced many challenges. Despite the fact that the declaration of independence in 1918 was the most important event in the history of Georgia, maintaining this independence represented a great difficulty due to the geopolitical situation in Georgia. Although at that time Georgia had a government that represented the opinion of the majority of the Georgian population and this government had the ability to solve important problems for the country, unfortunately, this government was not able to solve the problems facing the country.

Immediately after the declaration of independence, Georgia made efforts to look for a protector who would secure its sovereignty. The authorities at the time realized that it would be almost impossible to survive in the Transcaucasian region without a strong ally as Georgia's sovereignty was directly threatened by two states - Russian Bolsheviks and Turkish Kemalists. Germany appeared as an ally for Georgia which actually managed for a short time but still to secure Georgia from outside forces. It should be emphasized that the Germans had a good reputation in Georgia and the Georgian society had a positive attitude towards them. The Georgian government made every effort to organize the country in an acceptable way for the European states at the time. Back then, the Georgian state was one of the most democratic states in Europe, which had a civil constitution that protected human rights.

German troops left Georgia after the defeat of Germany in World War II. The Georgian government was obliged to look for a new protector in Europe, in this regard, Georgia had high hopes for the Paris conference, however, the expectations of the Georgian authorities were not met, as the issue of Georgia had no significant meaning for the Paris conference. The participants of the Georgian conference still considered Russia as an area of influence. The most important event at the Paris Conference was the creation of the League of Nations, the idea of which belonged to Woodrow Wilson. The Georgian government intended to join the organization but they were refused to admit to the League of Nations, arguing that members of the League of Nations would not be able to defend the state in the event of an external threat. Finally, the League of Nations left Georgia to face Bolshevik aggression. After the occupation of Georgia, the Genoa Conference was held in 1922, where Russia was requested to repay a loan taken during Tsarist Russia. Georgian Patriarch Ambrosi Khelaia addressed the Genoa Conference and demanded the withdrawal of Russian troops from Georgia, but the Genoa Conference was unsuccessful for Georgia. The immigrated government did not stop fighting for independence after the occupation of Georgia, although the Europeans offered only verbal support to the Government of Zhordania as Europeans were unable to support Georgia in such a difficult situation.

Key words: *Georgia, independence, constitution, Europe, international organizations.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.dcstamps.com/republic-of-georgia-pre-ussr-1918-1921/ ნანახია[7.02.2022.]

2. პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში პუბ-ლიკაცია. 2018.
3. კაუცკი კ., „საქართველოს გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა შთაბეჭდილებანი დაკვირვებანი“, 2018.
4. შევარდნაძე ე., „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბ., 2006.
5. https://www.boell.de/en/2014/07/08/impact-first-world-war-and-its-implications-europe-today author fraser cameron ნანახია [7.02.2022].
6. https://courses.lumenlearning.com/suny-hccc-worldhistory2/chapter/france-at-the-end-of-the-interwar-period/ ნანახია [7.02.2022.].
7. ბენდიანიშვილი ა., დაუშვილი ა., „საქართველოს ისტორია 19-20 საუკუნეებში“, ტ. 4, თბ., 2012.
8. შველიძე დ., „საქართველოს დასავლური ორიენტაცია წარსულის ეპიზოდები“, თბ., 2010.
9. შარაძე გ., „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა“. თბ., 2003.
10. მურუსიძე შ., „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საქართველოს ილუსტრირებული ისტორია“, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბ., 2015.
11. https://2001-2009.state.gov/r/pa/ho/time/wwi/89875.htm The paris peace conference and the threaties of versalies ნანახია [7.02.2022]
12. კაკაშვილი ლ., „პარიზის ვერსალის კონფერენცია“. http://www.ianusi.com/2018/04/blog-post_65.html ნანახია [7.02.2022].
13. კირთაძე ნ., „საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართულ ევროპული ურთიერთობები“, გამომცემლობა „საქართველო“, თბ., 1997.
14. რონდელი ა., „ჩემი სამყარო“, ჟურნალი ახალგაზრდებისათვი.ს ერთა ლიგა.
15. ჟორდანია ნ., „საქართველოს სახელმწიფოს სახელმძღვანელოები“, ტ. 13. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/271957/1/Noe_Jordania_Tomi_XIII.pdf ნანახია [7.02.2022].
16. საითიძე გ., „პირველი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია ერთა ლიგა და დამოუკი-დებელი საქართველო“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2010.
17. კობახიძ
18. ე ბ., „საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე“, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/beqa_kobaxidze.pdf. ნანახია [7.02.2022].
19. https://www.khanacademy.org/humanities/us-history/rise-to-world-power/us-in-wwi/a/the-league-of-nations the league of nations ნანახია [7.02.2022].
20. ტაბატაძე თ., „ერთა ლიგის მნიშვნელობა“. http://junior.tsu.edu.ge/data/file_db/ ნანახია[7.02.2022].
21. კირთაძე ნ., „პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა ოკუპაციის პირველი წლები“. გამომცემლობა „საქართველო“, თბ., 1996.
22. ნესტან კირთაძე ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-19230) თბილისი 1997წ.
23. https://ejournals.atsu.ge/Kartvelology/issues/XI/KakhidzeEkaterine.pdf ეკატერინე კახიძე სოციალ-ფედერალისტების პარტია საბჭოთა პერიოდში ნანახია [7.02.2022].
24. ამბროსი ხელაიას მიმართვა 1922 წელს გენუის საერთაშორისო კონფერენციას https://inteleqtib-log.wordpress.com/2016/03/28/ ნანახია [7.02.2022].
25. https://www.infoplease.com/encyclopedia/history/modern-europe/treaty-alliance/genoa-conference-of article genoa, conference of. The Columbia electronic encyclopedia ნანახია[7.02.2022].
26. https://www.encyclopedia.com/history/encyclopedias-almanacs-transcripts-and-maps/genoa-conference article genoa conference ნანახია [7.02.2022].
27. Conference of genoa. https://www.britannica.com/event/Conference-of-Genoa ნანახია [7.02.2022].
28. მეტრეველი რ., „მეისტორიე“, სამეცნიერო კრებული მიძღვნილი პროფესორ გელა საითიძის 80 წლისთავისადმი გამომცემლობა არტანუჯი თბილისი.
29. Treaty of rappalo. https://ww2db.com/battle_spec.php?battle_id=237 ნანახია [7.02.2022].
30. Chen P., treaty of rappalo 1922. https://academickids.com/encyclopedia/index.php/Treaty_of_Rapallo%2C_1922 ნანახია [7.02.2022].

31. agreement supplementary to the ruso-german treaty of rappalo 1. https://www.cambridge.org/core/journals/american-journal-of-international-law/article/abs/agreement-supplementary-to-the-russogerman-treaty-of-rapallo-1/1B573E723381609C0A792AB8CB041E4E ნანახია [7.02.2022]
32. შუბითიძე ვ., „ევროპეიზაცია და ქართული პოლიტიკური აზროვნება (საქართველოს ეროვნული იდენტობა)“, თბ., 2003.
33. ჯონსი შ., „საქართველოს სახელმწიფოს სახლმძღვანელოები“, ნოე ჟორდანია, ტ. 14 თბ., 2018.
34. გვარჯალაძე კ., „საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში“, ქართული ემიგრაციის არქივიდან. თბ., 1991.
35. შარაძე გ., „ნოე ჟორდანია რჩეული ნაწერები“, გამომცემლობა „საქართველო“, თბ., 1990.
36. გაჩეჩილაძე რ., „ჩემი მეოცე საუკუნე“, ტ. 1, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2008.
37. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ემიგრაციაში“ https://amp.ka.shops-net.com/402686/1/. ნანახია [7.02.2022].
38. https://civil.ge/ka/archives/424671 სტატია ნოე ჟორდანია ბელგიის პრემიერ მინისტრს და სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებს შეხვდა. ნანახია[7.02.2022].
39. „93 წლის წინ ჟორდანიას მთავრობა ემიგრაციაში წავიდა“. https://ghn.ge/news/105174 ნანახია [7.02.2022].
40. „1921 წლის ოკუპაცია და „პერესტროიკის ხანის ქართული გაზეთები“ https://idfi.ge/ge/occupation_of_1921_and_georgian_newspapers. ნანახია [7.02.2022].

ხატია ვასაძე
წარმოადგინა პროფ. მარიამ ჯიქიამ

საერთაშორისო აქტორების როლი კვიპროსის კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციაში

კვიპროსელ ბერძნებსა და თურქებს შორის ნდობის განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი იყო კვიპროსის კონფლიქტის მოგვარებისთვის. გაერთიანებული ერების, აშშ-სა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების მიერ ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გამოვლენილი ძალისხმევა მიზნად ისახავდა კვიპროსელებს შორის ნდობის დამყარებას და საერთო კვიპროსული იდენტობის ფორმირებას. მიუხედავად იმისა, რომ კოფი ანანის გეგმას არ ქონდა საკმარისი გავლენა კონფლიქტზე, რადგან ორივე მხარე სკეპტიკურად იყო განწყობილი აღნიშნული სახელმწიფო მოდელის მიმართ, უდავოა, რომ ამ გეგმამ დადებითი როლი ითამაშა გრძელვადიან პერსპექტივაში, რაც აისახა დღესარსებულ მდგომარეობაში.

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია საერთაშორისო აქტორების მიერ კვიპროსის კონფლიქტის ფარგლებში გადადგმული ნაბიჯებისა და გამვლენილი ძალისხმევის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა და აღნიშნული კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის ძირითადი მიზეზები.

საკვანძო სიტყვები: *კვიპროსი, თურქეთი, საბერძნეთი, კონფლიქტების დარეგულირება, საერთაშორისო აქტორები, გაერო, ევროკავშირი, პოზიტიური ტრანსფორმაცია.*

ორ კვიპროსულ თემს შორის არსებული დაპირისპირება არის როგორც ლოკალური, ისე რეგიონულ-გლობალური საფრთხე საერთაშორისო აქტორებისთვის. ასევე, კონფლიქტი შეიძლება ჩაითვალოს ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციისთვის (NATO) დიდ გამოწვევად, საბერძნეთისა და თურქეთის, როგორც NATO-ს წევრი სახელმწიფოების, ფაქტორის გათვალისწინებით. შესაბამისად, დასავლეთის ინტერესში შედის კონფლიქტის მოგვარება, რათა ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის უსაფრთხოების კონცეფციას საფრთხე არ შეექმნას. თურქეთი, კვიპროსის ოკუპაციით, დღესაც აგრძელებს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების დარღვევას, თუმცა ნატო არ რეაგირებს ამ დარღვევაზე [1].

ხაზგასასმელია კვიპროსის კონფლიქტის მოგვარების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, კერძოდ გაერთიანებული ერებისა და ევროკავშირის მიდგომა აღნიშნული კონფლიქტის მსვიდობიანი გზით დასარეგულირებად.

წინამდებარე ნაშრომში თანმიმდევრულად არის განხილული გაეროსა და ევროკავშირის მიერ გადადგმული ნაბიჯები და მათი გავლენა დღეს არსებულ მდგომარეობაზე.

საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მექანიზმი

კვიპროსის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღის წესრიგში პირველად 1950-იან წლებში დადგა, საბერძნეთის ლობირებით, თუმცა იმ პერიოდში კვიპროსი გაერთიანებული სამეფოს კოლონია იყო და კუნძულზე მიმდინარე მოვლენები ბრიტანეთის შიდაპოლიტიკურ საკითხებად აღიქმებოდა, ამიტომაც საბერძნეთი გაეროში კვიპროსელი ხალხის თვითგამორკვევის საკითხზე საჭირო მხარდაჭერას ვერ იღებდა [2. 58].

1964 წელს, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით, კვიპროსის სამშვიდობო მისია (UNFICYP) დაფუძნდა [3].

გაეროს უშიშროების საბჭოს, კვიპროსის საკითხთან დაკავშირებით, მიღებული აქვს 149 რეზოლუცია [4].

კონფლიქტის მხარეებს შორის გაერო უმთავრესი მედიატორი იყო. მართალია, პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა გართულებული იყო ბერძნულ და თურქულ თემებს შორის არსებული დაპირისპირების გამო, თუმცა გაერო კვიპროსში ფუნქციონალისტურ ხედვას

ასახავდა - მხარეთა შორის ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა სახის ტექნიკურ საკითხებში თანამშრომლობის გაძლიერება სამშვიდობო მოლაპარაკებებში პროგრესის წინაპირობა იქნებოდა, მით უფრო, სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ თურქეთი, საბერძნეთი და დიდი ბრიტანეთი, როგორც ლონდონ-ციურიხის ხელშეკრულების გარანტორი სახელმწიფოები [5. 43].

კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის უმნიშვნელოვანესი პერიოდია 1975 წელი, როდესაც მხარები შეთანხმდნენ კვიპროსის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის შესახებ, კერძოდ, კვიპროსი უნდა ყოფილიყო დემილიტარიზებული და მიუმხრობელი რომელიმე სხვა სახელმწიფოს მიმართ, თუმცა კვიპროსის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის ოკუპაცია თურქეთმა 1974 წელს მოახდინა და 1983 წლიდან შეიქმნა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა (მხოლოდ თურქეთის სახელმწიფო აღიარებს). თურქეთის ეს ქმედება ოკუპაციად შეფასდა და მას საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან სანქციები მოჰყვა. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ოკუპაცია განიმარტება Terra Nullius პრინციპით, რაც გულისხმობს, ტერიტორიაზე უფლების მოპოვების მეთოდს. ასევე, ოკუპაცია განიმარტება შემთხვევად, როდესაც სამხედრო ძალის გამოყენებით, ერთი სახელმწიფო სხვა სახელწიფოს ტერიტორიას უკანონოდ იკავებს [6. 283].

თურქეთის მხრიდან კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში ძალისმიერი ინტერვენცია იქნა გამოყენებული. მართალია, კონფლიქტის უშუალო მხარეებად სახელდებიან სამხრეთ კვიპროსის ბერძნული სახელმწიფო და ე.წ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა, თუმცა ძირითადი პოლიტიკური აქტორები და კონფლიქტში მონაწილე ირიბი მხარეები არიან, მაინც, თურქეთი და საბერძნეთი - თურქეთი, რომელმაც მოახდინა ჩრდილოეთ კვიპროსის ოკუპაცია, და საბერძნეთი, რომლის უშუალო ლობირებითაც მოხდა კვიპროსის სამხრეთ ნაწილის ევროინტეგრაცია.

თურქეთის მხრიდან კვიპროსის ტერიტორიის ოკუპაციას საკმაოდ მწვავე რეაქციები მოჰყვა. 1992 წელს, გაეროს იმჟამინდელმა გენერალურმა მდივანმა, ბუტროს გალმა, წინადადებით მიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს, რომელმაც მიიღო რეზოლუცია. ეს დოკუმენტი აღიარებდა კვიპროსს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ორნაწილიანი/ორზონიანი ფედერაციის ქვეშ, ორი თანასწორუფლებიანი თემით, რომლის მიერთება ან რამე ფორმით მასზე სამხედრო მოქმედებები, სხვა სახელმწიფოს მხრიდან, დაუშვებელი იქნებოდა [7].

კვიპროსის კონფლიქტის მოგვარებაში ერთ-ერთი გარდამტეხი ეტაპი იყო 2003 წელი, როდესაც კონფლიქტის მედიატორის როლი კვლავ გაეროს ასამბლეამ იკისრა. 2003 წელს, გაეროს გენერალურმა მდივანმა წარმოადგინა გეგმა კვიპროსის გაერთიანების შესახებ. ამ გეგმის განხორციელების იმედს იძლეოდა ის ფაქტიც, რომ თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი მზაობას გამოთქვამდა, მონაწილეობა მიეღო გეგმის შესრულებაში, თუმცა პრობლემა გაჩნდა ბერძნულ მხარეში, რომელიც უარს აცხადებდა ანანის გეგმის შესრულებაზე. თურქული მხარის ეს კომპრომისი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ევროინტეგრაციის გზაზე მყოფი ქვეყნისგან, რომელიც წლების განმავლობაში ცდილობს ევროკავშირში გაწევრიანებას. მკვლევრების გარკვეული ნაწილის მოსაზრებით, სწორედ კვიპროსის პრობლემა უშლის ხელს თურქეთის ევროინტეგრაციის პროცესს. სხვა მკვლევართა მოსაზრებით კი, ამ პროცესის დამაბრკოლებელი ფაქტორი თურქეთის ევროპისგან განსხვავებული კულტურულ-რელიგიური მახასიათებლებია.

გაეროს გენერალური მდივნის, კოფი ანანის 2004 წლის გეგმა, რომელიც „ანანის გეგმის“ [2] სახელით არის ცნობილი, გულისხმობდა შემდეგს: ოკუპირებულ რეგიონში უნდა შესულიყო ბერძენი მოსახლეობის ის რაოდენობა, რაც თურქული მოსახლეობის 18%-ს გაუტოლდებოდა [8].

თურქულ საჯარისო ნაწილებს შეეძლებოდათ კვიპროსის ტერიტორიაზე სადემარკაციო ხაზთან დგომა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ჯარისკაცთა რაოდენობას 40 000 ჯარისკაციდან 6 500-მდე შეამცირებდა [8].

ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში კი, ორგანიზაციაში კვიპროსს ეყოლებოდა ორი წარმომადგენელი, როგორც ფედერალურ სახელმწიფოს - პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი (თუ პრეზიდენტი იქნებოდა ეთნიკურად ბერძენი, პრემიერ-მინისტრი აუცილებლად ეთნიკურად თურქი უნდა ყოფილიყო ან პირიქით) [8].

გეგმის მთავარი შედეგი კი უნდა ყოფილიყო, ორი თანაბარმნიშვნელოვანი სუბიექ-

ტის გაერთიანებით, საერთო სახელმწიფოს (United Cyprus Republic) შექმნა. გეგმის თანახმად, გაერთიანებულ კვიპროსს ეყოლებოდა გარდამავალი მთავრობა, სამი წლის განმავლობაში მოქმედი ორპალატიანი პარლამენტი, რომლის სენატის შემადგენლობის 50% კვიპროსელი თურქების წარმომადგენლები იქნებოდნენ, ხოლო წარმომადგენლობითი პალატაში - არაუმეტეს 25%. ეს სამართლებრივი მოდელი უზრუნველყოფდა მხარეთა უფლებამოსილების დაბალანსებას [9. 5].

ანანის გეგმით, უნდა შექმნილიყო ექვსწევრიანი მმართველი საბჭო [9. 7].

ასევე, საბერძნეთსაც და თურქეთსაც შეეძლებოდა უკვე არსებული სამხედრო კონტინგენტის შენარჩუნება კუნძულზე.

2004 წელს, კვიპროსის ორივე ნაწილში ჩატარდა რეფერენდუმი კვიპროსის გაერთიანებასთან დაკავშირებით [10], რაც, თავის მხრივ, გულისხმობდა კოფი ანანის გეგმის მხარდაჭერასაც. რეფერენდუმის შედეგების თანახმად, გაერთიანების სურვილს კვიპროსის თურქული ნაწილის მოსახლეობის 65% გამოთქვამდა, ხოლო ბერძნების - 25%. რეფერენდუმის ამგვარი შედეგები განპირობებული იყო ბერძნების უკმაყოფილებით, რაც განსაკუთრებით მწვავედ გამოიხატებოდა თურქული სამხედრო კონტიგენტის სადემარკაციო ხაზთან განუსაზღვრელი ვადით ყოფნის შესაძლებლობით. ბერძნული მხარისთვის ასევე მიუღებელი იყო გეგმის ის ნაწილი, რომელიც გულისხმობდა, კვიპროსელი თურქების მხრიდან ტერიტორიის მხოლოდ 7%-ის დათმობას, კვიპროსელი ბერძნების სასარგებლოდ [11].

კვიპროსის ბერძნული ნაწილის მაშინდელი პრეზიდენტის განცხადებით, რეფერენდუმისთვის მხარის არდაჭერა განპირობებული იყო ანანის გეგმის პროთურქული შინაარსით. ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის თვითაღიარებულმა მთავრობამ კი განაცხადა, რომ გაერთიანება ვერ მოხდებოდა, თუმცა თანხმობას აცხადებდა ჩრდილოეთ და სამხრეთ კვიპროსი ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სუბიექტებად შესულიყვნენ ევროპულ კავშირში. 2004 წლის მაისში კვიპროსის ბერძნული ნაწილი ევროკავშირის წევრი გახდა, რასაც ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის იმჟამინდელი პრეზიდენტის, დუნთაქშის მწვავე რეაქცია მოჰყვა. ევროკავშირში სამხრეთ კვიპროსის გაწევრიანებით თურქეთის რესპუბლიკას ირიბად ეთქვა უარი ევროპულ კავშირში სამომავლო წევრობის პერსპექტივაზეც. თურქეთი 1983 წლიდან უშედეგოდ ცდილობს გახდეს ევროპული თანამეგობრობის წევრი სახელმწიფო. ის აქტიურად ცდილობდა ჩართულიყო ევროპეიზაციის პროცესში, თუმცა მისი ყოველი მცდელობა ფუჭი იყო. დღევანდელი მდგომარეობითაც, თურქეთის მოქმედებები კვიპროსში არაკანონიერია და ის არღვევს საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ნორმებს და წესებს.

ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტის და კვიპროსის ორად გაყოფის გამო, კუნძულის მოსახლეობას გადაადგილება შეეზღუდა.

სამხრეთელ კვიპროსელებს გაურთულდათ ჩრდილოეთ ნაწილში გადასვლის, იქ ცხოვრების და მუშაობის უფლების მოპოვება და პირიქით. ამ საკითხზე პირველი პრეცედენტი, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განსახილველად შევიდა, იყო მოქალაქე ლოიზიდუს საქმე. პირი თურქეთს უჩიოდა საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, რადგან ჩრდილოეთ კვიპროსი (სადაც განმცხადებლის ქონება მდებარეობდა) თურქეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორია იყო, ხოლო ლოიზიდუს ეზღუდებოდა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობა. მიუხედავად თურქეთის მთავრობის განმარტებისა, რომ კვიპროსელი თურქები დამოუკიდებლად მოქმედებენ თავიანთი თვითგამორკვევის უფლების ფარგლებში და დამოუკიდებლად ახორციელებენ საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიის ადმინისტრირებას, ევროპულმა სასამართლომ თურქეთი უფლების დამრღვევად ცნო. სასამართლომ იხელმძღვანელა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით [12].

კვიპროსში მიმდინარე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით დასავლური სტრუქტურები, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში, ერთსულოვნად აღიარებენ, თურქეთის მიერ ჩრდილოეთ კვიპროსში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს.

თანამედროვე მსოფლიოს წესრიგში, თურქეთის ურთიერთობები საბერძნეთთან და კვიპროსის პრობლემის დარეგულირება, ევროკავშირის ჭრილში განიხილება. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში არსებულ უთანხმოებას, კვიპროსის პრობლემასთან ერ-

თად, საფუძვლად უდევს კუნძულის სტატუსის საკითხის გადაწყვეტის გარეშე არსებობა და მხარეთა პრეტენზიები კონტინენტურ შელფზე, ეგეოსის ზღვის აკვატორიასა და საჰაერო სივრცეზე.

საერთაშორისო აქტორების მოქმედება კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. გაეროს გარდა, კვიპროსის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში, აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირიც. ევროკავშირში გაწევრიანების პირობები განისაზღვრა კოპენჰაგენის 1993 წლის სამიტზე [13].

კოპენჰაგენის კრიტერიუმები ითვალისწინებს შემდეგს: 1) ქვეყანამ უნდა შექმნას სტაბილური ინსტიტუტები, რომლებსაც შეუძლიათ დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და უმცირესობებისადმი პატივისცემის და მათი დაცვის უზრუნველყოფა; 2) ქვეყანაში უნდა არსებობდეს მოქმედი საბაზრო ეკონომიკა, კონკურენციის ზეწოლისა და ევროკავშირის ფარგლებში საბაზრო ძალებისთვის თავის გართმევის შესაძლებლობა; 3) წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებების საკუთარ თავზე აღების უნარი; ამ ვალდებულებებს შორის არის პოლიტიკური, ეკონომიკური და მონეტარული ასპექტების ევროკავშირის მიზნებთან შესაბამისობა [12].

ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის შეტანა შეუძლია იმ ქვეყანას, რომელიც ითავისებს ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლში ჩამოთვლილ ღირებულებებს. აღნიშნული მუხლი მოიცავს როგორც გეოგრაფიულ არეალს (ევროპის საზღვრებში მყოფი ქვეყნები), ასევე პოლიტიკურ (ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა, ცხოვრების მაღალი დონე, ძლიერი ეკონომიკა) კრიტერიუმებს. ევროპულ კავშირში გაწევრიანების სურვილი კვიპროსმა 1990 წელს გამოთქვა, რამაც გააჩინა იმედი, რომ ეს ნაბიჯი გააადვილებდა მისი ტერიტორიული პრობლემის მოგვარებას და პოლიტიკური შეთანხმების საფუძველი გახდებოდა, თუმცა თურქეთისა და კვიპროსელი თურქების რეაქცია ამ ინიციატივასთან დაკავშირებით მწვავე იყო. გაწევრიანების თაობაზე აქტიური მოლაპარაკებების დროს (1998 წელი), დენქტამ უარი თქვა პროცესში მონაწილეობაზე. კვიპროსელი თურქების უარის მიუხედავად, საინტერესო იყო თურქეთის მთავრობის დაინტერესება ამ პროცესის მიმართ, ვინაიდან თურქეთისთვის კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილი პოლიტიკური ვაჭრობის ინსტრუმენტად გადაიქცა [14. 4].

კვიპროსელი თურქების დამოკიდებულება, კერძოდ მოლაპარაკებების დასაწყისში თავდაპირველი პოზიცია თითქოს დათბა მომდევნო ორი წლის განმავლობაში. ჩრდილოეთ კვიპროსის ლიდერმა თანხმობა განაცხადა, „მოესმინა“ გაეროს გენერალური მდივანის კოფი ანანის შემოთავაზებისთვის. ეს გახლდათ პირველი ნაბიჯი, დაძაბული ურთიერთობის აღდგენის მცდელობისა [9].

2004 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მდივნის, კოფი ანანის გეგმა წარედგინა მხარეებს. დოკუმენტი გულისხმობდა კონფლიქტის საბოლოო მოგვარების გზებს. ანანის გეგმის მთავარ მიზნად განიხილებოდა შემდეგი:

- განუყოფელი სუბიექტის ორი თანაბარუფლებიანი კავშირი, საერთო მოქალაქეობით;
- პროპორციულად არჩეული მმართველი საბჭო, როტაციული პრინციპით;
- გარდამავალი მთავრობა, არჩეული სამი წლის ვადით;
- ორპალატიანი პარლამენტი (თითოეულ თემის 48 წარმომადგენლით პალატაში).

ამ გეგმის თავისებურება ისიც გახლდათ, რომ მიუხედავად კვიპროსის „თავისუფალ სუბიექტად“ აღიარებისა და გაერთიანებისა, საბერძნეთს და თურქეთს ეძლეოდა უფლება შენარჩუნებინათ კუნძულზე 6000-კაციანი სამხედრო კონტიგენტი. აღნიშნული გეგმის შესრულებას ხელს უშლიდა შეუთანხმებლობა ტერიტორიების მმართვა-ადმინისტრირების საკითხში, კერძოდ, თურქულ მხარეს მათი კონტროლის ქვეს მყოფი ტერიტორიის 7% უნდა დაეთმო, ხოლო ბერძნული მხარე ითხოვდა 80000 თურქ კვიპროსელს დაეტოვებინა კვიპროსის ბერძნული ნაწილი [15].

ბერძნული მხარისთვის ასევე მიუღებელი იყო, თურქეთის შეიარაღებული ძალების შენაერთების კვიპროსის ტერიტორიაზე დარჩენა.

ანანის გეგმას კვიპროსის ბერძნულმა თემმა მხარი არ დაუჭირა, რამაც გეგმის ჩავარდნა გამოიწვია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმჟამინდელი მდივანის კოფი ანანის დაუღალავი შრომის მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა კომპრომისის მიღწევა კვიპროსის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილში. თურქულმა მხარემ არ დათმო პოზიციები და არ შე-

არბილა „პოლიტიკა“ კვიპროსის საკითხთან დაკავშირებით.

ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის“ ლიდერები ითხოვდნენ, ევროკავშირში კვიპროსის კუნძულის ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით შესვლას.

მიუხედავად რიგი მცდელობებისა, მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, რის გამოც შეჩერდა მოლაპარაკებები ევროკავშირთან. საბერძნეთი ითხოვდა (და ახლაც ითხოვს) თურქეთის მიერ კვიპროსის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებას, რაც თურქეთისთვის პრინციპული საკითხია. 2008 წლის აპრილიდან, თითქოს გაჩნდა კვიპროსის ორ თემს შორის ურთიერთობათა ნორმალიზების ნიშნები, როდესაც მოლაპარაკების შედეგად გაიხსნა კუნძულის დედაქალაქ ნიქოზიაში ბლოკირებული გასასვლელი და დაპირისპირებულ მხარეებს მიეცათ შესაძლებლობა ნორმალური ურთიერთობის აღდგენისა. თუმცა, ეს არ არის საკმარისი კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილის ევროკავშირში ინტეგრაციისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ კვიპროსის რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა მოუგვარებელი დარჩა, 2004 წლის პირველ მაისს, კვიპროსის ბერძნული ნაწილი ევროკავშირის წევრი გახდა. სამხრეთ კვიპროსის ევროკავშირში ინტეგრაციამ თურქებს გარკვეული უნდობლობა გაუჩინა ამ ინსტიტუტის მიმართ, რადგან სამხრეთ კვიპროსის გაწევრიანება ევროკავშირში ძალზედ გაჭიანურებულია.

მას შემდეგ, რაც კვიპროსის ბერძნული ნაწილი შევიდა ევროკავშირში (2004 წ.), მისი ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. დღეს, სამხრეთ კვიპროსში მოსახლეობის განათლების დონე საკმაოდ მაღალ საფეხურზეა. ეკონომიკურ ნაწილს რაც შეეხება, კვიპროსი ევროკავშირის ქვეყნების სამეულში შედის, ერთ სულ მოსახლეზე დახარჯული თანხის მიხედვით. ასევე, კარგად შემუშავდა ფისკალური პოლიტიკა და საკმაოდ შემცირდა ბიუროკრატიული ბარიერები, რაც ხელს უწყობს განათლების დონის ზრდას ქვეყანაში. ამჟამად, ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი ნაწილი არის მომსახურების სექტორი, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP), დაახლოებით, 73%-ს შეადგენს, ხოლო დასაქმებული მოსახლეობის - 75%-ს. სოფლის მეურნეობისა და წიაღისეულის მოპოვების სექტორები GDP-ის მხოლოდ 3%-ია, რაც სამუშაო ადგილების 4%-ს მოიცავს. მრეწველობა კი GDP-ს 5,6%-ს შეადგენს [16].

ევროკავშირის მხრიდან დიდი ყურადღება ეთმობა ტურიზმის განვითარებას და ხელშეწყობას კვიპროსში. 1976 წლიდან 2018 წლამდე GDP ერთ სულ მოსახლეზე 15%-ით გაიზარდა [17].

2021 წლის მონაცემებით, კვიპროსის ეკონომიკის 28%-ს წარმოადგენს ექსპორტი [17].

ამ შედეგების გათვალისწინებით, ევროკავშირი კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილისთვის კიდევ უფრო მიმზიდველია. ევროინტეგრაციის პროცესისადმი ჩრდილოეთ კვიპროსის ინტერესის გაზრდა გააჩენს შესაძლებლობას სამხრეთ კვიპროსთან ურთიერთობების დარეგულირებისათვის და ხელს შეუწყობს ქვეყნის გაერთიანების საკითხს. მით უფრო, 2015 წელს, ჩრდილოეთ კვიპროსის არაღიარებული რესპუბლიკის სათავეში პრეზიდენტ აკინჯის მოსვლით თითქოს ნორმალიზდა ურთიერთობა ორ თემს შორის. დე-ფაქტო პრეზიდენტმა თანხმობა განაცხადა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე [2. 78].

2017 წელს, მოლაპარაკება კრანს მონტანაში მიმდინარეობდა. ამ შეხვედრის მთავარი თემა ტერიტორიული ადმინისტრირების საკითხი იყო. ბერძნულმა თემმა დააყენა მოთხოვნა თურქეთის ჯარების კვიპროსის ტერიტორიიდან გაყვანის თაობაზე, რამაც „ისტორიული შიში“ გააღვიძა კვიპროსელ თურქებში, ენოსისის აღმოცენებასთან დაკავშირებით. მოლაპარაკებები კუნძულის გაერთიანების თაობაზე ამ ეტაპზეც უშედეგოდ დასრულდა.

კვიპროსის პრობლემის მოგვარების საკითხს მრავალი ფაქტორის გაანალიზება სჭირდება. კვიპროსის პრობლემას რამდენიმე განზომილება აქვს - გლობალური და რეგიონული დონე. გლობალურ დონეზე დგას გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ინტერესი. დღემდე, დიდი ბრიტანეთის ინტერესი არის კუნძულზე სუვერენული მიწების (ასეთი ორი ერთეულია, სადაც დიდი ბრიტანეთის სამხედრო ბაზებია განლაგებული) შენარჩუნება. საფრანგეთი კი კვიპროსის საკითხს ეფექტურად იყენებდა და იყენებს თურქეთის ევროპული ამბიციების წინააღმდეგ. იგი ხშირად აპელირებდა, რომ თურქეთს არ გააჩნია ევროპული იდენტობა, განსხვავებული კულტურის და რელიგიის გამო. ასევე,

თურქეთის მიერ ჩრდილოეთ კვიპროსის ოკუპაციამ, საფრანგეთს კიდევ ერთხელ დაუდასტურა ეჭვები იმის შესახებ, რომ თურქეთის „ადგილი“ ევროკავშირში არ არის (თუმცა საფრანგეთს პრობლემის მოგვარებაში ღიად გამოხატული დაინტერესება არ გააჩნია). რაც შეეხება რუსეთის მიერ კვიპროსის მიმართ გამოხატულ მხარდაჭერას, ეს იწვევდა ბერძნული თემის პოზიტიურ დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ. ბერძნულ-კვიპროსული მოსახლეობა რუსეთის პოზიციაში ხედავდა არა კრემლის გეო-სტრატეგიულ ინტერესებს შავ ზღვაზე, თურქეთის წინააღდეგ, არამედ „რელიგიური-ქრისტიანული“ სოლიდარობის ნიშანს. ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესი კონფილქტის მოგვარებაში კი განპირობებულია მხოლოდ ერთი ფაქტორით - არ დაზიანდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პრესტიჟი (საბერძნეთიც და თურქეთიც NATO-ს წევრები არიან და ეს კონფლიქტი, რომელიც წლებია მოუგვარებელია ალიანსს შიგნით, ორგანიზაციის ეფექტურობის საკითხს ეჭვქვეშ აყენებს).

რაც შეეხება კონფლიქტის არსებობას ლოკალური დონეზე, ბერძნულ-კვიპროსულ და თურქულ-კვიპროსულ თემებს შორის შეთანხმების მიღწევა აუცილებელია. მნიშვნელოვანია მოხდეს კონსოლოდაცია თემებს შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში, გლობალურ დონეზე აქტიური ჩართულობის მიუხედავად, პრობლების მოგვარება შეუძლებელი იქნება, რაც აჩვენა წარსულმა გამოცდილებამაც - მიუხედავად არაერთი მცდელობისა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, ყველა მოლაპარაკება პოლიტიკური კრახით დასრულდა. იკვეთება, რომ კუნძულის გაერთიანების პრობლემას ისტორიულ-კულტურულ-ეთნიკური განსხვავებულობის ფესვები გააჩნია. როგორც კონფლიქტოლოგი რიჩმონდი აღნიშნავს, კვიპროსის ორივე თემი ერთმანეთის მსხვერპლია, რომელიც ეთნო-ნაციონალიზმზე დგას [18. 147].

საერთაშორისო ფაქტორების გათვალისწინებით, კვიპროსის კონფლიქტმა ტრანსფორმაცია განიცადა. 2004 წელს, კვიპროსის სამხრეთ ნაწილის ევროკავშირში ინტეგრაციამ ხელი შეუწყო ორ თემს შორის უფრო მჭიდრო კომუნიკაციას, „მწვანე ხაზის“ გავლით მოსახლეობის თავისუფალ გადაადგილებას, სავაჭრო და ფინანსური ურთიერთობების დასტაბილურების პროცესს. ევროკავშირმა შეიმუშავა პროგრამა (TRNC) თურქული ნაწილის ეკონომიკურ-სამართლებრივი დონის ამაღლების შესახებ. პროგრამის მიზანი იყო კვიპროსის თურქული თემის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, ჩრდილოეთ კვიპროსში სრულფასოვანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, თურქ-კვიპროსელთა დაახლოება ევროპის ქვეყნების მოქალაქეებსა და სამთავრობო ინსტიტუტებთან, ჩრდილოეთ კვიპროსის კანონმდებლობის რეფორმირება, რაც გაუადვილებდა ჩრდილოეთ კვიპროსს შემდგომ ინტეგრაციას ევროკავშირში [19. 7].

თურქ-კვიპროსელთა მიმართ მხარდამჭერ ღონისძიებებში საგულისმოა შემდეგი მიმართულებები: დასაქმება კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე; ოკუპირებულ ზონაში წარმოებული საქონლის გადაადგილების ხელშეწყობა კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე; კვიპროსელი თურქების სამედიცინო დახმარება კვიპროსის მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე; საქონლის ექსპორტი ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებში კვიპროსის კანონმდებლობის შესაბამისად; კვიპროსის ოკუპირებულ ნაწილში ადგილობრივი პროექტების ფინანსური მხარდაჭერა; თურქ-კვიპროსელთა მონაწილეობა ადგილობრივ და ევროპულ საპარლამენტო არჩევნებში; მწვანე ხაზის ორივე მხარეს მდებარე ადგილობრივ ადმინისტრაციებს შორის თანამშრომლობა [20].

„ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკასთან“ ამ მიმართულებებით მუშაობა ხელს შეუწყობდა ორ თემს შორის ურთიერთობის დარეგულირებას. ვაჭრობა არის მთავარი „საბრძოლო“ ინსტრუმენტი, რომელიც აადვილებს კვიპროსის ურთიერთობას ოკუპირებულ ტერიტორიასთან. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ საკითხებში ამ ორი თემის ლიდერები ვერ თანხმდებიან, ეკონომიკა და ვაჭრობა რჩება ძლიერ ბერკეტად, რომელმაც შეიძლება სამომავლოდ აღმოფხვრას მრავალწლიანი კონფლიქტი.

კვიპროსის კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაცია

კვიპროსის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში მიუხედავად დადებითი ძვრებისა, ჯერჯერობით, ნაადრევია კონფლიქტის

საბოლოოდ აღმოფხვრაზე საუბარი, რადგან მხარეებს შორის მოლაპარაკებები ადრეც მისულა გარკვეულ წერტილამდე, რასაც ხელშესახები შედეგი არ მოჰყოლია. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ წინა მოლაპარაკებების დროს თურქეთი არ იყო დაინტერესებული კუნძულის საკითხის დარეგულირებაში იმ ხარისხით, რამდენადაც დღეს არის. მართალია, თურქეთის რესპუბლიკის წარმომადგენლობა ცდილობს, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე შეამციროს კუნძულის პრობლემების აქტუალობა და მხოლოდ თემთაშორის მოურიგებლობად წარმოაჩინოს, თუმცა ნათელია, რომ კვიპროსის საკითხი თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობების ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა, რომელიც დღემდე გადაუჭრელი რჩება. საკითხი დიდი ხანია გასცდა საკუთრივ კვიპროსის საზღვრებს.

ევროკავშირში კვიპროსის გაწევრიანება, არსებული კონფლიქტური მდგომარეობის გათვალისწინებით, არის საინტერესო პრაქტიკა, კერძოდ, მიუხედავად ეთნოკონფლიქტისა, ევროპულმა თანამეგობრობამ კვიპროსს მხარი დაუჭირა, მაშინ, როდესაც იგივე მდგომარეობის პირობებში საქართველო ვერ ახერხებს ინტეგრაციას ვერცერთ საერთაშორისო რეგიონულ ორგანიზაციაში.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მეორე მსოფლიო ომმა და შემდეგ ცივი ომის დასრულებამ ხელი შეუწყო ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებას. ახალ მსოფლიო წესრიგში გაჩნდა პრობლემები, რომლებიც უკავშირდებოდა კონფლიქტების ერთგვარ „ტრანსფორმაციას“. თუკი 1945 წლამდე შეიაღაღებული კონფლიქტები სახელმწიფოებს შორის მიმდინარეობდა, ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში, კონფლიქტები გააქტიურდა სახელმწიფოებს შიგნით, ხშირ შემთხვევაში ეთნიკურ ნიადაგზე. ამისთვის საჭირო გახდა გლობალური მშვიდობის კონცეფციის შექმნა. ეს როლი კი გაეროს გენერალურმა ასამბლეამ იტვირთა. ოლივერ რიჩმონდის მოსაზრებით, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანი გახდა მშვიდობის შენარჩუნება, უფრო კონკრეტულად - ომის დასრულება, შეჩერება და არა მართვა. ეს განპირობებული იყო აგრესიული ომის დასრულების სურვილით [18. 140-146].

მშვიდობის ან თუნდაც მშვიდობიანი მოლაპარაკების ცნება ხშირად გამოიყენება სამეცნიერო ნაშრომებში და მისი არსი გულისხმობს მცდელობას - მიღწეული იქნეს ძალადობისგან თავისუფალი მსოფლიო თანაარსებობა. მშვიდობიანი მსოფლიოს არსებობის თეორია შემოთავაზებულია მკვლევარ იოჰან გალტუნგის 1964 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „პოზიტიური და ნეგატიური მშვიდობა“. ნაშრომი ეფუძნება მშვიდობის კონცეფციის კვლევას (მშვიდობა და არა კონფლიქტი, თუმცა ეს ორი საკითხი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია). გალტუნგმა განსაზღვრა მშვიდობის ორგვარი გაგება: ნეგატიური და პოზიტიური მშვიდობა. ნეგატიური მშვიდობა დაკავშირებულია ომის არარსებობის პრინციპთან, რაც თავისთავად გამორიცხავს ძალადობას, ხოლო პოზიტიური მშვიდობის კონტექსტში საუბარია სტრუქტურულ ძალადობაზე, იგივე ჰუმანურ ინტეგრაციაზე. ნეგატიური მშვიდობა შეიძლება განხილული იყოს როგორც მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი ვექტორი, მით უფრო, რომ დღევანდელი მსოფლიო მულტილატერალიზმის საუკეთესო მაგალითია. სხვა სიტყვებით, მშვიდობის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანია კოორდინირებული მოქმედება (განსაკუთრებით საგულისხმოა გაეროს წესდება, ჟენევის კონვენციები, ჰააგის რეგულაციები. კერძოდ, აუცილებელია ქვეყნების ჩართულობა აღნიშნული სამართლებივი აქტების დაცვის საკითხში) [18. 140-146].

იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე კვლევის საგანს წარმოადგენს თურქეთ-კვიპროსის კონფლიქტი და მისი ტრანსფორმაცია პოზიტიური მშვიდობის ჭრილში, გალტუნგის თეორიების ანალიზი მნიშვნელოვანია საკითხის უკეთ გააზრებისთვის. ჟან პოლ ლოდერაქის ტრანსფორმაციული მშვიდობის თეორიის თანახმად, კონფლიქტი დაუსრულებელი პროცესია, ხშირ შემთხვევაში გადაუჭრელი, ამიტომ მისი ფორმის ცვლილების გზაა მოსაძებნი. გზა ტრანზიციიდან-შერიგებამდე [21].

კვიპროსის კონფლიქტის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად მოსახლეობის ეთნიკური განსხვავებულობა სახელდება. ეთნოკონფლიქტების გადაჭრა კი დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მიშელ ბრაუნის განმარტებით, ეთნოკონფლიქტის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი არსებობს: 1) ერთი სახელმწიფოს შიგნით კონფლიქტში „ჩართული“ ჯგუფები იყოფა ეთნიკური ნიშნით; 2) ხდება ერთ სახელმწიფოში მცხოვრები „კონფლიქტური მხარეების“ წაქეზება გარკვეული პოლიტიკური აქტორების მი-

ერ; 3) ეთნოკონფლიქტი შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ორგანული, ისე გარე მესამე ძალის მიერ მართული პროცესებით [22. 114-125].

ასევე, არსებობს ეთნიკური კონფლიქტის ისეთი ფორმაც, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის „დომინანტი ეთნოსი“ ჩაგრავს ან ავიწროებს უმცირესობაში მყოფ ეთნოსს [22. 128].

ეს უკანასკნელი გამოვლინდა სერბებს და ალბანელებს შორის არსებული დაპირისპირების დროს. ბრაუნის თეორიაზე დაყრდნობით, თურქეთ-კვიპროსის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების ანალიზისას იკვეთება შემდეგი:

1) კუნძული კვიპროსი დასახლებულია ეთნიკურად ბერძენი და თურქი მოსახლეობით, რაც სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლების ერთ სახელმწიფოში ცხოვრებაზე მიუთითებს;

2) რაც შეეხება პოლიტიკური ფაქტორების გავლენას ეთნოკონფლიქტზე, აღნიშნული იკვეთება განსახილველ შემთხვევაშიც, კერძოდ, კვიპროსი 2004 წლიდან არის ევროკავშირის ნაწილი, ხოლო თურქეთი, რომელიც კონფლიქტის მონაწილე მხარედაა მიჩნეული, არის ნატოს წევრი სახელმწიფო. საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაციები კი გარკვეულ პოლიტიკურ ამინდს ქმნიან რეგიონში. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრობა, მოიაზრებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებში კონფლიქტური რეგიონების არსებობას [23];

3) რაც შეეხება მესამე ფაქტორს, როდესაც ეთნოკონფლიქტი შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც შინაგანი (ორგანული) ფაქტორებით, ასევე მესამე ძალის ჩართულობით, განსახილველ შემთხვევაში აღნიშნულიც იკვეთება, კერძოდ, თურქეთი, როგორც ოკუპაციის განმახორციელებელი მხარე, ჩართულია კონფლიქტში.

აქედან გამომდინარე, თურქეთ-კვიპროსის კონფლიქტი დაწყებულია მინინაციონალიზმით, რაც გაღრმავდა და გადაიზარდა ეთნიკურ კონფლიქტში. როგორც ბრაუნი აღნიშნავს, კონფლიქტის წარმოშობას ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ ერთი სახელმწიფო, ან სახელმწიფოში არსებული ჯგუფი თავს ახვევს საკუთარ ინტერესებს სხვებს. კონფლიქტური სიტუაციების დროს სახეზეა როგორც პოლიტიკური ინტერესების გატარების ფაქტები, ისე ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინება კონფლიქტის ესკალაციის ან დეესკალაციისთვის. მათ შორის, კონფლიქტის დროს აქტიურად გამოიყენება როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური სანქციები „დამნაშავე“ სახელმწიფოს მიმართ.

კონფლიქტის მოგვარების თანამედროვე კონცეფცია კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით გადაჭრას გულისხმობს. თავად პრობლემის მოგვარების პროცესი საკმაოდ რთული გზა არის. ის შეიძლება გამოიხატოს როგორც კონფლიქტის შეწყვეტით/მოგვარებით, ასევე კონფლიქტის ტრანსფორმაციით. კონფლიქტური ურთიერთობა განიხილება როგორც პოლიტიკური ძალადობის შედეგი, რაც გამომდინარეობს მხარეთა განსხვავებული შეხედულებებიდან, მათ შორის ისტორიული წარსულის, გარკვეულ ტერიტორიაზე ხელისუფლების დანაწილების და სხვ. საკითხების შესახებ. ამგვარი შეხედულების გამო, „საპირისპირო“ მხარეს აიძულებენ იმოქმედოს მისი ნების საწინააღმდეგოდ, მათ შორის დათმოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი [24. 78].

კონფლიქტის მოგვარების ასეთი ფორმატი წარუმატებელია ორივე მხარისთვის. ამან შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტის დროებით შეჩერება და მისი „გაყინულ“ ფაზაში გადაყვანა. გაყინულ ფაზაში კონფლიქტის გადაყვანა კარგავს გარკვეულ სიმწვავეს (ღია ცეცხლი/საომარი მოქმედება მხარეებს შორის შეჩერებულია), თუმცა კონფლიქტის ძირითადი პრობლემის აღმოფხვრა ვერ ხერხდება [24. 80].

ასეთ დროს, მხარეებისთვის მნიშვნელოვანია ცეცხლი შეწყდეს კონკრეტულ ვითარებაში, ანუ კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა უარი თქვან ძალის გამოყენებაზე, თუმცა კონფლიქტის მიზეზი შესაძლოა კვლავ გადაუჭრელი დარჩეს. კონფლიქტის დროს მშვიდობის შენარჩუნების ეს ფორმატი მიჩნეულია ნეგატიურ მშვიდობად, როცა უშუალოდ სამხედრო მოქმედებები ჩერდება და კონფლიქტი იყინება ერთ წერტილში, არ არსებობს პოლიტიკური ძვრები მხარეებს შორის [25. 71].

კონფლიქტის დარეგულირების მეორე მეთოდი გულისხმობს კონფლიქტის მოგვარებას, მონაწილე მხარეების და სხვა საერთაშორისო აქტორების შეთანხმებული ურთიერთქმედებით. ამ მეთოდის გამოყენებისას ხორციელდება კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების სიღრმისეული ანალიზი, რომელიც მიზნად ისახავს მოწინააღმდეგე მხარეების პოზიციების მაქსიმალურ დაახლოებას და ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების დაკმაყოფილებას, შეთანხმების მიღწევით.

კონფლიქტის დასრულების ამგვარი გზა საუკეთესო გამოსავალია, რადგან ამ შემთხვევაში არც ერთ მხარეს არ მიენიჭება უპირატესობა. მხარეებს აქვთ შესაძლებლობა შეისწავლონ საკუთარი პოზიციები და დასახონ კონფლიქტის მიზეზის აღმოფხვრის გზები. კონფლიქტების მოგვარებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ის კომპეტენტური აქტორები, რომლებიც უშუალოდ ურთიერთობენ კონფლიქტის მხარეებთან (მედიატორის, შუამავალის როლი გარე აქტორისთვის, რომელიც უშუალოდ კონფლიქტში მონაწილე მხარე არ არის, თუმცა დიდი პასუხისმგემლობა აქვს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დასრულებაზე). შესაბამისად, აღნიშნული მეთოდი უზრუნველყოფს კონფლიქტის გადაჭრის ყველა მონაწილისათვის მისაღები და ეფექტიანი გეგმის შემუშავებას [26. 55].

კონფლიქტის მოგვარება გულისხმობს პირდაპირი და სტრუქტურული ძალადობის აღმოფხვრას. მისი მიზანია პოზიტიური მშვიდობის მიღწევა. ეს მოდელი მოიცავს კონფლიქტური ურთიერთქმედების ძალადობრივი და დესტრუქციული ფორმების აღმოფხვრას, რომელთა მიზეზები შესაძლოა იყოს კონფლიქტის მხარეების დაუსაბუთებელი ინტერესები [24. 78].

კონფლიქტის დარეგულირების კიდევ ერთი ფორმა მისი ტრანსფორმაციაა. კონფლიქტის მონაწილე მხარეთა ურთიერთქმედება ასახავს კონფლიქტის ისეთ ფორმას, რომელიც სცდება ნებისმიერ ლოკალურ მდგომარეობას, ანუ ნებისმიერი სახის კონფლიქტი გარკვეულ გავლენას ახდენს როგორც რეგიონზე, ისე სხვა აქტორების ურთიერთობაზე.

პოზიტიური მშვიდობის თეორიის მიმდევარმა, ჯონ პოლ ლედერახმა, შემოიტანა კონფლიქტის ტრანსფორმაციის ცნება. მისი აზრით, ტრანსფორმაცია არის დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობის, ინტერესების, საზოგადოებრივი სტრუქტურული გარდაქმნის ოპტიმალური შესაძლებლობა. „ტრანსფორმაციის პროცესი მოიცავს სოციალური ორგანიზაციისა და რეალობის ტრანსფორმაციასა და რეკონსტრუქციას“ [21. 17].

თავად პოზიტიური მშვიდობის ტრანსფორმაციის პროცესი იყოფა რამდენიმე ეტაპად: მოსამზადებელი, მოლაპარაკების, გარკვეული თანხმობის და შერიგების ეტაპები. ეს უკანასკნელი უმთავრესი ეტაპია კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის პროცესში და მშვიდობის მშენებლობის თეორიების (peacebuilding theories) პრაქტიკაში [21. 19].

კვიპროსის შემთხვევა კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის მაგალითია. ზოგადად, კონფლიქტის ტრანსფორმაცია არის გრძელვადიანი, დინამიკური პროცესი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა აქტორს როგორც კონფლიქტის მონაწილე მხარეებს, ისე მედიატორ ან შუამავალ აქტორებს (მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებს). კონფლიქტის მოგვარების პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება მოლაპარაკებას. მაგალითად, მას შემდეგ, რაც კვიპროსზე ვითარება დაიძაბა, გარე აქტორების ჩართულობა გაიზარდა. თავდაპირველად, გაეროს გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა მხარეებს შორის კონსტრუქციული დიალოგის უზრუნველყოფისათვის. განსაკუთრებით საგულისხმოა „ანანის გეგმა“.

მართალია, მოლაპარაკების პროცესში გაეროს გენერალური მდივნის, კოფი ანანის აქტიური ჩართვა ეფექტიანი არ აღმოჩნდა, თუმცა გრძელვადინი მშვიდობის დამყარების პროცესში საკმაოდ დიდი როლი ითამაშა მისმა გეგმამ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გეგმა წარმატებული არ იყო და რეფერენდუმის შედეგებით გაირკვა, რომ კვიპროსის ბერძნულ-თურქული თემი არ აღმოჩნდა შერიგებისთვის მზად, მაინც საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სწორედ ამ ქმედებებმა დაუდო საფუძველი კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციას. 2003 წლიდან, „მწვანე ზოლი“, რომელიც კუნძულს ორ ნაწილად ჰყოფდა, კვიპროსის თურქულმა მხარემ გახსნა კიპროსის ბერძნული მხარისთვის. მალევე ბერძნულმა მხარემაც იგივე გააკეთა. ამ ქმედებებმა ხელი შეუწყო კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობის დამყარებას. ასევე, კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაცია განაპირობა ევროკავშირში კვიპროსის სამხრეთ ნაწილის გაწევრიანებამ. სწორედ ევროკავშირმა შეუწყო ხელი კვიპროსელი თურქების დაინტერესებას, ეკონომიკურსავაჭრო მიმართულებით ეწარმოებინათ ურთიერთობა კვიპროსელ ბერძნებთან. სწორედ ამ შესაძლებლობამ გააჩინა პირველი ნაბიჯი დაპირისპირებულ თემს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციისკენ. გაჩნდა იმედი, რომ ერთმანეთთან მოლაპარაკება, მშვიდობის შენარჩუნება შესაძლებელია მეტი ეკონომიკური თანამშრომლობით. სამოქალაქო საზოგადოება გაიზარდა ორივე თემში, კვიპროსის ბერძნულ-

თურქული ორგანიზაციები ერთმანეთთან ახერხებენ დიპლომატიური ენით საუბარს. ყინული დაიძრა, ნდობის აღდგენის სამშვიდობო პროცესი დაიწყო და ადამიანურ დონეზე აქტიურ ფაზაში გადავიდა, რაც წინაპირობაა წარმატებული პოლიტიკური მოლაპარაკებებისა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ დონეზე თანხმობა ჯერ მიღწეული არ არის და კვიპროსის პრობლემა კვლავ გადაუჭრელი რჩება [27. 271-272].

კვიპროსის კონფლიქტის მოგვარების საკმაოდ გრძელ გზაზე ბევრი პრობლემის არსებობის მიუხედავად, მხარეთა შორის დღეს არსებული ვითარება საინტერესო პრეცედენტია კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის ჭრილში - თუ როგორ შეიძლება მხარეთა პოზიციების დაახლოება და ურთიერთობების ნორმალიზება.

KHATIA VASADZE

THE ROLE OF INTERNATIONAL ACTORS IN THE POSITIVE TRANSFORMATION OF THE CYPRUS CONFLICT

Summary

The development of trust between Greek and Turkish Cypriots was a vital issue for the settlement of the Cyprus conflict. Efforts expressed by United Nations, the USA, and various European countries during the past few decades, have aimed to build trust among Cypriots and develop a common Cypriot identity.

Despite the fact that Kofi Anan's Plan has not had sufficient influence on the conflict, since both parts were skeptically determined regarding the bicommunal state, it's without a doubt that this effort played a positive role in a long-term perspective, that has been reflected in the current situation.

The presented article discusses the chronological order of events conducted by International Actors within the framework of the Cyprus conflict and the main reasons of the positive transformation of mentioned conflict.

Key Words: Cyprus, Turkey, Greece, Conflict Resolution, International Actors, United Nations, European Union, Positive Transformation.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Rossides E., Cyprus and the Rule of Law, Syracuse Journal of International Law and Commerce, Syracuse University, Vol. 17, N1, 1991, იხ., https://bit.ly/39wiHsx [03.05.2022].
2. Carter J., Irani G., Volkan V., Regional and Ethnic conflicts Perspectivs from the front lines, 2009, 58.
3. The Cyprus Question, Resolution of March 1964, იხ., https://bit.ly/3yjOrvz [03.05.2022].
4. United Nations Security Council Resolutions, იხ., https://bit.ly/3P9OxvN [03.05.2022].
5. მაკარაძე ე., გოგიტიძე მ., კვიპროსისი საკითხი აღმოსავლურ პოლიტიკაში XX საუკუნის 60-80-იან წლებში, ბათუმი, 2000, 43.
6. ალექსიძე ლ., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, გიორგაძე ლ., კვაჭაძე მ., და სხვ რედაქტორობით, თბილისი, 2005, 283.
7. UN General Assembly Documentation, იხ., https://bit.ly/38QtbCC [03.05.2022].
8. Conflict in Cypress gains new urgency, Resolution sought amid, იხ., news.pseka.net/index.php?id
9. Asmussen J., Cyprus after the failure of the Annan-Plan, European Centre for Minority Issues, ECMI Brief N11, 2004, 5. https://bit.ly/3vFL93V [04.05.2022].
10. Report of the Secretary-General on his mission of good offices in Cyprus, S/2004/437, 28 May 2004, para. 86.

11. 2004 წლის კვიპროსის გაერთიანების რეფერენდუმის შედეგები http://eab.ege.edu.tr/pdf/5/C5-S1-2-M4.pdf
12. Rossides E., Cyprus and the Rule of Law, Syracuse Journal of International Law and Commerce, Vol. 17, N1, 1991, იხ., https://bit.ly/37egl0E [04.05.2022].
13. European Commission Accession criteria, European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations, იხ., https://bit.ly/3KJNRJO [04.05.2022].
14. Dietz T., The European Union and the Cyprus Conflict, Modern Conflict, Postmodern Union, Manchester, 2002, 4.
15. The Comprehensive Settlement of the Cyprus Problem, 2004, იხ., https://bit.ly/3MVTxlL [04.05.2022].
16. Mitov L., Bebee J., Of Research Note, Cyprus: Just The Facts, March 19, 2013
17. Cyprus – GDP per Capita, იხ., https://bit.ly/3kGbPes [04.05.2022]..
18. Newman E., Paris R., Richmond T., New perspectives on liberal peacebuilding, 2009, 147.
19. Working Papers Series in EU Border Conflicts, Birmingham University, 2006, 7.
20. Proposal for a Council Regulation on special conditions for trade with those areas of the Republic of Cyprus in which the Government of the Republic of Cyprus does not exercise effective control EUR-Lex, 2004, იხ., https://bit.ly/3LJkUPF [04.05.2022].
21. Lederach J., Conflict TransformTION, 2003, 9, იხ., https://bit.ly/3ygchZ6 [04.05.2022].
22. Brown M., Owen R., Cote S., Jones L., Miller S., Nationalism and ethnic conflicts, 2001, 114-125.
23. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, 4 აპრილი, 1949, მუხლი 1, იხ., https://bit.ly/3sdamjT [04.05.2022].
24. Miall H., Conflict Transformation: a Multi-Dimensional Task - Transforming Ethnopolitical Conflict, Berlin, 2004, 78.
25. Galtung J., Violence, Peace, and Peace Research, Journal of Peace Research, Vol. 6, N3, 1969, 71.
26. Azar E., Burton J., International Conflict Resolution: Theory and Practice, Brighton, 1986, 55.
27. მიდელაშვილი ს., კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაცია კვიპროსში, ჯემალ გახოკიძე - 70, საიუბილეო გამოცემა, 2021, 271-272.

სალომე გიორგაძე
წარმოადგინა ასოც. პროფ. ***ლევან ოსიძემ***

გლობალიზაციის როლი ქართულ ეროვნულ იდენტობაში

გლობალიზაცია 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოყენებადი და განხილვადი ტერმინია. კაცობრიობის ისტორიაში ის მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც მუდმივად განსჯის საგანია. საკითხი შეეხება გლობალიზაციის როლს ქართულ ეროვნულ იდენტობაში. მისი მრავალფეროვანი ბუნება, არამხოლოდ ქართულ, არამედ ნებისმიერ სახელმწიფოს საფუძველს ქმნის. ზოგადად, გლობალიზმი მრავალ განზომილებიანი ფენომენია, ის განიხილება, როგორც მსოფლიოს პოლიტიკური და ეროვნული ინტეგრაციის პროცესი სხვა რიგ საკითხებთან ერთად. გლობალიზაციის ეპოქამ ტექნოლოგიების, კომუნიკაციის არნახული განვითარება გამოიწვია, რამაც მნიშვნელოვნად შეარყია ეროვნული იდეოლოგია, ტრადიცია და კულტურა. გლობალიზაცია განვითარებისა და მსოფლიოში საკუთარი ადგილის დამკვიდრებისათვის კარგ საშუალებას წარმოადგენს, მაგრამ მეორე მხრივ ის მიმართულია გაერთგვაროვნებისა და ცხოვრების სტანდარტიზაციისაკენ, რაც თავისთავად გულისხმობს იდენტობის გაქრობას, ფასეული ტრადიციებისა და ეროვნული სულისკვეთების მოშლას. ემუქრება სახელმწიფოებსა და ერებს, კულტურული თავისებურებების გაქრობას.

სწორედ ამგვარი გარდაქმნების ფონზე დღეს მსოფლიოს ყველა ეთნო კულტურა დგას უდიდესი გამოცდის წინაშე და აუცილებელია თითოეულმა ქვეყანამ განიხილოს საზოგადოების დამოკიდებულება და რეაქცია, რომ უკეთ გავაანალიზოთ პროცესის არსი. შეძლებისდაგვარად გამოვყოთ საქართველოსათვის, თუ რა შეიძლება აღმოჩნდეს დადებითი და რა უარყოფითი. გლობალიზაციის პირობებში ეროვნული იდენტიფიკაციის უმთავრეს ფაქტორად კულტურული არეალიღა რჩება, მით უმეტეს, ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. თანამედროვე, გლობალურ გამოწვევებს საქართველო მზად უნდა შეხვდეს, ვინაიდან შეძლოს ახლის მიღება და ძველის შენარჩუნება, გააზრებულად და მიზანმიმართულად მოახერხოს ფეხი ისე აუწყოს მიმდინარე გლობალურ მოვლენებს, რომ არ დაკარგოს თვითმყოფადობა და ეროვნული იდენტობა.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, ეროვნული იდეოლოგია, კულტურული იდენტობა, ნაციონალიზმი, ქართული ენა, ტერიტორია, რელიგია.*

კაცობრიობის ისტორიაში გლობალიზაცია ერთ-ერთი ძლევამოსილი პროცესია. მისი დამსახურებით ქვეყნებს შორის კავშირი გამარტივდა, რამაც მოტივაცია მისცა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარონ ერთმანეთთან. ასევე იზრდება ამ ქვეყნების ზეგავლენა ერთმანეთზე - ადამიანთა ცხოვრების წესსა და შეხედულებებზე.

გლობალურ სამყაროში ეროვნული საზღვრები იშლება, მსოფლიო მიდის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ენობრივი ერთიანობისაკენ. ბუნებრივია, ასეთი რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენი არაერთმნიშვნელოვნად აღიქმება საზოგადოების მიერ და იწვევს სამართლიან დებატებს [1].

აქედან გამომდინარე, რთულია შეინარჩუნო იდენტობა და პარალელურად ინტეგრაცია შეძლო ისეთ ქვეყნებთან, რომელთა ღირებულებები და მიდგომები შენსას უპირისპირდება.

თანამედროვე გლობალური კულტურა პირველ რიგში ტექნოლოგიური ცივილიზაციის შემომტანია მსოფლიოში. მისი კოსმოპოლიტიზმი ძირითადად ეფუძნება უდიდეს ტექნოლოგიურ ბაზას კომუნიკაციის ყოვლისმომცველი სისტემით, რომელიც თავისთავად ქმნის მჭიდროდ ურთიერთდამოკიდებულ სოციალურ კავშირებს. გლობალიზაცია მესამე სამყაროს ქვეყნებსა და არა დასავლურ საზოგადოებაში განსაკუთრებულად იგრძნობა. იგი აქ ადგილობრივი კულტურისათვის სრულიად უცხო ელემენტებსა და ღირებულებებს ამკვიდრებს.

გლობალიზაციის შიშიც სწორედ ამ ფაქტიდან მოდის - ის ასუსტებს სახელმწიფოების თვითმყოფადობას და იდენტობას. ის არის არა მხოლოდ ახალი ტექნოლოგიები, მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვარი, არამედ მწვავე პრობ-

ლემები, რაც ახლებურად აყენებს დღის წესრიგში კაცობრიობის მომავალი ბედის საკითხს, ეროვნული ცნობიერების და საერთოდ ერების თვითმყოფადობის პრობლემას.

კულტურული იდენტობის ჩამოყალიბება სოციალიზაციის საკმაოდ რთულ მექანიზმებს გულისხმობს და გლობალური მსოფლიო მართლაც ერთ დიდ სახელმწიფოდ იქცევა, სადაც საზღვრები უგულებელყოფილია. ეროვნული იდენტობა სწორედ სოციალური იდენტობის ერთ-ერთი ფორმაა. მისი საკვანძო ობიექტი არის ერი. ეს არის „კოლექტიური“[13] იდენტობა, რომელიც უკავშირდება ეროვნულ ცნობიერებას და იდენტიფიცირდება ერთან [2. 395].

იდენტობა არის ყველაზე ძლიერი საშუალება, ინდივიდმა იპოვოს თავისი ადგილი სამყაროში. ამ გრძნობას აღვივებს ის ღირებულებები, რომელთაც საზოგადოების წარმოდგენაში ეროვნული სიმბოლური კულტურის მნიშვნელობა ენიჭება.

გლობალურ სამყაროში საქართველოს ადგილის განსაზღვრისას განსაკუთრებით აქტუალური ეროვნული და ეთნიკური თემაა - მისი მრავალფეროვნება, დინამიკა, ადაპტაციის და თანაცხოვრების პოტენციალი, რაც ქართული და ნებისმიერი სახელმწიფოს საფუძვლებს ქმნის.

XIX საუკუნის საქართველოში მომხდარმა სოციალურ-კულტურულმა ძვრებმა და XX საუკუნის ტექნიკურმა პროგრესმა მკაფიოდ შეცვალა ქართველი ხალხის ცნობიერება. გლობალიზაციის ეპოქაში კულტურათა ჰიბრიდიზაციამ წარმოშვა ერთიანი მსოფლიო სახელმწიფო საერთო ღირებულებებით. გარდა ამისა, ღია ურთიერთობები საშუალებას გვაძლევს თავი დავიმკვიდროთ მსოფლიოში და გავაცნოთ ჩვენი კულტურა სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს, როგორც სახელმწიფოებრივ, ასევე ინდივიდუალურ დონეზე. კულტურათა მჭიდრო ურთიერთკავშირი, იდეების, ფასეულობებისა და შეხედულებების ურთიერთგაცვლა, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა მრავალფეროვნება ადამიანებს წარმოუდგენელ შესაძლებლობებს აძლევს. მაგალითისთვის, ქართული ფოლკლორული და ნაციონალური ჯგუფების გასტროლები, სპორტული აქტივობები და წარმატებები საზღვარგარეთ იმის დასტურია, როგორც პატარა ქვეყანა შეგვიძლია ვიყოთ კულტურის დონორიც ამ გლობალურ სამყაროში. ჩვენი ისტორია გვაძლევს იმის შესაძლებლობას, აწმყოს ლეგიტიმაცია[14] მოვახდინოთ.

სწორედ გლობალიზაციის ეპოქა, რომელიც თითქოსდა საფრთხეს უქმნის ერი-სახელმწიფოების ნაციონალურ მახასიათებლებს, გახდა მიზეზი ერი-სახელმწიფოები წარსულს მიბრუნებოდა იმისთვის, რომ იდენტობის განცდა შეენარჩუნებინათ. თანამედროვე ეპოქაში ყოველთვის განმსაზღვრელ როლს თამაშობს წარსული ადამიანთა ცხოვრებაში და ნებისმიერ დროში, ეს იქნება შუა საუკუნეები თუ სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იდენტობით დაინტერესება.

ქართული ეროვნული იდენტობის ძირითად მახასიათებლად მიიჩნევა ენა, ისტორია, რელიგია და ტრადიციები. ვილჰელმ ჰუმბოლდტის განმარტებით, ენა ეროვნული და კულტურული იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი მარკერია. ნებისმიერი მოცემული ენისათვის დამახასიათებელი სამყაროს კონცეპტუალიზაციის ხერხი, რომელიც უნივერსალური და თავისებურია, რადგან სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე საზოგადოება ოდნავ განსხვავებულად უყურებენ სამყაროს და ყველაფერს თავის ენობრივ პრიზმაში ატარებენ. ქართველებისათვის ენა, ქართული მწერლობა მარტო შემოქმედებითი სფერო არასდროს ყოფილა. დროისა და სიტუაციის შესაფერისად იტვირთავდა ხოლმე ხალხის წინამძღოლის ფუნქციას. მუდამ იზიარებდა და განიხილავდა ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ მოვლენებს. ძალზე საინტერესო და ტევადია ერის და მისი ნიშნების ილიასეული თვალთახედვა. მისი აზრით, ერი ესაა ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური წყობის ერთობისა და ერთიანი ბუნებით განსაზღვრული სულისა და ხორცის (ფსიქიკური წყობა, კულტურა და ა.შ) ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული კავშირი [3].

სოციალურ პოლიტიკურადაც კი შეიძლება განვიხილოთ ქართველ შემომქმედთა ნაწარმოებები, რომლებიც ქართული ეროვნული იდენტობის ფორმების განსაზღვრებას ისახავდა მიზნად. მე-19 საუკუნეში ეროვნული იდენტობის ჩამოსაყალიბებლად უდიდესი როლი იკისრა მხატვრულმა ლიტერატურამ და აღიარებული ფაქტია, რომ ენა ერთ-ერთი უმთავრესი იდენტიფიკაციის წყაროა როგორც პიროვნების,

[13] საერთო, საზოგადო; კოლექტივიზმის პრინციპზე დამყარებული.

[14] ლეგიტიმაცია legitimus „კანონიერი“, „დაკანონებული“.

ისე სახელმწიფოსთვის. ის უძლიერესი იარაღია სხვადასხვა ერის ემანსიპაციის გზაზე, ამავე მოსაზრებას ადასტურებენ საუკუნეების წინ საკუთარ ქვეყანას და მის ისტორიულ რეალობას მოწყვეტილი ქართველები, რომლებიც სხვადასხვა დროს გადაუსახლებიათ და სამშობლოსთან კავშირს მხოლოდ ენის შენარჩუნებით ახერხებდნენ. ასე რომ, ლოგიკურია რატომ ცდილობდა ჯერ რუსეთის იმპერია, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირი ქართული ენის შესუსტებას ან მის საბოლოო გაქრობას, სწორედ ამას ემსახურებოდა რუსიფიკაციის პოლიტიკა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ატარებდა დამპყრობელი. ამავე მასშტაბის მიზანმიმართული დანაშაული გახლდათ ავტოკეფალიის გაუქმება, რუსულად მიმდინარე წირვა - ლოცვა, სწავლა - განათლება სკოლებში და ა.შ., რაც ქართულ ეროვნულ იდენტობას ანადგურებდა. განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში მყოფი საქართველო მუდმივად იბრძოდა საკუთარი სახელმწიფოებრიობისა და სულიერების შესანარჩუნებლად. ტრადიციები კი ოდითგანვე ქართველი ხალხის თანაცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ასევე როგორც ქართული იდენტობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი, თუმცა ზოგჯერ გვავიწყდება იმაზე ფიქრი, რომ ყველა ტრადიცია ვერ და არც უნდა შენარჩუნდეს. დრო იცვლება.

ყოველ ტრადიციულ სოციუმში დროთა განმავლობაში ჩნდება ინოვაციები, რომელთა ნაწილი თანდათანობით გადაიქცევა ტრადიციად, ნაწილი კი ქრება. ნებისმიერი ტრადიცია ოდესღაც ინოვაცია იყო და ნებისმიერი ინოვაცია მომავალი, პოტენციური ტრადიციაა. თაობა ახლებურად იაზრებს უკვე არსებულს და უკვე გააზრებულს [4. 211].

გაბობოქრებული გლობალიზაციის პროცესში, კიდევ უფრო მეტ დაფიქრებას და გონიერებას მოითხოვს ახლის სწორად შეთვისება და უკვე არსებულის დახვეწა და შენარჩუნება, რადგან ქართველი ხალხისათვის ეროვნულგანმათავისუფლებელი სულისკვეთება, ნაციონალიზმი მთელი ისტორიის მანძილზე იყო დამახასიათებელი, მაგრამ ის არ გამიჯვნია ადრეულ თუ გვიან შუასაუკუნეებში მსოფლიოში მიმდინარე პოზიტიურ თუ ნეგატიურ პოლიტიკურ პროცესებს. ქართული ეროვნული იდეოლოგია ჯერ კიდევ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში გამოიკვეთა, რომელიც, როგორც წესი, ზეეროვნულია (იოანე საბანისძეს „აბო ტფილელის წამება“ და სხვ.).

ცნობიერების ეს ხაზი საუკუნეების მანძილზე მოიხილებოდა და სწორედ ეროვნული იდეოლოგია იყო ჩვენი ლიტერატურის, ხელოვნების, განათლების მთავარი ღერძი, პოლიტიკის მამოძრავებელი, ქართული სახელმწიფოებრიობის შემანარჩუნებელი და განმამტკიცებელი უდიდესი ძალა.

XX საუკუნის საქართველოში ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობა რამდენიმე ეტაპად, რთულ და მეტად თავისებურ ისტორიულ პირობებში წარიმართა.

დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა ორჯერ აღიდგინა ქვეყანამ და ორჯერვე რუსეთის დამპყრობლურ, ვერაგულ სულისკვეთებას შეეჯახა. ამ ვითარებაში, როცა ქართველი ხალხი მოკლებული იყო პოლიტიკური და ეროვნული ბრძოლის სარბიელს და შებრკილი იყო თვითმპყრობელობის არტახებით, ქართული ინტელიგენციის მეთაურის, ნიკო ნიკოლაძის ბრძოლას ერობისა და საქალაქო თვითმმართველობის შემოღებისათვის უაღრესად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა და ემსახურებოდა ქართველი ხალხის სოციალურ-კულტურულ გაძლიერებას. იგი ადგილობრივი თვითმმართველობის დანერგვას ამართლებდა არა მარტო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი თვალთახედვით, არამედ მიაჩნდა წინაპართა მიერ დატოვებული ადათ-წესებისა და ზნეობრივი თვისებების გადარჩენის ერთადერთ საშუალებად. ასევე თვლიდა, რომ სახელმწიფო და ეროვნული ინტერესები ყველაზე და ყველაფერზე მაღლა უნდა იდგეს. ნაციონალიზმი, პატრიოტიზმი, ეროვნული იდეა, ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და სააზროვნო სისტემის მთავარი დასაყრდენი გახდა. პატარა და გეოპოლიტიკურად ურთულეს რეგიონში არსებული ქვეყანა ამ ძალას ეყრდნობოდა და მის გარეშე დაღუპვა ემუქრებოდა. ამიტომ, როდესაც ნაციონალიზმს სოციალიზმი და კოსმოპოლიტიზმი დაუპირისპირდა, ქართული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი სამართლიანად შეაშფოთა ამ ფაქტმა. ეს დაპირისპირება კი არა, ომი იყო, სადაც ერთმანეთის პირისპირ ქართული ეროვნული იდეოლოგია, ეროვნული ძალები და ის ქართველი სოციალისტ-კოსმოპოლიტები იდგნენ, რომელთა უკან იმპერიული ინტერესები იკითხებოდა. საეტაპო მნიშვნელობა აქვს ნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის შესახებ, ეროვნული ცნობიერების მქონე მოღვაწეების შეხედულებებს, რომელთა ნააზრევს სხვადა-

სხვა იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდა: ზოგი სოციალისტ-დემოკრატი იყო, ზოგი – ეროვნულ-დემოკრატი, ზოგიც ანარქისტი და სხვა, მაგრამ ეროვნული იდეა ყველასათვის იყო მისაღები, უფრო მეტიც, საქართველოს არსებობის მთავარი ნიშანი. ზუსტი დეფინიცია ნაციონალიზმის და პატრიოტიზმისა არ არსებობს, ის საქართველოში მაინც არ ყოფილა მარტო იდეოლოგია და თეორია, ის იყო მოქმედებაც, ქვეყნის გადარჩენის იმპულსზე რომ გადიოდა. ამიტომ ირღვეოდა იდეოლოგიური კლიშეები და ხშირად ისეთი თეორეტიკოსები, რომლებიც წესით არ უნდა ყოფილიყვნენ ეროვნული იდეის მიმართ ერთგულნი, იცავდნენ და ერთგულებდნენ ამ იდეას. დღესაც უჭირს ქართველს იმ ამერიკული და ევროპული თეორიების გაზიარება, სადაც ეროვნული იდეა, ნაციონალიზმი, სამშობლოს სიყვარული არ განიხილება პოზიტიურ კონტექსტში. ამას გრძნობს, ალბათ, ენტონი დ. სმითის ნაშრომის – ნაციონალიზმი, თეორია, იდეოლოგია, ისტორია - აქ ბრიტანელი ავტორი ეროვნული სახელმწიფოების დასასრულს ქადაგებს, აკრიტიკებს ეროვნულ პატრიოტიზმს და მხარს უჭერს სახელმწიფო პატრიოტიზმს.

მიუხედავად ენტონი დ. სმითის, ქართველი და მათი უამრავი თანამოაზრის შეხედულებისა, XIX საუკუნესა და XX-ის დასაწყისს ნაციონალიზმის ეპოქად მიიჩნევენ, ეს იდეოლოგია ამ დროს მართლაც დიდ ზეგავლენას ახდენდა მსოფლიო მემკვიდრეობაზე და პოლიტიკურ რუკაზე ერწყმოდა ლიბერალურ მოძრაობას, ანგრევდა ავტორიტარულ და ან საფუძველს ურყევდა მათ. იქმნებოდა ახალი ეროვნული სახელმწიფოები, რამაც მასიური სახე I მსოფლიო ომის შემდეგ მიიღო. ნაციონალიზმი, როგორც სოციალური ფენომენი, ღრმად არის დაკავშირებული ერებთან, რომელიც ეხება ცალკეულ ადამიანსა და სამშობლოს შორის არსებულ ურთიერთობას. ინდივიდები თავიანთი ერების მიხედვით, საერთო ფასეულობების თანაზიარებიც ხდებიან. გლობალიზაციის პროცესის გაღრმავების პარალელურად, ეთნიკური ნაციონალიზმი გაღვივდა, რომელსაც ბრალად სასტიკი ეთნოკონფლიქტები ედება, საფრთხე შეუქმნა ერი-სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას, დაასუსტა ისინი, რამაც გამოიწვია სახელმწიფოს მიმართ მოსახლეობის ოპოზიციის გაძლიერება და წარმოშვა ახალი ეთნიკური სოლიდარობის გრძნობა. ხალხმა დაკარგა ორიენტირი, ხოლო როდესაც ბრძოლა გამოვუცხადეთ ძველ ჩვევებსა და ტრადიციებს, მოქმედების სფეროდან თითქმის ამოგდებული იქნა ქრისტიანული მორალი, მოხდა ის, რასაც ტრადიციულად დიდ ბოროტებად ვთვლიდით; მის წიაღში გამოჩნდა წარმოუდგენელი ფენა, ერთ არსებაში მოქცეული, ერთსა და იმავე დროს პატიოსანი და უპატიოსნოც, კეთილი და ბოროტიც, მიმტევებელი და შურისმაძიებელიც, საჭიროების შემთხვევაში იმ მხარეს რომ მოექცევა, რომელსაც ცხოვრება მოსთხოვს [5. 189].

ამ ნიშნებით არის ერთი სახელმწიფო მეორისაგან გამიჯნული. ის ებრძვის გლობალიზაციას, რომელიც მას წალეკვით ემუქრება. არადა – გლობალიზაცია ურიცხვი, ცხადი და უხილავი არხებით ყოველდღიურად იჭრება ადამიანთა ცნობიერებაში. საერთო პროცესისაგან გამოთიშვა შეუძლებელია. ეს შეიძლებოდა ძველ დროში. ახლა მსოფლიო ერთიანი სისტემით არის შეთვისებული, განკერძოებას კი აუცილებლად მოჰყვება ჩამორჩენა. ნაციონალიზმი გლობალიზაციის მტერია. ოღონდ ნაციონალიზმით შემოზღუდვა რეგრესია, ხოლო გლობალიზაციით გატაცება – თავის დაკარგვა. იდეალია ზღვარი მშობლიურსა და უცხოს შორის, ნაციონალურსა და ინტერნაციონალურს შორის. ოღონდ რაც გადის დრო, იფანტება ნაციონალური სულის მარაგი და გლობალური მოდელები იპყრობენ ცნობიერებას. ის, ვისაც უყვარს მშობლიური გარემო – ვერ თმობს მათ.

როდესაც XX საუკუნის დასაწყისის ნაციონალიზმზე ვსაუბრობთ, ჰეივუდი წერს იმაზე, რაც ასე ახლობელი იყო ამდროინდელი საქართველოსათვის: „ნაციონალიზმი გადაიქცა ჭეშმარიტ პოპულარულ მოძრაობად, თავისი დამახასიათებელი ატრიბუტებით: დროშებით, ეროვნული ჰიმნით, პატრიოტული პოეზიითა და ლიტერატურით, სახალხო ცერემონიებითა და დასვენების დღეებით. იგი მასობრივი პოლიტიკის ენად იქცა, რასაც ხელი შეუწყო ხალხში ზოგადი განათლების, წერა-კითხვის დონის ზრდამ და პოპულარული გაზეთების გავრცელებამ“.

მართალია, დროშა და ჰიმნი 1918 წლის 26 მაისამდე საქართველოს არ ჰქონდა, მაგრამ დანარჩენი, რაზეც ამ ტექსტშია საუბარი, საქართველოში იყო სწორედ იმ პატრიოტთა თაოსნობით, რომლებიც ეროვნული იდეოლოგიის ყველაზე ერთგული დამცველები იყვნენ. კოლონიურ ქვეყანაში ეს ადამიანები ცდილობდნენ „არაფორმალური“ სახელმწიფო დაწესებუ-

ლებების შექმნას, ისეთისას, როგორიც იყო, მაგალითად, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელსაც ფაქტობრივად განათლების სამინისტროს ფუნქცია ეკისრებოდა. ხელმძღვანელობდნენ თეატრალურ, მუსიკალურ, სამხატვრო ცხოვრებას, წიგნებისა და ლიბერალურ-დემოკრატიული პრესის გამოცემას და ა.შ. ეროვნულ-პატრიოტული თემატიკა ქართული ლიტერატურის მთავარი და განმსაზღვრელი ნიშანი გახდა და ერის სულიერი და მატერიალური ძალების დასახსნელად ერთიანდებოდნენ. ენტონი დ. სმითის მსგავსად, ჰეივუდიც აკრიტიკებს პატარა ერების ნაციონალიზმს და წერს: „პატრიოტულ გრძნობებს იწვევდა არა პოლიტიკური თავისუფლებისა და დემოკრატიის პერსპექტივები, არამედ წარსული ეროვნული სიდიადისა და სამხედრო წარმატებების გახსენება. ასეთი ნაციონალიზმი უფრო მეტად შოვინისტური და ქსენოფობიური[15] ხდებოდა.

თითოეული ერი ამტკიცებდა, რომ უნიკალური და სხვებზე უკეთესი თვისებების მატარებელი იყო. სხვა ერები კი ითვლებოდა უცხოდ, არასაიმედოდ და საშიშადაც კი. ქართველ მწერლებს, პოლიტიკოსებსა და მოღვაწეებს ჭარბად ჰქონდათ ნაციონალიზმი და ისტორიზმი, რადგანაც ქვეყანას დაკარგული ჰქონდა თავისუფლება. ღირსების ამაღლებისა და გამოფხიზლებისათვის კი საჭირო იყო რადიკალიზმი და ნოსტალგია, საკუთარი ინდივიდუალიზმის შეგრძნება. გამარჯვებული ერების წინაშე არ დგას მსგავსი პათოსის პრობლემა და არც აქვთ დაჟინებული გრძნობა. მაგ., ლევ ტოლსტოი პატრიოტიზმს საერთოდ ზედმეტადაც კი მიიჩნევდა ლიტერატურისათვის. თუ ამ თვალსაზრისიდან XX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ წარსულის ეროვნულ სიდიადესაც იხსენებდა ქართული აზროვნება, სამხედრო სიძლიერესაც, მაგრამ არ დაუკარგავს განვითარება არც პოლიტიკური თავისუფლებისაკენ, არც დემოკრატიული ფასეულობების ერთგულებისაკენ, არც ქსენოფობია გასჩენია და ტოლერანტიზმის ჩვეული თვისებაც იდეალურად შეინარჩუნა. ასევე ისმის კითხვა, არის თუ არა გლობალიზმი საფრთხის შემცველი მართლმადიდებლობისთვის? რელიგიამ დიდი გზა განვლო დღევანდელობამდე, საბჭოთა კავშირი ხომ ათეიზმის აღორძინების პერიოდი იყო, თუმცა ქართველმა ხალხმა აქაც შეძლო და შეინარჩუნა რელიგიურობა. მართლმადიდებლობა ჯერ კიდევ ქართული იდენტობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია და გლობალიზაცია არ გამორიცხავს რელიგიურ პლურალიზმს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რელიგია გრძნობის ამბავი უფროა, ვიდრე გონების. „ჩვენ გვინდა რაღაცის, ვიღაცის გვწამდეს და ვცდილობთ გონება არ ჩავრთოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში იმდენ პასუხგაუცემელ კითხვას ვიპოვით, შეიძლება რწმენა შეგვერყას“ - სწორედ განათლება და თაობის მიერ დასმული ბევრი კითხვა იწვევს რელიგიის არსის ეჭვქვეშ დაყენებას. ჩვენი აზრით, ათეიზმის გავრცელებას იწვევს რელიგიის თემაში გონების ჩართვა და ტექნოლოგიური თაობის გლობალური განვითარება. გლობალიზაცია განვითარებას ელვის სისწრაფით აჩქარებს და პრობლემაც ესაა, ასეთი სწრაფი ცვლილებები ადამიანებს აშინებთ და აბნევთ. ჩვენ, ქართველები, უმეტესწილად, კონსერვატიულები ვართ. ეს არც არის გასაკვირი 70-წლიანი საბჭოთა იდეოლოგიის ფონზე. საბჭოთა პერიოდში ადამიანებს ქვეყნის გათავისუფლების იდეა აერთიანებდა, დღეს დამოუკიდებელ საქართველოში ახალგაზრდები სხვა საკითხებით არიან დაინტერესებულნი. თავიანთი თავისუფლებისთვის იბრძვიან.

ამრიგად, გლობალიზაცია არის ერთ-ერთი შედეგი თაობათა განვითარების. ის არ ქმნის საფრთხეს განვითარებული, განათლებული საზოგადოებისთვის. განათლებული საზოგადოება თავად მართავს გლობალიზაციას. ქართული იდენტობა არ არის საფრთხის წინაშე. საფრთხის წინაშეა ის დრომოჭმული, უსარგებლო ტრადიციები, წესები და ქცევები, რომელიც თაობათა გადმონაშთია და მათი ადგილი თანამედროვე სამყაროში არ არის. მთავარია განათლებული საზოგადოების არსებობა, რომლის მართვაც შეუძლებელია, მთავარია ისეთი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც ცოდნის და არა შიშის და უცხოს უნდობლობის თეორიის საფუძველზე გადაწყვეტს დასავლურ კულტურათა დაახლოება კარგია თუ ცუდი. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში ვაჟამ განმარტა: „პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპო-

[15] ქსენოფობია [ბერძ. xenos უცხო, უცხოელი და phobos შიში] - უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიძულვილი.

ლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს." ჩვენ ქართველმა ერმა უნდა ვიცოდეთ, რისი დათმობის უფლებაც არა გვაქვს. გლობალიზაციის ერაში კულტურის თვითმყოფადობისა და მისი თვისებების შენარჩუნება ძალიან რთულია და დამოკიდებულია თავად ქვეყნის, ერის, მოსახლეობის ეროვნულ სიძლიერეზე თუ რამდენადაა ის შეკრული და გაერთიანებული, რამდენად ღრმაა მათი იდენტობა, ისტორიული ფესვები, რაოდენ ფასეულია და როგორ მიიღებს გარედან შემოსულ გლობალურ გარდაქმნებს. ქართველებს არ უნდა შეგვეშინდეს ინტეგრაციის, რადგან წარსულის დიდი გამოცდილება გვაქვს. საუკუნეთა მანძილზე ქართული სულისკვეთება არაერთი უძლიერესი იმპერიის გავლენას განიცდიდა, მაგრამ ღვთის განგებითა და ჩვენი წინაპართა ძალისხმევით ბოლომდე არასდროს დაგვიკარგავს თვითმყოფადობა. ვფიქრობთ, თანამედროვე, გლობალურ გამოწვევებს საქართველო მზად უნდა შეხვდეს, ვინაიდან შეძლოს ახლის მიღება და ძველის შენარჩუნება, გააზრებულად და მიზანმიმართულად მოახერხოს ფეხი აუწყოს მიმდინარე გლობალურ მოვლენებს, ისე რომ არ დაკარგოს ეროვნული იდენტობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, „მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, როდესაც სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები ადრინდელ მნიშვნელობას კარგავს, რასაც თან სდევს საზოგადოებისა და კულტურების ასიმილირების რთული პროცესი, ეროვნული იდენტიფიკაციის უმთავრეს ფაქტორად კულტურული არეალიღა რჩება, მით უმეტეს ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. ფაქტია, გლობალიზაცია არის ცივილიზაციის განვითარების შედეგი და მიუხედავად იმისა, დღეს უკვე წარმოადგენს იმ საერთაშორისო გარემოს, რომლის წინაშეც უწევს მსოფლიოს ყველა ერს თავისი თვითმყოფადობის დაცვა. სწორედ ეროვნული იდენტობის საფუძველზე უნდა ვეცადოთ სიახლეების დანერგვა. შეიძლება, ზოგიერთი რამ დასავლური კულტურისაგან შევითვისოთ, ზოგი რამ ახალი თავად შევქმნათ და შევთავაზოთ მსოფლიოს!

SALOME GIORGADZE

THE ROLE OF GLOBALIZATION IN GEORGIAN IDENTITY

Summary

Globalization is one of the most widely used and discussed terms in the 21st century. It is an important process in the history of mankind that is constantly being judged. The issue concerns the role of globalization in the Georgian national identity. Its diverse nature forms the basis of not only Georgian but any state. In general, globalism is a multidimensional phenomenon, it is seen as a process of world political and national integration among a number of other issues. The era of globalization has led to an unprecedented development of technology, communication, which has significantly shaken the national ideology, tradition and culture. Globalization is a good way to develop and establish one's place in the world, but on the other hand it is aimed at diversification and standardization of life, which in itself means the disappearance of identity, the destruction of valuable traditions and national spirit. Threatens states and nations, the disappearance of cultural peculiarities. It is against the background of such transformations that all ethnic cultures of the world today face the greatest test, and it is necessary for each country to consider the attitudes and reactions of the public in order to better analyze the essence of the process.

If possible, separate for Georgia what can be positive and what can be negative. In the conditions of globalization, the cultural area remains the main factor of national identification, especially for a small country like Georgia. Georgia must be ready to meet modern, global challenges, as it will be able to accept the new and preserve the old, to consciously and purposefully keep pace with current global events without losing its identity and national identity.

Key word: *Globalization, National Ideology, Cultural Identity, Nationalism, Georgian Language, Territory, Religion*

გამოყენებული ლიტერატურა

1. ოსიძე ლ., „გლობალიზაცია და ეროვნული იდეოლოგია საქართველოში“, სტატია, თბ., 2012 (უკანასკნ. ნანახია 01.06.2022)
2. ბოგიშვილი დ., ოსეფაშვილი ი., გავაშელიშვილი ე., გუგუშვილი ნ., „ქართული ეროვნული იდენტობა, კონფლიქტი და ინტეგრაცია“, თბ., 2016.
3. შუბითიძე ვ., „ევროპეიზაცია და ქართული პოლიტიკური აზროვნება, საქართველოს ევროპუ-ლი იდენტობა“, თბ., 2013.
4. გამსახურდია გ., „ქართველთა ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოდერნულ კონტექსტში“ , მარტი, 2016.
5. ოსიძე ლ., „პლურალიზმი და თანამედროვე საარჩევნო სისტემა“//სტატია, იხ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტის შრომები „წელიწდეული“, თბ., 2005 (უკანასკნ. ნანახია 01.06.2022).
6. ჰეივუდი ე., „პოლიტიკური იდეოლოგიები“. მე-3 გამოც. თბ., 2004.
7. კვესელავა ი., შუბითიძე ვ., „პოლიტოლოგია, პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა“, თბ., 2009.
8. სიგუა ს., „კულტუროლოგიის საფუძვლები III“, თბ., 2013.
9. დავითაშვილი ზ., „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“, თბ., 2003. (უკანასკნ. ნანახია 01.06.2022)
10. ოსიძე ლ., „ქართული პოლიტიკური კულტურის თანამედროვე მოდელები“, თბ., 2021.
11. აკობია ე., „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, თბ., 2006.
12. www.globalization.kof.ethz.ch (უკანასკნ. ნანახია 08.02.2022)
13. www.civiceducation.ge (უკანასკნ. ნანახია 10.02.2022)

✍ მაკა ბენაშვილი
*წარმოადგინა პროფ. **მანანა დარჩაშვილმა***

პოლიტიკური პარტიების ფორმირება პოსტ-სოციალისტურ ესტონეთში (1992-2019)

1991 წლის აგვისტოში, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ესტონეთი გახდა სუვერენული სახელმწიფო, მოქმედი დემოკრატიითა და საბაზრო ეკონომიკით. საგარეო კურსის სწორად განსაზღვრით, ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეული წარმატებით ესტონეთის პოლიტიკური და პარტიული სისტემების შესწავლა, ჩვენი ქვეყნისთვის, არსებული ვითარებიდან გამომდინარე საინტერესო და აქტუალური საკვლევი საკითია, ესტონეთმა მოახერხა პროპორციული სისტემის დადებითი ბუნების შეთვისება, კოალიციური მთავრობების დაკომპლექტებისა და მართვის კულტურის განვითარება.

ესტონეთი დინამიურ ხასიათს მმართველობაში ფართო ინოვაციების დანერგვით ინარჩუნებს. IT სფეროს განვითარება ქვეყნის პრიორიტეტია 2001 წლიდან, შედეგად, პოსტ-სოციალისტური სივრცის სახელმწიფომ შეძლო და 2007 წელს, მსოფლიოში პირველი საპილოტე ელექტრონული არჩევნები წარმატებით ჩაატარა და 2014 წელს კი, ე.წ. „ელექტრონული მოქალაქეობა“ დაინერგა და მოქალაქეებს მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან, ესტონეთში ორგანიზაციის, დისტანციურად დაფუძნებისა და მართვის შესაძლებლობა მიეცათ. დღეს ესტონელებს საზოგადოებრივი სერვისების 99%-ის განხორციელება ელექტრონულად შეუძლიათ.

საკვანძო სიტყვები: *პოლიტიკური პარტია, პოსტსაბჭოთა სივრცე, ევროინტეგრაცია, სუვერენული სახელმწიფო, ესტონეთი.*

თანამედროვე პერიოდში, პოლიტიკური პარტიების სწრაფი ტრანსფორმაციის ბუნება, რომელშიც მოიაზრება, როგორც მათი წარმატების ზრდა, ასევე მათი კრიზისული პერიოდები, დიდ ინტერესს იწვევს. არსებული არაერთი საინტერესო ნაშრომის მიუხედავად, მწირია, კონკრეტული ქვეყნების შესახებ არსებული ღრმა ანალიზის მაგალითები. სწორედ ამიტომ, მოცემულ ნაშრომში, შევეცადეთ დეტალურად წარმოგვედგინა, ესტონეთის, როგორც პოსტ-სოციალისტური სივრცის ქვეყნის, პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციისა და მისი ფორმირების საკითხი. თუ როგორ მოახერხა ესტონეთმა, ინოვატორი სახელმწიფოს აშენება, როცა ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში ყოვლისმომცველი კრიზისი სუფევდა. ესტონეთი თავისი საინტერესო და წარმატებული რეფორმებით ქრთული სინამდვილისთვის, როგორც განვითარებადი სახელმწიფოსთვის, მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს, რაც ზრდის ნაშრომის აქტუალობას.

საკითხისადმი ინტერესს ზრდის ის ფაქტიც, რომ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში პარტიული სისტემები, ხშირად უფრო არასტაბილურად მიიჩნევა, ვიდრე დასავლეთ ევროპის ძველ დემოკრატიებში [1].

ესტონეთის პარტიული სისტემის შესწავლისას, ნაშრომში თეორიიულ ჩარჩოდ, პოლიტიკური პარტიების და პარტიული სისტემების აღიარებული მკვლევრების - სკოტ მეინვერინგისა და ტიმოთი სქალის ანალიზის მეთოდს ვიყენებთ, რომელიც ახალ დემოკრატიებში პარტიული სისტემის ანალიზისას რამდენიმე მნიშვნელოვან პარამეტრზე აკეთებს აქცენტს, როგორებიცაა, პარტიებს შორის კონკურენციის კანონზომიერება, მათი სტაბილურობისა და საზოგადოებაში შეღწევის, ელექტორატის მხარდაჭერის მოპოვების საკითხები და სხვა [2].

იქიდან გამომდინარე, რომ ესტონეთის პარტიული ლანდშაფტი ხასიათდება პარტიების სიმრავლითა და ფრაგმენტაციით, ნაშრომში ეყრდნობა ჯ. სარტორის მიერ წარმოდგენილ პარტიული სისტემის კლასიფიკაციას, რომლის

მიხედვითაც, პარტიულ სისტემაზე მსჯელობისას ყურადღება ექცევა პარტიების რაოდენობისა და ფრაგმენტაციის ხარისხს [3].

აქვე დავძენთ, რომ ნაშრომში ესტონეთის პარტიული სისტემების არასტაბილურობის განმსაზღვრელად მ. პედერსენის ინდექსს ვიყენებთ.

პოლიტიკური პარტიების ფორმირება პოსტ-სოციალისტურ ესტონეთში (1992-2019)

1991 წლის აგვისტოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ესტონეთი გახდა სუვერენული სახელმწიფო, მოქმედი დემოკრატიითა და საბაზრო ეკონომიკით. ესტონეთმა თავისი საგარეო კურსი ნათლად განსაზღვრა და ევროინტეგრაციის გზაზე წარმატება მალევე მოიპოვა. 2004 წელს ესტონეთი, როგორც ევროკავშირის, ასევე ნატოს, სრულუფლებიანი წევრი გახდა.

ესტონეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა, სადაც პრეზიდენტი ფორმალური მმართველია. მას 5 წლის ვადით, ესტონეთის პარლამენტი ირჩევს. წარმოდგენილი კანიდატებიდან, სამი რაუნდის განმავლობაში, თუ ვერცერთმა მათგანმა, დებუტატთა 2/3-ის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, იქმნება სპეციალური საარჩევნო კოლეგია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან, როგორც რიიგიკოგუს წევრები, ასევე თვითმმართველი ორგანოებიდან არჩეული წარმომადგენლები. ესტონეთის პრეზიდენტი ხდება ის კანდიდატი, რომელიც, სპეციალური საარჩევნო კოლეგიის ხმათა უმრავლესობას მოიპოვებს. ერთი და იგივე პირის ზედიზედ არჩევა მხოლოდ ერთხელ არის შესაძლებელი. ესტონეთის კანონმდებლობის მიხედვით, პრეზიდენტი, მისი უფლებამოსილების პერიოდში, არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არ უნდა იყოს [4].

ესტონეთის უმაღლესო საკანონმდებლო ორგანო - რიიგიკოგუ, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული, 101 დეპუტატისგან შედგება. საპარლამენტო არჩევნები ესტონეთში 4 წელიწადში ერთხელ, 12 მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში იმართება. აღსანიშნავია, რომ 2005 წლიდან ესტონეთში დაინერგა ინტერნეტით ხმის მიცემის პრაქტიკა [5].

ესტონეთის მთავრობის ხელმძღვანელ - პრემიერ-მინისტრს, საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციების გავლის შემდეგ პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტი ამტკიცებს. უთანხმოების შემთხვევაში, რიიგიკოგუს შეუძლია არ დაეთანხმოს პრეზიდენტის მიერ შეთავაზებულ კანდიდატურას და თვითონ წარადგინოს სასურველი პირი, როგორც წესი, პრემიერობის კანდიდატი მმართველ კოალიციაში შემავალი, ყველაზე დიდი პარტიის წარმომადგენელია.

ესტონეთში პარტიული სისტემების ფორმირების, ერთპარტიულიდან, მრავალპარტიულ სისტემზე გადასვლის, თანმიმდევრული და ღრმა ანალიზთვის, საჭიროდ მიგვაჩნია, ქვეყანაში დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე არსებული პოლიტიკური ცხოვრების მოკლე მიმოხილვა.

დამოუკიდებლობისკენ პირველი ნაბიჯების გადადგმა ესტონელებმა 1987 წელს, გარემოს დაცვის მიზნით, რუსეთის მიერ დაგეგმილი ფოსფატის ფართო მოპოვების წინააღმდეგ გამოსვლებით დაიწყო. იმავე წლის გაზაფხულზე, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის იუბილე ტალინში მასობრივი დემონსტრაციით აღინიშნა. ამას მოჰყვა 1988 წელს, პირველი არაკომუნისტური - ესტონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, დაფუძნება. ამავე წლის გაზაფხულზე დაიწყო პირდაპირი ოფიციალური სატელევიზიო არხის მაუწყებლობა, სადაც საკმაოდ ღიად და კრიტიკულად განიხილებოდა მწვავე სოციალური საკითხები [7].

1988 წლიდან 1992 წლამდე ესტონეთში თანდათანობით ცვლილებები დაფიქსირდა საბჭოთა ოფიციალურ ინსტიტუტებში, მოხდა ეტაპობრივი გადასვლა. 1989 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, წინამორბედი არჩევნებისგან განსხვავებით, უფრო დემოკრატიულად ჩატარდა [8].

1989 წლის ადგილობრივი თვითმმართველობისა და 1990 წლის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე მონაწილე კანდიდატთა კონკურენციის დაბალი დონე, ნაწილობრივ განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ არარეგისტრირებულ, თუმცა აქტიურ, პოლიტიკურ პაარტიებს არ შეეძლოთ კანდიდატების წამოყენება.

1990 წელს არაკომუნისტური უმრავლესობა მხარს უჭერდა ესტონეთის დამოუკიდებლობის აღდგენას უმაღლეს საბჭოში, სახალხო ფრონტის მეთაურობით. 1990 წლის დასაწყისში აირჩიეს ესტონეთის სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის აღდგენის კიდევ ერთი ძალ-

ზე მნიშვნელოვანი ასამბლეა - ესტონეთის კონგრესი.

აღნიშნული ასამბლეამ, რომელიც ფუნქციონირებდა 1991 წლის 13 სექტემბრიდან 1992 წლის 10 აპრილამდე [9], მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, როგორც საპარლამენტო ტრადიციის შექმნაში, ასევე მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებაში.

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს საბჭოსა და ესტონეთის კონგრესს შორის ურთიერთობა ზოგჯერ საკმაოდ დაძაბული იყო, ორივემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ესტონეთის დამოუკიდებლობის აღდგენაში.

1990 წელს, პოლიტიკური ლანდშაფტის მთავარი მოქმედი სუბიექტები იყვნენ სახალხო ფრონტი, ესტონეთის მემკვიდრეობის საზოგადოება და პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლები - თავისუფალი ესტონეთი და რეფორმისმოყვარე კომუნისტები, ფაქტია, რომ პოლიტიკური პარტიები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების საწყისს ეტაპზე იმყოფებოდნენ.

1991 წლის აგვისტოში დამოუკიდებლობის მოიპოვების შემდეგ, ესტონელებმა, სწრაფად დაიწყეს სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძვლების შექმნა. 1992 წლის ივნისში ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე მიიღეს მოქმედი კონსტიტუცია, რამაც საფუძველი ჩაუყარა რიიგიკოგუს არჩევნებს. საპარლამენტო არჩევნები 1992 წლის შემოდგომაზე საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად გაიმართა. მანდატების მოსაპოვებლად პარტიებისთვის 5%-იანი ბარიერი განისაზღვრა. არჩევნების შედეგების საფუძველზე, ხუთი პარტიისგან შემდგარმა ბლოკმა (Isamaaliit – „სამშობლო“), მარტ ლაარის ხელმძღვანელობით, ესტონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიასთან და ცენტრისტულ ზომიერების ალიანსთან ერთად მთავრობა ჩამოაყალიბა [10].

ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც ესტონეთის პარტიული სისტემის განვითარების გზის ორიენტირი. მანამდე, გარკვეულწილად ქაოტური მასობრივი მოძრაობები და ჯგუფები გვევლინებოდნენ, პოლიტიკურ პარტიებად და მცირე პარტიების საარჩევნო კოალიციებად.

ესტონეთში პარტიული სისტემის ერთ-ერთი მახასიათებელი, პარტიების ფრაგმენტაცია კი არა, არამედ მათი კონსოლიდაცია იყო. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, თანამედროვეობამდე, ესტონეთში პარტიული სისტემის ფორმირებაზე, პოლიტიკური პარტიების გაერთიანებებმა უფრო დიდი გავლენა მოახდინა, ვიდრე პარტიების გაყოფამ ან ახალი პარტიების შექმნამ. ამის თვალსაჩინო მაგალითია, 2006 წელს მემარჯვენე პარტიების „სამშობლო“ (Isamaaliit) და „რესპუბლიკას“ (Res Publica) შერწყმა. იქამდე კი 1990-იანი წლების შუა პერიოდში, სოციალ-დემოკრატების თანდათანობითი კონსოლიდაცია მოხდა. ასევე რამდენიმე მცირე პარტია შეუერთდა საპარლამენტო პარტიებს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული სტატისტიკაში, რომ განვიხილოთ, 1992 წელს ესტონეთში 36 პარტია იყო, ხოლო 2007 წლისთვის მათი რაოდენობა 16-მდე შემცირდა.

ესტონეთში პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაცე დიდი გავლენა მოახდინა მკაცრი სამართლებრივი აქტების შემუშავებამ. 1992 წელს არჩეულმა რიგიკოგუმ 289 კონსოლიდირებული სამართლებრივი აქტი მიიღო, ამასთან. პარტიების შესახებ პირველი კანონი - 1994 წელიდან მკვიდრდება, რომელშიც ცვლილებები 2010 წელს შევიდა. კანონმდებლობის თავდაპირველ ვერსიაში დეტალურად იყო განსაზღვრული პოლიტიკური პარტიის შექმნის პირობები, რომლის თანახმადაც, პოლიტიკური პარტია არის ესტონეთის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი პოლიტიკური, არაკომერციული ასოციაცია, რომელიც რეგისტრირებულია ამ აქტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად. მათი მიზანია წევრებისა და მხარდამჭერების პოლიტიკური ინტერესების გამოხატვა და მათი განხორციელება როგორც მთელი სახელმწიფოს, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში.

აღნიშნული კანონის კონსოლიდირებული ვერსია, ასევე არეგულირებს პოლიტიკური პარტიების მდგრადობას: თუ რიგიკოგუს ორ არჩევნებში პოლიტიკურ პარტიას არ მიუღია მანდატი, აღნიშულ პარტიას უუქმდება რეგისტრაცია და უწყდება პოლიტიკური საქმიანობის უფლება. რაც შეეხება პროცედურებს, პოლიტიკური პარტიის დაარსება ხდება სადამფუძნებლო სხდომაზე, სადაც იღებენ პარტიის წესდებას, ირჩევენ ხელმძღვანელობასა და ქმნიან შიდა აუდიტის სამსახურს. იმისთვის, რომ პარტიამ რეგისტრაციის უფლება მიიღოს, მას მინიმუმ 1000 წევრი უნდა ჰყავდეს. კანონში 2010 წელს შესული ცვლილების მიხედვით, თუ პოლიტიკური პარტიის წევრთა რაოდენობა 1000-ზე ნაკლებია და ნებაყოფლობით არ წყვეტენ ფუნქციუნირებას, სასამართლოს რეგისტრაციის დეპარტამენტს შეუძლია მისი დაშლის პროცესის დაწყება. ამასთანავე, თუ პოლიტი-

კური პარტიის საქმიანობა მიზნად ისახავს ესტონეთის კონსტიტუციური წესრიგის შეცვლას, მათი საქმიანობის შეწყვეტა ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს საპროცესო აქტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად [4].

ესტონეთში პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, მანდატებს საშუალოდ ხუთი პარტია იღებს, რაც ჯ. სარტორის კლასიფიკაციის მიხედვით, ქვეყანას კლასიფიცირედება – ზომიერი პლურალისტური სისტემის მქონე სუბიექტად [11].

პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთი განმსაზღვრელ ფაქტორს, სისტემის სტაბილურობა წარმოადგენს. ესტონეთის პარტიული სისტემების არასტაბილურობის ტენდენციის დადგენაში პედერსენის ინდექსის მეთოდი დაგვეხმარა. კვლევა ეფუძნება 1992-2019 წლებში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე თითოეული სუბიექტის მიერ მიღებულ პროცენტულობას.

შესაბამისად, საშუალება გვეძლევა, დავინახოთ არჩევნებიდან არჩევნებამდე პოლიტიკური პარტიების გაქრობის, გაერთიანებისა და ახალი პარტიების შექმნის ფაქტები, ასევე ის ინფორმაციას გვაძლევს ელექტორატის აზრის ცვლილების შესახებ (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. 1992-2019 ესტონეთს პარტიული სისტემის არასტაბილურობის მაჩენებელი

წლები	**არასტაბილურობის მაჩვენებელი**
1992-1995	52.04
1995-1999	33.57
1999-2003	34.485
2003-2007	28.8
2007-2011	13.4
2011-2015	18.4
2015-2019	17.5



ესტონეთის პარტიული სისტემის არასტაბილურობის ყველზე მაღალი მაჩვენებელი (52.04), ახალი დემოკრატიის შენების პირველ (1992-1999) წლებში დაფიქსირდა. მომდევნო წლებში კი დასტაბილურების ტენდენცია გამოიკვეთა (1995-1999; 2003-2007).

კვლევის მიხედვით არასტაბილურობის ყველაზე დაბალი ნიშნული (13.4) 2007-2011 წლებში შეინიშნება.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში ესტონეთისთვის ძირითად პრობლემას, დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ინსტიტუტების ფაქტობრივი არარსებობა წარმოადგენდა. რთული აღმოჩნდა არჩევნების ორგანიზებაც, რადგან კომუნისტური პერიოდის ფსევდო-არჩევნებს დემოკრატიული პირობების არჩევნებთან საერთო არაფერი ჰქონდა. ესტონელებმა ნაბიჯ-ნაბიჯ შექმნეს საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ხმის მიცემის მექანიზმი, თავისუფალი, სამართლიანი და პერიოდული არჩევნების ჩასატარებლად. დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე ესტონელებმა პირდაპირი საარჩევნო მეთოდით, ერთი საპრეზიდენტო და შვიდი საპარლამენტო არჩევნები ჩაატარეს (რომლის ორგანიზებაზეც პასუხისმგებელია ესტონეთის საარჩევნო კომიტეტი და სამი დონის კომისიით არის წარმოდგენილი) [12. 26].

პარტიული სისტემისა და ზოგადად პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ მთავარი აქტორებად პოლიტიკური პარტიები გვევლინებიან. მათი საქმიანობის ეფექტურობას არჩევნებში მიღებული შედეგები გვიჩვენებს. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ესტონეთის დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე ჩატარებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში, პოლიტიკური პარტიების მონაწილების საკითხის დეტალურად განხილვა.

ესტონეთის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, პირველი საპარლამენტო არჩევნები 1992 წლის 20 სექტემბერს გაიმართა. არჩევნებში მონაწილეობა 17-მა საარჩევნო სუბიექტმა მიიღო. შედეგების მიხედვით, 101 მანდატი 9 პოლიტიკურ პარტიაზე გადანაწილდა. საუკეთესო შედეგის მქონე, ხუთი პარტიისგან შემდგარმა ბლოკმა – „სამშობლომ“, მარტ ლაარის ლიდერობით, ბლოკებთან „დაიცავი სახლი“ და „სახალხო პრონტთან“ თანამშრომლობით მთავრობა დააკომპლექტა [12. 27].

ცხრილი 2. 1992 წლის რიიგიკოგუს არჩევნები

ბლოკი/პარტია	ადგილები
ბლოკი „სამშობლო“ შემდგომში პრო პარტიული კავშირი (ქრისტიან-დემოკრატიული პარტია, კონსერვატიული სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი, რესპუბლიკური კოალიციის პარტია, ლიბერალ-დემოკრატიული პარტია)	29
ბლოკი "დაიცავი სახლი" (კოალიციური პარტია, სახალხო კავშირი)	17
ბლოკი "სახალხო ფრონტი" (ესტონეთის ცენტრისტული პარტია)	15
ზომიერი (სოციალ-დემოკრატიული პარტია, ქვეყნის ცენტრის პარტია)	12
ესტონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია ERSP	10
დამოუკიდებელი მეფეთა საარჩევნო ალიანსი	8
ესტონეთის მოქალაქე (ესტონეთის რესპუბლიკის პარტია, ჯანსაღი ცხოვრების წესის საზოგადოება)	8
მწვანეთა პარტია (ესტონეთის მწვანეთა პარტია, ესტონეთის მწვანეთა მოძრაობა, ევროპული ახალგაზრდული ტყის მოქმედება, მწვანე „Maardu“ ასოციაცია, მწვანე პოლკი)	1
ესტონეთის მეწარმეთა პარტია(მუშათა დემოკრატიული პარტია)	1

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, როგორც ავღნიშნეთ, ესტონეთის პრეზიდენტის არჩევა, არაპირდაპირი საარჩევნო მეთოდით ხდება. თუმცა, გამონაკლისი იყო 1992 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც ოთხი კანდიდატი დაუპირპირდა ერთმანეთს. იქიდან გამომდინარე, რომ 1992 წლის 20 სექტემბერს, არჩევნების პირველ ტურში, ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა, ხმების 50%-ზე მეტი, მეორე ტური 5 ოქტომბერს პარლამენტში გაიმართა, სადაც გამარჯვება ლენარტ მერიმ მოიპოვა.

დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ, 1995 წელს მორიგ კენჭისყრაში მონაწილეობა 16-მა პოლიტიკურმა პარტიამ მიიღო, მათგან 7-მა პარლამენტში მანდატების მოპოვება შეძლო. აღსანიშნავია, რომ სამთავრობო კოალიციამ კრახი განიცადა. ეროვნულმა ბლოკმა „სამშობლომ“ მხოლოდ, 7.86% არიღო, თუმცა, მმართველი კოალიციის ერთ-ერთმა მოკავშირემ, „რეფორმამ“ 16% მიიღო და რეიტინგში მეორე ადგილი დაიკავა [12. 28].

მმართველი კოალიციის მთავარი პარტიის დამარცხება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან მათ 1993 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე უკვე დაკარგული ჰქონდათ ელექტორატის მხარდაჭერა. გამუდმებით მიმდინარე განხეთქილებების და დაპირისპირებების შედეგად 1994 წელს რამდენიმე პარტიამ გაერთიანება დატოვა. პოლიტიკური სკანდალების გამო, მარტ ლაარი პრემიერ მინისტრობის თანამდებობიდან გადადგა.

ამ პერიოდში, სოციალ-დემოკრატებმა და სოფლის ცენტრისტულმა პარტიებმა გაერთიანებული საარჩევნო სია წაარადგინეს და არჩევნების შემდეგ მალევე ახალი პარტია სახელწოდებით - „ზომიერი“ დაარსეს.

არჩევნებში აქტიურად ჩაერთვნენ რუსი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც, ისინი გაეთიანდნენ საარჩევნო ბლოკში სახელწოდებით „ჩვენი სახლი ესტონეთი“ და 1995 წლის პარლამენტში 6 დეპუტატი შიყვანეს.

ტიიტ ვოხის ხელმძღვანელობით, კოალიციური პარტიისა და ცენტრისტული პარტიის თანამშრომლობის საფუძველზე ახალი მთავრობა დაკომპლექტდა. კოალიციურ მთავრობებს შორის დაპირისპირებების ტენდენცია კვლავაც გაგრძელდა, კრიზისი გამოიწვია ე.წ. „ფირების სკადალმა“, რის შედეგადაც მმართველ რგოლში ცენტრისტული პარტია, „რეფორმამ“ ჩაანაცვლა. თუმცა, ამ უკანასკნელმა 1996 წელს დატოვა მთავრობის შემადგენლობა და კოალიციურ და სოფლის ცენტრისტულ პარტიებს უმცირესობის მთავრობის პირობებში მომდევნო არჩევნებამდე მოუწიათ ქვეყნის მართვა.

მომდევნო საპარლამენტო არჩევნებში 12 საარჩევნო სუბიექტმა მიიღო მონაწილეობა. რიგიკოგუში წარმომადგენლობა 7-მა პარტიამ შეძლო. 1999 წლის 7 მარტს საპარლამნტო არჩევნების შემდეგ, კვლავ მარტ ლაარი დაბრუნდა პრემიერ მინისტრობის თანამდებობაზე, სადაც 2001 წლამდე დარჩა. სამთავრობო კოალიციაში პრო პარტია, რეფორმა და ზომიერი პარტიები შედიოდნენ [12:30].

ბლოკი/პარტია	ადგილები
ესტონეთის ცენტრისტული პარტია	28
პრო პარტიული კავშირი „სამშობლო“	18
რეფორმა	18
ზომიერი (ესტონეთის სახალხო პარტია, და რესპუბლიკელთა და კონსერვატორთა სახალხო პარტია)	17
კოალიციური (ესტონეთის ქვეყნების კავშირი და ესტონეთის პენსიონერთა და ოჯახთა პარტია.	7
ესტონეთის ქვეყნის სახალხო კავშირი	7
ესტონეთის გაერთიანებული სახალხო პარტია იგივე კონსტიტუციური პარტია (სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რუსეთის ერთიანობის პარტია)	6

2003 წლამდე ესტონეთს რეფორმის პარტია და ესტონეთის ცენტრისტული პარტიების მიერ შემდგარი კოალიცია მართავდა. 2003 წლის 2 მარტის არჩევნებში საკანონმდებო ორგანოში, ორმა, ყველაზე დაპირისპირებულმა, პარტიამ, ცენტრისტებმა და რესპუბლიკამ ადგილების თანაბარი რაოდენობა, 28-28 მიპოვეს (იხ. ცხრილი 3) საერთო ჯამში, არჩევნებში მონაწილე 11 პარტიიდან 101 მანდატი 7 პარტიაზე გადანაწილდა [12. 31].

ცხრილი 3. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნები

ბლოკი/პარტია	ადგილები
ესტონეთის ცენტრისტული პარტია (სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია)	28
რეს-პუბლიკა	28
რეფორმა	18
ესტონეთის სახალხო კავშირი (ახალი ესტონეთის პარტია)	13
პრო პარტიული კავშირი „სამშობლო“	7
ზომიერი	6

2007 წლის 4 მარტის არჩევნები, მსოფლიოში პირველი საპარლამენტო არჩევნები იყო, რომელიც ნაწილობრივ ელექტრონული ხმის მიცემის გზით, ინტერნეტით განხორციელდა [13]. ხმის მიცემა შესაძლებელი იყო 26-28 თებერვალს. ინტერნეტით ხმა 30 000 ზე მეტმა მოქალაქემ მისცა. შედეგების მიხედვით პარტია რეფორმამ 31 მაინდატი მოიპოვა და ყველზე მსხვილი ფრაქციის ჩამოყალიბება შეძლო. (იხ. ცხრილი. 4)

ცხრილი 4. 2007 წლის საპარლამენტო არჩევნები

ბლოკი/პარტია	ადგილები
რეფორმა	31
ესტონეთის ცენტრისტული პარტია	29
პრო პარტიასა და რეს-პუბლიკას გაერთიანება	19
სოაციალ-დემოკრატიული პარტია	10
ესტონეთის მწვანეთა პარტია	6
ესტონეთის სახალხო კავშირ	6

2007 წლის არჩევნების მსგავსად, 2011 წლის საპარლამენტო არჩევნებიც ელექტრონული ფორმატით, 24 თებერვლიდან 2 მარტამდე გაიმართა. 2011 წლიდან ესტონეთმა პარტიების გადანაწილების D'Hondt-ის გამოყენებით დაიწყო. წინასაარჩევნო მონაცემებით რეფორმისტები, ოპოზიციურ პარტიას - ცენტრისტებს უსწრებდნენ, რაც არევნების შედეგებმაც დაადასტურა [12. 32] რეფორმამ ხმათა 28.6%, საკანონმდებლო ორგანოში 33 მანდატი მოიპოვა,(იხ. ცხრილი 5) ხოლო ესტონეთის ცენტრისტულმა პარტიამ 23.3%, 26 მანდატი მიიღო.

ცხრილი 5. 2011 წლის საპარლამენტო არჩევნები

ბლოკი/პარტია	ადგილები
რეფორმა	33
ესტონეთის ცენტრისტული პარტია	26
პრო პარტიასა და რეს-პუბლიკას გაერთიანება	23
სოაციალ-დემოკრატიული პარტია	19

2015 წლის 1 მარტს ესტონეში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, რომელსაც 19-დან 25 თებერვლამდე წინ უსწრებდა წინასწარი კენჭისყრა. რეფორმამ ყველაზე მეტი - 30 მანდატი მოიპოვა (იხ. ცხრილი 6). სამთავრობო კოალიციაში შედიოდნენ ესტონეთის პარტია რეფორმა და ესტონელი სოციალ-დემოკრატები, ახალი პრემიერ მინისტრის პოსტი 34 წლის ტაავი რივიასიმ დაიკავა. საპარლამენტო პარტიების რიგებს ახალი პარტია „თავისუფალი“ შეემატა [12. 33].

ცხრილი 6. 2015 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

ბლოკი/პარტია	ადგილები
რეფორმა	30
ესტონეთის ცენტრისტული პარტია	27
პრო პარტიასა და რესპუბლიკას გაერთიანება	15
სოციალ-დემოკრატიული პარტია	14
თავისუფალი პარტია	8
კონსერვატიული სახალხო პარტია	7

2019 წლის 3 მარტის არჩევნების შედეგების მიხედვით პარტია რეფორმა კვლავ ინარჩუნებდა ლიდერის პოზიციას. რიიგიკოგუში 101 ადგილი 5 პარტიაზე გადანაწილდა [14].

აღსანიშნავია, რომ ამ არჩევნებში კონსერვატიული სახალხო პარტიის რეიტინგი საგრძნობლად გაიზარდა, შედეგად მათი დეპუტატების რაოდენობა 7-დან 19-დე გაიზარდა. (იხ. ცხრილი 7).

ცხრილი 7. 2019 წლის საპარლამენტო არჩევნები

ბლოკი/პარტია	ადგილები
რეფორმა	34
ესტონეთის ცენტრისტული პარტია	26
კონსერვატიული სახალხო პარტია	19
„სამშობლო“ (პრო პარტიასა და რეს-პუბლიკას გაერთიანება)	12
სოციალ-დემოკრატიული პარტია	10

ესტონეთში პოლიტიკური სისტემის ფორმირების მაგალითი გვიჩვენებს, რომ განვითარების დინამიკის კუთხით ბევრი დადებითი მხარე აქვს. ესტონეთი დინამიურ ხასიათს ინარჩუნებს მმართველობაში ფართო ინოვაციების დანერგვით. IT სფეროს განვითარება ქვეყნის პრიორიტეტია 2001 წლიდან, შედეგად, პოსტ-სოციალისტური სივრცის სახელმწიფომ შეძლო და 2007 წელს, მსოფლიოში პირველი საპილოტე ელექტრონული არჩევნები წარმატებით ჩაატარა და 2014 წელს კი, ე.წ. „ელექტრონული მოქალაქეობა“ დაინერგა.

ესტონეთის დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, პარტიული სისტემის განვითარების დინამიკის ანალიზი ნათლად გვაჩვენებს, რომ მან შეძლო და წარმატებით შეცვალა, ხისტი საბჭოთა ერთპარტიული სისტემა, დინამიური მრავალპარტიული სისტემით. ეს უკანასკნელი, ხშირ შემთხვევაში გამორიცხავს ერთი კონკრეტული პარტიისთვის საკონსტიტუციო უმრავლესობის მინიჭებას. პროპორციული სისტემის დამკვიდრებამ უზრუნველყო ქვეყანაში პოლიტიკური პარტიათა სპექტრის სიჭრელე. ეს თავის მხრივ, პარტიების პოლიტიკური აქტივობის დინამიკის ზრდაზეც აისახა. ამასთან, გამოიკვეთა პარტიების ხშირი გაერთიანება-დაყოფის ტენდენცია.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, იმატა პოლიტიკურმა სკანდალებმაც, რაც ზოგადად დამახასიათებელია შედარებით ახალი დემოკრატიებისთვის და პოლიტიკური კრიზისის გამომწვევ მიზეზად გვევლინება.

ესტონეთმა მოახერხა პროპორციული სისტემის დადებითი ბუნების შეთვისება, კოალიციური მთავრობების დაკომპლექტებისა და მართვის კულტურის განვითარება.

მიუხედავად იმისა, რომ ესტონეთში ერთი კოალიციური მთავრობის ფუნქციონირება საშუალოდ ერთ წელზე მეტ ხანს ვერ გრძელდება, აღნიშნული არ გამხდარა ქვეყნის დემოკრატიულობის შემაფერხებელი ფაქტორი. მეტიც, ესტონეთის ეროვნული განვითარების თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ ინსტიტუციური და ეკონომიკური განვითარების მზარდმა მაჩვენებლებმა, უზრუნველყო ქვეყნის სწრაფი ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში.

MAKA BENASHVILI

FORMATION OF POLITICAL PARTIES IN POST-SOVIET ESTONIA (1992-2019)

Summary

In August 1991, after regaining its independence, Estonia became a sovereign state with a functioning democracy and a market economy. By correctly determining the foreign rate, the study of the political and party systems of Estonia, which has been successful on the path of European integration, is an interesting and topical issue for our country, given the current situation. Estonia has managed to assimilate the positive nature of the proportional system, developing a culture of staffing and governing coalition governments. Estonia maintains a dynamic character by introducing extensive innovations in governance. The development of the IT field has been a priority of the country since 2001, as a result of which the state of the post-socialist space succeeded and in 2007, successfully held the first pilot electronic elections in the world. In 2014, "e-citizenship" was introduced and citizens from all over the world, in Estonia, were given the opportunity to organize, establish and manage remotely. Today Estonians can provide 99% of public services electronically.

Key words: *political party, post-Soviet space, European integration, sovereign state, Estonia.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Lewis P. G., „Party Systems in Post-communist Central Europe: Patterns of Stability and Consolidation“. 2006. Democratization13 (4). 562-583.
2. Mainwaring S., Scully, T., Building Democratic Institutions: Party Systems in Latin America, Stanford, 1995.
3. Sartori G., „The Typology of Party Systems-Proposals for Improvement“ in ALLARDT, E.; ROKKAN, S. (eds.): Mass Politics: Studies in Political Sociology. New York-London, 1970, p. 324-332.
4. Political Parties Act., Parliament of Estonia Riigikogu, 2014. https://www.riigiteataja.ee/en/compare_original/502062014001 (გადამოწმებულია - 28.06.2021).
5. Vinkel P., „Internet Voting: Experiences From Five Elections in Estonia“, Researchgate, 2012.
6. Sikk A., „A Cartel Party System in a Post-Communist Country?“ The Case of Estonia, Department of Political Science University of Tartu, 2003.
7. Titma, M., „Estonia: A Country in Transition“, International Journal of Sociology Vol. 26, No. 1. 1996
8. Walter R., „Estonia, Latvia, and Lithuania country studies“, Federal Research Division Library of Congress, 1995.
9. Election Guide, Democracy Assisrance and Elections News, Republic of Estonia, 2019. https://www.electionguide.org/elections/id/3095/ (გადამოწმებულია - 20.06.2021).
10. Parties and Party Systems: A Framework for Analysis, Volume I by Giovanni. Sartori. Cambridge, Cambridge University Press, 1976. 370 pp
11. Erakondade rahastamise järelevalve komisjon, Financial activities of political parties, 2013-2021 https://www.erjk.ee/et უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.06.2021.
12. National Electoral Committee, Elections in Estonia 1992-2015, Tallin, 2016.
13. Riigikogu(The Estonian Parliament), Election in 2007, 2007 http://archive.ipu.org/parline-e/reports/arc/2105_07.htm (გადამოწმებულია - 25.06.2021).
14. Friedrich Nietzsche Ebert Stiftung, 2019 Parliamentary elections in Estonia, Tallinn, 2019.
15. Yves-Marie.,FIGHTING CORRUPTION, Political funding, Council of Europe, 2015.

ანა ბეჟაშვილი
*წარმოადგინა პროფ. **ლიკა ქათამაძემ***

მასკომუნიკაციის როლი საზოგადოების კულტურულ განვითარებაში

ჩვენი სტატია ეხება მასკომუნიკაციის როლს საზოგადოების კულტურულ განვითარებაში. მასკომუნიკაციის საშუალებები დღეს ერთგვარი გამტარია საზოგადოებასა და კულტურას შორს. მასკომუნიკაციას აქვს ის ძალაუფლება, რომელსაც საზოგადოებრივი აზრის ფორმირება შეუძლია. მისი როლი კულტურის განვითარებაში კი ძალიან დიდია. ვფიქრობთ, ეს საკითხი საკმაოდ საკამათო და სენსიტიურია. ის, თუ როგორ აშუქებს მედია კულტურის საკითხებს, რამდენად ფინანსდება სახემწიფოს მხრიდან კულტურის სფერო, რა გავლენას ახდენს ტექნოლოგიური და ციფრული რევოლუცია მასკომუნიკაციის განვითარებაზე, როგორ იქცევა ქართული მედია, გრძნობს თუ არა პასუხისმგებლობას და რა გამოსავალს ვხედავთ ამ პრობლემების გადასაჭრელად.

სტატიის დასაწყისში ვსაუბრობთ მასკომუნიკაციაზე, როგორც კულტურის ნაწილზე. როგორ აყალიბებს ის ღირებულებებსა და საზოგადოებრივ აზროვნებას. განვიხილავთ მასკომუნიკაციის საშუალებების ფუნქციებსა და მოვალეობებს. ვსაუბრობთ მედიის თავისუფლების მნიშვნელობაზე დემოკოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში; მასკომუნიკაციის საშუალებების დიდ პასუხისმგებლობაზე მაყურებლის ინფორმირების საკითხში.

შემდეგ მოგვყვას საქართველოს მაგალითი და ზოგადად ვეხებით ქართული მედიის მუშაობის ფორმებს კულტურის გაშუქების საკითხში, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იზრუნოს მედიამ საზოგადოების კულტურულ განვითარებაზე და მის ესთეტიკურ, სულიერ აღზრდაზე.

ვეხებით იმ პრობლემებს, რომლებიც ამ კუთხით, დღესდღეობით არსებობს ჩვენს ქვეყანაში. ვსაუბრობთ მედისაშუალებების პოლიტიზირების საკითხზე, სახელმწიფოს მხრიდან კულტურის სფეროს მიმართ გულგრილი დამოკიდებულების შესახებ. ვეხებით ფინანსურ და ეკონომიკურ პრობლემებსაც; მოგვყვავს ქართველი და უცხოელი კულტურის ჟურნალისტების საინტერესო ციტატები; ვსაუბრობთ კულტურათაშორისი კომუნიკაციის გაღრმავების შესახებ ციფრულ ეპოქაში.

საბოლოოდ, მივდივართ დასკვნამდე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის მედიის სწორი და ბალანსირებული მუშაობა, რამდენად მნიშვნელოვანია მედია სიფრთხილით მოეკიდოს საზოგადოებასთან ურთიერთობას და გაიაზროს ის პასუხისმგებლობები, რომლებიც აკისრია. მედიის დანიშნულება ხომ ბალანსის დაცვაა-შეინარჩუნოს ჯანსაღი ღირებულებები და მიაწოდოს საზოგადოებას ისინი სწორი ფორმით.

საკვანძო სიტყვები: *მასმედია, კულტურა, კულტურა, საზოგადოება, ქცევის ნორმები.*

მასკომუნიკაცია თავისთავად კულტურის ნაწილია. დღეს, ტექნოლოგიურ ეპოქაში, სწორედ მასკომუნიკაციის საშუალებები ასრულებენ უდიდეს როლს საზოგადოების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, ღირებულებების გადაფასებასა და ცნობიერების ამაღლებაში.

მასკომუნიკაციის საშუალებების განვითარება დიდი ნაბიჯი იყო საზოგადოების, როგორც სოციალური კონსტრუქტის ჩამოყალიბებაში და კულტურული ქცევის ნორმების დადგენასა და შექმნაში.

მასმედიაც სოციალური ინსტიტუციის ნაწილია, რომელიც თავის თავში მოიაზრებს ადამიანების კეთლდღეობაზე, შემეცნებაზე და განვითარებაზე მუშაობას.

მასმედიის დასაბამი ბეჭდური მედიაა, კერძოდ კი, გაზეთები. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბეჭდური მედია, ტელევიზიამ და უფრო მეტად კი ინტერნეტმა ბევრად უკან დასწია, ის მაინც რჩება მედიის უმთავრეს ნაწილად. ვინაიდან, ჟურნალისტის მთავარი იარაღი სიტყვებია.

დღესდღეობით, მედიის როლი განსაკუთრებით დიდია. საქართველოში, ქვეყანაში, რომელმაც დამოუკიდებლობა ბოლო 30 წელია მოიპოვა და დემოკრატიისკენ მიისწრაფვის, ეს როლი უფრო და უფრო იზრდება და მედიაც თავისთავად დიდი პასუხიმსგებლობის წინაშე დგას. მედიის თავისუფლება დიდწილად განაპირობებს დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების შექმნას.

მე-20 საუკუნის ამერიკელი ავტორი, ვილბურ შრემი საკუთარ ნაშრომში „მასმედია და ნაციონალური განვითარება“ ამბობს - „კომუნიკაცია ზეგავლენას ახდენს განვითარებად კულტურებზე. ის ხელს უწყობს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. ახდენს ადამიანური რესურსების მობილიზებას და მათგან ყურადღებას მოითხოვს. რა იცის ან რას ფიქრობს ხალხი ეროვნული განვითარების შესახებ. განსაკუთრებით, მათი დამოკიდებულებებისა და სოციალური ჩვეულებების წახალისებას, ცოდნის უზრუნველყოფას, რაც ხელსაყრელი იქნება განვითარებისთვის. მნიშვნელოვანია ინფორმაციის როლი, ხალხმა უნდა იცოდეს ის ინფორმაცია, რომელიც მათთვის საჭიროა, რომ სწორი მიმართულებით მოქმედების საშუალება მიეცეთ. მედია უნდა ქმნიდეს შესაძლებლობებს, რაც ხელს შეუწყობს დებატებს. ეს ყველაფერი ეთიკისა და პასუხისმგებლობის საკითხებსაც წამოჭრის. ეროვნული განვითარება გულისხმობს განვითარებას საკუთარი ძალისხმევით“ [1].

ამ ციტატიდანაც კარგად ჩანს, რამხელა როლი და პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მედიას ეროვნულ განვითარებაში. რამდენად მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების ინფორმირებულობის საკითხი.

ზემოთ ვთქვით, რომ მედია კულტურული საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი იარაღია.

ისიც აღვნიშნეთ, რომ მასკომუნიკაციის საშუალებები მოსახლეობის კულტურულ განვითარებაზე უნდა ზრუნავდნენ. ეს თავისთავად მოიაზრებს მედიასაშუალებების მხრიდან კულტურის სფეროების, კერძოდ კი ხელოვნების დარგების ირგვლივ სიახლეების გაშუქებას, ხელოვნების სფეროების პოპულარიზაციას.

საქართველოში ეს საკითხი საკმაოდ დიდი ხანია პრობლემას წარმოადგენს. პოლიტიზირებულ ტელევიზიაბში ნაკლებად მოიძებნება დრო და რესურსი კულტურისა და ხელოვნების დარგებისათვის.

უნდა ვთქვათ ისიც, რომ ქართულ კულტურას აკლია კრიტიკა, აკლია მსჯელობა და განვითარება. სახელმწიფოს მხრიდან არ გამოიყოფა საკმარისი ფინანსები. თეატრი, ქართული კულტურის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი სრულიად უგულებელყოფილია სახელმწიფოს მხრიდან. ქვეყანაში თითქმის არ არსებობს ფესტივალები, დაჯილდოებები. კინოშიც უიშვიათესად იდება ინვესტიცია და ისიც უმეტესად სხვა ქვეყნების მხრიდან. ქართული მუსიკა დროდადრო ტელეგადაცემებიდან გვესმის. დაიკლო კონცეტრების რიცხვმაც.

2000-იან წლებში ქართულ საეთერო ბადეში არსებობდა ტელეარხები რომლებიც მთლიანად შოუბიზნესის ირგვლივ მუშაობდნენ და სიახლეებს აქტიურად აშუქებდნენ. ასეთები იყო „მაესტრო, „პირველი სტერეო“, „მიუზიქ-ბოქსი“. ამ პერიოდში ქართული მედია ბევრად დიდ დროს უთმობდა კულტურის სფეროს.

აქვე იბადება ლოგიკური კითხვა, რა უნდა გააშუქოს მედიამ, თუ კი ამბავი არ ხდება? თუ კი საზოგადოების ინტერესი არ არსებობს? ქართველი საზოგადოება, ეკონომიკური და პოლიტიკური ფონის გამო, რასაკვირველია მოკლებულია ესთეტიკურ განვითარებაზე ზრუნვას. ქართველი მაყურებელი ინტერნეტ-სივრცეში გადაეშვა, სრულიად პოლიტიზირებული გახდა, იმატა აგრესიამ, დაპირისპირებამ. პოლიტიკური თემები ქართული მედიის მთავარ თემად იქცა და ეს გასაგებიც არის დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის განთვალისწინებით. თუმცა, სად არის კულტურის ადგილი? როდემდე უნდა გაგრძელდეს მისი უგულებელყოფა მედიის მხრიდან?

პატარა, სუსტი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ქვეყნისათვის, ალბათ ეს მოცემულობა ბუნებრივი და ორგანულიც კია.

„-ნაციონალური მაუწყებლები არ სწყალობენ ქართველ არტისტებს, რომლებიც ირჯებიან და ღირებულ პროდუქტს ქმნიან, ისინი იშვიათად თუ ჩანან ეთერში, განსხვავებით იმ ე.წ. მუსიკოსებისა თუ ფსევდოხელოვანებისგან, რომელთა „ხელოვნება“ კრიტიკასაც ვერ უძლებს. ისინი ასრულებენ „ერთჯერადი გამრთობის“ ფუნქციას და მას არანაირი ღირებულება არ გააჩნია. ყველაზე მტკივნეული საკითხი, რაც ტელე და ონლაინსივრცეში შეიმჩნევა კულტურის საკითხების გაშუქების მხრივ, ეს ანალიზური მასალების სიმცირეა. აღნიშნული ტენდენცია, ალბათ, გასაკვირი არცაა იმ ფონზე, როდესაც ქართული მედია ანალიზისა და კრი-

ტიკული აზრის ნაკლებობას განიცდის თითქმის ყველა სფეროში. „- ამბობს ჟურნალისტი ბადრი კობიაშვილი მისივე სტატიაში „კულტურა სამაუწყებლო და ონლაინ მედიის ფოკუსში“ [2].

ეს სამწუხარო მოცემულობა აბსოლუტურად შეესაბამება რეალობას. ყველაზე რეიტინგული არხები დღეს - „იმედი“, „რუსთავი ორი“, „მთავარი არხი“, „ტვ პირველი“ და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ არიან. ამ ხუთი არხიდან კულტურის გაშუქებას საკმარის დროს მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებელი უთმობს. დანარჩენ არხებზე თითო, ან არცერთი გადაცემა არსებობს ხელოვნების შესახებ. საზოგადოებრივი მაუწყებელი არაკომერციული ტელევიზიაა და სხვა ვალებულებების წინაშეც დგას, თუმცა კომერციული ტელევიზიების მხრიდან კულტურისა და ხელოვნების სფეროს სრული უგულებელყოფა უპატიებელია. საზოგადოებრივ მაუწყებელზე ვხვდებით რამდენიმე გადაცემას ხელოვნების სფეროების შესახებ. რაც, ნამვილი გამონათებაა ქართულ ტელესივრცეში.

„კრეატიული ინდუსტრიების გაშუქება მედია-გამომცემლებს დიდებულ მასალას აწვდის. მედია-გამომცემლები მუდამ დაეძებენ კარგ მასალას და სულ ადამიანურად საინტერესო ამბების სიმცირეზე ჩივიან. კრეატიულ ინდუსტრიებში მომუშავე ხალხი ადამიანურად საინტერესო ამბების ნამდვილი წყარო არის და მათზე წერა შეიძლება საოცრად მიმზიდველი იყოს – მათი ამბები უაღრესად პოზიტიური, უაღრესად დადებითი, ძალიან ინდივიდუალისტურია; ეს ამბები ხშირად გვიამბობენ წარმატებაზე, მაგრამ არა მხოლოდ და უბრალოდ წარმატებაზე. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ისინი მკითხველის ინტერესს აღძრავენ. - ამბობს ბრიტანელი ტელე-რადიო ჟურნალისტი და ხელოვნების ცენტრის დირექტორი ჯონ ტუსა.

მართლაც, ქართველი მაყურებელი უკიდურესად მოკლებულია ხელოვნებით მინიჭებულ სიამოვნებას. ტელე-პროდუქტს, რომელიც ადამიანს ესთეტიურად ზრდის და მისი სულიერი განვითარებას მაღალ საფეხურზე ასვლას უწყობს ხელს.

გვაქვს კულტურის ჟურნალისტების დეფიციტიც. უნივერსიტეტებში არ არსებობს მიმართულება, რომელიც სტუდენტს შეასწავლის კულტურის ჟურნალისტიკას და ხელოვნების სიახლეების გაშუქების ფორმებს.

ბუნებრივია, რომ საზოგადოება ბევრად მარტივად იღებს გასართობ და მსუბუქ კონტენტს. ე.წ. მასკულტურას, თუმცა, ტელევიზიებს, ვინაიდან საზოგადოების განვითარების ვალდებულება გააჩნიათ, მოეთხოვებათ ბალანსის დაცვა რეიტინგსა და ხარისხს შორის. მაყურებლისთვის აუცილებელია შემეცნებითი, სააზროვნო გადაცემები. მედია ვალდებულია გააცნობიეროს საკუთარი მოვალეობა და დანიშნულება. გაიაზროს, თუ რამხელა ძალაუფლებას ფლობს და როგორ უნდა წარმართოს სწორად ეს ძალაუფლება. მასმედიის საშუალებები რომ ტექნოლოგიურ ეპოქაში ყველაზე მძლავრი და ეფექტური იარაღია?

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ტელესივრცე თითქმის სრულიად პოლიტიზირებულია. პოლიტიკა და სოციალური პრობლემები დიდწილად წონის სხვა ფუნდამენტურ საკითხებს. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს რომ სრულფასოვანი საზოგადოების შექმნისათვის კულტურის სფეროს განვითარება აუცილებელია.

თანამედროვე, ციფრულ ეპოქაში კულტურის გაგებაც უფრო ფართო გახდა. საუკუნეების წინ ის თავისთავად ყალიბდებოდა, მასკომუნიკაციის საშუალებების გაჩენამ კი ეს პროცესი დააჩქარა. დამყარდა კულტურათაშორისი კომუნიკაციაც, ადამიანებს ყველანაირად ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი. მასკომუნიკაციამ გლობალური პროცესებიც დააჩქარა და ეს პირდაპირ შეეხო კულტურულ-ტრადიციულ ღირებულებებს.

აქედან გამომდინარე, ცხადი და ნათელია, რაოდენ დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდონ მასკომუნიკაციის საშუალებები საზოგადოების კულტურული განვითარების საკითხს. ჯანსაღი ღირებულებების შენარჩუნებასა და მათი სწორი ფორმით მიწოდებას მაყურებლისათვის.

დღეს, მედია ერთგვარი გამტარია კულტურასა და საზოგადოებას შორის და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი ძალაუფლება. გლობალიზაციის ეპოქაში განსაკუთრებით მას დიდი როლი აკისრია მედიას, მან უნდა დაიცვას ზღვარი და ერის საუკეთესო ინტერესებიც. გამოსავალი კი ყოველთვის ბალანსშია, მით უმეტეს, ტექნოლოგიურ და ციფრულ ეპოქაში, რომელშიც უფრო და უფრო რთული ხდება იდენტობისა და ეროვნულობის შენარჩუნება.

ANNA BEZHASHVILI

THE ROLE OF MASS COMMUNICATION IN SOCIETY IN CULTURAL DEVELOPMENT

Summary

Our article is about the role of mass communication in the cultural development of a society. The mass media is a kind of conductor between society and culture. Mass communication has the power to shape public opinion. Its role in the development of culture is very big. We think, this issue is quite controversial and sensitive. How the media covers cultural issues, how much the state's culture is funded, how the technological and digital revolution affects the development of mass communication, how the Georgian media behaves, whether it feels responsible and what solution we see to solve these problems.

At the beginning of the article we talk about mass communication as part of culture. How it shapes values and public thinking.

We discuss the functions and responsibilities of mass media. We talk about the importance of media freedom in building a democratic society; The great responsibility of the mass media in informing the viewer.

Then, we will follow the example of Georgia and in general ,we will touch upon the forms of work of the Georgian media in the issue of cultural coverage, how important it is for the media to take care of the cultural development of the society and its aesthetic, spiritual upbringing.

We are dealing with the problems that exist in our country today. We are talking about the politicization of the media, the indifferent attitude of the state towards the field of culture. We also deal with financial and economic problems; Here are some interesting quotes from Georgian and foreign culture journalists; We are talking about deepening intercultural communication in the digital age.

Finally, we come to the conclusion that it is important for Georgia to work properly and balanced media, how important it is for the media to be careful in its relations with the public and to understand the responsibilities that it owes.

After all, the purpose of the media is to maintain balance - to maintain healthy values and to present them to the public in the right way.

Keywords: *mass media, culture, culture, society, norms of behavior.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვილბურ შ., „მასმედია და ნაციონალური განვითარება“.
2. კობიაშვილი ბ., „კულტურა სამაუწყებლო და ონლაინ მედიის ფოკუსში“.

მერაბ კილაძე
წარმოადგინა ასოც. პროფ. ***ლევან ოსიძემ***

ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების საკითხი - საქართველო და რუსეთი

რამდენად შეძლებს ნატო საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფას ალიანსში გაწევრიანების შემთხვევაში, რა წინააღმდეგობები გვხვდება ამ გზაზე რუსეთის სახით, აი ის ძირითადი საკითხები, რომელიც ჩვენს საზოგადოებას აწუხებს. ნატო-ში გაწევრიანება საუკეთესო საშუალება იქნება ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გარანტიის მიღებაში ნატოს წესდების მე-5 პუნქტის შესაბამისად თუ მის გარეშე. ცხადია, საქართველოსათვის ევროატლანტიკის სივრცეში ინტეგრირება და კონკრეტულად ნატოს სრულუფლებიანი წევრობა უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიისაგანთავის დაცვის საქმეში.

ალიანსში გაწევრიანება ხელს შეუწყობს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებასა და ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო პრინციპების განვითარებას საქართველოში და მათ რეალურ დამკვიდრების პროცესს, ასევე ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გარანტიის მიღებაში. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობა საქართველოს დაეხმარება საერთაშორისო მასშტაბის დონის მქონე არანაკლებ საშიში გამოვლენის, რადიკალური ისლამის აგრესიის მოგერიებაში. ნატოს სტანდარტების დაკმაყოფილების კუთხით საქართველო დღეს საჭიროებს სწრაფ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

განხორციელებული კვლევების შედეგად შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვა, რა გეოპოლიტიკური ინტერესები გააჩნია ნატოს კავკასიის რეგიონში და კერძოდ საქართველოსთან მიმართებაში რა ფაქტორები უშლის ხელს საქართველოs ნატოში გაწევრიანებას? და რა პასუხი აქვს ამაზე რუსეთის ფედერაციას. მიუხედავად ნატოს მხრიდან ვერბალური მხარდაჭერისა, ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა არსებობს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის გზაზე, მათ შორისაა საქართველოში არსებული კონფლიქტები, რომლებიც ხელს უშლის სწრაფვას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში.

წევრობისათვის აუცილებელია ნატოს წევრი ქვეყნების თანხმობა - მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა წევრ ქვეყანასთან გვაკავშირებს კეთილმეზობლური და მეგობრული დამოკიდებულება, ეს ვითარება მაინც ვერ შეცვლის თამაშის წესებს საერთაშორისო სისტემაში, რადგან ყველა ქვეყნის მთავარი მამოძრავებელი, ამოსავალი საკითხია საკუთარი ეროვნული ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოება, რომელსაც იგი შენი კეთილდღეობისათვის საფრთხის ქვეშ არ დააყენებს.

საკვანძო სიტყვები: *საერთაშორისო ორგანიზაციები, ნატო, ინტეგრაცია, აღმოსავლეთით გაფართოება, ინტეგრაცია, ნატოში საქართველოს გაწევრიანება, რუსეთის ფაქტორი, უკრაინა, საქართველო, კავკასიის რეგიონი, რადიკალური ისლამი.*

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოების საკითხი რუსეთის ანტინატოური პოლიტიკის ფონზე ძალზე აქტუალურია. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია რუსეთის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა პოლიტიკურ მეცნიერებაში დამკვიდრებული თეორიული მოცემულობები „ცივი ომის“ დასრულების შემდგომ პერიოდში. ნატოს მიერ სწორი პოლიტიკის წარმართვა რუსეთის ფედერაციის მიმართ ყველაზე ეფექტური მიდგომაა არა მარტო ჩვენს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად, არამედ მთელ მსოფლიოში, ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენი სტატიის ძირითად სამიზნეს წარმოადგენს ნატოს შემდგომი მოსალოდნელი გაფართოება ძირითად საქართველო - უკრაინის კონტექსტში და ამის საპირწონედ რუსეთის ფედერაციის მიერ მიზანმიმართულად დაგეგმილი და განხორციელებული საწინააღმდეგო ქმედებები. ალიანსის მიერ აღმოსავლეთ ევროპის გაფართოების გასა-

წევრიანებელი სახელმწიფოების ძლიერება უნდა გამოიხატებოდეს უპირველესად სამხედრო თვალსაზრისით ალიანსის სტანდარტებთან დაახლოებაში, რის ნათელ მაგალითითს წარმოადგენს ნატოს ძირითადი პარტნიორი ქვეყნის ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განსაკუთრებით ამ ბოლო პერიოდში შეტანილი წვლილი, როგორიცაა, მაგალითად, 2018 წელს აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობაში ახალი სტრატეგიული თანამშრომლობის ნაბიჯი, რაც გამოიხატა ულტრათანამედროვე ტექნოლოგიური სისტემით საქართველოს თავდაცვის ძალების აღჭურვაში, კერძოდ, 2018-2019 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური ფონდის მხარდაჭერით საქართველოს გადმოეცა 75 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების „ჯაველინი“-ს სისტემის ტანკსაწინააღმდეგო თანამედროვე ტიპის სისტემები, ასევე საგულისხმოა ენერგოდამოუკიდებლობის კუთხით გადადგმული ნაბიჯები, რომლის ნათელი მაგალითია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი, რომლის ღირებულებამ 145 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და რომლის დაპროექტებაც 2000 წელს დასრულდა. ეს ენერგოპროექტები ძალზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობისათვის. 2001 წელს აშშ-ს მომდევნო ადმინისტრაციაც მიესალმა ამგვარი პროექტების განხორციელებას, რასაც არა მარტო ეკონომიკური, არამედ უმთავრესად პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნდა [1].

აშშ ამ პერიოდში რუსეთთან აწარმოებდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებს და ცდილობდა მის დარწმუნებას, რომ ახალი ენერგოპროექტები რუსეთისათვის რაოდენ მომგებიანი იქნებოდა ჩვენი რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის თვალსაზრისით, რაც ფაქტობრივად იმ დროისათვის „მწვანე ბარათი“ იყო ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისაკენ მიმავალ და საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა - განვითარების გრძელ გზაზე. ეს უნდა გამოხატულიყო ქვეყნის სწრაფ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესსა და ტრანსფორმაციაში, მუდმივად პარტნიორებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობასა და კოორდინირებულ მუშაობაში. საქართველოს მისწრაფება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გასაწევრიანებლად არ დარჩენილა რუსეთის „ყურადღების“ გარეშე. რუსეთის ფედერაციის მხრიდან ნატოს გაფართოების წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები გამოიხატა 2008 წელს რუსეთის რეგულარული არმიის მიერ საქართველოს სუვერენული ქვეყნის საზღვრის გადმოკვეთა აგრესიასა და ომის გაჩაღებაში, რასაც რუსეთ საქართველოს ხუთდღიანი ომი, ხოლო უკრაინის სახელმწიფოში კი - ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია და დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში საომარი მოქმედებების განხორციელება მოჰყვა. სანქციების ნაწილში და პარტნიორების მხრიდან რეაგირებაში უპირველესად მოიაზრება საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის, ამერიკის შეერთებული შტატების და ნატოს წევრი ქვეყნების, ევროკავშირის მიერ უსწრაფესი პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების და წნეხის დაწესება ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, კომპანიებზე და მათ შორის მოქმედი მთავრობის წევრებზე, რომელიც დღემდე მოქმედი სანქციებია და არის საფასური საქართველოს წინააღმდეგ 2008 წელს განხორციელებული აგრესიისა და უკრაინის ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიისა და აღმოსავლეთით ომის გაჩაღებისათვის [2. 6].

ნატოს პარტნიორობისა და თანამშრომლობის განვითარების პრინციპის ჩარჩოებში კავკასია მოიაზრება ერთიანი რეგიონის სახით და ამ კუთხით ხორციელდება მის შემადგენელ სახელმწიფოებთან პოლიტიკური დიალოგის წარმოება. ამ მხრივ გამოვყოფთ 1999 წლის ივლისში ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (ეაპსი) ფარგლებში სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებას, სადაც ხორციელდება რეგიონის ცალკეული სახელმწიფოების წინაშე მდგარი პრობლემების აქტიური განხილვა და მოგვარების გზების ძიება. ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებისას საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება წარმოადგენს, თავის მხრივ, საქართველო, როგორც ალიანსის ასპირანტი ქვეყანა და მისი მომავალი წევრი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში და ასევე მუდმივად რეგიონში ძნელად შენარჩუნებელ პოლიტიკურ სტაბილურობაში [3. 19].

მიუხედავად ყველაფერი ამისა, საქართველოს მთავრობის თანამედროვე ანგარიშებში გრძელდება მისწრაფება ნატოში გაწევრიანებისათვის და იდგმება კონკრეტული ნაბიჯები. ამისი ნათელი მაგალითია 2021 წლის 25 ივნისის ყოველწლიურ ანგარიშში გაწერილი კონკრეტული ნაბიჯები ქვეყნის ეროვნული უსაფრ-

თხოებისა და ტოტალური თავდაცვის განსამტკიცებლად. ნატოსთან თავსებადობის გაზრდის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების და სამხედრო მოსამსახურეების დაფასების მიზნით გადაიდგა არა ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი. აქტიურად ხორციელდება ნატო-საქართველოს განახლებული არსებითი პაკეტი. აშშ-თან თანამშრომლობის ფარგლებში ქართული მხარე წარმატებით ახორციელებს ისტორიული მნიშვნელობის პროგრამას - GDRP-ს. გამოიცა თავდაცვის ძალების სამოქმედო გეგმა 2020-2030, რომელიც განსაზღვრავს შემდეგ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს, როგორიცაა ჯავშანსაწინააღმდეგო, საჰაერო თავდაცვის, საარტილერიო, დაზვერვისა და საინჟინრო შესაძლებლობების განვითარება. ასევე ხაზგასმული იქნა, რომ ნატოსკენ მიმავალ გზაზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ურთიერთობა წარმოადგენს ერთ-ერთ უაღრესად აქტუალურ საკითხს, რომლის წარმატებით განვითარებაზე დიდად იქნება დამოკიდებული საქართველოს მომავალი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, მათ შორის ჩრდილო-ატლანტიკურ სტრუქტურაში გაწევრიანების ბედი - ყველაზე მნიშნელოვნად სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებზეა დამოკიდებული, რადგან იგი მსოფლიოს ზესახელმწიფოს წარმოადგენს. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მხარს უჭერს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში, ზოგადად სახელმწიფოებრივი პროგრამების განხორციელებასა და თავდაცვის სფეროებში. ამ მიზნით საქართველომ დიდი ხანია აიღო ვალდებულება დემოკრატიის განვითარების, ადამიანის უფლებების დაცვის დასავლურ ფასეულობათა ჩვენს ქვეყანაში დანერგვის მიმართულებით. ამ დოკუმენტში საგარეო პოლიტიკის მხრივაც შეჯამდა განვლილი პერიოდი. საქართველოს მთავრობის ძირითადი მიზანია საქართველოს ევროკავშირში და ევროატლანტიკურ სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაცია [4. 23].

ასევე საგულისხმოა, რომ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში მისწრაფების გზაზე 2024 წელს ევროკავშირის წევრობაზე საქართველოს მთავრობა განაცხადს გააკეთებს ოფიციალურ დონეზე. ასევე ღრმავდება თანამშრომლობა ევროკავშირთან როგორც უმაღლეს პოლიტიკურ, ისე ინსტიტუციურ დონეზე, რითაც უმაღლეს დონეზეა აყვანილი ურთიერთობები ქვეყნის მთავარ სტრატეგიულ მოკავშირე ქვეყანასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან. საქართველოსადმი აშშ-ის ურყევი მხარდაჭერის დადასტურებაა კონგრესის მიერ 2020 წლის ბოლოს დამტკიცებული საკანონდებლო აქტები. ასევე 2021 წელს, თებერვალში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარე კონგრესმენთა მიერ ხელახლა ინიცირებულია „საქართველოს მხარდამჭერი აქტი“, გაზრდილია დაფინანსება. მთავრობა ეფექტიანად იყენებს ყველა ინსტრუმენტს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გასაწევრიანებლად. ნათელია, რომ საქართველო დღეს უკვე ყველა პარამეტრით არის მზად, გახდეს ნატოს წევრი. ავღანეთში ნატოს მისიებში ჩვენმა სამხედროების აქტიურმა ჩართვამ მსოფლიოს არაერთგზის აჩვენეს, თუ რა შეუძლია ჩვენს პატარა ქვეყანას [5. 16].

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი არ არის ის ბოლო ცხელი წერტილი, რომელიც რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ ხორციელდება. არ წყდება მის შემდგომ განხორციელებული აქტები, რაც გამოიხატა გორის მიმდებარე სოფლებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის საკუთარი საკარმიდამო ადგილებიდან გატაცება, რომელიც თელ რიგ შემთხვევებში ფატალურად მთავრდება, როგორიც იყო არჩილ ტატუნაშვილის გატაცების ფაქტი და დღეის მდგომარეობით შეგვიძლია მოვიყვანოთ გატაცებული ზაზა გახელაძის ფაქტი. აღსანიშნავია, რომ ამით პროვოკაციები არ მთავრდება საქართველოს წინააღმდეგ და რუსეთის ფედერაციის მხრიდან მუდმივად ხდება ზეწოლის გაძლიერება, ვინაიდან მოსკოვი ფიქრობს ასეთი მეთოდებით აიძულოს საქართველოს ხელისუფლება უარი განაცხადოს ალიანსის წევრობაზე. როდესაც გავლილი საფრთხეების თაობაზე მაგალითი მოვიყვანეთ, ამის მიუხედავად კვლავ არსებობს მოსკოვის მხრიდან, პოლიტიკური, ეკონომიკური და, ასევე სამხედრო ხასიათის მოსალოდნელი საფრთხეები [6].

უკვე დაშვებული პრეცედენტია, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მიიღო ფედერაციული კონსტიტუციური კანონი უცხო ქვეყნების ტერიტორიების რუსეთის ფედერაციასთან მიერთების თაობაზე, რაც განახორციელა ყირიმის ნახევარკუნძულის მიმართებაში 2014 წლის 21 მარტის მიღებული ფედერაციული კონსტიტუციური კანონის N 6-ФКЗ მიღებით და ამ მხრივ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ანალოგიის გავლების შემთხვევაში, შეიძლება მსგავსი პრეცენდენტი იქნეს

გამოყენებული რუსეთის ფედერაციის მიერ აღიარებული თვითგამოცხადებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემთხვევაში, რისი ნათელი დადასტურება გახლავთ რუსეთის პოლიტიკური მაღალი თანამდებობის პირების განცხადებები - საქართველოს მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი გადაჭრას სამხედრო გზით რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს. ამასთან, მიუხედავად მსოფლიოში გავრცელებული კორონა ვირუსის პანდემიისა, რუსეთი კვლავაც შეეცდება გაზარდოს ფასები რუსულ ენერგო მატარებლებზე და აიძულოს საქართველო შეისყიდოს იგი მისგან ბევრად უფრო მაღალ ფასში [7].

ასევე მანიპულირების საგანი მომავალშიც იქნება - აღარ დაუშვას ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე ექსპორტი და აწიოს საბაჟო ტარიფები საქართველოდან რუსეთის ტერიტორიაზე ექსპორტირებულ სხვა საქონელზე, ასევე არაა გამორიცხული სხვადასხვა სახის დივერსიული აქტების მოწყობა ენერგოობიექტებზე, ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მოქმედ ნავთობსადენებსა და ასევე ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენზე, ასევე მოქმედებაში შესული სარკინიგზო გადასასვლელებზე ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზაზე, ასევე არაა გამორიცხული, რომ რუსეთი შეეცადოს გააღვივოს სეპარატიზმი არაქართული მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში, განსაკუთრებით ჯავახეთში, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური ერევნისაგან ამ დროისათვის რაიმე ტიპის უარყოფითი ქმედებები აზერბაიჯან-სომხეთის ყარაბახის ომის ფონზე გამორიცხულია, მაგრამ არ არის დღის წესრიგიდან საბოლოოდ მოხსნილი, რაზეც მოწმობს მაგალითად სომხური რადიკალური მოძრაობის „დაშნაკტუცუნის“ სამხედრო ფორმირებების მხრიდან დივერსიული აქტების განხორციელება საქართველოში განლაგებულ სხვადასხვა ობიექტებზე. ასევე მოსალოდნელი და შესაძლებელია შიდაპოლიტიკური ვითარების გამწვავება ჯავახეთში, რისი მიზეზიც შეიძლება გახდეს მაჰმადიანი მესხების შესაძლო ჩამოსახლება ამ რეგიონში, შესაბამისად, საქართველოსთვის აუცილებელია გაწევრიანების პროცესის დადებითი დინამიკის შენარჩუნება და ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა [8].

შავი ზღვის რეგიონი ძალზედ მნიშვნელოვანია ნატოს წევრი როგორც ევროპელი მოკავშირეების, ასევე შეერთებული შტატებისათვის, როგორც მთავარი ხიდი ენერგომატარებელთათვის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და როგორც ბარიერი სხვადასხვა საშიშროებებისა და გამოწვევების წინააღმდეგ [9].

ამ კუთხით მხარდაჭერა საგულისხმოა ნატოს გენერალური მდივნის მოადგილის, როუზ გოტემოლერის (2016 წ. -ოქტომბერი, 2019 წ.) ბათუმში ვიზიტის დროს ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ოქტომბრის დასაწყისში გამართულ შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვა: „ცვლილებები შეიძლება ერთ ღამეში ვერ განხორციელდეს, თუმცა ჩვენ გვინახავს, რა შეიძლება მოხდეს ერთ თაობაში“. აღნიშნული შეხვედრა გაიმართა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს, ნატოს მთავარი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოს საქართველოში ვიზიტის ფარგლებში. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ეს გახლდათ ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს წარმომადგენელთა მეხუთე ვიზიტი საქართველოში. ასევე ქართველ ახალგაზრდებთან საუბრისას ქალბატონმა როუზმა აღნიშნა, რომ რეფორმების ტემპის გაგრძელება და საქართველოს ევროატლანტიკური ამბიციების რეალიზება ამ ქვეყნის საზოგადოებისა და თაობის გამოწვევაა; ეს პროცესია, რომელიც მოითხოვს ბევრ შრომასა და მოთმინებას, მაგრამ, ამავდროულად, ბევრ შესაძლებლობასაც იძლევა [10. 2].

ასევე საინტერესოა საერთაშორისო მიმოხილველის ლუკ კოფის მიერ გაკეთებული შეფასება: შეუძლია თუ არა საქართველოს ნატოში გაწევრიანება MAP - ის გარეშე? მისი სიტყვებით, ნატოში არსებობს ქვეყნები, რომლებიც MAP-ის გარეშე გაწევრიანდნენ ორგანიზაციაში, ამ თვალსაზრისით საქართველო პირველი არ იქნება. ყოველ ნატოს სხომაზე საქართველო MAP -ის მოლოდინშია და რაც უფრო დრო გადის MAP-ით დაკისრებულ ვალდებულებებს არა თუ ვასრულებთ, არამედ ვშორდებით უფრო მოთხოვნილ სტანდარტებს. ჩემი აზრით, სანამ მაპის საკითხი არსებობს, რუსეთს შეუძლია ის პროპაგანდისთვის გამოიყენოს. როგორც ზემოთ ავღნიშნე წევრობისათვის აუცილებელია ყველა წევრი ქვეყნის ხმა. ხმათა გარკვეულ ნაწილს საქართველო ვერ მიიღებს რადგან ევროპის წამყვანი ქვეყნებიც კი რუსეთთან ენერგოდამოკიდებულებაშია [11].

თუ დავაკვირდებით მოვლენათა განვითარებას, ცხადია, რუსეთი ძალას არ იშურებს ყველა ნაბიჯზე შექმნას დაბრკოლება, რათა საქართველო ვერ გაწევრიანდეს ნატოში. აგვისტოს ომის მიზეზიც ის იყო, რომ მას სურდა განეთავსებინა სამხედრო ბაზები საქართველოს ტერიტორიაზე. აქ ტერიტორიულ დაინტერესებას იმდენად არ აქვს ადგილი, არამედ იმას, რომ შექმნას მისთვის საჭირო პირობები, რათა შეაფერხოს ენერგეტიკულ პროექტებზე მუშაობა და ხელი შეუშალოს საქართველოს გაწევრიანებას ნატოში, უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, ეს არის ერთი გასროლით ორი კურდღლის დაჭერა. MAP-ის სტანდარტები ნამდვილად მისაღებია, თუმცა მისმა შესრულებისკენ სწრაფვამ შესაძლოა უფრო დაგვაზარალოს [12].

საკითხავია, რამდენად შეძლებს ნატო საქართველოს უსაფრთხოების უზრნუნველყოფას? ცხადია, ალიანსში გაწევრიანება ხელს შეუწყობს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებასა და ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო პრინციპების განვითარებას საქართველოში და მოტივაციას მისცემს მათი რეალური დამკვიდრების პროცესს. მეორეს მხრივ, ნატო-ში გაწევრიანება საუკეთესო საშუალება იქნება ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გარანტიის მიღებაში ნატოს წესდების მე-5 პუნქტის შესაბამისად თუ მის გარეშე [13].

ცხადია, საქართველოსათვის ევროატლანტიკის სივრცეში ინტეგრირება და კონკრეტულად ნატოს სრულუფლებიანი წევრობა უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიისაგან თავდაცვისა და მისი შიდა პოლიტიკური ინტერესების დაბალანსების საქმეში. მეორეს მხრივ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობა საქართველოს დაეხმარება საერთაშორისო მასშტაბის დონის მქონე არანაკლებ საშიში გამოვლენის, რადიკალური ისლამის აგრესიის მოგერიებაში, რომელიც მას ემუქრება თურქეთის მიერ დეკლარირებული პანისლამური სახელმწიფოს შექმნისა თუ ამჯერად მიძინებული „ისლამური სახელმწიფოს“ პრობლემის აღორძინების შემთხვევაში, სადაც ჩვენს ქვეყანას „საქართველოს ვილაიეთის“ სახელი აქვს მიკუთვნებული და საერთოდ იგნორიებულია მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენული უფლებები [14].

განხორციელებული თეორიულ-მეთოდოლოგიურ კვლევების შედეგად შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვა, იმის შესახებ თუ რა რა გეოპოლიტიკური ინტერესები აქვს ნატოს გაფართოებას კავკასიის რეგიონში და, კერძოდ, საქართველოსთან მიმართებაში და რა ფაქტორები უშლის ხელს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას? ამასთან, რა პასუხი აქვს ამაზე რუსეთის ფედერაციას. მიუხედავად ნატოს მხრიდან აღმოჩენილი მხარდაჭერისა, ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა არსებობს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის გზაზე, მათ შორის აღსანიშნავია: საქართველოში არსებული შიდა კონფლიქტები, რომლებიც ხელს უშლის სწრაფვას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ.

ასევე, წევრობისათვის აუცილებელია ნატოს წევრი ყველა ქვეყნის თანხმობა - მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა წევრ ქვეყანასთან გვაკავშირებს კეთილმეზობლური და მეგობრული დამოკიდებულება, ეს ვითარება მაინც ვერ შეცვლის თამაშის წესებს საერთაშორისო სისტემაში, რადგან ყველა ქვეყნის მთავარი მამოძრავებელი, ამოსავალი საკითხია საკუთარი ეროვნული ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოება, რომელსაც იგი შენი კეთილდღეობისათვის საფრთხის ქვეშ არ დააყენებს.

MERAB KILADZE

THE ISSUE OF NATO EXPANSION TO THE EAST - GEORGIA AND RUSSIA

Summary

How much NATO will be able to ensure Georgia's security in case of joining the alliance, what obstacles we face on this path in the form of Russia, these are the main issues that concerns our society. Joining NATO will be the best way to guarantee the sovereignty and territorial integrity of our country in accordance with Article 5 of the NATO Charter or without it. For Georgia, integration into the Euro-Atlantic area and full membership in NATO will play an important role in protecting against the expected aggression by Russia.

Membership in the Alliance will strengthen democratic institutions and the development of universal principles of human rights protection in Georgia and the process of their actual establishment, as well as in guaranteeing the protection of the country's sovereignty and territorial integrity. Membership in the North Atlantic Alliance will help Georgia to repel the aggression of radical Islam, which is no less dangerous on an international scale. In terms of meeting NATO standards, Georgia today needs rapid socio-economic development.

Based on the conducted research, we can draw a conclusion, what are the geopolitical interests of NATO in the Caucasus region and in relation to Georgia, what factors hinder Georgia's membership in NATO? And what is the response of the Russian Federation to this. Despite verbal support from NATO, there are still many problems on Georgia's path to NATO integration, including the conflicts in Georgia, which are hampering aspirations in Euro-Atlantic structures.

Membership requires the consent of NATO member states - although we have good neighborly and friendly relations with almost all member states, this situation cannot change the rules of the game in the international system, because the main driving force of all countries is their own national interests and national security, which they will not put in danger.

***Keywords**: NATO (North Atlantic Treaty Organization), enlargement to the east, integration, Georgia's membership in NATO, the Russian factor, Ukraine, Georgia, the Caucasus region, radical Islam.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის ოფიციალური გვერდი http://gov.ge/print.php?gg=1&sec_id=556&info_id=79678&lang_id=GEO [წანახია:26.06.2021]
2. ს. ცინცაძე, ნატო და საქართველოს უსაფრთხოება, თბ., 2008
3. ნ. ჩიტაძე, ნატო ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი, თბ.,2008
4. ზ.აბაშიძე, ნატო და საქართველო – უტოპიიდან რეალობისკენ, თბ., 2007
5. მ. ჯუგაშვილი, რუსეთის პოლიტიკა საერთაშორისო სანქციების პირობებში, სადოქტორო დისერტაცია, (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), თბ., 2021
6. ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ოფიციალური ვებ-გვერდი. https://www.nato.int/ [წანახია:16.06.2021]
7. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო https://mod.gov.ge/ge/page/38/tanamshromloba-natostan [წანახია:16.06.2021]
8. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო https://mod.gov.ge/ge/page/65/arsebiti-paketi [წანახია:16.06.2021]
9. ჯეიმს აპატურაი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი. https://1tv.ge/news/jeims-apaturai-nato-ukve-ekhmareba-saqartvelos-koronavirus-tan-brdzolashi-da-vecdebit-gavaketot-meti/ [წანახია:16.06.2021]
10. 10.Федеральный конституционный закон от 21.03.2014 N 6-ФКЗ (ред. от 04.04.2020) "О принятии в Российскую Федерацию Республики Крым и образовании в составе Российской Федерации новых субъектов - Республики Крым и города федерального значения Севастополя“.
11. საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. http://old.infocenter.gov.ge/ [წანახია:16.06.2021]
12. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო https://mfa.gov.ge/ [წანახია:16.06.2021]
13. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური გევრდი https://mod.gov.ge/ge/page/119/tanamshromloba-ashsh-stan [წანახია:16.06.2021]
14. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური გვერდი https://mod.gov.ge/ge/mission [წანახია:16.06.2021]

ვერიკო ბალუხაშვილი
*წარმოადგინა პროფ. **იგორ კვესელავამ***

ევრაზიული კავშირის წინაშე მდგარი გამოწვევები და მისი პერსპექტივები

კორელაციები, კავშირები, გაერთიანებები, ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილნი არიან ერთიანი ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ნიშნით დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას. მათი მთავარი ამოსავალი წერტილი პოლიტიკაა. ფაქტია, რომ ნებისმიერი გაერთიანების შექმნის საფუძველს ეს უკანასკნელი წარმოადგენს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ პოლიტიკურ კავშირებსა და კოალიციებს საინტერესო ისტორიული პრაქტიკა გააჩნიათ მსოფლიოში. მათ შორის აღსანიშნავია უახლოეს წარსულში შექმნილი ევრაზიული კავშირი. მოკლედ მიმოვიხილავ, თუ რა მდგომარეობაშია საკვლევი საკითხი თანამედროვე მეცნიერებაში და მსოფლიოში არსებული ვითარების ფონზე, რაც მის აქტუალობას განაპირობებს.

საკვანძო სიტყვები: *საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ევრაზიული კავშირი, რუსეთი, ევროპა.*

ევრაზიული კავშირი, კერძოდ კი, ევრაზიის საბაჟო კავშირი 2010 წლიდან იღებს სათავეს, თუმცა იგი საბოლოოდ გაფორმდა 2015 წელს.

რაც შეეხება ევრაზიული კავშირის შექმნის იდეას, იგი სათავეს 1920-იანი წლებიდან იღებს, როდესაც ჩამოყალიბდა ევრაზიელთა იდეოლოგიური მიმდინარეობა ევრაზიანიზმი. შესაბამისად, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ევრაზიელი კავშირის შექმნის იდეაც დასაბამს სწორედ ამ პერიოდიდან ჰპოვებს. ამ იდეის დამუშავებასა და შემდგომ განვითარებაში დიდი როლი მიუძღვის ფილოსოფოს და „ევრაზიული კავშირის სახით 21-ე საუკუნის რუსული იმპერიის აღდგენის კონცეფციის ჩამომყალიბებელ ალ. დუგინს. მას ეკუთვნის წიგნი „გეოპოლიტიკის საფუძვლები, რომელშიც დეტალურადაა განხილული გეოპოლიტიკური მეცნიერების საფუძვლები, მისი ისტორია, გეოპოლიტიკურ თეორიები და წარმოდგენილია გეოპოლიტიკურ სკოლათა და შეხედულებათა ფართო სპექტრი. ჩამოყალიბებულია რუსეთის გეოპოლიტიკურ დოქტრინა. იგი, ასევე, გამოირჩევა მწვავე განცხადებებით რუსეთის იმპერიის აღდგენასა და „ევროპის დაპყრობასთან დაკავშირებით“. იგი ეფუძნება მოსაზრებას, რომ რუსეთმა, როგორც ბიზანტიური და, შესაბამისად, ჭეშმარიტად ქრისტიანული ტრადიციების მემკვიდრემ, საკუთარ განსაკუთრებულ, სლავურ და მართლმადიდებლურ იდენტობაზე დაყრდნობით, რომელსაც იგი ევრაზიულთან აიგივებს, უნდა შექმნას გავლენის სფერო (ანუ იმპერია) იმისათვის, რომ დაუპირისპირდეს დასავლეთს. ამ იდეოლოგიის თანახმად, დასავლეთს რუსეთთან მიმართებაში ერთადერთი მოტივაცია - მის საბოლოოდ დასუსტება და დაკნინება ამოძრავებს. რუსეთის ყოფილ იმპერიაში, ანუ ევრაზიაში, დასავლეთის გავლენის შეჩერება კი, დუგინის იდეოლოგიის თანახმად, გადამწყვეტია ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გამარჯვების მოსაპოვებლად.

საგულისხმოა ისიც, რომ დუგინამდე დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ 1904 წელს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიას „ევრაზიის გული - უწოდა ცნობილმა ბრიტანელმა გეოგრაფმა ჰალფორდ მაკინდერმა და განაცხადა, რომ ის, ვინც ამ რეგიონს დაეპატრონება, შეიძლება ევრაზიის კონტინენტის სრულად გაკონტროლებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რუსეთს აქამდე ჰქონდა მცდელობა შეექმნა მსგავსი გაერთიანებები, რომელიც დასახული მიზნამდე მიიყვანდა, თუმცა თუ გადავხედავთ პრაქტიკას არც ისე სახარბიელოა, შეიძლება ითქვას, წევრობის კუთხით გაუარესებულიც კი: დსთ-ს წევრი 12 ქვეყანა გახლდათ, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის 6, ევრაზიული ეკონომიკური საზოგადოების - 5. საბაჟო კავშირისა და ერთიანი ეკონომიკური სივრცის - 5. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ პროექტებში მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვის კლების პარალელურად ინტეგრაციის ხარისხი იმატებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაპირველად ევრაზიის კავშირის იდეა მიზნად ისახავდა რუსეთის გავლენის აღდგენას, უფრო კონკრე-

ტულად სამხედრო გავლენის შენარჩუნების პარალელურად ეკონომიკური და იდეოლოგიური გავლენის მექანიზმების შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ დუგინს რუსეთში იდეოლოგიის მთავარ შემოქმედად კრემლი არასდროს აღიარებს, ფაქტი ფაქტად რჩება, სინამდვილეში, თანამედროვე რუსეთში ევრაზიული კავშირის შექმნის იდეოლოგიური საფუძვლები პირველს სწორედ მან გააჟღერა.

როდესაც საუბარია ევრაზიული კავშირის შექმნის იდეაზე, ამასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა, ევროპის საკმაოდ ფრთხილი დამოკიდებულების გასანეიტრალებლად რუსეთის პრეზიდენტის ვლ. პუტინის პოზიცია, რომელიც იმასაც აცხადებდა, რომ ორი კავშირის, კერძოდ, ევრაზიისა და ევროკავშირის ჰარმონიული გაერთიანება ერთიან ეკონომიკურ სივრცეს შექმნიდა ვლადივოსტოკიდან ლისაბონამდე. რა თქმა უნდა, მალევე აშკარა გახდა, რომ ეს შეუძლებელია, რადგან რუსეთი არ აღმოჩნდა მზად, რომ მიეღო თამაშის ის წესები, რომელიც მსგავსი ეკონომიკური ალიანსისთვის არის აუცილებელი. ევროპასთან საერთო ეკონომიკური სივრცის შესაქმნელად საჭირო სტანდარტები რუსეთს დაავალდებულებს იმ ეკონომიკური და სავაჭრო პირობების გაუქმებას, რომელიც მორგებულია რუსეთის მმართველი ელიტის ეკონომიკური ინტერესებს. კრემლის კატეგორიულმა ურამა ევროპული სტანდარტების ნაწილობრივ დანერგვაზეც კი, ნათლად გამოაჩინა, რომ ევრაზიის კავშირის იდეის უკან მხოლოდ რუსეთის მმართველი ელიტის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები დგას.

საინტერესოა, შესაძლებელია თუ არა ერთპოლუსიან მსოფლიოში გამოჩნდეს მეორე ძლიერი სახელმწიფო, რომელიც დააბალანსებს მსოფლიო წესრიგს და გახდის ორპოლუსიანს? რა თქმა უნდა შესაძლებელია, თუმცა როდესაც მსოფლიო წესრიგზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება ამერიკის ძლიერებაზე არ ვისაუბროთ, მაგრამ აქვე უნდა ითქვას იმით, რომ არსებობს საბჭოთა იმპერიის მემკვიდრე - რუსეთი. რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოთა თამაშში. ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა დაამტკიცეს. კერძოდ, საუბარია რუსულ-უკრაინულ კონფლიქტზე.

ევრაზიული კავშირის შექმნა წარმოადგენს რუსეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მცდელობას მსოფლიო პირველობის მოსაპოვებლად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი გახლავთ **იმპერიის აღორძინების პოლიტიკური გეგმა.** პუტინმა თავად უწოდა საბჭოთა კავშირის დაშლას მასშტაბური გეოპოლიტიკური კატასტროფა, რაც მის ამბიციებზე ნამდვილად მეტყველებს. სანამ ევროპა დაკავებული იყო საკუთარი ეკონომიკური პრობლემებით, ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში იყო ჩართული, ხოლო ჩინეთი ფოკუსირებული გახლდათ შიდა ტრანსფორმაციაზე, რუსეთი საკუთარი გეგმების ხორცშესხმას ცდილობდა ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით, სწორედ ამიტომ დაასახელა პუტინმა 2015 წელი, როგორც აღნიშნული კავშირის საბოლოო შექმნის ვადა [1].

ევრაზიის საბაჟო კავშირი რუსეთის პრეზიდენტის მთავარ საგარეო-პოლიტიკურ ინიციატივას წარმოადგენდა, რაც ითვალისწინებდა აღნიშნული საბაჟო კავშირის ეკონომიკურ კავშირად გარდაქმნას. მისი წევრები თავდაპირველად რუსეთი, ბელორუსი და ყაზახეთი იყვნენ. ის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები კი რომელთაც სურდათ ევროკავშირის წევრები გამხდარიყვნენ, არჩევანის წინაშე იდგნენ, ვინაიდან ევრაზიის საბაჟო კავშირში გაერთიანება და ევროკავშირთან ინტეგრაცია შეუთავსებელი ცნებებია [2].

ევრაზიული საბაჟო კავშირი თავის თავში გულისხმობს ეკონომიკურ თემატიკას, მაგრამ კარგად ვიცით, რომ მისი შექმნის მითი ფრიად პოლიტიკურია. უფრო კონკრეტულად მისი მიზანი არის თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში კოლექტიური ხელშეკრულების საფუძველზე, საგარეო პოლიტიკის კოორდინაცია რუსეთთან 1922 წლისთვის, ერთიანი ვალუტის შექმნა, ერთიანი პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება, ერთიანი საგანმანათლებლო სივრცე, ერთიანი საბაჟო და ეკონომიკური სივრცე [3].

ფაქტობრივად მოხდება ზემოთ აღნიშნულის პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენება. ეს კი თავისთავად რუსეთის მძაფრ ინტერესებზე მეტყველებს.

ევრაზიული კავშირი არის რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების გამტარებელი და კრემლის პრინციპების მიხედვით ჩამოყალიბებული ეკონომიკური თანამეგობრობა. მის წევრებს გააჩნიათ რუსეთთან ვაჭრობის პრივილეგირებული სტატუსი, თუმცა პოლიტიკურ პრიორიტეტებს მოსკოვი აწესებს. მისთვის მთავარია, რომ ევრაზიული კავშირის საშუალებით შეინარჩუნოს კონტროლი მისთვის სტრატეგი-

ული მნიშვნელობის ტერიტორიულ ერთეულებზე, რომელთა შორის უპირველესია ყირიმი და სევასტოპოლი, სადაც რუსეთის სამხრეთის ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ბაზა მდებარეობს.

მოსკოვმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია საგარეო პოლიტიკის სფეროში. 2007 წელს, თებერვალში, როდესაც მიუნხენის კონფერენციაზე გამოსვლისას ვლადიმერ პუტინმა ჩამოაყალიბა რუსული საგარეო პოლიტიკის ახალი კურსი, იგი ითვალისწინებდა აგრესიულ და გაბედულ ნაბიჯებს ყოფილ საბჭოთა კავშირის, ევროპის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და პრაქტიკასთან დაკავშირებით. საქართველოსთან 2008 წელი.

აგვისტოს ომი მნიშვნელოვანი დასტურია რუსეთის თვითდამკვიდრების აგრესიული გზის არჩევისა, რომლითაც ჩანაფიქრისკენ აღებული გეზით მიემართება. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი რუსეთის მხრიდან მისი საგარეო პოლიტიკის შემდეგ ორ ძირითად მიზანს ემსახურება: რუსეთმა განამტკიცა დომინანტური პოზიცია ყოფილ საბჭოთა სივრცეში და ყველას აჩვენა ევროპული კავშირის უსუსურობა;

თუმცა, საჭიროა ევრაზიული კავშირის სამომავლო წარმატებისა თუ პერსპექტივების განსაზღვრისათვის თანამედროვე მოვლენების აღქმა, ასევე გასარკვევია თუ როგორ მიმდინარეობს მისი განვითარების პროცესი. რამდენად სწორია იმაზე საუბარი, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრამ მის არსებობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა. ამას ემატება ბოლო პერიოდში ყაზახეთის პრეზიდენტის ბაკაევის მხრიდან გაკეთებული განცხადება და თავად კავშირის შიგნით მიმდინარე შიდა დაპირისპირებები და არის. საბჭოთა პრო-დასავლური ვექტორის მქონე ქვეყნებთან ევროკავშირის მიერ გაფორმებული წევრობის კანდიდატის სტატუსი. ყოველივე დაკავშირებულია ევრაზიული კავშირის სამომავლო პერსპექტივებთან მიუხედავად ამისა, ფაქტია, რის ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიან ორგანიზაციად გვევლინება.

რაც შეეხება ევრაზიული კავშირის მსგავსებას ევროპის კავშირთან და მის სამომავლო პერსპექტივებს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ არ არის შესწავლილი აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება გამახვილებულია ევრაზიული კავშირის პერსპექტივის კვლევაზე, თუ რა დაბრკოლებები არსებობს და რა სარგებელი შეუძლია მოუტანოს აღნიშნული კავშირში გაწევრიანებულ და შესვლის მსურველ ქვეყნებს. ასევე მიმოვიხილავთ ევრაზიული კავშირის ჩაბმის საკითხს საერთაშორისო პოლიტიკურ თამაშში, ევრაზიული კავშირის იდეის პოლიტიკურ რეალიებს და ისტორიულ ასპექტებს. ყურადღებას გავამახვილებთ ევრაზიული კავშირის პერსპექტივებზე. აღნიშნული რუსეთის საგარეო პოლიტიკის ღრმა შესწავლასა და ანალიზს მოითხოვს. როგორც აღნიშნეთ, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ რუსეთი მოგვევლინა ძალად, რომელიც კვლავ ცდილობს თავი დაიმკვიდროს საერთაშორისო არენაზე. განიცდის რა ძველი სისტემის დაკარგვას, ცდილობს მინიმუმ, ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში მაინც აღიდგინოს თავისი გავლენა, რომელსაც ევრაზიული კავშირის შექმნა ითვალისწინებს. სწორედ ამაზე მეტყველებს 1999 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მიერ გაკეთებული განცხადება: „ჩვენი ქვეყანა არ საჭიროებს ევროკავშირის წევრობას. ეს გამოიწვევს მისი უნიკალური ევრო-აზიური სპეციფიკის დაკარგვას“ [4].

ვლადიმერ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო ზრუნვა, რომ ექცია რუსეთი ევრაზიის სახელწიფოდ. 1999 წელს ევროკავშირში გამოსვლისას პუტინმა განაცხადა: „რუსეთი, როგორც ზესახელმწიფო მდებარეობს ორ კონტინენტზე, ამიტომ მან უნდა შეინარჩუნოს თავისუფლება, რათა დაადგინოს და განახორციელოს თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მისი სტატუსი და უპირატესობა, როგორც ევრაზიულმა სახელმწიფომ და უდიდესმა ქვეყანამ დსთ-ს სივრცეში, პარტნიორობის განვითარებამ ევროკავშირთან ხელი უნდა შეუწყოს რუსეთის როლის კონსოლიდაციას, როგორც დსთ-ს ტერიტორიაზე სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ახალი სისტემის წამყვან ძალად ჩამოყალიბებაში [5].

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პუტინის მისია იყო ყოფილ საბჭოთა ქვეყნებზე გავლენის შენარჩუნება. თუმცა მასში ხელს უშლიდა 90-იანი წლების ბოლოს აშშ-ს და ბრიტანეთის გადაწვეტილება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში დასავლეთი კასპიისპირეთის ენერგორესურსების მიიღებდა რუსეთის გვერდის ავლით. აგრეთვე, ეს გამოიწვევდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დაახლოებას დასავლეთთან.

მიუხედავად იმისა, რომ პუტინი ძირითადად დაკავებული იყო საშინაო საკითხების მო-

გვარებით. ფაქტიურად საგარეო საქმე დროებით გვერდზე გადადო, თუმცა იგი ცდილობდა ამერიკის თანასწორი ქვეყნის სახელის მოხვეჭას რუსეთისათვის. სწორედ ამიტომ 2001 წელს 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ დახმარების ხელი გაუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკასთან თანამშრომლობამ გამოიწვია ამერიკელი სამხედრო ბაზების განთავსება ცენტრალურ აზიაში, მაგრამ ამაზე რეაქცია პუტინს ფაქტიურად არ ჰქონია. ყოველივე გამოწვეულ იყო იმით, რომ მან დიდი მოგება ნახა. აღნიშნული ასევე გამოწვეულ იყო აშშ-ერაყის ომითაც, რამაც ნავთობის გაძვირება გამოიწვია, რუსეთმა კი დიდი შემოსავლები მიიღო. მან შეძლო საგარეო ვალების გასტუმრება და დასავლეთზე თავისი დამოკიდებულებაც შეამცირა.

რუსეთის პოლიტიკურ ელიტას და ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებს კარგად ესმოდა და ესმის, რომ საბჭოთა სახელმწიფოებზე გავლენის აღდგენა ვერ მოხდება ნებაყოფლობით. სწორედ ამიტომ ცდილობენ ისინი ჩართონ ისეთ კავშირში, როგორიცაა, მაგალითად, „ევრაზია“. ამ კუთხით ბალტიისპირა სახელმწიფოები დაზღვეულნი არიან, რადგან ისინი უკვე არიან NATO-სა და ევროკავშირის წევრი ქვეყნები. ასევე რუსეთის პრობლემები აქვს უკრაინასთან, სადაც გავლენის შესანარჩუნებლად ომის წარმოება უწევს. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას, აქ მთავარ პრობლემას წარმოადგენს საქართველო, რომელსაც კურსი დასავლეთისკენ აქვს აღებული. რუსეთის მმართველ წრეებს კარგად ესმით, რომ საქართველოზე კონტროლის დაკარგვის შემთხვევაში, ისინი კონტროლს დაკარგავენ აზერბაიჯანზე, რომელიც კასპიური ნავთობის საკმაოდ დიდ მარაგს ფლობს. ამიტომ რუსეთისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოზე გავლენის შენარჩუნება. ნიკოლაი ტრუბეცკოი თავის წიგნში „ჩინგიზ ყაენის მემკვიდრეობა“, სომხეთს რუსეთის ბუნებრივ მოკავშირეს უწოდებს, რადგან სომხეთისთვის, რომელსაც რეგიონში არანაირი ბუნებრივი სიმდიდრე და გეოგრაფიული მნიშვნელობა არ გააჩნია. მისთვის ერთადერთ გზას რუსეთთან დაახლოება წარმოადგენს. დასავლეთის ურთიერთობები კვლავ რჩება რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად. რუსეთი ყველანაირად ცდილობს გაწყვიტოს კავშირი ამერიკასა და ევროპას შორის, რადგან მნიშვნელოვნად შეზღუდოს დასავლეთის გავლენა ევრაზიის კონტინენტზე. უფრო შორს წავიდა რუსეთის პრეზიდენტი პუტინი, როდესაც 2007 წლის მიწურულს პირდაპირ მოსთხოვა დასავლეთს, რომ გაეუქმებინათ NATO, სხვა შემთხვევაში რუსეთს არ ექნებოდა დასავლეთთან ნორმალური ურთიერთობა. პუტინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ნატო არის „სულელური ატლანტიკური სოლიდარობა და ცივი ომის გადმონაშთი“ [6].

დასავლეთის შეზღუდვის მიზნით, მოსკოვი აქტიურად იყენებს ენერგორესურსებს და დაუფარავად მიანიშნებს ევროპას, რომ მისთვის მიუღებელი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში გადაუკეტავს ბუნებრივ აირს. ამგვარად, რუსეთს გააჩნია სერიოზული ეკონომიკური ბერკეტები, რაც დასავლეთს არ აძლევს საშუალებას გაატაროს აქტიური პოლიტიკა ევრაზიაში. რუსეთს ბოლო პერიოდში კარგი ურთიერთობები ჰქონდა საფრანგეთთან და გერმანიასთან. განსაკუთრებით კი გერმანიასთან, რომელთან ერთადაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ პროექტებზე მუშაობდა „ჩრდილოეთის ნაკადის“ სახით, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივი აირის მიწოდებას გერმანიისთვის ბალტიის ზღვის გავლით. თუმცა, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ აღნიშნული პროექტი შეჩერებულ იქნა.

ძალზე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელება, რასაც საფუძვლად დაედო პუტინ-შრიოდერის პაქტი, კიდევ უფრო დამოკიდებულს გახდის გერმანიას რუსეთზე, რადგან საჭიროების შემთხვევაში მოსკოვი აუცილებლად გამოიყენებდა ამ უპირატესობას. გავიხსენოთ რუსეთის მუქარები დასავლეთის მიმართ, საუბარია 2006 წლის შემოდგომაზე, როდესაც „გაზპრომი“ დაემუქრა დასავლეთს ბუნებრივი აირის გადაკეტვით. თუ ეს უკანასკნელი არ შეწყვეტდა „გაზპრომის“ საქმეებში ჩარევას. საფრანგეთი ნეიტრალურ პოლიტიკას ატარებდა და ტრადიციულად მხარს უჭერდა დასავლეთს, თუმცა არ ასევე კარგი ურთიერთობების შენარჩუნებას ცდილობდა რუსეთთანაც. უნდა ითქვას, რომ შუამავლისა და მომრიგებლის როლში გამოდიოდა, რაც ერთი პერიოდი მათ იმიჯზე დადებითად აისახა საერთაშორისო არენაზე, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსეთის ურთიერთობა საფრანგეთთან და გერმანიასთან გამწვავდა.

რუსი პოლიტიკოსები საკმაოდ ფრთხილად მოქმედებენ ჩინეთთან მიმართებაში. მი-

უხედავად იმისა, რომ ევროპას ხშირად ემუქრებიან ბუნებრივი აირის ჩინურ ბაზარზე გატანით, ეს თვით რუსეთისთვისაც საშიშია, რადგან ეს ხელს შეუწყობს ჩინეთის კიდევ უფრო სწრაფ აღმავლობას. აღსანიშნავია ისიც, რომ იაფმა ჩინურმა ეკონომიკამ თითქმის მოიცვა რუსეთის ბაზარი, რაც რუსეთს სერიოზულ საფრთხეს უქმნის. საინტერესოა, რომ ჩინელები უკვე რუსეთი შეძენილი სამხედრო თვითმფრინავის - მიგის, საკუთარ ვარიანტსაც კი ქმნიან, მაგრამ რუსეთისათვის ნომერ პირველ მტრად მაინც აშშ რჩება, რომელიც უნდა განეიტრალდეს თუნდაც, ჩინეთის მეშვეობით. რუსეთს ევროკავშირი არ აღელვებს, რადგან ფიქრობს, რომ მასზე სერიოზული ეკონომიკურ ბერკეტები გააჩნია.

ვლ. პუტინი პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნების შემდეგ „ევრაზიული კავშირის“ შექმნის იდეით გამოვიდა, რომელიც იქნებოდა უნივერსალური კავშირი სრულფასოვანი ერთიანი ეკონომიკით და რომელიც უნდა იყოს მამოძრავებელი ძალა ევრაზიის კავშირის გეოპოლიტიკური მოსავლისა [7. 19].

იმისათვის, რომ რუსეთს ამ კავშირის შექმნა მოეხერხებინა აუცილებლად იყო მიჩნეული ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის გაწევრიანება მასში, რაც ადგილ საქმეს არ წარმოადგენს. სწორედ ამ პრობლემის მოგვარება დაისახა მიზნად ვლადიმერ პუტინმა. „ევრაზიის კავშირი აიგება უნივერსალურ ინტეგრაციული პრინციპებზე, როგორც ევროპის განუყოფელი ნაწილი, რომელიც სახელმწიფოებს თავისუფლების, დემოკრატიისა და საბაზარო კანონების საერთო ფასეულობებით გააერთიანებს...

ბუნებრივი რესურსების, კაპიტალის, ძლიერი ადამიანური პოტენციალის გაერთიანება ევრაზიულ კავშირს კონკურენტუნარიანს გახდის სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ბაზარზე“ ამბობს ვლადიმერ პუტინი.

რუსეთის პრეზიდენტი მტკიცების ფორმაში აცხადებდა, რომ ზემოთ აღნიშნული კავშირი მსოფლიოს ეკონომიკისა და პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრი უნდა იყოს, რაც განაპირობებს მსოფლიო განვითარების სიმტკიცეებს იქნება საბჭოთა კავშირის რაიმე ფორმით აღდგენის მცდელობა. საბჭოთა კავშირი წარსულში დარჩა. იგი ღია იქნება ყველა სახელმწიფოსათვის და მასში გაწევრიანებაც ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს. 2011 წელს (შემოდგომაზე) გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ვლადიმერ პუტინი საუბრობს ევრაზიული კავშირის შესახებ. იგი საუბრობს ამ უკანასკნელის რაობაზე, მის მიზნებსა და ინტერესებზე. პუტინი არ ემიჯნება ევროკავშირს და საუბრობს მასთან მჭიდრო ურთიერობებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ვლ. პუტინმა საბჭოთა კავშირის დაშლას „მე-20 საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“ უწოდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას კვლავ სურს ამ უკანასკნელის აღდგენა. იგი ასევე ამბობს, რომ საბჭოთა კავშირი წარსულს ჩაბარდა, ჩემი აზრით, არც ის ფაქტი, რომ ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებთან არასახარბიელო ურთიერთობა აქვს და სურს ევრაზიული კავშირის წევრ ქვეყნებად აქციოს, არ გულისხმობს საბჭოთა კავშირის აღდგენის მიზნად დასახვას.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვფიქრობ არსებობს ბევრად დიდი და მნიშვნელოვანი ინტერესი, რომელიც პუტინმა დაისახა მიზნად და პოსტსაბჭოთა ქვეყნები, ფაქტობრივად ხელს უწყობდნენ მას აღნიშნულის მიღწევაში. უფრო კონკრეტულად ისინი უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ კრემლიდან მოსულ დირექტივებს. პუტინი კი მატი გამოყენებით ცდილობდა, როგორც ჭადრაკში იტყვიან ხოლმე უძლიერესი ფიგურა ლაზიერის როლი მოერგო საერთაშორისო არენაზე.

ევრაზიული კავშირის ფორმირებას თვისი ისტორიული საფუძვლები გააჩნია, რაშიც იგულისხმება აღნიშნულ სივრცეში განხორციელებული პროექტებითა და შექმნილი ორგანიზაციებით. პირველი ორგანიზაცია, რომელიც სსრკ-ის დაშლისთანავე ჩამოყალიბდა იყო 1991 წლის 8 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის, ბელორუსისა და უკრაინის მიერ ქ. მინსკში ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე შექმნილი „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა“, რომელიც მიზნად ისახავდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას ამ რეგიონში; 1992 წლის 15 მაისს ტაშკენტის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებით ჩამოყალიბდა „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია“ [8].

სწორედ პუტინის მმართველობის წლებში, რომელიც დღემდე გრძელდება, ჯერ კიდევ 2000 წელს ბელორუსიამ, ყირგიზეთმა, რუსეთმა და ტაჯიკეთმა შექმნეს „ევრაზიული ეკონომიკური საზოგადოება“, რომელსაც 2003 წელს სომხეთი შეუერთდა, როგორც დამკვირვებელი, ხოლო 2006 წელს - უზბეკეთი; 2007 წელს დუშამბეში ბელორუსია, ყაზახეთი და რუსეთი შე-

თანხმდნენ შეექმნათ „საბაჟო კავშირი“, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა ეკონომიკურ, სავალუტო და მიგრაციის წესებს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპების საფუძველზე: 2011 წლის 22 ნოემბერს დ. მედვედევმა, ნ. ნაზარბაევმა და ალ. ლუკაშენკომ ოფიციალურად ხელი მოაწერეს თავიანთი ეკონომიკის „ერთიან ეკონომიკურ სივრცეში“ ინტეგრირებას, რომელიც ძალაში 2012 წლის 1 იანვარს შევიდა.

2012 წელს ევროკომისიის მაგალითზე შეიქმნა „ევრაზიის ეკონომიკური კომისია“, რომელიც, როგორც „ევრაზიის საბაჟო კავშირის“, ისე „ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საკოორდინაციო ორგანოა.

2014 წლის 29 მაისს რუსეთის, ბელორუსიისა და ყაზახეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს „ევრაზიის ეკონომიკური კავშირის“ დაარსების ხელშეკრულებას. 2015 წლის 1 იანვრიდან, ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ აღნიშნული ორგანიზაცია ფუნქციონირებს. ამავე წლიდან ევრაზიული კავშირის წევრები გახდნენ სომხეთი და ყირგიზეთი.

მაშასადამე, „ევრაზიის ეკონომიკური კავშირი“ არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანია რეგიონალური ინტეგრაცია, რაც უზრუნველყოფს საქონლის მომსახურების, კაპიტალის და შრომის თავისუფალ გადაადგილებას. წევრ ქვეყნებს შორის ხორციელდება ძლიერი ინტეგრაცია, რომლის მიზანია შექმნას საერთო ბაზარი. აქედან გამომდინარე, იგი ფარავს მაკროეკონომიკურ, საფინანსო, სატრანსპორტო-საკომუნიკაციო, საინვესტიციო, სახელმწიფო შესყიდვების, კონკურენციისა და სხვა სექტორებს და გულისხმობს კოორდინირებული პოლიტიკის განხორციელებას. „ევრაზიის ეკონომიკური კავშირი“, პირველ რიგში, ითვალისწინებს საერთო საბაჟო ტერიტორიის შექმნას, ერთობლივი საგარეო ვაჭრობისა და საბაჟო კანონმდებლობის შემოღებას. ორგანიზაციის საქმიანობა რეგულირდება 2014 წლის 29 მაისის დამფუძნებელი ხელშეკრულებით.

პუტინი მართლაც ახერხებს თავისი სურვილის სისრულეში მოყვანას, მაგრამ ეს არის მისი „დიდი სტრატეგიის“ მხოლოდ მცირე ნაწილი, რადგან ამ კავშირის მთავარ მიზანს ატლანტიკურ ძალებთან დაპირისპირება და ამ უკანასკნელთათვის ენერგეტიკული რესურსების მიღების ალტერნატიული გზების ჩაკეტვა წარმოადგენს. საქართველოს და უკრაინის მკვეთრი უარი ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე და მათი საგარეო ვექტორების ცალსახად ევროპისკენ მიმართვა რუსეთისათვის წარმოადგენს დიდ გამოწვევასა და თავსატეხს.

საგულისხმოა ისიც, რომ პუტინმა შეძლო რუსეთის გამოყვანა იმ კრიზისიდან, რომელიც მას დაშლით ემუქრებოდა. იგულისხმება მე-20 საუკუნის 90-იანი წლები. უფრო მეტიც, უნდა ვაღიაროთ, რომ მისი ხელმძღვანელობით რუსეთი კვლავ აგრესიულ ძალდ მოგვევლინა საერთაშორისო არენაზე გვინდა თუ არა იგი ანგარიშგასაწევი ძალაა გლობალურ პოლიტიკაში. ამაზე მეტყველებს დღეს უკრაინაში და, კერძოდ, მსოფლიოში შექმნილი ვითარება, ასევე შეგვიძლია იმის თქმაც, რომ მესამე მსოფლიო ომიც დიდწილად პუტინზეა დამოკიდებული.

რუსეთის ურთიერთობა დასავლეთთან ფაქტობრივად ნულის ტოლია, რაზედაც მათ მიმართ დაწესებული სანქციებიც მეტყველებს. თუმცა არც ისაა დასახული, რომ ამ ვითარებაში აშშ-ს სჭირდება მოკავშირეები ევრაზიაში, რადგან კონტინენტზე თავისი ძლიერება გაამყაროს და შეეძლოს მისი კონტროლი. იკვეთება ორი ვარიანტი, ერთი მხრივ, ჩინეთი და რუსეთი. ჩინეთისგან ერთხელ უკვე უარი მიიღო. აღნიშნულიდან გამომდინარე, იძულებულია მოკავშირეები სხვაგან ეძებოს. რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ, რუსეთთან რაიმე კავშირზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. თუმცა, არ გამოირიცხება, რომ შესაძლებელია რუსეთი დაიშალოს, ციმბირი და შუა აზია ჩინეთის კონტროლქვეშ გადავიდეს და ჩინეთი ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო გახდეს. აღნიშნული კი წინააღმდეგობაში მოდის ამერიკის ინტერესებთან.

აშშ-ის ელჩმა რუსეთში ჯონ ბაიერლიმ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „სუსტი რუსეთი აშშ-სათვის ყველაზე საშინელი კოშმარია, ამიტომ მთელი ჩვენი პოლიტიკა მოსკოვთან დაკავშირებით არა მხოლოდ აშშ-რუსეთის ურთიერთობების განმტკიცებას გულისხმობს, არამედ იმასაც, რომ რუსეთი უფრო ძლიერი და თავდაჯერებული გახდეს. სწორედ ასეთი პარტნიორი სჭირდება ამერიკას XXI საუკუნეში. ჩვენ მშვენივრად ვაცნობიერებთ იმ გამოწვევებს, რომლებიც ჩვენ წინაშე 2020 წლამდე დგას და მათთან გამკლავება მძლავრ პარტნიორებთან ერთად უნდა შევძლოთ [9].

ცხადია, დასავლეთს რუსეთი სჭირდება ჩინეთის შესაკავებლად, შესაძლებელი იყო, რომ იგი დათმობებზე წასულიყო რუსეთთან

მიმართებაში, თუმცა რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ ამაზე საუბარს, ფაქტობრივად შეუძლებელია.

როდესაც საუბარია მსოფლიო წესრიგზე, რუსეთიდან მომდინარე საფრხეებზე, უმთავრესია კონტინენტზე მშვიდობის შენარჩუნება. ამის გარანტი უნდა იყვნენ სხვადასხვა ქვეყნებმა და ბლოკებმა, რომლებიც შეძლებენ ერთმანეთი დააბალანსონ. უნდა ითქვას ისიც, რომ ეს არ არის ახალი საერთაშორისო პოლიტიკისათვის, ამის უდიდეს გამოცდილება დაგროვდა მსოფლიოში, მაგრამ მოხდეს იმის გათვალისწინება, რომ XXI საუკუნეში გეოგრაფიული არეალი გაიზარდა, ტექნოლოგიები განვითარდა და შესაბამისად მეთოდებიც დაიხვეწა. ვერავინ ვერ იტყვის, მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, როგორი იქნება ხვალინდელი რუსეთი და, რაც მთავარია, რას უნდა ელოდნენ მისგან მეზობლები. უკანასკნელის გარეშე კი საგრძნობლად გართულდება პრევენციულ ღონისძიებათა ერთდროულად შემუშავება და მათი ცხოვრებაში გატარება.

რასაკვირველია, ცივილიზებული დასავლეთი გადამწვეტ მომენტში (თუკი ასეთი დადგა) პირისპირ არ დაგვტოვებს აგრესიულად იმპერიულ რუსეთთან (თუკი დღევანდელი რუსეთი საბოლოოდ ჩამოყალიბდება ასეთად), მაგრამ მუდამ და მხოლოდ სხვის (თუნდაც სტრატეგიული მოკავშირეების) იმედად მყოფს არსად და არასდროს არ გაუმარჯვნია პატარა სახელმწიფოს.

დღევანდელი რუსეთი გაცილებით მდიდარი, გაცილებით ანგარიშგასაწევი და, ცხადია, გაცილებით უმართავია გარე დემოკრატიული ძალებისათვის, რაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა უკრაინაში შეჭრის შემდეგ. რაც მთავარია, იგი კვლავინდებურად რთულად პროგნოზირებადია, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში კისინჯერი ვარაუდობდა რა რუსეთის გაძლიერებას, იმსაცა წინასწარმეტყველებდა, რომ ძლიერ რუსეთთან მეზობლის მთელ „ეშხს“, პირველ რიგში მისი მეზობლები (ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები) გრძნობდნენ საკუთარ კისერზე, პირველ რიგში, მისი მეზობლები (ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები) იგრძნობდნენ საკუთარ კისერზე. პრაქტიკულად დღეს უკვე ყველას აგვიხდა ამერიკელი პატრიარქის პროგნოზი, თუმცა ისიც რეალობაა, რომ თანამედროვე მსოფლიოში არც რუსეთს აქვს მთლად გახსნილი ხელ-ფეხი, რაც უკრაინაში მიმდინარე პროცესებმა დაადასტურა, მით უფრო ასეთ ვითარებაში აუცილებელი და გადაუდებელია კრემლის სტრატეგიათა გრძელვადიან გათვლებში გარკვევა, სუსტი და ძლიერი პოზიციების დადგენა [10. 89-90].

ევრაზიული კავშირი ჯერჯერობით არ წამოადგენს იმ დასრულებულ სახეს, რაც პუტინს სურს და, ცხადია, ეს გარკვეულ დროსა და ნაბიჯებს მოითხოვს. იგი წარმოადგენს ხუთ სახელმწიფოს ალიანსს და ძირითადად შემოიფარგლება ეკონომიკური საკითხებით. საქართველო და უკრაინა ამ სივრცისთვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ამ ქვეყნებთან მიმართებაში კი რუსეთს სერიოზული პრობლემები აქვს და მათი ჩართვა აღნიშნულ კავშირში ნებაყოფლობით გაუჭირდება. ერთ-ერთი მიზეზი რუსულ-უკრაინულ კონფლიქტისა და სწორდ ის წინააღმდეგობა და გართულებული რეგულაცია იყო, რომელიც დაიწყო ყირიმის ანექსიით, ლუგანსკისა და დონეცკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობით. ხაზგასმულია ისიც, რომ ყველა ევროპულ და აზიურ სახელმწიფოს რუსეთთან ურთიერთობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და ყველამ კარგად იცის, რომ რუსეთისათვის ხელშეკრულება არაფერს ნიშნავს და მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. როგორც აღნიშნეთ, რუსეთისადმი ნდობის კოეფიციენტი ძალზე დაბალია და იგი ამ ნდობას ძალიან ძნელად თუ დაიბრუნებს, თუმცა ისეთი ხისტი პოლიტიკით, როგორსაც ის დღეს ატარებს, საუბარია ძალის დემონსტრირებაზე ვფიქრობ, ნდობის მოპოვებას ვერ შეძლებს.

ახლა ძნელია იმის თქმა, ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს ექნება თუ არა დასრულებული სახე. გაფართოვდება ან გაღრმავდება იგი და რა როლი ენება ორგანიზაციაში რუსეთს, თუმცა არის მცდელობები, საბაჟო კავშირი და ერთიანი ეკონომიკური სივრცე უფრო ეფექტური იყოს, ვიდრე ადრინდელი რეგიონული პროექტები [11].

აღსანიშნავია ისიც, რომ განსხვავებით რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირისაგან, თანამედროვე რუსეთს არ გააცნია რაიმე ეფექტური იდეოლოგია, რაც კონკურენციას გაუწევს დემოკრატიასა და სამოქალაქო საზოგადოებას.

აქვე აღსანიშნავია რუსი პოლიტოლოგის ეგორ ხოლმოგოროვის სიტყვები: „როდესაც ჩვენ ვიწყებთ ფიქრს რუსული სახელმწიფოს სრულმასშტაბიან, გრძელვადიან მშენებლობა-

ზე, ვიწყებთ ფიქრს იმპერიის და იმპერიის მაჩვენებლებში. რუსები არსებითად არიან იმპერიალისტები“ [12. 47].

ევრაზიულ კავშირს ჯერჯერობით არა აქვს დასრულებული სახე, რაც რუსეთის პრეზიდენტს სურს და, ცხადია, ეს გარკვეულ დროსა და ნაბიჯებს მოითხოვს. ყოველაფერი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ დამთავრდება რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი. აღნიშნულზე ყურადღება იმიტომ გამახვილეთ, რომ საქართველო და განსაკუთრებით უკრაინა ამ სივრცისთვის მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენს. ამ ქვეყნებთან მიმართულებაში რუსეთის პოლიტიკა ფაქტობრივად უცვლელია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ჩართვა აღნიშნულ კავშირში ნებაყოფლობით გამორიცხულია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა ევროპულ და აზიურ სახელმწიფოს რუსეთთან ურტიერთობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და მათ კარგად იციან, რომ რუსეთისათვის ხელშეკრულება არაფერს ნიშნავს და მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. რუსეთისადმი ნდობის კოეფიციენტი დაბალია და იგი ამ ნდობამ უკრაინაში შეჭრის შემდეგ, ძალიან ძნელად თუ დაიბრუნებს. თუმცა ისეთი აგრესიული პოლიტიკითა და სამხედრო რიტორიკით, როგორსაც ის დღეს ატარებს, ვფიქრობთ, ნდობის მოპოვებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

აღსანიშნავია ისიც, რომ განსხვავება რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირისაგან, თანამედროვე რუსეთის იდეოლოგია ბუნდოვანია. შეიძლება ითქვას, რომ მათ არ გააჩნიათ რაიმე ეფექტური იდეოლოგია. რაც კონკურენციას გაუწევს დემოკრატიას და სამოქალაქო საზოგადოებას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ფედერაცია პრეტენზიას აცხადებს იმპერიის ტიპის სახელმწიფოს შექმნაზე, სწორედ ამაზე ამახვილებდა ყურადღებას პოლიტოლოგი ეგორ ხოლმოგუროვი, როდესაც ჩვენ ვიწყებთ ფიქრს რუსული სახელმწიფოს სრულმასშტაბიან, გრძელვადიან მშენებლობაზე, ვიწყებთ ფიქრს იმპერიის აღდგენაზე, რუსეთში არსებითად არიან იმპერიალისტები [12. 15].

მსოფლიოში ბოლო პერიოდში კიდევ უფრო აქტუალური გახდა ევრაზიის საკითხი, სადაც პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოებს საკვანძო ადგილი უკავიათ.

პუტინის ახალი პროექტი, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის სახით, საკმაოდ დიდ დაბრკოლებებს შეეჭიდა. ძირითადი პრობლემა წამყვანი ქვეყნის რუსეთსა და დანარჩენ წევრებს შორის არსებულ უთანხმოებებშია საძიებელი, თუმცა არანაკლები დატვირთვა ენიჭება გარე ფაქტორების ზემოქმედებას, ისეთს, როგორიცაა, სანქციები და პოსტსაბჭოთა სივრცის დაყოფა ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ფარგლებში. უკრაინის კრიზისის გამო, დასავლეთი იძულებული გახდა სანქციები დაეწესებინა რუსეთისათვის. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ასევე დააწესა სანქციები რუსეთის წინააღმდეგ. ეკონომიკური სანქციების შედეგად რუსეთი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, თუმცა უკრაინის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებას არ ჩქარობს.

ეჭვგარეშეა, რომ რუსეთი დანებებას არ აპირებს და ჩანაფიქრის განხორციელებაში არათუ ხელს უშლის დაწესებული სანქციები, არამედ, კონფლიქტის გამწვავებაზე პასუხისმგებლობას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთს აკისრებს.

როდესაც რუსეთის გეგმებსა და მისი განხორციელებისთვის გადადგმულ ნაბიჯებზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მისი ქმედებებისადმი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის და, შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულებას.

ამერიკის შეერთებული შტატები ლოგიკურია მთავარ მოწინააღმდეგედ განიხილავს რუსეთს, თუმცა მას ხელს არ აძლევს ჩინეთის გაძლიერება. ვინაიდან თავად არ შეუძლია შუა აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ფეხი მყარად მოიკიდოს ჩინელები კი შეუფერხებლად მიიწევენ წინ, ისინი უმსხვილესი ინვესტორები გახდნენ პაკისტანსა და ავღანეთში.

ჩინეთი ენერგომატარებლების უდიდესი მომხმარებელია და ვინაიდან ინფრასტრუქტურული პროექტებითა და ულევი კრედიტებით კარგად არის შეიარაღებული, შეუძლია გრძელვადიან პერსპექტივაში ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს რუსეთზე გაცილებით მეტი შესთავაზოს. აღნიშნულია რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებულ შტატებს ფაქტობრივად არ აწყობს ცდილობს უფრო მეტად მოახდინოს ზეწოლა დასავლეთზე, რათა შეაჩეროს ჩინელების წინსვლა აზიაში.

„ცივი ომის“ პერიოდში გეოპოლიტიკური მდგომარეობა დამოკიდებული იყო ორ ზესახელმწიფოს შორის დაპირისპირებაზე, რაც ქმნიდა ბალანსს საერთაშორისო ურთიერთო-

ბების სისტემაში. „ცივი ომი“-ს დასრულების შემდეგ აუცილებელი გახდა, რომ დამყარებულიყო ახალი წონასწორობა და ახალი წესრიგი საერთაშორისო პოლიტიკაში. ამჯერად გამოიკვეთა მხოლოდ ერთი სახელმწიფოს - აშშ-ის გეოპოლიტიკური ლიდერობა. აშშ-ის დომინანტ სახელმწიფოდ ქცევას ძირითადად შეუწყო ხელი, რომ ელცინის დროინდელი რუსეთი იდგა პროდასავლურ გზაზე. თუმცა ვითარება მკვეთრად შეიცვალა პუტინის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდგომ. პუტინს პრეტენზია აქვს მსოფლიო ჰეგემონობაზე. ამ ორ სახელმწიფოს შორის დაპირისპირებამ გამოიწვია ორი იდეოლოგიური ბლოკის „ატლანტიკისა“ და „ევრაზიის“ დაპირისპირება. ყოველივე ეს კი ქმნის ახალ გეოპოლიტიკურ სიტუაციას და, შესაბამისად, ახალი მსოფლიო წესრიგის მოწყობის აუცილებლობას, რამაც უნდა შეუწყოს ხელი პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ განვითარებას.

ასევე აღსანიშნავია, რომ პუტინი არ გაახმაურებდა თავის ინიციატივას, თუ ეცოდინებოდა, რომ ამის შემდეგ მთელი დასავლური სამყარო აუმხედრდებოდა და რუსეთის წინააღმდეგ ქმედითი შემაკავებელი პოლიტიკის გატარებას დაიწყებდა.

თუმცა, ზემოთ გამოთქმული ვარაუდების პარალელურად დღესდღეობით სიტუაცია შემდეგნაირია: რუსეთი აშკარა ზეწოლას ახდენს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებზე, რათა მათ გვერდი აუარონ ევროინტეგრაციის კურსს და პირდაპირ შეუერთდნენ საბაჟო კავშირს. უკრაინაში რუსეთი ფაქტობრივად ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციას ატარებს, აღნიშნულ დაპირისპირებას დასასრულ არ უჩანს.

ევრაზიულ ინტეგრაციას შეუძლია ხელი შეუწყოს სტაბილურობასა და კეთილდღეობას ამ რეგიონის დიდ ნაწილში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ინტეგრაცია იქნება ნებაყოფლობითი, არ მოსწყვეტს მის წევრებს გარე სამყაროს და სასარგებლო იქნება ყველა მისი წევრი სახელმწიფოსთვის. ჯერჯერობით, უცნობია, პასუხობს თუ არა პუტინის მიერ შემოთავაზებული ევრაზიის კავშირი ამ კრიტერიუმებს. დასავლეთმა უნდა იფრთხილოს, იმავდროულად, მკაფიოდ განაცხადოს, რომ ის სრულიად სერიოზულად ეკიდება რუსეთის მეზობლების უფლებას - თავად აირჩიონ, ვისთან სურთ საერთაშორისო თანამშრომლობა.

რუსეთის მიერ ქვეყანაში შეჭრის შემდეგ, ფაქტიურად, ამერიკამ და დასავლეთმა იზოლაციაში მოაქციეს რუსეთი. უფრო მეტიც, საქმე იქამდე მივიდა, რომ დასავლეთის ქვეყნები იძულებული გახდნენ რუსეთის გვერდის ავლით მიიღონ ენერგორესურსები კასპიისპირეთიდან და ცენტრალური აზიიდან. ეს კი რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგება. გარდა ამისა, რუსეთი სერიოზულ საფრთხედ აღიქვამს ევროკავშირისა და NATO-ს გაფართოებას სამხრეთ კავკასიისაკენ. იგი არაფრით არ დაუშვებს დასავლეთის გავლენის ზრდას რეგიონში და ამის ნათელი მაგალითია რუსეთის მხრიდან აგრესია უკრაინის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია, საქართველო რეგიონში კვლავ მნიშვნელოვან მოთამაშედ რჩება. ამას განაპირობებს ის, რომ საქართველოს გაკონტროლებით რუსეთი, ფაქტობრივად, მთელ კავკასიას გააკონტროლებს. ვფიქრობთ, რუსეთს სერიოზულად აშინებს რეგიონული დაახლოება, რადგან მას დაქსაქსული კავკასიის ჩაყლაპვა უფრო გაუიოლდება, ვიდრე - ერთიანი კავკასიის.

საქართველო, ცხადია, არ აპირებს ევრაზიული კავშირის წევრი გახდეს. ფურო მეტიც, მისი მიზანია ევროკავშირისა და შორეულ პერსპექტივაში ნატო-ს წევრობა, გარკვეული ნაბიჯებიც, რომელიც ქვეყანამ გადადგა ევროპისაკენ, მეტყველებს მის უცვლელ კურსზე.

VERIKO BALUKHASHVILI

CHALLENGES FACING THE EURASIAN UNION AND ITS PROSPECTS

Summary

Correlations, connections, unions, organizations, which were created on the basis of a single economic, political or cultural sign, are still relevant today. Their main point of departure is politics. It is a fact that the latter is the basis for the creation of any union. It should also be noted that the mentioned political unions and coalitions have an interesting historical practice in the world. Among them, it is worth noting the Eurasian union created in the recent past. I will briefly review the state of

the research issue in modern science and the current situation in the world, which determines its relevance.

***Key words**: international relations, international organizations, Eurasian Union, Russia, Europe.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევრაზიული კავშირი: პოლიტიკური ალტერნატივა თუ სიმულაცია, http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/116990/ (ნანახია 20.06.2022)
2. ევრაზიული საბაჟო კავშირი: კიდევ ერთი აგური რუსეთის ეკონომიკური იმპერიის საძირკველში (ნანახია 20.06.2022) http://www.batula.ge/ge/story/52445-evraziuli-sabazho-kavshiri-kidev-erti-aguri-rusetis-ekonomikuri-imperiis-sadzirkvelshi
3. ჯოჯუა დ. ევრაზიული კავშირის გამოწვევები და პერსპექტივები. რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, თბ., 2013, 204-209.
4. ჯოჯუა დ. სადოქტორო დისერტაცია. თბ., 2013.
5. Hannes Adomeit and Heidi Reisinger, Russia's Role in Post-Soviet Territory: Decline of Military Power and Political Influence, Norwegian Institute for Defence Studies, Forsvarstudier No. 4, 2002.
6. ხევცურიანი ა. რუსეთის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2019.
7. Nicu Popescu, Eurasian Union: the real, the imaginary and the likely, EU Institute for Security Studies, Paris, 2014, p. 19
8. Putin's Grand Strategy: The Eurasian Union and Its Discontents, Editors: S. Frederick Starr and Svante E. Cornell, Washington, 2014.
9. „საქართველოს პერსპექტივა ევრაზიულ კავშირში“ www.geworld.ge/View.artLd=3138&Title=saqarTvelos+perspeqtiva+evraziul+kavSirSi (ნანახ. 20.06.2022)
10. ღუდუშაური ნ. შტრიხები თანამედროვე რუსეთის პოლიტიკური ანატომიისათვის. ჟ. „საისტორიო ვერტიკალები“ . 2016.
11. Roberta Carbone, Central Azia in a Changing World: Some Considerations on the Eurasian Economic Union, Centre Einstein di Studi Inernazionali sul Federalismo, la Pace, la Politica del Territorio, Torino, May 2013.
12. Boris Rumer, Central Azia: at the End of the Transition, Armonk, NY; M.E. Sharpe & Co. Inc., 2005.

თეონა ჩარკვიანი
*წარმოადგინა ასოც. პროფ. **ედიშერ ჯაფარიძე***

მიგრაციის არსი (თეორიული მიმოხილვა)

მიგრაცია ოდითგანვე ასრულებდა მნიშვნელოვან როლს მოსახლეობის და, შესაბამისად, ცალკეული ქვეყნებისა და ტერიტორიების შრომის ბაზრის ფორმირებაში, თუმცა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო მიგრაციული ნაკადების ხასიათისა და მიმართულების ფუნდამენტური ცვლილებები. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოწვეული იყო ევროპისა და ახალი სამყაროს ყველაზე განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრებისა და სამუშაო პირობების რევოლუციური ცვლილებებით, მრეწველობის, ტრანსპორტისა და საკომუნიკაციო საშუალებების სწრაფი განვითარების გამო. ქარხნების, რკინიგზის მშენებლობამ და მასობრივმა წარმოებამ შრომის დანაწილებითა და მასშტაბის ეკონომიით შეცვალა შრომის ბუნება და მისი გამოყენების ტერიტორიული ფარგლები. მილიონობით ადამიანი გახდა იძულებული დაეტოვებინა მშობლიური საცხოვრებელი და უკეთესი ცხოვრების საძიებლად სხვა ქვეყნებში გადასახლებულიყო.

ამგვარად, ცვალებად პირობებში გაჩნდა ყველაზე მწვავე კითხვა „მიგრაციის“ ცნების თეორიული გაგების შესახებ. ამჟამად მიგრაციის ერთიანი, თანმიმდევრული თეორია არ არსებობს. არსებული თეორიები ძირითადად ერთმანეთისგან იზოლირებულად და ფრაგმენტულად იქნა შემუშავებული და მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს აღწერს. თუმცა, ისინი მაინც შეიძლება მივიჩნიოთ ამოსავალ წერტილად თანამედროვე მიგრაციის პროცესებისა და შრომის ბაზრებზე მათი გავლენის გასაგებად.

***საკვანძო სიტყვები**: მიგრაციული პროცესები, მიგრაციის კანონები, ეკონომიკა, პოლიტიკა.*

მიგრაციული პროცესების კონცეპტუალიზაციის ერთ-ერთი პირველი მცდელობა ინგლისელმა და გერმანელმა გეოგრაფმა ე.გ. რავენშტეინი თავის ნაშრომში „მიგრაციის კანონები“.

ე.გ. რავენშტეინის მიგრაციის კანონები

მე-19 საუკუნის ბოლოს, ცნობილმა ინგლისელმა სტატისტიკოსმა და დემოგრაფმა ვ. ფარმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ მიგრაცია ყოველგვარი გარკვეული შაბლონების გარეშე ვითარდება, როგორც ქაოტური ბრაუნის მოძრაობა. ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგებოდა მისი თანამედროვე ე.გ. რავენშტეინი, რომლსაც მიაჩნდა, რომ მიგრაციული პროცესების განვითარების ზოგადი ნიმუშების იდენტიფიცირება შესაძლებელია.

ე.გ. რავენშტეინმა ვ. ფარის პასუხად ჩამოაყალიბა მიგრაციის კანონები, რომლებიც 1851 წელს გამოქვეყნდა [1].

თავდაპირველად არსებობდა შვიდი კანონი, მოგვიანებით კი, აშშ-ისა და სხვა ქვეყნების მიგრაციის მონაცემების შესწავლისას, მათი რიცხვი თერთმეტამდე გაიზარდა. მიგრაციის კანონები ცდილობს ახსნას და წინასწარ განსაზღვროს მიგრაცია, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო. ამ კანონებიდან ბევრი ძალაშია დღემდე და აგრძელებს საწყის წერტილს მიგრაციის შაბლონების უმეტესობისთვის საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგაც, რაც მათ ობიექტურობაზე მოწმობს [2].

ე.გ. რავენშტეინმა დიდი რაოდენობით ემპირიული მასალის შესწავლის საფუძველზე გამოყო მიგრაციის შემდეგი კანონები:

1. ხდება მოსახლეობის გადანაწილება ტერიტორიებს შორის;
2. ტერიტორიები განსხვავდება ძირითადად ეკონომიკური მახასიათებლებით;
3. მიგრანტების უმეტესობა გადაადგილდებიან მცირე მანძილებზე;
4. მიგრაცია ეტაპობრივად ხდება;
5. თითოეული მიგრაციის ნაკადი შეესაბამება დაბრუნების ნაკადს;
6. მიგრანტები შორ მანძილზე გადადიან მრეწველობისა და ვაჭრობის დიდ ცენტრებში.
7. ქალაქების მაცხოვრებლები ნაკლებად მოძრავნი არიან, ვიდრე სოფლის მაცხოვრებლები.

8. ქალები უფრო მოძრავნი არიან, ვიდრე მამაკაცები ქვეყნის შიგნით გადაადგილებისას, შორ მანძილზე გადაადგილებაში კი მამაკაცები უფრო მოძრავები არიან, ვიდრე ქალები;
9. დიდი ქალაქები ძირითადად მიგრაციის გამო იზრდება;
10. მიგრაციის მოცულობა იზრდება მრეწველობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის განვითარებასთან ერთად;
11. მიგრაციის ძირითადი მიზეზები ეკონომიკურია [3].

მიგრაციის კანონებმა დიდი გავლენა იქონია მიგრაციული პროცესების მოდელირებისა და კონცეპტუალიზაციის სფეროში შემდგომ მუშაობაზე. მართალია, ე.გ. რავენშტეინმა შეძლო ნათლად და საკმაოდ ობიექტურად გამოეჩინა მიგრაციული პროცესების ძირითადი მახასიათებლები, მაგრამ მისი კანონები საკმაოდ აღწერითი ხასიათისაა და მოკლებულია მიგრაციის მიზეზებისა და ამ ფენომენის გამრავლების ხელშემწყობ ფაქტორების ახსნას.

ე. ლის მოზიდვა-განზიდვის ფაქტორები

ე. გ. რავენშტეინის კანონებთან ერთად კლასიკურ მიგრაციის თეორიებს განეკუთვნება ე. ლის ეკონომეტრიული მოდელი - მოზიდვა-განზიდვის ფაქტორები (Push/Pull factors) - რომელიც მან 1960-იან წლებში შეიმუშავა. ამ მოდელის მიხედვით, თითოეულ ტერიტორიაზე მოქმედებს მიგრაციული ფაქტორების სხვადასხვა ჯგუფი: შეკავება, გაყვანა და ბიძგი, ჩამოსვლისა და გამგზავრების განსაზღვრა და ზოგიერთი ფაქტორი გავლენას ახდენს ადამიანთა უმეტესობაზე, ზოგი კი მხოლოდ გარკვეულ ინდივიდებზე.

ე. ლი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც გამოკვეთა, ის ფაქტორები, რომლებიც მიგრაციულ პროცესებზე ახდენენ გავლენას. განმზიდი ფაქტორები შეიძლება მოიცავდეს ზოგიერთ ეკონომიკურ ფაქტორს (უმუშევრობა, დაბალი შემოსავალი, მაღალი გადასახადები); სოციალური და პოლიტიკური (სიღარიბე, დისკრიმინაცია, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა, ომები); არახელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობები და ა.შ.

მიმზიდველი ფაქტორები შეიძლება იყოს: ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე, მაღალი შემოსავალი, უსაფრთხოება, შრომის ბაზარზე წვდომის შესაძლებლობა (მათ შორის არაფორმალურ სექტორში, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არალეგალური ემიგრანტებისთვის) და ა.შ. [4. 12].

ამასთან, მიზიდულობისა და ბიძგების ფაქტორებთან ერთად მიგრაციულ პროცესებზე მოქმედებს შუალედური ფაქტორებიც. შუალედური ფაქტორები იზრდება ტერიტორიებს შორის მანძილის მატებასთან ერთად და მიგრაციულ ნაკადებზე შემზღუდავი გავლენის მოხდენა შეუძლიათ. მათ რიცხვში შედის: ტრანსპორტირების ხარჯები, გადაადგილების საკანონმდებლო რეგულირება, ჩამოსვლის სავარაუდო რეგიონის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ა.შ. [4].

ე. ლი აღნიშნავს, რომ მიგრაცია შერჩევითი პროცესია და ერთი და იგივე ფაქტორები სხვადასხვა ადამიანებზე სხვადასხვანაირად შეიძლება იმოქმედონ. ის აღნიშნავს, რომ მიზიდულობის ფაქტორები უფრო დიდ გავლენას ახდენს მაღალგანათლებულ ადამიანებზე, რომლებსაც ასევე უკვე აქვთ გარკვეული პოზიცია წარმოშობის რეგიონში, მაგრამ მათ შეუძლიათ მიიღონ უკეთესი შეთავაზებები სხვაგან. მაღალი მობილურობა დამახასიათებელია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისთვის, რადგან მათთვის მიგრაცია ხშირად კარიერის აღმასვლასა და შემოსავლის დონის ამაღლებას ნიშნავს. დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკებისათვის კი პირიქით, ნეგატიური, ბიძგის (მოზიდვის) ფაქტორები უფრო მნიშვნელოვანია [5].

ე. ლის აზრით, აქტიური აგენტი ხდება ადამიანი, რომელსაც აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად მიიღოს მიგრაციის გადაწყვეტილება. პოტენციური მიგრანტი მიიღებს გადაწყვეტილებას მიგრაციის შესახებ, თუ მოზიდვისა და განზიდვის ფაქტორების კომბინაცია საკმარისად ძლიერია, რათა გაამართლოს ის სირთულეები, რომლებსაც პოტენციური მიგრანტები განიცდიან გადაადგილების პროცესში. მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელიც გავლენას ახდენს მიგრაციისადმი მიდრეკილებაზე, არის ცხოვრების ციკლის გარკვეულ ეტაპებზე ყოფნა. ვინაიდან, მშობლიური საცხოვრებლის დატოვებისაკენ მიდრეკილნი არიან ის ადამიანები, რომლებიც შედიან შრომის ბაზარზე ან ქორწინდებიან, ხოლო ადამიანები, რომლებიც განქორწინდებიან ან ტოვებენ შრომის ბაზარს (მაგალითად, პენსიაზე გადიან) შეიძლება უკან დაბრუნდნენ.

თეორიაში დიდი ყურადღება ეთმობა მიგრანტის ეკონომეტრიულ მახასიათებლებსა და

მისი ცხოვრების ციკლის ეტაპებს. თუმცა ე. ლი ყურადღებას ამახვილებს მიგრაციის ეკონომიკურ ფაქტორებზე და ამავე დროს მხედველობიდან კარგავს არაეკონომიკურ ფაქტორებს. მიგრაციის მრავალი რაციონალური მიზეზის მიუხედავად, ამ პროცესზე შეიძლება გავლენა იქონიოს ირაციონალურმა და პიროვნულმა მიზეზებმა [6]; [7].

ნეოკლასიკური მიგრაციის თეორია: მაკრო და მიკრო დონე

მიგრაციის ნეოკლასიკური თეორია (მ. ფრიდმანი, პ. სამუელსონი და სხვები, 1960-1970-იანი წწ.) გამომდინარეობს თავისუფალი კონკურენციისა და წარმოების ფაქტორების სრულყოფილი ბაზრის არსებობიდან. თავდაპირველად თეორია შემუშავდა ეკონომიკური განვითარების პროცესში შრომითი მიგრაციის ასახსნელად და ეს თეორია მიგრაციის პროცესებს ახასიათებს როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე.

მიგრაცია შრომაზე მოთხოვნისა და მიწოდების გეოგრაფიული განსხვავებების შედეგია. მიგრაციის სიგნალი არის ხელფასის (შემოსავლის) დონეების განსხვავება გამგზავრებისა და შესვლის ტერიტორიებს შორის. აღსანიშნავია, რომ ხელფასის დონე საკმარისი უნდა იყოს გადაადგილების ხარჯების დასაფარად. ნეოკლასიკური თეორიის მიხედვით, მიგრაციის შესწავლა რესურსების ეფექტური განაწილების პრობლემის გადაჭრის მსგავსია, რის გამოც ამ მიდგომამ თავისი პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

მაგალითად, საბჭოთა კავშირში ცდილობდნენ დაეძლიათ შეუსაბამობები ცალკეულ ტერიტორიებზე ეროვნული ეკონომიკის საჭიროებებსა და მასზე სამუშაო ძალის ხელმისაწვდომობას შორის, რომელიც წარმოიშვა არათანაბარი ეკონომიკური განვითარების შედეგად. ნაკადების მიმართულება განისაზღვრება ტერიტორიების ეკონომიკური მახასიათებლებით: თუ ისინი მიმზიდველია, მაშინ იმიგრაცია ხდება ტერიტორიაზე, თუ უარყოფითი, მაშინ ემიგრაცია. საპირისპიროა მიგრაციული ნაკადების მიმართულება (დაბალი ხელფასის მქონე რეგიონებიდან მაღალი ხელფასის მქონე რეგიონებში) და კაპიტალის ნაკადები [8].

ამ მოდელის ნაკლოვანებებს უნდა მივაკუთვნოთ ის ფაქტი, რომ შრომის ბაზარი არ შეიძლება იყოს სრულყოფილი და მოთხოვნის დასაბალანსებლად მას დრო სჭირდება, ხოლო სრულყოფილ ბაზარზე უმუშევრობა არ იქნება. თანაც მოკლევადიან პერსპექტივაში მიგრაცია ვერ აბალანსებს მუშახელის მიწოდებასა და მოთხოვნას.

აღნიშნული თეორიის დებულებები მაკრო დონეზე შეიცავს უამრავ კონცეპტუალურ დაშვებას:

1. საერთაშორისო შრომითი მიგრაცია განპირობებულია ქვეყნებს შორის ხელფასების სხვაობით;
2. ხელფასების გლობალური უთანასწორობის აღმოფხვრის შემდეგ, სამუშაო მოძრაობები შეჩერდება;
3. ადამიანური კაპიტალის ნაკადები, მაღალკვალიფიციური და დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელთა შემთხვევაში, შეიძლება მოხდეს სხვადასხვა მიმართულებით ამ პროცესებზე მოქმედი სხვადასხვა მამოძრავებელი ძალების გამო;
4. შრომის ბაზარი არის მთავარი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც წარმოიქმნება საერთაშორისო შრომითი ნაკადები. სხვა ტიპის ბაზრებს გაცილებით ნაკლები გავლენა აქვთ;
5. ქვეყნების მთავრობებს შეუძლიათ მართონ მიგრაციული ნაკადები, ძირითადად გამგზავნი ან მიმღები ქვეყნების შრომის ბაზარზე ზემოქმედებით.

ინდივიდუალური არჩევანის მიკროეკონომიკური მოდელის მიხედვით (მ. ტოდარო, ლ. მარუჟკო), ინდივიდუალური რაციონალური ინდივიდები გადაწყვეტენ მიგრაციას გადაადგილებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და სარგებლის ანალიზის საფუძველზე. ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია შემოსავლის ხარვეზის მოსალოდნელი სარგებლის შეფასება.

საერთაშორისო მიგრაცია გაგებულია, როგორც ინვესტიციის ფორმა ადამიანურ კაპიტალში. ადამიანები გადასახლების ტერიტორიას ისე ირჩევენ, რომ მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით იყვნენ ყველაზე პროდუქტიულები დასახლების ადგილზე [9].

მართლაც, დაბალშემოსავლიან ქვეყნებში ანაზღაურების სხვაობა არაკვალიფიციურ და კვალიფიციურ მუშაკებს შორის შეიძლება იყოს 20%-მდე, ხოლო მაღალშემოსავლიან ქვეყნებში ეს განსხვავება შესაძლებელია იყოს 10-30-ჯერ [10].

ამასთანავე, გადაადგილებისათვის მიგრანტებს უწევთ გარკვეული ხარჯების გაღება, რომლებიც დაკავშირებულია ტრანსპორტირე-

ბის ხარჯებთან, სამსახურის პოვნასთან, ახალი ენისა და კულტურის შესწავლის მცდელობებთან, ძველი კავშირების გაწყვეტისა და ახლის დამყარების ფსიქოლოგიურ ხარჯებთან და სხვა სირთულეებთან, რომლებიც წარმოიქმნება ახალ საცხოვრებელ ადგილთან ადაპტაციის პროცესში. განსახლებიდან მოსალოდნელი სარგებელი უფრო დიდი იქნება, რაც უფრო მაღალი იქნება მიგრანტების განათლების დონე. ეს განაპირობებს იმას, რომ მიგრანტებს აქვთ უფრო მაღალი დონის განათლება, ვიდრე მთლიანობაში წარმოშობის ქვეყნის მოსახლეობას [11].

მ. პიორეს ორმაგი შრომის ბაზრის თეორია

ადამიანის ნეოკლასიკური თეორიის ნაკლოვანებების დასაძლევად შემუშავდა ორმაგი შრომის ბაზრის თეორია, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო მიგრაცია გამომდინარეობს თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების შრომის ბაზრის საკუთარი საჭიროებიდან.

მ. პიორეს მიერ 1979 წელს შემუშავებული ამ თეორიის მიხედვით, საერთაშორისო მიგრაცია გამოწვეულია იმიგრანტების მხრიდან შრომის მუდმივი მოთხოვნით, რაც განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ სტრუქტურის დამახასიათებელია. მ. პიორეს აზრით, იმიგრაცია წარმოშობის ქვეყნებში გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: დაბალი ხელფასები და მაღალი უმუშევრობა, მასპინძელ ქვეყნებში კი პირიქით - არის უცხო მუშახელის საჭიროება.

მ. პიორემ იმიგრანტთა შრომაზე მოთხოვნა დააკავშირა თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების ოთხ ფუნდამენტურ მახასიათებელთან, ესენია:

1. სტრუქტურული ინფლაცია;
2. მოტივაციური პრობლემები;
3. ეკონომიკური დუალიზმი;
4. სამუშაო ძალის დემოგრაფია [12].

გამომუშავებული ხელფასი ასახავს არა მხოლოდ მიწოდებისა და მოთხოვნის პირობებს, არამედ ის ასევე გადმოსცემს სტატუსსა და პრესტიჟს, სოციალურ თვისებებს. ადამიანები მიიჩნევენ, რომ ხელფასი უნდა შეესაბამებოდეს სოციალურ სტატუსს. თუ დამსაქმებელი ცდილობს არაკვალიფიციური მუშახელის მოზიდვას, მას არ შეუძლია უბრალოდ გაზარდოს ხელფასი, რადგან ეს გაწყვეტს გარკვეულ კავშირებს სოციალურ სტატუსსა და ანაზღაურებას შორის.

თუ ხელფასები იერარქიის ბოლო დონეზე გაიზრდება, სხვა დონეზე გაჩნდება ზეწოლა ხელფასების გაზრდაზე. ხელფასები უნდა გაიზარდოს მთელს თანამდებობრივ იერარქიაში, რათა ისინი შეესაბამებოდეს სოციალურ მოლოდინებს. ეს პრობლემა ცნობილია როგორც სტრუქტურული ინფლაცია. შრომის დეფიციტის დროს ადგილობრივი მუშაკების მოზიდვა ხელფასების გაზრდით ძვირი და წამგებიანია დამსაქმებლისთვის, რაც აიძულებს მას მოძებნოს შედარებით მომგებიანი გადაწყვეტილებები, როგორიცაა მიგრანტების შეყვანა, რომლებიც მზად არიან იმუშაონ დაბალ ხელფასზე.

პროფესიული იერარქია ასევე მნიშვნელოვანია თანამშრომელთა მოტივაციისთვის, რადგან ადამიანები მუშაობენ არა მხოლოდ მოგებისთვის, არამედ თავიანთი სოციალური სტატუსის დასაგროვებლად და შესანარჩუნებლად. მწვავე მოტივაციური პრობლემები წარმოიქმნება სამუშაო იერარქიის ქვედა ფენებში, რადგან მათ არ აქვთ შესანარჩუნებელი მაღალი სტატუსი. ეს პრობლემა გარდაუვალია და ვერ გამოსწორდება, რადგან ის ყოველთვის იარსებებს ნებისმიერი იერარქიის ბოლოში. დამსაქმებლებს ესაჭიროებათ მუშები, რომლებიც დაბალი დონის სამუშაოს უყურებენ, როგორც ფულის გამომუშავების საშუალებას, ვისთვისაც სამუშაო მხოლოდ შემოსავალია, სტატუსისა და პრესტიჟის შედეგების გარეშე. ასეთები არიან ემიგრანტები, რომელთა უმეტესობა მიზნად ისახავს ფულის გამომუშავებას კონკრეტული მიზნებისთვის (სახლის მდგომარეობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესება, სახლის აშენება, სწავლების საფასურის გადახდა, მიწის ყიდვა, სამომხმარებლო საქონლის შეძენა და ა.შ.). განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ცხოვრების განსხვავებული პირობების გამო, მიგრანტის ანაზღაურება ადგილობრივი სტანდარტებით მისთვის საკმარისია, თუმცა გაცნობიერებული აქვს, რომ საზღვარგარეთ დაბალი სტატუსი აქვს. ასეთი მიგრანტები თავს არ თვლიან მასპინძელი საზოგადოების ნაწილად.

შრომის ბაზრის ბიფურკაცია (გაორება) ახასიათებს ინდუსტრიულ ქვეყნებს, შრომასა და კაპიტალს შორის თანდაყოლილი ორმაგობის გამო. კაპიტალი წარმოების ფიქსირებული ფაქტორია, შრომა კი წარმოების ცვლადი ფაქტორი: როდესაც მოთხოვნა ეცემა, საჭირო ხდება მუშების გათავისუფლება სამუშაო ადგილებიდან. ეს დუალიზმი ქმნის განსხვავებებს მუშებს შორის, რაც იწვევს სამუშაო ძალის ბი-

ფურკაციას. კაპიტალის ინტენსიური სექტორის კვალიფიციური მუშაკები მუშაობენ საუკეთესო აღჭურვილობითა და ხელსაწყოებით. დამსაქმებელი იძულებულია ჩადოს ინვესტიცია ამ მუშაკებში სპეციალიზებული სწავლებისა და განათლების მისაცემად. მათი სამუშაო საკმაოდ რთულია და მნიშვნელოვან ცოდნასა და გამოცდილებას საჭიროებს. სწორედ მაღალი დანახარჯების გამო, ასეთი მუშაკები კაპიტალის ფაქტორებად მოიაზრებიან და დამსაქმებელი ყველანაირად ცდილობს სამუშაო ადგილებზე მათ შენარჩუნებას. საკმაოდ შრომატევადი მეორადი სექტორის მუშებს აქვთ არასტაბილური და არაკვალიფიციური სამუშაო ადგილები და ისინი, შესაძლებელია, დამსაქმებლის მიერ ნებისმიერ დროს იქნენ გათავისუფლებულნი მცირე ან ნულოვანი კომპენსაციით.

საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ორმაგობა ქმნის მუდმივ მოთხოვნას მუშებზე, რომლებიც თანახმა არიან იმუშაონ შეუსაბამო პირობებში დაბალანაზღაურებად და შემდგომის წინსვლის მცირე შანსების მომცემ სამუშაო ადგილებზე. ადრე ამ თანამდებობებს ქალები და მოზარდები იკავებდნენ. ქალები მზად იყვნენ განეხილათ დროებითი სამუშაოები დაბალი ხელფასით, როგორც ოჯახში მარჩენალი კაცი იყო, ქალისთვის კი ოჯახი პირველ ადგილზე იყო და სამსახურის დაკარგვის არ ეშინოდათ. თინეიჯერებისთვის ეს იყო ფულის შოვნისა და გამოცდილების მიღების დამატებითი შესაძლებლობა.

თუმცა, დროთა განმავლობაში, შრომის ეს ორი წყარო შემცირდა სამი მიზეზის: ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული ქალების პროპორციის ზრდის (ემანსიპაცია და კარიერული მისწრაფებები, განქორწინების ინსტიტუტის განვითარება, რამაც გამოიწვია საკუთარი თავის რჩენის საჭიროება), შობადობის შემცირებისა და ფორმალური განათლების გაფართოების (შრომით საქმიანობაში ჩართული მოზარდების წილის შემცირება) გამო. ამ დისბალანსმა გამოიწვია ემიგრანტებზე მოთხოვნის ზრდა.

ი. ვალერშტეინის მსოფლიო სისტემის თეორია

მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს ი. ვალერშტეინის ნაშრომები, რომელიც მიგრაციას მსოფლიო სისტემის პარადიგმის კონტექსტში განიხილავს. ი. ვალერშტეინის მიხედვით სამყარო (ან კონკრეტული ქვეყანა) იყოფა პერიფერიად და ცენტრად. კაპიტალიზმის ექსპანსიის შედეგად იცვლება პერიფერიის სტრუქტურები, გლეხებს ართმევენ მიწას, ვითარდებიან ქალაქები. გლობალიზაცია აჩქარებს მიგრაციულ პროცესებს და განვითარებადი გლობალური ქალაქები ქმნიან მოთხოვნას იმიგრანტთა შრომაზე [13].

ი. ვალერშტეინის აზრით, ეკონომიკური ურთიერთობების პერიფერიაში შეღწევისას, არაკაპიტალისტური საზოგადოება აყალიბებს მობილურ მოსახლეობას, რომელიც განწყობილია საზღვარგარეთ მიგრაციისკენ. მაღალი მოგებისა და სიმდიდრის სურვილით ამოძრავებული, კაპიტალისტური ფირმების მფლობელები და მენეჯერები შევიდნენ მსოფლიო ეკონომიკის პერიფერიაზე მდებარე ღარიბი ქვეყნების ტერიტორიაზე მიწის, ნედლეულის, შრომისა და ახალი სამომხმარებლო ბაზრების საძიებლად.

წარსულში, ბაზარზე შეღწევას ეხმარებოდა კოლონიური რეჟიმები, რომლებიც ღარიბი რეგიონების მიერ იყო დანიშნული კოლონიური საზოგადოებების ეკონომიკური ინტერესების სასარგებლოდ. დღეს ეს შესაძლებელი გახდა ნეოკოლონიალური მთავრობებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების საშუალებით, რომლებიც ახანგრძლივებენ იმ ეროვნული ელიტების ძალაუფლებას, რომლებიც ან მონაწილეობენ მსოფლიო ეკონომიკაში, როგორც კაპიტალისტები, ან სთავაზობენ თავიანთი ქვეყნის რესურსებს საერთაშორისო კომპანიებში მისაღები პირობებით.

მსოფლიო სისტემების თეორიის თანახმად, მიგრაცია ბუნებრივი შედეგია იმ შეფერხებებისა და დისლოკაციების, რომლებიც წარმოიქმნება ეკონომიკური განვითარების პროცესში. დასავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ოკეანიასა და იაპონიაში კაპიტალიზმი გავრცელებამ განაპირობა დედამიწის ტერიტორიებისა და მოსახლეობის სულ უფრო მეტი ნაწილი ჩართვა მსოფლიოს საბაზრო ეკონომიკაში და, გამომდინარე იქიდან, რომ მიწა, ნედლეული და შრომა ექცევა ბაზრების გავლენისა და კონტროლის ქვეშ, წარმოიქმნება მიგრაციული ნაკადები [9].

მსოფლიო სისტემის თეორიის ძირითადი თეორიული შეხედულებები დაყვანილია შემდეგ განცხადებებზე:

- უდიდესი მოგების მისაღწევად, კაპიტალისტები ცდილობენ წარმოების მექანიზებას და სამრეწველო რესურსების გამოყენებას;

- მიწების გაერთიანება-გამსხვილება იწვევს მემკვიდრეობით და საერთო სარგებლობის უფლებაზე დაფუძნებული მიწათსარგებლობის ტრადიციული სისტემების განადგურებას;
- წარმოების მექანიზაცია ამცირებს ხელით შრომის საჭიროებას, რაც იწვევს შრომითი ძალის ჭარბ რაოდენობას.

მსოფლიო ბაზარზე გასაყიდად ნედლეულის მოპოვება მოითხოვს ინდუსტრიულ მეთოდებს, რომლებიც დაყრდნობილია ანაზღაურებად შრომაზე. სახელფასო შეთავაზება ქმნის შრომის ბაზარს, რომელიც ეფუძნება ინდივიდუალიზმის ახალ კონცეფციას, პირად ინტერესებს, რაც იწვევს სოციალურ ცვლილებებს. ეს ტენდენციები ხელს უწყობს სამუშაო ძალის გეოგრაფიულ მობილობას განვითარებად ქვეყნებში.

ზოგიერთი ადამიანი - საბაზრო ურთიერთობების თავის რეგიონებში შეღწევის პროცესში - გადადის ქალაქებში, რაც იწვევს განვითარებადი ქვეყნების ურბანიზაციას, ბევრი მიდის საზღვარგარეთ, რადგან გლობალიზაცია ქმნის მატერიალურ და იდეოლოგიურ კავშირებს იმ რეგიონებთან, სადაც კაპიტალი წარმოიშობა. უცხოური ინვესტიციები, რომლებიც განაპირობებს ეკონომიკურ გლობალიზაციას, მცირე რაოდენობით მოდის მსოფლიოს უმსხვილესი ქალაქებიდან, რომელთა სტრუქტურული მახასიათებლები ქმნის იმიგრანტთა შრომის დიდ მოთხოვნას.

მიგრაციის სფეროს თეორეტიკოსთა მეცნიერული შეხედულებები ემსახურება საერთაშორისო მიგრაციის არა მხოლოდ წარსულის, არამედ თანამედროვე პროცესების მიზეზებისა და ფაქტორების გააზრებას. თეორიული მიდგომების შესწავლა ხელს უწყობს მიგრაციული პროცესების შაბლონებისა და შედეგების გააზრებას, პროგნოზების გაკეთებას და უფრო დაბალანსებული და რაციონალური მიგრაციის პოლიტიკის გატარებას. მიგრაციის თეორიების შექმნის მიზეზიც სწორედ მოსახლეობისა და შრომის ბაზრებზე მიგრაციული პროცესების გავლენის გასაგება იყო.

ფართო ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით ე.გ. რავენშტეინი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ხაზი გაუსვა მიგრაციული პროცესების ძირითად მახასიათებლებს. მიუხედავად იმისა, რომ მისი კანონები ძირითადად აღწერით ხასიათს ატარებდა, მათ დიდი გავლენა მოახდინეს შემდგომ მუშაობაზე მიგრაციის პროცესების მოდელირებისა და კონცეპტუალიზაციის სფეროში. ხოლო, რაც შეეხება მიგრაციის ფაქტორების იდენტიფიცირების მცდელობებს, - გაცილებით გვიან დაიწყო. ეს პირველ რიგში, ითავეს ეკონომისტებმა, რომლებიც ვარაუდობენ, რომ მიგრაციული ნაკადები განპირობებულია ხელფასების და ცხოვრების დონის სხვაობით. მათთვის მიგრაცია, უპირველეს ყოვლისა, შრომის ბაზრის ფუნქციონირების ელემენტია, ასევე ადამიანური კაპიტალის დაგროვების ფორმა.

შემოთავაზებულ ჰიპოთეზებს განსხვავებული გავლენა აქვს მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებაზე. იმის მიხედვით, თუ რომელი მოდელია მხარდაჭერილი, პოლიტიკის შემქმნელებს შეუძლიათ მართონ საერთაშორისო მიგრაცია მასპინძელ ქვეყნებში ხელფასებისა და სამუშაო პირობების შეცვლით, წარმოშობის ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის გზით, სოციალური დაზღვევის პროგრამების შექმნით, განვითარებად რეგიონებში ფიუჩერსების ან კაპიტალის ბაზრების გაუმჯობესებით, ან ამ (ზემოთ ჩამოთვლილი) მოქმედებების კომბინაციით.

მიუხედავად იმისა, რომ არსებული კონცეფციების სხვადასხვა ასპექტები ჯერ კიდევ მუშაობს, აქამდე არ არსებობს მიგრაციის ერთიანი ზოგადი თეორია. ამიტომ მიგრაციის კლასიკური თეორიები აქტუალობას დღემდე არ კარგავს და გამოიყენება დასახული მიზნებისა და ამოცანების გადასაჭრელად.

TEONA CHARKVIAN

THE ESSENCE OF MIGRATION (THEORETICAL REVIEW)

Summary

Migration has always played an important role in the formation of the population and, accordingly, the labor market of individual countries and territories, however, from the second half of the 19th century, fundamental changes in the nature and direction of migration flows began. First of all, this was caused by the revolutionary changes in the living and working conditions of the population of the most developed countries of Europe and the New World, the rapid development of

industry, transport and means of communication. Due to development. The construction of factories, railways and mass production with division of labor and economies of scale changed the nature of labor and the territorial scope of its use. Millions of people were forced to leave their homes and move to other countries in search of a better life.

Thus, in the changing conditions, the most acute question about the theoretical understanding of the concept of "migration" arose. Currently, there is no single, coherent theory of migration. Abstract theories were mainly developed in isolation from each other and fragmentarily and describe only some aspects. However, they can still be considered a starting point for understanding modern migration processes and their impact on labor markets.

***Key words**: migration processes, migration laws, economy, politics.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Денисенко М.Б., Ионцев В.А., Хорев Б.С. Миграциология. М.: Издательство Московского университета. 1989.
2. Лифшиц М.Л. Миграционный прирост населения в России: факторы, перспективы, выводы для миграционной политики // Прикладная эконометрика. № 2(18). 2010. С. 32-52.3.
3. Цапенко И. Движущие силы международной миграции населения // Мировая экономика и международные отношения", 2007, №3, с. 3-14.
4. ტუხაშვილი მ., ჭელიძე ნ., „შრომითი მიგრაცია“, თბ., 2019.
5. Corbett J. Ernest George Ravenstein: The Laws of Migration, 1885. / Center for Spatially Integrated Social Science, UC Santa Barbara http://www.csiss.org/classics/content/90
6. Everett S. Lee A Theory of Migration // Demography, Vol. 3, No. 1. (1966), pp. 47-57.
7. Harris J., Todaro M. Migration, unemployment, and development: a two-sector analysis // American Economic Review. 1970. №60. P. 126-142.
8. Massey D., Arango J., Hugo G., Kouaouci A., Pellegrino A.,. Taylor E. Theories of International Migration: A Review and Appraisal // Population and Development Review, Vol. 19, No. 3 (Sep., 1993), pp. 431-466
9. Massey, Douglas S. "International migration and economic development in comparative perspec- tive." Population and Development Review 14, 1989, 383-414.
10. Piore M. Birds of passage. Migrant labour and industrial societies. New York: Cambridge University Press. 1979.
11. Ravenstein E.G., The Laws of Migration // Journal of the Statistical Society of London, Vol. 48, No. 2. (June, 1885), pp. 167–235.
12. Wallerstein, Immanuel. The Modern World System, Capitalist Agriculture and the Origins ofthe European World Economy in the Sixteenth Century. New York: Academic Press. 1974.12.
13. Wallerstein I. The Modern World-System, vol. III: The Second Great Expansion of the Capitalist World-Economy, 1730-1840's. San Diego: Academic Press. 1989.

შალვა ენუქიძე
წარმოადგინა პროფ. ჯემალ გახოკიძემ

სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვის გარანტირება და ბალანსი ადამიანის უფლებათა დაცვასთან - შედარებითი ანალიზი საერთაშორისო დაცვის კონტექსტში

თითოეულ სუვერენულ სახელმწიფოს აქვს საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების დაცვის ლეგიტიმური ინტერესი, იმავდროულად კი - ევალება, ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა, მათ შორის, ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის რეჟიმის ეფექტიანი ფუნქციონირების გარანტირება. ეჭვგარეშეა, რომ ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი, 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, სახელმწიფოთა შორის ეროვნული უსაფრთხოების დაცვის საკითხმა კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა.

მოცემული სტატიის ფარგლებში ისტორიული და სამართლებრივი ასპექტების მიმოხილვის საფუძველზე გაანალიზდება, რა ძირითადი ფაქტორები განსაზღვრავს ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის სისტემას და რა გავლენა აქვს ადამიანის უფლებების დაცვასა და სახელმწიფოს სუვერენულ ინტერესებს მისი ფორმირების პროცესში. ამ მხრივ, გაანალიზდება სახელმწიფოთა ეროვნულ უსაფრთხოებასა და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვას შორის არსებული ურთიერთკავშირი და მათი კომპლემენტარული, ურთიერთ შემავსებელი ბუნება.

საკვანძო სიტყვები: *სუვერენული სახელმწიფო, ეროვნული უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები, ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვა.*

სახელმწიფოებს საერთაშორისო დონეზე აღებული აქვთ ადამიანის უფლებების განუხრელად დაცვის ვალდებულება, მათ შორის კი, ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის გარანტირება ჯერ კიდევ 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით მოხდა [1].

ადამიანის უფლებების დაცვის ქვაკუთხედს წარმოადგენს როგორც ინდივიდის, ასევე, სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამდენად, რადგან უსაფრთხოება სახელმწიფოთა ლეგიტიმური ინტერესის საგანია, მათ ევალებათ თავიანთ იურისდიქციაში მყოფი მოსახლეობის დაცვა შესაბამისი ზომების მიღებით; ხაზგასასმელია ისიც, რომ ეროვნული უსაფრთხოების ლეგიტიმური ინტერესები თავსებადია ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვასთან და მისი უზრუნველყოფა ადამიანის უფლებათა სრული დაცვით უნდა მოხდეს.

უსაფრთხოება - ადამიანის უფლებების დაცვიდან სახელმწიფო ინტერესებამდე

უსაფრთხოება, როგორც უფლება, ეკუთვნის როგორც ინდივიდს, ასევე სახელმწიფოს [2. 234].

უსაფრთხოების უფლება, როგორც ინდივიდუალური უფლება, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პირმა მოითხოვოს მისი, როგორც ადამიანის უფლებების დაცვა [3] და ეძიოს თავშესაფარი; მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ ინდივიდის უსაფრთხოების გარანტირებისთვის შესაბამისი ქმედებების განხორციელება უზრუნველყოფს სახელმწიფო მექანიზმის ეფექტურ ფუნქციონირებას, სადაც ინდივიდები, მათ შორის დევნის მსხვერპლნი, უზრუნველყოფილნი არიან ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიებით [4].

მაშინ, როდესაც პირადი უსაფრთხოება ინდივიდის ძირითად უფლებას წარმოადგენს და აღიარებულია ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა ინსტრუმენტით, სახელმწიფოებს, გარკვეული წინაპირობების არსებობისას, შეუძლიათ შეზღუდონ ინდივიდთა მიერ კონკრეტული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა ეროვნული უსაფრთხოების ინტერესით [5].

სუვერენული ძალისადმი დადგენილი შეზღუდვის ფარგლები მოცემულია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციაში -

მაშინ როდესაც კონვენციის 32(1) და 33(2) მუხლების საფუძველზე სახელმწიფოებს უფლება აქვთ, გააძევონ ის ლტოლვილები, რომლებიც მათ ეროვნულ უსაფრთხოებას შეუქმნის საფრთხეს, მსგავსი პირებიც დაცულნი არიან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით, რომელიც უზრუნველყოფს წამების აკრძალვას.

მართლაც, ეროვნული უსაფრთხოება და ინდივიდის უფლებების გარანტირება ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის სისტემის ჯეროვანი ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილებია და ისინი არ უნდა განიხილებოდეს ერთმანეთთან კონფლიქტში [6. 444] - ამის ნათელი მაგალითი კი 1951 წლის ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციაა [6. 444], რომელშიც სახელმწიფოებმა დააბალანსეს, ერთი მხრივ, თავიანთი ლეგიტიმური ინტერესები უსაფრთხოებისადმი და, მეორე მხრივ, ლტოლვილთა ჰუმანიტარული საჭიროებები [7. 346].

უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაფუძნებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბების ლოგიკური გაგრძელებაც კი იყო - მაგალითად, იმგვარად, რომ თავშესაფრის მაძიებელთა ჰუმანიტარული საჭიროებები პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფოს ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების ინტერესებს, რამეთუ ლტოლვილები არიან დევნის, დაუცველობისა და ტერორიზმის მსხვერპლნი და არა მათი გამომწვევი მიზეზები [7. 346].

უსაფრთხოება ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის სამართლებრივ ჩარჩოში

როგორც უკვე აღინიშნა, ეროვნული უსაფრთხოების გარანტირება და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფა ურთიერთშემავსებელი კონცეფციებია. ეროვნული უსაფრთხოების ლეგიტიმური საფუძვლები უცხო არ ყოფილა 1951 წლის ჟენევის კონვენციის შემქმნელებისათვისაც, რომელშიც მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ გარკვეული ფაქტორების არსებობისას, შეიძლება არ დადგინდეს პირისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების საჭიროება [6. 444].

საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე უარის თქმაზე დამატებით, სახელმწიფოებს შეუძლიათ, ჩამოართვან ან გაუუქმონ აღიარებულ ლტოლვილებს საერთაშორისო დაცვა ეროვნული უსაფრთხოების საფუძვლით.

აღსანიშნავია ისიც, რომ კონვენცია მე-9 მუხლით დადგენილი პირობების არსებობისას უშვებს თავშესაფრის მაძიებლის დაკავების შესაძლებლობას მისი ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურის მიმდინარეობისას, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მოცემული პირი ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველია [8. 1453].

სახელმწიფოებს კონვენციით, ასევე, მინიჭებული აქვთ უფლება, ეროვნული კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში გაატარონ შესაბამისი ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი ზომები. დაბოლოს, კონვენციის 32-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფოებს, სამართლიანი სასამართლოს პირობებში და არგაძევების პრინციპის სრული დაცვით [9], შეუძლიათ გააძევონ ლტოლვილები სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნის საფუძვლით (აღნიშნულ მუხლთან ბმაში, ასევე, შეგვიძლია, მივიჩნიოთ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლიც).

ამდენად, ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის ჟენევის კონვენცია აბალანსებს ერთი მხრივ, სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს და, მეორე მხრივ, ლტოლვილთა ჰუმანიტარულ საჭიროებებს, რომელთა პრაქტიკაში იმპლემენტაცია სახელმწიფოებს ეფექტიანი და სამართლიანი ეროვნული კანონმდებლობის არსებობის პირობებში შეუძლიათ [7. 346].

თავშესაფრის უფლების შეზღუდვა ეროვნული უსაფრთხოების საფუძვლით

იმისთვის, რომ დადგინდეს, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძვლით კონკრეტული უფლების შეზღუდვის მიზანშეწონილობა, აუცილებელია ორი კუმულატიური ელემენტის თანადროულად არსებობა [7. 346].

პირველ რიგში, უნდა არსებობდეს ზიანის ობიექტურად შეფასება, რეალური რისკი, მათ შორის, მყისიერი და ასევე, გრძელვადიან პერსპექტივაში არსებული საფრთხეები [2. 234].

მეორე, მსგავსი „ზიანი“ უნდა ემუქრებოდეს სახელმწიფოს ან მის მოსახლეობას მთლიანად [2. 234]. ამასთან, აუცილებელია, დეტალურად შეფასდეს, არის თუ არა საფრთხის რისკი იმდენად დიდი, რომ გადაწონოს 1951 წლის ჟენევის კონვენციით ლტოლვილებისათვის დადგენილი საერთაშორისო დაცვის უფლება. მსგავსი სახის ბალანსის მიღწევა შესაძლებელია ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემაში დადგენილი ე. წ. *„პროპორციულობის ტესტის“* გამოყენებით. ამ სტატიის მიზნებისთვის, გამოვყოფ მოცემული ტესტის ოთხ ძირითად ფაქტორს [8. 1453] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ რიგ საქმეებში განვითარებული პრაქტიკის საფუძველზე, როგორიცაა, *ჩაჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, სილვერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ბ. დას ბჰარატი, ბ და დ, ალ ნაშირი პოლონეთის წინააღმდეგ, ლეასი ესტონეთის წინააღმდეგ, ნატუნენი ფინეთის წინააღმდეგ* და ა.შ.

პირველი ფაქტორი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული უსაფრთხოებისა და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის უფლების შეპირისპირებისას, არის ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საჯარო მიზნის არსებობა [10], რაც იმას გულისხმობს, რომ კონკრეტულ შემთხვევაზე დაყრდნობით უნდა შეფასდეს, ატარებდა თუ არა ლეგიტიმურ საჯარო მიზანს ეროვნული უსაფრთხოების დაცვის საფუძვლით ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის უფლების შეზღუდვა [11].

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ოლსონი შვედეთის წინააღმდეგ [12] განმარტა, ეროვნული უსაფრთხოების საფუძვლით ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შეზღუდვის დროს, მსგავსი შეზღუდვები ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კანონმდებლობაში [13].

ამდენად, მეორე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რომელიც უსაფრთხოების საფუძვლით ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობის დადგენისას გამოიყენება, არის შესაძლო სამიზნე ჯგუფის მიერ შეზღუდვის სამართლებრივი განჭვრეტადობა [13].

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე დგინდება, რომ მესამე ფაქტორად მიჩნეული უნდა იქნეს შეზღუდვის აუცილებლობის დადგენა, ანუ, უნდა განისაზღვროს „კონკრეტული მიზნის მისაღწევად გონივრულად აუცილებელი“ რა ზომების გატარებაა მიზანშეწონილი სახელმწიფოს მიერ [13].

და ბოლოს, პროპორციულობის ტესტის გამოყენებისას უნდა შეფასდეს ლტოლვილის მიერ ეროვნული უსაფრთხოებისთვის შექმნილი ზიანის რისკის დონე და მისი უფლებების დაცვის საჭიროება, მათ შორის, გაძევების შემთხვევაში, მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შესაძლო რისკის საფრთხე [14].

თუმცა, მოცემული კრიტერიუმის შეფასება სახელმწიფოთათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს და ამ დროს აუცილებელია საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინება [15].

ამრიგად, სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოება და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვა ურთიერთშემავსებელი კონცეფციებია. არაერთგვაროვანი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების არსებობის პირობებში, მეტად პრობლემური ხდება სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესებსა და თავშესაფრის მაძიებელთა საერთაშორისო დაცვის საჭიროებას შორის ბალანსის დადგენა.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალსა და სახელმწიფოთა პრაქტიკაში, საერთაშორისო სასამართლოების პრეცედენტულ სამართალში არსებული იმ სამართლებრივი გარანტიების იდენტიფიცირება და შეფასება, რომლებიც მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების და, მეორე მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესების დაცვას [16].

თავშესაფრის ეფექტიანი პროცედურა, საკანონმდებლო და ოპერატიულ დონეზე, უნდა მივიჩნიოთ სახელმწიფოთა მიერ თავიანთი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტად, რამდენადაც იგი იძლევა არსებული თუ პოტენციური საფრთხის შემცველი პირების სახელმწიფოთა მიერ იდენტიფიცირების - შესაბამისად, იმის განსაზღვრის შესაძლებლობას, ვინ უნდა მოექცეს ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის სისტემაში და ვინ არა. სწორედ, ამ პრინციპებზე დაფუძნებული თავშესაფრის პროცედურა უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებების დაცვის გარანტირებას, მეორე მხრივ კი, სახელმწიფოთა ლეგიტიმური უსაფრთხოების ინტერესის დაცვას.

SHALVA ENIKUDZE

GUARANTEEING AND BALANCING THE PROTECTION OF THE NATIONAL SECURITY INTERESTS OF STATES WITH THE PROTECTION OF HUMAN RIGHTS - A COMPARATIVE ANALYSIS IN THE CONTEXT OF INTERNATIONAL PROTECTION

Each sovereign state has a legitimate interest in protecting its own national security, and at the same time, it is responsible for ensuring the protection of human rights, including guaranteeing the effective functioning of the international refugee protection regime. There is no doubt that in the last few decades, especially after the events of September 11, 2001, the issue of protecting national security between states has gained even more urgency.

Within the scope of this article, based on a review of historical and legal aspects, it will be analyzed what are the main factors that determine the system of international protection of refugees and what impact it has on the protection of human rights and the sovereign interests of the state in the process of its formation. In this regard, the relationship between the national security of states and the international protection of refugees and their complementary, complementary nature will be analyzed.

Keywords: *sovereign state, national security, human rights, international protection of refugees.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 14.
2. შო მ. ნ., „საერთაშორისო სამართალი“, კემბრიჯის უნ-ტის გამომცემლობა, მე-6 გამოცემა, 2008.
3. გაეროს უშიშრობის საბჭოს რეზოლუცია №1269, 1999 წ., გაეროს დოკუმენტების სერია S/RES/1269; გაეროს უშიშრობის საბჭოს რეზოლუცია №1624, 2005 წ., გაეროს დოკუმენტების სერია S/RES/1624; გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია № 49/60, 1995 წ, წ., გაეროს დოკუმენტების სერია A/Res/49/60.
4. ჩაჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, №22414/93, 1996 წ., პარაგრაფი 80.
5. ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის დამატებითი ოქმის ფარგლებში ლტოლვილის სტატუსის პროცედურისა დაკრიტერიუმების დადგენის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები, ადამიანის უფლებათა საბჭო, HCR/IP/4/Eng/REV.1, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი 1979, პარაგრაფი 28.
6. გუდვინ-გილი გ.ს., თავშესაფრის ძიების უფლება და არ გაძევების პრინციპი, 2011 წ., ლტოლვილთა სამართლის საერთაშორისო ჟურნალი.
7. ჰეთეევი ჯ. ს., „ლტოლვილთა უფლებების საერთაშორისო სამართლის მიხედვით“, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.
8. ზიმერმენი ა., 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსების შესახებ დ 1967 წლის დამატებითი ოქმი, კომენტარი, ოქსფორდის უნივერსიტეტია გამომცემლობა, 2011.
9. ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის ჟენევის კონვენცია, მუხლი 33.
10. ლეასი ესტონეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, №59577/08, 2012 წ., პარაგრაფები 49, 78.
11. სილვერი გაერთიანებული სამეფოს წინააღდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, №5947/72; 6205/73; 7052/75; 7061/75; 7107/75; 7113/75; 7136/75, 1983 წ.
12. ოლსონი შვედეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, №13441/87, 1992.
13. ბ და დ-ს საქმე, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, დიდი პალატა, C-57/09 and C-101/09, 2010 წ., პარაგრაფი 107.
14. ნატუნენი ფინეთის წინააღდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, №21022/04.
15. ალ ნაშირი პოლონეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, №28761/11, 2014 წ., პარაგრაფი 507.
16. ბ. დას ბჰარატი, ლტოლვილთა პრობლემა - ჰუმანიტარული პერსპექტივა, საერთაშორისო ჰუმანიტარული და ლტოლვილთა სამართლის გამოცემა, 2005 წ., გვ. 206.

ანა გეთია
წარმოადგინა პროფ. ვალერი მოდებაძემ

ციფრული სამყარო, ევროკავშირის ციფრული პოლიტიკა, ქართული რეალობა და გამოწვევები

ციფრულმა ეპოქამ სრულად შეცვალა კაცობრიობის ცხოვრება და განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა იგი. მართალია, ეს ეპოქა უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს უზარმაზარ შესაძლებლობებს, თუმცა იგი შესაძლებლობებთან ერთად დაკავშირებულია საფრთხეებთან, რომელთანაც გამკლავება, ციფრული რესურსის მაქსიმალური გამოყენება და განვითარების სწორი რაკურსის შენარჩუნება მხოლოდ შესაბამისი ციფრული პოლიტიკის და რეგულაციების შემუშავებით არის შესაძლებელი. ერთ-ერთი პირველი, ვინც ციფრული ეპოქის გამოწვევებს უპასუხა არის ევროპული კავშირი, რომლის როგორც 2014-2020 წლის, ასევე შემდგომი წლების სტრატეგიის მთავარ ქვაკუთხედს სწორედ დემოკრატიული, უსაფრთხო ციფრული სამყაროს განვითარება, მისი პოტენციალის გამოყენება და ამის უზრუნველსაყოფად შესაბამისი პოლიტიკისა და რეგულაციების შემუშავება წარმოადგენს.

საქართველოსაც ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში მოუწევს ევროკავშირის პოლიტიკის გარკვეულწილად გაზიარება. თუმცა, ასეთი შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაშიც საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინოვაციური ნაბიჯების გადადგმა და ციფრულ ეპოქაზე მორგებული სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, თუ სამართლებრივი რეფორმების განხორციელება.

შესაბამისად, სტატიაშიც ყურადღება გამახვილებულია ციფრულ სამყაროს შესაძლებლობებზე და საფრთხეებზე, ევროკავშირის ციფრულ პოლიტიკაზე, ქართულ რეალობასა და გამოწვევებზე.

საკვანძო სიტყვები: *ციფრული ტექნოლოგიები, ევროკავშირის ციფრული პოლიტიკა, ინდუსტრიალური რევოლუცია, საარჩევნო ტექნოლოგიები.*

რეალურიდან ციფრულ სამყარომდე

ციფრულმა რევოლუციამ (ცნობილი, როგორც მესამე ინდუსტრიული რევოლუცია), რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, უდიდესი გარღვევა მოახდინა და კაცობრიობა განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა. ციფრული სამყარო ეს არის დაზოგილი დრო, ენერგია, ფინანსური რესურსი და რაც მთავარია, საზღვრების და რეგულირების გარეშე, რამაც განაპირობა მის მიმართ როგორც უდიდესი სოციალური, ისე ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესი. ციფრული სივრცე გახდა კომუნიკაციის, აზრის გამოხატვის, შეხედულებათა გაცვლის, ინფორმაციის მიღება-გავრცელების და რაც მთავარია, ძირითადი სავაჭრო-საფინანსო პლატფორმა.

ციფრული გახდა ტრენდი პოლიტიკური თვალსაზრისითაც. წინასაარჩევნო ბრძოლამ, დებატებმა და პოლიტიკურმა აქტივობებმა ნელ-ნელა გადაინაცვლა ვირტუალურ სივრცეში. სოციალური ქსელები, როგორიცაა, ფეისბუქი, ინსტაგრამი, ტვიტერი, თუ იუთუბი მნიშვნელოვან პოლიტიკურ პლატფორმად გადაიქცა. უფრო მეტიც, თვითონ „გაციფროვნება“ გახდა დასავლური პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი თემა, როგორც ახალი, უფრო გამჭვირვალე, ეფექტური, დემოკრატიული მმართველობის, ეკონომიკური, თუ ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალება [26]; [27].

განსაკუთრებით აღსანიშნავია ელექტრონული (ციფრული) მმართველობის საკითხი, რომელიც როგორც სახელმწიფო მმართველობის სისტემის მოდერნიზაციის და ციფრული დემოკრატიის მშენებლობის მთავარი ბერკეტი, ერთ-ერთ ცენტრალურ პოლიტიკურ თემად იქცა. თუმცა, ციფრული ტექნოლოგიები იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ უკვე საუბარია მმართველობის ავტომტიზაციის უფრო მაღალ საფეხურზე - ინტელექტუალურ, გონიერ მმართველობაზე (smart Government) [3], რომლის

მთავარი ფიგურანტი არის ხელოვნური ინტელექტი.

ერთი სიტყვით, ციფრული ტექნოლოგიების განვითარების სისწრაფემ კაცობრიობა, ისე რომ არსებული ციფრული გამოწვევები არ ჰქონდა გათვითცნობიერებული, ახალ რეალობასთან - მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის კარიბჭესთან მიიყვანა იგი, რაც უკვე გულისხმობს ინფორმაციის და კომუნიკაციური ტექნოლოგიების მეშვეობით გონიერი მანქანების ურთიერთდაკავშირებას, რომლის მიზანი არის ის, რომ მანქანებმა შეძლონ ერთმანეთთან კომუნიკაცია და პროცესების დამოუკიდებლად მართვა. ადამიანი პროცესში ერევა მხოლოდ ინტერფეისის საშუალებით. ანუ, ეს არის მანქანის, პროდუქტის და ადამიანის ტექნოლოგიური ჯაჭვი. შიგ და შიგ უკვე გვხვდება შემთხვევები, სადაც მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციიის ელემენტები არის განხორციელებული, მაგალითად, ადამიანის და რობოტის ურთიერთთანამშრომლობა ავტოინდუსტრიაში, ციფრული სათვალეები, როგორიცაა მაგალითად გუგლ-სათვალე (Google Glass),[5. 77-78] აგრეთვე დრონები. თუმცა წინამძღოლად მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის განიხილება სწორედ ხელოვნული ინტელექტი. იგი ითვლება ამ რევოლუციის მთავარ "გასაღებ ტექნოლოგიად", რომელიც იძლევა უკვე ინტელექტუალური სამუშაოების ავტომატიზაციის და ამით ეკონომიკური ზრდის საშუალებას. ეს „განსწავლული მანქანები" წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სფეროში, დაწყებული საავტომობილო ინდუსტრიით, გაგრძელებული სამედიცინო, სამხედრო და დამთავრებული პერსონალური ასისტენტობით. საინტერესოდ გამოიყურება ხელოვნური ინტელექტის პოტენციალი არა მხლოდ კერძო სექტორის, არამედ საჯარო მმართველობის მოდერნიზაციის თვალსაზრისით. განსაკუთრებით აქტიურად განიხილება მისი გამოყენება სამხედრო პლატფორმაზე. სწორედ მისი უსაზღვრო პოტენციალი არის მიზეზი იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტი და მისი განვითარება არის მთავარი პოლიტიკური და ეკონომიკური მოთამაშეების განსაკუთრებული ინტერესის საგანი, როგორც ლიდერობის გარანტი ციფრულ ეპოქაში. ამ მხრივ ტრადიციულად აქტიურობენ აშშ, ევროპა და ჩინეთი. ამ უკანასკნელს განზრახული აქვს 2030 წლამდე წამყვანი „ხელოვნური ინტელექტის ერი", ხოლო 2050 წლამდე კი წამყვანი „ინოვაციური ერი" გახდეს [7].

რა თქმა უნდა, ჩინეთის ინტერესის საგანს წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტი, როგორც ინდუსტრიული სექტორის გაძლიერების და კონტროლის საშუალება. რაც შეეხება პერსონალურ მონაცემების დაცვას და ციფრულ დემოკრატიას, ეს მისთვის საინტერესო თემა არ უნდა იყოს. ჩინეთისგან განსხვავებით, ევროპის ინტერესი მოიცავს როგორც ხელოვნური ინტელექტის და ზოგადად, ციფრული სივრცის პოტენციალის გამოყენებას, ასევე მის უსაფრთხო და დემოკრატიულ განვითარებას და შესაბამისად, თანმდევ სამართლებრივ და ეთიკურ საკითხების გადაწყვეტასაც.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, ციფრული სივრცე არის უზარმაზარი პოტენციალის მქონე პლატფორმა ახალი ციფრული ეკონომიკის შესაქმნელად და პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციისთვის. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, ეს არის უსაზღვრო შესაძლებლობების მქონე არეალი თავად ადამიანებისთვის მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, ნებისმიერ დროს მიიღოს ახალი ცოდნა, ინფორმაცია, მოახდინოს ინოვაციური იდეების რეალიზაცია, დასაქმდეს, ან თავად იყოს დამსაქმებელი; შეაფასოს ნებისმიერი პროდუქტი, მომსახურება, რაც საშუალებას აძლევს მას კონკურენციის პირობებში ამყოფოს ბიზნესი და მის სასარგებლოდ შეცვალოს სამომხმარებლო ბაზარი; გამოხატოს საკუთარი აზრი მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, აკონტროლოს ხელისუფლების მოქმედებები და შეცვალოს პოლიტიკური ლანდშაფტი, გახადოს ის უფრო გამჭვირვალე და დემოკრატიული.

ციფრული სამყაროს გამოწვევები

ციფრული სამყარო შესაძლებლობებთან ერთად არის სერიოზული საფრთხის წყაროც, რომლის მთავარი სამიზნე, რა თქმა უნდა, არის ადამიანი, მისი პიროვნული უფლებები, ეკონომიკური, თუ სოციალური ინტერესები. რაც საბოლოო ჯამში, საფრთხეს უქმნის ციფრულ დემოკრატიას და ციფრულ სამყაროს განვითარებას.

არსებობს მოსაზრება, რომ ციფრული სამყარო სწორედ მისი თავისუფლების ხარისხით

არის მიმზიდველი და სწრაფად განვითარებადი. თუმცა, გამოცდილებამ ცხადყო, რომ ძლიერმა ინსტიტუტებმა უფრო აქტიურად და მოხერხებულად გამოიყენა ციფრული სამყაროს შესაძლებლობები. ამის მაგალითია ბიზნესის მხრიდან მომხმარებლის მიმართ ექსპლუატაციის ახალი მეთოდების შემუშავება, რაც გამოიხატება მომხმარებლის შესახებ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე მისი ინტერესების განსაზღვრაში, რაც საშუალებას აძლევს მას ინდივიდულურად მიუდგეს თითოეულ მომხმარებელს და „აიძულოს“ ხელშეკრულების დადება. ამავე მიზანს ემსახურება რეპუტაციული ინფორმაციის გამოყენება პროდუქტის გაყიდვის მიზნით [2. 33-63];

განსაკუთრებით აღსანიშნავია პერსონალური მონაცემების სანაცვლოდ ე.წ. „უფასოდ“ დადებული ხელშეკრულებები, რომლის მონეტარიზაციას მაშინვე ახდენს მისი მიმღები. პერსონალური მონაცემები არის 21-ე საუკუნის „ციფრული ოქრო“, რომელსაც ისე გასცემს მისი მფლობელი, რომ ვერც კი აცნობიერებს მის ღირებულებით მნიშვნელობას.

პერსონალური მონაცემები არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ განსაკუთრებული პოლიტიკური ინტერესის საგანს წარმოადგენს. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ფეისბუქ-კემბრიჯის ანალიტიკურ ცენტრთან, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებთან და ბრექსიტთან დაკავშირებული სკანდალი [14]; [18].

ციფრული სივრცე არის უნიკლური პლატფორმა პერსონალური მონაცემების მოსაპოვებლად და ე.წ „ფეიქ ნიუსების“ თუ „სოციალური ბოტების და ტროლების“ მეშვეობით პროპაგანდის და დეზინფორმაციის გასავრცელებლად, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ამომრჩეველზე [4. 62-66].

ერთ-ერთი ყველაზე საშიში იარაღი არჩევნებზე ზეგავლენის თვალსაზრისით არის, ასევე, კიბერთავდასხმები. ამის მაგალითია 2017 წელს საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების დროს განხორციელებული ჰაკერული თავდასხმა [13]. ზოგადად, ციფრულ სივრცესთან მიმართებაში კიბერთავდასხმა ყველაზე აქტუალური პრობლემაა. ციფრული სივრცე, როგორც ღირებული ინფორმაციის საბადო ფაქტობრივად იქცა სახელმწიფოთა შორისაც მთავარ ბრძოლის ველად და, რაც უფრო მდიდრდება ინფორმაციით და მონაცემებით ციფრული სამყარო, მით უფრო დიდ მნიშვნელოვობას იძენს კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფაც.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ შესაბამისი რეგულაციების გარეშე, სერიოზული საფრთხე ემუქრება დემოკრატიის მთავარ პრინციპებს - თავისუფალი არჩევნების უფლებას და აზრის გამოხატვის თავისუფლებას და თანაც, რაც უფრო ვითარდება ციფრული ტექნოლოგია, მით მეტად იზრდება მისი ბოროტად გამოყენების საშიშროებაც, ამიტომაც მეოთხე ინდუსტრულ რევოლუციის და ხელოვნური ინტელექტის პოტენციალთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება დემოკრატიაზე, აზრის ჩამოყალიბება-გამოხატვის თვისუფლებასა, თუ თავისუფალი არჩევნების უფლებაზე მათი ზემოქმედების საკითხიც. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია და ხელოვნური ინტელექტი უკვე მთლიანად ეფუძნება ინფორმაციას და პერსონალურ მონაცემებს, ამდენად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობის და გამოყენების საკითხი. ასევე, კიბერუსაფრთხოება და შესაბამისად, ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოება. და რა თქმა უნდა, ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლობის და პასუხისმგებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული უფლებაუნარიანობის, ქმედუნარიანობის პრობლემა.

პასუხისმგებლობა და პერსონალური მონაცემების დაცვა საკვამო საკითხია ბლოკჩეინ-ტექნოლოგიებთან მიმართებაში; მართალია ის განიხილება როგორც კიბერთავდასხმისგან ყველაზე კარგად დაცულ ტექნოლოგიად, მაგრამ ამის მინიმალური ალბათობა მაინც არსებობს და თუ ეს მოხდება მას ექნება კატასტროფული შედეგები. მეტიც, საუბარია იმაზე, რომ ბლოკჩეინ-ტექნოლოგიამ, როგორც დეცენტრალიზირებულმა ტექნოლოგიამ „შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სახელმწიფოს და ცენტრალიზირებული ინსტიტუტების ტრადიციულ როლი“ [1. 4].

გარდა პოლიტიკურ-სამართლებრივი საკითხებისა, ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ბადებს ეთიკურ შეკითხვებსაც და რაც უფრო ვითარდება ციფრული ტექნოლოგია, მით უფრო ფართოვდება ამ თვალსაზრისით პრობლემურ საკითხთა წრეც.

უდავოა, რომ ციფრულ ტექნოლოგიებს, მათ შორის ბლოკჩეინ ტექნოლოგიას, ხელოვნურ ინტელექტს, შეუძლია მნიშვნელოვანი გარღვევა მოახდინოს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც, გააუმჯობესოს სახელმწიფო მმართვის სისტემა, გახადოს ის უფრო გამჭვირვალე და სანდო. თუმცა, ამის მისაღწევად და ტექნოლოგიური

მიღწევების კაცობრიობის სასარგებლოდ გამოსაყენებლად და, რაც მთავარია, ციფრული ანარქიის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია სწორი ციფრული სტრატეგიის შემუშავება და შესაბამის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ ციფრულ ეპოქაში თავისუფალი არჩევნების, აზრის გამოხატვის თავისუფლების, პერსონალური მონაცემების დაცვის, კიბერუსაფრთხოება, ჯანსაღი ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების განვითარება და ციფრული დემოკრატიის უზრუნველყოფა დღევანდელი და უახლოესი მომავლის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა.

ევროკავშირის ციფრული პოლიტიკა

ერთ-ერთი პირველი ვინც ციფრული ეპოქის გამოწვევებს უპასუხა არა მხოლოდ მისი შესაძლებლობების გამოყენების, არამედ რეგულირების და ციფრული დემოკრატიის განვითარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, არის ევროპული კავშირი. მან ციფრულ სამყაროში დაინახა ევროპული თანაცხოვრების და განვითარების ახალი შანსი, იქნებოდა ეს ჯანდაცვის, განათლების, ენერგომოხმარების, ვაჭრობის, მომსახურების სექტორის, საგადასახადო სისიტემის, თუ მმართველობის მოდერნიზაციის კუთხით. ამ იდეის რეალიზირებისთვის ჯერ კიდევ 2010 წელს ევროპულმა კომისიამ დაამტკიცა „ციფრული დღის წესრიგი ევროპისთვის 2010-2020 წლისთვის“ [8], რომელიც რამდენიმე მიმართულებას მოიცავს, კერძოდ: 1. ციფრული საზოგადოება, რომელშიც მოიაზრება სოციალური ასპექტები, როგორიცაა ციფრული ჯანდაცვა, ციფრული სამუშაო პლატფორმის განვითარება, სოციალური მედია, კიბერუსაფრთხოება, პირადი სფერო; 2. ციფრული ეკონომიკა, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ და კომერციულ ასპექტებს, მათ შორის, სტარტაპ პროგრამებს, მომავლის ინტერნეტის, მონაცემთა ბაზების და ციფრული ინდუსტრიის მშენებლობას. 3. სატელეკომუნიკაციო და ინტერნეტ ქსელის განვითარება და ღია წვდომადობა 4. კვლევების და ინოვაციების მხარდაჭერა [25].

აღნიშნული ციფრული დღის წესრიგის ჭრილში პერიოდულად ყალიბდება სტრატეგიები შესაბამისი პრიორიტეტებით, რომლის ფარგლებში განხორციელდა და მომავალშიც იგეგმება არა ერთი მნიშვნელოვანი თემის სადისკუსიოდ გამოტანა და შესაბამისი რეგულაციების შემუშავება. მათ შორის, აღსანიშნავია რეგულაციები პერსონალური მონაცემების დაცვის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ელექტრონული ვაჭრობის, ელექტრონული კომუნიკაციების და განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის სფეროში.

„ციფრული დღის წესრიგი ევროპისთვის“ ფარგლებში ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს ელექტრონული მმართველობა, როგორც ბიუროკრატიის შემცირების, მთავრობისადმი ნდობის ამაღლების, დემოკრატიული პროცესების გაუმჯობესების და ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ბერკეტი, რომელიც ბოლო 15 წელიწადია ევროპული სახელმწიფოების მთავარი პოლიტიკური თემაა, თუმცა ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯები ჩამორჩება ციფრული ტექნოლოგიების განვითარების სისწრაფეს და მიუხედავად განხორციელებული რეფორმებისა, იგი კვლავ რჩება ევროკავშირის მნიშვნელოვან გამოწვევად.

ციფრული დღის წესრიგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს თემას წარმოადგენს ციფრული სავაჭრო ბაზარი და მისი განვითარება. ევროპული კავშირი იმედოვნებს, ციფრულ გარემოზე მორგებული ერთგვაროვანი რეგულაციებით როგორც მომხმარებლისთვის, ისე მეწარმისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას და ამით სანდო, უსაფრთხო ციფრული სავაჭრო ბაზრის განვითარებას და ნაბიჯ-ნაბიჯ „ევროპული ციფრული ეკონომიკის მშენებლობას“. [10. 3-4]; [11. 4].

განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს პერსონალური მონაცემები, რომელიც როგორც ციფრულ სავაჭრო ბაზრის, ასევე ელექტრონული მმართველობის და ზოგადად, ციფრული სივრცის მთავარ ქვაკუთხედია, ამიტომაც მათი ხელმისაწვდომობის და უსაფრთხოების საკითხი იყო და რჩება ევროპული კავშირის უმთავრეს გამოწვევად. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით მან გარკვეული ინოვაციური ნაბიჯები უკვე გადადგა, როცა 2019 წლის 20 მაისის „ციფრული შინაარსის და ციფრული მომსახურების მისაწვდომობის უზრუნველყოფის გარკვეული სახელშეკრულებო ასპექტების შესახებ“ (EU)2019/770 დირექტივით პერსონალური მონაცემები დაადგინა როგორც გადახდის საშუალება, რითაც მან მოახდინა მომხმა-

რებლის ინფორმირება მისი პერსონალური მონაცემების ღირებულებითი მნიშვნელობის შესახებ და, რაც მთავარია, პიროვნული უფლებები გაიტანა მხოლოდ საჯროსამართლებრივი დაცვის არეალიდან და გახადა, ასევე, კერძოსამართლებრივი რეგულირების საგანიც, რითაც აღჭურვა მომხმარებელი უფლებების დაცვის სპეციალური კერძოსამართლებრივი ბერკეტების გამოყენების შესაძლებლობითაც.

ბოლო პერიოდში ევროპული კავშირის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს ასევე ციფრული ტექნოლოგიების გავლენა არჩევნებზე, რაც განპირობებულია ბოლო წლებში ამერიკასა, თუ ევროპაში მიმდინარე საარჩევნო პროცესებით, რომლის ანალიზი ცხადყოფს ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი ზეგავლენას არჩევნებზე. ევროპულმა კომისიამ გამოაქვეყნა ევრობარომეტრული გამოკითხვის შედეგებიც, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა სერიოზული საფრთხის არსებობა და მათი აღმოფხვრის მიზნით დაგეგმა შესაბამისი ღონისძიებების გატარება, განსაკუთრებით პერსონალური მონაცმების დაცვის და კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით [16]; [21].

პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობის დაცვის, ასევე კიბერუსაფრთხოების საკითხი პრიორიტეტად რჩება მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციაზე ორიენტირებულ 2020 წლის შემდგომ ციფრულ სტრატეგიაში, სადაც უკვე წინა პლანზე იწევს ინოვაციური ტექნოლოგიების, კვლევითი სფეროს მხარდაჭერა, ხელოვნური ინტელექტი და მასთან დაკავშირებული ეთიკური და სამართლებრივი საკითხები [6].

2020 წლის ბოლოსვე ევროპულმა კომისიამ და ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში წარმოადგინეს „ევროკავშირის კიბერ უსაფრთხოების სტრატეგია ციფრული ათწლეულისთვის“, სადაც გაწერილია ის კონკრეტული ინიციატივები და ღონისძიებები, რომელიც უნდა განახორციელოს ევროკავშირმა და წევრმა სახელმწიფოებმა „სტაბილური, მწვანე და ციფრული ევროპის ასაშენებლად“ [15].

ევროკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და აძლიერებს თანამშრობლობას ევროკავშირის მასშტაბით ხელოვნური ინტელექტის სფეროში, რომლის მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ ევროპის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ასევე სანდოობის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად ევროპულმა კომისიამ ჯერ კიდევ 2018 წელს წარმოადგინა ხელოვნური ინტელექტის სტრატეგია, რომლის ფარგლებში დაანონსა მისი განვითარების ხელშეწყობის მიზნით მომდევნო ათი წლის გამნავლობაში საჯარო და კერძო სექტორში ინვესტიციების 20 მილიარდამდე გაზრდა [17].

ამ სტრატეგიის ფარგლებში 2018 წელსვე წარმოდგინილ იქნა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ხელოვნური ინტელექტის კოორდინირებული გეგმა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ხელოვნური ინტელექტის სფეროში პოლიტიკის კოორდინაციას და წაახალისა წევრი სახელმწიფოები შეემუშვებინათ ხელოვნური ინტელექტის ეროვნული სტრატეგიები. 2021 წელს კი ახალი ტექნოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტის, მათ შორის განსაკუთრებით გარემოს დაცვითი პრობლემების და კოვიდ პანდემიის გათვალისწინებით, წარმოდგენილ იქნა ამ გეგმის გადახალისებული ვერსია, სადაც უკვე საუბარია იმაზე, თუ რა ერთობლივი კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას ევროკავშირის და მის წევრ სახლმწიფოთა მხრიდან, რომელიც უზრუნველყოფს ევროპის ლიდერობას ადამიანზე ორიენტირებული, სანდო და უსაფრთხო ხელოვნური ინტელექტის შექმნაში [9].

სანდო ხელოვნური ინტელექტის შექმნის უზრუნველსაყოფად ევროპულმა კავშირმა ჯერ კიდვე 2019 წელს წარმოადგინა მაღალკვალიფიციურ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შექმნილი ხელოვნური ინტელექტის ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპები [12], რომელიც, მართალია, მხოლოდ ექსპერტთა მითითებებია და არა აქვს სავალდებულო მარეგულირებელი ხასიათი, მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვანი საწყისი ნაბიჯია შემდგომი რეგულირებისთვის. ამას უკვე 2020 წელს ფეხდაფეხ მოყვა „თეთრი ქაღალდი ხელოვნური ინტელექტსითვის - ევროპული კონცეფცია სრულყოფისა და ნდობისთვის“, სადაც კომისიამ მკაფიოდ განსაზღვრა მიზანი - ხელოვნური ინტელექტის ესკოსისტემის შექმნა, რომელიც სარგებელს მოუტანს ევროპულ ეკონომიკას და თანაბარწილად მთელ ევროპულ საზოგადოებას დაწყებული რიგითი მოქალაქით, გაგრძელებული მეწარმით და დამთავრებული საჯარო ინტერესით. და, რაც მთავარია, მაღალი სანდოობის უზრუნველსაყოფად „ევროპული ხელოვნური ინტელექტის“ მთავარ ქვაკუთხედად განისაზღვრა ევროპულ ღირე-

ბულებების და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა [23. 2].

სწორედ აღნიშნული თეთრი ქაღალდი დაედო საფუძვლად 2021 წელს ევროკავშირის მიერ წარმოდგენილ რეგულაციების მთელ პაკეტს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს „სანდო და წარმატებული ევროპული ხელოვნური ინტელექტის“ განვითარება. კერძოდ, წარმოდგენილ იქნა „ევროპული პარლამენტისა და საბჭოს რეგულირების პროექტი - ხელოვნური ინტელექტთან დაკავშირებით ჰარმონიზებული წესების დამკვიდრების შესახებ (ხელოვნური ინტელექტის კანონი) და ევროკავშირის გარკვეული სამართლებრივი აქტებში ცვლილების შეტანის შესახებ (21.04.2021)“ [19]. ასევე „ევროპული პარლამენტისა და საბჭოს რეგულირების პროექტი - მანქანური პროდუქტის შესახებ (21.04.2021)“ [20]. ეს არის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური განაცხადი და, რაც მთავარია, პიონერული ნაბიჯი რეგულირების თვალსაზრისით, რაც რა თქმა უნდა, უფრო სიღრმისეულ განხილვას საჭიროებს მისი სრულყოფისა და პრაქტიკაში ეფექტურად რეალიზირებისთვის.

ევროპის, როგორც დემოკრატიული ღირებულებების მქონე სამყაროს, ციფრული პოლიტიკა და გადაგმული ნაბიჯები, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ევროპული ციფრული სივრცის განვითარების და გაჯანსაღებისთვის, არამედ მთლიანად გლობალური ციფრულ სამყაროს უსაფრთხოების და ციფრული დემოკრატიის განვითარებისთვის. ის ასევე ერთგვარი კომპასია, განსაკუთრებით განვითარებადი სახელმწიფოებისთვის, სწორად განსაზღვრონ პრიორიტეტები და მოახდინონ მათი რეალიზაცია შესაბამისი რეფორმებით.

ქართული რეალობა და გამოწვევები

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს მოუწევს ევროკავშირის ციფრული პოლიტიკის გარკვეულწილად გაზიარება და ამ კუთხით ევროკავშირის მიერ დადგენილი რეგულაციების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაცია. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში უკვე 2017-2020 წწ-ის დღის წესრიგიც ითვალისწინებს ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების სფეროში თანამშრომლობას [24] და ეს პროცესები მომავალშიც გაგრძელდება. თუმცა, ასოცირების შეთანხმების არარსებობის შემთხვევაშიც საქართველო ვალდებულია ფეხი აუწყოს ციფრულ ეპოქას. მზარდი კონკურენციის პირობებში საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინოვაციური ნაბიჯების გადადგმა და ციფრულ ეპოქაზე მორგებული ეკონომიკურ-პოლიტიკური და სამართლებრივი რეფორმების განხორციელება. ციფრული ეპოქა, რომელსაც მართავს ინტელექტი, არის შანსი ისეთი პატარა ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, მაქსიმალურად გამოიყენეს თავისი ინტელექტუალური რესურსი და ინოვაციური პროექტებით და მიდგომებით გახდეს კონკურენტუნარიანი და ღირსეული ადგილი დაიკავოს გლობალურ ციფრულ სამყაროში. მართალია უკვე გარკვეული ძვრები შეინიშნება, განსაკუთრებით ელექტრონული მმართველობის თვალსაზრისით. ამ კუთხით განსაკუთრებით აქტიურობს ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროები, რომელთაც თავიანთი არა ერთი მომსახურება გადაიყვანეს ციფრულ სივრცეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენება სახელმწიფო რეგისტრაციის კუთხით. რაც უკვე არის გარკვეული წარმატება. თუმცა განხორციელბული რეფორმები არ არის საკმარისი. ამას ადასტურებს გაეროს 2018 წლის ელექტრონული მმართველობის კვლევა, რომელშიც საქართვლომ 193 ქვეყანას შორის 60-ე ადგილი დაიკავა [22. 223].

საქართველოში დღითიდღე იზრდება ციფრული პლატფორმის გამოყენების ტენდეცია, როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, თუმცა სამართლებრივი რეგულაციების კუთხით არც თუ ისე სახარბიელო ვითარებაა. სრული სამართლებრივი კოლაფსია ელექტრონული ვაჭრობის, ციფრული მომსახურებასა, თუ პროდუქტზე დადებული ხელშკრულებების რეგულირების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით. მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი პერსონალური მონაცემების დაცვის და კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით. რეგულაციებთან ერთად აუცილებიელია ისეთი ინსტიტუტების არსებობის ხელშეწყობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ რეგულაციების ქმედითობას. სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს ციფრული პოლიტიკა და ნაბიჯ-ნაბიჯ ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა გადააწყოს ციფრულ რეალობაზე, შექმნას ამისთვის აუცილებილი შესა-

ბამისი სტრატეგია და სამართლებრივი ბაზა. უნდა მოხდეს თემა „ციფრულის“ პოპულარიზაცია. მსგავსად მოწინავე ქვეყნებისა, საქართველოშიც ის უნდა გახდეს ტრენდი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო წრეების გააქტიურება. ფაქტიურად საქართველოში არ არსებობს ლიტერატურა ამ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ აუცილებელია, გაციფროვნების ინტერდისციპლინურ ჭრილში განხილვა, მისი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, თუ სამართლებრივი გამოწვევების ანალიზი, პრობლემატური საკითხების სადისკუსიო ველზე გამოტანა და გარკვეული რეკომენდაციები დადება, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს სწორი ციფრული პოლიტიკის გატარებას.

ANA GETIA

DIGITAL WORLD, EUROPEAN UNION DIGITAL POLICY, GEORGIAN REALITY AND CHALLENGES

Summary

The digital age has completely changed the life of mankind and taken it to a new, higher level of development. It is true that this age, first of all, implies enormous opportunities, but besides the opportunities it is associated with dangers, to deal with is possible by maximum use of digital resources and maintaining the right angle of development, only by developing appropriate digital policies and regulations. One of the first to respond to the challenges of the digital age is the European Union, whose main cornerstone of the strategy for 2014-2020 as well as for the coming years is the development of a democratic, secure digital world, use its potential and to work out an appropriate policies and regulations for its ensuring.

Georgia will also have to share certain policies of European Union under the Association Agreement. However, even in the absence of such an agreement, it is vital for Georgia to take innovative steps and implement social, economic, political or legal reforms tailored to the digital age.

Accordingly, the article focuses on the opportunities and threats of the digital world, the European Union digital policy, the Georgian realities and challenges.

Keywords: *digital technologies, EU digital policy, industrial revolution, electoral technologies.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Atrozi *M.,* Blockchain Technology and Decentralized Governance: Is the State still Necessary? 2015
2. *Helveston, N, M.*, Regulating Digital Markets, (13 N.Y.U. J.L. & Bus. 2016, 33-63
3. *Hölzel, J.,* Vom E-Gaverment zum Smart Goverment. (LSK 2017, 32116629;)
4. *Künast, R.,* Regeln für Wahlkämpfe im digital Zeitalter (ZRP, 2019, 62-67)
5. *Klebe., T.,* Betriebsrat 4.0- Digital und Global (NZA-Beilage 2017, 77-84)
6. EU- Digitalpolitik nach 2020 (MMR-Aktuell 2019, 418321)
7. A Next Generation Artificial Intelligence Development Plan, Translated by New America, 2017 https://d1y8sb8igg2f8e.cloudfront.net/documents/translation-fulltext-8.1.17.pdf [ხელმ. 21.07.2021]
8. A Digital Agenda for Europa COM(2010)245 final https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2010:0245:FIN:EN:PDF [ხელმ. 21.07.2021]
9. Annexes to the Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European economic and social Committee and the Committee of the Regions empty Fostering a European approach to Artificial Intelligence (Coordinated Plan on Artificial Intelligence 2021 Review) 21.4.2021 COM(2021) 205 final https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:52021DC0205&from=EN [ხელმ. 21.07.2021]
10. Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European economic and social Committee and the Committee of the Regions A Digital Single Market Strategy for Europe, 6.5.2015 COM(2015) 192 final https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52015DC0192&from=EN [ხელმ.21.07.2021]

11. Commission Staff Working Document on the free flow of data and emerging issues of the European data economy 10.1.2017 SWD(2017) 2 final https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52017SC0002&from=EN
[ხელმ. 21.07.2021]
12. Ethics Guidelines for trustworthy AI High-Level Expert Group on Artificial Intelligence, 08.04.2019; The document was written by the High-Level Expert Group on AI (AI HLEG), that was set up by the European Commission, https://digital-strategy.ec.europa.eu/en/library/ethics-guidelines-trustworthy-ai [ხელმ. 21.07.2021]
13. *Denkler. Th.,* Emmanuel Macron beklagt auf Hacker Angriff (süddeutsche Zeitung. 06.05.2017) https://www.sueddeutsche.de/politik/wahl-in--9*frankreich-emmanuel-macron-beklagt-hacker-angriff-1.3493802 [ხელმ. 21.07.2021]
14. *Gadawallard. C., Grahamm-Harison E.,* Revealed: 50 million Facebook profiles harvested for Cambridge Analytica in major data breach. 17.03.2018, The Guardian. https://www.theguardian.com/news/2018/mar/17/cambridge-analytica-facebook-influence-us-election [21.07.2021]
15. Joint communication to the European Parliament and the Council The EU's Cybersecurity Strategy for the Digital Decade 16.12.2020 JOIN(2020)18 final. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:52020JC0018&from=EN [21.07.2021]
16. Lage der Union 2018: Europäische Kommission schlägt Maßnahmen zur Gewährleistung freier und fairer Europawahlen vor, Pressemitteilung12. 09. 2018; Straßburg https://europa.eu/rapid/press-release_IP-18-5681_de.htm [ხელმ.21.07.2021]
17. Mitteilung der Kommission Künstliche Intelligenz für Europa 25.4.2018, COM(2018) 237 final https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/TXT/HTML/?uri=CELEX:52018DC0237&from=DE [ხელმ.21.07.2021]
18. *Payne. A.,* Russia used a network of 150,000 Twitter accounts to meddle in Brexit, Bisiness Insider, 15.11.2017 https://www.businessinsider.com/russia-used-twitter-accounts-to-meddle-in-brexit-investigation-shows-201711?fbclid=IwAR2XbWIih5hyjR4_g27tUniqMMuUrpkKNjD03Hkpe0MroAxQbkYFwy6tg0&r=US&IR=T , [ხელმ. 21.07.2021]
19. Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council laying down harmonised rules on artificial Intelligence (artificial Inelligance act) and amending certain Union legislative Actes COM(2021) 206 final 2021/0106(COD) . https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:52021PC0206&from=EN [21.07.2021]
20. Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council on machinery products COM(2021) 202 final 2021/0105 (COD) ხელმისაწვდომია https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:52021PC0202&from=EN [ხელ. 21.07.2021]
21. Umfrage: Bürger befürchten Einflussnahme auf Wahlen, 26.11.2018 https://ec.europa.eu/germany/news/20181126-umfrage-einflussnahme-auf-wahlen_de [21.07.2021]
22. United Nations E- Government Survey 2018: Gearing E- Government to Support Transformation towards sustainable and resilient Societies, Department of Economic and Social Affairs, U nited Nations, New York, 2018, https://publicadministration.un.org/egovkb/Portals/egovkb/Documents/un/2018-Survey/E-Government%20Survey%202018_FINAL%20for%20web.pdf [ხელმ.21.07.2021]
23. White Paper On Artificial Intelligence - A European approach to excellence and trust 19.2.2020, COM(2020) 65 final https://ec.europa.eu/info/sites/default/files/commission-white-paper-artificial-intelligence-feb2020_en.pdf [ხელმ. 21.07.2021]
24. დღის წესრიგი 2017-2020, https://eqe.ge/res/docs/%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%982017-20201.pdf [21.07.2021]
25. https://de.wikipedia.org/wiki/Digitale_Agenda_f%C3%BCr_Europa_2020#cite_note-16 [21.07.2021]
26. https://www.bitkom.org/Presse/Presseinformation/Wahlprogramm-Analyse-Parteien-setzen-2017-verstaerkt-auf-Digitalthemen.html [21.07.2021]
27. https://www.gruene.de/themen/digitalisierung [21.07.2021]

ანა ანდრიაძე
*წარმოადგინა პროფ. **მაია ყიფიანმა***

გენდერის საკითხი საერთაშორისო ურთიერთობებში

მე-20 საუკუნის მსოფლიო ქალთა სამოქალაქო აქტიურობა ცვლილების განხორციელებისთვის განსაკუთრებულ ძალად იქცა. 80-იანი წლებიდან კი, უკვე პირველად ჩნდება ტერმინი გენდერი საერთაშორისო ურთიერთობის თეორიებში.

ცივი ომის დასრულების პერიოდში, აქტუალური გახდა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ხელახალი განხილვა, რამაც გენდერს ფართო გზა გუახსნა საერთაშორისო ურთიერთობებში. დაისვა, საკითხი თუ რატომ არიან ქალები ასე ნაკლებად წარმოდგენილი საგარეო პოლიტიკის მაღალ ეშელონებში, საერთაშორისო თუ სამხედრო დონეზე, რაც შემდეგ პერიოდში დებატების მთავარ თემად იქცა. დღის წესრიგში დადგა ქალის და გენდერის ადგილისა და როლის შესწავლა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასა და საერთაშორისო პოლიტიკის პრაქტიკაში.

დღეს, გენდერული თანასწორობის მიღწევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სახელმწიფოებისათვის. დღითიდღე იზრდება ქალის როლი, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებში გენდერული თეორია თანდათან იმკვიდრებს თავის კუთვნილ ადგილს.

საკვანძო სიტყვები: *გენდერული თანასწორობა, საერთაშორისო ურთიერთობები, ეგალიტარიზმი, საგარეო პოლიტიკა, რეალიზმი, ფემინიზმი, პოსტრუქტურალისტული თეორიები, ლიბერალური ფემინიზმი, პოსტმოდერნული ფემინიზმი*

საერთაშორისო ურთიერთობები პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი დარგია, რომლის მთავარი შესწავლის საგანს - საგარეო პოლიტიკა და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები წარმოადგენს, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოსტსტრუქტურალისტური თეორიების განვითარებამ დღის წესრიგში შემოიტანა ისეთი საკითხების კვლევა, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისთვის ტრადიციულად პრობლემატურად არ ითვლება. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი საკითხი გახლდათ - გენდერი საერთაშორისო ურთიერთობებში, ჩემს სტატიაში ვისაუბრებ ქალების როლზე საერთაშორისო პოლიტიკის ფორმირებაში.

ფემინიზმი, როგორც აკადემიური დისციპლინა, სათავეს იღებს გასული საუკუნის 60-იანი და 70-იანი წლებიდან, როდესაც ფემინისტურმა მოძრაობამ ფართოდ მოიკიდა ფეხი მსოფლიოში და ის ემსახურებოდა ქალთა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური თანასწორობის მიღწევას. მიმართული იყო ქალთა დისკრიმინაციის დასრულებისაკენ. უფრო მეტი უფლებებისა და შესაძლებლობების კამპანიის ფარგლებში მრავალმა ქალმა საკუთარი პოტენციალი და ცვლილებების აუცილებლობა გააცნობიერა [1. 3].

დასაქმების შესაძლებლობებმა, ტექნოლოგიურმა რევოლუციამ, „საშუალო კლასის“ მისწრაფებების გაფართოებამ, როგორც საჯარო, ასევე, კერძო სექტორებში ტრადიციული გენდერული როლისგან დაიწყო განთავისუფლება.

თანამედროვე ფემინიზმის „დედებმა“ ბეთტა ფრიდანმა, სიმონ დე ბოვუარმა და ჯერმანი გრეერმა სატელევიზიო მედიის საშუალებით სახალხოდ გამოიტანეს ქალთა შევიწროვების საკითხი ომის შემდგომ დემოკრატიულ ქვეყნებში.

ამავე დროს, ევროპაში დაიწყო კანონმდებლობის შემუშავება დასაქმებულ ქალთა მიმართ დისკრიმინაციისა და ჩაგვრის სხვა ფორმების დასაძლევად. დღის წესრიგში დაადგა ქალთა არახელსაყრელი სამართლებრივი და სოციალური სტატუსის დაძლევის საკითხი და დაიწყო რეფორმების გატარების პროცესი.

ფემინიზმის მესამე ტალღის წარმომადგენლებმა ეჭვქვეშ დააყენეს ქალურობის ესენციალისტური განმარტება და გააკრიტიკეს მეორე ტალღის დაუდევრობა ქალთა რასის, ეთნიკური, კლასობრივი, რელიგიური და ეროვნული ნიშნით განმასხვავებელი ნიშნების იგნო-

რირებისათვის, ხოლო „პიროვნულობა“ („identity“) [2], გენდერული ბრძოლის ასპარეზად წარმოაჩინეს. ახალი კონცეფციებისა და ხედვების ჩამოყალიბება ცივი ომის დასრულების პერიოდში მიმდინარეობდა, ხოლო 90-იან წლებში მსოფლიო პოლიტიკური ლანდშაფტის ცვლილებებისა და ლიბერალური იდეოლოგიის ზენიტში ყოფნის კვალდაკვალ ტრადიციული გახდა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების გადახედვა, რომელმაც გენდერის თეორიას ფართო გზა გუახსნა საერთაშორისო ურთიერთობებში.

„გენდერული საკითხი“ საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში (IR) პირველად მაშინ გამოჩნდა, როდესაც ჟურნალმა - „Millennium: Journal of International Studies“ გამოაქვეყნა თავისი სპეციალური გამოცემა „გენდერი და საერთაშორისო ურთიერთობები“ 1988 წელს [3. 7], რასაც მოჰყვა საერთაშორისო ურთიერთობების ფემინისტი მეცნიერების მიერ არა მხოლოდ ქალთა საკითხის აღიარების მოთხოვნა, არამედ დაისვა საკითხი აქამდე ქალთა უჩინარობის შესახებ ამ სფეროში. რამაც, მოიტანა ის, რომ საერთაშორისო ურთიერთობები, დისციპლინა რომელიც აქამდე ორიენტირებული იყო და განიხილავდა: „ნაციონალურ სახელმწიფოებსა“ და „საერთაშორისო სისტემას“, ანალიზის ერთეულად ცალკე შემოეტანა: „ქალებისა“ და „კაცების“ საკითხი.

ფრედ ჰოლიდეი, ენ ჯ. ტიკნერი, ჟან ბეთკე ელშტეინი, ფილიპ ვინდსორი, სარა ბრაუნი, ანა მარი გოეცი და კეტლინ ნიულლანდი არიან ის წამყვანი მეცნიერები, რომლებიც განიხილავდნენ თუ რა შეიძლება ყოფილიყო საერთაშორისო ურთიერთობებში ე.წ. „გენდერული საკითხის“ შემოტანის საფუძველი.

ენ ჯ. ტიკნერმა დასვა მრავალთათვის საკმაოდ არასასიამოვნო, მაგრამ ფუნდამენტური კითხვა - რატომ არიან ქალები ასე ნაკლებად წარმოდგენილი საგარეო პოლიტიკის მაღალ ეშელონებში, საერთაშორისო თუ სამხედრო დონეზე, რაც შემდეგ პერიოდში დებატების მთავარ თემად იქცა. ამ კუთხით, ძალიან საინტერესოა, ფრანსის ფუკუიამას სტატია - „ქალები და მსოფლიო პოლიტიკის ევოლუცია“ (Women and the Evolution of World Politics). ფუკუიამა, ტრადიციული შეხედულებების პრიზმიდან განიხილავს საკითხს და მთავარ აქცეტს აკეთებს - კაცის უფრო აგრესიულ და ქალის - მეტად მშვიდ ბუნებაზე.

აღნიშნული სტატის საპასუხოდ, შეგვიძლია განვიხილოთ ენ ჯ. ტიკნერის სტატია „რატომ არ შეუძლიათ ქალებს მართონ მსოფლიო - საერთაშორისო პოლიტიკა - ფრენსის ფუკუიამას მიხედვით“. („Why Women Can’t Run the World: International Politics According to Francis Fukuyuama”) სადაც, იგი ნათლად წარმოაჩენს, ეგალიტარიზმის პრინციპების მნიშვნელობას.

სტატიაში, ტინკერი აანალიზებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც თითქოს ფემინისტები თვლიან, რომ ქალები კაცებზე „უკეთესები“ და მორალურად აღმატებულები არიან, რადგან ისინი ასოცირდებიან მორალურობასთან და მშვიდობასთან, სინამდვილეში კი სწორედ ეს არის ის მიზეზი რატომაც საუკუნეების მანძილზე ქალები ძალაუფლებას იყვნენ ჩამოშორებული, რომ თითქოს და ამ „რეალურ“ და „სასტიკ“ სამყაროში მათთვის ადგილი არ არის.

შესაბამისად, კონცეფცია „მშვიდობა“ ასოცირებული რჩება - უტოპიურად და არარეალურად, სანამ ეს ასოცირდება ქალურობასთან და პასიურობასთან [4. 9].

ფუკუიამას ფემინიზირებული სამყაროს პორტრეტი, ერთი შეხედვით, თითქოს მისაღებია, თუმცა მისი გზავნილი სინამდვილეში ღრმად კონსერვატიულია და პატრიარქალურ აზროვნებაში არსებული არგუმენტის გამეორებაა, იგი აგრძელებს იმ აზრს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების „რეალისტური“ ხედვა მოითხოვს, რომ „ნამდვილი“ კაცები უნდა იყვნენ ხელმძღვანელები.

ფუკუიამას აზრით, რაც არ უნდა მოსაწონი და მისაღები იყოს ფემინიზირებული სამყარო, იგი უნდა დარჩეს ისეთი, როგორიც ყოველთვის იყო - ძლიერი კაცები ხელისუფლების სათავეში. ის ამტკიცებს, რომ ქალებს არ შეუძლიათ შეეწინააღმდეგონ იმ საფრთხეებს, რაც დღეს მსოფლიოშია - საფრთხე ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის და სახმრეთ აზიის სახით, სადაც ტერორიზმი და ანტიდემოკრატია მძვინვარებს. ფუკუიამა ამტკიცებს რომ „მშვიდობის ზონის მიღმა მყოფი ადამიანები ნაკლებად ზრუნავენ სამხედრო დანაკარგებზე და უფრო მეტად არიან მიდრეკილი ბრძოლისაკენ“ [5. 7].

აღნიშნულ განაცხადში ტინკერი სქესობრივი დისკიმინაციის ელფერს ხედავს.

საგულისხმოა მეოცე-ოცდამერთე საუკუნეების მიჯნაზე ჩატარებული კვლევების გაანალიზება, რომელთა მონაცემები ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყნიდან შეგროვდა (მაგალითად, არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი).

კვლევა აჩვენებს, რომ ქალები არ არიან ნაკლებად მილიტალიზებული ვიდრე კაცები [6. 568].

ტიკნერი სვამს ლეგიტიმურ კითხვას - „ნუთუ მართლა ეს ის დებატებია, რომელიც უნდა გვქონდეს? - ვინ შეიძლება იყოს უფრო აგრესიული, არიან თუ არა ქალებიც ისეთივე აგრესიულები როგორც კაცები? შემთხვევით ეს ის არასწორი კითხვები ხომ არ არის, რომლებიც თავის არიდებაა იმ რეალურ საკითხებისგან, რაც, სინამდვილეში, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარებმა უნდა იკვლიონ. მაგალითისთვის, გააცნობიერონ, სინამდვილეში საიდან მოდის ომის ფესვები და რა შეიძლება გაკეთდეს მისი თავიდან ასაცილებლად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობების ფემინისტი მკვლევარების მთავარი ამოცანა კონფლიქტების არსის სხვადასხვა ვარიაციების კვლევა უნდა ყოფილიყო და არა დეტერმინისტულ, ბიოლოგიაზე დაფუძნებულ თეორიებში მამაკაცების აგრესიული ხასიათის პრიორიტეტულობის მტკიცება.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული კვლევები ადასტურებს, რომ ქალისა და მამაკაცის შეფასებები თანდათან დაუახლოვდა ერთმანეთს. ქალის შეფასებების დროს ხშირად იხსენიებენ მათ როგორც უკომპრომისოს, მებრძოლი ხასიათის, ლიდერს, ეკონომიკურად ძლიერსა და სხვა. ასევე თანამედროვე პრაქტიკა ადასტურებს, რომ მსოფლიოში ქალები მრავლად არიან წარმოდგენილნი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ლიდერებად.

აგრესიულ მამაკაცებსა და მშვიდობიან ქალებზე დებატებში მონაწილეობის ნაცვლად, საერთაშორისო ურთიერთობების ფემინისტი მკვლევარები ცდილობდნენ უკეთ გაიგონ არათანაბარი სოციალური იერარქიები, მათ შორის გენდერული იერარქიები, რომლებიც ხელს უწყობენ კონფლიქტებს, უთანასწორობასა და ჩაგვრას. მტკიცებულებების თანახმად, ისინი ვარაუდობდნენ, რომ ომი უფრო ისეთ საზოგადოებებში იწყება, სადაც უფრო მეტი გენდერული უთანასწორობაა. ომის პრობლემა, ჩემი აზრით, კომპლექსური და ღრმად გასაანალიზებელი საკითხია და მხოლოდ გენდერულ ასპექტზე აპელირება არარეალისტურია.

ფემინისტები ცდილობენ განსხვავებული მეთოდებითა და მიდგომებით ახსნან ქალის და გენდერის ადგილი და როლი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასა და საერთაშორისო პოლიტიკის პრაქტიკაში.

ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც ყველაზე პირველი აღმოცენდა ფემინისტურ თეორიაში იყო - ლიბერალური ფემინიზმი.

ლიბერალური ფემინიზმის წარმომადგენლების მსჯელობის საფუძველი ეფუძნება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საზოგადოების ფუნდამენტური ერთეული არის ადამიანი, რომელიც ბიოლოგიურად განისაზღვრება, როგორც ქალი და კაცი და ისინი საზოგადოებაში თანასწორი უნდა იყვნენ.

ლიბერალი ფემინისტები ითხოვენ სამართლებრივ თანასწორობას და მიიჩნევენ, რომ ეს შეიძლება განხორციელდეს ლეგალური და სხვა ხილული თუ უხილავი დაბრკოლებების მოხსნით, რომლებიც ქალებს ხელს უშლის ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები.

სინტია ენლომ დასვა კითხვა: „სად არიან ქალები?“, იგი ხაზს უსვამს, რომ საერთაშორისო ურთიერთობები პატრიარქატს იმეორებს და ეს ასე იქნება მანამ, სანამ გაგრძელდება ქალთა გამოცდილებისა და პერსპექტივების უგულვებელყოფა. ენლო ამტკიცებს, რომ ქალები გამონაკლისი შემთხვევების გარდა, არ არიან მსოფლიო პოლიტიკაში, მაგრამ ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო ურთიერთობებში და რომ ეს წვლილი არ არის აღიარებული და დაფასებული. მან აღნიშნა, რომ ქალის საქმიანობა უაღრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირებისთვის; რომ ისინი დასაქმებული არ არიან ხელმძღვანელ თანამდებობებზე, რომ მათი ადგილი მხოლოდ საშუალო და დაბალ პოზიციებზეა, რაც მხოლოდ გენდერული სეგრეგაციისა და „შუშის ჭერის“ შედეგია, ქალების რაოდენობა განსაკუთრებით მცირეა მილიტარიზაციასთან დაკავშირებულ კონცეფციებსა და პრაქტიკაში [7. 126].

პოსტმოდერნული ფემინისტები მიმართავენ კონსტრუქტივიზმს და აღნიშნავენ, რომ მსოფლიო დანახულია მამაკაცის პერსპექტივიდან, რადგან კაცები არიან ყოველთვის „მცოდნეები“. ჯუდიტ ბატლერი აკრიტიკებს ფემინიზმის მიერ სქესსა და გენდერს შორის გამიჯვნას და გვთავაზობს, რომ მატერიალური საგნები, როგორიც ჩვენი სხეულებია, შეიძლება სოციალური კონსტრუქციის საგანი გახდეს [8. 29].

ასევე აღსანიშნავია, პოსტკოლონიალური ფემინიზმი, რომელიც ჩამოყალიბდა, როგორც

დასავლელი ფემინისტების კრიტიკა ფემინისტების ცოდნის უნივერსალიზაციისთვის, რომელიც გათვალისწინებულია დასავლეთის ქალთა გამოცდილების შესახებ და ხაზს უსვამს იმას, რომ კულტურული კონტექსტები პოსტკოლონიალურ საზოგადოებებში შეიძლება განსხვავებული იყოს, ცოდნა უნდა ემყარებოდეს სხვადასხვა კულტურულ კონტექსტს და ადგილს [9. 47].

ქალის ფაქტობრივი მონაწილეობა საერთაშორისო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ წესრიგში ასევე ცხადყოფს, რომ საერთაშორისო ურთიერთობები თანდათანობით გენდერულად მგრძნობიარე გახდეს, რომლის ტენდენციებიც უკვე თვალშისაცემია. შრომის საერთაშორისო დაყოფა ქალებს აკუთვნებს დაბალანაზღაურებად, დაბალი სტატუსის სამრეწველო და დაბალი დონის სამუშაო ადგილებს მომსახურების სექტორში: სამზარეულო, დასუფთავება, რეცხვა და ა.შ. გარდა ამისა, სახელმწიფოში ქალები მოწინავე პოზიციებზე წარმოადგნენ მეთაურთა და კაბინეტების საკმაოდ მცირე ნაწილს.

აუცილებელია მრავალმხრივი კვლევების წარმართვა - რომლის დღის წესრიგი დაემყარება ომისა და მილიტარიზაციის პროცესში ქალთა ჩართულობას. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ფემინისტურმა მიდგომებმა დიდი წვლილი შეიტანა ომთან და მილიტარიზაციასთან დაკავშირებულ თემებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ დისციპლინის ტრადიციული კონცეპტუალიზაციის შედეგად.

მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებიდან გამომდინარე სახელმწიფო მართვის სისტემა ითხოვს ტრანსფორმაციას.

საერთაშორისო პოლიტიკით დაინტერესებული მეცნიერების დღის წესრიგში თვალსაჩინო ადგილი უნდა დაეთმოს გენდერულ ასპექტებს. ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ტექნოლოგიური ცვლილებების გამო, რომელსაც სამყარო განიცდის.

ფემინისტური მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია სოციალურ იდენტობებზე, შეიძლება გამოყენებულ იქნას სიტუაციის შედარების თვალსაზრისით.

ფემინისტური პერსპექტივები თავისი უნიკალური მეთოდოლოგიით უკეთეს მდგომარეობაშია, რომ გაუმკლავდნენ საერთაშორისო წესრიგს, რომელიც თანამედროვე ცვალებადი მსოფლიოს თანმდევი პროცესია.

ფემინისტურ მიდგომას ასევე შეუძლია გაამდიდროს კვლევა საერთაშორისო პოლიტიკაში, იმოქმედოს ისეთ თემებზე, როგორიცაა ეკოლოგია და რესურსების სიმცირე. ფემინისტური მიდგომის გამოყენება შესაძლებელია სოციალურ ჯგუფებზე ადგილობრივი ზემოქმედების დასაკავშირებლად საკითხის საერთაშორისო განზომილებით.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე პოსტმოდერნისტულ სამყაროში გენდერის ჩართვას აქვს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევის ახალი პერსპექტივების გახსნის პოტენციალი, რომელმაც დისციპლინა შეიძლება წაიყვანოს მუდმივად ცვალებადი სამყაროს გამოწვევებისკენ, რასაც კონსტრუქტივიზმის თეორია ასტიმულირებს.

დღეს, 21-ე საუკუნეში, მსოფლიო სრულიად ახალი რეალობის წინაშე დგას, სადაც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მსგავსად ახლადწარმოქმნილ დემოკრატიულ ქვეყნებში წინა პლანზე წამოიწია ისეთმა საკითხებმა, რომლებიც აქამდე ყურადღების მიღმა რჩებოდა. ადამიანის უფლებების მათ შორის-ქალთა, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვა, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა, მშვიდობა და უსაფრთოხება. ეს ის მთავარი პრინციპებია, რაზეც ერთხმად თანხმდებიან დიდი პოლიტიკის წარმმართველები. უკეთესი სამყაროს მშენებლობა, სადაც ყველას შეუძლია იგრძნოს თავი უსაფთხოდ, დაფუძნებული უნდა იყოს თანასწორობაზე, მიუხედავად არსებული განსხვავებებისა.

დღეს ბევრი ფიქრობს, რომ ქალთა საკითხის კვლევა, ახალი დასავლეთიდან თავსმოხვეული ფსევდოპრობლემაა. მაგრამ ისტორიულ ფაქტებზე დაყდნობით შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ქართულ საზოგადოებაში ქალის ფენომენი, როლი, ადგილი, მდგომარეობა თუ ფუნქცია საზოგადოებრივ თუ საერთაშორისო სფეროში ყოველთვის იყო მსჯელობის საგანი და ეს ასეა დღესაც.

დასავლურმა ცივილიზაციამ სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, ყურადღება გაამახვილა არათანაბარი სოციალური იერარქიების მანკიერებზე, მათ შორის გენდერულ იერარქიებზე, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალურ კონფლიქტებს, უთანასწორობასა და ჩაგვრას.

სინამდვილეში ყოველდღიური პრაქტიკა ადასტურებს ქალთა მრავალმხრივ შესაძლელობებს ცხოვრების ყველა სფეროში. განსაკუთრებით უარყოფითად პატრიარქალური სტერეოტიპი მუშაობს ქალისა და პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა საკმარისია გა-

ვიხსენოთ ის ქალი პოლიტიკური ლიდერები, რომელთა მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიო პოლიტიკური პროცესების მსვლელობაზე და ამსხვრევს მითს ქალთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებისა და მათი უუნარობის შესახებ. ესენი არიან ანგელა მერკელი, მარგარეტ ტეტჩერი, ინდირა განდი, კონდოლიზა რაისი, მადლენ ოლბრაიტი და სხვები. დღეისათვის რესპუბლიკური მმართველობის სახელწიფოებიდან 27 ქვეყანაში მოქმედი პრეზიდენტი/პრემიერი ქალია.

წარმოგიდგენთ მსოფლიოს მასშტაბით ქალი ლიდერი ქვეყნების სიას 2022 წლის მონაცემები [10].

ხაზგასასმელია, რომ ზესახელწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატების, ვიცე-პრეზიდენტის პოსტს აფროამერიკული და აზიური წარმოშობის ქალი - კამალა ჰარისი იკავებს. არასამთავრობო ორგანიზაციებში თანდათან სულ უფრო მეტი ქალია წარმოდგენილი, მაგალითად ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი, აღნიშნული ფაქტები, ვფიქრობ, საკმარისია იმის დასასტურებლად, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ქალის როლი დღითიდღე იზრდება, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებში გენდერული თეორია თანდათან იმკვიდრებს თავის კუთვნილ ადგილს.

გენდერული ბალანსის დაცვა ჰარმონიული და მშვიდობიანი საზოგადოების ხელშემწყობი ფაქტორია. მეცნიერთა აზრით, საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვაში მეტი ქალის მონაწილეობა ხელს შეუწყობს უფრო ჰუმანური, მშვიდობის შენებაზე ორიენტირებული მსოფლიოს ფორმირებას, რაც ასე სჭირდება თანამეროვეობას. ქალისა და მამაკაცის თანასწორობა, მათი თანაბრად წარმოდგენა პოლიტიკაში, შესაძლებელს გახდის იმ კრიტიკული მასის შექმნას, რომელიც ზეგავლენას მოახდენს როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაზე. ქალთა აზრის გათვალისწინებას შეუძლია შეაკავოს მსოფლიო პოლიტიკაში არსებულ სხვადასხვა ტიპის მრავალი აგრესიული ქმედებების გამოვლინება.

დღეს, 21-ე საუკუნეში, მსოფლიო სრულიად ახალი რეალობის წინაშე დგას. სადაც წინა პლანზე წამოიწია ისეთმა საკითხებმა, რომლებიც აქამდე ყურადღების მიღმა რჩებოდა. ადამიანის უფლებების დაცვა, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა, მშვიდობა და უსაფრთოხება. ეს ის მთავარი პრინციპებია რაზეც ერთხმად თანხმდებიან დიდი პოლიტიკის წარმმართველები. უკეთესი სამყაროს მშენებლობა, სადაც ყველას შეუძლია იგრძნოს თავი უსაფთხოდ დაფუძნებული უნდა იყოს თანასწორობაზე.

აუცილებელია გავიაზროთ, რომ არათანაბარი სოციალური იერარქიების მანკიერებანი, მათ შორის გენდერული იერარქიები, ხელს უწყობენ კონფლიქტებს, უთანასწორობასა და ჩაგვრას. მტკიცებულებების თანახმად, გენდერული ბალანსის დაცვა კონკრეტულ საზოგადოებაში, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებში, მეტი ჰარმონიულობისა და მშვიდობიანობის გარანტია, რადგან ეს მიდგომები მოიაზრებენ - არა მხოლოდ ქალების უფლებების დაცვას, **არამედ თანაბარ უფლებებს ორივე სქესისთვის.**

დღეს მსოფლიოს პოლიტიკურ ისტებლიშმენტში მრავალი ლიდერი ქალის სახე იკვეთება. აღნიშნული ფაქტები ვფიქრობ საკმარისია იმის დასასტურებლად, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ქალის როლი დღითიდღე იზრდება, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებში გენდერული თეორია თანდათან იმკვიდრებს თავის კუთვნილ ადგილს.

ANNA ANDRIADZE

THE ISSUE OF GENDER IN INTERNATIONAL RELATIONS

Summary

The civic activism of 20th-century women around the world became a powerful force for change. Since the 80s, the term gender appears for the first time in theories of international relations.

During the end of the Cold War, it became relevant to reconsider the theory of international relations, which opened a wide path for gender in international relations.

The question of why women are so underrepresented in the high echelons of foreign policy, at the international or military level, was raised, which became the main topic of debate in the following

period. The study of the place and role of women and gender in the theory of international relations and the practice of international politics was on the agenda.

Today, achieving gender equality is one of the important issues for states. The role of women is increasing day by day, and gender theory is gradually gaining its rightful place in the theories of international relations.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Jane Lind, Dominance and Democracy: The Legacy of Woman Sufrage for the Voting Rights, (Califronia: University of California, 1994),3.
2. Seema Naraian, Gender and International relations; (Univeristy of Delhi, 2013),18.
3. Anne J. Tickner, Gender in International Relations: Feminism Perspective of Achieving Global Security, (Columbia University, 1992),7.
4. Anne J. Tickner, "Why Women Can't Run the World: International Politics According to Francis Fukuyama, (International Studies Review: Vol.1 N3, 1999),9.
5. Francis Fukuyama, "Women and the Evolution of World Politics"; (International Studies Rewiev: Vol.77 N5, 1999),7.
6. Raul R. Viotti, Mark V. Kauppi, International Relations Theory Fifth Edition, (Georgetown University 2000), 568.
7. Cynthia Enloe, Globalization and Militarism Feminist Make the Link, (US, 2007), 126.
8. Sana Nanda , Gender and International Relations: An Overview (The Indian Journal of Politics, Vol. 53; N1, DAV PG College, Varanasi, 2019),29.
9. Alan L. M Riyal, Post-colonialism and Feminism, (Toronto: Canadian Center of Science and Education, 2019),47.
10. Countries with Female Leaders 2022 https://worldpopulationreview.com/country-rankings/countries-with-female-leaders (27.09.2022)

ნინო კობახიძე
*წარმოადგინა **პროფ. იგორ კვესელავამ***

ტრანსნაციონალური საფრთხეები და თანამედროვე სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევები

დღევანდელ სამყაროში საფრთხე ერთისათვის არის საფრთხე ყველასთვის. გლობალიზაცია ნიშნავს, რომ დიდი ტერორისტული თავდასხმა ინდუსტრიული სამყაროს ნებისმიერ ნაწილში გამოიწვევს განვითარებად სამყაროში მილიონობით ადამიანის დაზარალებას. 700 მილიონი მგზავრიდან ნებისმიერი, რომელიც ყოველწლიურად სარგებლობს საერთაშორისო ავიახაზებით, შეიძლება გახდეს სასიკვდილო ინფექციური დაავადების უეჭველი მატარებელი. ხოლო მსოფლიოს რომელიმე სახელმწიფოს პოტენციალის შესუსტება ამცირებს თითოეული სახელმწიფოს დაცვის ხარისხს ტრანსნაციონალური საფრთხეებისგან, როგორიცაა: ტერორიზმი და ორგანიზებული დანაშაული. მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თითოეულ სახელმწიფოს სჭირდება საერთაშორისო თანამშრომლობა.

2003 წლის სექტემბერში გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა წევრი სახელმწიფოების ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გზაგასაყარზე აღმოჩნდა. მას შეუძლია გაუმკლავდეს ახალი საფრთხეების განეიტრალების რთულ ამოცანას, მაგრამ ასევე, შესაძლებელია აღმოჩნდეს სახელმწიფოებს შორის უთანხმოების გაღრმავებისა და მათ მიერ ცალმხრივი ზომების მიღების საფრთხის წინაშე. მან დააარსა მაღალი დონის ჯგუფი საფრთხეების, გამოწვევებისა და ცვლილებების შესახებ, რათა შეემუშავებინა ახალი იდეები იმის შესახებ, თუ რა სტრატეგიები და ინსტიტუტები სჭირდება გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის ეფექტურობას 21-ე საუკუნეში. ამ მაღალი დონის ჯგუფმა მოხსენების სახით ჩამოაყალიბა თამამი, ახალი ხედვა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შესახებ 21-ე საუკუნეში.

კმაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და ინსტიტუტებმა, რომლებიც ქმნიან ჩვენს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემას, არაერთხელ აჩვენეს საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობა. ბოლო 15 წლის განმავლობაში უფრო მეტი სამოქალაქო ომი დასრულდა მოლაპარაკებების გზით, ვიდრე წინა 200 წლის განმავლობაში. 1960-იან წლებში ბევრს სჯეროდა, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისში 15-25 სახელმწიფოს ექნება ბირთვული იარაღი; ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო ასეთი განვითარების თავიდან აცილებას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ხელი შეუწყო SARS-ის გავრცელების შეჩერებას მანამ, სანამ დაავადება ათასობით, თუ არა მეტ სიცოცხლეს შეიწირავდა.

თუმცა, ეს წარმატებები საკმარისი აღარაა, ვინაიდან არსებობს რეალური საშიშროება, რომ თუ არ იქნება მიღებული გადაუდებელი ზომები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გასაძლიერებლად, რათა მან შეძლოს ეფექტიანად უპასუხოს თანამედროვე საფრთხეების სრულ სპექტრს.

საკვანძო სიტყვები: *ტრანსნაციონალური საფრთხეები, ბირთვული იარაღი, საერთაშორისო ორგანიზაციები, ეროვნული უსაფრთხოება.*

მსოფლიოში არსებული გეოპოლიტიკური ვითარება ხასიათდება მწვავე ისტორიული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური წინააღმდეგობებით გამოწვეული ძლიერი დაძაბულობით. ამასთან, რთული მსოფლიო პოლიტიკური ვითარებაც ძლიერ გავლენას ახდენს ქვეყნების საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე. თითოეული სახელმწიფო ცდილობს დაიცვას თავისი ინტერესები, საკუთარი მოსახლეობის უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა. ამ მიზნების შესასრულებლად მთავრობები აყალიბებენ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას სახელმწიფოს დაცვის მიზნით, თუმცა ერთი სახელმწიფოს მიერ მიღებულმა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიამ შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი მეორე სახელმწიფოსთან.

ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ამ ქვეყნების სტრატეგიებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ინტერესებზე, ან ეწინააღმდეგებოდეს. ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ამ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, მაგრამ განსაკუთრებით საშიშია შემთხვევები, როდესაც ერთმანეთს ეჯახებიან მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე უსაფრთხოების ღირებულება და მისი საჭიროება იყო და რჩება მნიშვნელოვანი როგორც ინდივიდისთვის, საზოგადოებისთვის, სახელმწიფოსთვის და მთლიანად ცივილიზაციისთვის და თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ დიალოგში უსაფრთხოებასთან და მის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. გლობალიზაციის პროცესები ორაზროვან გავლენას ახდენს უსაფრთხოებაზე: ინფორმაციული და ტექნოლოგიური გარღვევა, სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, ეკონომიკური ინტერნაციონალიზაცია, მრეწველობის, მეცნიერების, მედიცინის განვითარება და ა.შ.

გლობალიზაციის ტემპის დაჩქარებასთან ერთად, მისი უარყოფითი შედეგები სულ უფრო შესამჩნევი ხდება: გამწვავდა ენერგეტიკისა და ეკოლოგიური პრობლემა, გაჩნდა ინფორმატიზაციით გამოწვეული ახალი საფრთხეები, გამწვავდა ეთნიკური, რელიგიათაშორისი და სხვა კონფლიქტები, მწვავედ დგას ტერორიზმის პრობლემა. შედეგად, ფართოვდება უსაფრთხოების სივრცე: ის მოიცავს არა მარტო სამხედრო და სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს, არამედ უსაფრთხოებას ადამიანის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. სახელმწიფოს, საზოგადოებასა და მოქალაქეს შორის ურთიერთობების გარდაქმნით, ასევე დემოკრატიზაციის გავლენით, „უსაფრთხოების“ კატეგორია ახალი შინაარსით ივსება, იცვლება მისი პარადიგმა. პიროვნება ხდება განახლების პარადიგმის ცენტრალური ელემენტი. ამ მხრივ საჭიროა თანამედროვე სახელმწიფოებში ეროვნული უსაფრთხოების მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური საფუძვლების გადახედვა.

უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთი ცენტრალური ფუნქცია, განპირობებულია პოლიტიკური რეჟიმის თავისებურებებით, რომელიც უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებს განსაზღვრავს.

თანამედროვე სამყაროს პოლიტიკური სივრცე არ არის ერთგვაროვანი. მრავალი დემოკრატიული და ავტორიტარული პრაქტიკის არსებობა ქმნის ცვალებადობას როგორც უსაფრთხოების გაგებაში, ასევე მისი უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბებაში.

თანამედროვე სახელმწიფოთა უმეტესობა სრულად ან ნაწილობრივ დემოკრატიულია. ეს განპირობებულია იმით, რომ დემოკრატია არის პოლიტიკური გადაწყვეტილებების ძიებისა და შერჩევის ეფექტური მექანიზმი, ასევე ცალკეული მოქალაქეების, სოციალური ჯგუფებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების ინიციატივების განხორციელება, მათ შორის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე. სახელმწიფო, საზოგადოება და ინდივიდი. თუმცა, გარე და შიდა ფაქტორების გავლენით სხვადასხვა ტიპის დემოკრატიულ რეჟიმებში ყალიბდება ეროვნული უსაფრთხოებისა და უსაფრთხოების მეთოდების ისეთი სისტემები, რომლებიც ყოველთვის არ შეესაბამება დემოკრატიის იდეალურ იდეებს.

არაერთი კვლევის მიხედვით, 2000-იანი წლების დასაწყისიდან მსოფლიოში შეინიშნება დემოკრატიის განვითარების კლების ტენდენცია. ახალი საფრთხეები კარგად ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებსაც კი აიძულებს დაარღვიონ თავისუფლებები, ადამიანის უფლებები და ჩამოშორდნენ დემოკრატიულ იდეალებს. პარადოქსი კი ისაა, რომ ეს სიტუაციური შეზღუდვები ნორმად იქცევა და ექსტრაპოლირებულია ყოველდღიურ ცხოვრებაში.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დემოკრატიული პრინციპებიდან გადახვევა, გრძელვადიან პერსპექტივაში, თავისთავად ქმნის საფრთხეებსა და საფრთხეებს როგორც ინდივიდისთვის, ასევე საზოგადოებისთვის და სახელმწიფოსთვის. ამიტომ, თანამედროვე უსაფრთხოების მკვლევარების წინაშე დგას ამოცანა დემოკრატიასა და უსაფრთხოებას შორის ბალანსის პოვნა, ასევე დემოკრატიულ სახელმწიფოებში მისი უზრუნველყოფის სისტემების მახასიათებლების იდენტიფიცირება.

ა. მასლოუს კონცეფციის მიხედვით, უსაფრთხოება არის მეორე დონე ადამიანის საჭიროებების პირამიდაში. ამის საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ აშკარა დასკვნა, რომ

უსაფრთხოება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილებაა [1].

სწორედ უსაფრთხოების სურვილი იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ძველმა ხალხმა დაიწყო საზოგადოებების ჩამოყალიბება და უსაფრთხოების მოთხოვნილების დაკმაყოფილება იზრდებოდა საზოგადოების განვითარების დონის შესაბამისად. შედეგად, უსაფრთხოება ინდივიდის მოთხოვნილებებიდან გადაიქცა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნილებად. უსაფრთხოების საკითხების გააზრების საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ისეთი მოაზროვნეების ნაშრომებმა, როგორებიც არიან: არისტოტელე, თომა აქვინელი, თუკიდიდე, ნ. მაკიაველი, ტ. ჰობსი, ჯ. რუსო, გ. გროციუსი, ჰეგელი, ი. კანტი, კ. კლაუზევიცი. ვ. ი. დალის განმარტებით ლექსიკონში „უსაფრთხოება არის საფრთხის არარსებობა; უსაფრთხოება, საიმედოობა [2].

საფრთხე არის ცოცხალი და უსულო მატერიის უარყოფითი თვისება, რომელსაც შეუძლია დააზიანოს ადამიანები, ბუნებრივი გარემო, მატერიალური ფასეულობები [3].

ცნების განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ საფრთხეები წარმოიქმნება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, აქედან გამომდინარე, ლოგიკური დასკვნა გამომდინარეობს, რომ ცნება „უსაფრთხოება“ იძენს რთულ და განსაზღვრულ სემანტიკურ მნიშვნელობას საქმიანობის გარკვეულ სფეროსთან მიმართებაში.

გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები უსაფრთხოების დონეებს აერთიანებს ქსელურ სტრუქტურაში, სადაც გლობალური, საერთაშორისო, სახელმწიფო, პირადი უსაფრთხოება თანაბარი მნიშვნელობისაა. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა განიხილება, როგორც სახელმწიფო ორგანოების, ძალების, საშუალებების, სხვადასხვა ორგანიზაციის, მოქალაქეების სისტემურად ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც წყვეტს უსაფრთხოების გარკვეულ ობიექტებთან მიმართებაში გარე და შიდა საფრთხეების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის ამოცანებს.

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოების სისტემა ეფუძნება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, რომლის ევოლუციური ცვლილება მჭიდრო კავშირშია მსოფლიოში დემოკრატიის განვითარებასთან და საერთაშორისო სამართლისა და ინსტიტუტების არა ღირებულებების (და არა სამხედრო ძალის) მზარდ როლთან. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონცეფცია არის ოფიციალურად მიღებული და აღიარებული შეხედულებების ერთობლიობა მიზნების, ფასეულობების პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების კომპლექსი, აგრეთვე პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს გარე და შიდა საფრთხეებისაგან დაცვის მექანიზმი არსებული რესურსების გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ „ეროვნული უსაფრთხოების“ კონცეფცია შედარებით ახალია, მისი წარმოშობა მე-17 საუკუნიდან იწყება. ტ. ჰობსი თავის ნაშრომებში სახელმწიფოს მიიჩნევდა საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ სუბიექტად. მისი იდეები გახდა რეალისტური სკოლის (1940-იანი წლები) მთავარი თეორიული საფუძველი.

აღნიშნული სკოლის ფარგლებში უსაფრთხოების სფეროში უდიდესი განვითარება ჰპოვა ე. კარის, გ. მორგენთაუს, გეოპოლიტიკოსების: ნ. სპიკმანისა და კ. შმიტის ნაშრომების წყალობით. სწორედ მათ შემოიტანეს სამეცნიერო მიმოქცევაში „ეროვნული უსაფრთხოების“ ცნება და დააპირისპირეს ის „საერთაშორისო უსაფრთხოების“ კონცეფციას [4].

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერმინის პირველი მოხსენიება მოხდა 1904 წელს აშშ-ის პრეზიდენტის ტ. რუზველტის გზავნილში კონგრესისადმი. თუმცა იმ დროს ეს ტერმინი მხოლოდ პანამის არხის ზონის მიტაცების დასაბუთებად გამოიყენებოდა.

ტ. რუზველტმა ასეთი ნაბიჯი ახსნა, როგორც შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესების დაცვა.

რეალისტური სკოლის მიმდევრები თავიანთ მიდგომაში ეყრდნობიან იმ ფაქტს, რომ მთელი საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრია ომისა და მშვიდობის მწვავე პრობლემაა, რომელიც დგას კონკურენტ სახელმწიფოებისა და მათი „ეროვნული ინტერესების“ წინაშე.

ამ კონცეფციის ძირითადი დებულებები ხასიათდება სამხედრო საშუალებებით უსაფრთხოების უზრუნველყოფის ტერმინებში. უსაფრთხოების ამ მიდგომას საკმაოდ ვიწრო მნიშვნელობა ჰქონდა [4].

თუმცა, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში 1947 წლიდან, როდესაც აშშ-ში მიღებულ იქნა ეროვნული უსაფრთხოების აქტი, ამერიკაში უსაფრთხოების კონცეფცია განვითარება დაფუძნებული იყო ამ სკოლაში შემუშავებული დებულებებზე.

ცვლილებები დაიწყო 1960-1970 წლებში გლობალიზმის პარადიგმის გაჩენით, რომლის წარმომადგენლებს შორის არიან: ი. ვალერსტეინი, დ. როსენაუ, დ. გალტუნგი, რ. კოხი, რ. მანშაბი და ა.შ. ამ კონცეფციის საფუძველია ის, რომ გარდა ახალი პოლიტიკური სუბიექტების გაჩენისა, ეკონომიკურ ურთიერთობებზე და საკუთრებაზე აქცენტის გაკეთებისა, მსოფლიოს განვითარებასთან ერთად, კაცობრიობისთვის გაჩნდა ახალი „გლობალური“ საფრთხეები, როგორიცაა: შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლა, გარემოს დაცვა, ნარჩენების გატანა, რესურსების გამოყენება, კომუნიკაცია, ტერორიზმი. ამ პრობლემებს, გლობალისტების აზრით, სახელმწიფოები დამოუკიდებლად ვერ წყვეტენ და აუცილებელია ყველა სახელმწიფოებთან ურთიერთთანამშრომლობის განვითარება, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა აღარ არის მთავარი პრიორიტეტი.

ასევე, გლობალიზმის მიმდევრები ხაზს უსვამენ იარაღის დესტრუქციული პოტენციალის განსაკუთრებულ საფრთხეს და მათ შესაძლო გამოყენებას, რაც, მათი აზრით, იწვევს უსაფრთხოების საფრთხის განეიტრალების არასამხედრო მეთოდების შემუშავებისა და გამოყენების სასიცოცხლო აუცილებლობას.

ასევე არის მესამე კონცეფცია, რომელმაც გავლენა მოახდინა როგორც „ეროვნული უსაფრთხოების“ კონცეფციის ევოლუციაზე და ზოგადად უსაფრთხოებაზე.

იდეალიზმის ან (სხვაგვარად) ლიბერალიზმის ცნების სათავეები ი. კანტის, გ. გროციუსისა და ჟ. ჟ. რუსოს იდეებიდან მოდის. მათი მთავარი იდეა იყო მსოფლიო წესრიგის შექმნის შესაძლებლობა, სადაც არ იქნება ომები, ტირანია და უთანასწორობა.

1960-1970-იან წლებში. არაერთი ნაშრომი გამოქვეყნდა ვ. ვილსონის, კ. დეიჩის, რ. დალის, დ. მიტრანისა და ბ. რასელის მიერ, რომლებშიც განხილულია კანონისა და ორგანიზაციების როლი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ავტორებს მიაჩნიათ, რომ არასახელმწიფო აქტორებს დიდი გავლენა აქვთ საერთაშორისო პოლიტიკაზე და ზოგ შემთხვევაში სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად მოქმედებენ.

ლიბერალები აღიარებენ, რომ ომები გარდაუვალია, თუმცა მათ მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობები შეიძლება დაიძლიოს კოლექტიური ძალისხმევით და აუცილებელია კოლექტიური უსაფრთხოების ეფექტური სისტემის შექმნა.

1980-იან წლებში, სისტემური მიდგომის მიღწევებზე დაყრდნობით, მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო ყველა ადრე შექმნილი კერძო კონცეფციის სინთეზირება მათი მეცნიერული გადამოწმების საფუძველზე [4].

უსაფრთხოება გაგებულია, როგორც „პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვა შიდა და გარე საფრთხეებისგან“.

„საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ კანონში ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა განმარტებულია როგორც საქართველოს სახელმწიფო ინტერესების უზრუნველსაყოფად განხორციელებული საქმიანობა, რომლშიც ნაგულისხმებია ქვეყნის შიგნით და მისი ფარგლების გარეთ არსებული საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების გამოვლენა, იდენტიფიცირება, შეფასება, პრევენცია და აღკვეთა.

აღნიშნული კანონით დასახული მიზნების მიღწევისათვის კი განსაზღვრულია ეროვნული უსაფრთხოების ღირებულებები და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროები:

ღირებულებები:

1. სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა;
2. თავისუფლება;
3. დემოკრატია და კანონის უზენაესობა;
4. უსაფრთხოება;
5. კეთილდღეობა;
6. მშვიდობა.

სფეროები:

1. სახელმწიფო თავდაცვა;
2. საგარეო უსაფრთხოება;
3. შიდა უსაფრთხოება;
4. სოციალურ-ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოება;
5. სამოქალაქო უსაფრთხოება;
6. ინფორმაციული უსაფრთხოება;
7. მართლწესრიგი.

ყოველივე ეს დაფუძნებულია: ა) ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის კანონიერების; ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განუხრელი დაცვისა და პატივისცემის; გ) ერთიანი სამთავრობო მიდგომის; უწყვეტობის; ე) გეგმურობის; საჯაროობისა და სამოქალაქო ჩართულობის პრინციპებზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტი კვლავ ძალა ან მისი გამოყენების საფრთხეა, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეკონომიკური, სულიერი, სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური და სხვა არაძალისმიერი ასპექტები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1) უსაფრთხოების პრობლემა უძველესი დროიდან დღემდე კაცობრიობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა;

2) ნათლად ჩანს, რომ დროთა განმავლობაში „უსაფრთხოების“ ცნების განსაზღვრის მიდგომა სამხედრო ძალიდან მრავალგანზომილებიან, მშვიდობიან ინტერპრეტაციაზე გადავიდა;

3) უსაფრთხოების კონცეფცია განვითარდა კონცეფციის გაფართოების გამო, ახალი ფაქტორების გაჩენის გზით, როგორიცაა: გარემო ან სოციალური. ის ასევე გაღრმავდა სხვადასხვა დონის საფრთხეებისა და უსაფრთხოების სუბიექტების შემოღებით;

4) უსაფრთხოება არის დიდი სისტემა, რომელიც მუდმივ დინამიკაშია და განუყოფლად არის დაკავშირებული ადამიანის საქმიანობასთან;

5) „ეროვნული უსაფრთხოების“ კონცეფციის თეორიული მიდგომების ისტორიული განვითარების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: ეროვნული უსაფრთხოება უსაფრთხოების სისტემის დამოუკიდებელი ელემენტია, რომლის მთავარი მიზანია სახელმწიფოს, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის მთლიანობის დაცვა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში, ინდივიდს, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ბალანსის სტაბილურად დაცვის პირობებში.

უსაფრთხოების სტრატეგია და მათი აგების პრინციპები

ეროვნული უსაფრთხოება არის რთული მრავალდონიანი სისტემა, რომელიც იმყოფება მუდმივ დინამიკაში, სისტემის შიგნით არის მუდმივი ურთიერთქმედება და პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების გარე და შიდა საფრთხეებთან დაპირისპირება.

სისტემის მუშაობას აგრეთვე არსებობს ეროვნული უსაფრთხოების სხვა ელემენტების - გარე და გარემო ფაქტორთა და კონტროლის სისტემის მოქმედებათა - გავლენა [4].

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აუცილებელია მკაფიოდ განვასხვავოთ ეროვნული უსაფრთხოების სისტემა და ეროვნული უსაფრთხოების სისტემა.

პირველი არის ფუნქციური სისტემა, ანუ ის ასახავს მხოლოდ ინტერესებისა და საფრთხეების ურთიერთქმედების პროცესებს.

მეორე სისტემა არის ორგანიზაციული სისტემა და მიზნად ისახავს, სახელწოდებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ორგანოების, ძალების, საშუალებების და სხვა ორგანიზაციების სახით არსებული რესურსების ორგანიზებას ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემების გადასაჭრელად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია არის ორი სისტემის ერთობლიობა. მათი ურთიერთქმედების წყალობით, მთავრობას შეუძლია ჩამოაყალიბოს სტრატეგია, რომელიც ყველაზე სრულად დააკმაყოფილებს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

ამ მოსაზრების სისწორის დამადასტურებელია ისიც, რომ ეროვნული ინტერესების ურთიერთქმედების სწორი გაგების გარეშე, შეუძლებელია სწორი პრიორიტეტების დადგენა, შესაბამისად, შეუძლებელია რესურსების ორგანიზება უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და პირიქით. შედეგად, შესაძლებელია ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის დეფინიციის ჩამოყალიბება.

ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია არის ინტერესებისა და საფრთხეების ურთიერთქმედების გაგების, ასევე ამ პირობებში ინტერესების რეალიზაციისა და საფრთხეების დაპირისპირების მეთოდების ერთობლიობა.

სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიები განსხვავებულია, რადგან:

- თითოეულ სახელმწიფოს აქვს საკუთარი ინდივიდუალური ინტერესები და საფრთხეები;
- ქვეყნების მიერ სტრატეგიების აგება ხდება მსოფლიოში და სახელმწიფოს შიგნით კონკრეტული ისტორიული მოვლენების გათვალისწინებით.

თუმცა, არსებობს ზოგადი პრინციპები, რომლებიც თანდაყოლილია ეროვნული უსაფრთხოების ყველა სტრატეგიაში:

1. დაცვის ობიექტები ინდივიდის, საზოგადოების, სახელმწიფოს სახით;

2. ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებში სახელმწიფო არის სუბიექტი, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიის შექმნას, განხორციელებას და ფუნქციონირებას;

3. განხორციელების ძირითადი ინსტრუმენტებია სასამართლო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება.

4. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპებია: კანონიერება, სახელმწიფოს, ინდივიდისა და საზოგადოების ინტერესების ბალანსი, სახელმწიფოს, ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთდაკავშირება და ურთიერთპასუხისმგებლობა, საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემებთან ურთიერთქმედება;

5. ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიები ითვალისწინებს სხვა ქვეყნებთან ურთიერთქმედებას, ბალანსის მიღწევას საკუთარ ინტერესებსა და სხვა ქვეყნების ინტერესებს შორის;

6. ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის გამიჯვნა შიდა და გარე:

- **შიდა უსაფრთხოება** არის ეროვნული ინტერესების დაცვა განსხვავებული ხასიათის შიდა საფრთხეებისგან.შიდა უსაფრთხოების დეტალური სტრუქტურა განსხვავდება სახელმწიფოდან სახელმწიფოში მათი სტრუქტურის მიხედვით;
- **გარე უსაფრთხოება** - არის სახელმწიფოს დაცვა გარე გავლენისგან. უსაფრთხოების ეს ტიპი ასევე ფართოა და მისი მიმართულება დამოკიდებულია იმ ინტერესების ღირებულებებზე, რომლებსაც ქვეყანა ადგენს მოცემულ მომენტში.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებაში აღმასრულებელი ხელისუფლების გარდა, მონაწილეობს პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც საბოლოოდ ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

გარდა ამისა, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის საფუძველზე იქმნება ახალი გეგმები და სხვადასხვა დარგობრივი სტრატეგიები, რომელიც როგორც წესი ამ კოცეფციის ცვლილებასთან ერთად უნდა განახლდეს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია განსაზღვრულია შემდეგნაირად: „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია არის ფუძემდებლური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს და ეროვნულ ინტერესებს, აყალიბებს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, განსაზღვრავს მის წინაშე არსებულ საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს და ადგენს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს“ [5. 3].

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების განსაზღვრის აუცილებლობის გამოწვევის წინაშე დადგა და ამ საკითხზე მუშაობა 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო.

1996 წლის 23 აგვისტოს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულება, ეროვნული უშიშროების კონცეფციის შემმუშავებელი კომისიის შესახებ [6], რომელსაც ერთ თვეში უნდა წარედგინა სამუშაო გეგმა, შეექმნა ექსპერტთა ჯგუფი და ერთ წელიწადში შეექმნათ აღნიშნული დოკუმენტი. კომისიამ პირველივე სხდომაზე განსაზღვრა, რომ კონცეფციაში მოცემული უნდა ყოფილიყო: საფრთხეები და მათი ხასიათი, ამ საფრთხეებზე რეაგირების საშუალებები და ქვეყნის პოტენციალი, უსაფრთხოების გარანტიების საერთაშორისო საშუალებანი [7].

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში გათვალისწინებულია საქართველოს ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებები, ეროვნული ინტერესები, ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეები, რისკები და გამოწვევები, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ვიწრო პარტიული მიკერძოებული პოლიტიკისთვისაც, როდესაც ხელისუფლება იყენებს ეროვნულ უსაფრთხოებას ქვეყნის შიგნით პოლიტიკური პოზიციების გასამყარებლად და საკუთარი ოპონენტების დასასუსტებლად. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია პარტიულად მიკერძოებულ ხასიათს ატარებს, ის ვერ გამოდგება ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის ობიექტურ და სასარგებლო გზამკვლევად, რადგან ასახავს ქვეყნის

მმართველი რეჟიმის ინტერესებს. საქართველოს ხელისუფლებისთვის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის დოკუმენტის შექმნა სირთულეს წარმოადგენს, რადგან საქართველომ არც თუ დიდი ხანია რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა, ამიტომ ქვეყანა ჯერ კიდევ სუსტია და გარეშე აქტორებზეა დამოკიდებული. ამას ემატება ისიც, რომ ქვეყანას რთული სამეზობლო მდგომარეობა აქვს. გარდა, ამისა საქართველოსთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ერთიანობის შენარჩუნება. ამის მაგალითია 1990-93 წლების მოვლენები - დაპირისპირება საქართველოს სამთავრობო ჯარებსა და სეპარატისტულად განწყობილ ოსურ და აფხაზურ შეიარაღებულ ჯგუფებთან. კონფლიქტის მოგვარების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა სამოქალაქო ომი, რომელიც დაახლოებით იმავე პერიოდში განვითარდა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოსა და აფხაზეთში და ქართულ-ოსური კონფლიქტი. ამ დაპირისპირებაში საქართველოს ხელისუფლება დამარცხდა, რასაც ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე-ფაქტო გამოყოფა მოჰყვა. ამ კონფლიქტის შედეგად, ქვეყანაში გაჩნდა მთელი რიგი პრობლემები: დაირღვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, გაჩნდა ათასობით ლტოლვილი, ქვეყანა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისების წინაშე დადგა და ა.შ. ასეთ პირობებში განსაკუთრებით სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის სწორად შემუშავების საკითხმა.

კონცეფციის შემუშავებისას, საქართველოსთვის, ისევე როგორც სხვა ქვეყნებისათვის, მნიშვნელოვანია შეცდომების ზღვარის მინიმუმამდე დაყვანა, ვინაიდან თითოეული პოტენციური შეცდომის შედეგები ძალზე მნიშვნელოვანია.

საქართველოს ეროვნული უსაფთხოების დადებითი და უარყოფითი მხარეები

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ერთ-ერთ ძლიერ მხარეა ის, რომ მასში მხოლოდ სამხედრო და დიპლომატიური საკითხები არაა განხილული, არამედ გათვალისწინებულია ქვეყნის ეროვნული ინტერესები, გამოწვევები, რისკები (ეკონომიკური, სოციალური, ენერგეტიკული, ეკოლოგიური და დემოგრაფიული გამოწვევები).

კონცეფციის დასაწყისში ვკითხულობთ „საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა, დაამკვიდრონ „დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო“, უზრუნველყონ „ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი“, განამტკიცონ „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა...“ [8. 3].

ამ სიტყვებით, დასტურდება, რომ აღნიშნული დოკუმენტით დამკვიდრებულია დემოკრატიის სტანდარტები და საქართველოს ხელისუფლებას ანგარიშვალდებულს ხდის, როგორც საშინაო, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე თავისი საქმიანობა თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისად განახორციელოს.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია უმრავლესობის და ეთნიკურად უმცირესობაში მყოფი მოსახლეობის ურთიერთობა. კონცეფციაში ნათლად არის აღწერილი უმცირესობების უფლებები და მათი მნიშვნელობა საქართველოს დემოკრატიის განვითარებაში. მათ ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც უმრავლესობას. ეთნიკური უმცირესობის მონაწილეობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში მნიშვნელოვანი ელემენტია დემოკრატიული და სამართლებრივი საზოგადოებისთვის.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის კიდევ ერთ დადებით მხარეა ის, რომ მასში ნათლად არის განმარტებული რომ „სახელმწიფოს უსაფრთხოება ვერ განმტკიცდება მეორე სახელმწიფოს უსაფრთხოების შეზღუდვის ხარჯზე“ და ბოლოს კონცეფციის ბოლო დადებით მხარეს წარმოადგენს ქვეყნის პოზიცია კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხი, განსხვავებით მეზობელი ქვეყნებისგან. აზერბაიჯანი და რუსეთი უარს ამბობენ თავი შეიკავონ საბრძოლო მოქმედებებისგან თუ შეთანხმება ვერ ან არ შედგება.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სუსტი მხარეები საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მთავარ სისუსტეს წარმოადგენს სტრატეგიული ანალიზის უკან დაწევა და პოლიტიკური გზავნილების წინ წამოწევა. კონცეფციაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკურ გზავნილებზე. დოკუმენტის კიდევ ერთ სუსტ მხარეს წარმო-

ადგენს არარეალური მოლოდინები. ესპანელი ექსპერტები (ჟოან ლუის პერეს ფრანსეჩი, ტომას ხილ მარკესი, მანუელ ბალბე მალოლი, როსერ მარტინესი, მონსერატ ეგლესიასი) ეროვნული უსაფრთხოებას ყოფენ საშინაო და საგარეო ხასიათის საფრთხეებად.

საშინაო საფრთხეებს წარმოადგენს ეკონომიკური პრობლემები და პოლიტიკური საკითხები, ხოლო საგარეო საფრთხეებში კი კავკასიის მერყევი მდგომარეობის არასათანადო შეფასება და ყურადღების არ გამახვილება და მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების გამოსწორების შესაძლებლობების არასათანადოდ განხილვა. 2014 წელს გაფორმებულმა ასოცირების ხელშეკრულებამ გარკვეულწილად განსაზღვრა ძირითადი მიზნები ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის სრულყოფისთვის, რაც გულისხმობს დემოკრატიული გარემოს გაუმჯობესობას, საგარეო პოლიტიკაზე კონცენტრირებას, მეზობელ ქვეყნებთან უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრას, სახელმწიფოს ბრძოლას სიღარიბის შემცირებისთვის, ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას და ა.შ. ამ გზავნილების განხორციელება ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რათა გახდეს განვითარებული და ერთიანი სტაბილური ქვეყანა.

როგორც ზევით ვთქვით, კონცეფციის ერთ-ერთ სუსტი მხარეა ეკონომიკური არასტაბილურობა, რომლის შესახებაც დოკუმენტში მხოლოდ გაკვრით არის ნახსენები. ამ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებაზე და მხოლოდ გაკვრით არის ნახსენები სეცესიური რეგიონებისა და უმცირესობების საკითხი. დოკუმენტში საერთოდ არ არის ნახსენები შიდაუსაფრთხოების რისკების შესახებ. საქართველოს მოქალაქეების ძირითად პრობლემას წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკური და სასამართლო სისტემები. კონცეფციაში ვკითხულობთ, რომ საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობას ფუნდამენტური ღირებულება აქვს, ხოლო „კეთილდღეობისკენ სწრაფვა“ საქართველოს მოსახლეობის „ფუნდამენტური უფლებაა“. ანუ სტაბილური გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა საქართველოს პოლიტიკისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, რათა დაკმაყოფილებულ იქნეს ქართველი ხალხის ფუნდამენტური უფლება „კეთილდღეობისკენ სწრაფვა“.

გარდა ამისა, კონცეფციაში ნაკლებად არის გამახვილებული ყურადღება ქვეყნიდან მიგრაციის ყოველწლიურ ზრდაზე, რაც, ერთი მხრივ, ეკონომიკურად შესაძლოა ქვეყნისთვის გარკვეული სარგებლის მომტანიცაა (ემიგრანტების მიერ გადმორიცხული ფულადი სახსრების გადმორიცხვის თვალსაზრისით), მაგრამ მეორე მხრივ, ზრდის ქვეყანაში დემოგრაფიული კრიზისის საფრთხეებს.

კონცეფციის კიდევ ერთ ხარვეზს წარმოადგენს ის, რომ მასში არ არის განსაზღვრული თუ როგორ გადანაწილდება ეკონომიკური ზრდით გამოწვეული შემოსავლების გადანაწილება. ეს პირდაპირ დაკავშირებულია პოტენციურ პოლიტიკურ პრობლემებთან. სწორედ რომ ხალხის ცხოვრების ხარისხი და დონე განსაზღვრავს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

საქართველოს შიდა პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობის ერთ-ერთი უმთავრესი რგოლია საქართველოს მოქალაქეები და თუკი არ იქნება დაკმაყოფილეული მათი ფუნდამენტური უფლება, შესაბამისად, ქვეყანაში მიმდინარე შიდა პოლიტიკური პროცესებიც არ იქნება პოზიტიური ხასიათის მატარებელი.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების, კიდევ ერთ გამოოწვევას წარმოადგენს კიბერ სივრცის დაცვა. ამ სფეროს დაცვა და განვითარება მნიშვნელოვანია, როგორც თითეული მოქალაქის უსაფრთხოებისთვის, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების უსაფრთხოებისთვის. თანამედროვე ტექნოლოგიების და ინტერნეტის სწრაფმა განვითარებამ და მოხმარებამ გამოიწვია ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურის დამოკიდებულება. ქვეყნის კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიზნების, სტრატეგიების და სამოქმედო გეგმის გაწერა მნიშვნელოვანია, რადგან რეგიონიდან არსებობს პოტენციური საფრთხეების მოდინების რისკები. რუსეთი და ირანი ეს ორი ქვეყანა ყველაზე მაღალი რისკის მატარებელია საქართველოს კიბერუსაფრთხოებისთვის და განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ეს ქვეყნები ამ სფეროში გლობალურ მოთამაშეებს წარმოადგენენ. მათ მიერ განხორციელებული კიბერთავდასხმა ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას, ფაქტიურად უუნაროს გახდის. პარალიზებული იქნება ეკონომიკის ყველა სექტორი, ჯანდაცვის და ენერგეტიკის სფეროები ანუ, შესაძლოა, საქართველო თავისი ნების საწინააღმდეგოდ ახალი ტიპის ომში ჩაერთოს. მიუხედა-

ვად ამ რისკებისა საქართველოს კიბერსივრცეს 2019 წლიდან არ აქვს კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში მთიანი ყარაბახის კონფლიქტს სათანადო ყურადღება არ აქვს დათმობილი. კონცეფციაში ვკითხულობთ: „საქართველოსთვის ასევე გამოწვევაა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კონფლიქტი. ამ ქვეყნების შეიარაღებული დაპირისპირების განახლება შეასუსტებს სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს უსაფრთხოებას და ხელს შეუწყობს რეგიონში რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური გავლენის ზრდას“ [8. 9].

აქედან ჩანს, რომ კონცეფცია, მხოლოდ ზოგად სახეს გვაჩვენებს ამ კონფლიქტიდან წარმოშობილი პოტენციური საფრთხეების შესახებ. ვინაიდან ამ კონფლიქტიდან მომდინარე საფრთხეებმა შეიძლება მიშვნელოვანი რყევები გამოიწვიოს საქართველოს უსაფრთხოებაში - ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკასა და ენერგოუსაფრთხოებას, ამიტომ საჭიროა ზუსტი პოლიტიკური რეკომენდაციები. არსებობს ასევე საფრთხე, რომ აღნიშნული კონფლიქტის გამწვავებამ გამოიწვიოს უთანხმოება საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებულ უმცირესობათა შორისაც, რაც საბოლოოდ რუსეთთან კიდევ ერთი დაპირისპირების საფრთხეს აჩენს, ვინაიდან მთიანი ყარაბახის კონფლიქტი რთული ჯაჭვური ხასიათისაა და შესაძლოა, მან რეგიონალური მასშტაბიც კი შეიძინოს.

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დღეს არ გააჩნია ეროვნული უსაფრთხოების ეფექტური კონცეფციის დოკუმენტი, რადგან ის საკმაოდ მოძველებულია და არ პასუხობს ქვეყანაში არსებულ დღევანდელ გამოწვევებს და პრობლემებს. ამასთან ერთად ისეთი პატარა, სუსტი და პრობლემების კასკადში გახვეული ქვეყნისთვის 8-9 წელი საკმარისზე მეტი პერიოდია იმისთვის, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია განახლდეს.

NINO KOBAKHIDZE

TRANSNATIONAL THREATS AND NATIONAL SECURITY CHALLENGES OF MODERN STATES

Summary

In today's world, a threat to one is a threat to all. Globalization means that a major terrorist attack in any part of the industrialized world will affect millions of people in the developing world. Any of the 700 million passengers who use international airlines each year can become an unsuspecting carrier of a deadly infectious disease. And the weakening of the potential of any state in the world reduces the quality of protection of each state against transnational threats, such as: terrorism and organized crime. Each state needs international cooperation to ensure its security.

Addressing the General Assembly in September 2003, UN Secretary-General Kofi Annan drew member states' attention to the fact that the United Nations was at a crossroads. It can cope with the difficult task of neutralizing new threats, but it is also possible to face the risk of deepening disagreements between states and their taking unilateral measures. He established the High Level Group on Threats, Challenges and Change to develop new ideas about what strategies and institutions the United Nations needs to be effective in the 21st century. This high-level panel set out a bold, new vision for a collective security system in the 21st century in its report.

It can be noted with satisfaction that the United Nations and the institutions that make up our collective security system have repeatedly demonstrated the effectiveness of their activities. In the last 15 years, more civil wars have ended through negotiations than in the previous 200 years. In the 1960s, many believed that 15-25 states would have nuclear weapons by the beginning of the 21st century; The Treaty on the Non-Proliferation of Nuclear Weapons helped prevent such a development. The World Health Organization helped stop the spread of SARS before the disease claimed thousands, if not more, lives.

However, these successes are no longer enough, as there is a real danger that unless urgent action is taken to strengthen the United Nations so that it can respond effectively to the full range of contemporary threats.

Key words: *transnational threats, nuclear weapons, international organizations, national security.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Maslow A. H., „A Theory of Human Motivation“. 1943. http://psychclassics.yorku.ca/Maslow/motivation.htm
2. დალი ვ. ი., განმარტებითი ლექსიკონი.
3. Сравнительный анализ концепций национальной безопасности России и США. https://nauchkor.ru/pubs/sravnitelnyy-analiz-kontseptsiy-natsionalnoy-bezopasnosti-rossii-i-ssha-5a6f88147966e12684ee9ed4
4. Сравнительный анализ концепций национальной безопасности России и США . https://nauchkor.ru/pubs/sravnitelnyy-analiz-kontseptsiy-natsionalnoy-bezopasnosti-rossii-i-ssha-5a6f88147966e12684ee9ed4
5. საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია.
6. ეროვნული უშიშროების კონცეფციის შემმუშავებელი კომისიის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #551. 23 აგვისტო, 1996 წ.
7. ეროვნული უშიშროების კონცეფციის შემმუშავებელი კომისიის პირველის სხდომის დღის წესრიგი და გეგმა. 25 აგვისტო, 1996 წ.
8. საქართველოს პარლამენტის დადგენილება, „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ, 2005.

ინა ნაცვალაძე
*წარმოადგინა **პროფ. ქეთი ჯიჯეიშვილმა***

ევროკავშირის მიგრაციული პოლიტიკის თავისებურებები

მოსახლეობის მიგრაცია ანუ მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილება კაცობრიობის ისტორიაში უძველესი მომდინარე საზოგადოებრივ-გეოგრაფიული მოვლენაა. შესაბამისად, მიგრაცია უძველესი ფენომენია, რომელიც ყოველთვის იყო მსოფლიო განვითარებას თანმდევი. მსოფლიოს განვითარების თანმხვედრად გაიზარდა მიგრაციის მასშტაბებიც. გლობალური პროცესების განვითარებამ, სატრანსპორტო საშუალებებისა და სატელეკომუნიკაციო-ტექნიკურმა მიღწევების პროგრესმა საგრძნობლად გააიოლა ადამიანთა ფიზიკური გადაადგილება და ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობები, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში იმიგრაციის პრობლემებსა თუ პერსპექტივებს შეეხება.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, საერთაშორისო მიგრაცია. ევროკავშირი. ევროპის ლტოლვილთა კრიზისი.*

თანამედროვე მიგრაციის ძირითადი მიზეზები შეიძლება განვიხილოთ ორი სახის - წამახალისებელი (push factors) და მიმზიდველი (pull factors) - ფაქტორების მიხედვით. წამახალისებელი ფაქტორი ადამიანებს უბიძგებს სამშობლოს დატოვებისა და მიგრაციისაკენ, ხოლო მიმზიდველი ფაქტორი იზიდავს და ხიბლავს მათ ქვეყანაში არსებული სხვადასხვა პირობებით.

მიგრაციის წამახალისებელი ფაქტორის სახეებია ის არასახარბიელო პირობები, რომელიც ადამიანებს თავიანთ ქვეყანაში გააჩნიათ, მაგალითად:

- სამედიცინო მომსახურების დაბალი დონე;
- უმუშევრობა;
- პერსპექტივების ნაკლებობა;
- არადამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობები;
- პოლიტიკური ზეწოლა;
- წამებისა და არასათანადო მოპყრობის საშიშროებები;
- რელიგიური გრძნობებისა და რწმენის შეზღუდვა;
- ქონების დაკარგვის საშიშროებები;
- ბუნებრივი კატასტროფები (კლიმატური ცვლილებები).

მიმზიდველი ფაქტორის სახეები კი, ის პირობებია, რომლებიც მათ მიერ საემიგრაციოდ შერჩეულ ქვეყანაში არსებობს:

- მაღალანაზღაურებადი სამსახურის შესაძლებლობები;
- უკეთესი საცხოვრებელი პირობები;
- გართობა და დასვენება;
- განათლების მაღალი დონე;
- მაღალი დონის სამედიცინო მომსახურეობა;
- დაცულობა (ადამიანის უფლებები, რწმენისა და აღმსარებლობის შეუზღუდაობა, პოლიტიკური შეხედულებების თავისუფალი არჩევანი...);
- ოჯახური კავშირები.

დღესდღეობით ზემოთ ჩამოთვლილ მიმზიდველ ფაქტორთა სიმრავლის გამო სამეიგრაციოდ სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ირჩევს ევროკავშირის ქვეყნებს, წამახალისებელი ფაქტორები კი მრავალეფროვანია, მათ შორის: პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური და ა.შ. უფრო მეტიც, დღეს არსებული პრაქტიკის მიხედვით, ადამიანთა უმეტესობა სწორედ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების იმედით მიდის ემიგრაციაში და ამისთვის არალეგალურ გზებსაც კი მიმართავს. ხშირ შემთხვევაში მოქალაქეები, რომლებიც იმყოფებიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ან ცხოვრობენ უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში იძულებულები ხდებიან უკანონოდ შევიდნენ სხვა განვითარებული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რათა თავი იხსნან სიღარიბისაგან.

გაჭირვება საზღვარგარეთ ან შიმშილი სამშობლოში - ამ არჩევანის წინაშე მდგარი მიმართავს არალეგალი მიგრანტებისა და ტრეფიკინგის მსხვეპლთა უმრავლესობა არალეგალურ გზებს ემიგრაციისათვის.

მნიშვნელოვანია განისაზღვროს თავად მიგრაციის ფაქტორი, რაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თითოეულ შემთხვევაში განსხვავებული და ინდივიდუალურ საჭიროებებზეა მორგებული. დღეს არსებული წარმოდგენებით მიგრაციის უმთავრეს მამოძრავებელ ძალად მიჩნეულია უფრო მაღალი ანაზღაურების მიღების სურვილი, ანაზღაურება კი არის ფასი, რომელსაც ადამიანის უნარებში იხდიან, რაც სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. აქედან გამომდინარე, ლეგალური თუ არალეგალური მიგრაციის დეტერმინანტია ადამიანის ბუნება, რაც უკეთესის ძიებაში მდგომარეობს. საინტერესო ფაქტია ის, რომ არალეგალური მიგრაცია უფრო მეტად პოპულარულია საზოგადოებაში (მათ შორის ქართულ საზოგადოებაში), ვიდრე ლეგალური, ამას გარკვეული ობიექტური მიზეზები გააჩნია. კერძოდ, ლეგალური მიგრაციის შემთხვევაში აუცილებელია სხვადასხვა ბიუროკრატიული პროცესების მოგვარება, როგორიცაა: სავიზო პროცედურები, დაზღვევა და ა.შ. მაასტრიხტის უნივერსიტეტის პროფესორი ხალიდ ქოზერი თავის წიგნში, „საერთაშორისო მიგრაცია“ აღნიშნავს, რომ არალეგალური მიგრაციის პოპულარობა, ლეგალური მიგრაციისათვის აუცილებელი ბიუროკრატიული მექანიზმების სირთულით აიხსნება [1. 54].

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის მასობრივი ემიგრაციები ევროპის მიმართულებით ევროპის ქვეყნების ეკონომიკურმა აღმშენებლობამ და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების დეკოლონიზაციამ განაპირობა. ბოლო წლებში კი ამ მიმართულებით მიგრაციული პროცესები განსაკუთრებით გახშირდა ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე და იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ნაკადი მნიშვნელოვნად დააწვა ევროპის ქვეყნებს და ევროკავშირი განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, როგორც ლტოლვილთა კრიზისის, ასევე საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხით.

ტერმინი „ევროპის ლტოლვილთა კრიზისი“ პირველად გამოყენებულ იქნა 2015 წელს, ლტოლვილთა და არალეგალ მიგრანტთა ევროკავშირის საზღვრებთან უპრეცედენტო რაოდენობითა და მასშტაბით მოზღვავების აღსანიშნავად. ლტოლვილთა ნაკადის მკვეთრი ზრდა განპირობებული იყო 2011 წლიდან ევროპის მეზობელ რეგიონებში, მეტწილად ახლო აღმოსავლეთში არსებული არასტაბილური ვითარებით, ომებით და შეიარაღებული კონფლიქტებით. სამოქალაქო ომებმა ერაყსა და სირიაში, ავღანეთში მიმდინარე დაუსრულებელმა ომებმა, ისლამური სახელმწიფოს გაფართოებამ და სულ უფრო მეტ ტერიტორიაზე კონტროლის მოპოვებამ აიძულა ადამიანები დაეტოვებინათ თავიანთი ქვეყნები და თავშესაფრის საძიებლად ევროკავშირის ქვეყნების საზღვრებს მიდგომოდნენ. ბოლო წლებში კი, კერძოდ, 2020 წლის მონაცემების თანახმად, საერთაშორისო მიგრანტთა რაოდენობამ მსოფლიოს მასშტაბით 272 მილიონი შეადგინა [2], რომელთა შორის, თითქმის ორი მესამედი შრომითი მიგრანტია. მართალია, ეს მაჩვნებელი მსოფლიო მოსახლეობის საკმაოდ მცირე პროცენტია (3.5%), რაც იმას ნიშნავს, რომ გლობალურად ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა (96.5%) იმ ქვეყანაში ცხოვრობს, სადაც დაიბადა. მაგრამ ესეც კი აღემატება 2050 წლისათვის გაკეთებულ ზოგიერთ პროგნოზს, რომლის მიხედვითაც მიგრანტთა რაოდენობაში ნავარაუდევი იყო მსოფლიო მოსახლეობის 2.6% (ანუ 230 მლნ). აქედან გამომდინარე, მკვლევარები მივიდნენ იმ აზრამდე, რომ აღიარეს საერთაშორისო მიგრაციის მასშტაბისა და ტემპის ზუსტი პროგნოზირების სირთულე, ვინაიდან არ არის თავისთავადი პროცესი, და იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული მსოფლიოს ამა თუ იმ რეგიონსა თუ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ ეკოლოგიურ მოვლენებთან. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ევროპისთვის უკიდურესად რთულ გამოწვევად იქცა მიგრაციის მართვა, რომელშიც მრავალი აქტორია ჩართული, რომლებიც სხვადასხვა დონეზე მოქმედებენ და სხვადასხვა ინტერესებს ახორციელებენ.

ევროკავშირის ქვეყნები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მიგრაციის მაჩვენებლების: ჩამოსვლის, გამგზავრების, ზრდის, მიგრაციის ნაკადის ინტენსივობის - მიხედვით. ეს განსხვავებები ასახავს ეკონომიკური განვითარების უთანასწორობას სამხრეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ევროპას შორის და, ასევე, აშკარაა თავშესაფრის პოლიტიკის შედარებისას მდიდარ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში: მაგალითად, შვედეთი ან გერმანია იღებენ თავშესაფრის მაძიებელთა დიდ უმრავლესობას, ხოლო ავსტრია და უნგრეთი ამჯობინებენ შეზღუდონ საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე ადამიანების შემოდინება.

ეროვნულ მთავრობებსა და ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის ტრადიციული ურთიერთქმედების პარალელურად, იზრდება რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლების როლი მიგრანტების სოციალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით. ამდენად, ევროპაში მიგრაციის პოლიტიკის ანალიზისთვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ „მრავალდონიანი მმართველობის“ კონცეფცია, რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისში, ევროინტეგრაციის გაღრმავების პროცესში, განსაკუთრებით მაასტრიხტის ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და ევროკავშირის ზენაციონალური ინსტიტუტების კომპეტენციების გაფართოების შემდეგ იქნა შემუშავებული [3].

ევროკავშირის მიგრაციის პოლიტიკაში მრავალდონიანი მმართველობის კონცეფციის შემქმნელებად ითვლებიან გარი მარკსი და ლიზბეთ ჰიუგი, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ ტრადიციულ სახელმწიფოზე ორიენტირებულ მიდგომებს პოლიტიკურ კვლევაში და ამტკიცებენ, რომ ევროპული სახელმწიფოების სუვერენიტეტი კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებითა და ზენაციონალური ინსტიტუტების მზარდი უფლებამოსილებებით არის შეზღუდული [4].

თავის გვიანდელ ნაშრომებში მარქსმა და ჰიუგმა განაცხადეს, რომ ევროკავშირმა შექმნა მრავალდონიანი მმართველობის ფორმა ბევრ ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორიცაა: ფინანსური პოლიტიკა, რეგიონული პოლიტიკა, კონკურენციის პოლიტიკა, ბაზრის რეგულირება, ინდუსტრიული პოლიტიკის ელემენტები, კანონის აღსრულება და განათლების სისტემა, რომელთაც, თავის მხრივ, ეროვნული სისტემების მრავალი მახასიათებელი გააჩნიათ, რაც განაპირობებს იმას, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხოლოდ ეროვნული აღმასრულებელი ხელისუფლება არაა ჩართული.

მრავალდონიანი მმართველობის თანამედროვე მხარდამჭერები ევროკავშირს ხედავენ როგორც პოლიტიკურ სისტემას, რომელსაც ეროვნული სისტემების მრავალი მახასიათებელი გააჩნია, რის გამოც ეროვნული აღმასრულებელი ხელისუფლების გარდა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მრავალი აქტორია ჩართული. ევროკავშირის პოლიტიკა ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთკვეთაში მყოფი სხვადასხვა დონეების (ზენაციონალური, ეროვნული, რეგიონული და მუნიციპალური) მუდმივ კოორდინაციაშია. თუმცა, ეს ურთიერთობა მხოლოდ ევროკავშირში პოლიტიკური პროცესის მხოლოდ ვერტიკალური განზომილების ამსახველია. მრავალდონიანი მმართველობის კონცეფცია კი ასევე ჰორიზონტალურ განზომილებასაც გულისხმობს - როდესაც კოორდინაცია ხორციელდება მენეჯმენტის თითოეულ დონეზე. შედეგად ყალიბდება რთული პროცესები, რომლებიც განსაზღვრავს პოლიტიკური საქმიანობის საბოლოო შედეგს მონაწილე აქტორების საჭიროებების, ინტერესების, რესურსებისა და კომპეტენციების გათვალისწინებით.

მრავალდონიანი მმართველობა ნიშნავს ურთიერთქმედებას და ურთიერთობის ერთობლივ კოორდინაციას ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის ერთის აშკარა დომინირების გარეშე. 1990-იანი წლების ბოლოდან, მიგრაციული ნაკადების რეგულირება ევროკავშირის პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებად სფეროდ იქცა. ამ დროის განმავლობაში, კომისიამ შეიმუშავა მთელი რიგი საკანონმდებლო და პოლიტიკის ინიციატივები, რათა ჩამოეყალიბებინა მიგრაციის პოლიტიკის ზოგადი ჩარჩო საზღვრების დაცვისა და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში და, მეორე მხრივ, წაეხალისებინა მესამე ქვეყნის მოქალაქეების ლეგალური შესვლა და მათი უფლებების დაცვის უზრუნველყოფით. ევროკავშირის მიგრაციის პოლიტიკის ზენაციონალური კომპონენტი მნიშვნელოვნად გააძლიერა ლისაბონის ხელშეკრულებამ. ევროკავშირის საერთო მიგრაციის პოლიტიკა ევროკავშირის ინსტიტუტებისა და წევრი ქვეყნების ერთობლივ კომპეტენციაში შევიდა. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 78-ე მუხლი ასევე ავალდებულებს ბრიუსელს თავშესაფრის, დამხმარე და დროებითი დაცვის საკითხებში საერთო პოლიტიკის გატარებას [5. 83].

ამავდროულად, მუხლი 79(5) წევრ სახელმწიფოებს უტოვებს უფლებას თავად დააწესონ კვოტები მესამე ქვეყნის მოქალაქეების ლეგალური ყოფნისა და დასაქმებისთვის. ევროკავშირს არ აქვს სრული კომპეტენცია ეკონომიკური იმიგრაციის სფეროში, მაგრამ რიგი დირექტივები არეგულირებს მიგრანტების გარკვეული ჯგუფების მდგომარეობას (მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, სტუდენტები, მკვლევრები, სეზონური მუშაკები. ასევე ევროკავშირში ლეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნების მოქალაქეთა) უფლებებს [6].

ამრიგად, ლისაბონის ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო მიგრაციისა და თავშესაფრის პოლიტიკის ევროპეიზაციას: შეიქმნა ფრონტექსის სააგენტო, რომელიც კოორდინაციას უწევს წევრი სახელმწიფოების ქმედებებს საზღვრების დაცვაზე; თავშესაფრის პროცედურების დაყვანილია საერთო სტანდარტამდე; მიღებულ იქნა არაერთი დირექტივა - არალეგალური მიგრანტების გაძევების, „ლურჯი ბარათი“ (რომელიც გულისხმობს მიგრანტების შერჩევით წვდომას ევროკავშირის შრომის ბაზრებზე), ოჯახების შექმნის ან გაერთიანების შესახებ და, ასევე მთელ რიგ ხელშეკრულებებს მიგრანტების წარმოშობის ქვეყნებთან.

მრავალდონიანი მმართველობის კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის ინსტიტუტების - პარლამენტისა და სასამართლოს როლის ეტაპობრივი გაძლიერება. ამავდროულად, ევროკავშირის საბჭოსა და სხვადასხვა სამთავრობათაშორისო სამუშაო ჯგუფების გავლით, ნაწილობრივ თავად ევროკომისიის მეშვეობით, წევრმა სახელმწიფოებმა განაგრძეს მნიშვნელოვანი როლის შესრულება. ისინი ცდილობდნენ ეროვნული მიგრაციის კანონმდებლობის ელემენტების გადატანას ზესახელმწიფოებრივ დონეზე, რათა ამ გზით შენარჩუნებინათ თავიანთი კომპეტენცია და გაძლიერებულიყვნენ ლეგალური მიგრანტებისთვის უფლებებისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში [7].

ევროკავშირის ფონდები, რომლებიც მართავენ მიგრაციის პოლიტიკის დაფინანსებას და იღებენ სახსრებს ევროკავშირის მრავალწლიანი ფინანსური ჩარჩოს შესაბამისად, ევროპეიზაციის ინსტრუმენტებად იქცა. მაგალითად, თავშესაფრის, მიგრაციისა და ინტეგრაციის ფონდი შეიქმნა მიგრაციული ნაკადების მართვის გასაძლიერებლად და მიგრაციისა და თავშესაფრის მიმართ ევროკავშირის საერთო მიდგომის შესაქმნელად. შიდა უსაფრთხოების ფონდი მართავს სახსრებს საზღვრის უსაფრთხოების მხარდასაჭერად, ასევე პოლიციის თანამშრომლობის, დანაშაულის, მათ შორის ტრეფიკინგისა და კონტრაბანდის პრევენციისა და კონტროლის მხარდასაჭერად; ფონდები, როგორიცაა: ჰორიზონტი 2020, გაჭირვებულთა მხარდაჭერის ფონდი, რეგიონული განვითარების ფონდი, სოციალური ფონდი, ძირითადად გამოყოფენ საჭირო სახსრებს მიგრანტებისა და ლტოლვილების ინტეგრაციისათვის [4].

ევროკავშირის საგარეო მიგრაციის პოლიტიკის მხარდაჭერა, ხორციელდება სხვადასხვა ფონდებიდან დღევანდელი ახალი პრიორიტეტების გათვალისწინებით (თურქეთში ლტოლვილთა ფონდი, აფრიკის ნდობის ფონდი და მდგრადი განვითარების ფონდი). ეს ფინანსური ინსტრუმენტები შეიქმნა ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების რესურსების გაერთიანების მიზნით, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ სახსრების მოზიდვა საკმაოდ პრობლემური აღმოჩნდა. თუმცა, მიგრაციის მართვის გასაუმჯობესებლად მიგრაციის პოლიტიკის დაფინანსება ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

მიგრაციისა და თავშესაფრის სფეროში ევროკავშირის დეცენტრალიზებულ სააგენტოებს არ აქვთ პირდაპირი ოპერატიული უფლებამოსილებები, მაგრამ ასრულებენ წევრი სახელმწიფოების საქმიანობის მხარდაჭერისა და კოორდინაციის ფუნქციებს, ისინი მოქმედებენ როგორც შუამავლები ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ეროვნულ სამართალდამცავ უწყებებს შორის. საზღვრის დაცვისა და სანაპირო დაცვის სააგენტო (Frontex) მოქმედებს საზღვრის დაცვის სფეროში, თავშესაფრის მხარდაჭერის სააგენტო ეხმარება წევრ სახელმწიფოებს თავშესაფრის საერთო სისტემით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

მიგრაციულმა კრიზისმა გამოავლინა სააგენტოების საქმიანობის ზენაციონალური კომპონენტის გასაძლიერებლად მათი უფლებამოსილების გაფართოების საჭიროებაც. 2016 წელს გატარებული ფრონტექსის სააგენტოს რეფორმა ზოგადად წარმატებული იყო, ვინაიდან თავშესაფრის მხარდაჭერის სააგენტოს ფუნქციების გაფართოება განიხილება იმავე პაკეტში, როგორც მთლიანობაში ევროკავშირში თავშესაფრის სისტემის რეფორმა, რომელიც მანამდე ჩიხში იყო შესული. სააგენტოები ფუნქციონირებს არაპირდაპირი კონტროლის ქვეშ ანუ მათ ევროკომისიისაგან დელეგირებული აქვთ ბიუჯეტს ბიუჯეტის შესრულება.

ამრიგად, ევროკავშირში მიგრაციის მართვა ხორციელდება სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტრუმენტების მეშვეობით და, უპრეცედენტო მიგრაციის ნაკადის დაწყებისთანავე, ეფუძნებოდა „ევროპული მიგრაციის დღის წესრიგში“ დადგენილ პრინციპებს.

2015 წელს მიღებული სტრატეგიული ხასიათის ეს პოლიტიკური დოკუმენტი „ევროპული მიგრაციის დღის წესრიგი“ ითვალისწინებს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან ზო-

მებს მიგრაციისა და თავშესაფრის პოლიტიკის შიდა და გარე განზომილებების სფეროში. ევროკავშირის ზოგადი სტანდარტები დეტალურად არის გაწერილი რეგულაციებში და დირექტივებში, მაგრამ მიგრაციისა და თავშესაფრის მიცემის პოლიტიკის პირდაპირ განხორციელება წევრი სახელმწიფოების კომპეტენციაა, რომლებიც ვალდებულნი არიან თავიანთი ეროვნული კანონმდებლობა მოიყვანონ შესაბამისობაში ევროკავშირის კანონებთან და მოქმედ საერთაშორისო შეთანხმებებთან [8].

ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, წლების განმავლობაში, გროვდებოდა დაძაბულობა ეროვნულ მთავრობებსა და ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის, როგორც ჰარმონიზაციის ხარისხთან, ასევე პოლიტიკის შინაარსთან დაკავშირებით. გარდა ამისა, წევრ ქვეყნებს შორის წარმოიშვა ახალი „ჰორიზონტალური“ კონფლიქტები, რაც გამოწვეულია მათი ინტერესების მზარდი განსხვავებულობითა და გაფართოებული ევროკავშირის მიმართ ნდობის ნაკლებობით. თავშესაფრის მაძიებელთა და არალეგალურ მიგრანტთა ევროპული სტანდარტებით უზარმაზარმა ნაკადმა გამოავლინა ხარვეზები თავშესაფრისა და საზღვრების დაცვაში ევროკავშირში და გადაჭარბებული მიგრაციული ზეწოლის საგანგებო სიტუაციებისადმი მოუმზადებლობა აჩვენა. მოქმედი სისტემა არ ითვალისწინებს თავშესაფრის მაძიებელთა მიღების წესების უნიფიცირებას, ხოლო განაცხადებზე დადებითი გადაწყვეტილებების პროცენტული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წევრ ქვეყნებში. უფრო მეტიც, მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაა, რომლებიც მათი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, პასუხისმგებელობას იღებენ თავშესაფრის მოთხოვნის უმრავლესობის განხილვაზე. ამ დისბალანსის აღმოსაფხვრელად, არსებული წესების გასაუმჯობესებისა და ჰარმონიზაციისათვის, კრიზისის შესაძლო განმეორების შემთხვევაში მეტი მზადყოფნისათვის, ევროკომისიამ 2016 წლის მაისში გააკეთა თავშესაფრის სისტემის რეფორმის შეთავაზება მიმდინარე დირექტივებში და დუბლინის რეგულაციაში შესწორების თვალსაზრისით, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნების პასუხისმგებლობას თავშესაფრის მაძიებლებისათვის თავშესაფრის მინიჭებაზე. თუმცა, რეფორმა შეჩერდა წევრ ქვეყნებს შორის თავშესაფრის მაძიებელთა განაწილებასთან დაკავშირებით მანამდე უკვე არსებული უთანხმოების გამო. არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვდა მიგრანტების გაძევებისა და რეადმისიის ეფექტური ქმედებების ორგანიზებას.

ქვეყნიდან გასახლების დაბალი დონის გამო, კომისიამ განაახლა არალეგალური მიგრანტების დაბრუნების გეგმა, გააკეთა შეთავაზება ცვლილებები შეეტანათ გაძევების დირექტივაში და დიდი ყურადღება დაუთმო აზიიდან და აფრიკიდან მიგრანტების წარმოშობისა და ტრანზიტის ქვეყნებთან რეადმისიის ხელშეკრულებების გაფორმებას, რომლებიც წარმოადგენს წარმოადგენს მიგრაციული პროცესების რეგულირების მნიშვნელოვან ელემენტს და ამავდროულად ემსახურება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და განვითარების პოლიტიკის დამატებას. იგი ეფუძნება ევროკავშირის თავშესაფრის საერთო სისტემის ზოგად პრინციპებსა და მიზნებს და მიგრაციისა და მობილობის გლობალურ მიდგომას, რომლის მეშვეობითაც ევროკავშირი ეწევა პოლიტიკურ დიალოგს და პარტნიორობას მესამე ქვეყნებთან.

მიგრაციის პრობლემის „აუთსორსინგი“ - თავშესაფრის მაძიებლების მიღების პასუხისმგებლობის გადატანის მცდელობა მეზობელ ქვეყნებსა და მიგრანტების მომწოდებელ სახელმწიფოებზე - ასახავს ევროკავშირის მიგრაციის პოლიტიკის „ექსტერნალიზებას“, ევროკავშირის ფარგლებს გარეთ თავშესაფრის პროცესის რეგულირების სურვილს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. კომისიის ამ ინიციატივას წევრი სახელმწიფოები ენთუზიაზმით უჭერენ მხარს. „აუთსორსინგის“ იდეის გაცილებით ნაკლებ მხარდაჭერას უცხადებენ ის ქვეყნები, რომელთა ტერიტორიაზეც ევროკავშირი ცენტრების განთავსებას გეგმავს. თავშესაფრის მინიჭებისა და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლისგან განსხვავებით, ევროკავშირის პოლიტიკა გაცილებით ნაკლებად ევროპეიზაციას ლეგალური (ეკონომიკური და საოჯახო) სფეროში განიცდის. მოსახლეობის კონტროლი საკუთარ საზღვრებში, იმ მიგრანტების რაოდენობა, რომელსაც ქვეყანა იღებს ლეგალური არხებით, ისევე როგორც მათი ინტეგრაცია, ყოველთვის იყო პოლიტიკურად ზედმეტად მგრძნობიარე სფეროები წევრი სახელმწიფოებისთვის.

ამავდროულად, ლეგალური მიგრაციის სფეროში არ არის საკანონმდებლო აქტივობის ნაკლებობა, კერძოდ: დირექტივები მაღალკვალიფიციური მუშაკებისთვის „ლურჯი ბარათის“ შესახებ (2009), ერთიანი მუშაობისა და

ბინადრობის ნებართვის შესახებ (2011 წ.), სეზონური დასაქმება და შიდაკორპორაციული მოძრაობები (2014). თუმცა, არც ერთი ეს დირექტივა არ ზემოქმედებს ეროვნული მთავრობების უფლებაზე, თავად გადაწყვიტონ რამდენი მიგრანტი შეუშვან ქვეყნის ტერიტორიაზე; დირექტივები მხოლოდ ჩამომსვლელებისათვის ზოგად პროცედურებსა და უფლებებს ადგენს. ანალოგიურად, ევროკავშირის გავლენა ოჯახური მიგრაციის პოლიტიკაზე წევრ ქვეყნებში რჩება ძალიან სუსტი, მიუხედავად კომისიის მცდელობისა დააწესოს მინიმალური სტანდარტები ოჯახის გაერთიანების ლეგალიზებული პირობებისა და ოჯახის წევრების უფლებებთან დაკავშირებით.

მიგრაციული კრიზისის წლებში, ევროკავშირის ქვეყნების ინტერესების მზარდმა ფრაგმენტაციამ მიგრაციის სფეროში გაზარდა წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგობა პოლიტიკის შემდგომი ჰარმონიზაციის/ევროპეიზაციის მიმართ. ყველა თანხმდებოდა უკანონო შესვლების შეჩერების აუცილებლობაზე, მიუხედავად უთანხმოებებისა იმის შესახებ, თუ როგორ და ვის მიერ უნდა გაეკეთდეს ეს, მაგრამ ბევრ სხვა სფეროში, წევრი ქვეყნების პოზიციები მიგრაციის მართვის შესახებ სულ უფრო მეტად იყოფა. წინააღმდეგობები ეროვნულ სახელმწიფოებსა და ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის, ზოგჯერ კი სუბნაციონალურ მთავრობებს, ეროვნულ და ზესახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს შორის, აჩვენებს, რომ ინტერესები მიგრაციის პოლიტიკის სფეროში ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს და წარმოიქმნება კონფლიქტები. ცხადია, ევროკავშირში ხელისუფლების სხვადასხვა დონის ჰარმონიზაციის სტრატეგიის არარსებობა იქცა მიგრაციული კრიზისის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად და მიგრაციული პოლიტიკის ევროპეიზაციაზე საპასუხოდ რეაქციად.

INA NATSVALADZE

PECULIARITIES OF EU MIGRATION POLICY

Summary

Migration of the population or territorial movement of the population is the oldest socio-geographic phenomenon in the history of mankind. Therefore, migration is an ancient phenomenon that has always accompanied world development. Along with the development of the world, the scale of migration has also increased. The development of global processes, the progress of means of transport and telecommunication-technical achievements have significantly facilitated the physical movement of people and the possibilities of sharing information, which will affect the problems and prospects of immigration in one or another country.

Key words: *globalization, international migration. European Union. Europe's refugee crisis.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Koser K.,International Migration, a very short introduction, Oxford, 2007.
2. მსოფლიო მიგრაციის ანგარიში, 2020.
3. Bol'shova N.N., Institucional'nye urovni i praktiki integracii inokul'turnyh soobshchestv (na primere FRG). Avtoreferat dissertacii na soiskanie stepeni kandidata politicheskih nauk. Moscow, Russia. 2009.
4. Потемкина О., МНОГОУРОВНЕВОЕ УПРАВЛЕНИЕ МИГРАЦИЕЙ В ЕВРОПЕЙСКОМ СОЮЗЕ. Современная Европа, 2020, №2, http://www.sov-europe.ru/images/pdf/english/2020/2-2020/10.pdf
5. Consolidated version of the Treaty on the Functioning of the European Union //Official Journal. 2010.
6. Lavenex S. Regional migration governance – building block of global initiatives? Journal of Ethnic and Migration Studies, Vol.45. № 8. 2018, pp. 1275–1293.
7. Scholten P., Penninx R., The Multilevel Governance of Migration and Integration. Integration Processes and Policies in Europe / Ed. by B. Garcés-Mascareñas, Penninx R. Springer, pp. 91–108. 2016.
8. Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. A European Agenda on Migration. COM/2015/0240 final

ნატო თოდუა
*წარმოადგინა **პროფ. მაია ყიფიანმა***

სახალხო დიპლომატიისა და სამშვიდობო პოლიტიკის როლი კონფლიქტის მოგვარებაში

წლების განმავლობაში, ქართულ საზოგადოებრივ რეალობაში გაჩნდა ასეთი ტენდენცია- საქართველოს კონფლიქტების მიმართ ინტერესის კლება. საერთაშორისო ორგანიზაციები ომს ყოვლად მიუღებლად მიიჩნევენ და ეს ასეც უნდა იყოს. მათ სწამთ, რომ დიალოგით ყველაფრის მიღწევაა შესაძლებელი. როგორც ბრიტანელი მწერალი ჯორჯ მარტინი თავის რომანში „ტახტების თამაში“ წერს, საუკეთესო შეთანხმება ისაა, რომელსაც ორივე მხარე ოდნავ იმედგაცრუებული ტოვებს.

შესაბამისად, ურთულესია ამგვარ კომპრომისამდე მიღწევა და შემდეგ მისი ხანგრძლივი შენარჩუნება. კიდევ უფრო გაუსაძლისი ხდება სიტუაცია, თუ მხარეები ტერიტორიის კუთვნილებაზე ვერ თანხმდებიან, ეს გლობალური პრობლემა უკვე ნათლად აისახა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაზე, კერძოდ ე.წ. „გაყინული კონფლიქტების“ სახით. სწორედ ასე მოიხსენიებენ იმ უთანხმოებებს, რომლის მოგვარების მცდელობები ჩიხში შევიდა და იქიდან გამოსავალი ჯერ-ჯერობით ბუნდოვანია.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, ეროვნული იდენტობა, დიპლომატია, მოლაპარაკებები.*

„დიპლომატია ეს არის საერთაშორისო ურთიერთობის წარმართვა მოლაპარაკებების გზით, მეთოდი, რომელსაც დიპლომატიის ხელოვნებით ან ცოდნით მართავენ ელჩები, რათა დაარეგულირონ ესა თუ ის ურთიერთობები“(ჯ. ნიკოლსონი). ასევე, დიპლომატია არის მოლაპარაკება, იმ პოლიტიკურ ერთეულთა შორის, რომლებიც აღიარებენ ერთმანეთის დამოუკიდებლობას.

21-ე საუკუნეში კონფლიქტის გაზრდილი ღირებულების გამო, სახელმწიფოთა მთავრობები თავს იკავებენ ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციებისაგან და მიმართავენ პრევენციულ დიპლომატიას. ძალადობრივი კონფლიქტის პრევენციისათვის სახელმწიფოები იყენებენ დიპლომატიას, მედიაციის, შუამავლობის, ფასილიტაციის ფაქტების გამოვლენის კონსულტაციებისა და მონიტორინგის გზით.

1992-1993 წლების შემდეგ აგვისტოს ომამდე იყო აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების მეტ-ნაკლებად წარმატებული მცდელობები, როგორც ოფიციალურ სამთავრობო ისე არა ოფიციალურ დონეზე. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დიპლომატიაში ჩართულ მოქალაქეთა ჯგუფების მონაწილეობით.

სახალხო დიპლომატია, მართალია, ნელა, მაგრამ აღმავალი ხაზით ვითარდებოდა. აფხაზ და ქართველ მოსახლეობას შორის პიროვნული კონტაქტები უფრო ინტენსიური გახდა: ჩატარდა ერთობლივი კვლევები, განხორციელდა როგორც ნდობის აღდგენაზე, კონფლიქტის განმუხტვაზე, ისე ბიზნეს ურთიერთობების დამყარებაზე მიმართული პარალელური და ერთობლივი პროექტები დაინერგა სასწავლო პროგრამები სახალხო დიპლომატიაში ჩართვის მოსურნეთათვის; გაიზარდა ადამიანური და მატერიალური რესურსები სახალხო დიპლომატიის შემდგომი განვითარებისათვის. თუმცა ამან ხელი ვერ შეუშალა კონფლიქტის ესკალაციას მესამე ძალის მიერ ინსპირირებული ომის სახით, აფხაზეთში არსებული ნეგატიური განწყობების საფუძველზე, რაც შეიძლება განხილულ იქნას, როგორც არა მარტო ოფიციალური დიპლომატიის მარცხი, არამედ გარკვეულწილად სახალხო დიპლომატიის სისუსტე. საქართველოს ხელისუფლების უპირველესი ინტერესი არაერთხელ გამოჩნდა, რომ ეს არის მშვი-

დობა და სტაბილურობა ქვეყანასა და რეგიონში.

კონფლიქტის არაძალადობრივი გადაწყვეტა არის მდგრადი მშვიდობისა და სტაბილურობის წინა პირობა, აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა მიმართულია უფრო დინამიკური და ქმედითი ნაბიჯების გადადგმის, შერიგებისა და ნდობის მშენებლობის, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების, შექმნილი ვითარების ტრანსფორმაციისა და, შესაბამისად, კონფლიქტის მშვიდობიანი და სრულმაშტაბინი მოგვარების მყარი საფუძვლის შექმნისაკენ. რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტმა პოლიტიკურად და ემოციურად დაჩრდილა კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. თუმცა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის აღმატებული განზომილება არ ნიშნავს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი მოიცდის, ვიდრე არ მოწესრიგდება, საქართველო რუსეთის ურთიერთობები, რის შემდეგაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტი თითქოს მარტივად და სწრაფად მოგვარდება, თითოეულს ამ კონფლიქტებიდან განსხვავებული ფესვები, გენეზისი, დინამიკა და თავისებურებები გააჩნია. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოგვარების გზებისა და საშუალებების ძიება უნდა განხორციელდეს სამი პარალელური და ურთიერთშემავსებელი პროცესის განვითარების პირობებში:

1. ქართულ-აფხაზური საზოგადოებებს შორის უშუალო დიალოგი;
2. საქართველოს ევროინტეგრაციის ინტენსიფიკასია;
3. საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების მოწესრიგება. სამი აღნიშნული პროცესი განსხვავებული სიჩქარითა და შედეგიანობით შეიძლება განვითარდეს, თუმცა რომელიმე მათგანის დროებითი შეფერხება ვერ შეანელებს საქართველოს ძალისხმევას დანარჩენების წარმატებით წარმართვის მიზნით.

აფხაზებთან შერიგების ღირებულების საფუძვლად საქართველო ევროპეიზაციას, ხოლო ინსტიტუციურ საფუძვლად კი ევროინტეგრაციას ხედავს. არსებითად ეს ნიშნავს ლიბერალური დემოკრატიისა, და კანონის უზენაესობის, პოლიტიკური პლურალიზმისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფოდ გადაქცევას, რომელიც ორიენტირებულია საკუთარი მოქალაქეების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მათ სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ პროგნოზებზე. ეს მიზანი ვერ მიიღწევა ეთჯერადი აქტით, ამას დრო და მიზანმიმართული, უწყვეტი ძალისხმევა სჭირდება.

უნაყოფოა მცდელობა, მუდმივად გყავდეს მტრის რანგში მთელი ერი, მაშინ, როცა ამ ერთან, არამც თუ გვერდი გვერდ, არამედ ერთად გიწევს ცხოვრება. არა აქვს ალტერნატივა დიალოგს, რომელიც ურთიერთნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის აუცილებელ ნიადაგს ქმნის.

საქართველოს ხელისუფლება მზადაა აფხაზების საზოგადოების წარმომადგენლებთან უშუალო დიალოგისათვის, სხადასხვა დონეზე და სხვადასხვა ფორმატში.

გამყოფი ხაზების სხვადასხვა მხარეს დარჩენილი მოსახლეობის საერთო მოთხოვნილებაა იცხოვროს ისეთ სივრცეში, სადაც უმთავრესი პრიორიტეტი მათი თავისუფლება, უსაფრთხოება, საკუთარი იდენტობის შენარჩუნება და სოციალ ეკონომიკური მდგომარეობის განუხრელი გაუმჯობესება იქნება. ამგვარი ვითარების მიღწევა შერიგების მყარ საფუძველს შექმნის. კონფლიქტი ვერ ჩაითვლება მოგვარებულად მანამდე, ვიდრე კონფლიქტის მხარეები არ მოძებნიან სამართლებრივ პოლიტიკურ ფორმულას, რომლის ჩარჩოებში კონფლიქტს ამოწურულად მიიჩნევენ და რომელსაც საერთაშორისო ლეგიტიმაცია ექნება, საერთაშორისო თანამეგობრობა იმ ფორმულას მიიღებს, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან და რომელიც მდგრად სტაბილურობას უზრუნველყოფს.

ვერც წინა და ვერც ახლანდელმა ხელისუფლებამ ისტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი ვერ გადაჭრა.საზოგადოება ვერ ხედავს ამ მხრივ რეალურ პერსპექტივებს. არა ერთმა ქართველმა მწერალმა თუ პოეტმა ხოტბა შეასხა აფხაზთა და ქართველთა მეგობრობას, ამის ბრწყინვალე მაგალითია აკაკის „გამზრდელი“, ლ. ქიაჩელის „ჰაკიაცბა“ კ. გამსახურდიას გენიალური ნაწარმოები „მთვარის მოტაცება“. ასევე მინდა გავიხსენო გამოჩენილი აფხაზი მწერალი და ენათმეცნიერი დ. გულია, რომელიც ალალი გულით და შემართებით წერდა: „ვისაც უნდა ნახვა მზის, ნახოს მიწა აფხაზის, ფრთა ფრთამავალ არწივის, საქართველოს ნაწილი“.

ასე ფიქრობდნენ და ასე მიაჩნდათ საქართველოს განუყოფელ ნაწილად აფხაზეთი, ქართველ და აფხაზ მოაზროვნე საზოგადოებას. ასევე სამართლიანად აღნიშნავს, პროფესორი ჯემალ გამახარია „აფხაზი ერის გადარჩენის ერთერთი გზა შერიგება და საქართველოს წიაღში დაბრუნებაა, ჩვენს შერიგებას ალტერნატივა არა აქვს, რადგან ქართველის გარდა აფხაზს არავინ გაუფრთხილდება“.

საზოგადოებაში კონფლიქტების სრული მოსპობა შეუძლებელია და არც არის საჭირო, სამაგიეროდ, შესაძლებელია, ვისწავლოთ მათი მართვა ანუ სხვა სიტყვებით, საჭიროების შემთხვევაში, როგორ ავიცილოთ ისინი თავიდან ან კონფლიქტში არსებული დესტრუქციული ტენდენციები ვაქციოთ კონსტრუქციულად.

თუ გვინდა, რომ კონფლიქტური სიტუაცია კონსტრუქციული გზით წარვმართოთ უნდა გავითვალისწინოთ კონფლიქტების თეორიის ბაზური პრინციპები:

- არ არსებობს გამოუვალი სიტუაცია და გადაუჭრელი პრობლემები;
- ურთიერთ მისაღები გადაწყვეტილებების მიღწევა შესაძლებელია;
- პრობლემის მოგვარებისას, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მატერიალური, არამედ ფსიქოლოგიური დაკმაყოფილება;
- პრობლემური სტრატეგიის მოგვარების პროცესი სწორად სიტუაციის შესატყვისად უნდა იყოს შერჩეული.

მშვიდობის მშენებლობა თეორიულად და პრაქტიკულად ძალიან რთული პროცესია და ამავე დროს საოცრად მტკივნეული. მეცნიერების ეს დარგი ეყრდნობა კონფლიქტის მოგვარების იმ ძირითად პრინციპს, რომლის მიხედვით, ორი დაპირისპირებული ჯგუფი თუ ერი, ერთმანეთს უნდა შეურიგდეს რათა მოხდეს მომავალი, კონფლიქტებისა და ომების თავიდან აცილება, რათა წარსულის შეცდომები აღარ განმეორდეს. არავის სიცოცხლე არ შეეწიროს ომს, რომელიც წარუმატებელი მოლაპარაკებების შედეგია.

ერთი მხრივ, ომები ჩვენი თაობების სინამდვილეა, მეორე მხრივ, ვიცით რომ წარმატებული მოლაპარაკებები შესაძლებელია, ამას მსოფლიო მშვიდობისმოსურნე საზოგადოება გვიმტკიცებს. გავაცნობიეროთ ის, რომ შეიძლება კონფლიქტის აცილება და მოგვარება მშვიდობიანი გზით, ანუ შესაძლებელია მშვიდობის მშენებლობა იმის მიუხედავად, რომ თავად ეს პროცესი რთულია, ყველა ერთად უნდა ვეცადოთ, რომ იგი განვახორციელოთ ცხოვრებაში, რადგან ყველაზე რთული და მტკივნეული პროცესის გადატანაც კი, ალბათ, სიმძიმით ვერაფრით შეედრება ერთი ადამიანის სიცოცხლის დაკარგვას.

თითოეული ადამიანის სიცოცხლე ხომ ფასდაუდებელია. უნდა შევძლოთ იმ პროცესებში ჩაბმა, რასაც მშვიდობის მშენებლობა ჰქვია, ამ გზით მივაღწევთ იმას, რომ უსისხლოდ ომისა და კონფლიქტის, ძალადობის გარეშე, მოლაპარაკებების გზით, მტკივნეულ საკითხებს გადავწყვეტთ. ისმის კითხვა ვის შეუძლია და ვისი ვალდებულებაა ომისა და კონფლიქტების თავის არიდება.

საქართველოში 2000 წელს ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეთა უმრავლესობამ, დაახლოებით 180-მდე მონაწილემ შემდეგი პასუხი გასცა. რა თქმა უნდა, მთავრობას აკისრია მშვიდობის მშენებლობის განვითარება და კონფლიქტის აცილება მოგვარება.

ეს პასუხი, ერთი მხრივ, სწორია, მაგრამ ამასთან ძალიან ცალმხრივი. ეს ყველაფერი კარგად ასახავს ჩვენი საზოგადოების დღევანდელ დამოკიდებულებას მოქალაქეობრივი ვალდებულებებისა და მოვალეობებისადმი. განა მთელი სახელმწიფო მხოლოდ მთავრობაა? განა ამ სახელმწიფოში მცხოვრები ხალხი უუფლებოა? მათ ხომ შესწევთ იმის ძალა და უნარი, რომ აქტიურად ჩაებნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობამ ის განახორციელოს რაც ხალხის ინტერესებშია. მშვიდობის მშენებლობა გულისხმობს საზოგადოების ყველა ფენის აქტიურ ჩართვას ამ პროცესში. არ არსებობს მშვიდობა შერიგების გარეშე, არ არსებობს შერიგება დიალოგის გარეშე. დიალოგი კი ერთიმეორის აზრის აღიარებაა. როდესაც საუბარია ქვეყანაში კონფლიქტის, ომის შემდგომ მშვიდობის მშენებლობაზე, მშვიდობის დამყარებაზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის შერიგების პროცესის დაწყების გარეშე მყარი მშვიდობის მიღწევა შეუძლებელია. განა შეიძლება, რომ ორმა ადამიანმა, ჯგუფმა, ერმა კონფლიქტის შემდეგაც ისევ მშვიდობიანი ცხოვრება გააგრძელოს მხოლოდ იმიტომ რომ ასე იქნა გადაწყვეტილი უმაღლეს დონეზე ხელმოწერილ სამშვიდობო ხელშეკრულებებში, ერთი მხრივ ეს თავის მოტყუებაა, ამავე დროს კარგი საფუძველი გახლავს იმისთვის, რომ იგივე ადამიანებს, ჯგუფებსა თუ ერებს შორის კონფლიქტი განახლდეს. იმისათვის, რომ კონფლიქტი მოგვარებულად ჩაითვა-

ლოს აუცილებელია ვიცოდეთ ორივე მხარის სუბიექტური რეალობები, ორივე მხარის მიერ მოძიებული ფაქტები. დიპლომატიაზე საუბარი შეუძლებელია, როდესაც მხარეები ზედაპირულად ცდილობენ „კონფლიქტის მოგვარებას“ და ამ მიზნით დროებითი ხელშეკრულების დასადებად თავს არიდებენ სიმართლეზე საუბარს, მხოლოდ იმის გამო, რომ სიმართლე არ არის ერთობლივად დადგენილი, ამავე დროს ხშირად ორივე მხარე მიიჩნევს, რომ უსამართლობას ჰქონდა და აქვს ადგილი. კონფლიქტის განვითარებისას, როგორც წესი დრო და დრო თავს იჩენს სამართლიანობის დადგენის სურვილი. სიმართლე და სამართლიანობა დეტალურად უნდა იქნეს განხილული დაპირისპირებული მხარეების მიერ, რის შემდეგადაც შესაძლებელი გახდება ორივე მხარის „ვერსიის“ საბოლოოდ დადგენა ე.ი. მხარეები საბოლოოდ უნდა შეთანხმდნენ იმაზე თუ რაში მდგომარეობდა სიმართლე ანუ როგორი იყო თითოეული მხარის პოზიცია და ქმედება კონფლიქტამდე, და რა იყო კონფლიქტის დაწყების მიზეზი.

NATO TODUA

THE ROLE OF PUBLIC DIPLOMACY AND PEACE POLICY IN CONFLICT RESOLUTION

Summary

Over the years, such a tendency has emerged in the Georgian-public reality - a decline in interest in Georgia's conflicts. International organizations consider war unacceptable and it should be so. They believe that everything can be achieved through dialogue. As British writer George Martin writes in his novel Game of Thrones, the best deal is one that leaves both sides slightly disappointed. Consequently, it is difficult to reach such a compromise and then maintain it for a long time. The situation becomes even more intolerable if the parties do not agree on the ownership of the territory, this global problem has already been clearly reflected in modern world politics, in particular the so-called In the form of "frozen conflicts". This is how they refer to the disagreements, the attempts to resolve which have reached a deadlock and the way out of it is still unclear.

Key words: *globalization, national identity, diplomacy, negotiations.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცატურიანი. „აშშ-ს სახალხო დიპლომატია ახალ ინფომაციულ საუკუნეში“. „აშშ და კანადა: ეკონომიკა, პოლიტიკა, კულტურა“, 2010.
2. http://uscpublicdiplomacy.org/blog/060418_public_diplomacy_be_gullion_the_e volution_a_phrase
3. ნაი ჯ., „სახალხო დიპლომატია და რბილი ძალა“. ამერიკის პოლიტიკურ და სოციალური მეცნიერებათა აკადემიის ანალები. 2008.
4. დოლინსკი ა., „დისკუსია სახალხო დიპლომატიის შესახებ“. საერთაშორისო პროცესები. 2011.
5. ზონოვა ტ. ვ., „დიპლომატიის თანამედროვე მოდელი ფორმირების წარმოშობა და განვითარების პერსპექტივები“, 2003.
6. სახალხო დიპლომატიის სახელმძღვანელო. 2009.
7. ბერიანიძე შ., „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახალსო დიპლომატიის როლი სამშვიდობო პოლიტიკაში“, 2021.
8. ჩიკვილაძე ე., „აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა“, თბ., 2019.
9. საქართველოს სსრ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი, 1981.
10. პიპინაშვილი დ., „სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები“, თბ., 2008.

11. კვესელავა ი., „საქართველოს ისტორიის ქრონიკები ტერიტორიულ და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის ასპექტები“, წიგნი 3, თბ., 2016.

ნაშრომის გაფორმებისა და წარდგენის წესი

სტატიის მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 14 გვერდისა, სტატიას თან უნდა დაერთოს: გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, რეზიუმეები ქართულ და ინგლისურ ან რუსულ ენებზე (არანაკლებ 100-150 სიტყვა) და საკვანძო სიტყვები.

ტექნიკური პარამეტრები:

1. **გვერდის ფორმატი:** – A4
2. **გვერდის ველი:** – 2 სმ
3. **შრიფტი:** ქართული – sylfean, ზომა – 12,
   რუსული – *Times New Roman,* ზომა 12
   ინგლისური – *Times New Roman,* ზომა 12
4. **ინტერვალი** – 1 (Single)
5. **აბზაცი** – 1 სმ

ტექსტის სტრუქტურა:

- ავტორის სახელი, გვარი
- რეცენზენტის სახელი, გვარი (დოქტორანტის შემთხვევაში)
- ნაშრომის სათაური
- რეზიუმე ქართულ და ინგლისურ (ან რუსულ) ენებზე
- საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ (ან რუსულ) ენებზე
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.